ISSN 1987-9377

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი



მეცნიერება და ცხოვრება

2 (10)

თბილისი
2014

მეცნიერება და ცხოვრება

Metsniereba da Tskhovreba

Мецниереба да Цховреба

№ 2 (10)

თბილისი – Tbilisi – Тбилиси

2014

UDC (უაკ) 001.1+001.5](051.2

მ-621

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“ გამოდის თბილისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით

International, refered and reviewed scientific journal „Metsniereba da Tskhovreba“ published by the decision of Tbilisi University's academic council

Международный, рецензированный и реферированный журнал „Мецниереба да Цховреба“ выходит по решению академичес кого совета Тбилисского Университета

ჟურნალი გამოდის 2010 წლიდან წელიწადში ორჯერ
ჟურნალის დამფუძნებელი - დავით ჯანგულაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის გენერალური დირექტორი

Published since 2010 twice a year
Founder of the journal - David Jangulashvili, Doctor of Economic Sciences, Professor, General Director of Tbilisi Teaching University

Журнал выходит с 2010 года два раза в год
Основатель журнала - Давид Джангулашвили, доктор экономических наук, профессор, генеральный директор Тбилисского учебного университета

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. №55
ვებ-გვერდი: www.tbuniver.edu.ge
ელ.ფოსტა: journal2010@mail.com
ტელ: 2969044

UUniversity address: Tbilisi, Eg. Ninoshvili st. №55
WEB-page: www.tbuniver.edu.ge
E-mail: journal2010 @mail.com
Tel: 2969044

Адрес университета: г. Тбилиси, ул. Эг. Ниношвили №55
Веб-страница: www.tbuniver.edu.ge
Эл-почта: journal2010@mail.com
Тел: 2969044

გამომცემლობა „მწიგნობარი"

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

სოლომონ პავლიაშვილი – სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

რევაზ ჯავახიშვილი – მთავარი რედაქტორი, პროფესორი

ლია მენთეშაშვილი – პასუხისმგებელი მდივანი, პროფესორი

დავით ჯანგულაშვილი – პროფესორი

ავთანდილ სილაგაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

მიხეილ ჯიბუტი – საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი

რამაზ აბესაძე – პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

დავით გუბელაძე – პროფესორი

გელა ტყეშელაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შოთა ფაფიაშვილი – პროფესორი

დავით ვეკუა – პროფესორი

დევი ხვედელიანი – გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

იათამზე მაისურაძე – ასოცირებული პროფესორი

არჩილ ცერცვაძე - ასოცირებული პროფესორი

თამარ ჯანგულაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ნინო სანაია – ასოცირებული პროფესორი

გიორგი ხანთაძე - ასოცირებული პროფესორი

ლია ინაიშვილი – აკადემიური დოქტორი

ნადეჟდა გრაჟევსკაია – სრული პროფესორი (უკრაინა)

დომინიკ კოლენ – სრული პროფესორი (საფრანგეთი)

რეიმონდ გიუზო – სრული პროფესორი (საფრანგეთი)

ჟან ბარლუა – სრული პროფესორი (საფრანგეთი)

ანტონიო ბოჯია – სრული პროფესორი (იტალია)

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **ხათუნა ჩაჩხიანი**

SCIENTIFIC-EDITORIAL COUNCIL

Solomon Pavliashvili – Head of Scientific-editorial Council, Professor, Vice -President of the Georgian Academy of Economic Sciences

Revaz Javakhishvili – Editor-in-Chief, Professor

Lia Menteshashvili – Responsible Secretary, Professor

David Jangulashvili – Professor

Avtandil Silagadze – Academician of the Georgian National Academy of Sciences

Mikheil Jibuti – President of Economic Association, Professor

Ramaz Abesadze – P. Gugushvili's Economic Institution‘s Director, Professor

David Gubeladze - Professor

Gela Tkeshelashvili - Georgian Technical University, Professor

Shota Papiashvili – Professor

David Vekua – Professor

Devi Khvedeliani – University Gr. Robakidze, Associate Professor

Iatamze Maisuradze – Associate Professor

Archil Tsertsvadze - Associate Professor

Tamar Jangulashvili – Associate Professor

Nino Sanaia – Associate Professor

Giorgi Khantadze - Associate Professor

Lia Inaishvili – Ph.D

Nadejda Grajevskaya - Full Professor (Ukraine)

Dominique Colin - Full Professor (France)

Raymond Guillouzo - Full Professor (France)

Jean Barloy - Full Professor (France)

Antonio Bogia - Full Professor (Italy)

Computer Service – **Khatuna Chachkhiani**

НАУЧНО РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Соломон Павлиашвили - председатель научно-редакционного совета, профессор, вице -президент Академии Экономических Наук Грузии

Реваз Джавахишвили – главный редактор**,** профессор

Лия Ментешашвили – ответственный секретарь, профессор

Давид Джангулашвили - профессор

Автандил Силагадзе - академик Национальной Академии Наук Грузии

Михеил Джибути - президент ассоциации экономистов Грузии, профессор

Рамаз Абесадзе - директор института экономики им. П. Гугушвили, профессор

Давид Губеладзе - профессор

Гела Ткешелашвили - профессор технического университета Грузии

Шота Папиашвили – профессор

Давид Векуа – профессор

Дэви Хведелиани - ассоцированный профессор университета им. Гр. Робакидзе

Иятамзэ Маисурадзе – ассоцированный профессор

Арчил Церцвадзе - ассоцированный профессор

Тамар Джангулашвили – ассоцированный профессор

Нино Саная - ассоцированный профессор

Гиорги Хантадзе - ассоцированный профессор

Лия Инаишвили – академический доктор

Надежда Гражевская – профессор (Украина)

Доминик Колен – профессор (Франция)

Реймонд Гюзо – профессор (Франция)

Жан Барлуа – профессор (Франция)

Антонио Боджиа – профессор (Италия)

Компьютерное обеспечение: **Хатуна Чачхиани**

სარჩევი

ეკონომიკის მეცნიერებანი

სოლომონ პავლიაშვილი, ლევან ჯანგულაშვილი - საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები და პერსპექტივები ---------- 12

გაიოზ ნადირაშვილი, დავით ჯანგულაშვილი - საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები ---------- 20

რევაზ ჯავახიშვილი - ევროინტეგრაციული კავშირის შექმნა და ევოლუცია ---------- 31

გიორგი ცაავა - ქართული ფულადი ერთეულების ისტორიული რეტროსპექტივა ---------- 35

მარინე ალანია - შიდა მარკეტინგი, როგორც სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის კომპანიების ეფექტიანი ფუნქციონირების ინსტრუმენტი ---------- 43

იზოლდა ადეიშვილი - თანამედროვე ადამიანის მოთხოვნები ხარისხზე ---------- 50

როლანდ სარჩიმელია, ლია ჩარექიშვილი - მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ---------- 53

რევაზ ლორთქიფანიძე - მეცნიერება და კონკურენცია ---------- 57

არჩილ ცერცვაძე - სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელობა და თავისებურებანი ---------- 61

გიორგი ხანთაძე - კომერციული ბანკის ფინანსური დაგეგმვისა და ბიუჯეტირების საკითხები ---------- 64

ავთანდილ ზედგინიძე - ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე ---------- 70

ზურაბ ბალიაშვილი - ფირმის დანახარჯები და მოგება ---------- 74

სოფიო ბლიაძე - ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა ---------- 78

ქეთევან ჭიაბრიშვილი, ნათელა ნატროშვილი - ეკონომიკური კულტურის პრობლემები საქართველოში ---------- 81

ოთარ შავიშვილი - საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების შესახებ ---------- 85

ინეზა ვაწაძე - საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების ზოგიერთი საკითხი ---------- 89

ნანა მაისურაძე - კორპორაციული მმართველობის კონცეფციების არსი და მისი განვითარების ისტორია ---------- 93

აბრარული მეცნიერებანი

მურად გარუჩავა - სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ–სოციალური ასპექტები ---------- 98

მანანა ცინცაძე - საქრთველოს მეცხვარეობის ზოგადი დახასიათება ---------- 102

ომარ მაისურაძე, ამროსი ჭკუასელი, გიორგი ჩაგელიშვილი - "ბიო-მოსის" გამოყენების ეფექტიანობა ბროილერის გამოზრდის პერიოდში ---------- 105

ნათია ნატროშვილი - მებოცვრეობაში გამოყენებული საკვები საშუალებები ---------- 108

ინჟინერია

დავით გუბელაძე - სარწყავ არხებში ფილტრაციული დანაკარგების განსაზღვრის მეთოდი 113

ჯუმბერ ნადირაშვილი - სოფლის მეურნეობაში ამწე-სატრანსპორტო მანქანების გამოყენების თეორიული საფუძვლები ---------- 121

იურიდიული მეცნიერებანი

მიხეილ ბიჭია - პატივის, როგორც პირადი ცხოვრების გამოვლენის ფორმის, დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები ---------- 126

მანანა კოპალიანი - ფიცი, როგორც მტკიცებულება ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით ---------- 133

გიორგი გორაძე - რუსეთის ტერიტორიული მოწყობის თავისებურებანი ---------- 138

გიორგი ასათიანი - სიკვდილით დასჯის საკითხები საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში ---------- 142

კახა კობერიძე - მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური გარანტიები ---------- 148

ჰუმანიტარული მეცნიერებანი

დავით პავლიაშვილი, აკაკი პავლიაშვილი - შიდა ქართლი - ცივილიზაციათა გზაჯვარედინი ---------- 152

ნაირა ბერია - ლოგიკის ისტორიის პირველი დამოუკიდებელი ქართველი ავტორი ---------- 155

ნათია ბებიაშვილი - ილია ჭავჭავაძე – გაბრიელ ქიქოძის ღირსების დამცველი ---------- 163

ელენე ზურაბაშვილი - ისტორია აწმყოს თანაშემწეა ---------- 166

დალი სინჯარაძე - ქართული ემიგრანტული პრესის არქივებიდან... (კვალი ჭავჭავაძეთა დიდი ოჯახური ისტორიისა) ---------- 169

ქეთევან ქუთათელაძე - „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ზოგიერთი მცენარეული წარმოშობის ტოპონიმი და მათი დიალექტური შესატყვისები ---------- 174

ლალი ურდულაშვილი - რუსეთის როლი აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში ---------- 182

თამარ გალობერი - ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ ქართული თარგმანი და კრიტიკა ---------- 186

ნინო სანაია - «აზროვნების» ცნების მეტაფორული სახელდების კოგნიტური ასპექტი ფრანგულ ენაში ---------- 189

განათლების მეცნიერებანი

ლია მენთეშაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი - პედაგოგიური ურთიერთობის პრობლემები უმაღლეს სასწავლებელში ---------- 193

ნათელა წოწონავა - ინგლისური მოდალური ზმნების სწავლების თავისებურებანი ---------- 196

ნატო შეროზია - ბავშვებსა და მოზარდებზე ძალადობის პრობლემის გადაჭრის ძიების გზები ---------- 200

ლაურა გურული - საკითხავ ტექსტზე მუშაობა რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების საწყის ეტაპზე ---------- 204

რეცენზია

ლარისა დოლიკაშვილი, თამარ ბუკია – მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო ტურიზმის თეორიასა და პრაქტიკაზე ---------- 208

Contents

Economic Sciences

Solomon Pavliashvili, Levan Jangulashvili - The Genesis of Georgian Antimonopoly Activity Problems and Perspectives ---------- 12

Gaioz Nadirashvili, David Jangulashvili - Tendencies and Perspectives of the International and Regional Tourism Development ---------- 20

Revaz Javakhishvili - The Formation and Evolution of Euro Integration ---------- 31

Giorgi Tsaava - Historical Retrospective Currency Georgia ---------- 35

Marine Alania - Internal Marketing as an Instrument for the Effective Functioning of the Company's Hospitality Industry ---------- 43

Izolda Adeishvili - Modern Individual's Requirement on Quality ---------- 50

Roland Sarchimelia, Lia Charekishvil - The Impact of Scientific Staff's Structural Changes on Georgian Economy ---------- 53

Revaz Lortkipanidze - The Science and Competition ---------- 57

Archil Tsertsvadze - Essentials and Importance of Life Insurance ---------- 61

Giorgi Khantadze - Financial Planning and Budgeting of Commercial Bank ---------- 64

Avtandil Zedginidze - Georgian Nuts in the World Market ---------- 70

Zurab Baliashvili - Costs and profits of the Company ---------- 74

Sophio Bliadze - Registration of a Currency ---------- 78

Ketevan Chiabrishvili, Natela Natroshvili - Problems of Economical Culture in Georgia ---------- 81

Otar Shavishvili - The Ways which Increase Georgian Economy ---------- 85

Ineza Vatsadze - Some Issues of the Ecotourism Development in Georgia ---------- 89

Nana Maisuradze - The concepts of the corporate management and its development history -------- 93

Agrarical Sciences

Murad Garuchava - Ecological and Social Aspects of Food Products Safety ---------- 98

Manana Tsintsadze - General Characters of Sheep in Georgia ---------- 102

Omar Maisuradze, Amros Chkuaseli, Giorgi Chagelishvili - "Bio-Mos" application efficiency in broiler breeding ---------- 105

Natia Natroshvili - Food Products Used in Rabbit Breeding ---------- 108

Ingineering

David Gubeladze - Method for Determining the Filtering in Irrigation Canals ---------- 113

Jumber Nadirashvili - Theoretical Basis of Use of Crone-Handling Machines in Agriculture ---------- 121

Legal Sciences

Mikhael Bichia - The Aspekts of Civil Law Protection of a Honor, as a Form of Revelation of Privacy ---------- 126

Manana Kopaliani - The Oath as the Confirmatio in Accordance to Law Book by Vakhtang VI ------- 133

Giorgi Goradze - The Peculiarities of Regulation Russia Territory ---------- 138

Giorgi Asatiani - Death Penalty in Georgia and Former Eastern Bloc Countries ---------- 142

Kakha Koberidze - Social and Material-technical Guarantees of Judges Independence ---------- 148

Humanitarian Sciences

David Pavliashvili, Akaki Pavliashvili - Shida Kartli – Crossroad of the civilization ---------- 152

Naira Beria - The First Independent Georgian Author of History of Logic ---------- 155

Natia Bebiashvili - Ilia Chavchavadze –Defendant of Gabriel Kikodze's Honour ---------- 163

Elene Zurabashvili - The Past is the Assistant of Present ---------- 166

Dali Sinjaradze - From the Archives of Georgian Emigrant Press (Trace of a Big Family History of the Chavchavadze ---------- 169

Ketevan Kutateladze - Some toponymies of plant origin mentioned in "Kartlis Tskhovreba" and their dialectical equivalents ---------- 174

Lali Urdulashvili - The Role of Russia in the Religious Life of Abkhazia ---------- 182

Tamar Galoberi - The Georgian Translation of „Ulysses"and Georgian Critique ---------- 186

Nino Sanaia - The Cognitive Aspects of Metaphoric Denotatio of "Thinking" Concept in French ------ 189

Education Sciences

Lia Menteshashvili, Nino Chakhunashvili - Problems of Pedagogical Interrelation in High School ---------- 193

Natela Tsotsonava - The Peculiarities of Teaching English Modal Verbs ---------- 196

Nato Sherozia - Children and Children and Adolescents Abuse –Searching the Problem-solving Ways ---------- 200

Laura Guruli - Reading as Tool of Teaching Russian as the Foreign Language at the First Stage of Learning Process ---------- 204

Содержание

Экономические науки

Соломон Павлиашвили, Леван Джангулашвили - Генезис, проблемы и перспективы антимонопольной деятельности ---------- 12

Гаиоз Надирашвили, Давид Джангулашвили - Тенденции развития и перспективы международного и регионального туризма ---------- 20

Реваз Джавахишвили - Создание и эволюция Евроинтеграционного Союза ---------- 31

Гиорги Цаава - Историческая ретроспектива денежных единиц Грузии ---------- 35

Марине Алания - Внутренний маркетинг, как инструмент эффективного функционирования компаниий в индустрии гостеприимства ---------- 43

Изолда Адеишвили - Требования современных людей к качеству ---------- 50

Роланд Сагчимелия, Лия Чарекишвили - Влияние структурных изменений квалифицированного научного персонала на экономике Грузии ---------- 53

Реваз Лорткипанидзе - Наука и конкуренция ---------- 57

Арчил Церцвадзе - Значение и особенности страхования жизни ---------- 61

Гиорги Хантадзе - Вопросы финансового планирования и бюджетирования коммерческого банка ---------- 64

Автандил Зедгинидзе - Грузинский орех на мировом рынке ---------- 70

Зураб Балиашвили - Издержки и прибыль фирмы---------- 74

Софио Блиадзе - Учёт ценних бумаг ---------- 78

Кетеван Чиабришвили, Натела Натрошвили - Проблемы культуры экономики в Грузии ------ 81

Отар Шавишвили - Об ускарённом развитии экономики Грузии ---------- 85

Инеза Вацадзе - Некоторые вопросы развития экотуризма в Грузии ---------- 89

Нана Майсурадзе - Сущность понятий корпоративного управления и история ее развития ----- 93

Аграрные науки

Мурад Гаручава - Эколого-социальные аспекты безопасности пищевой продукции ---------- 98

Манана Цинцадзе - Общее описание овцеводства в Грузии ---------- 102

Омар Маисурадзе, Амроси Чкуасели, Гиорги Чагелишвили - Эффективность применения „био-мосса“ в период выращивания бройлеров. ---------- 105

Натиа Натрошвили - Отходы используемые в кролиководстве ---------- 108

Инжинерия

Давид Губеладзе - Метод определения фильтрационных потерь в арошательных каналах ----- 113

Джумбер Надирашвили - Теоретические основы применения подъемно-транспортных машин в сельском хозяйстве ---------- 121

Юридические науки

Михаил Бичия - Аспекты гражданско-правовой защиты чести, как формы выявления личной жизни ---------- 126

Манана Копалиани - Клятва, как доказательство по книге уложений Вахтанга VI ---------- 133

Гиорги Горадзе - Особенности территориального устройства России ---------- 138

Гиорги Асатиани - Вопросы наказания смертью в Грузии и странах бывшего советского блока ---------- 142

Каха Коберидзе - Социальные и материально-технические гарантии самостоятельности судей 148

Гуманитарные науки

Давид Павлиашвили, Акаки Павлиашвили - Шида Картли – перекрёсток цивилизаций ------ 152

Наира Бериа - Первый независимый грузинский автор истории логики ---------- 155

Натия Бебиашвили - Илья Чавчавадзе – защитник чести Габриела Кикодзе ---------- 163

Елена Зурабашвили - Прошлое помощник настоящему . . . ---------- 166

Дали Синджарадзе - Из архивов эмигрантской прессы (Исторически след великой семьи Ильи Чавчавадзе) ---------- 169

Кетеван Кутателадзе - Некоторые топонимы растительного происхождения, упомянутые в «Картлис Цховреба» и их диалектные соответствия ---------- 174

Лали Урдулашвили - Роль России в церковной жизни Абхазии ---------- 182

Тамар Галобери - Перевод hjvfyf „Улисс'' на грузинском языке и грузинская критика 186

Нино Саная - Когнитивный аспект метафорической номинации «мышления» во французском языке ---------- 189

Науки Просвещения

Лия Ментешашвили, Нино Чахунашвили - Проблемы педагогических взаимоотношений в высших учебных заведениях ---------- 193

Натела Цоцонава - Оссобености обучения модальных глаголов в английском языке ---------- 196

Нато Шерозиа - Насилие детей и подростков - Поиск путей решения проблем ---------- 200

Лаура Гурули - Работа над текстами для чтения на начальном этапе обучения русскому, как иностранному языку ---------- 204

ეკონომიკის მეცნიერებანი

სოლომონ პავლიაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი

ლევან ჯანგულაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პროგბლემები და პერსპექტივები

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ყოველთვის იყო მცდელობა ისეთი სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმების შექმნისა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ კონკურენციის განვითარებას და არ დაუშვებდნენ ბაზარზე მონოპოლიების წარმოქმნას. მრავალი კანონი და კანონქვემდებარე აქტი იქნა შემუშავებული, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების მხრიდან ბაზარზე დომინანტური პოზიციების მოპოვების პროცესის ანალიზი, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მცდელობების გამოვლენა და სამართლიანი კონკურენტული თამაშის წესების დამკვიდრება. სამწუხაროდ, ამის განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიღებულ იქნა ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შეიქმნა ახალი ანტიმონოპოლიური სამსახური – კონკურენციის სააგენტო, მისი რეალურად ამოქმედების პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას. იმისათვის, რომ ცხოვრებაში დაინერგოს კანონით განსაზღვრული ნორმები, აუცილებელია კონკურენციის განვითარებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პროგრამის შემუშავება და ამის საფუძველზე სამოქმედო, დროში გაწერილი გეგმის შედგენა. ქვემოთ გთავაზობთ იმ პირველი რიგის ნაბიჯების ჩამონათვალს, რომელიც რეალურად დანერგავს ქვეყანაში თანამედროვე, ევროპული ყაიდის ანტიმონოპოლიურ რეგულირებას.

იმისათვის, რომ გავერკვეთ პრობლემის არსში და ავხსნათ, თუ რატომ ვერ მოხერხდა ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სისტემის გამართული ფუნქციონირება, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების დანერგვის ისტორია და ის ხელისშემშლელი სამართლებრივი თუ ინსტიტუციონალური ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა მის რეალურად ამოქმედებაში, გავაანალიზოთ, საიდან მოვდივართ, ახლა რა ეტაპზე ვიმყოფებით და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამომავლოდ.

საქართველოში 1995 წლიდან ფუნქციონირებდა დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური სამსახური, თუმცა ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პრობლემა ყოველთვის იყო. ხშირად, კონკურენციის არარსებობა, კარტელური გარიგებები, კორუფციული სქემები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ხარვეზებით და სამსახურის სისუსტით აიხსნებოდა და გამოსავალს მის რეორგანიზაციაში ხედავდნენ. ასეთი ცვლილებები რამდენჯერმე განხორციელდა. ერთ-ერთი რადიკალური რეფორმა მოხდა 2005 წელს. ნაცვლად ძლიერი ადმინისტრაციული ფუნქციებით აღჭურვილი ანტიმონოპოლიური სამსახურისა, 2005-2013 წლებში სიმბოლური დატვირთვის მქონე უწყებად გარდაიქმნა. მისი ტრანსფორმაციის შემდეგ, შედეგის თვალსაზრისით, ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. აქედან გამომდინარე, ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენად „მკაცრი“ ან “რბილი“ უფლებებით იქნება აღჭურვილი ეს სამსახური, არამედ იმაზე, რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზა, რამდენად გამოხატულია ხელისუფლების პოლიტიკური ნება და ამ სამსახურში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიონალიზმი.

პოლიტიკური ნება რომ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, ეს განვლილმა წლებმაც გვიჩვენა. მონოპოლია და ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა პრობლემად მაშინ იქცევა, როდესაც კომპანიას აქვს ლეგალური ან არაფორმალური მხარდაჭერა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისაგან, რაც ასე კარგად გვახსოვს ჩვენი უახლესი პოლიტიკური ისტორიიდან.

საქართველოში, კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეორგანიზაციის ეტაპები შეიძლება წლების მიხედვით შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

1. 1992-1996 წ.წ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შეიქმნა პირველი დოკუმენტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ (1992), რომელიც არეგულირებდა საქართველოში მონოპოლიური ერთეულების მოქმედებას. მათ ხელი არ უნდა შეეშალათ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის.
2. 1996-2004 წ.წ. ამ პერიოდში შეიქმნა კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის კანონმდებლობა, რომელიც ევროპულ გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული. ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელსაც ევალებოდა დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანიების კონტროლი. ამ პერიოდში დასახელდნენ პირველი მონოპოლისტები და განისაზღვრა ბუნებრივი მონოპოლიების რეესტრი.
3. 2004-2013 წ.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაიწყო ლიბერალური რეფორმები. ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომლის საქმიანობაც ფაქტობრივად ანალიტიკური ფუნქციებით შემოიფარგლებოდა.
4. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 2014 წლის მარტში გახორციელებულ იქნა ცვლილებები კანონში „კონკურენციის შესახებ“ და შეიქმნა ახალი სამსახური, კონკურენციის სააგენტოს სახით.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს ჩამოყალიბებიდან საკმაო დრო გავიდა, მისი როლი კვლავ არ ჩანს და სამწუხაროდ, მოვლენები წარსული წლების სცენარით შეიძლება განვითარდეს, თუ დროულად არ მოხდება იმ აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, რაც ამ სამსახურის გამართულ საქმიანობას შეუწყობს ხელს.

კონკურენციის სფეროში ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დროულად უნდა დაიწყოს მონოპოლისტი კომპანიების საბაზრო ქცევის მონიტორინგი, რათა დომინირებული მდგომარეობა მათი მხრიდან ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. ამასთან, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს „ქანჩების მოჭერის“ პოლიტიკას, რადგან როგორც ძველი, ისე ახალი კანონები კრძალავს არა თავად მონოპოლიურ მდგომარეობას, არამედ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მაგალითად, კონკრეტული ბიზნესი შეიძლება იყოს ძალზე წარმატებული, კარგი სტრატეგია ჰქონდეს, ჰყავდეს ბევრი მომხმარებელი, შესაბამისად, მან შეიძლება დაიკავოს ბაზრის 70-80%. ამ შემთხვევაში მარეგულირებელს აინტერესებს არა ის, რომ კომპანიას ბაზრის დიდი წილი უჭირავს, არამედ ის, რომ მან ეს მდგომარეობა ბოროტად არ გამოიყენოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი მაღალი ფასი, ან განსაკუთრებული პირობები არ დააწესოს რაც მომხმარებელს პრობლემას შეუქმნის.

კონკურენციის ახალი კანონის მიღება განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა.

ევროკომისიის ფაქტების დამდგენმა მისიამ 2008 წელს საქართველოში კონკურენტული გარემოს შეფასების შემდეგ განსაკუთრებული აქცენტი ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე გააკეთა. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ 2010 წელს “კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია” შეიმუშავა.

2011 წლის დეკემბერში, კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოები ერთ სამსახურად გაერთიანდა.

კონკურენციის სფეროში საქართველოს მიმართ ევროკავშირს ორი მოთხოვნა ჰქონდა. პირველი, მიღებული ყოფილიყო მკაფიო კონკურენციის პოლიტიკა და კონკურენციის შესახებ კანონი. მეორე, სათანადო კონკურენციის სააგენტო შექმნილიყო, რომელიც კანონის განხორციელებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი.

“თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონი საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის მაისში დაამტკიცა.

ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე მუშაობა და კონკურენციის შესახებ პოლიტიკის რეფორმა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ, თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე მოლაპრაკების დასაწყებად.

რა მდგომარეობაა დღეს ანტიმონოპოლიური საქმიანობის მხრივ ქვეყანაში? გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით საქართველოს 2014 წელს შესწავლილი 142 ქვეყნიდან 88-ე ადგილი უჭირავს, რაც შარშანდელ 93-ე ადგილიდან შედარებით საკმაო დაწინაურებაა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადმა მაჩვენებელმა მოიმატა, გარკვეულ კატეგორიებში გლობალური ეკონოიკური ფორუმი საქართველოს საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევს.

როგორც ცნობილია, კვლევა 12 მიმართულებით ტარდება, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს: სახელმწიფო ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება, უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება, სასაქონლო ბაზრის ეფექტურობა, დასაქმების ბაზარი, ფინანსური ბაზარი, ფინანსური ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიური მომზადება, ბაზრის ზომა, ბიზნესის დახვეწილობა და ინოვაციები.

საქართველო კვლავ ინარჩუნებს კარგ რეიტინგს სახელმწიფოს მიერ ბიზნესის დაწყების ხელშეწყობასა და სახელმწიფო რეგულაციების შემცირებაში. თუმცა, ძალზე არასახარბიელო ვითარებაა ისეთ სფეროში, რომელიც ეხება შიდა სასაქონლო ბაზრის რეგულირებას. კერძოდ, ადგილობრივი კონკურენციის მიხედვით საქართველო 128-ე, ხოლო ანტიმონოპოლიური პოლიტიკით კი 135-ე ადგილზეა მსოფლიოში აღწერილი 142 ქვეყნიდან.

ეს ძალზე დამაფიქრებელი ფაქტია. იგი მიუთითებს ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის ფაქტობრივ არარსებობაზე.

საქართველოში ბევრ სფეროში არსებობს ფარული მონოპოლიები. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2014 წელს საქართველოს მთლიანი ბიზნესის ბრუნვაში, მცირე და საშუალო ბიზნესს 15%-იანი წილი უჭირავს. ეს მაშინ, როცა 2000 წელს მხოლოდ მცირე ბიზნესზე 33%-ი მოდიოდა. აღნიშნული მაჩვენებელი ირიბად მიუთითებს, რომ ბოლო წლებში საქართველოს ბაზრებზე კონკურენციის დონე საგრძნობლად - თითქმის 2,5-ჯერ შემცირდა, რაც პირველ რიგში მომხმარებლისათვის პროდუქტებზე მაღალი ფასებითა და პროდუქციის დაბალი ხარისხით გამოიხატება. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა მთლიანად ბიზნესის 40%-ს აღემატება, ხოლო დიდ ბრიტანეთში 60%-ს შეადგენს. საზოგადოებაში ხდება იმ აზრის პროპაგანდირება, რომ ანტიმონოპოლიური უწყება კერძო ბიზნესის შეზღუდვით იქნება დაკავებული, რაც არასწორი მიდგომაა. განვითარებული ეკონომიკის მქონე დიდ თუ პატარა ქვეყნებში ანტიმონოპოლიური ორგანოების მთავარი ფუნქცია სახელმწიფოს ბიზნესში ჩაურევლობის უზრუნველყოფაა, რადგან სწორედ სახელმწიფო აპარატია ის ძალა, რომელიც ამა თუ იმ მეწარმეს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს კონკურენტთან შედარებით, რაც იწვევს კიდეც ამ ფირმის მიერ ბაზრის მონოპოლიზებას და მოსახლეობისათვის არაადეკვატურად მაღალი ფასის შეთავაზებას მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე.

პირველ რიგში, ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაობის ეფექტიანობას განსაზღვრავს ხელისუფლების პოლიტიკური ნება. ამის გარეშე ძნელია, რომ ბაზარზე იყოს კონკურენცია და ჩინოვნიკების მხრიდან ლობირებამ ამა თუ იმ კომპანიის ინტერესების დასაცავად არ გამოიწვიოს ბაზრის დეფორმირება. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკური ნება არის ის შემაკავებელი ფაქტორი, რომლის მეშვეობითაც ხდება იმ ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების დაუშვებლობა, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ბაზარზე პრივილეგირებულობისა და არაპრივილეგირებულობის პირობები. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ოქროს შუალედი პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი რეგულაციების გამკაცრების

მიმართულებით, ასევე ზედმეტი ლიბელარიზაციის კუთხითაც. ერთსაც და მეორესაც შეუძლია გავლენა მოახდინოს კონკურენციის ხარისხზე.

კონკურენციის პოლიტიკა მნიშვნელოვანია ქვეყანაში კორუფციის თავიდან აცილებისთვის. ე. წ. ელიტური კორუფცია, რომელზედაც საქართველოში ხშირად საუბრობენ, ზოგიერთ შემთხვევაში ბაზარზე ცალკეული (პოლიტიკური კავშირების მქონე) კომპანიებისათვის პრივილეგირებული მდგომარეობის შექმნით გამოიხატება. ამ ტიპის კორუფციის აღკვეთის აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელი და ძლიერი კონკურენციის სააგენტოს არსებობა, რომელიც სათანადო რესურსებითა და უფლებამოსილებებით იქნება აღჭურვილი.

ახლადშექმნილი კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა ვერ იქნება ეფექტიანი, მარეგულირებელი ორგანოების (კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, გაზის, წყლისა და შუქის მარეგულირებელი კომისიები) ქმედითი თანამშრომლობის გარეშე.

აუცილებელია შემუშავდეს ბაზრის თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიები, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორია მონოპოლიების გამოვლენის მეთოდიკის შემუშავება და დახვეწა.

ყოველი ასეთი დოკუმენტი უნდა პასუხობდეს კითხვას: ზღუდავს თუ არა იგი მიმწოდებლების რაოდენობას, ზღუდავს თუ არა მომხმარებლის არჩევანს.

ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა იყოს ისეთი მარეგულირებელი სააგენტო, რომელმაც უნდა დაარეგულიროს კომპანიების ქცევა ბაზარზე ისე, რომ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა იყოს უზრუნველყოფილი და არამც და არამც იგი არ უნდა აღიქმებოდეს როგორც დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოდ. დანაშაულთან ბრძოლა მთავრობის ძალოვნების პრეროგატივაა და არა მარეგულირებლის.

მოსაზრება, რომ კონკურენციული კანონმდებლობა ბიზნესის დამაბრკოლებელი მოვლენა იქნება მცდარია. კონკურენციული კანონმდებლობის არსი, ნებისმიერ ქვეყანაში ანტიკონკურენტული ქმედების დაუშვებლობას გულისხმობს. შეიძლება ეს ხდებოდეს როგორც მთავრობების, ასევე კერძო ბიზნესების მხრიდან, მაგალითად როგორიცაა კარტელური გარიგებები. კონკურენციული კანონის მიზანია კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა მიუხედავად იმისა, ვისი მხრიდან იქნება ეს განხორციელებული. არც ერთი ნორმალური კანონმდებლობა მონოპოლიურ მდგომარეობას არ კრძალავს, რომელიც შეიძლება წარმატებული სტრატეგიით მოიპოვო. უბრალოდ არის გარკვეულ ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც გარკვეული მონიტორინგის ქვეშ ექცევა.

მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა დააწესოს: სანქციები, ჯარიმები, საფასო შეზღუდვა. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს ზუსტად საზოგადოებრივი დანაკარგის სიდიდის ტოლი; ყველა სხვა შემთხვევაში, რესურსების გადანაწილების მექანიზმი ისევ არაეფექტიანი იქნება და წარმოქმნის უფრო მეტ დანაკარგს, ვიდრე ეს მონოპოლიის დროს მოხდა.

მარეგულირებელმა სააგენტომ უნდა გამოავლინოს არა მონოპოლისტური ფირმა, არამედ მონოპოლისტური ფასი. თავად მონოპოლიის არსებობა არ ამცირებს საზოგადოების სარგებელს, მხოლოდ მონოპოლიური ფასი წარმოქმნის დანაკარგებს. მონოპოლიური ფასის დასადგენად, სააგენტომ პირველ რიგში უნდა შეისწავლოს საბაზრო მოთხოვნა, ანუ, ამა თუ იმ ფასის პირობებში რა რაოდენობის პროდუქტი გაიყიდება. ამის შემდეგ, სააგენტომ უნდა მოახერხოს ინფორმაციის მოძიება კომპანიის დანახარჯებსა და შემოსავლებზე, რის საფუძველზეც უნდა გამოთვალოს ამ კომპანიის ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლების მნიშვნელობები. უნდა იანგარიშოს, თუ პროდუქციის რა მოცულობის გაყიდვისათვის უტოლდება კომპანიის ზღვრული დანახარჯები და ზღვრული შემოსავლები ერთმანეთს და ამის საფუძველზე დაადგინოს შეზღუდული მოთხოვნის რაოდენობის შესაბამისობა მოთხოვნის ფასთან. მიღებული შედეგი უნდა შეადაროს საბაზრო ფასს და თუ დაემთხვა, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ საბაზრო ფასი სინამდვილეში არის მონოპოლისტური.

კონკურენციასთან და ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან ერთად უნდა განვიხილოთ ისეთი მიმართულებები, როგორიცაა სტანდარტიზაცია და ეროვნული სტანდარტი. პრობლემაა ასევე კორპორაციული მართვის გაუმჯობესება და კონტროლი, რათა არ მოხდეს მონოპოლიური მდგომარეობის „გადამალვა“ კორპორაციულ სისტემაში.

მიმოვიხილოთ ამ კუთხით 2014 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიიღებული საქართველოს კანონი, რომლითაც მოხდა არსებითი ხასიათის ცვლილებები „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში. იგი ანტიმონოპოლიური რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და მიზნად ისახავს კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას თავისუფალი კონკურენციისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისათვის.

ახალი კანონით მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი სიახლეების განხორციელება: ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სტრუქტურა – კონკურენციის სააგენტო.

აღნიშნული ტიპის სააგენტო შეიქმნა იმისათვის, რომ განხორციელდეს ბაზარზე თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული გარემოს ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობა. სააგენტოს უფლებამოსილებები იქნება: ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და თავისუფალი კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დროული და სათანადო რეაგირება.

ჩამოყალიბდა კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიები: ახალი კანონით კონკურენციის ინსტიტუციური ჩარჩოს მარეგულირებელ დებულებებში ცვლილებები განხორციელდა, რის შედეგადაც გაიზრდება კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, სააგენტო უფლებამოსილი იქნება დამოუკიდებლად დაიწყოს ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის მოკვლევა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვის სათანადო ნიშნები და შექმნილი მდგომარეობა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ჩარევას საჭიროებს. ვინაიდან სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობისა და ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების დროულად მიღება, სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის დროულად წარმოებისათვის ცვლილებები მისი წარმოების მარეგლამენტირებელ დებულებებშიც განხორციელდა. კანონით უქმდება სააგენტოსათვის განცხადების ან საჩივრის წარდგენის შემთხვევაში განმცხადებლის ან მომჩივნის მიერ სააგენტოს მომსახურების საფასურის გადახდაც.

დაზუსტდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო და კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან გამონაკლისები (მათ შორის, კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრები), რომლებზედაც არ ვრცელდება იმავე კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები.

კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმები იმგვარად უნდა დაზუსტდეს, რომ ამ ჯარიმებს ანტიკონკურენტული ქმედების პრევენციის ფუნქციაც ჰქონდეს.

ბაზარზე კომპანიის ანტიკონკურენტული ქცევის შემთხვევაში ჯარიმა მხოლოდ წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის მიხედვით განისაზღვრება. ჯარიმის განსაზღვრის აღნიშნული წესი თავსებადია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან, ვინაიდან კომპანიის წლიური ბრუნვაა სწორედ ის ეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც ყველაზე ზუსტად აჩვენებს კომპანიისათვის მიყენებული ზარალის ოდენობას. კერძოდ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს, ხოლო ეკონომიკური აგენტის მიერ დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 პროცენტს. კანონპროექტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე;

ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს კონკურენციის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ეკონომიკურ აგენტს ჯარიმის გადახდა არ დაეკისრება.

საქართველოს კანონმდებლობაში ხდება აშშ-სა და ევროპაში ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტის თანამშრომლობის პროგრამის (Leniency Program) შემოღება და დანერგვა.

პროგრამა გულისხმობს ეკონომიკური აგენტის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, თუ იგი ანტიკონკურენტული ქმედების მოკვლევის პროცესში ითანამშრომლებს სააგენტოსთან. თანამშრომლობის პროგრამის საშუალებით სააგენტო შეძლებს მიიღოს მოკვლევის მიზნებისათვის საჭირო ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქმედების შესახებ. მკვეთრად გაიმიჯნა სააგენტოსა და მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციები.

აიკრძალა სახელმწიფოს ჩარევა ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

იზრდება კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობა და სააგენტოს ქმედითობა კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებების კონტროლის ნაწილშიც, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის ღიაობა და გამჭვირვალობა, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცულ იქნეს თანასწორუფლებიანობის პრინციპი და ხელისუფლების ორგანო არ აწესებდეს ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და დისკრიმინაციულ ბარიერებს და არამართლზომიერად არ ზღუდავდეს კონკურენციას.

დაზუსტდა ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, მათ შორის:

შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილი, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობა, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერები, მყიდველის საბაზრო ძალაუფლება და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები. შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს განსაზღვრავს სააგენტო ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს და შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არ აღემატება, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ. კანონპროექტში მოცემულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლო შემთხვევების ჩამონათვალი. პროექტი ადგენს რამდენიმე ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში ჯგუფური დომინირების განმსაზღვრელ კრიტერიუმებსაც;

განისაზღვრა ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის შემთხვევები: იგი გულისხმობს ეკონომიკური აგენტების შერწყმას, ან ფასიანი ქაღალდების, ან აქტივების წილის შეძენით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებას იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე 1 ეკონომიკურ აგენტს. კონცენტრაციად ითვლება ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობაც. გარდა ამისა, კანონპროექტით რეგლამენტირებულია შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოსათვის კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების გაგზავნა, ასევე ამ ვალდებულებისაგან გათავისუფლების შემთხვევები;

რეგლამენტირებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის: ამის შედეგად ეკონომიკურ აგენტებს წინასწარ ექნებათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ქმედება შეიძლება იქნეს მიჩნეული არაკეთილსინდისიერ კონკურენციად, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული ქმედება;

გათვალისწინებული იყო 2014 წლის 15 აპრილამდე კონკურენციის სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცება, საქართველოს პრემიერ–მინისტრის მიერ სააგენტოს თავმჯდომარის დანიშვნა.

კანონის ეს მოთხოვნა შესრულებულია და მისი ხელმძღვანელი უკვე შეუდგა საქმიანობას.

ასევე, კანონი ითვალისწინებს მეორეული კანონმდებლობის (სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა, მოკვლევის მეთოდოლოგია და სხვ.) 2014 წლის 1 ოქტომბრამდე შემუშავებას და დამტკიცებას.

აღნიშნული კანონის მიღება და კონკურენციის სააგენტოს შექმნა არის მნიშვნელოვანი, მაგრამ საწყისი ნაბიჯები ხანგრძლივ გზაზე.

აუცილებელია ისეთი ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობისა და კონკურენციის ჩამოყალიბება-განვითარებას ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამისათვის უნდა შემუშავდეს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკის ახალი სამოქმედო პროგრამა, რომლის საშუალებით საქართველოს მთავრობამ უნდა მოიყვანოს კანონმდებლობა და ინსტიტუტები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ამისათვის საჭიროა შესწავლილ იქნეს ევროპის კავშირის ფუნქციონირების სადამფუძნებლო ხელშეკრულება (TFEU), კონკურენციის სფეროში არსებული ევროკავშირის რეგულირებები და დირექტივები, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მოდალური კანონი კონკურენციის შესახებ, მწვანე წიგნი ევროკავშირის ანტიმონოპოლიური წესების დარღვევისა და ზიანის შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)კონკურენციის შეფასების ინსტრუმენტი, სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, კონკურენციის კანონმდებლობა და საუკეთესო პრაქტიკა.

პროგრამის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს კონკურენციის ხელშეწყობა, მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიანი კონკურენტული პირობების შექმნით საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. კერძოდ, უნდა მოხდეს:

- თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა:
  დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა, კონცენტრაციის რეგულირება;
  კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების, შეთანხმებული ქმედებების, ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული სატენდერო შეთავაზებების რეგულირება;
- შესაბამისი ბაზრის განმარტება;
- გამონაკლისთა ჯგუფის შემოღება;
- სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურების სპეციალური წესების შემდგომი განვითარება და ეფექტიანობის ამაღლება;
- უფლებამოსილი ორგანოს დამოუკიდებლობა და კონკურენციის შესაძლო დარღვევებ-თან დაკავშირებით საქმის შესწავლის უფლებამოსილებები;
- უფლებამოსილი ორგანოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება;
- კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულების უზრუნველყოფა.

პროგრამამ უნდა მოიცვას: კონკურენციის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და ინსტიტუციური მოწყობის ანალიზი; კონკურენციის პოლიტიკის შემუშავების სამუშაო პროცესის აღწერა; კონკურენციის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და კომპონენტების ჩამოყალიბება.

კონკურენციის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა ეფექტური ბაზრების მეშვეობით;
- საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან;
- სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის შექმნა ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- კონკურენციის ჩარჩო კანონის გავრცელება ეკონომიკის ყველა სექტორზე;

- კონკურენციის ჩარჩო კანონით ბაზარზე ანტიკონკურენციული ქმედებების საწინააღმდეგო ზომების განსაზღვრა;
- კონკურენციის ჩარჩო კანონით გამონაკლისთა ჯგუფის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
- კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებისმიერი ჩარევის დაუშვებლობა;
- კონკურენციის სააგენტოსათვის საქმის შესწავლის უფლებამოსილების მინიჭება;
- კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტური აღსრულების მექანიზმების შემოღება;
- კონკურენციის ჩარჩო-კანონისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების იმპლემენტა-ციისათვის ინსტიტუციური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება;
- თანმიმდევრული იმპლემენტაცია სამოქმედო პროგრამის შესაბამისად.

კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური რეფორმა იყო ახალი მთავრობის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი. მთავრობამ უნდა ითამაშოს პოლიტიკური „ქოლგის“ როლი და დაიცვას იგი გარე ჩარევებისაგან. ამასთან, თავადაც უნდა გაუძლოს ცდუნებას, არ იქნეს გამოყენებული იგი მისთვის უცხო მიზნებისათვის ან პოლიტიკური მიზანშეწონილებისა და კონიუნქტურის შესაბამისად.

სწორად თუ იქნება უზრუნველყოფილი კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა და ადეკვატური უფლებამოსილების უზრუნველყოფა, სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსების გაძლიერება და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ამაღლების გზით, მით უფრო ეფექტიანი იქნება მისი საქმიანობის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პავლიაშვილი ს., საბაზრო სტრუქტურების და კონკურენციის ფორმები საქართველოში, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №1, 2010.
2. პავლიაშვილი ს., ანტიმონოპოლიური რეგულირების თავისებურებანი საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები №10, თბ., 2012.
3. პავლიაშვილი ს., დემონოპოლიზაცია მუდმივი პროცესი უნდა იყოს, ჟურნ. „ეკონომიკა“, №3-6, 2010.
4. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1659450

სოლომონ პავლიაშვილი, ლევან ჯანგულაშვილი

საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები და პერსპექტივები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოში ანტიმონოპოლიური საქმიანობის პრეისტორია, ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციონირების ეტაპები. ნაჩვენებია, რომ ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენად „მკაცრი“ ან “რბილი“ უფლებებით იქნება აღჭურვილი ეს სამსახური, არამედ იმაზე, თუ რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზა, რამდენად გამოხატულია ხელისუფლების პოლიტიკური ნება და ამ სამსახურში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიონალიზმი. ნაშრომში მოცემულია კონკურენციის ახალი კანონის მოკლე ანოტაცია; გაკეთებულია დასკვნა, რომ უნდა შეიქმნას თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკის ახალი სამოქმედო პროგრამა, რომლის საშუალებით საქართველოს მთავრობა შეძლებს მოიყვანოს კანონმდებლობა და ინსტიტუტები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. მოცემულია რეკომენდაციები თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობისათვის.

Solomon Pavliashvili, Levan Jangulashvili

The Genesis of Georgian Antimonopoly Activity
Problems and Perspectives
Summary

The work deals with the prehistory of antimonopoly activity in Georgia as well as the stages of the functioning of Antimonopoly Service. It shows that effective Antimonopoly policy depends not on how "strict" or "weak" are the rights of this service but on how accurately is established the legal and institutional base, how the political view of the authorities is expressed as well as the professionalism of the employees of the service. There is a brief summary of the new competition law in this work. It has been concluded that it should be developed the new program of free and fair competition which lets the government to bring legislation and institutions closer to the best international practices. There are the recommendations to promote free and fair competition.

Соломон Павлиашвили, Леван Джангулашвили

Генезис, проблемы и перспективы антимонопольной деятельности
Резюме

В статье рассмотрена преистория антимонопольной деятельности в Грузии, этапы функционирования такого рода службы. Показано, что антимонопольная политика зависит не от того, насколько строгими или мягкими правами оснащена эта служба, а от того насколько, правильно выстроена правовая и институциональная база, насколько выражена правительствованная воля и насколько велик профессионализм там служающих людей.

В статье так же представлена краткая аннотация нового закона о конкуренции; Выработана позиция о необходимости создания новой программы политики свободной и справедливой конкуренции, с помощью которой грузинское правительство сможет привести в соответствие с международной практикой законодательство и соответствующие институты. Предложены рекомендации к способствованию свободной и справедливой конкуренции.

გაიოზ ნადირაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

დავით ჯანგულაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის გენერალური დირექტორი, პროფესორი

საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები

XXI საუკუნის კაცობრიობა თავის ძალისხმევას წარმართავს უკეთესი მომავლის ასაშენებლად. ტურიზმი დიდი ხანია ფართოდ გავრცელებული სოციალური მოვლენა გახდა, როგორც სოციალური ინსტიტუტი იგი ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეებში.

ტურიზმის ცნობილი სპეციალისტების შრომებში (დ. უოკერი, ფ. კოტლერი, ჯ. საქსი, ს. მედლიკი, ე. ფორნერი, მ. ბირჟაკოვი, ვ. კვარტალნოვი, ა. ალექსანდროვა, ვ. ვოსკრესენსკი, ა. კუსკოვი და სხვ.) და მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულია ძირითადი მიმართულებები საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების ტენდენციების შესახებ. ნაშრომში მოცემულია ამ ავტორთა შეხედულებების მიმოხილვა მცირედი კორექტირებით და ჩვენი რეკომენდაციები საქართველოში მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

ტურისტული ბიზნესის გრანდიოზული წინსვლა განპირობებულია საერთაშორისო და რეგიონალური ტურისტული გაცვლების ინტენსიური განვითარებით, ტურისტული მომსახურების მომხმარებლისა და მწარმოებლის მნიშვნელოვანი განცალკევებულობით დროსა და სივრცეში.

მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მონაცემებით უკანასკნელ ათწლეულებში სისტემატურად იზრდება საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა. საშუალოდ მსოფლიო ტურისტული ბიზნესი ყოველწლიურად 3-4%-ით იზრდება,

მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ამ პროცესს ხელს უშლის მსოფლიოსა და ცალკეული რეგიონების კრიზისები.

მთლიანად XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ტურიზმის განვითარება მდგრადობით ხასიათდება. 1997-1998 წლების კრიზისებმა ნაწილობრივ ხელი შეუშალეს ტურიზმის განვითარებას აზიის რეგიონში, თუმცა ყოველწლიური 4%-ით ზრდა მაინც დაფიქსირდა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ტურიზმი კაცობრიობის ცხოვრების მასობრივი მოვლენა გახდა, რაც განაპირობა საზოგადოებრივი ურთიერთობის ეკონომიკურმა განვითარებამ, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევებმა, სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფამ, მომსახურების სფეროს განვითარების მაღალმა ტემპებმა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და ცხოვრების ხარისხის სრულყოფამ (9).

ბოლო წლებში ტურიზმი უპირატესი ტემპებით ვითარდება აფრიკაში - 9%, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში – 17,5%, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში – 8,5%. ამავე დროს ზოგიერთ რეგიონში განვითარების დაბალი ტემპებია, მაგალითად, 1999 წელს ევროპაში იყო 1%, თუმცა ევროპა პირველ ადგილზეა შემოსული ნაკადებით – 385,9 მლნ ტურისტი.

ასეთი ვითარება ხელს უწყობს რეგიონთაშორისი კონკურენციის განვითარებას, როდესაც მომსახურების მაღალი სტანდარტების ახალი ტურისტული რეგიონები იძულებული ხდებიან განაახლონ ტურისტული მომსახურების ტექნოლოგიები მეტი ტურისტული ნაკადების მისაღებად.

რეგიონალური მასშტაბით ტურიზმი არათანაბრად ვითარდება, ძირითადად გამოიყოფა შემდეგი ტურისტული რეგიონები: ევროპა, ამერიკა, აღმოსავლეთი აზია, წყნარი ოკეანის რაიონი, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი აზია. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ტურიზმის სწრაფი ზრდა, ტურისტული ნაკადების მოზღვავება დამახასიათებელია ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიისათვის. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, მსოფლიოს მასშტაბით ტურისტული ბრუნვის მოცულობამ აქ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია, რაც ტურიზმის სპეციალისტების, მარკეტოლოგებისა და მეწარმეთა სპეციალური შესწავლის საგანი გახდა.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თავისებურებები ტურისტული ნაკადების მოძრაობის, საფინანსო შემოსავლების ანალიზის საფუძველზე მთლიანად მსოფლიოში და მიკრორეგიონების მიხედვით, რაც წარმოდგენას გვაძლევს, თუ რამდენად ეფექტიანადაა გამოყენებული ქვეყნების ტურისტული რესურსები, როგორია ამა თუ იმ გეოგრაფიული მიმართულების მიღწევები 1990-2004, 2000-2011 წლებში და პერსპექტივები 2020 წლამდე პერიოდში.

ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე იმ რეგიონების კულტურულ – ისტორიულ და გეოგრაფიულ ასპექტებზე, სადაც ტრადიციულად არსებული პირობების ხელშეწყობით ტურიზმი ყველაზე მეტად განვითარდა (9).

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თავისებურება (5,7). 2004 წელს საერთაშორისო ტურისტების შემოსვლის რაოდენობამ მსოფლიოში 763 მლნ შეადგინა, რაც რეკორდული მაჩვენებელი აღმოჩნდა ყველა წინაპერიოდთან შედარებით. 2003 წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 11%, რაც წარმოადგენს ასევე უმაღლეს მაჩვენებელს 1980 წლის შემდეგ დარეგისტრირებულ მაჩვენებლებთან შედარებით. ზრდა შეინიშნებოდა ყველა გეოგრაფიული მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებით მაღალი იყო აზია–წყნარი ოკეანის რეგიონში (28%), ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (18%), ამერიკის რეგიონში ზრდის ტემპი იყო 11%, აფრიკაში – 8%, ევროპაში – 5 %. ქვემოთ მოყვანილ პირველ ცხრილში მოცემულია საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლის მონაცემები 1990-2004 წ.წ.-ის პერიოდში. განსაკუთრებით მაღალია ტურისტების ნაკადების შემოსვლის დინამიკა აზიის მიმართულებით. საფრანგეთმა შეინარჩუნა ლიდერობა ტურისტთა შემოსვლების რაოდენობით და იგი დარჩა, როგორც ყველაზე მონახულებადი ქვეყანა. 2004 წელს საფრანგეთი მოინახულა 75 მლნ ტურისტმა. ესპანეთის მომნახულებელი ტურისტების რაოდენობა 3%-ით გაიზარდა და 54 მლნ ტურისტით იგი მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მომდევნო მე-3 ადგილზეა 46 მლნ

მომნახულებით აშშ, ჩინეთმა მე-5 ადგილიდან მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. 2004 წელს ჩინეთის მომნახულებელი ტურისტების რაოდენობა 27%-ით გაიზარდა, რაც მისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. იტალიის ტურისტული ნაკადები 6%-ით შემცირდა და 37 მლნ ტურისტით მე-5 ადგილზე აღმოჩნდა. ინგლისი მოინახულა 28 მლნ ტურისტმა და დაიკავა მე-6 ადგილი, ზრდამ 12% შეადგინა. შემდეგ მოდიან მექსიკა (21 მლნ) და გერმანია (20 მლნ).

ცხრილი 1

საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლის რაოდენობა მსოფლიოში და რეგიონების მიხედვით 1990-2004 წ.წ. (მტო-ის მონაცემები)

№	საერთაშორისო შემოსვლა, მლნ					საბაზრო წილი, %
1	ტურისტული მიმართულება	1990	1995	2000	2004	2004
2	სულ მსოფლიოში	441	538	681	763	100
3	ევროპა	264,8	309,3	384,1	416,4	54,5
	- ჩრდილოეთ ევროპა	30,3	39,4	44,6	48,4	6,3
	- დასავლეთ ევროპა	108,6	112,2	139,7	138,7	18,2
	- ცენტ. აღმოსავლეთი ევროპა	32,0	55,0	59,1	78,4	10,3
	- ხმელთაშუაზღვის ევროპის ქვეყნ.	93,9	102,7	140,7	150,9	19,8
4.	- აზია და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	57,7	85,0	114,9	152,5	20,0
	- ცენტრალურ-აღმოსავლეთი აზია	28,0	44,1	62,5	87,6	11,5
	- სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია	21,5	28,6	37,0	47,3	6,2
	- სამხრეთი აზია	3,1	4,2	6,1	7,5	1,0
	- ავსტრალია და ოკეანეთი	5,1	8,1	9,2	10,2	1,3
5	ამერიკა	93,3	109,0	129,6	125,5	16,5
6	- ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკა	74,2	83,3	96,3	91,3	12,0
	- კარიბის აუზის ქვეყნები	11,4	14,0	17,1	18,2	2,4
	- სამხრეთ ამერიკა	7,7	11,7	15,2	16,0	2,1
7	ახლო აღმოსავლეთი	10,0	14,3	25,2	35,4	4,6
	აფრიკა	15,2	20,4	28,2	33,2	4,4
	- ჩრდილოეთი აფრიკა	8,4	7,2	10,2	12,8	1,7
	- საჰარის სამხრეთი რეგიონი	6,8	13,2	18,0	20,4	2,7

2004 წელს ტურიზმის მიზნებიდან გამომდინარე საერთაშორისო ტურისტული ნაკადები შემდეგნაირად ნაწილდება: შვებულებაში დასვენების მიზნით 395 მლნ (52%), საქმიანი მოგზაურობა - 120 მლნ (16%), ხოლო მეგობრების, ნათესავების, რეგიონული მოტივებით, მკურნალობის მიზნებით ტურისტთა საერთო რაოდენობის 24%.

2004 წელს საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობის თითქმის ნახევარი (45%) განხორციელდა საავტომობილო ტრანსპორტით, 43% საჰაერო ტრანსპორტით, 7% წყლის ტრანსპორტით, 4 % რკინიგზით. 3 წლიანი ვარდნის შემდეგ საჰაერო ტრანსპორტით ტურისტთა გადაყვანის ზრდა მოხდა 15%-ით წყლის ტრანსპორტით 9%-ით, სახმელეთო – 7%-ით.

2004 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების ზრდის ტემპები უფრო დაბალი იყო ტურისტთა შემოსვლის რაოდენობის ზრდის ტემპებთან შედარებით. თუმცა, სამწლიანი ვარდნის შემდეგ საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები საშუალოდ 9%-ით გაიზარდა. აბსოლუტური გამოხატულებით 2004 წლს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები სარეკორდო აღმოჩნდა მთელ მსოფლიოში და შეადგინა 623 მლრდ დოლარი, 1990 წელს იყო 255 მლრდ დოლარი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში შემოსავლების ნახევარზე მეტი (52%) ევროპაზე მოდიოდა, ამერიკაზე 21%, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე – 20%, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთზე – 3 %.

შემოსავლების მიღების თვალსაზრისით ქვეყნების რეიტინგში 2004 წელს წინა წელთან შედარებით დიდი ცვლილებები არ მომხდარა: აშშ – 74 მლრდ, ესპანეთი – 45 მლრდ, საფრანგეთი – 41 მლრდ, იტალია – 36 მლრდ, გერმანია 28 მლრდ, ინგლისის –

27 მლრდ, ჩინეთი – 26 მლრდ, თურქეთი – 26 მლრდ, ავსტრია – 15 მლრდ, ავსტრალია – 13 მლრდ დოლარი.

საერთაშორისო ტურისტული ნაკადები მსოფლიოში შემდეგნაირადაა განაწილებული: ძირითადი ნაკადები მიმართული იყო ევროპაში (ინგლისიდან საფრანგეთში, გერმანიიდან ესპანეთში), შემდეგ ამერიკაში (ამერიკა-კანადას შორის), აზია–წყნარი ოკეანის რეგიონში (იაპონიიდან ტაილანდში). რეგიონებს შორის ტურისტთა ნაკადების განაწილებაში დომინირებს ამერიკა-ევროპის მიმართულება, შემდეგ მოდის ევროპა-წყნარი ოკეანის, ახლო აღმოსავლეთ აფრიკის, აზია-წყნარი ოკეანე-ამერიკისა და ევროპის მიმართულებები.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები ევროპის ქვეყნებში. ევროპა მრავალი მაჩვენებლით, მათ შორის, საერთაშორისო ტურისტული შემოსავლის რაოდენობით ლიდერის პოზიციას იკავებს, რაც ნათლად ჩანს მე-2 ცხრილის მონაცემებით (4,7).

ცხრილი 2

საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლის რაოდენობა ევროპის ქვეყნებში
(მტო-ის მონაცემები)

№	ტურისტული მიმართულება	2004		1990	
		შემოსვლა, მლნ	საბაზრო წილი, %	შემოსვლა, მლნ	საბაზრო წილი, %
1.	ევროპა – სულ	416,4	100,0	264,8	100,0
2.	ავსტრია	19,4	4,7	19,0	6,9
3.	ბელგია	6,7	1,6	3,2	1,1
4.	ხორვატია	6,1	1,5	-	-
5.	ჩეხეთი	6,1	1,5	-	-
6.	საფრანგეთი	75,1	18,0	53,2	19,2
7.	გერმანია	20,1	4,8	17,0	6,1
8.	საბერძნეთი	14,0	3,3	8,9	3,2
9.	უნგრეთი	12,2	2,9	20,5	7,4
10.	ირლანდია	7,0	1,7	0,4	0,1
11.	იტალია	37,1	8,9	26,7	9,6
12.	ნიდერლანდი	9,6	2,3	5,8	2,0
13.	ნორვეგია	3,6	0,9	2,0	0,7
14.	პოლონეთი	14,3	3,4	3,4	1,2
15.	რუსეთი	9,1	2,2	-	-
16.	ესპანეთი	53,6	12,9	34,3	12,3
17.	შვედეთი	3,0	0,7	არაა მონაც.	არაა მონაც.
18.	შვეიცარია	6,5	1,5	13,2	4,8
19.	თურქეთი	16,8	4,0	4,8	1,7
20.	დიდი ბრიტანეთი	27,8	6,7	18,0	6,5
21.	დანარჩენი ქვეყნები	68,3	16,5	34,4	17,2

ევროპის მიმზიდველობა და უპირატესობა სხვა ქვეყნების ტურისტებისათვის აიხსნება მრავალი ფაქტორით: ევროპის მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე მაღალია შემოსავალი; ევროპის ბევრი განვითარებული ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და სხვ.) მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა შვებულების პერიოდში დასვენებას უპირატესად ატარებს ტერიტორიულად ახლო მდებარე ქვეყნებში; ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის სისტემით შექმნილი ხელსაყრელი პირობებით, რომელიც მოსახლეობას რეგიონში თავისუფალი გადაადგილების პირობებს უქმნის; ევროპა ცივილიზაციის უძველესი კერაა და მდიდარი კულტურულ-ისტორიული და სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ძეგლები გააჩნია, რაც ტურისტების დიდ დაინტერესებას იწვევს; კარგად განვითარებული ტურიზმის ინდუსტრია და ინფრასტრუქტურა, სტუმარ-მასპინძლობის მდიდარი ტრადიციები, რომელიც საერთაშორისო ტურისტების მოთხოვნის მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს; ევროპის ბევრი ქვეყანა ტურიზმს

აღიარებს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად, რომელსაც სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე დიდი მხარდაჭერა აქვს.

2004 წელს საერთაშორისო ტურისტული შემოსვლა ევროპაში 5%-ით გაიზარდა, რაც უზრუნველყოფილი იყო ცენტრალური, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის რეგიონებში ტურიზმის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებით. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტემპები შენელებული იყო და შეადგინა 2%. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია გერმანიამ (10%). საფრანგეთში ტურისტული ნაკადების შემოსვლის შემცირება გამოიწვია ზოგიერთი ნაკადის გადართვამ აფრიკის ჩრდილოეთის ზოგიერთ ქვეყანაში (ეგვიპტე, მაროკო, ტუნისი), ასევე ჩრდილოეთ ამერიკაზე, აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებზე. 2004 წელს ტურისტული ნაკადები შემცირდა იტალიასა და პორტუგალიაში, ხოლო საფრანგეთში უცვლელი დარჩა. გამონაკლისს წარმოადგენს ესპანეთი, სადაც ევროს გაძვირებისა და 2001 წლის ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად, ტურისტული ნაკადების შემოსვლა 3%-ით გაიზარდა. მეორე მხრივ საუკეთესო შედეგები ჰქონდათ ევროზონის გარეშე დარჩენილ ტურისტულ მიმართულებებს: ზრდის ტემპები თურქეთში იყო 26%, სლოვენიაში – 9%, ხორვატიაში – 7%.

ევროპის რეგიონში შემოსული ტურისტების რაოდენობის მხრივ ლიდერად რჩებიან: საფრანგეთი – 75,1 მლნ, ესპანეთი – 53,6 მლნ, იტალია – 37,1 მლნ ტურისტი. შემოსავლების მიხედვით 2004 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან ლიდერი იყო ესპანეთი (45 მლრდ დოლარი), შემდეგია საფრანგეთი (40,8 მლრდ დოლარი) და იტალია (35,7 მლრდ დოლარი).

ევროპაში ტურიზმის გრძელვადიანი განვითარების ტენდენციების განხილვისას, თვალშისაცემია მდგომარეობა – 1980 წელთან შედარებით წამყვანი ევროპული ქვეყნების საბაზრო წილი საერთაშორისო ტურისტული ნაკადების მიმართულებების მიხედვით პრაქტიკულად არ შეცვლილა. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში არსებითად შეიცვალა ინტერესი ირლანდიის, თურქეთის, პოლონეთისა და ბელგიის მიმართ, არსებითად შემცირდა ინტერესი შვეიცარიისა და უნგრეთის ტურიზმის მიმართ.

ტურისტების ნაციონალური კუთვნილების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ევროპაში შემოსული ტურისტების 90% ევროპული ქვეყნებიდან არიან. მაგალითად: გერმანელები ძირითადად მოგზაურობენ რეგიონის შიგნით და შეადგენენ ევროპული წარმოშობის საერთაშორისო ტურისტების 10%-ს, ფრანგები – 7%-ს, დანიელები – 6%-ს. აშშ ერთადერთი არაევროპული ქვეყანაა, რომელიც ევროპაში მოგზაური ლიდერი ქვეყნების რიცხვშია შემოსული ტურისტების რაოდენობით. ევროპაში შიდარეგიონული ტურიზმის განვითარებაში მოპოვებული წარმატებები, პირველ რიგში, აიხსნება იმით, რომ შედარებით პატარა ფართობზე ბევრი სახელმწიფოა განლაგებული, რომლებიც გაერთიანებული არიან ეკონომიკურ თანამშრომლობაში, თითქმის არ არსებობს საზღვრები; არის საუკეთესო გზები და სხვა ინფრასტრუქტურა.

უკანასკნელ წლებში იკვეთება ტენდენცია, რომ ევროპა საერთაშორისო ტურისტების მიღებაში კარგავს თავის ლიდერულ პოზიციებს, რომელსაც თავისი მიზეზები გააჩნია: ზოგიერთი ევროპული ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია) ტურისტული პროდუქტის „დაბერება", ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მოგზაურობის სიძვირე, მაგალითად სკანდინავიის ქვეყნებში, აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებში მოგზაურობის პოპულარობის ზრდა, ტურისტული ნაკადების ორიენტაციის შეცვლა სხვა მიმართულებით (მაროკო, ეგვიპტე, ტუნისი), სადაც ანგარიშსწორება ამერიკული დოლარით ხდება.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები ამერიკაში (5,7). სამწლიანი დაცემის შემდეგ, 2004 წელს ტურისტების მიერ ამერიკის კონტინგენტის მონახულების მოცულობა მთლიანად იქნა აღდგენილი. საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლა 2003 წელთან შედარებით გაიზარდა 11%-ით და მიაღწია 126 მლნ ტურისტს. 3 წლიანი უარყოფითი დინამიკა მთლიანად შეიცვალა ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების, კერძოდ შეიცვალა შემოსული ტურისტების რაოდენობა და ტურიზმიდან შემოსავალიც. 2004 წელს 2003 წელთან შედარებით აშშ-ში შემოსული ტურისტების რაოდენობა გაიზარდა 12%-ით, მექსიკაში – 10%-ით, კანადაში – 9%-ით.

შემოსული ტურისტების რაოდენობის უფრო მეტი ზრდა დაფიქსირდა ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში: 2004 წელს 2003 წელთან შედარებით გვატემალაში ჩავიდა 34%-ით, კოსტა-რიკაში 17%-ით, პანამაში – 15%-ით, სალვადორში – 13%-ით მეტი ტურისტი.

სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში 2004 წელს 2003 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურისტების შემოსვლა თითქმის 20%-ით გაიზარდა. ურუგვაიში ზრდა მოხდა 24%-ით, არგენტინაში – 12%-ით, ბრაზილიაში – 16%-ით, ტურიზმის განვითარებაში მომხდარი დადებითი ცვლილებების საფუძველი იყო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება. დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა ეკვადორს (4%), რაც დაკავშირებული იყო კოლუმბიასთან საზღვრის გამკაცრებასთან.

კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში ცვლილებები ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ზრდის საშუალო ტემპი 7%-ია. ამ მიმართულებით მომხდარი ცვლილება დაკავშირებულია ტურისტების ნაკადების შემოსვლასთან აშშ-დან, კანადიდან, ევროპის ქვეყნებიდან, რაც აიხსნება ევროპასთან შედარებით დოლარის ხელსაყრელი კურსით და კარიბის რეგიონის უსაფრთხოებით. ტურისტების შემოსვლა კუბაში და პუერტო-რიკოში გაიზარდა 9%-ით, სხვა მიმართულებით ზრდის ტემპი საშუალოზე დაბალი იყო, კერძოდ დომინიკაში – 5%, იამაიკაში - 5%, ბაჰამის კუნძულებზე – 3%.

ამერიკის კონტინენტზე შემოსული ტურისტების რაოდენობით სამი ქვეყანა ლიდერობს: აშშ – 46,1 მლნ, მექსიკა – 20,6 მლნ, კანადა – 19,2 მლნ ტურისტი. 2004 წელს შემოსავლების მიხედვით ლიდერია აშშ-74,5 მლრდ, კანადა – 12,8 მლრდ, მექსიკა 10,8 მლრდ დოლარი. ამერიკის ქვეყნების საბაზრო წილი რეგიონალურ ბაზარზე თითქმის არ შეცვლილა (იხ. ცხრ. 3)

ცხრილი 3

საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლის რაოდენობა ამერიკის ქვეყნებში
(მტო-ს მონაცემები)

№	ტურისტული მიმართულება	2004		1990	
		შემოსვლა, მლნ	საბაზრო წილი, %	შემოსვლა, მლნ	საბაზრო წილი, %
1.	ამერიკა, სულ	125,5	100,0	93,3	100,0
2.	არგენტინა	3,4	2,7	2,7	2,9
3.	ბაჰამის კუნძულები	1,6	1,2	1,6	1,7
4.	ბრაზილია	4,7	3,8	1,1	1,2
5.	კანადა	19,5	15,2	15,3	16,5
6.	ჩილი	1,8	1,4		
7.	კოსტა-რიკა	1,5	1,2		
8.	კუბა	2,0	1,6		
9.	დომინიკის რესპუბლიკა	3,5	2,7	1,5	1,6
10.	იამაიკა	1,4	1,1	-	-
11.	მექსიკა	20,6	16,4	15,7	16,9
12.	პერუ	1,2	1,0	-	-
13.	პუერტო-რიკო	3,5	2,8	2,5	2,8
14.	აშშ	46,1	36,6	39,8	42,3
15.	ურუგვაი	1,8	1,4	1,3	1,4
16.	დანარჩენი ქვეყნები	12,9	10,9	11,8	12,7

განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები ამერიკაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თავისებურებებზე. ევროპისაგან განსხვავებით ამერიკაში მეტ-ნაკლებად საერთაშორისო ტურიზმი დივერსიფიცირებულია ქვეყნების მიხედვით. მიუხედავად ამ თავისებურებებისა საერთაშორისო ტურისტების ნახევარის შემოსვლა აშშ-სა და კანადაში ხდება. ამიტომ ამერიკული დოლარის გაცვლის კურსის ცვლილება ტურისტების ნაკადების რაოდენობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამერიკის ქვეყნებიდან საერთაშორისო ტურისტების ყველაზე მონახულებული ქვეყნებია

აშშ, კანადა, მექსიკა. ამ ქვეყნებში საერთაშორისოსთან ერთად შიდა ტურიზმიც საკმარისადაა განვითარებული.

საერთაშორისო ტურიზის განვითარების მხრივ ამერიკის რეგიონში ლიდერად ითვლება აშშ, რაც განპირობებულია უზარმაზარი შიდა ბაზრის არსებობით, მაღალგანვითარებული ქვეყნის ინფრასტრუქტურით, ასევე პირველხარისხოვანი სატრანსპორტო და სასტუმრო ქსელებით. შემოსული ტურისტების რაოდენობით მეორე ადგილზეა კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები. შედარებით სუსტია ტურისტული ნაკადები სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, რაც აიხსნება ზოგიერთი ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციით, საერთაშორისო ტურისტული ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარებით.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები აზიისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში (5,7). 2004 წლიდან ამ რეგიონის ქვეყნებში საერთაშორისო ტურიზმი ვითარდებოდა მდგრადი ტემპებით. ტურისტული შემოსავლის რაოდენობა 2003 წელთან შედარებით გაიზარდა 28%-ით და შეადგინა 153 მლნ ადამიანი. ამ რეგიონში საერთაშორისო ტურიზმის განვითარება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

პირველ რიგში - სპეციალისტები მიუთითებენ ამ გეოგრაფიული რეგიონის ბევრი ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარებაზე. ისინი ხშირად აღნიშნავენ ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში (სინგაპური, ტაილანდი, მალაიზია და სხვ.) „ჩინური საოცრების" შესახებ. ამ ქვეყნებში საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ერთმანეთს ავსებს, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ჩინეთში საერთაშორისო ტურიზმი ეროვნული პოლიტიკის ღიადობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც ქვეყნის ხელმძღვანელობა ახორციელებს, ეკონომიკური ზრდის მდგრადი ტემპების უზრუნველსაყოფად.

მეორე ფაქტორი – საერთაშორისო ტურიზმის განვითარება ამ რეგიონში სტიმულირებულია ვალუტის ხელსაყრელი გაცვლის კურსით, რადგან მრავალი ქვეყნის რეგიონალური ვალუტა მჭიდროდაა მიბმული აშშ-ის დოლარზე.

მესამე ფაქტორი – დაკავშირებულია რეგიონის სატრანსპორტო სისტემის სრულყოფასთან, შიდა რეგიონალური გრაფიკი მომგებიანი აღმოჩნდა საზღვრის გადაკვეთის გამარტივების პირობებით და საჰაერო ტრანსპორტის სიმძლავრეთა ამაღლებით ეკონომიკური ავია-კომპანიების დინამიური განვითარებით.

ცენტრალურ-აღმოსავლეთ აზიაში საერთაშორისო ტურისტული შემოსვლა გაიზარდა 30%-ით. ტურისტულმა ცენტრებმა 2003 წლის ზარალი მთლიანად დაფარეს 2004 წლის ტურისტთა შემოსვლის და შემოსავლების ზრდის წყალობით. საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლა 2004 წელს ჩინეთში 2003 წელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა. შემოსული ტურისტების რაოდენობამ 42 მლნ ადამიანს მიაღწია. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებამ ჩინეთში ხელი შეუწყო ჰონკონგსა და მაკაოში შემოსული ტურისტების რაოდენობის გაზრდას. მნიშვნელოვნად მოიმატა ტურისტულმა ნაკადებმა იაპონიაში (18%) და კორეის რესპუბლიკაში (22%).

განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საერთაშორისო ტურიზმის განვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამ რეგიონის ქვეყნებში ტურისტთა შემოსვლის ზრდამ 31%-ს მიაღწია, 2003 წლის 14%-ით კლების საპირისპიროდ. კამბოჯაში ზრდის ტემპი 51% იყო, მალაიზიაში 41%, სხვა დანარჩენ ქვეყანაში საშუალო ზრდის ტემპმა 20%-ს მიაღწია. სამხრეთ აზიაში 2004 წელს ტურისტების შემოსვლის რაოდენობის ზრდის ტემპი 2003 წელთან შედარებით 17% იყო. ამ სუბრეგიონში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 8 მლნ-ს მიაღწია. მაღალი ზრდის ტემპი აჩვენა ინდოეთმა (24%), შრი-ლანკამ (13%) და მალდივიამ (9%). ავსტრალიისა და ოკეანის რეგიონში საერთაშორისი ტურისტების შემოსვლის ზრდა 13% იყო და მიაღწია 10 მლნ ტურისტს. შემომსვლელი ტურიზმის ზრდას ხელი შეუწყო ტურინდუსტრიის სიმძლავრეთა მნიშვნელოვანმა განვითარებამ და საჰაერო ტრანსპორტზე ეკონომიკური ფასების შემოღებამ. ახალ ზელანდიაში შემომსვლელი ტურიზმი 2004 წელს 12%-ით გაიზარდა, წინა წელთან შედარებით, ხოლო ავსტრალიაში 10%-ით, ტურისტთა რაოდენობამ ამ ქვეყანაში 5 მლნ-ს მიაღწია.

აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიულ რეგიონში შემოსული ტურისტების რაოდენობით 3 ლიდერი ქვეყანა გამოიკვეთა, ესაა ჩინეთი 41,8 მლნ, ჰონკონგი – 21,8 მლნ და მალაიზია – 15,7 მლნ ადამიანი. რაც შეეხება ლიდერებს შემოსავლების მიხედვით, ესენია ჩინეთი –

26 მლრდ, ავსტრალია – 13 მლრდ, იაპონია – 11,2 მლრდ დოლარი წელიწადში. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებით ყველაზე მაღალი ტემპებით 2004 წელს 1990 წელთან შედარებით ხასიათდებიან სწორედ აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები: ინდონეზია, მაკაო, ჩინეთი, ჰონკონგი (იხ. ცხრ. 4)

ცხრილი 4

საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლის რაოდენობა აზიისა და აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებში (მტო-ის მონაცემებით)

№	ტურისტული მიმართულება	2004		1990	
		შემოსვლა, მლნ	საბაზრო წილი, %	შემოსვლა, მლნ	საბაზრო წილი, %
1.	აზია და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	152,5	100	57,7	100
2.	ავსტრალია	4,4	2,8	2,2	3,5
3.	ჩინეთი	41,8	27,4	10,5	16,8
4.	გუამი	1,2	0,8	-	-
5.	ჰონკონგი	21,8	14,3	5,9	9,4
6.	ინდოეთი	3,4	2,2	1,7	2,7
7.	ინდონეზია	5,3	3,5	0,2	0,3
8.	ირანი	1,7	1,1	-	-
9.	იაპონია	6,1	4,0	1,9	3,0
10.	კორეის რესპუბლიკა	5,8	3,8	3,0	4,8
11.	მაკაო	8,3	5,5	1,1	1,8
12.	მალაიზია	15,7	10,3	7,4	11,8
13.	ახალი ზელანდია	2,3	1,5	-	-
14.	ფილიპინები	2,3	1,5	-	-
15.	სინგაპური	5,7	3,7	4,8	7,7
16.	ტაივანი	3,0	1,9	-	-
17.	ტაილანდი	11,7	7,6	5,3	8,4
18.	დანარჩენი ქვეყნები	13,2	8,9	13,7	29,8

ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს ტურიზმის ახალი მიმართულებები, კერძოდ ახალი კალედონია, ფიჯი, ვანუატუ, მიკრონეზიის კუნძულები, სოლომონის კუნძულები და ა.შ.

საერთაშორისო ტურიზმი მაღალი ტემპებით იზრდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. შემოსული ტურისტების რაოდენობით ამ რეგიონში პირველ ადგილზეა საუდის არაბეთი, ხოლო ზრდის ტემპებით ლიდერობენ ლიბანი, ეგვიპტე, იორდანია, გაერთიანებული არაბეთის ემირატები. საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლებით 2004 წელს ამ რეგიონში ასეთი სურათი იყო: საუდის არაბეთმა მიიღო 6,5 მლრდ, ეგვიპტემ – 6,1 მლრდ, სირიამ – 2,2 მლრდ დოლარი.

აზიისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი სტუმრებს იზიდავს უნიკალური, მიმზიდველი ბუნებით, ბიზნესის განვითარების დიდი შესაძლებლობებით. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები დიდ ინტერესს იწვევს საქმიანი მოგზაურობით. ეკონომიკაში მიღწეული მაღალი წარმატებების შედეგად მკვეთრად იზრდება ტურისტების მიღება ჩინეთში. იაპონიაში ტაივანსა და სამხრეთ კორეაში მაღალ დონეზეა განვითარებული გართობის ტურიზმი და შესაბამისად მკვეთრად გაიზარდა ტურიზმის ამ სახეობით დაინტერესებული საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა დასახელებულ ქვეყნებში. სინგაპურსა და სიანგანში საუკეთესო პირობები შეიქმნა შოპ-ტურების განვითარებისათვის. ეს ქვეყნები დიდ როლს თამაშობენ ტრანზიტული პუნქტების ფუნქციების შესასრულებლად ტურისტების ადგილ-გადანაცვლების მიზნით. უმნიშვნელოვანესი ტურისტული ქვეყანა გახდა ტაილანდი, რომელიც ერთ-ერთი ახალი საინტერესო მიმართულებაა რეგიონში. საერთაშორისო ტურიზმი მაღალი ტემპებით ვითარდება შემდეგ ქვეყნებში: ახალი ზელანდია, ავსტრალია და წყნარი ოკეანის კუნძულები. აზიის არა ერთი ქვეყანა მდიდარია უნიკალური ბუნებრივი რეზერვაციებით, კერძოდ: ინდონეზია, ფილიპინები, მალაიზია და ა.შ.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები აფრიკაში (5,7). აფრიკის რეგიონში 2004 წელს 2003 წელთან შედარებით ზრდის ტემპმა შეადგინა 8%. განსაკუთრებული ზრდა მოხდა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში. საჰაერო ტრანსპორტზე ფასების ლიბერალიზაციის შედეგად მაროკოში ტურისტების შემოსვლა გაიზარდა 16%-ით. ლიბერალიზაციის შედეგად შესაძლებელი გახდა ეკონომიკური ავიარეისების განხორციელება, რომელმაც თავის მხრივ ფასების შემცირება გამოიწვია. ტუნისში ტურისტების შემოსვლა იმავე პერიოდში 17%-ით გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ტურმომსახურებაში გადახდის არსებობამ ამერიკული დოლარის საშუალებით. დოლარის კურსის შემცირებამ ევროს მიმართ გამოიწვია ტუნისის ტურმომსახურების უკეთესი პოზიციონირება მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, რამდენადაც ყველა ამ ქვეყანაში თანაბარი ბუნებრივი კლიმატური პირობებია.

აფრიკის რეგიონის სამხრეთის ქვეყნებში, საერთაშორისო ტურიზმი, 2003 წელთან შედარებით დაბალი ტემპებით ვითარდებოდა. 2004 წელს ზრდის მაღალი ტემპი მხოლოდ კენიაში იყო (31%).

2004 წელს აფრიკის ქვეყნებში ტურისტების შემოსვლის რაოდენობა ასეთი იყო: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 6,8 მლნ, ტუნისი – 6,0 მლნ, მაროკო – 5,5 მლნ ადამიანი. შემოსავლებით ქვეყნების განლაგება ასეთი იყო: სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 5,6 მლრდ, მაროკოში – 3,2 მლრდ, ტუნისი – 1,9 მლრდ დოლარი.

1990 წელთან შედარებით 2004 წლისათვის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ყველაზე მაღალი ტემპები დამახასიათებელი იყო სამხრეთ აფრიკის კავშირისა და ტუნისისათვის (იხ. ცხრ. 5).

აფრიკის ქვეყნებში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას აფერხებს ადგილობრივ ბაზრებზე ტურისტულ პროდუქტზე არსებული მაღალი ფასები, ასევე ბევრ აფრიკულ ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური დაძაბული სიტუაციები, რაც ტურისტული მოგზაურობის საშიშროებას იწვევს. ხელისშემშლელი ფაქტორია ასევე ინფექციურ დაავადებათა გავრცელება. ამ ფაქტორებით აიხსნება სხვა რეგიონებთან შედარებით აფრიკის ქვეყნებში ნაკლები რაოდენობის საერთაშორისო ტურისტების შემოსვლა.

ცხრილი 5

საერთაშორისო ტურისტთა შემოსვლის რაოდენობა აფრიკის ქვეყნებში (მტო-ის მონაცემებით)

№	ტურისტული მიმართულება	2004		1990	
		შემოსვლა მლნ	საბაზრო წილი %	შემოსვლა, მლნ	საბაზრო წილი %
1.	აფრიკა – სულ	33,2	100,0	15,2	100,0
2.	ალჟირი	1,2	3,7	-	-
3.	კენია	1,1	3,4	-	-
4.	მაროკო	5,5	16,6	1,2	8,2
5.	ტანზანია	0,6	1,7	-	-
6.	სამხრეთ აფრიკის რესპუბლ.	6,8	20,5	0,8	5,4
7.	ტუნისი	5,9	18,1	0,9	6,3

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკის რეგიონის ნაკლები ათვისება, შემონახული ხელშეუხებელი და უნიკალური ბუნება დიდ პერსპექტივებს უსახავს მას საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის.

აფრიკის რეგიონის ქვეყნებში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება: 1990-2004 წლებში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ზრდის მაღალი ტემპები დამახასიათებელია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ტუნისისათვის. ასეთი მდგომარეობა განაპირობა სხვადასხვა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ბუნებრივმა ფაქტორებმა.

როგორც წესი, ტურიზმის მაღალი ტემპებით განვითარებას უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარება, რაც დამტკიცდა ისეთი ქვეყნების მაგალითზე, როგორიცაა ჩინეთი, ბრაზილია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ქვეყანა. ამ გამოცდილების გამოყენება აუცილებელია, როგორც აფრიკის ქვეყნებისათვის, ისე სხვა რეგიონების

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პროგნოზი (5). მსოფლიოს ქვეყნებში შემოსული საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ 2010 წელს 1 მლრდ-ს მიაღწია, ხოლო მტო-ის პროგნოზით 2020 წელს 1,5 მლრდ-ს გადააჭარბებს, რაც ჩინეთის მოსახლეობის ეკვივალენტი იქნება. 2020 წლისათვის ჩამოყალიბდება საერთაშორისო ტურისტების მიმღები 3 ძირითადი რეგიონი: ევროპა მიიღებს 717 მლნ ტურისტს, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მიიღებს 397 მლნ ტურისტს, ამერიკა მიიღებს 282 მლნ ტურისტს. მათ მოჰყვება აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და სამხრეთი აზია. მაშასადამე ამ პერიოდისათვის მიმღები რეგიონების მნიშვნელობა და საბაზრო წილი დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით არსებითად შეიცვლება: ევროპის საბაზრო წილი მნიშვნელოვნად შეიცვლება, ამავე დროს, შემოსული ტურისტების რაოდენობით, მეორე ადგილს მტკიცედ დაიკავებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, რომელიც ამ მაჩვენებლით მნიშვნელოვნად გაუსწრებს ამერიკის კონტინენტს. ერთდროულად მნიშვნელოვნად გაიზრდება საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალი და 2020 წელს მიაღწევს 2 ტრლნ დოლარს, რაც ეკვივალენტური იქნება ინგლისის ან გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტის. ტურიზმსა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში დასაქმებულ იქნება 300 მლნ ადამიანი, რაც დღევანდელი აშშ-ის მოსახლეობის ეკვივალენტური იქნება. პროგნოზით ყოველი მე-11 ადამიანი ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში იქნება დასაქმებული. 2020 წლისათვის ამ დარგში მოსალოდნელია 2 ტრლნ დოლარის ინვესტირება, ანუ მსოფლიო მეურნეობაში დაბანდებული მთლიანი ინვესტირების 10%. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ხელისშემშლელ ფაქტორებად მოსალოდნელია ტურიზმისა და რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემები, ინფლაციური ტენდენციები, რაც ფასების ზრდასთან იქნება დაკავშირებული, ეპიდემიურ დაავადებათა აფეთქება, ზოგიერთი ქვეყნის მიერ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება და სხვა გარემოებებიც.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების რეგიონალური ტენდენციების ზოგადი დასკვნები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად (7):

- XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მაღალი ტემპები დამახასიათებელია აზიის (ინდონეზიის, ჩინეთის და სხვ.), აფრიკისა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ტუნისი) და ზოგიერთი სხვა ქვეყნებისათვისაც;
- საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას თანამედროვე პირობებში ხელი შეუწყო ეკონომიკური, პოლიტიკური და ბუნებრივი ხასიათის სხვადასხვა ფაქტორებმა, ეკონომიკის დინამიურმა განვითარებამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ტურიზმის მაღალი ტემპებით განვითარებას, რომლის მაგალითებია ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, ბრაზილია, თურქეთი, სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები (კამბოჯა, ტაილანდი) და სხვ.
- კარგად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი მასტაბილირებელი ფაქტორია ტურისტული ნაკადების შესანარჩუნებლად, რომლის კარგი მაგალითებია ევროპის რეგიონის ქვეყნების მიღწევები ტურიზმის სფეროში. ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა კი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების გადამწყვეტი ხელისშემშლელი ბარიერია. ამის მაგალითებია აფრიკის, აზიის, სამხრეთ ამერიკის რეგიონების ქვეყნები, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები, მათ შორის საქართველო.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში არსებითი ფაქტორია მარკეტინგული საქმიანობა. ტურპროდუქტის დაძველება აფერხებს ტურისტული ნაკადების განვითარებისა და ზრდის პროცესს, რომლის მაგალითია ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთი ევროპული ქვეყანა. ასეთი მდგომარეობა მოითხოვს ტურისტულ ბაზარზე ინოვაციების დანერგვას.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონიუნქტურულ რყევებზე, როგორიცაა ქვეყნის სავალუტო კურსის ცვლილება და სხვა პროცესები. ტურიზმის განვითარებაზე აქტიურად ზემოქმედებს პოლიტიკური, ბუნებრივი

და ეკონომიკური ფაქტორები(სხვადასხვა კატასტროფები, ტერიტორიული პრობლემები, ეკონომიკური კრიზისები და სხვ.). ასეთი პრობლემების მოხსნის შემთხვევაში საერთაშორისო ტურიზმი სწრაფად აღიდგენს დაკარგულ პოზიციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. T. Coles, M .Hall International and Regional Tourism : Global Issues: Contemporary interact actions , 2008.
2. Page St. Connell J , Tourism: A Modern Synthesis , second edition ,2009.
3. Statistic management , Towards the new millennium, New York , 2000.
4. Statistic yearbook., 1990/91, New York, 1993.
5. http//www. World tourism org.
6. Александрова А. Междурадный туризм,М. Аспект-пресс, 2004.
7. Воскресенский В. Междурадный туризм, М. Юнити. 2013.
8. Зорин И,Каверина Т. Квартальнов В,Туризм вид деятельности, М. 2013.
9. Окладникова Е. Международный Туризм. Санкт-Петербург, 2012 .
10. Уокер Дж., Введение в гостеприимство,М.1999.

გაიოზ ნადირაშვილი, დავით ჯანგულაშვილი

საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების ტენდენციები ტურისტული ნაკადების მოძრაობისა და საფინანსო შემოსავლების ანალიზის საფუძველზე მთლიანად მსოფლიოში და მაკრორეგიონების მიხედვით. აღნიშნული წარმოდგენას გვაძლევს, თუ რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული ქვეყნების ტურისტული რესურსები, როგორია ცალკეული გეოგრაფიული მიმართულებების მიღწევები 1990-2004 და 2000-2010 წლებში, აგრეთვე პერსპექტივები 2020 წლამდე პერიოდში.

Gaioz Nadirashvili, David Jangulashvili

Tendencies and Perspectives of the International and Regional Tourism Development

Summary

The work explores the tendencies and perspectives of the international and regional tourism development based on the analyses of the financial earnings and on the number of entering tourists in the world and according the macro region. Above mentioned gives us the broad picture how effectively the tourist resources of the countries has been used and what the particular geographical destinations in 1990-2004 and 2000-2010 years have achieved, as well as the perspectives for 2020 years.

Гаиоз Надирашвили, Давид Джангулашвили

Тенденции развития и перспективы международного и регионального туризма

Резюме

В работе рассматриваютя тенденции развития международного и регионального туризма на основе анализа по туристическим потокам и финансовым поступлениям от международного туризма и макрорегионам мира, что дает возможность судить, насколько эфективно используются туристические рессурсы стран мира, каковы достижения отдельных географических направлений в 1990-2004 и 2000-2010 годах, а также перспективы развития до 2020 года.

რევაზ ჯავახიშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ევროინტეგრაციული კავშირის შექმნა და ევოლუცია

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად იზრდება ეკონომიკური ინტეგრაციის როლი ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებასა და მათი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია ეკონომიკის გლობალიზაციისა და მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების ფონზე ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ „ეკონომიკურ გლობალიზაციასა" და „ეკონომიკურ ინტეგრაციას" შორის არსებობს მნიშვნელოვანი მსგავსება და მჭიდრო ურთიერთკავშირი, სინამდვილეში მათ შორის არის არსებითი განსხვავება. აღნიშნული ცნებების შინაარსის სრულყოფილი გაგებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა ჯერ ზოგადად გლობალიზაციის არსის განსაზღვრა და შემდეგ მისი ზემოქმედების დადგენა ეკონომიკური გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების მიმდინარეობაზე.

გლობალიზაცია, უწინარეს ყოვლისა, არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მოძრაობას, სხვადასხვა სისტემების ურთიერთდაახლოებას,სისტემებს შორის საზღვრების მოშლას ან შესუსტებას. ეკონომიკურ ლიტერატურაში გლობალიზაციის ცნების განმარტების შესახებ არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. თუმცა, საერთო ისაა, რომ იგი განმარტებულია როგორც ქვეყნებს შორის ტერიტორიული, ენობრივი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ბარიერების რღვევის პროცესი. ზოგადად კი, გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქიკურ ბარიერებს და მიმართულია კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ (1,17-18).

თავისი შინაარსის მიხედვით არსებობს სრული და არასრული ანუ ნაწილობრივი გლობალიზაციის ფორმები. პირველი მათგანი გულისხმობს გამთლიანებულ სისტემას, რომელიც მოიცავს ცოცხალ და არაცოცხალ, მატერიალურ და არამატერიალურ სისტემებს. ნაწილობრივ გლობალიზაციაში კი იგულისხმება: ყოფიერებისა და ცნობიერების გლობალიზაცია; ფიზიკური და ვირტუალური სივრცის გლობალიზაცია; პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაცია; დემოგრაფიული, კულტურული, ეკოლოგიური, სამხედრო და ზნეობრივი გლობალიზაცია. ნაწილობრივი გლობალიზაცია პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ გლობალიზაცია მუდმივი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ინტენსივობით მიმდინარეობს.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით იზრდება **ეკონომიკური გლობალიზაციის** როლი, რაც გამოიხატება: საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი ზრდით; კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელოვანი დაჩქარებით, პირველ ყოვლისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადიდებით; საერთაშორისო შეთანხმებების გაფართოების კვალობაზე ქვეყნებს შორის ეკონომიკური ბარიერების შესუსტებით; გლობალური ფინანსური სისტემის განვითარებით; ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მათი ალიანსების საქმიანობის გაფართოებით; საერთაშორისო გარიგებების განხორციელებაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლის ზრდით. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი იმითაც გამოიხატება, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში წაშლილია ეკონომიკური საზღვრები და თავისუფლად შეიძლება ნებისმიერი ეკონომიკური რესურსების მოპოვება, გადამუშავება და გამოყენება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მიუხედავად მათი ქვეყნობრივი წარმომავლობისა.

ეკონომიკურ გლობალიზაციას აქვს დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია: მსოფლიო ეკონომიკის მრავალგანზომილებიან განვითარებაზე გადასვლა; გლობალიზაციის სივრცობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია; ცოდნის გლობალიზაციის დონის ამაღლება, რაც გამოიხატება ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისაკენ სწრაფვაში; ბუნების, საზოგადოებისა და ინდივიდის ერთიანობისა და

ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება; ეკონომიკის ყველა სფეროში გლობალური ბაზრების ფორმირება და მცირე ბაზრების მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დაჩქარება; მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს შემოსავლების გადიდებას, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირებასა და სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის აღმოფხვრას.

რაც შეეხება საკუთრივ **ეკონომიკურ ინტეგრაციას**, იგი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდაახლოების პროცესია, რომელიც მათ შორის მსგავსი ბიზნეს-გარემოს შექმნას, ცხოვრების დონისა და ხარისხის გამოთანაბრებას გულისხმობს. ისევე როგორც ეკონომიკური გლობალიზაცია, ეკონომიკური ინტეგრაციაც საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების დონითაა განსაზღვრული. განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია შედარებით სუსტად, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის უფრო ძლიერად ვლინდება.

ინტეგრაციული გაერთიანების შექმნა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზებითაა განპირობებული. ინტეგრაცია განსაკუთრებით ხელსაყრელია პატარა ქვეყნებისათვის, რომელთაც უფრო მეტი საშუალება ეძლევათ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის. მეორე მხრივ, იგი საშუალებას იძლევა ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. სწორედ ამითაა განპირობებული თანამედროვე მსოფლიოში მათი ქსელის სწრაფი გაფართოება. ამჟამად მსოფლიოში 367-ზე მეტი საინტეგრაციო დაჯგუფება და 70 საინტეგრაციო ბლოკია. საინტეგრაციო შეთანხმებები ფართოდ გავრცელდა დედამიწის ყველა კუთხეში, რომელთა რიცხვმა დაახლოებით 400-ს მიაღწია (2,132,-133).

ეკონომიკური ინტეგრაციის არსის გარკვევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა, რომელთაგან აღსანიშნავია: შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კოოპერირების გაღრმავება, საშინაო და საგარეო ბაზრის ტევადობის გაფართოება, მასშტაბის ეკონომიისა და მოგების მოცულობის გადიდება, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, დასაქმების დონის ზრდა და უმუშევრობის შემცირება და ა.შ. აღნიშნულ ფაქტორთა ამოქმედების შედეგად ვითარდება და იცვლება ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები, რომელთაგან ძირითადია: თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი და სრული ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ინტეგრაციაში მყოფ ქვეყნებს შორის ერთიანი სავალუტო სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებას.

ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიკა და ხარისხი ეკონომიკის განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რასაც თავისი მიზეზები და ასხნა აქვს. მაგალითად, ეკონომიკის განვითარების ინდუსტრიულ ეპოქაში ეკონომიკური ინტეგრაციის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება წარმოების პროცესში მატერიალური რესურსების ინტენსიური გამოყენება და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდა. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში კი, ეკონომიკის განვითარებაში მომხდარი რადიკალური ძვრების გამო, წინა პლანზე გამოდის ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში, ცოდნა, განათლება, სინერგიულობის ხარისხი. ამ ეტაპზე ეკონომიკური ინტეგრაცია ხორციელდება თანამედროვე ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და კულტურულ-ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ერთიანი საგანმანათლებლო, ინფორმაციული, ტექნოლოგიური სივრცის ჩამოყალიბებას, კულტურული, პოლიტიკური, ზნეობრივი ინტეგრაციის გაღრმავებას (3,49).

სადღეისოდ, ეკონომიკურ ინტეგრაციულ გაერთიანებათა შორის ყველაზე მძლავრი და სიცოცხლისუნარიანია ევროკავშირი, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უდიდესი პოტენციალი. თავისი ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის არსებობის მანძილზე, ევროკავშირმა მიაღწია არნახულ წარმატებებს, მან დაამყარა მშვიდობა თავის წევრ-სახელმწიფოებს შორის, შექმნა გაერთიანების მძლავრი ეკონომიკური ბაზა და დიდი კეთილდღეობა მოუტანა ინტეგრაციაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებს, რასაც ცალ-ცალკე ვერც ერთი ქვეყანა ვერასოდეს ვერ მიაღწევდა.

ევროინტეგრაციულმა კავშირმა თავისი შექმნისა და განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. მანამდე კი ევროპოს გაერთიანების იდეა მხოლოდ დიდი

ფილოსოფოს-მოაზროვნეებისა და საზოგადო მოღვაწეთა იდეალი იყო. დიდი ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვიქტორ ჰიუგო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ოცნებობდა ჰუმანისტური იდეალებით განმსჭვალულ „ევროპის შეერთებულ შტატებზე", მაგრამ გასული საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო ომებით გამოწვეულმა ნგრევამ ძირშივე მოუსპო საფუძველი ასეთი იდეის პრაქტიკულ განხორციელებას.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ევროპის რამდენიმე გაბედულმა სახელმწიფო მოღვაწემ -- რობერტ შუმანმა, კონრად ადენაუერმა, ალჩიდე დე გასპერიმ და უინსტონ ჩერჩილმა გადაწყვიტეს დასავლეთ ევროპაში შექმნილიყო ქვეყნების გაერთიანება, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა ხელშეკრულებები და სახელმწიფოთა საერთო ინტერესები, რომლებიც იქნებოდა კანონის უზენაესობისა და ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანობის გარანტი. 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ შუმანი წინადადებით გამოვიდა საფრანგეთისა და გერმანიის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის გაერთიანების თაობაზე. სულ მალე, 1952 წელს ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ (ბელგია, გფრ, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანეთი) ხელი მოაწერა შეთანხმებას ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების (ECSE) შექმნის შესახებ. შეთანხმება მიზნად ისახავდა დარგობრივი ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც საშუალებას შექმნიდა ამ დარგების გამოცოცხლებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. გაერთიანებამ ბინა დაიდო ლუქსემბურგში.

ევროპული თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდა და 1957 წელს დაიდო ხელშეკრულება /ე.წ „რომის ხელშეკრულება"/, რის შედეგადაც შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა /EEC/ და ატომური ენერგეტიკის განვითარების მიზნით კი -- „ევრატომი" /EURATOM/. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნას, რომლის მიზანი იყო ტარიფების, ქვოტებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა; ინტეგრაციაში შემავალ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის შექმნა; კაპიტალის გადაადგილების წასახალისებლად საინვესტიციო ფონდისა და საბაჟო კავშირის შექმნა.

ევროკავშირმა თავისი ევოლუციის პროცესი განიცადა გაფართოება როგორც სივრცეში, ისე სიღრმეში. სივრცობრივი გაფართოება გამოიხატა ევროკავშირის სრულუფლებიანი და ასოცირებული წევრების რაოდენობის გაზრდაში. კერძოდ, ევროკავშირის დამფუძნებელ 6 წევრ-ქვეყანას მიემატა 1973 წელს -- დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია; 1981 წელს -- საბერძნეთი; 1986 წელს -- ესპანეთი და პორტუგალია; 1995 წელს -- ფინეთი, ავსტრია, შვეცია; 2004 წელს -- კვიპროსი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვენია. ასეთი გაფართოებით ევროკავშირის წევრი-ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა 25-მდე, რომელთა მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 452 მლნ კაცი, მშპ-მ 8,2 ტრლნ დოლარი (5,491). სულ მალე -- 2007 წელს ევროკავშირს შეუერთდა ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო მოგვიანებით -- ხორვატია. ამჟამად ევროკავშირი აერთიანებს 28 სუვერენულ სახელმწიფოს, სადაც ცხოვრობს 500 მლნ კაცი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ბაზარს მთელ მსოფლიოში.

ევროკავშირის სიღრმისეული გაფართოება გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანების შიგნით სამეურნეო მექანიზმების ფორმირებასა და სრულყოფას, საქმიანობის იმ სფეროთა გაფართოებას, რომელიც მოიცავს გაერთიანების შიგნით სახელმწიფოთაშორის რეგულირებასა და უნიფიკაციას. თავისი არსებობის მანძილზე ევროკავშირმა გადადგა არაერთი ნაბიჯი გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით.

სადღეისოდ, ევროინტეგრაციის საქმიანობა როდია აგებული მხოლოდ წმინდა მერკანტილურ ინტერესებსა და ეკონომიკურ მოსაზრებებზე. მისი ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს, აგრეთვე, საერთო იდეოლოგია, ფასეულობითა ერთიანი სისტემა და მთელი ევროპული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა. ინტეგრაციულ გაერთიანებას აქვს საერთო მიზნები: მშვიდობის შენარჩუნება, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ფორმირება-განვითარება და ა.შ.

გაერთიანების უმთავრესი ეკონომიკური მიღწევა არის შიდა საერთო ბაზრის ფორმირება და ერთიანი ვალუტის -- ევროს შემოღება. სწორედ ეს იყო მიზანი ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების მიერ 1993 წელს ხელმოწერილი მაასტრიხტის ხელშეკრულებისა, რის შედეგადაც იმავდროულად ევროპულმა თანამეგობრობამ მიიღო „ევროპული კავშირის" სახელწოდება.

ევროკავშირში ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნითა და ერთიანი ვალუტის შემოღებით ფაქტობრივად დაიწყო ევროინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა. მას ჰქონდა უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა. ექსპერტთა შეფასებით ევროკავშირის კომპანიებს, გაერთიანების ქვეყნებს სხვადასხვა ნორმატიულ აქტებთან წინააღმდეგობათა დასაძლევად, ყოველწლიურად უხდებოდათ 260 მლრდ დოლარის გაღება. ერთიანი ვალუტის შემოღებას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობისათვის, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის დროს ყოველწლიურად 25-30 მლრდ დოლარს ხარჯავდნენ სასტუმრო-ტურისტული მომსახურებისა და საქონლის შეძენისათვის თავიანთი ეროვნული ვალუტის უცხო ვალუტაზე გადაცვლასთან დაკავშირებით (5,52,57).

ევროკავშირის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად შეიქმნა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სადაც აღმოფხვრილია საბაჟო და სავაჭრო ბარიერები. საერთო ბაზრის შექმნამ უზრუნველყო გაერთიანების ფარგლებში კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის მიღწეულმა შეთანხმებებმა უზრუნველყო ცალკეულ დარგებში -- ენერგეტიკაში, ტრანსპორტზე, სოციალური და რეგიონული განვითარების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გატარება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინტეგრაციაში გაერთიანებული ქვეყნების საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღმრავებას, მათი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებასა და ეკონომიკური განვითარების დონეთა ურთიერთდაახლოებას.

სადღეისოდ ევროკავშირი წარმოადგენს ყველაზე დიდ და მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას, სადაც ხორციელდება წევრ-ქვეყნებს შორის აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით: ეკონომიკის, სავალუტო-საფინანსო, ჰუმანიტარულ, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, მიკრო და მაკროეკონომიკის, სამართლის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკოლოგიის, რეგიონული და სოციალური განვითარების სფეროებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005.
2. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2014.
3. ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში, თბ., 2009.
4. ვეშაპიძე შ. და სხვ., ეროვნული ღირებულებები -- მთავარი საზრუნავი საქართველოს გადარჩენისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", №1(9), თბ., 2014.
5. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, М., 2006.

რევაზ ჯავახიშვილი

ევროინტეგრაციული კავშირის შექმნა და ევოლუცია

რეზიუმე

სადღეისოდ ევროკავშირი არის ყველაზე მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი გაერთიანება, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უდიდესი პოტენციალი. თავისი ევოლუციის პროცესში ევროკავშირმა განიცადა გაფართოება როგორც სივრცეში, ისე სიღრმეში. იგი აერთიანებს 28 სუვერენულ სახელმწიფოს 500 მილიონი მოსახლეობით, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უმსხვილეს ბაზარს მსოფლიოში.

განხორციელებული რეფორმებისა და ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღების შედეგად, გაერთიანებაში შეიქმნა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სადაც აღმოფხვრილია საბაჟო და სავაჭრო ბარიერები, უზრუნველყოფილია კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და

მომსახურების თავისუფალი გადაადგილება, რითაც დაიწყო ინტეგრაციის სრულიად ახალ ეტაპზე გადასვლა, სადაც სისტემატურად ღრმავდება და ძლიერდება წევრ-ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ეკონომიკის, პოლიტიკის და სამართლის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკოლოგიის, რეგიონული და სოციალური განვითარების სფეროებში.

Revaz Javakhishvili
The Formation and Evolution of Euro Integration
Summary

Nowadays the European Union (EU) is the most powerful and vibrant union, which has the greatest potential for sustainable economic development. During the evolution, EU has been largerly extended. It combines 28 sovereign states with 500 million population, which presents the largest market in the world

As a result of the reforms and the introduction of the general currency – Euro, in the EU was created common economical area, where trade and customs barriers are eliminated, free movement of capital, labor, goods and services are ensured. It is a new stage of the integration where the cooperation in between the member countries in the fields of economy, politics and justice, science and technology, ecology, regional and social development systematically deepens.

Реваз Джавахишвили
Создание и эволюция Евроинтеграционного Союза
Резюме

В настоящее время Евросоюз является самым силным и жизнеспособным объединением мира, имеющим огромный потенциал устойчивого экономического развития. В процессе своей эволюции Евросоюз расширялся как в пространстве, так и в глубину. Он объединяет 28 суверенных государств с 500 млн населением и является самым крупным рынком в мире.

В результате проведенных реформ и применения единной валюты -- евро, в рамках обьединения создано единное экономическое пространство, в котором искоренены таможенные и торговые барьеры, обеспечено свободное перемещение капитала, рабочей силы, товаров и услуг, что означает переход совершенно на новый этап развития Евроинтеграции, где систематически углубляется и усиливается сотрудничество между членами-государств в области экономики, политики и права, науки и техники, экологии, регионального и социального развития.

გიორგი ცაავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქართული ფულადი ერთეულების ისტორიული რეტროსპექტივა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2000 წელს გამოცემული წიგნი-ალბომი, „ფული საქართველოში“, მეტად მნიშვნელოვანი გამოცემაა როგორც ზოგადსაკაცობრიო-ისტორიული, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით. მასში თავმოყრილი მდიდარი მასალა საშუალებას გვაძლევს მსოფლიოს გავაცნოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული ფასეულობა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასტურია.

წიგნ-ალბომში ახლებურადაა დანახული ფულის ისტორიის ეროვნულ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა. მასში წარმოდგენილია საქართველოს ფასდაუდებელი საგანძურის ნიმუშები, რომლებიც ჩვენი წინაპრების ძალაუფლებასა და სიმდიდრეს წარმოაჩენს. იგი ერთგვარი სარკეა ისტორიული მოვლენებისა, რადგან ნათლად ასახავს სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებას, მის დასუსტებას და კვლავ აღზევებას.

ფული პოლიტიკურ-ეკონომიკური დატვირთვის მქონე ხელოვნების ნიმუში და სახელმწიფოებრიობის საფუძველია, რომელიც თავისი წარსულით, აწმყოთი და

მომავლით ქვეყნის განვითარების საქმეში ერთიანობის, სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლოდ გვევლინება.

საქართველო, კერძოდ კი კოლხეთის სამეფო სამონეტო საქმის ერთ-ერთი უძველესი კერაა მსოფლიოში. აქ ძვ.წ. VI საუკუნეში იწყება ფულის მიმოქცევა და ვერცხლის მონეტების მოჭრა. საქართველოში ეს უმძლავრესი მონეტა სამეცნიერო ლიტერატურაში „კოლხური თეთრის“ სახელით არის ცნობილი.

ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336 – 323 წ.წ.) წარმატებულ ლაშქრობას აღმოსავლეთში ახალი უზარმაზარი იმპერიის შექმნა მოჰყვა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მთელი იმდროინდელი მსოფლიოს იერსახე. დიდი ცვლილებები მოხდა ფულის მიმოქცევაშიც. ალექსანდრე მაკედონელის ფულმა - ოქროს სტატერმა და ვერცხლის ტეტრადრაქმებმა დაიპყრო მსოფლიოს სამონეტო ბაზარი.

იბერიაში ანუ ქართლის სამეფოში კოლხეთისაგან განსხვავებით სამონეტო მიმოქცევა ძვ.წ. II საუკუნემდე შედარებით სუსტად იყო განვითარებული. იბერიის სამონეტო ბაზარზე ქართული ვერცხლის ფულის ნიშნების - დრაჰმების შემოსვლა ძვ.წ. II საუკუნის ბოლოდან დაიწყო და ძვ.წ. I საუკუნის დასაწყისიდან მიმოქცევაში ჩაერთო რომაული რესპუბლიკური დინარებიც.

IV – VII საუკუნის ლაზიკაში - ეგრისის სამეფოში (დასავლეთი საქართველო) აშკარა პრიორიტეტი ბიზანტიურ საფასებს ჰქონდა, აღმოსავლეთ საქართველოს ბაზარი კი სასანური ვერცხლის დრამით იყო გაჯერებული. VI საუკუნის დასასრული აღინიშნა ქართული ნუმიზმატიკისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენით: ქართლის ერისმთავრებმა მოჭრეს საკუთარი ვერცხლის მონეტა, ე.წ. ქართულ - სასანური დრაჰმები, რომლებზედაც პირველად ქართული ფულის ისტორიაში ქართული ზედწერილები და ქრისტიანული სიმბოლიკა - ჯვრის გამოსახულება გაჩნდა.

VIII – IX საუკუნეებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევა ერთგვაროვანი იყო: საყოველთაოდ ბატონობდა არაბული ვერცხლის ფული - დირჰემი.

X – XI საუკუნეებში საქართველოს გაერთიანება და აღორძინება განხორციელდა, რაც სამონეტო საქმეშიც აისახა. X საუკუნის მეორე ნახევარში დავით III კურაპალატმა მოჭრა თბილისის ჯაფარიან ამირთა არაბული ტიპის მონეტისაგან სრულიად განსხვავებული ვერცხლის ფული ჯვრის გამოსახულებითა და ქართული წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე, დავით კუროპალატი“. ბაგრატ III, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, არაბული ტიპის მონეტას ჭრის, რომელზედაც ქართული ასომთავრული წარწერაც არის მოთავსებული: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“. XI საუკუნის ქართული ფული წარმოდგენილია ვერცხლის მონეტებით, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში „ქართულ- ბიზანტიური“ მონეტების სახელით არის ცნობილი.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია სპილენძის უნიკალური ქართული მონეტა, რომელიც დავით აღმაშენებელმა მოჭრა. მონეტაზე გამოსახულია გვირგვინოსანი მეფე ბიზანტიურ საიმპერატორო სამოსში და მოცემულია ერთიანი საქართველოს მეფეთა სრული ტიტულატურა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. მონეტა ასახავს ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას: საქართველო იმ დროს წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სუვერენული სახელმწიფო იყო.

1178-1184 წლებში მოიჭრა მონეტა, რომელზეც მოხსენებულნი არიან „მეფეთ-მეფე გოირგი“ და „მეფე და დედოფალ თამარ“. მონეტაზე მხოლოდ ქართულენოვანი ზედწერილია.

XIII საუკუნეში ძირითადი სამონეტო ერთეულად დარჩა რუსუდანის დროინდელი ვერცხლის დრაჰმა, წონით 2,75-3 გრ.; ვახტანგ III-ის (1297-1308 წ.წ.) თბილისში მოჭრილ დირჰემებზე ისევ ქრისტიანული ლოცვაა ამოტვიფრული არაბულ ენაზე. უნიფიცირებულმა დირჰემმა მიმოქცევიდან განდევნა რეფორმამდელი მონეტები და დაიკავა წამყვანი ადგილი საქართველოს ფულად მიმოქცევაში. ამ მონეტის სახელად საქართველოში დამკვიდრდა ტერმინი „თეთრი“.

XV საუკუნის ბოლოს დასრულდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ხანგრძლივი პროცესი და ირანის გავლენა დამკვიდრდა. საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად. დამოუკიდებელი გახდა სამცხეც. ირანის

გავლენა სამონეტო საქმეშიც აისახა. ამ დროს შემოვიდა ქართულ ენაში ფულის ერთეულთა სპარსული სახელები- თუმანი, აბაზი და შაური.

1804-1834 წლებში საქართველოში რუსულ-ქართული ფულის ემისია ხორციელდებოდა. ვერცხლისა და სპილენძის რუსული ფულის შემოზიდავა პეტერბურგიდან ან ეკატერინებურგიდან მძიმე იყო და ამიტომ თბილისის ზარაფხანაში დაიწყეს ვერცხლის ფულის მოჭრა სამი ნომინალით: ორაბაზიანი, აბაზიანი, ნახევარაბაზიანი და სპილენძის ფულის სამი ნომინალი: ბისტი, რომელიც რუსული გროშის (2 კაპიკის) ეკვივალენტური იყო, ნახევარი ბისტი, რუსული კოპეიკის ეკვივალენტი და მეოთხედი ბისტი, რომელიც რუსული დენგას, ანუ ნახევარი კოპეიკის ტოლო იყო.

1934-1917 წლებში საქართველოში რუსული ფული მიმოიქცეოდა. განსაკუთრებით პოპულარული ხდება ვერცხლის რუბლი, მაგრამ მის გვერდით შემოდის ვერცხლისავე 25, 30, 50 და 75 კოპეიკიანი, უფრო მოგვიანებით 15, 10 და 5 კოპეიკიანი ვერცხლის ფულის მონეტები. 1828 წელს რუსეთში მოიჭრა 3, 6 და 12 რუბლის ღირებულების პლატინის მონეტები, რომელთა ნაწილი საქართველოშიც იქნა შემოტანილი.

1843 წელს რუსეთში დაიწყეს საკრედიტო ბილეთების გამოშვება და საქართველოს სამონეტო ბაზარზე რუსული ფულის განუწყვეტელი ბატონობის ხანა დადგა. 1915 წლამდე რუსეთში რეგულარულად იჭრებოდა და შესაბამისად, საქართველოშიც იბრუნვოდა ვერცხლის სამი მსხვილი ნომინალის (1 რუბლი, 50 კოპეიკი - პილტინიკი, 25 კოპეიკი - ჩეტვერტაკი) და ოთხი წვრილი ნომინალის (20, 15, 10, 5 კოპეიკი) მონეტა, აგრეთვე 5, 3, 2, 1, და კოპეიკის ღირებულების სპილენძის მონეტები. კოპეიკიანს შეერქვა ძველი ორკაპიკიანის სახელი – გროში. ვიტეს რეფორმის შემდეგ რუსეთში გამოუშვეს ქაღალდის ფული – 500, 100, 50, 25, 10, 5, 3 და 1 მანეთის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები, რომლებიც შეუზღუდავად იცვლებოდა ოქროს მონეტაზე.

1917 – 1924 წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიაში მიმოქცევა დაიწყო ფულადმა ერთეულმა - ბონმა.

ბ ო ნ ი – არის საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1917-1924 წლებში მიმოქცევადი ქაღალდის ფულის დაბალი ნომინალის კუპიურები, რომლებიც ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მიერაა გამოშვებული. ბონი უზრუნველყოფილი იყო რუსეთის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში დაგროვილი მეფისდროინდელი და დროებითი მთავრობის მიერ გამოშვებული სახელმწიფო საკრედიტო ბილეთების მსხვილი კუპიურებით.

1918 წლის 29 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა დებულება ბონების შესახებ და 5 თებერვლიდან მიმოქცევაში გამოვიდა 1, 3, 5, 10, 50 და 100 მანეთიანი ბონები, რომელთაც შემდგომში 250 მანეთიანი კუპიურაც დაემატა. ძირითადი წარწერები ბონებზე რუსულია, მაგრამ რევერსზე არის აგრეთვე ქართული, სომხური და აზერბაიჯანული (არაბული შრიფტით) წარწერები. ბონები იჭრებოდა თბილისში, დღევანდელი თავისუფლების მოედანზე, ყოფილი შტაბის შენობაში, უჭვირნიშნო ქაღალდებზე.

1918 წლის გაზაფხულზე სულ მოიჭრა 300 000 000 მანეთის ბონი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის განხორციელების მომენტისათვის საქართველოს და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბონების პარალელურად მიმოიქცეოდა რუსეთის იმპერიის დროინდელი სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები და რუსეთის დროებითი მთავრობის ფულის ნიშნები, აგრეთვე ევროპული ქვეყნების ფული და თურქული ლირა. 1919 წლის ივლისამდე განხორციელდა ბონების ხუთი ემისია, 1 060 000 მანეთის საერთო მოცულობით. ამ თანხიდან, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარეებთან შეთანხმებით, საქართველოს წილად მოდიოდა ერთ მესამედზე უფრო მეტი.

ბონების პირველი ემისია მშვიდ ვითერებაში მოხდა, მაგრამ შემდგომში, მიუხედავად საქართველოს მთავრობის მცდელობისა, სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა შეთანხმების მიღწევა სამ რესპუბლიკას შორის. საკითხი იმის გამოც გართულდა, რომ აზერბაიჯანულმა მხარემ, საქართველოსთან და სომხეთთან შეუთანხმებლად, უკანონოდ მაქსიმალური სიმძლავრით აამუშავა საკუთარი ფულის საბეჭდი დაზგა.

საქართველოს ხელისუფლებას შეგნებული ჰქონდა, რომ დამოუკიდებელ ქვეყანას საკუთარი ფული უნდა ჰქონოდა და მან თავიდანვე დაიწყო მზადება ეროვნული ვალუტის შესაქმნელად.

1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების შესაქმნელად. სპეციალურმა კომისიამ გამარჯვებულად ცნო მხატვარ ი. შარლემანის ესკიზები და მათი მიხედვით დაბეჭდილი 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500 მანეთის ღირებულების ბონები მომოქცევაში შევიდა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ივლისს № 101 დეკრეტით (დეკრეტით გათვალისწინებული იყო 25 მანეთიანი კუპიურის გამოშვებაც, მაგრამ იგი ბრუნვაში არ გასულა). 1919 წლის მეორე ნახევარში აღნიშნულ კუპიურებს დაემატა 50 კაპიკიანი ბონი, ხოლო 1920 და 1921 წელს - 1 000 და 5 000 მანეთიანები. ამ უკანასკნელთა პროექტები ეკუთვნის მხატვრებს: დ. შევარდნაძეს და ვ. გრინევსკის.

ქართული ბონების მხოლოდ 500 მანეთიანი, 1 000 მანეთიანი და 5 000 მანეთიანი კუპიურების ჭვირნიშანს წარმოადგენს სამი ქართული ასონიშნის – „ს“, „დ“, „რ“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) ლიგატურა.

ქართული ბონები მაღალმხატვრულ დონეზეა გაფორმებული. ძირითადი წარწერები ქართულია; რევერსზე მოცემულია აგრეთვე მოკლე რუსული და ფრანგული წარწერები. ორი ქართული ასონიშნით და ოთხი არაბული ციფრით არის შედგენილი ბონების სერია და ნომერი, რომლებიც ორ-ორჯერ არის მოცემული კუპიურის ავერსზე. იქვეა წარმოდგენილი მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ჟორდანიას და ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის, ფაქსიმილეები (50 კაპიკიან ნომინალზე არ არის არც ფაქსიმილეები და არც რუსულ-ფრანგული წარწერები).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების გამოშვებისთანავე შეწყდა ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების ემისია და დაიწყო მათი თანდათანობითი ამოღება ბრუნვიდან. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა ბონების სულ ხუთი ემისია, რომელთა საერთო თანხა შეადგენს 18 400 000 000 მანეთს.

1920 წელს საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე ხელსაყრელი ეკონომიკური ღონისძიებები განახორციელა, რამაც ასახვა ჰპოვა ქართული ბონის კურსის განმტკიცებაშიც. იმდროინდელი მსოფლიოს ძირითადი ვალუტის, ინგლისური გირვანქა სტერლინგის ფასი, რომელიც თბილისში 1920 წლის დეკემბერში შეადგენდა 18 000 ბონს, 1921 წლის იანვარში დაეცა 11 000 ბონამდე.

საქართველოს ხელისუფლება ემზადებოდა მყარი ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის. ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელად შეირჩა XVIII საუკუნიდან საქართველოში გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“. 1920 წლის ივნისში კი მხატვარმა ე. ლანსერემ მთავრობის დავალებით შესარულა 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი. მაგრამ, ყველა ამ პროექტს ჯვარი დაუსვა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რასაც მისი ანექსიაც მოჰყვა.

1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას, არა თუ არ შეუწყვეტია საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების მომოქცევა, არამედ მთელი დატვირთვით აამოქმედა ფულის საბეჭდი სტამბა და მთელი 1921 წლის განმავლობაში განაგრძო ყველაზე მსხვილი ნომინალის – 5 000 მანეთიანი ბონის კუპიურების გამოშვება. ეს ბონები არაფრით არ განსხვავდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ბონებისაგან, ოღონდ დაბეჭდილი იყო უჭვირნიშნო ქაღალდზე.

1922 წელს მიმოქცევაში გამოვიდა 10 000 მანეთის ღირებულების ბონი, რომელიც გარეგნულად მხოლოდ იმით განსხვავდებოდა 5 000 მანეთიანი ბონისაგან, რომ მის ავერსზე გამოსახულ მთავრობის სასახლის ფლანგშტოკზე არა ქართული, არამედ წითელი დროშა ფრიალებს, ხოლო რევერსზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბის ნაცვლად ორნამენტულ ხუთქიმიან ვარსკლავში ჩასმულია საბოთა საქართველოს გერბი.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში დამკვიდრებისთანავე 1921 წლის თებერვალ-მარტში სცადა დეკრეტით გაეთანაბრებინა რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფული ქართული მანეთის ბონთან, რომელსაც მათთან შედარებით გაცილებით უფრო

მაღალი კურსი ჰქონდა. 1922 წლის ბოლოს ქართული მანეთის კურსი რვაჯერ აღემატებოდა რუსული მანეთის კურსს.

1923 წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკავშირო საბჭომ მიიღო დეკრეტი ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ. 1923-1924 წლებში გამოშვებულ იქნა ამიერკავკასიის ფედერალური ბონების 18 ნომინალი: 1 000, 5 000, 10 000, 25 000, 50 000, 100 000, 250 000, 500 000, 1 000 000, 5 000 000, 10 000 000, 25 000 000, 50 000 000, 75 000 000, 100 000 000, 250 000 000, 1 000 000 000 და 10 000 000 000 მანეთის ღირებულებისა (10 000 000 000 მანეთის კუპიურები მიმოქცევაში არ გამოსულა).

ამიერკავკასიის ფედერალურ ბონებზე წარწერები ოთხ ენაზეა მოცემული: რუსულად, ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად (არაბული შრიფტით).

ამიერკავკასიის ფედერალური მანეთის გამოშვებისთანავე დაიწყო მისი სწრაფი გაუფასურება და კურსის დაცემამ კატასტროფული ხასიათი მიიღო.

1924 წლის 1 ივლისიდან შეწყდა ამიერკავკასიის ბონების მიმოქცევა და დამკვიდრდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ერთიანი ფული.

1924 – 1991 წლებში საქართველოში მიმოიქცეოდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ფული.

1993 წლის 24 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ.

კ უ პ ო ნ ი – არის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ 1993 წლის 01 აპრილიდან მიმოქცევაში გამოშვებული ქვეყნის ფულადი ერთეული - ვალუტა.

1993 წლის 5 აპრილს მიმოქცევაში გამოვიდა მოქანდაკე ე. ამაშუკელის ესკიზებით ინგლისში დაბეჭდილი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების 1, 3, 5, 10, 50, 100, 500, 1 000, 5 000, 10 000 ღირებულების ნომინალები, რომლებიც მიმოიქცეოდა საბჭოთა კავშირის მანეთის (რუბლის) პარალელურად და მისი პარიტეტული კურსით. ეროვნული ბანკის კუპონი 1993 წლის 3 აგვისტოდან საქართველოს რესპუბლიკაში ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა.

1993 წლის სექტქმბერში მიმოქცევაში გამოვიდა 250, 2 000, 3 000, 20 000 კუპონიანი კუპიურები, რომლებიც მხატვარ ნ. მალაზონიას ესკიზებით დაიბეჭდა საფრანგეთში. 1993 წელს დამატებით საფრანგეთშივე დამზადდა და მიმოქცევაშია ე. ამაშუკელის ნიმუშების მსგავსი 25 000, 50 000 და 100 000 – კუპონიანი კუპიურები, რომლებსაც 1994 წელს დაემატა ახალი ტიპის 30 000, 50 000, 100 000, 150 000, 250 000. 500 000 და 1 000 000 კუპონიანი ნომინალები, რომლებიც ასევე საფრანგეთში დაიბეჭდა. კუპონის კურსი, თუ თავიდან მიახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში საკმაოდ მყარი იყო, შემდგომში ქვეყანაში გაუაზრებელი მონეტარული პოლიტიკის გატარებისა და მიმოქცევაში დაუსაქონლებელი მეტად დიდი მიცულობის ფულადი მასის გამოშვების შედეგად, განაგრძობდა დაცემას და აღნიშნულმა გარემოებამ ქვეყანაში ჰიპერინფლაციური პროცესები გამოიწვია. იგი არათუ ვერ გახდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალება და ვერ განდევნა ბაზრიდან რუსული მანეთი, არამედ ყველაზე „მსუბუქი“ ვალუტის სუროგატად იქცა მსოფლიოში. თუ 1993 წლის აპრილს აშშ დოლარი 1 000 კუპონი ღირდა, 1994 წლის ზაფხულის ბოლოს დოლარის ფასმა კუპონებში 1 500 000-ს მიაღწია. კუპონი მიმოქცევაში დარჩა 1995 წლის 2 ოქტომბრამდე. კუპონების ლარზე გადაცვლა განხორციელდა 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე. ერთი ლარი იცვლებოდა 1 000 000 კუპონზე.

1,3,5,10,100,500,1 000, 5 000 და 10 000 ნომინალის კუპონები ერთი ზომისაა – 105 ხ 53 მმ და ერთმანეთისაგან ფერით განსხვავდება. ავერსზე გამოსახულია თბილისის ხედი, რევერსზე კი ვარძია – კლდეში ნაკვეთი ქალაქი. წარწერები ქართულია: „კუპონი“ და „საქართველოს ეროვნული ბანკი“, აგრეთვე ბანკის ემბლემა – წრეში ჩასმული სამი ასონიშანი: „სებ“. კუპიურების ნომერი ექვსი ციფრისაგან შედგება, სერიას კი აქვს წილადის სახე, რომლის მრიცხველი სამციფრიანია, მნიშვნელი - ერთციფრიანი. კუპონები დაბეჭდილია ინგლისში, ე. ამაშუკელის ესკიზებით.

მხატვრული გაფორმებით ამ ნომინალების ანალოგიურია 25 000, 50 000 და 100 000 კუპონიანი კუპიურები, მაგრამ ეს უკანასკნელი ცოტა უფრო დიდი ზომისაა – 127 ხ 57 მმ.

250, 2 000, 3 000 და 20 000 ნომინალის კუპონები, ისევე როგორც 1994 წელს გამოშვებული ყველა ნომინალი, რომლებიც დაიბეჭდა საფრანგეთში მ. მალაზონიას ესკიზებით, ასევე ერთი ზომისაა – 115 ხ 55 მმ. მათზე გამოსახულია გრიფონები და შვიდმკლავიანი ბორჯღალი; წარწერები ქართულია, კუპიურის ნომერი რვაციფრიანია.

1995 წლის 16 სექტემბრის ეროვნული ვალუტის, „ლარის“ შესახებ სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება № 363-ის თანახმად საქართველოში მიმოქცევაში ახალი ქართული ფულადი ერთეულის გამოშვებასთან დაკავშირებით მუშაობა დაიწყო.

ლ ა რ ი - არის საქართველოს რესპუბლიკის ახალი ქართული ეროვნული ვალუტა, რომელიც მიმოქცევაში 1995 წლის 2 ოქტომბრიდან გავიდა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა.

მიმოქცევაში გამოშვებულია 1, 2, 5, 10, 20, 50, 100 (უფრო მიგვიანებით 200) „ლარის“ ღირებულების საბანკო ბილეთები და 1, 2, 5, 10, 50 „თეთრის“ ღირებულების მონეტები. მაშინათვე დაიბეჭდა, მაგრამ მიმოქცევაში არ გამოსულა ხუთასლარიანი ბანკნოტი. მოგვიანებით, მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავის აღსანიშნავად მოიჭრა 500 ლარის ღირებულების ოქროს საიუბილეო მონეტა, რომელსაც ნუმიზმატიკური დანიშნულება აქვს და მიმდინარეობს მისი რეალიზაცია.

„ლარი“, რომელიც ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად ჯერ კიდევ 1992 წელს შეირჩა, ძველი ქართული სიტყვაა და აღნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას, ხოლო „თეთრი“, რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდება, ასევე ძველი, XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია. ლარი, როგორც ფულადი ერთეულის სახელი ბუნებრივად ამოუდგა გვერდში ამავე ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებს – „მოლარესა“ და „სალაროს“, რომელიც ძველ ქართულში შესაბამისად განძის მცველსა და საგანძურს ეწოდებოდა, თანამრდროვე ქართულში კი სემანტიკურად ფულთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამან შეუწყო ხელი „ლარის“, როგორც ეროვნული ვალუტის სახელწოდების იოლად დამკვიდრებას.

ქართული ფულის ბანკნოტებზე ქართული წარწერების გარდა მოთავსებულია ინგლისური წარწერა საქართველოს რესპუბლიკისა და ნომინალის დასახელებით. სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ ქართულ და ინგლისურ ენაზე ამოტვიფრულია მონეტებზეც. მონეტებზე გარდა 500 ლარიანი ნომინალისა, მოცემულია თარიღი – 1993 წელი, ბანკნოტებისაგან განსხვავებით, რომლებიც 1995 წლით არის დათარიღებული.

ბანკნოტებიც და მონეტებიც დამზადებულია საფრანგეთში მხატვარ ნ. მალაზონიას ესკიზებით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარის ყველა ნომინალის ბანკნოტის ავერსზე (AV–წინა მხარე) წარმოდგენილია ქართული წარწერები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველოს ეროვნული ბანკი“, ნომინალის დასახელება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ფინანსთა მინისტრის ფაქსიმილეები, ორ-ორჯერ ბანკნოტის რვაციფრიანი ნომერი, თარიღი და შვიდმკლავიანი ბორჯღალის გამოსახულება, ხოლო რევერსზე (RV-უკანა მხარე) – ინგლისური წარწერები: „საქართველოს რესპუბლიკა“ და ნომინალის დასახელება.

ქვემოთ მოტანილია „ლარის“ თითოეული ნომინალის ბანკნოტის გამოშვების წელი, ზომები, ავერსზე და რევერსზე გამოსახულებების სახელწოდება:

1 ლარი. 1995. 115 ხ 61 მმ.

AV. მხატვარ ნიკო ფიროსმანის პორტრეტი ქართული წარწერით:
„ფიროსმანი 1862-1918“.

RV. ქ. თბილისის პანორამა და ირემი ფიროსმანის ნახატიდან.
ქართული წარწერა: „თბილისი“.

2 ლარი. 1995. 115 ხ 61 მმ.

AV. კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი ქართული წარწერით:
„ზაქარია ფალიაშვილი 1871-1933“.

RV. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის

შენობა, ქართული წარწერით: „თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი 1878“.
5 ლარი. 1995. 115 ხ 61 მმ.

AV. ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი ქართული წარწერით: „ივანე ჯავახიშვილი 1876-1940“.

RV. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, ოქროს ლომის ქანდაკება ალაზნის ველის ქ. წ. III ათასწლეულის ყორღანიდან და საქართველოს სიტუაციური რუკა ინგლისური განმარტებითი წარწერით: „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბილისი“, „რუსეთი“, „აზერბაიჯანი“, „სომხეთი“, „თურქეთი“ და „შავი ზღვა“.
10 ლარი. 1995. 125 ხ 63 მმ.

AV. პოეტ აკაკი წერეთლის პორტრეტი ქართული წარწერით: „აკაკი წერეთელი 1840-1915“, მერცხალი და ასკილის აყვავებული რტო.

RV. დედის პორტრეტი მხატვარ დავით კაკაბაძის ფერწერული ტილოდან და ვაზის ლერწამი.
20 ლარი. 1995. 132 ხ 65 მმ.

AV. პოეტ ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ქართული წარწერით: „ილია ჭავჭავაძე 1837-1907“, გაზეთი „ივერია“ და პოეტის პირადი ნივთები.

RV. XVIII საუკუნის თბილისის გეგმა, ვახტანგ გორგასალის ქანდაკება და ძველი თბილისის პანორამა.
50 ლარი. 1995. 135 ხ 66 მმ.

AV. თამარ მეფის პორტრეტი ქართული წარწერით: „თამარ მეფე XII ს.“ და ჯვრის ამაღლების კომპოზიცია .

RV. მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშანი X ს-ის ხელნაწერიდან.
100 ლარი. 1995. 140 ხ 67 მმ.

AV. შოთა რუსთაველის პორტრეტი ქართული წარწერით: „რუსთაველი XII ს.“.

RV. კომპოზიცია ბიბლიური სიუჟეტით - „დანიელი ხაროში ლომებთან“ მარტვილის მონასტრის რელიეფიდან ქართული წარწერით: „მარტვილი VII ს.“.
200 ლარი. 2000. 140 ხ 67 მმ.

AV. ქ. ჩოლოყაშვილის პორტრეტი ქართული წარწერით: „ქ. ჩოლოყაშვილი 1868-1930“.

RV. საქართველო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი ხედი.

რაც შეეხება „ლართან“ ერთობლივად მიმოქცევადი ლითონის ფული „თეთრი“ (მონეტა), ლარის მეასედ ნაწილს შეადგენს და იგი გამოშვებულია ნომინალით: 1,2,5,10,20,50 თეთრის და 500 ლარის ოქროს მონეტის სახით. ყველა ნომინალის მონეტის რევერსზე გამოსახულია შვიდმკლავიანი ბორჯღალი, თარიღი და ქართულ-ინგლისური წარწერა: „საქართველოს რესპუბლიკა“.

1 თეთრი. ვერცხლისფერი შენადნობი. 1993. 15 მმ.
RV. ვაზის ლერწი ორი მტევნით.
2 თეთრი. ვერცხლისფერი შენადნობი. 1993. 18 მმ.
RV. ფრთაგაშლილი ფარშევანგი.
5 თეთრი. ვერცხლისფერი შენადნობი. 1993. 20 მმ.
RV. ოქროს ლომის ქანდაკება ალაზნის ველის ძვ.წ. III ათასწლეულის ყორღანიდან.
10 თეთრი. ვერცხლისფერი შენადნობი. 1993. 22 მმ.
RV. ლომზე ამხედრებული წმ. მამა გელათის XI ს-ის ტონდოდან.
20 თეთრი. ვერცხლისფერი შენადნობი. 1993. 25 მმ.
RV. ხარირემი.
50 თეთრი. ოქროსფერი შენადნობი. 1993. 19 მმ.
RV. გრიფონი XI ს-ის სამთავრისის ტაძრიდან.
500 ლარი. ოქრო. 1995. წ. 17 გრ. ზ. 31 მმ.

მემორიალური მონეტა, გამოშვებულია მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად. მემორიალური მონეტები დანომრილია და რიგითი ნომერი გამოსახულია მონეტის წიბოზე 0001/2000–დან 2000/20000–მდე.

AV. ბორჯღალი, თარიღი – 1995, ნომინალი – 500 და ქართულ-ინგლისური წარწერა: „ლარი“.

RV. სტალინის, რუზველტის, ჩერჩილისა და დე გოლის პროფილები და ინგლისური წარწერები: გამოსახულ პირთა გვარები და „საქართველოს რესპუბლიკა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხებისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964.
2. ფული და საქართველი (წიგნი - ალბომი), გამოიცა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, თბ., 2000.
3. ჯავახიშვილი ნ., ქართული ბონისტიკა (ქართული საფასთმცოდნეობა), თბ., 1996.

გიორგი ცაავა

ქართული ფულადი ერთეულების ისტორიული რეტროსპექტივა

რეზიუმე

ფული პოლიტიკურ–ეკონომიკური დატვირთვის მქონე ხელოვნების ნიმუში და სახელმწიფოებრიობის საფუძველია, რომელიც თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით ქვეყნის განვითარების საქმეში ერთიანობის, სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლოდ გვევლინება.

ფულის ისტორია საშუალებას გვაძლევს ახალი კუთხით მივუდგეთ ჩვენი ქვეყნის განვითარების ფაქტებსა და მოვლენებს, უფრო ნათლად დავინახოთ დროთა თავბრუდამხვევ ტრიალში რა როლი ენიჭება საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას, რა გავლენას ახდენდა იგი მათზე ან თავად როგორ განიცდიდა მათ ზემოქმედებას.

ფულის ემისია და ფულის მიმოქცევის იტორია საქართველოში თავისებური სარკეა, რომელშიც უტყუარი სიზუსტით აისახა ამ მრავალჭირნახული ქვეყნის პოლიტიკური ისტორია. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ყოველთვის ცდილობდა ქვეყანაში სახელმწიფოებრიობის საფუძვლის – ახალი დამოუკიდებელი საკუთარი ეროვნული ფულადი ერთეულის - ვალუტის მიმოქცევაში დამკვიდრებას. ასე მოხდა 1917 – 1924 წლებში, როდესაც მიმოქცევაში ქართული ფულადი ერთეული „ბონი“ იქნა გამოშვებული, ასე იყო 1992 – 1995 წლებში, როდესაც მიმოქცევაში ახალი ფულადი ვალუტა – „კუპონი“ იქნა შემოღებული და ასე არის 1995 წლიდან, როდესაც მიმოქცევაშია ახალი ქართული ფულადი ერთეული - ვალუტა – „ლარი“.

Giorgi Tsaava

Historical Retrospective Currency Georgia

Summary

Money is a piece of art and the base of the statehood, It has political and economic value, which is the symbol of wealth and power and with its present and past unites and develops the country.

History of money makes it possible to come up with a new approach to the facts and phenomena of our country, to see more clearly the role of Georgia into the relations with other states, how Georgia was influenced by them and how their influence was impacted Georgia.

Emission History and circulation of money in Georgia is a certain type of reflect, where with sufficient accuracy was presented the political history of this troubled country. Every time declaring the independence, Georgia has always tried to establish independent national monetary currency. It happened in the 1917-1924 years, when “Bonni” went into the circulation as a new currency. Also in 1992-1995, when the new currency "coupon " went into circulation. Since 1995, there is the new currency - "GEL".

Гиорги Цаава

Историческая ретроспектива денежных единиц Грузии

Резюме

Деньги – зто образец искусства и основа государственности, имеющая политико-зкономическую нагрузку, которая своим прошлым, настоящим и будущим в деле развития государства представляется символом силы и богатства.

История денег дает возможность с новым подходом подойти к фактам и явлениям развития нашей страны, более четко увидеть какая роль принадлежит Грузии во взаимоотнощениях с другими государствами, какое влияние она оказывала на них или сама как переносила их воздействие.

История эмиссии денег и обращения денег в Грузии своеобразное зеркало, в котором с достаточной точностью выражена политическая история этой многострадальной страны. При завоевании независимости Грузия всегда стремилась к утверждению собственной, независимой, национальной денежной валюты. Так случилось в 1917-1924 годах, когда в обращение была выпущена новая денежная валюта – «бони», так было в 1992-1995 годах, когда в обращение была выпущена новая денежная валюта – «купон», и так есть в 1995 году, когда в обращенте выпущена новая национальная денежная единица – «лари».

მარინე ალანია
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

შიდა მარკეტინგი, როგორც სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის კომპანიების ეფექტიანი ფუნქციონირების ინსტრუმენტი

სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში მარკეტინგული საქმიანობის დიდი ნაწილი სრულდება ისეთი ადამიანების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ მარკეტინგის სპეციალისტებს. სასტუმროში კლიენტების მოზიდვის მიზნით, გამოიყენება სპეციალური მარკეტინგული პროგრამა, ხოლო იმისათვის, რომ სასტუმროში პირველად მოსული სტუმარი იქცეს მუდმივ კლიენტად, საჭიროა მისი მომსახურების პროცესში ჩართული იყოს კომპანიის მთელი პერსონალი. ამაზე პირდაპირ არის დამოკიდებული სასტუმროს შემოსავალი(რაც მეტია მუდმივი კლიენტი, მით მეტია სასტუმროს მოგება).

ტურისტული კომპანიების მარკეტინგულ წარმატებებს უზრუნველყოფს არა მხოლოდ გარე მარკეტინგი, არამედ შიდა მარკეტინგი, რომელიც მიმართულია პერსონალზე. შიდა მარკეტინგის არსი, უპირველესად, გულისხმობს პერსონალის საქმიანობის პროექტირებას ისეთნაირად, რომ მისი მართვა პასუხობდეს კომპანიის მარკეტინგულ სტრატეგიას. შიდა მარკეტინგის ამოცანაა, პერსონალის მუშაობის მოტივაციის შესაბამისი სისტემის შექმნა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების გზით, კადრების დენადობის შემცირება. იგი ხელს უწყობს კომპანიის მიმართ პერსონალის სასურველი დამოკიდებულების ფორმირებას და ეხმარება მას კლიენტის მოთხოვნილების შესაბამისი მომსახურების შეთავაზების უზრუნველყოფაში. შიდა მარკეტინგის ძირითად ღირსებას წარმოადგენს მაღალი სტანდარტის ხარისხის უზრუნველყოფა ღირებულების შექმნის ყველა ეტაპზე, რაც განაპირობებს პერსონალის მოტივაციას და შესაბამისად, ის განიხილება, როგორც საქონლისა და მომსახურების ხარისხის მართვის ინსტრუმენტი. Service Management Group-ის წარმომადგენლის - რიჩარდ ნორმანის აზრით, მომსახურების სფეროს თითქმის ყველა კომპანიის მაღალი კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი არის ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება პერსონალის შემოქმედებითი აქტიურობის მობილიზაციის მიზნით. მან შემოიღო ტერმინი „ჭეშმარიტების მომენტი“, რომელიც დგება მაშინ, როცა პერსონალის წევრი და კლიენტი უშუალო კონტაქტში შედიან ერთმანეთთან. ნორმანი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც კონტაქტი შედგება, კომპანიას მის შედეგებზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. მომსახურების მიწოდების პროცესი დაკავშირებულია ერთი მხრივ, კომპანიის წარმომადგენლების უნარ - ჩვევებთან და მოტივაციასთან, ხოლო მეორე მხრივ, კლიენტის მოლოდინთან და ქცევასთან. ამ ურთიერთობაში პერსონალის

წევრის მიერ დაშვებული შეცდომა, ან კლიენტის თხოვნის გაუთვალისწინებლობა, შეიძლება დამთავრდეს იმით, რომ კლიენტი იქნება მომსახურებით უკმაყოფილო.

სასტუმრო და ტურისტული მომსახურების ინდუსტრია უნიკალურია იმით, რომ პერსონალი წარმოადგენს პროდუქტის ნაწილს. ამიტომ, მას „ჭეშმარიტების მომენტებში“ უნდა შეეძლოს დასახული ამოცანების კარგად შესრულება. ადამიანები, ჩვეულებრივ, მარკეტინგს განიხილავენ როგორც ბაზარზე გარედან მიმართულ ძალისხმევას, მაგრამ, სასტუმროს ან რესტორნის მარკეტინგის მთავარი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს შიგნით მის პერსონალზე. მენეჯერები დარწმუნებულები უნდა იყვნენ იმაში, რომ პერსონალის წევრები კარგად იცნობენ იმ საქონელსა და მომსახურებას, რასაც სთავაზობენ მომხმარებლებს და თავად თვლიან, რომ მათ გააჩნიათ მაღალი სამომხმარებლო ღირებულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერსონალი ენთუზიაზმით უნდა ეკიდებოდეს თავის კომპანიას და მომსახურებას, რომელსაც ჰყიდის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან რთული იქნება კლიენტების დაინტერესება. გარე მარკეტინგს მოჰყავს კლიენტები სასტუმროში, მაგრამ, მისგან სარგებელი დიდი ვერაფერი იქნება, თუ პერსონალმა არ გაამართლა მათი მოლოდინი. სწორედ, პერსონალის ქცევა განსაზღვრავს მომხმარებლების გადაწყვეტილებას - განმეორებით მიმართონ თუ არა კომპანიას.

შიდა მარკეტინგის მუშაობა ისეა აგებული, რომ ორგანიზაციის ყველა დონეზე ბიზნესს პრაქტიკულად ახორციელებენ პერსონალის წევრები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ, რომ მათი საქმიანობისა და გარემოს ზემოქმედების შედგად კლიენტს უყაალიბდება გარკვეული წარმოდგენა. შიდა მარკეტინგი არის პროცესი, რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს: 1. მომსახურების კულტურის დანერგვა; 2. კადრების მართვისადმი მარკეტინგული მიდგომის განვითარება; 3. მარკეტინგული ინფორმაციის გავრცელება პერსონალის წევრებს შორის; 4. წახალისებისა და დაჯილდოების სისტემის დანერგვა.

შიდა მარკეტინგის პროგრამა გამომდინარეობს მომსახურების კულტურიდან. მარკეტინგული მომსახურების პროგრამა ვერ იმუშავებს, თუ ფირმის ორგანიზაციული კულტურა არ არის ორიენტირებული კლიენტის მომსახურებაზე. კორპორაციული კულტურა აყალიბებს პერსონალის წევრის ქცევის მოდელს, „კორპორაციულ ოჯახში“ თანამონაწილეობის განცდის აღზრდის გზით. კორპორაციული კულტურის ნორმები ვრცელდება კომპანიის მთელ საქმიანობაზე და გავლენას ახდენს მომსახურების შეთავაზების ხარისხზე. ამიტომ, კორპორაციული კულტურა უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე სხვა პარამეტრი; იგი ახასიათებს კომპანიას, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და განვითარების შესაძლებლობებს, განსაზღვრავს მისი პერსონალის შინაგან განწყობას, მონოლითურობას, შრომით დისციპლინას და ფსიქოლოგიურ კომფორტს. ზოგადად, კულტურაში იგულისხმება ის ნორმები, წესები და ღირებულებები, რითაც კომპანია ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში. იგი მოიცავს ფირმაში თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობათა სისტემას, ხელისუფლების განაწილებას, მართვის სტილს, საკადრო საკითხებს, განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას. კულტურის მიღწეული დონე ფირმას ეხმარება გამართულად მუშაობაში; აქ იგულისხმება ყველაფერი - დაწყებული ოფისის გაფორმებიდან და დამთავრებული იმით, თუ როგორ რეაქციას იწვევს პერსონალის წევრებში მარკეტინგული სტრატეგიის ესა თუ ის ვერსია. არსებობს რამდენიმე მომენტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანიის კულტურა:

- მაღალი კულტურის ფირმებისათვის დამახასიათებელია იქ მომუშავე ადამიანების მნიშვნელობის ხაზგასმა. ასეთ კომპანიებში დიდ ყურადღებას უთმობენ ფირმის ფილოსოფიას, მისი ღირებულებების პროპაგანდას;
- კომპანიის კულტურაზე შეიძლება მსჯელობა იმის მიხედვით, თუ როგორ ამყარებს ის ურთიერთობას კონკურენტებთან და თავის კლიენტებთან;
- კომპანიის კულტურაზე წარმოდგენას იძლევა დაკვირვება იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ადამიანები თავიანთ სამუშაო ადგილებზე, როგორაა მოწყობილი კარიერის სისტემა და რა კრიტერიუმებით ხდება მათი დაწინაურება;
- კულტურაზე საუბარი შეიძლება იმის მიხედვით, არსებობს თუ არა კომპანიაში მყარი პრინციპები, ქცევის დაუწერელი ნორმები; ცნობილია, თუ არა ისინი

თანამშრომლებისათვის და რამდენად სერიოზულადაა აღქმული მათ მიერ. თუ პერსონალის წევრები კარგად იცნობენ ფირმის ისტორიას, პატივისცემით ეპყრობიან მის სიმბოლოებს, იცავენ დადგენილ წესებს, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფირმა გამოირჩევა მაღალი კულტურით. კულტურა განსაზღვრავს აგრეთვე, კომპანიის ურთიერთქმედებას გარე სამყაროსთან.

მაღალი კულტურა ორგანიზაციებს ეხმარება ორი მიმართულებით: 1. განსაზღვრავს პერსონალის წევრების ქცევას(მათ იციან, როგორ იმოქმედონ და რას ელოდებიან მათგან); 2. პერსონალს აძლევს მიზნის გააზრების, შეგრძნების საშუალებას და უყალიბებს კომპანიისადმი კეთილგანწყობას(მათ იციან, რის მიღწევა უნდა კომპანიას და როგორ დაეხმარონ მას). მაღალი კულტურის მქონე კომპანია და მისი პერსონალი მოქმედებს როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. მომსახურების მაღალი კულტურა პერსონალს უბიძგებს კლიენტზე მიმართული მოქმედებებისკენ და ფაქტიურად წარმოადგენს კლიენტის მოთხოვნილებებზე ორიენტირებული ორგანიზაციის განვითარებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს.

კლიენტის მოთხოვნილებებზე ორიენტირებული ორგანიზაციის განვითარება, ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს განსაზღვრულ ვალდებულებებს დროისა და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით. კლიენტზე ორიენტირებული სისტემის მართვაზე გადასვლას შეიძლება მოჰყვეს ცვლილებები კადრების დაქირავების, სწავლების, წახალისებისა და კლიენტების საჩივრებზე მუშაობის მეთოდებში, აგრეთვე, პერსონალის წევრების უფლებამოსილების განსაზღვრისას. ამ მიზნით, მენეჯერებს აუცილებლად მოუწევთ დამატებით დროის დახარჯვა როგორც კლიენტებთან, ისე საკონტაქტო ზონის პერსონალთან ურთიერთობისათვის. მაგალითად, სასტუმროს მენეჯერი, რომელიც რეგისტრაციის დროს სტუმრებს ესალმება, ხოლო სასტუმროდან წასვლისას, ინტერესდება იმით, თუ როგორ გრძნობენ ისინი თავს, - ახდენს მათზე ზრუნვის დემონსტრირებას.

მომხმარებლისათვის, კომპანიაში მისვლისთანავე, თვალშისაცემია მისი მაღალი კულტურა. ასე მაგალითად, **Four Seasons** -ის ქსელის ნებისმიერ სასტუმროში პერსონალის წევრები სტუმარს ყოველთვის ხვდებიან თბილად, გულწრფელი დახმარების სურვილით. სტუმარი განსხვავებულად აღიქვამს იმ თანამშრომელს, რომელიც უბრალოდ ესალმება და იმას, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია მისი დაკმაყოფილების სურვილით და მთელი თავისი ქცევით გამოხატავს ამას.

ზოგიერთ კომპანიაში **(მაგალითად, Hyatt, McDonald"s, Hertz)** მენეჯერები საკონტაქტო ზონის პერსონალთან ერთად მუშაობენ და, ამგვარად, ავლენენ ზრუნვას, როგორც პერსონალის წევრების, ისე კლიენტების მიმართ. მარკეტინგის შიდა პროგრამა, რომელიც არ იქნება მხარდაჭერილი ხელმძღვანელების მხრიდან, არ იმუშავებს ეფექტიანად. მენეჯერებმა უნდა გამოიყენონ მარკეტინგის პრინციპები იმისათვის, რომ მოიზიდონ და შეინარჩუნონ კარგი კადრები. მარკეტინგული საკადრო პოლიტიკა ცვლის ურთიერთდამოკიდებულებას კომპანიის პერსონალსა და მყიდველებს შორის, ქმნის კავშირებს, რომლებიც ეფუძნება კლიენტთან კომპანიის ურთიერთობას, ლოიალურობას, ნდობას და მეგობრობას. სწორი საკადრო პოლიტიკა ხელს უწყობს კომპანიის პროფესიული და სტაბილური პერსონალის ჩამოყალიბებას, რომელიც ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: კომპეტენტურობა, თავაზიანობა, საიმედოობა, პასუხისმგებლობა, რეაგირების სისწრაფე, კომუნიკაბელურობა. სწორი საკადრო პოლიტიკის გასატარებლად, მარკეტოლოგებმა უნდა შეისწავლონ მომსახურე პერსონალის ბაზარი, შეარჩიონ საუკეთესონი თავიანთი კომპანიისათვის და შეიმუშაონ მარკეტინგის კომპლექსი(მარკეტინგ-მიქსი) მათზე ზემოქმედებისათვის. როგორც მყიდველი იკვლევს იმ საქონელს, რომლის ყიდვასაც აპირებს, ასევე, სამუშაოს მაძიებლებიც ეძებენ სხვადასხვა სარგებელს. ზოგს მოსწონს მოქნილი სამუშაო გრაფიკი, ზოგს - სარგებელი ჯანმრთელობის დაზღვევისას, მაშინ როცა სხვები უპირატესობას ანიჭებენ ბავშვებზე ზრუნვის შესაძლებლობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით და ზოგადად, პერსპექტიულ დაქირავებასთან მიმართებით, ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია რეკლამას; ფირმამ აუცილებლად უნდა იზრუნოს თავისი დადებითი იმიჯის ფორმირებისათვის როგორც არსებული, ისე პოტენციური მომსახურე პერსონალისა და კლიენტებისათვის. სამუშაოს

მაძიებლები ირჩევენ დამქირავებლებს და ტოვებენ სამუშაო ადგილებს მსგავსი მიზეზების გამო, როგორც სტუმრები, რომლებიც ირჩევენ ზოგიერთ სასტუმროს და შემდეგ იქ არასდროს არ მიდიან. ერთნაირად ცუდია ფირმებისათვის როგორც კლიენტების, ისე თანამშრომლების დაკარგვა. მარკეტინგული მიდგომის გამოყენება სამუშაო ადგილებისა და კომპანიის უპირატესობების შექმნისას, ეხმარება ხელმძღვანელობას კარგი კადრების მოზიდვასა და შენარჩუნებაში.

შიდა მარკეტინგის ეფექტიანი პროგრამა გულისხმობს მარკეტინგსა და კადრების მართვას შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას. კადრების სტრუქტურის მუშაობის ტრადიციული სფეროები, დაქირავება და სწავლება, წარმოადგენენ შიდა მარკეტინგის ნებისმიერი პროგრამის საკვანძო ობიექტებს. კადრების მართვისადმი მარკეტინგული მიდგომა იწყება შესაფერისი კადრების დაქირავების პროცესით, რომლის შემადგენელი ნაწილია მუშაობისას, კლიენტზე ორიენტირებული კანდიდატების შესარჩევი მეთოდების განსაზღვრა. თანამშრომლები, რომლებიც არ არიან ორიენტირებული კლიენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ხშირად ცდილობენ, რომ მათ მომსახურებაზე პასუხისმგებლობა სხვებს დააკისრონ. ისინი მომსახურე პერსონალის ცუდი წევრები და შესაბამისად, გუნდში მუშაობისათვის ცუდი კანდიდატები არიან. კომპანიებში, სადაც იყენებენ შიდა მარკეტინგს, როცა რომელიმე თანამშრომელი შეცდომას უშვებს, სხვები ცდილობენ მის გამოსწორებას მანამ, სანამ სტუმარი შეამჩნევს. ასეთ კომპანიებში, კლიენტებს არ აინტერესებთ ის, თუ როგორ არის ორგანიზებული სასტუმროში მუშაობის პროცესი იმაში დასარწმუნებლად, რომ მათი მოთხოვნილებები იქნას დაკმაყოფილებული. რეგისტრაციის სტრუქტურა იღებს კლიენტების სურვილების დიდ ნაწილს და გადასცემს მას შესაბამის სამსახურს. რესტორნებში, სადაც მიღებულია შიდა მარკეტინგი, მომსახურების კულტურის ასამაღლებლად, პერსონალის წევრებს მარტივად შეუძლიათ ერთმანეთის ჩანაცვლება. ნებისმიერი მათგანი, საჭიროების შემთხვევაში, მოემსახურება კლიენტს იმის მიუხედავად, ევალება, თუ არა მას შესასრულებელი სამუშაოს განხორციელება. ასე მაგალითად, კომპანია **Ritz-Carlton**-ში პირველივე თანამშრომელი, რომელიც მიიღებს სტუმრისაგან თხოვნას ან საჩივარს, პასუხობს მას. სწორედ, ის ცდილობს კლიენტის სურვილის დაკმაყოფილებას. ამ მიზნით, იგი მიღებულ თხოვნას თვითონ გადასცემს კომპანიის სათანადო სტრუქტურებს, ხოლო შემდეგ რწმუნდება იმაში, რომ ყველაფერი კარგად შესრულდა და კლიენტი კმაყოფილია. ასეთ შემთხვევაში, კლიენტებს არ მოუწევთ სასტუმროს სტრუქტურის ან რესტორნის ორგანიზაციის სქემის შესწავლა და მომსახურების თხოვნით ხელახლა სხვისთვის მიმართვა. დაქირავების პროცედურა სწორედ იმიტომ არსებობს, რომ გამოვლინდეს კარგი წევრები მომავალი მობილური გუნდისთვის.

ხშირად პერსონალის წევრებმა ბევრი არაფერი იციან იმ ფირმის შესახებ, სადაც ისინი მუშაობენ, შესაბამისად არ შეუძლიათ მომხმარებლის სათანადოდ დაინტერესება. თუ პერსონალი არ ამაყობს თავისი კომპანიით და იმ პროდუქტით, რასაც ის ჰყიდის, ძნელია, ელოდებოდე აღნიშნულით კლიენტების დაინტერესებას. ეფექტიანი მუშაობისათვის, აუცილებელია, პერსონალი რეგულარულად იღებდეს ინფორმაციას თავისი კომპანიის შესახებ. კომპანიის ისტორია, მიმდინარე საქმიანობის მდგომარეობა, ფირმის მისია და ხედვა - ეს ყველაფერი უნდა იცოდეს პერსონალმა; საჭიროა, მათში, კომპანიის გამო, სიამაყის გრძნობის გაღვივება და საერთო საქმის წარმატებისათვის, საკუთარი წვლილის შეტანის სურვილის ფორმირება.

სასტუმროებში იყენებენ სწავლების პროგრამას ახალბედა თანამშრომლებისათვის, რომლის მიზანია მათში მთელი მონდომებით, ძალისხმევით გუნდთან ერთად მუშაობის სურვილისა და უნარ-ჩვევების, აგრეთვე, სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კადრების დენადობის შემცირებას.

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის კომპანიებმა კარგად იციან პერსონალის სწავლების სისტემის მნიშვნელობა და წარმოადგენენ ამ ფილოსოფიის ერთგვარ პროპაგანდისტებს ნებისმიერ დარგში დასაქმებული პერსონალისათვის. **Centennial Hotel Management Company of Canada**-ში არსებობს პერსონალთან მუშაობის წერილობით

დაფიქსირებული ფილოსოფია, რომელიც მოიცავს ორიენტაციას და სწავლებას. ასეთი მიდგომა წარმოადგენს შიდა მარკეტინგის საუკეთესო ინსტრუმენტს.

ყველაზე უფრო ეფექტური ურთიერთობა კლიენტებთან ხორციელდება საკონტაქტო ზონის პერსონალის მეშვეობით, რომელიც დაკავებულია უშუალოდ მათი მომსახურებით და შეიძლება სასტუმროს კლიენტებს შესთავაზოს დამატებითი მომსახურება (ჯანმრთელობის კლუბი, ბიზნეს-ცენტრი და სხვ.), გააცნოს მისი უპირატესობა და მისაღები სარგებელი, დაინტერესოს მომხმარებელი და ხელი შეუწყოს გასაღების მოცულობის გაზრდას. პერსონალის წევრებს ხშირად აქვთ შესაძლებლობა, აარიდონ კლიენტს ესა თუ ის პრობლემა, ამისათვის მათ სჭირდებათ ინფორმაცია. მარკეტინგის დირექტორმა მენეჯერებს და ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს შეიძლება შეატყობინოს მოსალოდნელი მოვლენების, სხვადასხვა სარეკლამო კამპანიების, მომსახურების წინ წაწევის ახალი საშუალებების შესახებ, მაგრამ ზოგიერთმა მენეჯერმა შეიძლება არ ჩათვალოს საჭიროდ ამ ინფორმაციების რიგით თანამშრომლებამდე დაყვანა. მარკეტოლოგები და მომსახურე პერსონალის ის წევრები, რომლებიც მუშაობენ მომსახურების წინ წაწევასა და გასაღებაზე, მჭიდრო კონტაქტში უნდა იყვნენ ერთმანეთთან. ხელმძღვანელობის მოქმედებები არის კომპანიის პერსონალთან ურთიერთობის ერთადერთი გზა. ნებისმიერი იერარქიის ხელმძღვანელს უნდა ესმოდეს, რომ პერსონალის წევრები აკვირდებიან მის რეაქციას ამა თუ იმ სიტუაციაში და სწავლობენ მის ქცევას(მაგალითად, თუ მთავარი მენეჯერი აიღებს ქაღალდს იატაკიდან, მაშინ პერსონალის წევრებიც იგივეს გააკეთებენ). მენეჯერი, რომელიც ხაზს უსვამს პერსონალის გუნდური მუშაობის მნიშვნელობას, ხელს უწყობს ამ პრინციპის დამკვიდრებას. მენეჯერი, რომელიც ყურადღებას აქცევს პერსონალის მუშაობას, მხარს უჭერს მას, თანამშრომლებს მიმართავს სახელით, მათთან ერთად სადილობს კაფეში – და იმსახურებს ნდობას პერსონალის მხრიდან.

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის კომპანიები ხელმძღვანელებსა და პერსონალს შორის რეგულარული ურთიერთობის მიზნით, იყენებენ საინფორმაციო ბიულეტენებს, საანგარიშო მოხსენებებს, კოლექტიურ შეხვედრებს, ინდივიდუალურ საუბრებს და სხვ. მაგალითად, McDonald"s-მა შემოიღო ვიდეოკასეტაზე ჩაწერილი ე. წ. „მოლაპარაკე" ყოველწლიური ანგარიში კომერციული საქმიანობის შესახებ, რომელიც გახდა ძალიან ეფექტური საშუალება აქციონერებისა და მომსახურე პერსონალის ინფორმირებისთვის.

სასტუმროებმა შეიძლება გამოიყენონ ტექნოლოგია (მონაცემთა ბაზის შესაქმნელად) და სწავლება იმისათვის, რომ მომსახურე პერსონალი უზრუნველყონ მომხმარებლებისათვის შესათავაზებელი საქონლისა და მომსახურების შესახებ ცოდნით. დაბოლოს, შესაძლებელია, პერსონალის წევრების სურვილის გათვალისწინება კომპანიის პროდუქტების გასინჯვის თაობაზე. კერძოდ, მათ შეუძლიათ ისადილონ რესტორანში, დამე გაათიონ სასტუმროში და მიიღონ მოწვევა გასართობ პროგრამებზე დასასწრებად. ასეთ შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება უშუალოდ რეგისტრატორის მხრიდან იქნება უფრო დამაჯერებელი.

კომპანიის მომსახურე პერსონალის წევრებმა უნდა იცოდნენ, როგორ იმუშაონ ეფექტიანად. ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია მათ მიერ გაწეული მუშაობის შეფასება. შიდა მარკეტინგის პროგრამა მოიცავს მომსახურების სტანდარტებს და შეფასების მეთოდებს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რამდენად პასუხობს კომპანია ამ სტანდარტებს. მომსახურების შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს თანამშრომლებს.

შიდა მარკეტინგის პროგრამა მოიცავს მომსახურების სტანდარტებს, მეთოდიკას და კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სტანდარტების მოთხოვნებისადმი ფაქტიური მომსახურების შესაბამისობას; პერსონალის თვითკონტროლის სისტემას; შეთავაზებული მომსახურების ხარისხის შეფასების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმების სისტემას. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს პერსონალის მონაწილეობას ხარისხის კრიტერიუმების სისტემის შექმნაში, ხარისხის კონტროლის ტექნიკური საშუალებების გამოყენებაში, კონტროლის სამსახურების შექმნაში. ცალკეული მომსახურებით კმაყოფილების დონის განსაზღვრისა და მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით, შეიძლება ჩატარდეს კლიენტების ანკეტირება, მომსახურების შეფასების შედეგები უნდა

ეცნობოს პერსონალს. ის, ვინც კლიენტებს ემსახურება კარგად, ხარისხიანად და ეფექტურად, იღებს განსაზღვრული სახის ჯილდოს. კლიენტის დაკმაყოფილებაზე დაფუძნებული ჯილდოებისა და პრემიების სისტემა არის კომპანიის პერსონალის წახალისების ერთადერთი მეთოდი, რომელიც გამომდინარეობს კლიენტის მომსახურების დონიდან. პერსონალის მოტივაციისათვის კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს სისტემა, რომელიც დაარეგულირებს თანამშრომლების დაჯილდოებას მუშაობის შედეგებისა და კლიენტის მოთხოვნილებებისადმი ყურადღების გამოჩენის გამო(რაც შეიძლება გამოიხატოს პრემიების და სხვ. სახით). პერსონალის წევრის შეფასება ეფუძნება გაყიდვების ანგარიშებიდან, აგრეთვე, პირადი დაკვირვების, კლიენტების წერილებისა და საჩივრების განხილვის, კლიენტების ანკეტირების შედეგად რეგულარულად მიღებულ ინფორმაციას. მაგალითად, **Sheraton**-ი, **Marriott**-ი და სხვა ცნობილი სასტუმროები ატარებენ კლიენტების ანკეტირებას იმ მიზნით, რომ გაიგონ ცალკეული სახის მომსახურებით მათი კმაყოფილების დონე. მომსახურების შეფასება კლიენტის მხრიდან, დადებითად მოქმედებს თანამშრომლის სამუშაოსადმი და კლიენტებთან დამოკიდებულებაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ შედეგებს ყველა გაიგებს, ხოლო ის, ვინც კარგად ემსახურება კლიენტს, ცნობილი გახდება და მიიღებს განსაზღვრული სახის ჯილდოს. სტუმარმასპინძლობისა და ტურისტულ ბიზნესში დაჯილდოების სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პერსონალის მიერ დანახარჯების მასშტაბის, აგრეთვე, გასაღების მოცულობის კუთხით დასახული მიზნების მიღწევაზე. თუმცა, არიან კომპანიები, რომლებიც პერსონალის წახალისებას ახდენენ კმაყოფილი კლიენტის გამო. თუ კომპანიას სურს ჰყავდეს კლიენტზე ორიენტირებული პერსონალი, მაშინ მისი წახალისება უნდა მოხდეს სწორედ კლიენტის მომსახურებისათვის. კლიენტის კმაყოფილების ხარისხზე დაფუძნებული ჯილლდოებისა და პრემიების სისტემები, არის მომსახურე პერსონალის კარგი წევრების წახალისების ერთადერთი მეთოდი, რომელსაც განსაზღვრავს კლიენტის მომსახურების დონე.

ამრიგად, შიდა მარკეტინგის პროგრამა კომპანიის პერსონალს გამოუმუშავებს სწორ დამოკიდებულებას, ცოდნას, კომუნიკაციის უნარ-ჩვევებსა და უფლებამოსილებას სხვადასხვა სიტუაციებთან მიმართებით იმისათვის, რომ ნებისმიერ მომხმარებელს მოემსახუროს ისე, როგორც ძვირფას სტუმარს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бриггс С., Баркетинг в туризме, Знания-Прес; К., 2005
2. Кудла Н.Е., Маркетинг туристских услуг. Кно-Рус; М., 2011
3. Котлер Ф., Боуэн Дж., Мейкенз Дж. Маркетинг. Гостеприимство. Туризм. Изд-во Юнити-Дана, М., 2012
4. http://www.marketingnews.ru/termin/81/
5. http://www.v-strannik.ru/content/marketing-gostepriimstvo-turizm-vnutrennii-marketing http://uchebnikionline.ru/turizm/mizhnarodniy
6. http://new-marketing.ru/articles/14/
7. http://www.ygolok.net/finansy-i-turisticheskij-biznes/
8. http://www.marketingnews.ru/

მარინე ალანია

შიდა მარკეტინგი, როგორც სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის კომპანიების ეფექტიანი ფუნქციონირების ინსტრუმენტი

რეზიუმე

შიდა მარკეტინგი არის პროცესი, რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს: 1. მომსახურების კულტურის დანერგვა; 2. კადრების მართვისადმი მარკეტინგული მიდგომის განვითარება; 3. მარკეტინგული ინფორმაციის გავრცელება პერსონალის წევრებს შორის; 4. წახალისებისა და დაჯილდოების სისტემის დანერგვა.

მომსახურების კულტურა მოიცავს ფირმაში თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობათა სისტემას, ხელისუფლების განაწილებას, მართვის სტილს, საკადრო საკითხებს, განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას.

სწორი საკადრო პოლიტიკა ხელს უწყობს კომპანიის პროფესიული და სტაბილური პერსონალის ჩამოყალიბებას, რომელიც ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: კომპეტენტურობა, თავაზიანობა, საიმედოობა, პასუხისმგებლობა, რეაგირების სისწრაფე, კომუნიკაბელურობა.

ეფექტიანი მუშაობისთვის, აუცილებელია, პერსონალი რეგულარულად იღებდეს ინფორმაციას თავისი კომპანიის შესახებ. კომპანიის ისტორია, მიმდინარე საქმიანობის მდგომარეობა, ფირმის მისია და ხედვა - ეს ყველაფერი უნდა იცოდეს პერსონალმა.

პერსონალის მოტივაციისათვის ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის წევრების წახალისებას მუშაობის შედეგებისა და კლიენტის მოთხოვნილებებისადმი ყურადღების გამოჩენის გამო(რაც შეიძლება გამოიხატოს პრემიების და სხვ. სახით).

Marine Alania

Internal Marketing as an Instrument for the Effective Functioning of the Company's Hospitality Industry

Summary

Internal marketing is a process that involves the following aspects: 1. to establish the excellent service; 2. to develop a marketing approach for personnel management; 3. to disseminate the marketing information among the personnel; 4. to establish the encouraging and rewarding system.

Good Service involves the system of relations in between employees of a company, distribution of the roles among authorities, management style, staff issues and determination of the future perspectives of the development.

The right employment policy promotes the establishment of the company's professional and stable staff, which is characterized by the following characteristics: competence, courtesy, reliability, responsibility, fast response, excellent communication skills.

For the efficient work, it is necessary that the staff regularly receives the information about their company. The company's history, the condition of the recent developments, the company's mission and its vision – all of this should be known by the staff;

In order to motivate the personnel, managers has to develop a system that provides the encouragement to staff members depended on the results of their work and attention to client's requirements.

Марине Алания

Внутренний маркетинг, как инструмент эффективного функционирования компаниий в индустрии гостеприимства

Резюме

Внутренний маркетинг это процесс, который включает в себя следующие моменты: 1. Внедрение культуры обслуживания; 2. Развитие маркетингового подхода к управлению кадрами; 3.Распространение маркетинговой информации среди служащих; 4. Введение системы поощрения и награждения.

Культура охватывает существующую в компании систему отношений между людьми, распределение власти, стиль управления, кадровые вопросы, определение перспектив развития.

Правильная кадровая политика способствует формированию профессионального и стабильного персонала компании, который характеризуется следующими показателями: компетентность, вежливость, надёжность, ответственность, быстрота реагирования, коммуникабельность.

Для эффективной работы, необходимо регулярное получение персоналом информации о своей компании. История компании, состояние текущей деятельности, миссия и видение фирмы – все это должен знать персонал.

С целью мотивации персонала руководство должно разработать систему, которая обеспечит стиулирование членов персонала по результатам работы и уделение внимания потребностям клиентов.

იზოლდა ადეიშვილი
გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

თანამედროვე ადამიანის მოთხოვნები ხარისხზე

ხარისხსა და მომსახურებაზე თანამედროვე შეხედულებები დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებაზე. მომხმარებელი შეიძლება იყოს როგორც ცალკეული პიროვნება, ისე ადამიანთა ჯგუფი და საერთოდ საზოგადოება, ამიტომ მათი მოთხოვნები შესაძლებელია იყოს არსებითად განსხვავებული. ყველა შემთხვევაში, ეს მოთხოვნები დაკავშირებულია ადამიანის თვისებებთან. ადამიანის ფსიქიკა საკმაოდ რთულია და მიუხედავად უამრავი გამოკვლევებისა, სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი. თუმცა არსებობს რამდენიმე თეორია, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნების საფუძვლებს, რომლებსაც შეიძლება დაეყრდნოს საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მასლოუს თეორია, რომლის მიხედვითაც დახასიათებულია ადამიანთა მოთხოვნის ხუთი დონე: დაბალი, მაღალი, უფრო მაღალი, დიდებისაკენ მისწრაფების მოთხოვნა და ყველაზე მაღალი დონე.

დაბალი დონე მიუთითებს ადამიანის ისეთ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებაზე, როგორიცაა: საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ადგილი;

მოთხოვნების მაღალი დონე გამოხატავს ისეთი სურვილების დაკმაყოფილებას როგორიცაა: უბედური შემთხვევებისაგან დაცვა, ავადმყოფობის დროს გამოჯანმრთელება და სხვა;

უფრო მაღალი დონე და დიდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა უკავშირდება პრესტიჟულობასა და პატივისცემას;

ყველაზე მაღალი დონის მოთხოვნის დროს ადამიანი აღწევს თვითრეალიზაციას და გამოხატავს კმაყოფილებას.

გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების შეძენის დროს ადამიანს სურს დაიკმაყოფილოს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მოთხოვნა.

დიდი შეცდომაა, როდესაც მწარმოებელი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მოთხოვნის დაბალ დონეებს, ვიდრე თვითრეალიზაციას. მაგალითად, ტურისტი უფრო მეტ კმაყოფილებას იგრძნობს, როდესაც დაგეგმილი იქნება არა მაღალი კლასის რესტორანი, არამედ მაღალი დონის ექსკურსიები, მაშინ იგი ახდენს თვითრეალიზაციას. ამ დროს ის თანახმაა საკვებად გამოიყენოს პიცა, ჩებურეკი და დაათვალიეროს საუკეთესო, ღირსშესანიშნავი ადგილები და ობიექტები.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილება საკმაოდ ძვირადაა შეფასებული. მაგალითად, ისეთი ტური, სადაც გათვალისწინებულია მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე – ევერესტზე ასვლა შეფასებულია 33990 ევროდ. ასეთი ფასის გადახდა, მიუხედავად დიდი სურვილისა, ყველა ადამიანს არ შეუძლია.

ხარისხის პრობლემებით საზოგადოება დაინტერესებულია უხსოვარი დროიდან. ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ შეეძინათ მაღალი ხარისხის საქონელი. ხარისხის მენეჯმენტზე სრულყოფილი შეხედულებები გაჩნდა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან. განსაკუთრებული აქტუალობა ხარისხის პრობლემამ შეიძინა კონკურენციის პირობებში, რადგანაც კონკურენციაში გამარჯვების ერთ-ერთი პირობა არის მაღალი ხარისხი. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაბალ კონკურენტულ გარემოში პროდუქტის ხარისხისა და მომსახურების ფაქტორები მეორეხარისხოვანი ხდება, ამ დონის მწარმოებელს ეძლევა შესაძლებლობა მომხმარებელს უკარნახოს საკუთარი პირობები, რასაც მომხმარებელი წინააღმდეგობას ვერ უწევს, რადგანაც დეფიციტური სისტემის პირობებში ხარისხის პრობლემა აქტუალობას კარგავს.

ნებისმიერი ობიექტის ან მოვლენის კომპლექსურად განხილვისათვის აუცილებელია მისი შესწავლა ისტორიულ ასპექტში.

ხარისხის თეორიის ევოლუციის შესწავლის დროს აუცილებელია ხარისხის ფილოსოფიის სტადიების განხილვა, რომლის დროსაც გამოყოფილია ოთხი ევოლუციური ფაზა, ისინი ვითარდებიან ბაზრის, ტექნოლოგიური და სოციალური

ფაქტორების ზეგავლენით. ეს ფაზებია: წუნდება, ხარისხის მართვა, ხარისხის მენეჯმენტი და სოციალურ-ეთიკური ხარისხი.

წუნდებას მწარმოებელი თავიდანვე აქცევდა დიდ ყურადღებას. ოსტატი ყოველთვის ამოწმებდა მისი შეგირდის მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხს. საჭირო შემთხვევაში ნაწარმის უბრუნებდა შეგირდს დეფექტის (წუნის) გამოსასწორებლად.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ სერთიფიკატი შუა საუკუნეებშიც არსებობდა. წარჩინებულ ხელოსანს ანიჭებდნენ ოსტატის წოდებას და ეძლეოდა მედალიონი სერთიფიკატის სახით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში წუნიანი პროდუქცია იშვიათად თუ გაიპარებოდა, რადგან ოსტატი პროდუქტს აწარმოებდა მისთვის ცნობილი მომხმარებლისათვის და ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაბედავდა უხარისხო პროდუქტის შეთავაზებას. დღევანდელ პირობებში კი პროდუქტი იწარმოება დიდი რაოდენობით და არა კონკრეტული მომხმარებლისათვის.

არა მგონია სადაო იყოს ის, რომ წუნდებას უნდა ახდენდნენ პროფესიონალები. დღეისათვის საქართველო პროფესიონალი წუნმდებლებისა და ხარისხის გამოკვლევის სპეციალისტების დეფიციტს განიცდის, რაც გამოწვეულია იმით, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების რეფორმისა და "სრულყოფილი" მენეჯმენტის შექმნის მიზნით 2004-2005 წლებში 22 ფაკულტეტიდან, სპეციალობების შეერთების საფუძველზე, შეიქმნა 6 ფაკულტეტი. ზოგი სპეციალობა გაუქმდა კიდეც. გაუქმებულ ფაკულტეტებს შორის მოხვდა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტიც, რომელიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა 1925 წლიდან. აღნიშნული ფაკულტეტი ამზადებდა ხარისხის მკვლევარ სპეციალისტებს როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლის განხრით. ფაკულტეტის კათედრები აღჭურვილი იყო თანამედროვე ლაბორატორიებით, უნიკალური ბიბლიოთეკით და წარმატებული კადრებით. ლაბორატორიები მიზანმიმართულად განადგურდა და პროფესურა მოხვდა ე.წ. "ჩარეცხილთა" სიაში თავისი ახალგაზრდა პედაგოგებიანად.

მაშინდელი ხელმძღვანელების ასეთი გადაწყვეტილება დიდ შეცდომად მიგვაჩნია, რადგანაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთი მძლავრი მამოძრავებელი ბერკეტია კონკურენცია, კონკურენციაში გამარჯვების აუცილებელი ფაქტორია ხარისხი, ხარისხის შემმოწმებელი პროფესიონალი თუ არ გყავს მუდამ განახლებასა და გაუმჯობესებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ შევჩერდებით იმ საკითხზე, როგორ არის დაკმაყოფილებული ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებით ქართველი მომხმარებელი.

სურსათის ხარისხის შემოწმება დავალებული აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სურსათის ეროვნულ სააგენტოს. არასასურსათო საქონლის ხარისხის გამოკვლევა კი ჯერ არავის გახსენებია.

ქართული ბაზარი გაჯერებულია საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლით. ცნობილია, რომ შემოტანილი სასურსათო საქონლის უმეტესობა გენმოდიფიცირებულია. მართალია, გენმოდიფიცირებული პროდუქტი მიღებისთანავე არ იწვევს ადამიანის დაავადებას, მაგრამ თანდათანობით აზიანებს მის ჯანმრთელობას და საერთოდ ასუსტებს მთლიან ორგანიზმს.

სურსათის ეროვნულ სააგენტოს 2013 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ სულ ჩატარებული აქვს მთელი წლის განმავლობაში 659 გამოკვლევა (სასმელი წყლის ჩათვლით). დარღვევა გამოვლინდა 175 ნიმუშში. ანგარიშში არ არის აღნიშნული რომელი ნიმუშების გამოკვლევა ჩატარდა, ადგილობრივი წარმოების პროდუქტებია თუ იმპორტული. ქვეყნის მასშტაბით სურსათის გამოკვლევის ასეთი სიხშირე არ არის დამაკმაყოფილებელი და სურსათის ხარისხის ამაღლების საქმეში დიდ შედეგს ვერ მოიტანს. თურქულის, ჯილეხის, ცოფისა და ბრუცელიოზის საწინააღმდეგო ვაქცინაციების ჩატარების საკითხების გარკვევა, ვფიქრობ, ვეტერინალური სამსახურის პრეროგატივაა. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს საკვები პროდუქტების შემოწმება.

ვინმე დაინტერესდა იმით, რომ თურქეთიდან შემოტანილი პომიდორი რატომ არის ასეთი მაგარი და გული რატომ აქვს ნიგვზის ლებანივით თეთრი? სიმაგრე კარგი თვისებაა ტრანსპორტირებისათვის, მაგრამ პომიდვრის ძირითადი დანიშნულება კვებითი

ღირებულებაა და არა ტრანსპორტირებისადმი გამძლეობა. აქ გამოსაკვლევია ის თუ რომელმა გენებმა მიანიჭა მას ასეთი სიმაგრე და დააკარგვინა გემო და სურნელი, როგორ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე ეს გენები. აი, ეს არის სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმე და არა მარტო ეს. შეიძლება ითქვას, რომ შემოტანილი ბოსტნეული გარეგნული მაჩენებლებით ყველა გენმოდიფიცირებულია და აუცილებელია მათი ლაბორატორიული გამოკვლევა.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მეწარმე, რომელსაც პომიდორი მოჰყავს ბაზარზე გასატანად, უკვე დაინტერესდა ტრანსპორტირებისადმი მისი გამძლეობით და ამან დასაბამი მისცა ქართული ჯიშის დაკარგვას.

დასკვნით ნაწილში მინდა აღვნიშნო, რომ:

- აუცილებელია გენმოდიფიცირებული პროდუქტების ცალკე გამოყოფა სავაჭრო ორგანიზაციებში (უნდა გაიყიდოს დაბალი ფასით);
- აუცილებელია არასასურსათო საქონლის (განსაკუთრებით სათამაშოების) ხარისხის გამოკვლევის სამსახურის შექმნა;
- აუცილებელია ხარისხის გამოკვლევის ფუნდამენტური ცოდნის მქონე კადრების მომზადება;
- საბაჟო სამსახურებში მიზანშეწონილად მიმაჩნია ხარისხის შემმოწმებელი სამსახურების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Анисимов В.П., Метрология, стандартизация и сертификация. М. Альфа-книга, 2006.
2. Джеимс Эванс, Управление качеством. Юнити. М., 2007.
3. ИСО 9001:9008. Системы менеджмента качества, общие требования, Минск, 2008.
4. Разуванов В.М. Менеджмента качества в туризме и гостеприимстве, Минск, 2011.
5. www. moa.gov.ge

იზოლდა ადეიშვილი

თანამედროვე ადამიანის მოთხოვნები ხარისხზე

რეზიუმე

ნაშრომში დახასიათებულია ადამიანის მოთხოვნები ხარისხთან დაკავშირებით. განხილულია მასლოუს თეორია ხარისხის ხუთ დონესთან დაკავშირებით. მოცემულია ხარისხის პრობლემები კონკურენციის პირობებში. გაანალიზებულია ხარისხის ფილოსოფიის სტადიები. ავტორი ეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობას და გამოთქვამს რამდენიმე სურვილს ხარისხის შესწავლის საკითხებში გაუმჯობესების თვალსაზრისით.

Izolda Adeishvili

Modern Individual's Requirement on Quality

Summary

The study describes the requirements of the quality of a modern individual. The study discusses five levels of quality according to the Maslous theory. The quality problems are given in competitive circumstances. It also talks about the quality of philosophy stages. The author refers to the National Food Agency's activities within Ministry of Agriculture and expresses several opinions regarding improvement of a quality.

Изолда Адеишвили

Требования современных людей к качеству

Резюме

В данной статье охарактеризованы требования современных людей к качеству. Обсуждена теория Маслоу с точки зрения качества пяти уровней. Выдвинуты проблемы с качеством в условиях конкуренции. Обсуждены стадии философии качества. Автор касается деятельности Национального Агентства Питания при Министерстве Сельского Хозяйства и выражает несколько желаний улучшить вопросы по исследованию качества.

როლანდ სარჩიმელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ლია ჩარექიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

მეცნიერებაში საინფორმაციო მასალის უკმარისობისა და ინვესტიციების დეფიციტის შემთხვევები აფერხებენ ქვეყნის განვითარებას. ამ მხრივ, მასშტაბური შედეგების მიღწევა შეუძლებელი ხდება, ხოლო მეცნიერებაზე მშპ-დან დანახარჯების მიხედვით მსჯელობა საქართველოში თითქმის დამკვიდრდა. აღნიშნული ხარჯები 1995 წელს 0,12%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში 3%-ს აღემატებოდა. ამ მხრივ საქართველოში მდგომარეობა შემდგომ წლებშიც არ გაუმჯობესებულა.

მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებებზე არსებული ინფორმაცია დამაიმედებელი არ იყო. თუმცა გარკვეულ წარმატებას მაინც ჰქონდა ადგილი, მაშინ როდესაც ქართველი მეცნიერები და მათი სამეცნიერო სკოლები დამსახურებული ავტორიტეტით იყვნენ ცნობილი საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სამეცნიერო ცენტრად ითვლებოდა.

ცნობილი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნში (2), მოყვანილია მეცნიერების 25 დარგში ჩატარებული კვლევების მოკლე მიმოხილვა, მათ შორის ეკონომიკურ მეცნიერებებთან დაკავშირებული პრობლემები (2, 93-99), მათემატიკის გამოყენებას ლინგვისტიკაში, ფილოსოფიაში და ა. შ. ყოველივე ამის განვითარებას მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მთავრობის დაბნეულობით ხელი ეშლებოდა, რაც გამოიხატებოდა გამომთვლელი მანქანების, საერთოდ ტექნიკის სამხედრო საქმეში გამოყენებაზე ზრუნვაში. მაშინ არ იყო დაზუსტებული თუ რა ზარალს გამოიწვევდა ცივი ომით გამოწვეული კიბერნეტიკული მეცნიერების დამკვიდრება ძირითადად სამხედრო მრეწველობაში, ხოლო მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მიმდინარე ცვლილებები გავლენას არ ახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობისა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულთა ზრდის დაკანონება სამხედრო მრეწველობისათვის განკუთვნილ მტპ-ის სიკეთეს მიეწერებოდა. თუმცა ის, რომ წარმოიშობოდა წინააღმდეგობრივი სირთულეები ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამაზე მსჯელობის უფლება პასიურ მდგომარეობაში ჩაყენებულ მეცნიერებს არ ჰქონდათ.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში დამკვიდრდა აზრი, რომ თუ მეცნიერთა პროგრესული იდეების ამოცნობის უნარის მქონე მთავრობა მართავს ქვეყანას და მოსახლეობის სასიკეთოდ ზრუნავს მეცნიერების გამოყენებაზე, მაშინ ქვეყანა განვითარების გზაზეა დამდგარი და მისი ეკონომიკის წარმატებები მსოფლიოში გლობალიზაციის შენაკადი ხდება.

1. პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერ კადრთა რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა და მისი შედეგები.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან პრივატიზაციას ახლდა მოსახლეობის მდიდარი ფენის გაძლიერება, რასაც მოჰყვა სამეცნიერო ინტელიგენციის (მათ შორის მეცნიერ კადრთა) მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებში მოხვედრა, რაც მეცნიერების დაფინანსებამ კიდევ უფრო გაამწვავა. მეცნიერ კადრთა რიცხოვნობის დინამიკა 1960-2000 წლებში ზრდიდან მკვეთრ კლებაზე გადავიდა: იგი 1960 წელს 9,1 ათასი კაცი იყო და 1990 წელს გახდა 25,2 ათასი, ხოლო 1993 წელს მიაღწია 27,0 ათას კაცს, 1999 წელს შემცირდა 17,2 ათას კაცამდე, ხოლო 2004 წელს მათი რიცხვი 13,3 ათას კაცამდე დავიდა (3, 36).

გარდა ამისა, სწრაფად მცირდებოდა მეცნიერებაში დასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც განსაკუთრებით შემცირებულ ხასიათს ატარებდა და განპირობებული იყო არა მხოლოდ მეცნიერებაზე დაფინანსების შემცირებით, მათზე გავლენას ახდენდა მეცნიერებაში კვლევითი მუშაობის მოძველებული საშუალებების კომპიუტერებით ჩანაცვლება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის დასაქმების დაკანონება მეცნიერ კადრთა რიცხოვნობის მექანიკურ ზრდასაც შეეხო და მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერთა შრომის შედეგების ანაზღაურება შეამცირა. ამას სხვა სახის სიძნელეებიც დაერთო, თუმცა სამეცნიერო კადრების სტრუქტურის ზოგადი კვლევა მაინც შესაძლებელი ხდებოდა.

დამსახურების შესაბამისად სამეცნიერო კადრები დღესაც არ არიან დაფასებულები. ერთპოლუსიანმა მსოფლიომ მოსახლეობის უმდიდრესი ფენა მსოფლიოს ეკონომიკასა და ცალკეული ქვეყნების მართვაში წინა პლანზე წამოწია. ამასთან ერთად, საჭირო გახდა სამეცნიერო საზოგადოების, მათ შორის სამეცნიერო კადრების ავტორიტეტის ამაღლება, რომლის ნაკლებობაა პოსტსაბჭოთა საქართველოშიც. გასათვალისწიენებლი ისიც აღმოჩნდა, რომ უკონტროლო ბიუროკრატია, მისი ძველი და ახალი პარტოკრატები ვირტუოზური გამდიდრების ხელოვნურად გამოგონილი პრინციპებით, აგრესიული პრივატიზების ჩატარებას ადვილად ახერხებდნენ პოსტსაბჭოთა საქართველოში. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის კეთილდღეობასა და სამეცნიერო კადრების სტრუქტურაზე.

მეცნიერება თვითორგანიზებულობით ახალი ცივილიზაციისაკენ უკვლევს გზას მსოფლიოს საზოგადოებას. თუმცა, მათში ასახული წარმატებები იშვიათად არის დამსახურებულად შეფასებული. ამ მხრივ, მეცნიერული შედეგების ავტორები მეტწილად ახალი იდეების მსხვერპლნი ხდებიან.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისულმა მოვლენებმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა სამეცნიერო კვლევით და საპროექტო საკონსტრუქტორო დაწესებულებათა ფუნქციონირებაზე. მათი უმეტესობა ცენტრალური სახელმწიფო დაფინანსების გარეშე დარჩა ან დაფინანსება შეუმცირდა.

2. მოსახლეობის საგანმანათლებლო მოძრაობისა და მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მაჩვენებლები

მოსახლეობის საგანმანათლებლო მოძრაობისა და მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მაჩვენებლებში გარკვევა, ტექნიკური პროგრესით იყო გამოწვეული, რაც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს უმაღლესი დონის განათლების მიღებით მოსახლეობის კვალიფიკაციის გაუმჯობესების წინაშე აყენებდა. მაშინ წარსულიდან ინერციით განათლების სისტემაში სწავლებისა და სპეციალისტების მომზადების დროის პერიოდები ფიქსირებული იყო: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 10 წელი, კოლეჯებში-3 წელი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში – 4-5 წელი.

მეცნიერებაში სპეციალისტების მომზადების დროის პერიოდები იწყებოდა ასპირანტურით ან სამეცნიერო ხარისხის მაძიებლობით, სამეცნიერო ხარისხის მოპოვებით, კვალიფიკაციის ამაღლებით და ა. შ. რაც უწყვეტი საგანმანათლებლო საკვალიფიკაციო მოძრაობით მიმდინარეობდა.

80-იანი წლების ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მაჩვენებლი იყო ერთი მეცნიერებათა დოქტორი, 7 მეცნიერებათა კანდიდატი, 22 მეცნიერ მუშაკი სამეცნიერო ხარისხის გარეშე, 90 დამხმარე პერსონალი

(რაც პირობითად შემდეგნაირად იქნა ჩაწერილი 1:7:22:90). ამ თანაფარდობით შეფასებულ იქნა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო დაწესებულების საორიენტაციო სტრუქტურა თანამშრომელთა მინიმალური რიცხვით (120 კაცი).

აკადემიურ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში მიზანშეწონილ სტრუქტურად ვარაუდობდნენ 9 ურთიერთდაკავშირებულ (თემატიკის მიხედვით) განყოფილების არსებობას, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები (ძირითადად მეცნიერებათა დოქტორები). ყოველ განყოფილებაში გაერთიანებული იყო სამი დამოუკიდებელი ჯგუფი, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მეცნიერებათა კანდიდატები. პროპორცია მეცნიერ თანამშრომლებსა და დამხმარე პერსონალს შორის თეორიული პროფილის ინსტიტუტებში შეადგენდა 1:1, ხოლო გამოყენებითი ინსტიტუტებისთვის 1:4.

მეცნიერების საწარმოო ძალად გადაქცევა მისი ეფექტიანობის დადგენასაც მოითხოვდა. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, როდესაც მიმდინარეობდა დარგების მეთოდების შერწყმა და გაძლიერება.

მეცნიერ კადრთა რიცხოვნობის ზრდის პროცესმა მეცნიერების ეკონომიკურ ეფექტიანობასთან დაკავშირებით განაპირობა მეცნიერების ერთ დარგად ჩამოყალიბება, შემდგომ მასში გაერთიანდა განათლების ეკონომიკაც. დროში გამოვლინდა მეცნიერების ცალკეულ დარგებად გამოყოფის აუცილებლობა. მეცნიერების განვითარებამ ცხადყო მისი დარგების შერწყმის შემთხვევები, როდესაც წარმოიშობოდა ახალი მიმართულება.

3. მეცნიერ კადრთა კვალიფიციური ცვლილებები და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა

სამუშაო ძალის გააქტიურება გავლენას ახდენს მეცნიერ კადრთა კვალიფიკაციაზე. იგი 21-ე საუკუნისათვის დამახასიათებელი გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკას წარმატებულს ხდის. ამ შემთხვევაში მეცნიერება პოულობს ისეთ სპეციალისტებს, რომელთა უმნიშვნელოვანეს ფუნქციად მეცნიერების წარმოებაში გადატანა და მისი სრულყოფა იქცა (5, 23-25).

მეცნიერული დარგების წარმატებების შინაგანი ლოგიკა ვლინდება კიბერნეტიკაში, სადაც ერთი დარგის ძირითადი პრინციპები მსგავსი სქემებით გადაიტანება მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

მეცნიერ კადრთა კვალიფიციური დონის ამაღლება მსოფლიოში განაპირობებს მეცნიერის აღმოჩენების შეუზღუდავი მასშტაბით გავრცელებას. ამასთან, ზუსტდება მისი დამოკიდებულება იმ რეგიონის კონკრეტულ პრობლემებთან, სადაც მეცნიერი მოღვაწეობს. გასათვალსიწინებელია არა მარტო მაღალკვალიფიციური მეცნიერ კადრის რაოდენობრივი ზრდა, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია დამხმარე პერსონალიც. ამ მხრივ, საყურადღებოა ნორბერტ ვინერის აზრი (1, 344), რომ ორიგინალური მეცნიერული შრომების 95% განეკუთვნება 5%-ზე ნაკლები რაოდენობის მკვლევარს, მაგრამ დანარჩენი 95 % მეცნიერის თანამონაწილეობის გარეშე არ იქნებოდა მიღებული შედეგი აყვანილი კლასიკურ გამოყენებით დონეზე. თვით მეცნიერთა კოლექტივი აფართოებს, დახვეწს და გადასცემს ახალ სამეცნიერო შედეგებს მომავალ თაობებს. ამიტომ მეცნიერ კადრთა დინამიკას ოპტიმიზაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო კადრთა რეგიონული პროცესების ანალიზთან ერთად, მეცნიერების შემოქმედებითად მართვას (4, 131). თანაც მეცნიერული შედეგების სათანადო დაფასებას მთავრობის მხრიდან, დაცვას უკონტროლო ბიუროკრატიის ზემოქმედებისაგან, რათა ბიუროკრატიას საშუალება არ მიეცეს დააკნინოს და პირადი გამდიდრების მიზნით დაისაკუთროს მეცნიერთა შედეგები.

4. გენიოსური აზროვნების შესახებ მეცნიერებაში.

გენიოსური აზროვნება – უდიდესი შემოქმედების ნიჭს, განსაკუთრებულ ბუნებრივ უნარს, ხოლო დარგში ტალანტს ნიშნავს.

მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ფორმირებაზე აისახება აგრეთვე გენიოსების მოღვაწეობა, რომლის ელემენტები მრავალმხრივია და გენიოსური აზროვნებისათვისაც არის დამახასიათებელი, მაგალითად, როგორიცაა შორსმჭვრეტელობა, მაღალი დონის სარწმუნო დასკვნების დამაჯერებლად გადაწყვეტილებისა და პროგნოზების მიღების უნარი.

ბუნება საზოგადოებას წარსულში იშვიათად აჯილდოებდა გენიოსური აზროვნების მქონე მკვლევარებით. ზოგჯერ იზრდებოდა მათი რიცხვი. შესაბამისად გენიოსებს ფართო ფრონტით მოღვაწეობის გაგრძელების პირობები ექმნებოდათ. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაზე ზრუნვამ (მასთან ერთად კომპიუტერიზაციამაც) შეცვალა გენიოსების მოღვაწეობის არეალი.

საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სისტემის გავლენით უმჯობესდება გენიოსური აზროვნების დაფასების შესაძლებლობები. ამ მხრივ, მრავალმხრივი შესაძლებლობა იქმნება. გონივრული ცოდნის შემოქმედებითად დაგროვებით ადამიანს გენისოური აზროვნების უნარის გამომუშავების მცირე ალბათობა (შანსი) მაინც გააჩნია. გენიოსური აზროვნების მქონე ადამიანი ბუნებისაგან გამორჩეულია, რასაც მხოლოდ შემთხვევითობას ვერ დავაბრალებთ.

ზემოთ გამოთქმულ აზრთან ერთად გამოვყოფთ სტატისტიკური დაკვირვების მასალას გენიოსებზე. სიმარტივისათვის შემოკლებული სახით ამას წარმოვადგენთ ყოველკვირეული გაზეთიდან: „ქართული სიტყვა, ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა“ 14-20 ივლისი, 2010 წ., სადაც ჩამოთვლილია გენიოსისთვის დამახასიათებელი ნიშნები: მაღალშუბლიანობა, სისხლში შარდმჟავს მომატებული რაოდენობა, მარფანის სინდრომი (მაღალი, გამხდარი სხეული, ობობასებრი თითები, გრძელი კიდურები, ოდნავ ამობურცული თვალის კაკლები. ამ სინდრომის ადამიანები ხასიათდებიან განსაკუთრებული ენერგიით), ციკლოტომანია (ხასიათის მკვეთრი ცვლილება ორი ფაზით აპატია და სევდა, რომელიც იცვლება მშვენიერი განწყობით, სიკეთის კეთების სურვილით. მრავალი გენიოსი შედეგებს დროის ა. შ. პერიოდში ქმნიდა).

სიახლეების დამაკვალიანებელი გენიოსები ბუნების განსაკუთრებული ქმნილებები არიან და მთელი არსებით დაკავშირებული ხდებიან კაცობრიობის მომავალთან.

ვარაუდობენ რომ გენიოსი 50 მილიონ ადამიანში ერთი იბადება, თუმცა მათი უმრავლესობა აღიარების გარეშე რჩება. ისინი თავიანთი გენიოსოური უნარით გამოირჩევიან, აქტიურად მონაწილეობენ აღმოჩენებში და მაღალი რანგის მეცნიერები ხდებიან. ასეთი ადამიანების სიმრავლე ქმნის წამყვან სამეცნიერო ჯგუფს, რომელთა კარგად ორგანიზებული სამუშაოს შედეგები – დიდი აღმოჩენებია.

მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებში ცივილიზებული საზოგადოების გენიოსურად მოაზროვნეთა დიდი უმრავლესობა გამოჩენილი მეცნიერია.

ვარაუდობენ, რომ გენიოსი რეალურად 1000 კაცში ერთია და შეიძლება რამდენიმეც აღმოჩნდეს.

XXI საუკუნიდან გენიოსის ფორმირებაში სამხედრო საქმე არ არის წამყვანი. გენიოსის ფორმირების პირობებს მეცნიერება ქმნის, თანაც შესაბამისი დარგების მიხედვით.

დიდი აღმოჩენები მსოფლიოში, რომელთაც ტალანტები გენიოსური აზროვნებით წარმართავდნენ, საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდნენ და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგებით განებივრებულ მოსახლეობას შთამბეჭდავი მსოფლიო საკვირველებების დავიწყების საშუალებას არ აძლევენ.

გენიოსი, პირველ რიგში, იმ ქვეყნის სასიკეთო საქმეს ახორციელებს, სადაც იგი კონკრეტულად მოღვაწეობს და ამასთან, მსოფლიოსათვისაც სასარგებლოა.

ღმერთის სიბრძნისა და კეთილი შინაარსის დასტურია სამყაროს ჰარმონიულობა.

ჩვენ ხომ მარადიული შემოქმედის შთაგონებით ვარსებობთ. ღმერთის მიერ ბოძებულ შესაძლებლობებს, როგორც წამყვან ძალას ვეყრდნობით, ხოლო მეცნიერებისა და რელიგიის ერთიანობის გამოყენებით, გენიოსური აზროვნებით ვცდილობთ ქაოსის დარეგულირებას და თვით ორგანიზებას, რომელსაც უხილავი ხელი წარმართავს.

დასკვნა

ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერ კადრთა კვალიფიციური ცვლილებების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე არ აისახებოდა.

XXI საუკუნიდან პოსტსაბჭოთა საქართველოში შესაძლებელი გახდა მეცნიერ კადრთა მოღვაწეობის, საერთოდ მეცნიერების წარმოებაში უშუალო გადატანა და მისი სრულყოფისაკენ წარმართვა, რასაც გენიოსური აზროვნება განაპირობებს.

იქმნება პირობები მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის დამაიმედებელი პროგრესული ცვლილებების ფორმირებისათვის და საქართველოს ეკონომიკის შემდგომი წარმატებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვინერი ნ., მე მათემატიკოსი (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1967.
2. მუსხელიშვილი ნ., მეცნიერება საბჭოთა საქართველოში, მოკლე მიმოხილვა, თბ., 1963.
3. სარჩიმელია რ., ჩარექიშვილი ლ., მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2010, №4.
4. სარჩიმელია რ., ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდვათა ცვლილებების პირობებში, თბ., 1989.
5. ჩიქავა ლ., შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 8, თბ., 2010.

როლანდ სარჩიმელია, ლია ჩარექიშვილი

მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

რეზიუმე

მოცემულია პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერ კადრთა რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა. დახასიათებულია მოსახლეობის საგანმანათლებლო მოძრაობა და მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის მაჩვენებლები.

მოყვანილია გენიოსის დამახასიათებელი ნიშნების სტატისტიკა და ჩატარებულია დაკვირვება გენიოსური აზროვნების ეფექტიანობაზე მეცნიერებაში.

Roland Sarchimelia, Lia Charekishvil

The Impact of Scientific Staff's Structural Changes on Georgian Economy

Summary

The Study shows the changes in statistics of scientists in post-Soviet Union Georgia. It also shows the numbers of the educated population and the structure of qualified researchers.

The research features the statistics of the characterization of a genius and the impact of the genius thinking in science.

Роланд Сагчимелия, Лия Чарекишвили

Влияние структурных изменений квалифицированного научного персонала на экономике Грузии

Резюме

В статье расмотрена статистика изменения квалифицированного научного персонала. Описано образовательное движение населения и структура квалифицированного научного персонала. Охарактеризованы особенности гениев и эффективность гениального мышления в науке.

რევაზ ლორთქიფანიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მეცნიერება და კონკურენცია

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება, რომელიც ნიჭიერი ადამიანების (სუბიექტების) მოღვაწეობის შედეგად ვითარდება, კაცობრიობის განვითარების უმთავრესი ფაქტორია და ეს შეუვალი სიბრძნე ძირითადად მართებულ

ჭეშმარიტებად მიიჩნევა როგორც უფლის ობიექტური ნების მომხრე, ასევე მოწინაღმდეგე ინტელექტუალთა წრეებში.

რაც შეეხება კონკურენციას, ის ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედ ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ კატალიზატორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მდიდარ, მაგრამ შენიღბული მონოპოლიებისა და უკიდურესად პოლარიზებულ მსოფლიოში სიღარიბის დაძლევის მწვავე აუცილებლობების გამო, კონკურენციის შეზღუდვა დიდ საზოგადოებრივ რისკებსა და დანაკარგებს უკავშირდება.

კონკურენციაზე საფუძვლიანი დაკვირვების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, მიუხედავად მისი შეზღუდვის ზემოხსენებული მავნეობისა, არსებობს 2 უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომლებიც გასათვალისწინებელია, თუ გვინდა რომ არსებით და, ამასთანავე, სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას მივაღწიოთ:

1) კონკურენციას გარკვეული ზომიერება სჭირდება და მისი "უკიდეგანო" (ხშირ შემთხვევაში, მოჩვენებითი) გავრცელება ძალზე დამაზიანებელია საზოგადოებისათვის და, ცალკეულ შემთხვევაში (რაც სტატიაში "მოკლე ჩართვის" ეფექტის სახითაა აღნიშნული), საჭიროა გადაჭარბებული კონკურენციის გარკვეული შეზღუდვაც.
2) ფუნდამენტური მეცნიერება და სხვა მეცნიერებატევადი დარგები (მ.შ. მედიცინა), დარგთაშორისი კონკურენციის გამო, არ შეიძლება წარმოადგენდეს დიდი პოტენციური შემოსავლების წყაროს (რაც სრულებით არ აკნინებს მათ ფასდაუდებელ ღირსებებს). ამდენად, მაღალინტელექტუალური საქმიანობის ნაკლებშემოსავლიანი, ნაკლებკონკურენტული ეს სფეროები, (კერძო სექტორის ობიექტების ჩათვლით) საჭიროებს აუცილებელ და პრიორიტეულ საზოგადოებრივ (სახელმწიფო) მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მეცნიერების გლობალური განვითარებისა და ეკონომიკური კონკურენციის მნიშვნელობის ორიგინალურ ხედვებში, ფასდაუდებელია თანამედროვე დიდი ქართველი მოაზროვნეების წვლილი (1; 2; 3; 6 და სხვ.). ბუნებრივია, აღნიშნული საკითხები შემდგომშიც მუდმივ მონიტორინგსა და განვითარებას საჭიროებს.

ქართულმა მეცნიერებამ და მთლიანად სახელმწიფოებრიობამ (მ.შ. ეკონომიკამ) მრავალი ურთულესი გამოცდა ჩააბარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთ ადგილობრივ "მმართველთა" დამანგრეველი ჩარევა, რასაც შედეგად მოჰყვა რეკორდულად მინიმალური ხელფასები მეცნიერებატევად ორგანიზაციებში (როცა ზოგიერთი "სახელმწიფო" ჩინოვნიკი უფრო მეტ ხელფასს იღებდა, ვიდრე მთელი რიგი ინსტიტუტების), შენიღბულ საგარეო მონოპოლიათა ეკონომიკური დივერსიები და სამხედრო აგრესიები, დამოუკიდებელი ეკონომიკის მართვის გამოუცდელობით გამოწვეული არნახული ჰიპერინფლაცია და ბუნებრივი სტიქიური უბედურებანი. თუმცა, ქვეყანამ საბოლოოდ გაუძლო უმძიმეს კრიზისულ გართულებებს და იგი სტაბილური განვითარების შესაძლებლობებსაც ინარჩუნებს და ევროპული ინტეგრაციის რეალურ საფუძვლებსაც სახავს.

დროის გამოცდებს გაუძლო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელმა ანტიმონოპოლიურმა ფრონტმაც, რომელსაც, ბუნებრივია, სხვადასხვა შენიღბული ძალები პერიოდულად ყოველმხრივ აკნინებდნენ, მაგრამ ამ სფეროში შემორჩენილ იშვიათი ნიჭიერების მოღვაწეთა და ახალგაზრდა ნოვატორთა ძალისხმევით, შენარჩუნდა და ღვივდება მომავლის რწმენა, რაც მალე საჭირო შედეგებს გამოიღებს.

როცა კონკურენციის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაში ტყდება (4, 5), მაგრამ მხოლოდ ცალკეული ქვეყნის (თუგინდ სუპერგანვითარებულისა და გიგანტურის) ანტიმონოპოლიური ძალისხმევა ვერ უმკლავდება "დახვეწილ", შენიღბულ საერთაშორისო მონოპოლიებს, რაც, ჩვენი აზრით, საერთაშორისო ანტიმონოპოლიური ძალისხმევის მნიშვნელოვან კოორდინაციასაც საჭიროებს (7).

უკანასკნელ ხანებში ანტიმონოპოლიური რეგულირების საკითხებზე, საკმაოდ გამწვავდა დისკუსიები როგორც საზღვარგარეთელ, ასევე ქართველ სწავლულ ეკონომისტთა შორის. სამწუხაროდ, ზოგი ოპონენტი თვლის, რომ ანტიმონოპოლიური ორგანო საერთოდ არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ის კორუფციის ბუდე ხდება და ხელს

უშლის წარმატებულ ნოვატორ მეწარმეებს. საინტერესოა ღირსეულ ოპონენტებთან კამათი და, შესაბამისად, საჭირო კომპრომისების მიღწევა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენს ოპონენტებს ვერ დავეთანხმებით. კორუმპირებულ სუბიექტებს, რა თქმა უნდა, კანონის ძალით უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამისათვის ანტიმონოპოლიური ორგანო უნდა გავანადგუროთ. თუ ასე ვიმსჯელებთ, გასაუქმებელი იქნებოდა გარკვეულ პერიოდებში კორუმპირებულობით ცნობილი საბაჟო თუ საგადასახადო სამსახურებიც, რაც ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია.

ეკონომიკური აგრესია სამხედრო აგრესიაზე არანაკლებ რთული მოსაგერიებელია, მითუმეტეს, რომ ეკონომიკის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, პატარა ქვეყანა მეტად მიდრეკილია ნათესაურ-კლანური მონოპოლიებით მართვისადმი და მას ძალზე უჭირს დიდ საერთაშორისო მონოპოლიებთან გამკლავება. ეს უკანასკნელი ხშირ შემთხვევაში, მინიმალური დემპინგური ფასებით, აკოტრებენ ადგილობრივი ბაზრის სუბიექტებს, მათ შორის მცირე ქვეყნისათვის უჩვეულოდ დიდი პოტენციური ტევადობისა და საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების სამეცნიერო-ტექნიკური ბაზრის ისედაც ერთეულოვან სამამულო მეწარმეებს.

თუ კეთილსინდისიერი მეწარმე თავისი ნიჭიერებით (უნარით) ბაზარზე ხდება მონოპოლისტი, ანტიმონოპოლიური ორგანო არ უნდა უშლიდეს მას შემდგომშიც გამოავლინოს თავისი წარმატებული უპირატესობა. მაგრამ ის, ამ შემთხვევაშიც, სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს ყოველ მონოპოლისტს, რომ მონოპოლიურმა უპირატესობამ არ დააზინოს ბაზარი და არ გამოიწვიოს შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების დიდი გაძვირება ან სხვა სახის გადახრები მომხმარებელთა საზიანოდ.

ცნობილია, რომ, როცა ბაზარი მაღალკონკურენტულია, ანუ კონკურენცია იმდენად სრულყოფილია, რომ ცალკეული მყიდველი და გამყიდველი საბაზრო ფასზე არსებით გავლენას ფაქტიურად ვერ ახდენს, მაშინ იქმნება მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის ყველაზე ხელსაყრელი პირობები. სპორტული შეჯიბრისაგან განსხვავებით, როცა ერთი იგებს, ხოლო მეორე აგებს, სრულყოფილ ეკონომიკურ კონკურენციაში ორივე მხარე მოგებულია, ვინაიდან ჯანსაღი კონკურენცია ურთიერთხელსაყრელია და ორივე მხარეს ნაკლებხარჯტევადი და ხარისხიანი პროდუქციის (მომსახურების) წარმოებას აიძულებს. ამ შემთხვევაში ბაზარს იმდენი მიეწოდება, რამდენსაც მომხმარებელი რეალურად მოითხოვს და მიმწოდებელიც მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალს იღებს, ხოლო მყიდველი ნაკლებს იხდის იმასთან შედარებით, რაც მას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სხვა გზით მოუწევდა.

მეცნიერულ-ტექნიკური დონის თვალსაზრისით, რაც არ უნდა განვითარებული იყოს ბაზარი, თუ კონკურენცია არ არის სრულყოფილებასთან მიახლოებული, ეკონომიკური ეფექტიანობის ნაცვლად, შესაძლოა, მივიღოთ დიდი დანაკარგები. ბუნებრივია, უშედეგო იქნება უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მცდელობაც, თუ მომზადებული კადრები არაკონკურენტულ გარემოში აღმოჩნდებიან.

ჩვენი დაკვირვების შედეგად (8) აღმოჩნდა, რომ ფიზიკის ცნობილ ომის კანონში (I = U/R), დენის ძალის განსაზღვრის მსგავსად, შესაძლებელია შევაფასოთ ეკონომიკური კონკურენციის ძალაც, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებია ყველაზე მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) წილი გამოშვებულ პროდუქციაში (მომსახურებაში). ასევე, უფრო ძლიერი და შედეგიანია კონკურენცია, თუ იზრდება წარმოებული პროდუქცია (მოკლე ჩართვის ოპტიმალურ დონემდე). აღნიშნულ მიდგომაში, მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) პროდუქცია და საერთო გამოშვების არარეალიზებული ნაწილი ომის კანონის ერთგვარი წინაღობის, ხოლო მთლიანი პროდუქცია (მომსახურება) ძაბვის როლს ასრულებს.

კონკურენციის შეფასების ჩვენეული მიდგომით, შესაძლებელია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების ინოვაციური ბაზრების კონკურენტულობის ხარისხიც შევაფასოთ. ამჟამად, მსოფლიოში კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიზმის) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს, თუმცა ისინი სრულად ვერ გაითვალისწინებენ როგორც საკუთარი, ასევე ჩვენი ქვეყნის სპეციფიკას. კონკურენციის ძალის განსაზღვრის შემოთავაზებული მიდგომა, ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასების ევროკავშირის მეთოდოლოგიის ჩვენებურ სრულყოფასთან

ერთად, ე.წ. "პოლიტიკური მონოპოლიების" აღმომჩენი მონიტორინგის საშუალებასაც იძლევა. ეს კი მეცნიერებაზე დამანგრეველი ზემოქმედების მცდელობასაც გამოავლენს და, მტაცებლური იმპორტდემპინგისა და, მყიდველის ჯერ კიდევ დაბალი ხელფასის გამო, არარეალიზებული ნამატის არსებობასაც მყისიერად გვაჩვენებს და, შესაბამისად, აუცილებელი რაციონალური სტიმულირების საჭირო პრიორიტეტებსაც დაასაბუთებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკსი, თბ., 2011.
2. პავლიაშვილი ს., ტალახაძე გ., სოციალური განწყობის როლი მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში, ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", თბ., 2013, №2(8).
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ, თბ., 2004.
4. ლორთქიფანიძე რ., გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის. თბ., 2014.
   ISBN 978-9941-0-6301, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377
5. ლორთქიფანიძე რ., ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი, ჟურნ. „ახალი ეკონომისტი", თბ., 2012, №1.
6. ჯავახიშვილი რ., ჯანგულაშვილი დ., გლობალიზაცია – მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მიმართულება. ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება", თბ., 2013, №2(8).
7. Lordkipanidze R., For international antimonopoly policy against poverty in effective structure of world economy (Conception). – Tbilisi, 2014, 978-9941-0-6784-6, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47096
8. Лордкипанидзе Р., Открытие признаков и индексы Закона экономической конкуренции сходством Закона силы электрического тока. – Тб., 2014, ISBN 978-9941-0-6792-1, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47189

რევაზ ლორთქიფანიძე

მეცნიერება და კონკურენცია

რეზიუმე

ნაშრომში დასაბუთებულია მეცნიერებისა და კონკურენციის პრიორიტეტული როლი ეკონომიკის განვითარებაში. ამასთან, დაკონკრეტებულია, რომ: 1) კონკურენციასაც კი სჭირდება ზომიერება და მისი "უკიდეგანო" (ხშირ შემთხვევაში მოჩვენებითი) გავრცელება საგანგაშოდ დამაზიანებელია საზოგადოებისათვის და, ცალკეულ შემთხვევაში (რაც სტატიაში "მოკლე ჩართვის" ეფექტის სახითაა აღნიშნული), გადაჭარბებული კონკურენციის გარკვეული შეზღუდვაც კია საჭირო; 2) ფუნდამენტური მეცნიერება და სხვა მეცნიერებატევადი დარგები (მ.შ. მედიცინა), დარგთაშორისი კონკურენციის გამო, არ წარმოადგენდნენ დიდი პოტენციური შემოსავლების წყაროებს. ამდენად, მაღალინტელექტუალური საქმიანობის ნაკლებშემოსავლიანი და ნაკლებკონკურენტული ეს სფეროები საჭიროებენ აუცილებელ და პრიორიტეულ საზოგადოებრივ (სახელმწიფო) მხარდაჭერას.

Revaz Lortkipanidze

The Science and Competition

Summary

The work confirms the priority role of science and competition for the development of the economy. The details are follow: 1) Even the competition needs a balance. "Unlimited" distribution (in many cases pretended) distribution is extremely dangerous for the society in certain cases. (Information can be found in "short comment) this type of competition has to be limited. 2) Because of competition in between professions, fundamental science and other scientific related professions (including medicine), may not be considered as a potential source of income, therefore these high profile, but low-income and less competitive sectors need necessary support by the state and by the society.

Реваз Лорткипанидзе
Наука и конкуренция
Резюме

В статье доказано приоритетное значение науки и конкуренции, конкретизировано, что: 1) даже конкуренция нуждается в умеренности и ее "неограниченное" распространение (в том числе, во многих случаях мнимое) чревато общественными рисками и потерями. а в некоторых случаях (из-за устранения отрицательного эффекта «короткого замыкания», как это показано в статье), необходимо определённое ограничение чрезмерной конкуренции; 2) фундаментальная наука и отдельные наукоёмкие отрасли (в том числе медицина), из-за межотраслевой конкуренции, не являются большым потенциальным источником дохода. Поэтому, эти высокоинтеллектуальные и низкодоходные, менее конкурентоспособные сферы деятельности необходимо поощрять общественной (государственной) поддержкой.

არჩილ ცერცვაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელობა და თავისებურებანი

სიცოცხლის დაზღვევის ობიექტი ყოველთვის არის ადამიანი და დაზღვეული რისკი ყოველთვის განპირობებულია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობით.

მოკლედ განვიხილავთ, თუ რას წარმოადგენს სიცოცხლის დაზღვევა და რა სარგებელი მოაქვს მას ადამიანებისათვის.

სიცოცხლის დაზღვევის სახეებია:

- სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა;
- გრძელვადიანი და უვადო სიცოცხლის დაზღვევა;
- დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევა.

მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევას სხვადასხვა მიზნებისათვის იყენებენ. განვიხილავთ მისი გამოყენების რამდენიმე კლასიკურ შემთხვევას.

იმ პერიოდში, როდესაც ადამიანი თავისი ცხოვრების აქტიურ ფაზაში იმყოფება და შემოსავალი მისი ოჯახისათვის გარკვეული ცხოვრების დონეს უზრუნველყოფს, სამწუხაროდ, არსებობს იმის ალბათობა, რომ ეს პიროვნება უეცრად შეიძლება (უდროოდ!) გარდაიცვალოს და მარჩენალს მოკლებული ოჯახის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცეს. ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად მარჩენალს შეუძლია ოჯახის დაცვისათვის შეიძინოს ისეთი სიცოცხლის დაზღვევა, რომლის პირობების თანახმად, მისი უდროოდ გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახი მიიღებს ფულად ანაზღაურებას, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ოჯახს ჩვეული ცხოვრების დონეს შეუნარჩუნებს.

სახლის, აგარაკის, მანქანის, ავეჯის შეძენისას ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევისას მყიდველს, როგორც წესი, ურჩევნია ბანკიდან სესხის აღება და ამ სესხის თანდათან, განვადებით დაფარვა, ვიდრე ერთბაშად დიდი თანხის გაღება. სამწუხაროდ არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სესხის ამღები გარდაიცვლება სესხის დაფარვის პერიოდის განმავლობაში, ისე რომ სესხის ნაწილი დაუფარავი დარჩება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზარალი შეიძლება მოუვიდეს ბანკს (თუ სესხის დარჩენილი ნაწილი საბოლოოდ არ დაიფარა) ან გარდაცვლილის ოჯახს (თუ სესხის დაფარვა მას დაეკისრა). ამ რისკის თავიდან ასაცილებლად იყენებენ მოკლევადიან საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევას. სადაზღვევო პერიოდი, ასეთ შემთხვევაში სესხის დაფარვის პერიოდს ემთხვევა. დაზღვეული არის სესხის ამღები, ხოლო მოსარგებლე ბანკი.

ორგანიზაციაში არის რამდენიმე საკვანძო პიროვნება, რომლებზეც დიდ წილად დამოკიდებულია საერთო საქმის წარმატება. სავალდებულო არ არის, რომ საკვანძო პიროვნება ხელმძღვანელი იყოს, უბრალოდ შეიძლება იყოს სპეციალისტი, რომელიც გამოირჩევა თავისი ცოდნით, განათლებით, ნიჭით, მონდომებით, ენერგიით და

ინტუიციით. ხშირად ხდება, რომ ორგანიზაცია თვითონ ამზადებს ამგვარ სპეციალისტებს, რისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვან ფულს ხარჯავს. ცხადია, რომ საკვანძო პიროვნების უდროოდ გარდაცვალებამ (რაც სამწუხაროდ შესაძლებელია) ორგანიზაციას შეიძლება ორმაგი ზარალი მოუტანოს:

- მოსალოდნელია, რომ იმ უბანზე, სადაც ეს პიროვნება მუშაობდა, ჩავარდნა მოხდეს და ამის გამო ორგანიზაციამ ზარალი ნახოს;
- საჭირო გახდება ახალი პიროვნების მოძიება და მომზადება, რასაც ახალი ხარჯი მოჰყვება.

ამ შემთხვევაშიც რისკის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება საკვანძო პიროვნების სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა. ამ დროს დამზღვევიც და მოსარგებლეც ორგანიზაცია იქნება, რომელიც საკვანძო პიროვნების დაკარგვის გამო მიღებულ ზარალს სადაზღვევო ანაზღაურებით დაფარავს.

მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევის ჯგუფური ვარიანტი გამოიყენება ისეთ დაწესებულებებში, სადაც შედარებით ბევრი დასაქმებული მუშაობს. ისევე როგორც საკვანძო პიროვნების დაზღვევის შემთხვევაში, დამზღვევის როლში აქაც დამსაქმებელი გამოდის. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახი სადაზღვევო ანაზღაურებას ღებულობს. ამგვარი სადაზღვევო დაფარვა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების ისეთ პუნქტს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს დამსაქმებლის პრესტიჟის ამაღლებას და შესაბამისად, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას.

გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევას იგივე დანიშნულება აქვს რაც მოკლევადიანს, ოღონდ ამ შემთხვევაში სადაზღვევო პერიოდი გაცილებით დიდია – 20, 30 ან 40 წელი. ასეთი დაზღვევის შეძენის დროს, ამ პერიოდში დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში წინასწარ დასახელებული მოსარგებლე (როგორც წესი მემკვიდრე) იღებს სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დროს შეთანხმებულ სადაზღვევო თანხას.

უვადო სიცოცხლის დაზღვევა გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევის ზღვრულ ფორმას წარმოადგენს. იგი დაზღვეულის გარდაცვალების მომენტამდე მოქმედებს, ხოლო პრემიების გადახდა, როგორც წესი, დროის განსაზღვრული პერიოდის (20, 25, 30 წლის) განმავლობაში ხდება.

რას წამოადგენს ასაკის მიღწევაზე და შერეული სიცოცხლის დაზღვევა?

ადამიანს წინასწარ შეუძლია ივარაუდოს თუ როდის მოუწევს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევა, მაგალითად: შვილის უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას, მისი დაახლოებით 20-25 წლის ასაკში დაოჯახებისას, 60 ან 65 წლის ასაკიდან პენსიაში გასვლისას და სხვა. ამგვარი მოვლენების ფინანსურად წინასწარ მომზადების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას ე.წ. ასაკის მიღწევაზე დაზღვევა წარმოადგენს. ამ დაზღვევის პირობების თანახმად დაზღვეული ხანგრძლივი დროის განმავლობაში პერიოდულად იხდის სადაზღვევო პრემიას (აგროვებს) და სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას დათქმული ასაკის მიღწევის შემთხვევაში იღებს ასევე წინასწარ შეთანხმებულ სადაზღვევო თანხას. ხშირად ისეც ხდება, რომ ერთი პიროვნება აზღვევს მეორეს, ანუ დამზღვევი და დაზღვეული სხვადასხვა ადამიანია. მაგალითად მამა აზღვევს შვილს, რომელიც ამჟამად 5 წლისაა და როდესაც 18 წლის ასაკს მიაღწევს, პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლისათვის საჭირო თანხის მფლობელი გახდება, რომელსაც ან ერთიანად ან განვადებით მიიღებს. დავუშვათ, რომ ადამიანი აქტიურად შრომობს და მას გარკვეული ცხოვრების დონე გააჩნია. საბედნიეროდ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ ეს პიროვნება უდროოდ არ გარდაიცვლება და ისეთ ასაკს მიაღწევს (მაგალიათად საპენსიოს), როდესაც აქტიურად ვეღარ იმუშავებს და ამის გამო მისი მატერიალური მდგომარეობა გაუარესდება. ბუნებრივია, რომ პიროვნებამ წინასწარ, აქტიური შრომის პერიოდის განმავლობაში უნდა იზრუნოს მომავალზე და სწორედ ამგვარი ზრუნვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა ისეთი სიცოცხლის დაზღვევის შეძენა, რომლის პირობების თანახმად ხანდაზმულ ასაკს

მიღწეული დაზღვეული საკმაოდ სოლიდურ თანხას მიიღებს. ეს თანხა შეიძლება ერთიანად იყოს მიღებული ან განვადებით. ამ შემთხვევაში საქმე ფაქტიურად ე.წ. კერძო საპენსიო სქემასთან გვექნება. სამწუხაროდ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ დაზღვეული ვერ მიაღწევს წინასწარ დათქმულ (მაგალითად საპენსიო) ასაკს. იმისათვის, რომ სადაზღვევო დაფარვა ამ შემთხვევაშიც იყოს უზრუნველყოფილი, ასაკის მიღწევაზე დაზღვევას გრძელვადიან სიცოცხლის დაზღვევასთან აერთიანებენ. გაერთიანების შედეგად მიიღება შერეული დაზღვევა, რომელსაც გრძელვადიან დაგროვებად სიცოცხლის დაზღვევას უწოდებენ და რომელიც უზრუნველყოფს სადაზღვევო დაფარვას, როგორც დაზღვეულის მიერ გარკვეული ასაკის მიღწევის, ასევე ამ ასაკის მიღწევამდე გარდაცვალების შემთხვევაში. ასაკის მიღწევაზე დაზღვევის შემთხვევაში, როდესაც შენატანები გაცილებით უფრო სოლიდურია, მათი ინვესტირება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ხელშეკრულების დადებისას განისაზღვება ე.წ. წლიური გარანტირებული საპროცენტო განაკვეთი და სადაზღვევო კომპანია ვალდებულია დაზღვეულის დანაგროვს ყოველწლიურად დაარიცხოს ამ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისი თანხა. ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. ხანგრძლივი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ადამიანს შეიძლება შეეცვალოს გეგმები და გარკვეული თანხა სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია მას ამ მომენტისათვის დაგროვებულ თანხას თითქმის მთლიანად დაუბრუნებს. დამზღვევს ასევე შეუძლია ისესხოს საჭირო თანხა კომპანიისაგან (თუ ეს თანხა დანაგროვს არ აღემატება), ანუ არ შეწყვიტოს დაზღვევა და სესხი გარკვეული დროის შემდეგ დააბრუნოს. დამზღვევს ასევე შეუძლია სხვაგან ისესხოს საჭირო თანხა და გარანტად სადაზღვევო პოლისი გამოიყენოს.

როგორც ვხედავთ სიცოცლის დაზღვევა კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ მიმზიდველ და სადაზღვევო დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ განვითარებულ ქვეყნებში იშვიათია ადამიანი, რომელსაც ამგვარი დაზღვევა არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კალანდაძე ლ., ცერცვაძე ა., დავითაშვილი ლ., სადაზღვევო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1998.
2. Peter Koch, Hubert Holthausen, Werner Cristofolini, Matthias Gebhardt. //insurance business\ chapter II. 2000.

არჩილ ცერცვაძე

სიცოცხლის დაზღვევის მნიშვნელობა და თავისებურებანი

რეზიუმე

მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევას სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ. ადამიანი შეიძლება უეცრად გარდაიცვალოს და მარჩენალს მოკლებული ოჯახის ცხოვრების დონე დაეცეს. ამ რისკის ასაცილებლად მას შეუძლია შეიძინოს სიცოცხლის დაზღვევა, რათა მისი გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახმა მიიღოს ფულადი ანაზღაურება; დიდი ხარჯის გაწევისას მყიდველს ურჩევნია ბანკიდან სესხის აღება, ვიდრე ერთბაშად თანხის გაღება. შესაძლებელია, რომ სესხის ამღები გარდაიცვალოს და სესხის ნაწილი დაუფარავი დარჩეს. ამ დროს გამოიყენება მოკლევადიანი საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა; ორგანიზაციაში არიან საკვანძო პიროვნებები, რომელთა გარდაცვალებამ ორგანიზაციას შეიძლება ზარალი მოუტანოს. ამ შემთხვევაში გამოიყენება საკვანძო პიროვნების სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა; მოკლევადიანი სიცოცხლის დაზღვევის ჯგუფური ვარიანტი გამოიყენება ისეთ დაწესებულებებში, სადაც ბევრი დასაქმებული მუშაობს.

გრძელვადიან სიცოცხლის დაზღვევას იგივე დანიშნულება აქვს რაც მოკლევადიანს, ოღონდ ამ შემთხვევაში სადაზღვევო პერიოდი დიდია – 20, 30 ან 40 წელი. უვადო სიცოცხლის დაზღვევა გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევის ზღვრულ ფორმას წარმოადგენს. იგი დაზღვეულის გარდაცვალების მომენტამდე მოქმედებს,

ადამიანს შეუძლია ივარაუდოს თუ როდის მოუწევს ხარჯის გაწევა. მაგ., შვილის უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას, შვილის 20-25 წლის ასაკში დაოჯახებისას, 60 ან 65 წლის ასაკიდან პენსიაში გასვლისას და სხვ. ამისათვის გამოიყენება ე.წ. ასაკის მიღწევაზე დაზღვევა.

შესაძლებელია დაზღვეულმა ვერ მიაღწიოს დათქმულ (მაგალითად საპენსიო) ასაკს. ამიტომ ასაკის მიღწევაზე დაზღვევას გრძელვადიანი სიცოცხლის დაზღვევასთან აერთიანებენ და მიიღება შერეული სიცოცხლის დაზღვევა.

Archil Tsertsvadze

Essentials and Importance of Life Insurance

Summary

Short term life insurance is used for different reasons. Person may die suddenly and low-income family's life can be at risk. In order to avoid this risk, one can buy a life insurance, and in case of his death, his family receives the insurance sum; in order to pay a huge amount of money, a person prefers to take a credit from the bank. But there is chance that the person who takes a credit, will die. In such a case, short term credit life insurance is used; in some organizations there are chief employers, whose death can seriously harm the employer's organization. In this case employers use short term life insurance. The organizations with large numbers of employers are using group life insurance.

Long term life insurance can be used the same way except that it has a period of 20, 30 or 40 years. Permanent life insurance continues until the death of insured person.

An Individual can guess when he/she will need a payment. For example: when children go to university, when children will get married around 20-25 years of age, when approx.60-65 a person can be retired and etc. For such a type of cases age achieving insurance can be used. There is a chance that insured person won't reach the age, he/she was insured. In those cases, age achieving insurance and long term insurance can be mixed. As a result, the mixed life insurance can be obtained.

Арчил Церцвадзе

Значение и особенности страхования жизни

Резюме

Кроткосрочное страхование жизни используют для разных целей: человек может неожиданно умереть и жизненный уровень его семьи, оставшейся без кормилица упасть. Во избежание этого риска он может приобрести страхование жизни, чтобы семья после его смерти могла получить денежную выплату. При больших затратах, покупателю лучше взять кредит из банка, чем заплатить сразу большую сумму. Возможно, что из-за смерти покупателя часть кредита останется неоплаченным, в этом случае используется краткосрочное кредитное страхование жизни; В больших организациях работают ключевые работники, преждевременная кончина которых приносит ущерб этим организациям. В этих случаях используется кратковременное страхование жизни ключевых работников.

Долгосрочное страхование жизни имеет такое же назначение как краткосрочное, но в этом случае период страхования длительный – 20, 30 или 40 лет. Бессрочное страхование жизни является ограниченной формой долгосрочного страхования жизни, которая действует до момента смерти застрахованного.

Человек может предположить определенные затраты, как например поступление детей в высшее учебное завидение, обеспечение пенсии в старости и т.д.. Для этого используется страхование на достижение определенного возраста. Возможно, что застрахованный не достигнет указанного возраста (например: пенсионного), поэтому страхование на достижение определенного возраста объединяют с долгосрочным страхованием жизни и получается смешанное страхование жизни.

გიორგი ხანთაძე

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კომერციული ბანკის ფინანსური დაგეგმვისა და ბიუჯეტირების საკითხები

კომერციულ ბანკში ფინანსური დაგეგმვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენს აქტივები, პასივები, საბანკო მომსახურების პორტფელი, მასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები. ფინანსურ გეგმაში, რომელიც შედგება ერთი მხრივ აქტივების, პასივების, მომსახურების პორტფელის გეგმისაგან, შემოსავლებისა და ხარჯების გეგმისაგან, ხოლო მეორე მხრივ, მასში ასახვას პოულობენ კომერციული ბანკის როგორც სამეწარმეო, ასევე, პორტფელური ფუნქციებიც.

ფინანსების მართვის ძირითადი ამოცანაა აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის მეშვეობით ბანკის ღირებულების მაქსიმიზაციის განხორციელება, რომელიც ბანკის მიერ განხორციელებადი ოპერაციების მომგებიანობითა და რისკის ხარისხით ხასიათდება.

ბანკის პოლიტიკის მიზანს ფინანსების მართვასთან მიმართებაში, რომელიც მისი საფინანსო სამსახურის მიერ ხორციელდება, წარმოადგენს რისკების თითოეული ტიპისათვის ზღვრების, სალიმიტო პარამეტრების მკაცრი დადგენის მეშვეობით ფინანსური რისკების ეფექტიანად მართვის მკაფიო პროცესის ორგანიზაცია, რომლის დაცვა ყველა ქვედანაყოფისათვის მკაცრად სავალდებულოა.

ბანკის ფინანსური პოლიტიკის მიზანია:

1. სტრატეგიული და საშუალოვადიანი ფინანსური დაგეგმვა (ბიუჯეტების შედგენა და შესრულება);
2. აქტივებისა და პასივების ოპერატიული მართვა;
3. ბანკის სალიმიტო პოლიტიკის ფორმირება;
4. ბანკის ერთიანი საინფორმაციო-ანალიტიკური სივრცის შექმნა.

ბანკის საფინანსო სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა მმართველობითი პროცესის კლასიკური კომპონენტების: ანალიზი-დაგეგმვა-მარეგულირებელი ზემოქმედების ფორმირება-აღრიცხვა და კონტროლი, თანმიმდევრულ რეალიზაციას უნდა უწყობდეს ხელს. გარდა ამისა, ფინანსური სამსახურის სტრუქტურა მართვის ობიექტის თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს. ბანკის ფინანსების მართვა არის რისკების მართვა, რომლებსაც დროითი მახასიათებლები გააჩნიათ. სხვადასხვა დროითი დიაპაზონები ანალიზისა და პროგნოზის განსხვავებულ მიდგომასა და მეთოდს მოითხოვენ. ყველა რისკი შეიძლება სამ დროით ინტერვალზე დაიყოს (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი).

ცხრილი

რისკების ტიპები დროით ინტერვალთან დამოკიდებულებაში

დროითი სარისკო პერიოდი	**რისკის ტიპი**	**ანალიზის თავისებურებები**
მოკლევადიანი რისკი (1 თვემდე)	მყისიერი ლიკვიდობის დაკარგვის რისკი; მიმდინარე საპროცენ-ტო და სავალუტო რისკი; საკრედიტო რისკი.	საკვლევი პარამეტრების მაღალსიხშირიანი რყევების შეფასება
საშუალოვადიანი რისკი (1-თვიდან 1 წლამდე)	კაპიტალის საკმარისო-ბის შემცირების რისკი; საშუალოვადიანი ლიკვიდობის დაკარგვის რისკი; საშუალოვადიანი პროცენტული და საკურსო რისკი; საკრედიტო რისკი.	საშუალოვადიანი ტენდენციების (ტრენდების) გამოვლენა და შეფასება.
გრძელვადიანი რისკი (ერთ წელზე ზევით)	კაპიტალის საკმარისო-ბის შემცირების რისკი; გრძელვადიანი საპრო-ცენტო და სავალუტო რისკი; საკრედიტო რისკი	საგარეო ეკონომიკური ბაზრის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის შესახებ მონაცემების ანალიზში გამოყენება

აქტივებისა და პასივების ოპერატიული (მიმდინარე) მართვიდან სტრატეგიულზე (საშუალო და გრძელვადიანზე) გადასვლისას თვით მართვის ობიექტი იცვლება. უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში საჭიროა ცალკეული გარიგების განხილვიდან გადასვლა განხორციელდეს ბანკის საქმიანობის სფეროების, მისი მასშტაბებისა და შესაძლო ფინანსური შედეგების ანალიზსა და რეგულირებაზე.

კომერციულ ბანკში დაგეგმვის საკითხებს საფინანსო სამსახური ახორციელებს. ბანკის საფინანსო სამსახურის ძირითად ამოცანებს საშუალოვადიან პერსპექტივაში წარმოადგენს:

- გარემოებების განვითარების სხვადასხვა ვარიანტის ანალიზი და პროგნოზირება;
- საქმიანობის ფინანსური შედეგების მომავალი პერიოდისათვის და დასახული შედეგების მისაღწევად საჭირო რესურსების დაგეგმვა.

თვით კვლევის ობიექტის შეცვლა აუცილებლად მისი კვლევის მეთოდების შეცვლასაც მოითხოვს. საშუალოვადიან პერსპექტივაში საბანკო პორტფელის მოთხოვნისა და ვალდებულებების ძირითადი პარამეტრების ტენდენციების გამოვლენისა და შეფასების ამოცანა პირველი რიგის ამოცანაა, რომლის ფორმირება „გაშუალებული კაპიტალის ბალანსის“ აგების პრინციპების გარკვეული მოდიფიკაციის საფუძველზე ხორციელდება. კერძოდ,

- ბანკის ყველა აქტივი მუშად და არამუშად დაიყოფა;
- პასივები დაიყოფა საკუთრად და მოზიდულებად;
- მოზიდული და განთავსებული რესურსების მოცულობები განიხილება არა კონკრეტული თარიღის შესაბამისად, არამედ როგორც გასაშუალოებულად ანალიზურ (ან გეგმურ) პერიოდში;
- განთავსებული და მოზიდული რესურსების მიბმა ხორციელდება მიღებულ შემოსავლებთან და განხორციელებულ ხარჯებთან.

ასეთი მიდგომა დაბანდების თითოეული ჯგუფის მიხედვით საშუალო შემოსავლიანობის, სავალდებულო დარეზერვების ფონდში ანარიცხების გათვალისწინებით მოზიდული რესურსების საშუალო თვითღირებულების, აგრეთვე, ბანკის ზარალის გარეშე მუშაობის შესაძლებლობის მომცემი ნულოვანი შემოსავლიანი მარჟის გაანგარიშების საშუალებას იძლევა. აღნიშნული გაანგარიშებები მიზანშეწონილია რეგულარულად ხორციელდებოდეს, რადგანაც სარესურსო ბაზის თვითღირებულება და ბანკის ნულოვანი მარჟა პორტფელის სტრუქტურის სამომავლოდ ფორმირებისათვის მნიშვნელოვან ამოსავალ პარამეტრებს წარმოადგენენ.

საბანკო პორტფელი შეკრულ სისტემად იქცევა, რომელშიც ერთი სახის პარამეტრების ცვლილება საჭიროებს სხვების შესაბამის რეგულირებას. მოცემული მარტივი მოდელი პრაქტიკაში დროის თანმიმდევრული პერიოდებისათვის ფაქტიური პორტფელების ძირითადი პარამეტრების საკმაოდ წარმატებულად შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ბანკის რესურსების ძირითად წყაროებს, ჩვეულებრივად, კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშებზე სახსრების ნაშთები წარმოადგენს. თუმცა, დროის სხვადასხვა მომენტში საკლიენტო ანგარიშების ნაშთების მოცულობები შეიძლება ძლიერ ვარირებდეს. საშუალოვადიანი მართვის მიზნებისათვის, ფინანსურმა მენეჯერმა საკმარისია იცოდეს, თუ მომავალ პერიოდში, საშუალოდ, კლიენტების სახსრების რა მოცულობა არის მოსალოდნელი. რესურსების სამომავლო მოცულობების შეფასებისათვის სავსებით მისაღებია ექსტრაპოლაციის, ანუ წარსულში ჩამოყალიბებული ტენდენციების სამომავლო ვარაუდების მეთოდი. ასეთი პროგნოზის შედეგები საკმაოდ კორექტულია იმ შემთხვევისათვის, თუ რიგი რეალური მონაცემები, როგორც მინიმუმ, საპროგნოზო პერიოდზე ორჯერ უფრო ხანგრძლივია.

მომავალი პარამეტრების პროგნოზული შეფასების შესახებ საკითხი ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორში მეტად რთული და არაერთგვაროვანია, განსაკუთრებით, ისეთი არამდგრადი, არასაკმარისად სიმწიფის ბაზრის პირობებში, როგორიცაა საქართველოს ბაზარი. თუმცა, ზემოთ წარმოდგენილი მოდელით შესაძლებელია:

- სხვადასხვა სცენარის მიხედვით საგარეო გარემოს სხვადასხვა საპროგნოზო პარამეტრის ჩადებით გაანგარიშებების ჩატარება;
- საბანკო პორტფელის ჩამოყალიბებული სტრუქტურის შესაძლო პლუსებისა და მინუსების შეფასება;
- სასურველი შედეგების მიღწევისათვის პორტფელის სტრუქტურაში საჭირო ცვლილებების გატარების განსაზღვრა.

როდესაც გარემოებების განვითარების შესაძლო ვარიანტებია განხილული, ოპტიმალური (გარკვეული პარამეტრების მიხედვით) პორტფელია განსაზღვრული და ყველა არადამაკმაყოფილებელი ვარიანტია უარყოფილი, მაშინ პროგნოზული პორტფელი გეგმური (საბაზო) ხდება მომავალი პერიოდისათვის.

გეგმური პორტფელის მოთხოვნილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე ბანკის ბიუჯეტი (მისი შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვა) აიგება, რომლის გეგმა-ფაქტის რეჟიმში დაცვა მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს წარმოშობილი გადახრების მიზეზების გამოვლენით და მათი აღმოფხვრით.

საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გეგმური პორტფელი და ბიუჯეტი საერთო-საბანკო ხარჯების ხარჯთაღრიცხვით შეივსება. ბანკის რენტაბელური მუშაობისათვის გეგმურ პერიოდში საერთო-საბანკო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა აუცილებლად ნაშთის პრინციპის მიხედვით უნდა ფორმდებოდეს, ანუ იმ მოსალოდნელი საოპერაციო შემოსავლებიდან გამომდინარე, რომლებიც საოპერაციო ხარჯების დაფარვის შემდეგ რჩება. საერთო-საბანკო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა მოიცავს შემდეგ ძირითად მუხლებს:

- შრომის ანაზღაურება და არასაბიუჯეტო ფონდებში ანარიცხები;
- გადასახადები, რომლებიც დანახარჯების შემადგენლობაში ჩაირთვება;
- შენობის, ინვენტარის, ტრანსპორტის შენახვაზე და მიმდინარე რემონტზე ხარჯები;
- ამორტიზაცია;
- სატელეკომუნიკაციო, საფოსტო, სატელეგრაფო ხარჯები;
- დანარჩენი ხარჯები.

ბანკის საერთო ბიუჯეტი არის საბუთი, რომელიც მხოლოდ გამსხვილებულ პოზიციებს მოიცავს. ისევე როგორც ბანკის ერთობლივი პორტფელი შედგება ქვედანაყოფების (ბიზნეს-ცენტრების) ლოკალური პორტფელების სისტემისაგან, ბანკის საერთო ბიუჯეტიც (ბიუჯეტირების პროცესი) ყალიბდება ქვედანაყოფების ქვებიუჯეტების სისტემისაგან. აქ შეიძლება ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის შემდეგი ძირითადი ქვებიუჯეტები გამოიყოს: ბანკის ხაზინის ქვებიუჯეტი (დილინგური ოპერაციები), საკრედიტო სამმართველოს ქვებიუჯეტი და ა.შ.

ბიუჯეტირებისა და ფინანსური დაგეგმვის პროცესები წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს, სტრატეგიული დაგეგმვის, აქტივებისა და პასივების მართვის ინსტრუმენტს, აგრეთვე, ბანკის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის მომზადების ნაწილს.

ბიუჯეტირების სისტემის ძირითადი პრინციპები: ბიუჯეტირების პროცესი ბანკის საქმიანობის დაგეგმვის, კონტროლის, შეფასების შედეგების ეფექტიანი ინსტრუმენტის, ინფორმაციული გაცვლისა და მისი ქვედანაყოფის მუშაობის კოორდინაციას უნდა უზრუნველყოფდეს.

როგორც წესი, ბანკის ბიუჯეტი ყალიბდება ერთი წლის პერიოდით, კვარტალური დაყოფით. თუმცა, თანამედროვე პერიოდში ფინანსური სიტუაციის არასტაბილურობისას ბიუჯეტირების ინსტრუმენტი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ბანკის წინაშე მდგარი მოკლევადიანი პერსპექტივების გადასაწყვეტად. მიმდინარე ბიუჯეტის შესადგენად ოპტიმალური ვადა 1 თვეა. ბიუჯეტირების ინსტრუმენტი შეიძლება, ასევე, ბანკის ფინანსური გაჯანსაღების გეგმის შემუშავებისას და რეალიზაციისას იქნეს გამოყენებული.

ბიუჯეტირების სისტემის აგებისას საჭიროა რეგულარულად განხორციელდეს წინა და მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი, რომლებსაც პროგნოზის რეალობაზე ზემოქმედების განხორციელება შეუძლიათ.

ბიუჯეტირების მოდელების შემუშავება ითვალისწინებს ანგარიშგების ისეთი უნიფიცირებული ფორმების გაფორმებას, როგორებიცაა:

- ანგარიშგება რესურსების მოზიდვისა და განთავსების შესახებ, რომლის საფუძველზე საპროგნოზო ბალანსი აიგება;
- უშუალო საპროგნოზო ბალანსი;
- ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ;
- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

კომერციულ ბანკში ბიუჯეტირების მოდელი ითვალისწინებს სხვადასხვა საკითხის დამუშავებას. ესენია:

- შიდასაბანკო მმართველობითი აღრიცხვის კონცეფცია;

- ბანკის აქტივებისა და პასივების (მოცულობებისა და ვადების მიხედვით) ანალიზი;
- შემოსავლებისა და ხარჯების (სუფთა პროცენტული მარჟის) ანალიზი;
- ბანკის ქვედანაყოფებისა და საქმიანობის ცალკეული მიმართულების ანალიზი, საბანკო პროდუქტების თვითღირებულებისა და კლიენტების რენტაბელობის შეფასების ანალიზის ჩათვლით;
- საქმიანობის თითოეული მიმართულების მიხედვით შეფასება, კონტროლი და მონიტორინგი;
- ბიზნეს-დაგეგმვა და ბიუჯეტირება მმართველობითი აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის საერთო სისტემის კონტექსტში.

ბანკის ქვედანაყოფის ბიზნეს-დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სისტემის აგება ითვალისწინებს რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს და მოიცავს:

ა) ქვედანაყოფების მიერ განხორციელებადი ოპერაციების, მიღებული შემოსავლებისა და საბალანსო ანგარიშების მიხედვით გაწეული ხარჯების აღრიცხვის ორგანიზაციას;

ბ) ქვედანაყოფის მუშაობის ღონისძიებებისა და გეგმური მაჩვენებლების შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაციას.

ბიზნეს-გეგმის ფორმირების ძირითადი პრინციპებია:

1. სიღრმისეული ანალიზი საწყისი სიტუაციის, მიღწეული შედეგების, ძლიერი და სუსტი მხარეების;
2. შიდა რეზერვების გამოვლენა შემოსავლების ამაღლებასთან ან ხარჯების შემცირებასთან მიმართებაში;
3. ბიზნეს-ცენტრის შრომის შედეგებზე უფლებამოსილების და ვალდებულების მკვეთრი განსაზღვრა;
4. შერჩეული სტრატეგიის ბანკის განვითარების სტრატეგიასთან მთლიანობაში ოპტიმალური შეხამება;
5. დაგეგმვაში მრავალვარიანტული მიდგომის გამოყენება.

ბიზნეს-გეგმის ძირითადი განაყოფებია:

1. ბიზნეს-ცენტრის დახასიათება;
2. მიღწეული შედეგების ანალიზი;
3. მიზნები და ამოცანები;
4. განვითარების სტრატეგიის დასაბუთება;
5. ღონისძიებების გეგმა;
6. პროგნოზული ბალანსი;
7. შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვა, ანუ ბიუჯეტი;
8. დასკვნები და წინადადებები.

ამოცანები გეგმურ პერიოდზე შეიძლება შემდეგი სახით იქნეს წარმოდგენილი:

- რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- მუშაობის ახალი მიმართულებები;
- ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება და პერსონალის მართვის ეფექტიანობის ამაღლება;
- რენტაბელობა (მოგების ცენტრებისათვის);
- შემოსავლების გადიდება ან ხარჯების შემცირება (მომსახურებების ცენტრებისათვის).

დამტკიცებული სტრუქტურული ამოცანებისა და შემუშავებული ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, თითოეული ბიზნეს-ცენტრი ადგენს ბიუჯეტს. ის არის გეგმიური პერიოდის მიხედვით რაოდენობრივი მაჩვენებლები ღირებულებით განზომილებაში, რომლებიც თავს იყრის შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებში.

ბანკის ბიზნეს-ცენტრების მიხედვით ბიუჯეტის აგების საერთო პრინციპები შეიძლება შემდეგზე იქნეს დაყვანილი:

1. ბიუჯეტირების სისტემის განხორციელება ყველა ბიზნეს-ცენტრის მიხედვით;
2. შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელიც ამა თუ იმ ბიზნეს-ცენტრს მიეკუთვნება, ამასთან, იმ შემოსავლებისა და ხარჯების მაქსიმალური

აღრიცხვის უზრუნველყოფა, რომელთა სიდიდეზე ბიზნეს-ცენტრს უშუალოდ ზემოქმედება შეუძლია;

3. შიდა (ტრანსფერული) ფასწარმოქმნის სისტემის დანერგვა მოგებისა და მომსახურების ცენტრების ეფექტიანი მუშაობის შეფასებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხანთაძე გ., ცაავა გ. საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო), თბ.; 2012.
2. Clifford Gomez.;-Banking and Finance-Theory, Law and Practice.;-PHI Learning Private limited, New Delhi.; 2013.
3. Benton E. Gup.;-Banking and Financial Institutions;-A Guide for Directors, Investors, and Counterparties.;-Publ. by John Wiley & Sons Inc., Hoboken, New Jersey.; 2011.

გიორგი ხანთაძე

კომერციული ბანკის ფინანსური დაგეგმვისა და ბიუჯეტირების საკითხები

რეზიუმე

კომერციულ ბანკში ფინანსური დაგეგმვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენს აქტივები და პასივები, საბანკო მომსახურების პორტფელი და მასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები.

ფინანსების მართვის ძირითადი ამოცანაა აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის მეშვეობით ბანკის ღირებულების მაქსიმიზაციის განხორციელება, რომელიც ბანკის მიერ განხორციელებადი ოპერაციების მომგებიანობითა და რისკის ხარისხით ხასიათდება.

ბიუჯეტირებისა და ფინანსური დაგეგმვის პროცესები წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს, სტრატეგიული დაგეგმვის, აქტივებისა და პასივების მართვის ინსტრუმენტს, აგრეთვე, ბანკის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის მომზადების ნაწილს.

Giorgi Khantadze

Financial Planning and Budgeting of Commercial Bank

Summary

The main objects of financial planning in the commercial bank are the assets and liabilities, portfolio of banking services and its related income and expenses.

The main task of the financial management is to maximize the value of the bank, through integrated management of assets and liabilities, which is characterized by ongoing profitability of bank operations and risk levels.

Processes of budgeting and financial planning are integral parts of financial management, also they are management tools of strategic planning and asset and liability, as well as parts of the preparation of information for decision-making by the bank management.

Гиорги Хантадзе

Вопросы финансового планирования и бюджетирования коммерческого банка

Резюме

В коммерческом банке основными объектами финансового планирования являются активы и пассивы, портфель банковских услуг и связанные с ним доходы и расходы.

Основная задача финансового управления - осуществление максимизации стоимости банка посредством комплексного управления, которое характеризуется прибыльностью осуществляемых банком операций и уровнем риска.

Процессы бюджетирования и финансового планирования являются неотъемлемыми частями финансового менеджмента, инструментами стратегического планирования, управления активами и пассивами, а также частями подготовки информации для принятия решения руководством банка.

ავთანდილ ზედგინიძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ქართული თხილი ყოველწლიურად გადის ევროპისა და აზიის ბაზრებზე და ქვეყნის საექსპორტო ხუთეულშიც დაიმკვიდრა საპატიო ადგილი. თუ ადრე თხილის კულტურის წარმოებას, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყის პერიოდში განუზომლად გაიზარდა თხილზე მოთხოვნილება როგორც საშინაო, ისე მსოფლიო ბაზარზე.

თხილს (Corylus Pontica) კაკლოვან კულტურებს შორის თავისი სამეურნეო მნიშვნელობით ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს, რაც განპირობებულია თხილის ნაყოფში ცხიმების, ცილების, შაქრების, ვიტამინებისა და სხვათა შემცველობით. კალორიულობის მიხედვით თხილის გული 2-3-ჯერ აჭარბებს ხორბალს, რძეს – 8-ჯერ, ცხიმის შემცველობა ნაყოფში 60-70%-მდე აღწევს, ხოლო გულის გამოსავლიანობა კულტურულ ჯიშებში 40-55%-მდე მერყეობს.

თხილი ერთ-ერთი უძველესი კულტურაა. მისი ნაჭუჭი ნაპოვნია არა მარტო რკინისა და ბრინჯაოს, არამედ ქვის ხანაში. შვეიცარიაში 1860 წ. აღმოჩენილ იქნა თხილის მცენარის ნაშთები, რომელიც 6 ათასზე მეტი წლის წინათ არსებობდა. ცნობილია ისიც, რომ მითოლოგები მას უძლიერესი ძალის მცენარედ თვლიდნენ. საქართველოში თხილის კულტურას უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში ქართველური ტომები აშენებდნენ გარეული თხილის ფორმებს, რომელთა ბუნებრივი ჰიბრიდიზაციის და შერჩევის შედეგად წარმოიშვა გარემო პირობებს შეგუებული, მაღალმოსავლიანი თხილის ჯიშები.

დღეისათვის საქართველოში გავცრელებულია თხილის რამდენიმე ათეული აბორიგენული ჯიშის სახელწოდება: შველისყურა, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და სხვ. კერძოდ, გურიაში გავრცელებულია: გულშიშველა, შველისყურა, ჩხიკვისთავა, საივანობო, ბალები-დედოფლის თითი, ხაჭაპურა, ნემსა, ცხენის ძუძუ, ტრაპეზუნდი, ბერძნული თხილი. სამეგრელოში: ფუთქურამი, ხოჯითხილი, შველისყურა, ბალები – დედოფლის თითი, ტრაპეზუნდი, კუდრიავიჩკი, ჩერქეზული, აფხაზური წვრილი. იმერეთში: ბალები-დედოფლის თითი, ხაჭაპურა, ნემსა, ვანის წითელი, ტრაპეზუნდი, ბერძნული თხილი. ქართლსა და კახეთში: კერასუნდის გრძელი, ათაბაბა, ბელასანის, ხაჭაპურა, კუდრიავჩიკი, ფურფულაკი.

გარდა ადგილობრივი ჯიშებისა, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1957-2000 წლებში შემოიტანა თხილის ორმოცდაათამდე პერსპექტიული ჯიში, რომელთაგან ზოგიერთმა (ათა-ბაბა, ბარსელონა და სხვ.) საქართველოს პირობებში კარგი შედეგები აჩვენა როგორც პროდუქტიულობის, ასევე ნაყოფის სასაქონლო ხარისხის თვალსაზრისით. პერსპექტივაში რეალურია, ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვით, თხილის მოსავლიანობისა და ხარისხის გაუმჯობესება.

ქართული თხილის აბორიგენულ ჯიშებს გარკვეული უპირატესობა აქვს მსოფლიოში (ჩრდილო ამერიკაში, ევროპასა და მცირე აზიაში, აღმოსავლეთ აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) გავრცელებული თხილის სახეობებთან შედარებით. კერძოდ, ქართული თხილის ძლიერი ფესვთა სისტემა ხელს უწყობს მცენარეებს, რომ ყველა საჭირო საკვები ნივთიერება საკმაო რაოდენობით მოიძიონ ნიადაგში. ამიტომ, ნიადაგის გასანოყიერებლად, ფაქტობრივად, ქიმიურ სასუქებს არ იყენებენ, თხილის ადგილობრივი ჯიშები მეტწილად მდგრადია დაავადებების მიმართ, რის გამოც საქართველოში პრაქტიკულად არ იყენებენ შხამქიმიკატებს. აქედან გამომდინარე, ქართულ თხილში იმაზე ბევრად მცირეა მავნე ნივთიერებათა შემცველობა ვიდრე, ეს დაშვებულია საკმაოდ მკაცრი საერთაშორისო სტანდარტებით. საქართველოში გავრცელებული თხილი მაღალი სასაქონლო თვისებებითა და კონკურენტუნარიანობით ხასიათდება. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპერტო პროდუქციაა, რომლის რეალიზაცია არ არის

დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე და იგი ძირითადად ევროპაში იყიდება.

თხილის კულტურა, თავისი ეკონომიკური დანიშნულებით, დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც ყურადღების ცენტრშია, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მისი ნაყოფის, მერქნის, ფესვების, ყვავილების მრავალმხრივი გამოყენებით. ყველა ამ სასარგებლო რესურსების საბაზრო ღირებულება იცვლება სახეობის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ნიადაგურ-კლიმატური და სხვა პირობებისა და პარამეტრების გავლენით. თხილისაგან მზადდება მაღალი ხარისხის ისეთი საშაქარლამო ნაწარმი როგორიცაა: ნაზი არომატული ჰალვა, გოზინაყი, აგრეთვე, თხილის გულს ხმარობენ ჩურჩხულებისათვის და სხვ. თხილის ზეთი ეკუთვნის მაღალხარისხოვან ზეთებს. ბერძნულ ხალხურ მედიცინაში თხილის ზეთით მკურნალობა ცნობილია ეპილეფსიის, თმის სხვადასხვა დაავადებების დროს. თხილის ნაყოფის საბურველის ნახარში გამოიყენება მოჭარბებული სიმსუქნის, ხოლო ფოთლების ნახარში კი - სისხლის გასუფთავებისათვის, ათეროსკლეროზისა ად ღვიძლის კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

თხილის გულს იყენებენ როგორც ხმელ, ასევე ნედლად რძისებრ სიმწიფეში. თხილის გულისაგან მიღებული ფქვილი ნოყიერი საკვებია, რომელიც ინახება 1,5-2 წლამდე. მერქანი გამოიყენება როგორც სამრეწველო, ასევე საოჯახო ავეჯის დამზადების საქმეში. მისგან ამზადებენ ხელსაწყოებს, წვრილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს: ნიჩბებს, ფიწლებს, ფოცხებს. ახალგაზრდა მერქნისაგან წნავენ კალათებს, კასრის სალტეებს, შემოაწნავენ ბოთლებს, აკეთებენ ღობეებს და სხვ. თხილის მერქნის წვის შედეგად მიღებული ნახშირი გამოიყენება ხატვა-ხაზვის საქმეში, ხოლო ნაჭუჭის ნამწვრიდან მიღებული აქტივიზირებულ ნახშირს იყენებენ სხვადასხვა ხსნარებისა და ფეთქებადი ნივთიერების დასამზადებლად, აგრეთვე, ცალკეული საგნების მოსაპირკეთებლად და სხვ.

თხილის ბუჩქი ინვითარებს მძლავრ და ნიადაგის ზედაპირულად გავრცელებულ ფესვთა სისტემას, რის გამოც მისი ნარგაობა ფერდობ ადგილებზე ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ნიადაგის ჩამორეცხვისაგან დაცვის საქმეში. საქართველოს ნიადაგურ–კლიმატური პირობების მრავალფეროვნება თხილის გავრცელების არეალს არ ზღუდავს. იგი კარგად ეგუება მთიან პირობებს, ფერდობებს, არ უყენებს ნიადაგებს დიდ მოთხოვნას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ყველგან და ყველა პირობებში იგი დიდ მოსავალს იძლეოდეს.

თხილის კულტურა საქართველოს პირობებში, დარაიონებული ჯიშებით ბაღების გაშენებითა და მოვლა-დამუშავების აგროღონისძიებების დაცვით, ჰექტარზე საშუალოდ იძლევა 18-20 ცენტნერს, ხოლო სარეკორდო მოსავლიანობის პირობებში იგი ზოგჯერ 26-30 ცენტრერსაც აღწევს. შედარებით დაბალია საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე თხილის მოსავლიანობა, რომელიც ერთ ბუჩქზე საშუალოდ 8-10 კგ-ის ფარგლებში მერყეობს.

პროფ. ი. აბაშიძის (1985 წ.) გამოკვლევებით საქართველოს ტყეებში გავრცელებულია 6 სახეობის თხილი, დანარჩენი სახეობები კი ეგზოტიკური წარმოშობისაა. 1980-1990-იან წლებში საქართველოს ტყეებში მთლიანად ყოველწლიურად ამზადებდნენ 50-60 ტონა თხილს, რომლის რეალიზაცია ხდებოდა მაღაზია „ტყის-ნობათის“ მეშვეობით. ამავე დროს, ქვეყნის შიდა ბაზარზე იყიდებოდა მოსახლეობის კერძო ბაღებში მოგროვილი კულტურული თხილი. საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „საქსტატის“ 2012 წლის მონაცემებით თხილის ბაღების ფართობი რეგიონების მიხედვით (ყველა კატეგორიის მეურნეობებში, ათასი ჰა) ასეთ სურათს იძლევა:

საქართველოში თხილის კულტურათა ნარგავების ფართობი
2012 წ. /ათ. ჰა/

რეგიონი	ფართობი /ათ. ჰა/	%-ში
საქართველოში ს უ ლ	22,57	100
მათ შორის: აფხაზეთის არ	-	
აჭარის არ	0,6	2,66
სამეგრელო ზემო სვანეთი	11,8	52,3
გურია	4,8	21,3
იმერეთი	1,5	6,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,3	1,4
შიდა ქართლი	0,2	0,9
მცხეთა-მთიანეთი	0,2	0,9
კახეთი	2,8	12,4
ქვემო ქართლი	0,25	1,1
სამცხე ჯავახეთი	0,12	0,5

ამჟამად თხილის კულტურას საქართველოში 22,57 ათასი ჰექტარი უკავია. მათ შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე (52,3%, ანუ 11,8 ათასი ჰა). ასევე მაღალი ხვედრითი წილი უკავია გურიის (21,3%), კახეთისა (12,4%) და იმერეთის (6,6%) რეგიონებს.

FAO-ს მონაცემებით საქართველო, თხილის კულტურით დაკავებული ფართობის მიხედვით, მსოფლიოში მეოთხე-მეხუთე ადგილზეა თხილის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის (თურქეთი, იტალია, აზერბაიჯანი, ესპანეთი). იგი წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორიცაა იაპონია, აშშ და ჩინეთი. საქართველოში მეტად ხელსაყრელი პირობებია თხილის კულტურის ეკოპროდუქციის მიღებისა, რაც უფრო გაზრდის ამ პროდუქციით როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიო ბაზრის დაინტერესებას. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ხალხური სელექციის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა ამ უძვირფასესი კულტურის გარკვეული ფორმები, როლებიც ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით მსოფლიოს აღიარებულ ჯიშებს არ ჩამოუვარდება. ასე მაგალითად: **ანაკლიური-ფუთქურამი**, ანაკლიური ჯიშია, რომელიც მიღებულია ხალხური სელექციის შედეგად. იგი გავრცელებულია ზუგდიდისა და გალის რაიონებში და წარმოადგენს ძირითად სამრეწველო ჯიშს სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებისათვის.

ათა-ბაბა – აზერბაიჯანული ადგილობრივი, ხალხური სელექციის შედეგად მიღებული ჯიშია, რომელიც გავრცელებულია ზაქათალისა და ლაგოდეხის რაიონებში.

ბარსელონა – ამერიკული წარმოშობის სამრეწველო ჯიშია, რომელიც აღმოაჩინეს 1885 წელს ორეგონის შტატში (აშშ). იგი საქართველოში შემოტანილი 2002 წელს და ძალზე პერსპექტიული ჯიშია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოსათვის.

განჯი – აზერბაიჯანული წარმოშობისაა, მიღებულია ხალხური სელექციის შედეგად და საქართველოში შემოტანილია 1957 წელს.

გულშიშველა – ადგილობრივი სამრეწველო ჯიშია, დარაიონებულია 1966 წლიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

დედოფლის თითი – დიდი ხანია შემოტანილია თურქეთიდან, გავრცელებულია აჭარაში, აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში.

ლომბარდის თეთრი – წარმოშობილია იტალიაში და საქართველოში შემოტანილია 1960 წელს.

ნოტინგემი – ძველი ინგლისური ჯიშია და საქართველოში ცნობილია 1960 წლიდან.

მაშასადამე, საქართველოს მრავალფეროვან როგორც ენდემურ, ასევე ეგზოტიკურ სივრცეში ერთი და იგივე ჯიშის სამეურნეო ღირებულება ერთნაირი არ არის. იგი უხვ და მაღალხარისხოვან მოსავალს იძლევა ზომიერი, თბილი ჰავის პირობებში. აქტიური ტემპერატურათა ჯამი (2200-3000^0) დიდ გავლენას ახდენს როგორც მოსავლიანობაზე, ასევე მის ხარისხზე (ნაყოფის ერთგვაროვნება, ფერი, სიდიდე, წონა, ნაჭუჭის სისქე,

სიმაგრე, გულის გამოსავლიანობა, ქიმიურიციდების, ცხიმების შემცველობა და სხვ.).

თხილის ოპტიმალური განლაგების პირობებში, ერთი ჰა საშუალო წლიური მოსავალი 40-45 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. ნაყოფის წონის დანაკარგს ძირითადად ადგილი აქვს 10%-იანი საწყისი ტენიანობით შენახვის შემთხვევაში. პირველი სამი თვის მანძილზე ბუნებრივი დანაკარგი 1,12%-ა, ხოლო ერთი წლის მანძილზე შენახვისას – 1,2%. ანუ 12 კგ ერთ ტონაზე. ცხიმის შემცველობა 42,5-68,5%-ის ფარგლებში, ხოლო გულის გამოსავლიანობა 43-დან 53%-მდე მერყეობს. თხილის ნაყოფი გეგმიურ (სასაქონლო) თვისებებს ინარჩუნებს მოსავლის დროული აღებისა და პირველადი დამუშავების რეკომენდებულ პირობებში შენახვისას (2 წლის განმავლობაში).

სასაქონლო თხილმა რომ აღნიშნული დანაკარგები არ განიცადოს, ამიტომ ფერმერები ევროპისა და აზიის ბაზრებზე თხილის ექსპორტს სექტემბრიდან იწყებენ და თებერვლის მიწურულს მისი მოსავლის 80% უკვე გაყიდულია. 2012-2013 წლებში 1 კგ თხილის შესასყიდი ფასი შიდა საქართველოს ბაზარზე 3,20-3,30, ხოლო 2006-2007 წლებში 6 ლარიც კი ღირდა. მსოფლიო ბაზარზე დარჩეული თხილის ფასი 2013 წელს შემცირდა, ვინაიდან ამ დარგში თურქეთია ფასების განმსაზღვრელი. 1 კგ თურქული დარჩეული თხილი 6,30, ხოლო ქართული – 6,20-6,10 დოლარი ღირდა. ექსპორტზე უმეტესად დარჩეული თხილი გადის და ამის მიხედვით დგინდება ნაჭუჭიანი თხილის ფასიც. მას თხილის ტენიანობა და გამოსავლიანობა განსაზღვრავს. ტენიანობის დაკლებით თხილის ფასიც იზრდება. ამას შეიძლება ხელი შეუწყოს ამინდმა ან უხარისხო თხილის მოსავალმა და სხვ. თხილის ფასზე ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს. ვინაიდან 2013 წელს თხილის მოსავალი არ იყო კარგი, თხილი ნაკლები ღირდა. შარშანდელთან შედარებით, 2014 წელს ფასები მართლაც მაღალია. მაშასადამე, თხილის მოსავლის ექსპორტი ახალ წლამდე (2014 წ.) დასრულდა და ახლა 20%-ია დარჩენილი. საქართველო თხილის 99%-ს ექსპორტზე უშვებს. მსოფლიო ბაზრებზეა დამოკიდებული ქართული თხილის ექსპორტის წარმატება. თუ იქ ფასი დავარდა, ქართულით თხილის ფასიც მცირდება. ასე მოხდა 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როცა თურქეთმა თხილის ფასი საგრძნობლად შეამცირა. იმავდროულად, თხილი ძალიან ცოტაა დარჩენილი და თავმოყრილია არა გლეხების, არამედ ე.წ. დამამზადებლების ხელში, რომლებიც ელოდებიან მისი ფასის აწევას, ვინაიდან დარწმუნებული არიან რომ სეზონის ბოლოს თხილის ფასი მოიმატებს.

ქართველ მეწარმეებს არ შეუძლიათ თხილის პროდუქტის არც გაიაფება და არც გაძვირება, ვინაიდან ქართული თხილის წარმოება წელიწადში დაახლოებით 50-60 ათას ტონას შეადგენს. თურქეთში კი 600 ათასი ტონას, ხოლო იტალიაში 135-დან 150 ათას ტონამდე თხილი იკრიფება. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მსოფლიო ბაზარზე ფასს ქართული თხილი ვერ დაადგენს. ამასთან, ქართველ მეწარმეებს არ გააჩნიათ ისეთი მომხიბლავი პირობები, რომლებიც შეიძლება მათ ევროპელებს შესთავაზონ ერთადერთი უპირატესობა, რაც ქართულ თხილს შეიძლება ბაზარზე ჰქონდეს, ეს დაბალი ფასია. თურქეთში თხილს სამი თვის კონსიგნაციით ყიდიან, ქართველ მეწარმეებს კი ამის საშუალება არ აქვთ. ქართველი ფერმერები თხილს ძალიან ცუდად ინახავენ და სათანადოდ ვერ აშრობენ, რაც თხილის ხარისხს უქმნის პრობლემას – ქართულ თხილში ხშირად შეინიშნება ობი და ფარული სიდამპლე. ამიტომ, ისეთი კომპანია, როგორც „ფერერო“, ქართულ თხილს იშვიათად ყიდულობს. მას ურჩევნია თურქული ან იტალიური თხილის შესყიდვა. თხილის ხარისხი და გამოსავლიანობა, შესაბამისად, მისი ფასის პრობლემა იწყება მინდორში, სადაც მცენარეს სათანადოდ ვერ უვლიან, მერე კი აღებულ მოსავალს, როგორც საჭიროა, ვერ ინახავენ. ამიტომ, ქართული თხილის ხარისხი ხშირად დაბალია და მის მიმართ უცხოელების დამოკიდებულებაც ფრთხილია, რის გამოც ისინი გრძელვადიან კონტრაქტისაგან თავს იკავებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ი., დენდროლოგია. თბ., 1985.
2. გოგიტიძე ვ., მიროტაძე ნ., თხილის აგრობიოლოგიური ზონები საქართველოში. თბ., 2006.

3. წერეთელი გ., დუნდუა თ., თხილის გაშენება, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები. ასოციაცია „ელკანა“. თბ., 2009.
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „საქასტატის“ მონაცემები.

ავთანდილ ზედგინიძე

ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ქართული თხილის სამეურნეო მნიშვნელობა, მისი წარმოების თანამედროვე მდგომარეობა და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნა. ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოსა და მსოფლიოში თხილის გავრცელების არეალი, გაანალიზებულია ბოლო წლებში საქართველოში თხილის წარმოებისა და მსოფლიო ბაზრებზე მისი რეალიზაციის მაჩვენებლები.

Avtandil Zedginidze

Georgian Nuts in the World Market

Summary

In the work is riewed the Georgian nut’s economic significance, modern status of their production and demand in the world market are considered. The area of spread is shown in Georgia as well as all over the world. The volume of produced and exported abroad nuts is shown during the last years, considered are the realization cost indices.

Автандил Зедгинидзе

Грузинский орех на мировом рынке

Резюме

В статье рассмотрено народно-хозяйственное значение грузинского ореха, современное состояние его производства и спрос на мировом рынке. Показан ареал распространения ореха в Грузии и в мире. Указан объем произведенного за последние годы в Грузии и вывезенного за границу ореха, а также показатели стоимости его реализации.

ზურაბ ბალიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ფირმის დანახარჯები და მოგება

ფირმის დანახარჯები არის მის მიერ წარმოების ფაქტორების შეძენაზე გაწეული ხარჯების ფულადი გამოხატულება, რომელიც აუცილებელია თავისი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განსაზღვრისათვის.

დანიშნულების მიხედვით დანახარჯები იყოფა სამ ნაწილად:

– დანახარჯები პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე;
– საოპერაციო დანახარჯები. მასში შედის მარკეტინგისა და მენეჯმენტის დანახარჯები;
– არასაოპერაციო ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არ აისახება თვითღირებულებასა და საოპერაციო დანახარჯებში.

წარმოების მასშტაბისა და წარმოებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებისგან დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ მთლიან, მუდმივ და ცვალებად დანახარჯებს. წარმოებულ პროდუქციაზე მთლიანი დანახარჯები ამა თუ იმ საქონლის საწარმოებლად საჭირო ყველა დანახარჯების ერთობლიობაა, რომელიც იყოფა მუდმივ და ცვალებად დანახარჯებად.

მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება ის დანახარჯები, რომლებიც პროდუქციის მოცულობის ცვლილებასთან ერთად არ იცვლება. მათ მიეკუთვნება მმართველობითი და ადმინისტრაციული აპარატის ხარჯები, იჯარის გადასახადი, ამორტიზაცია, შენობა-

ნაგებობების შენახვისა და დაცვის ხარჯები და სხვ. ცვალებადი დანახარჯები კი წარმოებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების პროპორციულად იცვლება, რომელთაც მიეკუთვნება ნედლეულის, შრომის ანაზღაურების, ელექტროენერგიისა და სხვ. ხარჯები.

წარმოების დანახარჯებს ყოფენ გარე და შიდა ხარჯებად. გარე დანახარჯები მთლიანი ხარჯების ის ნაწილია, რომელსაც ფირმა გაიღებს გარეთ შეძენილი მატერიალური და შრომითი რესურსებისათვის. შიდა დანახარჯები კი ფირმის მთლიანი ხარჯების ის ნაწილია, რომელიც მოიცავს ფირმის საკუთარ შიდა მატერიალურ და შრომითი რესურსების ხარჯებს.

წარმოების პროცესში მონაწილეობის როლის მიხედვით ფირმის დანახარჯები იყოფა ძირითად და ზედნადებ ხარჯებად. ძირითადი დანახარჯები უშუალოდ მონაწილეობს პროდუქციის შექმნის პროცესში. ესენია: მასალები, ნახევარფაბრიკატები, შრომის ანაზღაურება და ა.შ. ზედნადები ხარჯები კი მოიცავს წარმოების პროცესისა და დანადგარების მომსახურების, ფირმისა და საერთო-საქარხნო პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებს.

პროდუქციის თვითღირებულებაში ჩართვის მეთოდის მიხედვით დანახარჯები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) დანახარჯებად. პირდაპირ დანახარჯებს მიეკუთვნება პროდუქციის დამზადებასთან უშუალოდ დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ შეიტანება მის თვითღირებულებში. მაგალითად, დანახარჯები ნედლეულზე, ელექტროენერგიაზე, საწარმოო მუშების ხელფასზე და სხვ. არაპირდაპირი (ირიბი) დანახარჯები კი უშუალოდ პროდუქციის წარმოებასთან არაა დაკავშირებული, რის გამოც მათი პირდაპირი ხარჯებისათვის მიკუთვნება შეუძლებელია.

საოპერაციო დანახარჯები – არის დანახარჯები, რომელიც გაიწევა საოპერაციო საქმიანობისათვის, რომელშიც შეიტანება მარკეტინგისა და მენეჯმენტის დანახარჯები. მარკეტინგის დანახარჯებში შედის სარეალიზაციოდ განკუთვნილი პროდუქციის ან მომსახურების ხარჯები, კერძოდ: რეკლამის, მომარაგების, ტრანსპორტირებისა და შენახვის, გამყიდველების ხელფასის, სავაჭრო ოპერაციების დაზღვევის, სავაჭრო ობიექტების შეკეთებისა და სხვა დანახარჯები. მენეჯმენტის დანახარჯები დაკავშირებულია ოფისების შენახვასა და მართვასთან, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, კომუნიკაციის ხარჯები, საიჯარო ქირა, საოფისე ინვენტარისა და მოწყობილობების ცვეთის, ოფისის შეკეთებისა და სხვ. ხარჯები.

არასაოპერაციო ხარჯები წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდში გაწეულ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არ აისახება თვითღირებულებასა და საოპერაციო დანახარჯებში. მაგალითად: ფირმის მიერ გადახდილი პროცენტი, ჯარიმები, საურავები, დანაკარგები სავალუტო კურსის ცვლილებიდან და სხვ.

დანახარჯები ფულად გამოსახულებაში, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულებას. იგი არის პროდუქციის წარმოების პროცესში გამოყენებული ბუნებრივი რესურესების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის, ძირითადი ფონდების, შრომითი რესურსებისა და სხვა დანახარჯების ღირებულებითი შეფასება.

ფირმის მომგებიანობის განსაზღვრისათვის აუცილებელია ერთეული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება, ანუ მისი კალკულაცია.

კალკულაციის მიხედვით დანახარჯები ჯგუფდება შემდეგნაირად:

1. პირდაპირი დანახარჯები მასალებზე: ნედლეული, ძირითადი მასალები, ნახევარფაბრიკატები, მაკომპლექტებელი ნაწილები;
2. ირიბი დანახარჯები მასალებზე –დამხმარე მასალები;
3. სათბობი ტექნოლოგიური მიზნებისათვის;
4. ენერგია ტექნოლოგიური მიზნებისათვის;
5. პირდაპირი დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე;
6. ირიბი დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე;
7. ანარიცხები სოციალურ ფონდებში;

8. დანახარჯები ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების მომსახურებასა და ექსპლუატაციაზე;
   სულ: ტექნოლოგიური თვითღირებულება.
9. ახალი წარმოებითი პროცესის მომზადებისა და აღჭურვის ხარჯები;
10. საამქროს დანახარჯები;
    სულ: საამქროს თვითღირებულება.
11. საერთო-საწარმოო დანახარჯები;
12. დანაკარგებთან დაკავშირებული ხარჯები – ნორმატიული დანაკარგები.
    სულ: საწარმოო თვითღირებულება.
13. არასაწარმოო ხარჯები.
    სულ: სრული თვითღირებულება.

განასხვავებენ პროდუქციის თვითღირებულების სამ ძირითად სახეს. წარმოდგენილი მუხლებიდან პირველ შვიდ დანახარჯს ადგილი აქვს უშუალოდ წარმოების ადგილზე და მიეკუთვნება პროდუქციის ტექნოლოგიურ თვითღირებულებას.

საწარმოო თვითღირებულება გვიჩვენებს თუ რა დანახარჯებია გაწეული პროდუქციის დასამზადებლად მოცემულ ფირმაში. იგი არის პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ერთობლიობა.

ნაკლები დანახარჯებით მაღალი მოგება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს ფირმა თვითღირებულების შემცირებისათვის შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციის შესაძლებლობებს.

თვითღირებულების შემცირება შესაძლებელია მოხმარებული რესურსების ეკონომიით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით, გაცდენებისა და საწარმოო პროცესის მოცდენის მინიმუმამდე დაყვანით, ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, პროდუქციის რეალიზაციისა და მართვის ხარჯების შემცირებით და სხვ.

ფირმის მართვის ფინანსურ შედეგს წარმოადგენს მთლიანი მოგება, რაც არის მოგებათა ჯამი როგორც საოპერაციო, ისე არასაოპერაციო საქმიანობიდან. მოგება ფირმის ერთობლივ შემოსავალსა და დანახარჯებს შორის სხვაობაა.

როცა შემოსავალი აღემატება პროდუქციის თვითღირებულებას, წარმოება მუშაობს მოგებაზე, ხოლო როცა შემოსავალი თვითღირებულების ტოლია, მაშინ იფარება მხოლოდ წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები. დანახარჯების შემოსავალზე მატებისას კი წარმოება განიცდის ზარალს.

განასხვავებენ მოგების შემდეგ სახეებს:

– მთლიანი (საბალანსო) მოგება, რომელიც მოიცავს ფირმის ყველა საქმიანობიდან მიღებულ და ბალანსში სრულად ასახულ მთლიან თანხას;
– საგადასახადო (დასაბეგრი) მოგება – საგადასახადო კოდექსის წესებით განსაზღვრული საანგარიშგებო პერიოდის მოგება, რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა.
– წმინდა მოგება არის მთლიანი საბალანსო მოგებიდან გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხა.

მთლიანი საბალანსო მოგება შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან: პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება, მოგება ძირითადი ფონდებისა და საწარმოს სხვა ქონების რეალიზაციიდან და ფინანსური შედეგები რეალიზაციის გარეშე ოპერაციებიდან. რეალიზაციიდან მიღებული მოგება არის რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის ნამატი პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციის დანახარჯებზე. ძირითადი ფონდებისა და ფირმის სხვა ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგება კი გამოითვლება ამ ქონების გასაყიდი ფასისა და ნარჩენი ღირებულების სხვაობით. რაც უფრო მეტია გასაყიდი ფასი ნარჩენ ღირებულებაზე, მით მეტი იქნება მოგება.

ფინანსურ შედეგებს რეალიზაციის გარეშე ოპერაციებიდან წარმოადგენს შემოსავალი ან დანახარჯი ოპერაციებიდან, რომელიც არ მიეკუთვნება ფირმის ძირითად საქმიანობას. მასში შედის გადახდილი და მიღებული ჯარიმების და სხვა სანქციების სალდო, წილობრივი მონაწილეობიდან მიღებული შემოსავლები, დივიდენდები და სარგებელი

ფირმის კუთვნილ ფასიან ქაღალდებზე, სესხის გაცემიდან მიღებული სარგებელი, ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული მოგება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2010.
2. ვანიშვილი მ., მიკრო-მაკრო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2009.
3. კახნიაშვილი ჯ., მიკროეკონომიკა, თბ., 1996.
4. ტყეშელაშვილი გ., ხმალაძე გ., ხმალაძე ნ., მიკროეკონომიკა, თბ., 2003.
5. ღურწკაია კ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2007.
6. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2008.
7. ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო ბიზნესი, თბ., 1998.
8. Симкина Л.Г., Корнеичук Б.В., Микроэкономика, Санкт-Петербург, 2002.

ზურაბ ბალიაშვილი

ფირმის დანახარჯები და მოგება

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ფირმის მიერ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე ფულად გამოსახულებაში გაწეული დანახარჯები, პროდუქციის თვითღირებულების დადგენის მეთოდები და მასზე მოქმედი როგორც შინაგანი, ისე გარე ფაქტორები.

ფირმის საქმიანობის მართვის მთავარ ფინანსურ შედეგს წარმოადგენს მისი მოგება. როცა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ფირმის შემოსავალი აღემატება პროდუქციის თვითღირებულებას, წარმოება მუშაობს მოგებაზე, ხოლო თუ შემოსავალი თვითღირებულების ტოლია, მაშინ მხოლოდ წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები იფარება. დანახარჯების შემოსავალზე მატებისას კი ფირმა განიცდის ზარალს. ნაშრომში გაანალიზებულია აგრეთვე ფირმის მოგების სახეები, მისი ზრდის გზები და განაწილების მეთოდები.

Zurab Baliashvili

Costs and profits of the Company

Summary

The work analyzes the expenses of the company’s production as well as sales of monetary expenses. The work also analyzes the methods of determining the cost of production and influential internal and external factors.

The Company management’s main financial result is the company’s profit. When the profit of the sold product exceeds the cost of the production. When production has improved the sales. But if the profit is equal to the cost of the production, only the selling and production costs are covered. If the costs of the profit increases the Company losses. The work also analyzes different aspects of the profit and increasing ways of distribution.

Зураб Балиашвили

Издержки и прибыль фирмы

Резюме

В статье проанализированы производство и продажа денежных затрат фирмы, выраженные в денежных средствах, методы определения себестоимости продукции и действующие на них внутренние и внешние факторы.

Финансовым результатом управления фирмой является её прибыль. Когда доход фирмы от продажы продукта превышает себестоимость продукции, производство работает на прибыль, Если доход равен себестоимости, то покрываются расходы только на производство и реализацию, а если расходы превышают прибыль, то фирма несёт убытки.

В данной статье проанализированы также отдельные виды прибыли фирмы, пути их увеличения и методы распределения.

სოფიო ბლიაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება:

- თამასუქები;
- ობლიგაციები და არაუზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებები, აქციებში კონვერტირებადი ობლიგაციების ჩათვლით;
- კომერციული ქაღალდები;
- მიმოქცევადი სადეპოზიტო სერთიფიკატები;
- ბაზარზე რეალიზებადი დეპოზიტორების ხელწერილები;
- მიმოქცევადი სადეპოზიტო სერთიფიკატები;
- ფასიან ქაღალდებში კონვერტირებული იპოთეკური სესხები;
- საბანკო აქცეპტი.

ფინანსური მოთხოვნის საფუძველს ძირითადად წარმოადგენს ხელშეკრულებები და ის დაიდება მაშინ, როდესაც ერთი ინსტიტუციონალური ერთეული მეორე ერთეულს სახსრებით უზრუნველყოფს და მეორე ერთეული თანახმაა მომავალში დააბრუნოს აღნიშნული სახსრები.

შესაძლებელია ფინანსური მოთხოვნების წარმოშობა კრედიტორის მიერ დებიტორისათვის სახსრების არაპირდაპირი უზრუნველყოფის პირობებში, ხოლო სხვა შემთხვევებში, საბიუჯეტო სისტემაში, მოთხოვნები ოპერაციის რეალური ეკონომიკური შინაარსის წარმოსაჩენად წარმოიქმნება.

მოთხოვნები იფარება იმ მომენტში, როდესაც დებიტორი იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას ან კრედიტორის მიერ ხდება მოთხოვნის ანულირება.

კორპორაციებისა და იმ ინსტიტუციონალური ერთეულების მიერ, რომლებსაც მსგავსი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა გააჩნიათ, გამოშვებული აქციები და სხვა კაპიტალი, ფინანსურ მოთხოვნებად განიხილება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ მფლობელებს მოცემული კორპორაციის მიმართ არ გააჩნიათ ფიქსირებული ან წინასწარ დადგენილი ფულადი მოთხოვნები. აქციები და სხვა კაპიტალი მათ მფლობელებს ნებისმიერი დივიდენდისა და საკუთრების სხვა განაწილების სახით ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებას ანიჭებს და ინახება, ვინაიდან მოსალოდნელია მოგების მიღება. ემიტენტი ერთეულის ლიკვიდაციის შემთხვევაში, აქციები და სხვა კაპიტალი, კრედიტორების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ამ ერთეულის ნარჩენ ღირებულებაზე მოთხოვნად გადაიქცევა.

ვალუტა განიხილება როგორც ემიტენტი ერთეულის ვალდებულება. ინსტიტუციონალური ერთეულის მიერ ახალი ვალუტის მიმოქცევაში გაშვების ოპერცია აისახება როგორც ემიტენტი ერთეულის ვალდებულება. ინსტიტუციონალური ერთეულის მიერ ახალი ვალუტის მიმოქცევაში გაშვების ოპერაცია აისახება, როგორც ვალუტაზე მისი ვალდებულებების გაზრდა.

ოპერაციები ოქროთი და სამახსოვრო მონეტებით, რომლებიც არ მონაწილეობენ ბრუნვაში როგორც გადახდის კანონიერი საშუალებები, განიხილება როგორც არაფინანსური აქტივებით ოპერაციები და არა როგორც სავალუტო ოპერაციები.

ინდექსირებული ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ ინსტრუმენტებს, რომლებშიც პროცენტი ან ძირითადი თანხა მიბმულია ფასის ინდექსზე, საქონლის ფასზე, ან ვალუტის გაცვლის კურსის ინდექსზე.

როდესაც აქტივი მიღებულია ფინანსური იჯარის გზით, მაშინ ადგილი აქვს მეიჯარიდან მეიჯარეზე საკუთრების უფლების გადაცემას იმისდა მიუხედავად, რომ სამართლებრივად იჯარით გადაცემული აქტივი მეიჯარის საკუთრებად რჩება. მესაკუთრეობის ასეთი ფაქტობრივი ცვლილება სესხის არაპირდაპირი ფორმირების გზით ფინანსდება.

ფინანსური აქტივების ზრდა/შემცირება აისახება ფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიშების დებეტში/კრედიტში, სხვა ანგარიშების კრედიტთან/დებეტთან

კორესპოდენციით, ხოლო ფინანსური ვალდებულებების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში/დებეტში სხვა ანგარიშების დებეტთან/კრედიტთან კორესპოდენციით.

ოპერაციები ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით აისახება მაშინ, როდესაც აქტივზე საკუთრების უფლება იცვლება, აქტივი წარმოიშობა ან განიცდის ლიკვიდაციას, ან როდესაც ინსტრუმენტის თანხობრივი ოდენობა იზრდება ან კლებულობს. მომენტი, როდესაც ოპერაცია მოიცავს არსებული ფინანსური აქტივის გაცვლას ან ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების ერთდროულ წარმოშობას ან გაუქმებას, უმეტეს შემთხვევაში დგება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ხელმოწერილია ან კრედიტორი დებიტორს, ან დებიტორი კრედიტორს უხდის თანხას, ან გადასცემს სხვა რომელიმე ფინანსურ აქტივს.

შესაძლებელია ოპერაციაში მონაწილე მხარეებმა საკუთრების უფლებათა გადაცემის მომენტად განსხვავებული თარიღები აღიარონ, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ღებულობენ დოკუმენტებს, რომლებიც ოპერაციის სხვადასხვა დროში განხორციელებას დაადასტურებენ.

იმ შემთხვევაში, როცა ოპერაცია ფინანსური აქტივით ან ვალდებულებით მოიცავს არაფინანსურ კომპონენტსაც, ასახვის მომენტი განისაზღვრება არაფინანსური კომპონენტის მიხედვით.

არსებული ფინანსური აქტივების (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მათი გაცვლის ღირებულება.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილი ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ღირებულება კრედიტორის მიერ დებიტორისათვის ავანსად გადახდილი სახსრების ღირებულებით განისაზღვრება.

ოპერაციათა განხორციელებისას გაწეული მომსახურების საფასური, მოსაკრებლები, საკომისიოები, მსგავსი გადასახადები, ოპერაციებზე გადასახდელი ნებისმიერი გადასახადი, გამოირიცხება ფინანსური აქტივების (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ოპერაციებისაგან და განიხილება როგორც ხარჯვითი ოპერაციები.

თუ, ოპერაციები ფინანსური აქტივებით (ვალდებულებებით) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებები მოიცავს მომსახურეობისთვის დარიცხულ არაპირდაპირ მოსაკრებლებს და შეუძლებელია ასეთი მომსახურეობის ელემენტის შეფასება, ოპერაციის მთლიანი ღირებულება განხილულ უნდა იქნეს როგორც ოპერაცია ფინანსური აქტივებით (ვალდებულებებით) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებებით.

მოკორესპონდენტო ფინანსური აქტივები (სხვა დებიტორული დავალიანებები) და ფინანსური ვალდებულებები (სხვა კრედიტორული დავალიანებები) განეკუთვნება ერთი და იმავე ინსტრუმენტს, რომელთაც ერთნაირი ღირებულება უნდა გააჩნდეთ.

ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ცალსახად მონეტარული ფორმითაა დენომინირებული (ფულადი სახსრები და დეპოზიტები) – არ გააჩნიათ გაზომვის ფიზიკური ერთეულები, რომლებთანაც შესაძლებელი იქნებოდა ფასების დაკავშირება. ამ შემთხვევაში რაოდენობრივი გაზომვის შესაბამისი ერთეული თვითონ ფულადი ერთეულია, რის გამოც ერთი ერთეულის ფასი ყოველთვის ერთის ტოლია.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით. ერთი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1000 ლარი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები იყიდება აუქციონის მეშვეობით. აუქციონი ტარდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ გამოცხადებული აუქციონის თარიღებში. ფასიანი ქაღალდების მფლობელი შეიძლება გახდეს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები, რეზიდენტები და არარეზიდენტები. ფასიანი ქაღალდების ძებნა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ საქართველოში მოქმედი ნებისმიერი კომერციული ბანკის მეშვეობით. თითოეული ბანკის მიერ აუქციონზე წარდგენილი საკუთარი განცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის

75%-ს. თითოეული ბანკის მიერ წარდგენილი ერთი კლიენტის განაცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 50%-ს.

როგორც წესი, სამთავრობო ფასიანი ქაღალდები ხასიათდება მინიმალური რისკიანობითა და მაღალი ლიკვიდურობით. სახაზინო ფასიანი ქაღალდები ემსახურება ფინანსური ბაზრების განვითარებას. განვითარებული ფულადი ბაზრის პირობებში კი იზრდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალი და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა.

ეროვნულ ვალუტას გააჩნია ფიქსირებული ნომინალური ღირებულება. ბალანსში ასახვის დროს, უცხოურ ვალუტაში გამოსახული მარაგების ღირებულება აღირიცხება ეროვნულ ვალუტაში, ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტით ასახული ოპერაციის ღირებულება აისახება ეროვნული ვალუტით, ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის გამოყენებით.

დეპოზიტის ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში, მისი ნომინალური ღირებულება წარმოადგენს.

მონეტარული ოქროს ღირებულება განისაზღვრება ორგანიზებულ ბაზარზე დადგენილი მიმდინარე ფასით ან მონეტარული რეგულირების ორგანოებს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებით.

ნასესხობის სპეციალური უფლების ღირებულება განისაზღვრება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, როგორც შერჩეულ ძირითად ვალუტათა საშუალო ფონდის მიერ ღირებულება. ერთდროულად ხდება ვალუტებისა და მათი წონითი კონცეფციების გადახედვა.

ფინანსური იჯარის შედეგად წარმოქმნილი სესხის საწყის ღირებულებას წარმოადგენს იჯარით გაცემული არაფინანსური აქტივის ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუპრეიშვილი ე. ბუღალტრული აღრიცხვა, თბ., 2005.
2. ცირამუა ე. ეკონომიკური ანალიზი, თბ., 2007.
3. ძიმცეიშვილი ნ., ნაჭყებია მ., სვანიძე დ., ბაქრაძე გ., ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში, თბ., 2009.
4. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ბუღალტრული აღრიცხვა, თბ., 2006.

სოფიო ბლიაძე

ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა

რეზიუმე

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება თამასუქები, ობლიგაციები, საბანკო აქცეპტები და სხვ. ფინანსური მოთხოვნის საფუძველს ძირითადად წარმოადგენს ხელშეკრულებები **და ეს დაიდება** მაშინ, როდესაც ერთი ინსტიტუციონალური ერთეული მეორე ერთეულს სახსრებით უზრუნველყოფს, ხოლო მეორე ერთეული თანახმაა მომავალში დააბრუნოს აღნიშნული სახსრები.

ოპერაციები ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით აისახება მაშინ, როდესაც აქტივზე საკუთრების უფლება იცვლება. აქტივი წარმოიშობა ან განიცდის ლიკვიდაციას მაშინ, როდესაც ინსტრუმენტის თანხობრივი ოდენობა იზრდება ან კლებულობს.

Sophio Bliadze

Registration of a Currency

Summary

A Currency includes bills, bonds, bank acceptances and etc. The bases of the financial requirements are the agreements. This requirement takes place when one institutional unit benefits the other unit with the funds, and the other institutional unit agrees to pay back above mentioned funds.

Operations of the financial assets and liabilities appear when the right of an ownership of the asset changes, the asset appears or can be canceled when the monetary amount increases or decreases.

Софио Блиадзе

Учёт ценних бумаг

Резюме

К ценным бумагам относятся векселя, облигации, банковские акцепты и др.

Основой финансовых требований является договор, который заключается тогда, когда одна институциональная единица обеспечивает другую средствами, а вторая единица согласна в будущем возвратить указанные средства.

Операции с финансовыми активами и обязательствами отражаются тогда, когда меняется право собственности на актив, актив создается или ликвидируется, или когда суммарное количество инструмента растет или уменьшается.

ქეთევან ჭიაბრიშვილი
გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნათელა ნატროშვილი
განათლების მეცნიერებათა დოქტორი

ეკონომიკური კულტურის პრობლემები საქართველოში

„არსებობს მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული საზომი: რამდენ სიკეთეს იღებს ადამიანი ოჯახისა და საზოგადოებისაგან და რამდენს უბრუნებს მას. რა თქმა უნდა სხვადასხვა ასაკში მოხმარებისა და უკუგების თანაფარდობა სხვადასხვანაირი უნდა იყოს“ (1).

პიროვნების განვითარებაში დგება პერიოდი, როცა მისთვის, თუნდაც ეკონომიკურად ძლიერ საზოგადოებაში, საკმარისი აღარ არის მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარება, როცა ნორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მოხმარებისა და უკუგების ოპტიმალური შეფარდებით. ამ კანონზომიერების უარყოფა შედეგად გვაძლევს სოციალურად უმწიფარ, ინფანტილურ ახალგაზრდობას, რაც უაღრესად მძიმე ტვირთია საზოგადოებისთვის.

პროფ. შ. ჩხარტიშვილმა ექსპერიმენტულად შეისწავლა პრესტიჟის, თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოთხოვნილებანი გარდამავალ ასაკში. საინტერესოა დასკვნები, რომელსაც იგი გვთავაზობს: „დიდის მდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილება გარდამავალ ასაკში იძენს რა სოციალურ შინაარსს, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის აქტივობის მიმართულების განსაზღვრის საქმეში. ეს მოთხოვნილება პირველ რიგში, სოციალური პრესტიჟის, თავისუფლებისა და საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმის კეთების მოთხოვნილებათა ფორმებში დიფერენცირდება და მოზარდის ყოველ ქცევაში ეძიებს დაკმაყოფილებას... “(5, 168).

როცა ეს მოთხოვნილებანი „ქცევაში დაკმაყოფილებას“ ვერ პოულობენ, მოზარდი სოციალურ მოთხოვნილებათა ფრუსტრაციას განიცდის და უმუშავდება უარყოფითი ხასიათის სოციალური განწყობა.

საბაზრო ეკონომიკამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინ წამოსწია ახალგაზრდობის ეკონომიკური კულტურის აღზრდის პრობლემა. ეკონომიკური და ზნეობრივი კულტურა ერთიანობაში უნდა იქნეს განხილული. ეს ერთიანობა განსაზღვრავს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას - ეკონომიკურს, სახელმწიფოებრივს, შემოქმედებითს. ზნეობის გარეშე ვერ იმოქმედებს ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი კანონები, არ შეწყდება კორუფცია და ვერ იარსებებს თვით სახელმწიფოც.

საზოგადოების ეკონომიკური კულტურა სოციალური მოვლენაა. იგი თვისებრივად გარდაიქმნება ერთი ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში გადასვლის დროს. ამ გადასვლისას არ იკარგება წარსულის გამოცდილება, ტრადიციები. ეკონომიკური კულტურა შემოგვინახავს ხოლმე იმ ელემენტებს, რომელთა გამოყენება შეიძლება ახალი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის. ეკონომიკური კულტურა არა მხოლოდ თაობათა წარსული და თანამედროვე გამოცდილების სინთეზია, არამედ მომავალი ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული მიზანიც.

ეკონომიკური კულტურა, ისე როგორც საერთოდ კულტურა თავის თავში მოიცავს განათლების განსაზღვრულ დონეს. საჭიროა გარკვეული ცოდნის, შეხედულებების, წარმოდგენების დაგროვება, მაგრამ ეკონომიკური კულტურა არ დაიყვანება ეკონომიკურ ცოდნამდე, რადგან ცოდნის განსაზღვრული დონე თავისთავად მოქმედებამდე, ქცევამდე ვერ მიგვიყვანს.

მოქმედებამდე ადამიანი იმ მიზანს აფასებს, წონის, რომლის მისაღწევადაც უნდა იმოქმედოს. მიზნის გააზრება, სიცხადე და შეფასება თანაფარდობაშია ეკონომიკურ ინტერესებთან, მოთხოვნილებებთან, გამოცდილებასთან. ასევე ხდება ეკონომიკური ცოდნის, მისი პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევაშიც, ე.ი. ეკონომიკური ცოდნის, ინტერესების, მოთხოვნილებების და გამოცდილების საფუძველზე მიმდინარეობს ეკონომიკური მოქმედების აუცილებლობის გააზრების რთული პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანის შეგნებაში ჩნდება შეფასებითი დამოკიდებულებანი, რაც მოქმედებისათვის მზაობაში გამოვლინდება.

რთული ეკონომიკური გადატრიალებანი მხოლოდ მაშინ შეასრულებენ მოქმედების, ქცევის აღმძვრელის როლს, თუ ისინი ირწმუნა ადამიანმა. რწმენა ადამიანის მოქმედებას თანმიმდევრულს, მიზანმიმართულს ხდის. ლ. ბლიახმანი თვლის, „რომ ეკონომიკური აზროვნება, როგორც ეკონომიკური კულტურის ელემენტი და ეკონომიკური შეგნების ერთ-ერთი ფორმა განსაზღვრავს ადამიანთა ეკონომიკური ქცევის მიზნებს, მეთოდებსა და ფორმას, მათ მოთხოვნილებებსა და ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილების წესს“ (2, 124).

ახალგაზრდობის ეკონომიკური კულტურის ჩამოყალიბების შინაარსის განსაზღვრისას, მხედველობაში ვიღებთ ეკონომიკური განათლების უწყვეტ ხასიათს, ეკონომიკური ცოდნის თანდათან გაღრმავებას სწავლების ამა თუ იმ დონეზე. ეს შინაარსი უნდა დაეყრდნოს ეკონომიკისა და პედაგოგიკის შემდეგ საბაზისო დებულებებს:

1. იმისათვის, რომ იარსებოს, ადამიანს, საზოგადოებას სჭირდება უამრავი დასახელების საარსებო საშუალებები: საკვები, ტანსაცმელი, ბინა და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს მზამზარეული სახით არ არსებობს ბუნებაში. ადამიანმა ისინი უნდა შექმნას, აწარმოოს. საარსებო საშუალებათა წარმოება თითოეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების არსებობისა და განვითარების გადამწყვეტი პირობაა. გასათვალისწინებელია ერთი აუცილებელი პირობაც – რესურსების შეზღუდულობა, რის გამოც ადამიანს უწევს გააკეთოს რაციონალური, ეფექტური არჩევანი მიიღოს მაქსიმალური შედეგი შეზღუდული რესურსებიდან.
2. აჩვევანის, ალტერნატიული ვარიანტების ძიების პრობლემა ადამიანთა ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი სიძნელეა. ყველა არჩევანს თავისი ფასი აქვს. ყოველდღიურ ცხოვრებაში არჩევანის მოზომვასა და განსაზღვრასთან გვაქვს საქმე, რადგან არ შეიძლება ყველაფერი გვქონდეს - ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებანი არ ემთხვევა მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს.
3. ნებისმიერი საზოგადოებისთვის აუცილებელია არა მარტო დოვლათის წარმოება, არამედ მისი განაწილება, გაცვლა და მოხმარება, რათა ოპტიმალური პასუხი გაეცეს ნებისმიერი საზოგადოების მთავარ ეკონომიკურ კითხვებს - რა და რა რაოდენობის საქონელი და მომსახურება ვაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ ეს საქონელი და მომსახურება? ვინ მიიღებს ამ საქონელსა და მომსახურებას?
4. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განმსაზღვრელია საკუთრებითი ურთიერთობა, რომელიც წარმოდგენილია კერძო საკუთრებით და მასზე აღმოცენებული ბიზნესით. საბაზრო ეკონომიკის საფუძველია მეწარმეობა, მთავარი ფიგურა კი - მეწარმე ბიზნესმენი.
5. ეკონომიკური ცოდნა, აზროვნება და შეგნება ეკონომიკური კულტურის საფუძველია, რომელიც ვლინდება გონივრული მოხმარების კულტურაში, ისეთ თვისებებში, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა, გერგილიანობა, შრომის შედეგებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება.

თანამედროვე საბაზრო სისტემებში მოთხოვნილებებისა და მოხმარების უკულტურობას უდიდესი მოაზროვნე, ნეოფროიდელი ერიხ ფრომი ხსნის კაპიტალიზმის

კერძო საკუთრების ბუნებით, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია შემდეგი ფორმულა: „მე ის ვარ, რასაც მოვიხმარ“... საკუთრების შეძენა და ჩემი განუსაზღვრელი უფლება დავიცვა, რაც შევიძინე, რათა პროდუქტიულად გამოვიყენო ეს საკუთრება. ნებისმიერ რელიგიაში ეს დამოკიდებულება სიხარბედ და გაუმაძღრობად მიიჩნევა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანის ეკონომიკური ქცევა გამოცალკევდა ეთიკისა და ადამიანური ფასეულობებისაგან. ბაზარი უგრძნობი, გულგრილი მექანიზმია, მას არ გააჩნია სინდისი, არ ცნობს მორალურ ნორმებს, რაც შემოსავლების მკაცს უთანასწორობას განაპირობებს.

„ოქსფამი“ 17 ორგანიზაციის საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც სიღარიბის პრობლემებზე მუშაობს. მის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით მსოფლიოს 100 ყველაზე მდიდარი ადამიანის შემოსავალი საკმარისია იმისთვის, რომ მსოფლიოში არსებული სიღარიბის პრობლემა გადაიჭრას. მეტიც, მათი შემოსავალი არსებულ სიღარიბეს 4-ჯერ ფარავს. „უკიდურესი სიღარიბის პრობლემის გადაჭრა უკიდურეს სიმდიდრეს შეუძლია“ (ბენ ფილიპსი, ჯგუფ „ოქსფამის“ წარმომადგენელი http://www.dailykos.com/story/2013/01/20/1180541/-100-richest-people-could-end-extreme-poverty-in-the-world-right-now#).

ზედმეტი ორიენტაცია ქონებისკენ, მოხმარებისკენ ბუნებრივი სიმდიდრის დაუფლებისკენ კაცთა მოდგმას დეგრადაციით და დაღუპვით ემუქრება, რომლის ნიშნებია:

1. სოციალური აფეთქება - რომელსაც იწვევს სიმდიდრის პოლარიზაცია; მკვეთრი სხვაობა ღარიბ, საშუალო და მდიდართა შემოსავლებს შორის;
2. ზნეობრივი აფეთქება - წრეგადასული მოხმარება და უხეში ჰედონისტურ-კრიმინალური სიტუაცია იწვევს ადამიანის საბაზრო ხასიათის ცხოვრებასთან მკვეთრ შეუთავსებლობას (ე. ფრომი).
3. ეკოლოგიური აფთქება - წარმოების უზომო ზრდა და გარემოს დაბინძურება.

პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისთვის თვითგადარჩენის ინსტიქტი, მომავლისკენ სწრაფვა უძლიერესია. ამიტომაა, რომ დღევანდლამდე ფიგურირებდა „გონივრული ეგოიზმის“ იდეა, - დღეს უმთავრესი დევიზია: ადამიანებს მოეთხოვებათ გაუნაწილონ თავიანთი სიმდიდრე მათ, ვისაც არაფერი აქვს, არა გულმოწყალების მოტივით, არამედ აუცილებლობის ძალით. დღეს აქტუალურია დოვლათის ზრდისა და სოციალური ჰარმონიზაციის ურთიერთკავშირი, - ქველმოქმედება, ჰუმანურობა. ყოველივე ამას პროგრესის სასინჯ ქვად მიიჩნევენ. ამ გზაც ადამიანები უხსოვარი დროიდან ეძებდნენ მოსალოდნელი საფრთხეების დასაძლევად. თ. რუზველტი მიიჩნევდა: „ჩვენი პროგრესის სასინჯი ქვა იქნება არა ის, თუ რამდენად გავზრდით საქონლურ სიმდიდრეს, არამედ ის, შევძლებთ თუ არა საკმარისად უზრუნველვყოთ ხელმოკლენი“. შვაიცერსაც მოვიშველიებთ: „ჩვენი კულტურის კრიზისი იმის შედეგია, რომ თანამედროვე სკოლაში ჰუმანიზმი ყველაზე შორეულ კუთხეშია მიკუნჭული“.

თანამედროვე ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოაზროვნე - სვამი ვივეკანანდა ამბობდა: „ჩვენი საქციელის მამოძრავებელი ძალა ეგოიზმია. ყველაფერს ჩვენი საკუთარი თავი ემატება. იმ ჭიას ვგავართ, საკუთარი სხეულიდან ძაფი რომ გამოაქვს, ბადეს შემოაქსოვს და შიგ ებმება. საკუთარი შრომით იტყვევებს თავს. ჩვენც ასე ვიქცევით. რა წამსაც ვამბობ - „მე“, ბადეს ხვეული ემატება. ვამბობ - „ჩემი“ და აი, კიდევ ერთი ხვეული... და ასე უსასრულოდ“. ზემოთაც ვახსენეთ და სიღარიბის პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამი“ გვაფრთხილებს: - უზარმაზარი სიმდიდრე და შემოსავალი დღეს უკვე არამხოლოდ არაეთიკურია, არამედ ეკონომიკურად არაეფექტური, პოლიტიკურად კოროზიული, სოციალურად დამყოფი და გარემოსთვის დესტრუქციული.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განათლება, ეკონომიკური აღზრდა სკოლის ამოცანაა, სავალდებულოა სწავლების ყოველ საფეხურზე. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეკონომიკური განათლება ვერ გახდა ეროვნული სასწავლო გეგმის აუცილებელი დისციპლინა.

რადგან ეკონომიკის ჰუმანიზაცია განიხილება კაცობრიობის გადარჩენისა და პროგრესის პირობად, ცხადია, იგი ვერ შეასრულებს ამ როლს თუ არ გაფართოვდა და

არ გაძლიერდა ინტერდისციპლინარული ხედვა, მისი კავშირი საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან, პედაგოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან და ასეთი ხედვის საფუძველზე არ შემუშავდა ეკონომიკური კულტურის აღზრდისადმი ერთიანი მიდგომა. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენს მიერ მე-5 კლასელებთან ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების შესახებ. ვაჟა-ფშაველას მოთხრობის „დედამიწამ რა სთქვა" გააზრება 52-ე საჯარო სკოლის მეხუთეკლასელმა ლევან დონაძემ ასე წარმოგვიდგინა:

„ადამიანო, თუ მე დედა ვარ და თქვენ ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ, როგორც ძმები? რად სტაცებთ ერთიმეორეს პირიდან ლუკმას? რად გაქვსთ ათასი ლუკმა ერთს და სხვას ერთიც არა? დაიდე გულზე ხელი, განსაჯე, იფიქრე კარგად და მიპასუხე: შენია ეგ ათასი ლუკმა? შენი ღვაწლი, შენი ამაგია. ჩემია, ჩემი! ყვირი შენ! ვინ მოგცა ნება დაეპატრონო მომეტებულს ჩემს ნაწილს. როცა მე ყველას ვეკუთვნი?" (ვაჟა-ფშაველა. „დედამიწამ რა სთქვა") „ ვაჟას ამ სიტყვებმა გამაბრაზა – იმან, რომ ბევრი ადამიანი და ბიზნესმენი იმით იმართლებს თავს, - ეს მიწა სიმამრმა, სიდედრმა და სხვებმა მაჩუქესო, ან ვიყიდეო, დოკუმენტით, ბეჭდებითა და ღერბებით შემოწმებულ-დამტკიცებულიაო ძველისძველად. იმასაც ამბობენ, ამაგს, რაც მე ამ მიწაში ჩავდე, - ხომ ნუდა იტყვიო.

დედამიწა კი აი რას გვთხოვს! – „გეყო შენც შენი ძმების ჩაგვრა და უნდა დასჯერდე იმ კერძს, რასაც დასჯერდება ათასი და ათიათასი. ჩემი გულისთვის ვინც სისხლი დაღვარეს, ისინი სხვები იყვნენ და შენ სხვა ხარ, შენ აღარც სისხლსა ღვრი და აღარც ოფლს. დაღვარე ოფლი, ოფლი მაინც, რომ გიწამო, მიგიღო ისევ შვილად".

დამაფიქრა ძალიან იმან, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე დედამიწა ძლიერ შეიძრა: „ჯანღი გადიდდა, გასივდა, აირია. ათასნაირი ხმაურობა მოისმოდა იქიდან, ზოგი ტირილი, ზოგი სიცილი. წვიმა იყო თუ ცრემლი მოდიოდა, დედამიწას ასველებდა. მზის სხივი დროებით მიმალულიყო, შავად, როგორც ფისით, გალესილი იყო დედამიწა"...

იქნებ დროა მოუსმინოთ დედამიწას, იქნებ დროა დავუჯეროთ და გავუგონოთ, თხოვნა შევუსრულოთ! როცა ადამიანი მიწას გულს გადაუთხრის და იქიდან ოქროს, ვერცხლს, ნავთობს და სხვა სიკეთეს ამოიღებს, ნუ დაიჩემებს, - სულ ჩემიაო. დაე, ბევრი თუნდ მისი იყოს, მაგრამ ცოტა გაჭირვებულებს, ავადმყოფებს, მეც, ჩემს მეგობრებსაც უწილადოს. ის ხომ დედამიწისაა, ყველასია! ნუ ყიდით და ყიდულობთ მას! განა დედას ყიდის ან ყიდულობს ვინმე? - წერს 11 წლის ლევან დონაძე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბორსოვი ე., ვოლკოვი ფ., ეკონომიკური თეორია: მისი როლი საზოგადოებრივ პროგრესში; ჟურნ. „ეკონომიკური მეცნიერებანი" (რუსულ ენაზე), 1991, 9.
2. ბლიახმანი ლ.ს., ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნა, მოსკოვი, 1990.
3. დონაძე ლ., დედამიწამ რა სთქვა, გაზეთი „ახალი განათლება", №18, გვ. 9.
4. ქირთბაია მ., ბიზნესის ეთიკა, თბ., 2004.
5. ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, 168.
6. www.oxfam.org

ქეთევან ჭიაბრიშვილი, ნათელა ნატროშვილი

ეკონომიკური კულტურის პრობლემები საქართველოში

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და ინტეგრირება მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, აუცილებელს ხდის ახალგაზრდობის მომზადებას ეკონომიკური კულტურის აღზრდის მიმართულებით. ამ აუცილებლობითაა გაპირობებული განათლების პერიოდული კრიზისი და მისი თანმდევი კითხვები: რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ. ადამიანი მიზნის მიღწევის საშუალებიდან მთავარ მიზნად უნდა გადაიქცეს, რაც დღეს ძალზე აქტუალურ შინაარსს იძენს. შეზღუდული რესურსების შეძლებისდაგვარად თანაბრად განაწილება ჰუმანურ პრინციპებს უნდა ექვემდებარებოდეს.

Ketevan Chiabrishvili, Natela Natroshvili

Problems of Economical Culture in Georgia

Summary

Establishment of a market economy as an economic system, and integration into the world economic system requires development of economic culture in students. Due to this necessity occurs periodic crisis in education and the accompanying questions: what to teach and how to teach. From the means of achievement goals human should be transformed into the main goal itself. Equitable allocation of scarce resources should be based on human principles.

Кетеван Чиабришвили, Натела Натрошвили

Проблемы культуры экономики в Грузии

Резюме

Становление рыночной экономики как экономической системы и интеграция в мировую экономическую систему, требует воспитания молодежи по направлению экономической культуры. Именно этой необходимостью обусловлен периодический кризис образования и сопровождающие его вопросы: чему учить и как учить. Человек из средств достижения цели должен стать главной целью. В основе равного распределения ограниченных ресурсов должны лежать гуманные принципы.

ოთარ შავიშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების შესახებ

საკვლევი პრობლემა მრავალწახნაგოვანია და ჩვენი ქვეყნის განვითრებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. თუმცა, ამ სტატიაში იძულებულნი ვართ ეკონომიკის განვითარების მხოლოდ სქემატური აღწერით შემოვიფარგლოთ.

საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების შესახებ წინადადებები და რეკომენდაციები დაუყოვნებლივ განსჯასა და გათვალისწინებას მოითხოვს, რადგან ჩვენი ქვეყანა (რაც უნდა მწარე მოსასმენი იყოს) საყოველთაო კრიზისში იმყოფება. მოგეხსენებათ, საყოველთაო კრიზისი ნიშნავს კრიზისს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, საფინანსო-საბიუჯეტო, ფისკალურ, სავალუტო, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებში.

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებით განსაკუთრებით დაინტერესებული უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული ხელისუფლება, რათა სახელმწიფო მტრად არ მოევლინოს საკუთარ მოქალაქეებს. ამ მიზნით უპირატესად გასათვალისწინებელია პოლიტიკური სტაბილიზაცია. საქართველოს ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლის არასტაბილური პოლიტიკური ვითარება. კერძოდ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა. საქართველოს რკინიგზა, რომელიც აფხაზეთის გავლით რუსეთში გადიოდა, 2 ათეულ წელზე მეტია, ბლოკირებულია. ვფიქრობთ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები მოსახლეობა საქართველომ უნდა დაინტერესოს ხელფასების, პენსიების, სტიპენდიებისა და ფასების ისეთი დონით, რომ ისინი შემობრუნდნენ საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, რადგან მთავარია ეკონომიკური სტიმული.

მისასალმებელია ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის აღდგენა რუსეთის ბაზარზე. აუცილებელია, აღდგეს ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან, მომზადდეს წინაპირობები, რათა დაიწყოს ორი ქვეყნის ურთიერთობის უმწვავესი პრობლემების გადაჭრა. რუსეთის ბაზრის ათვისება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი უნდა გახდეს.

საქართველოს ეკონომიკის დეპრესიიდან გამოყვანის გზა ისიცაა, რომ წარმოების გამოცოცხლება გასცდეს ჩანასახობრივ მდგომარეობას. ამ მხრივ ერთ-ერთი პოზიტიური ნაბიჯია საგადასახადო განაკვეთების შემცირება, თანაც ისე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები კი არ უნდა შემცირდეს, არამედ საშუალოვადიან და

გრძელვადიან პერსპექტივაში გაიზარდოს კიდეც. ამრიგად, დამატებული ღირებულების, აქციზების, მოგებისა და საშემოსავალი გადასახადების განაკვეთები აუცილებლად უნდა შემცირდეს, მაგრამ ამ საკითხს ფრთხილად უნდა მივუდგეთ .

ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო განაკვეთების დონე ჩვენს ქვეყანაში ნორმალურია, რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით შემდეგ მოსაზრებათა გამო: ამჟამინდელი გადასახადები როგორც წნეხი, ისე თრგუნავს წარმოების რეალური სექტორის აღორძინებას, შესაბამისად, ახშობს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის სტიმულს.

ვერც იმ აზრს გავიზიარებთ, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობის აღორძინება იყოს საკმარისი ქვეყნის გადასარჩენად. მართალია, საქართველო ისტორიულად აგრარული ქვეყანაა, მაგრამ სოფლის მეურნეობა თითქმის ყველა ქვეყანაში დოტაციურია. საჭიროა ამ დარგის სუბსიდირება მილიარდობით ლარის ოდენობით. უცილებელია, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებული მრეწველობის აღორძინებაც, რის შედეგადაც მივიღებთ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყანას.

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. მიგვაჩნია, რომ უპირატესად მცირე (100 კაცამდე დასაქმებული) საწარმოო ერთეულები უნდა შეიქმნას და შეადგინოს მთელ საწარმოთა რაოდენობის 90-95 პროცენტი, ვიდრე საშუალო (500-მდე დასაქმებული) და მსხვილი საწარმოები.

აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს უმუშევრობის დონის მინიმუმამდე დაყვანას და, რაც მთავარია, შეავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს. მართალია, მცირე სიმძლავრის საწარმოებში მაღალია პროდუქციის თვითღირებულება, მაგრამ მისი უპირატესობა ისაა, რომ იგი უფრო მობილურია, ვიდრე საშუალო და მსხვილი საწარმოები. ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად მცირე საწარმო (ფირმა) ადვილად გარდაქმნის საწარმოო პროფილს. სამაგალითოდ, დანია გამოგვადგება. სწორედ მცირე ფირმების განვითარების ხარჯზე მიაღწია ამ ქვეყნამ ეკონომიკის განვითარების მაღალ დონეს.

საქართველო აშენებს სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკას, როგორც ეს შვედეთშია. იქ საზოგადოება არ შედგება ძალიან მდიდრებისა და ღატაკებისაგან, ანუ არაპოლარიზებულია. სხვადასხვა სოციალური ფენის შემოსავლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. ჩვენთან კი სხვადასხვა მიზეზების გამო ჩამოყალიბდა უმდიდრესთა, მდიდართა, ღარიბთა და ღატაკთა ფენები. საზოგადოება გადაჭარბებულად პოლარიზებულია. მოსახლეობაში ფაქტობრივად საშუალო ფენა არ არსებობს.

თუ ვაშენებთ შვედეთის მსგავს, სოციალურად ორიენტირებულ (საყოველთაო კეთილდღეობის) სახელმწიფოს, რომლის კრედოა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურად დაიცვას ისინი, ვინც თვითონ ვერ იცავს თავს, საჭიროა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი (20 პროცენტი) შემცირდეს (შედარებისათვის, რუსეთის ფედერაციაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 13 პროცენტია), პერსპექტივაში შესაძლებელია, აგრეთვე, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დიფერენციაცია. კერძოდ, მაღალშემოსავლიანებისათვის მაღალი იყოს აღნიშნული განაკვეთი და დაბალშემოსავლიანებისათვის კი – დაბალი.

დღევანდელი ლარის კურსის პირობებში საშუალო ფენად უნდა ჩაითვალოს ოთხსულიანი ოჯახის წევრები, რომელთა მთლიანი თვიური შემოსავალი 3000-დან 3500-მდე ლარი იქნება. ასეთები კი ჩვენს საზოგადოებაში ერთეულებს შეადგენენ. აუცილებელია გაიზარდოს დაუბეგრავი მინიმუმიც 150-დან 500-ლარამდე.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ცალკეული ატრიბუტების მექანიკურმა გადმოტანამ შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკა, კლასიკური გაგებით, საქართველოში ჯერ კიდევ არ დამდგარა. ჩვენ ისევ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით და ეს დრო 20 წელზე მეტია გრძელდება. იგი გაგრძელდება მანამ, სანამ არ დასრულდება რეფორმები. მათ დასრულებას კი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აფერხებს. ობიექტურია ის, რომ საქართველო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადადის, ხოლო სუბიექტურია ის, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლება აქტიურად ვერ იბრძოდა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დასამკვიდრებლად.

უხეში შეცდომა იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის კარნახით საქართველოშო რეფორმების დაწყება „შოკური თერაპიით", რათა არ მომხდარიყო კრახი, რომელშიც ჩვენ მაინც აღმოვჩნდით. 1993-1994 წლებში საქართველოში აღინიშნა ჰიპერინფლაცია (რაც ნიშნავს ფასებისა და ტარიფების ყოველთვიურ გადიდებას 50 პროცენტზე მეტით).

ამრიგად, „შოკური თერაპია" მარცხით დამთავრდა. ახლა ჩვენ რეფორმებს სხვა მეთოდით (თანდათანობითი გარდაქმნებით) ვაგრძელებთ.

ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად ჩვენ „გვეხმარებიან" საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვები. მათი პროგრამები ნაკლებად ითვალისწინებენ ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას, ისეთი საფუძვლების შექმნას, რომლებიც პერსპექტივაში შეგვაძლებინებდა ე. წ. ეკონომიკურ სასწაულს, რაც სამხრეთ კორეაში განხორციელდა. საქართველოს გააჩნდა პოტენცია „ეკონომიკური ნახტომისათვის". რაც სამწუხაროდ, ამჟამად ვერ განხორციელდება, რადგან ამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ არსებობს. საქართველოს უახლესი ისტორიის ავადსახსენებელ პერიოდში 1992-1993 და მომდევნო წლებში უმოწყალოდ გაიძარცვა საქართველოს საწარმოები და ადგილობრივი მოსახლეობა. ასე, მაგალითად, კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნიდან გაიტანეს და თურქეთში ჯართად გაყიდეს ტექნიკურად გამართული, მუშა ჩარხები.

დაახლოებით ამავე პერიოდს უკავშირდება პურზე რიგები. მაშინ გამომცხვარ პურზე არსებობდა სახელმწიფო რეგულირებადი ფასი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით განხორციელდა პურზე ფასების ლიბერალიზაცია, მაშინ 1კგ. გამომცხვარ პურზე ფასები გაიზარდა მხოლოდ 10 თეთრით, ანუ 23,8 პროცენტით. ამის შედეგად პურზე რიგები მოიხსნა.

აქედან გამომდინარე, საჭიროა მთავრობამ მოუსმინოს საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს, თუმცა ყველაფერში ბრმად არ უნდა დავეთანხმოთ მათ. მაგალითად, წინა მოწვევის პარლამენტი არ დაეთანხმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციას, იმპორტირებულ და ადგილობრივი წარმოების სიგარეტზე მიიღო დიფერენცირებული განაკვეთის აქციზის კანონი. კერძოდ: ადგილობრივი წარმოების სიგარეტის აქციზის განაკვეთი ნაკლები იყო იმპორტირებული სიგარეტის აქციზის გადასახადთან შედარებით. აღნიშნულის მსგავს ღონისძიებებს მივესალმებით. მსგავსი მოქმედებებით უნდა ავაღორძინოთ და განვავითაროთ ეროვნული ეკონომიკა.

საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა 2000 წელს, რაც ნაადრევი ღონისძიება გახლდათ და აი რატომ: მართალია, საქართველოს შეუძლია ბარიერების გარეშე გაიტანოს საქონელი საზღვარგარეთ, მაგრამ ამას ხშირად ვერ ახერხებს ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის გამო. ღია ეკონომიკის შედეგად ჩვენი ბაზარი გაჯერებულია უცხოური, მეტწილად დაბალი დონის ხარისხის თურქული და ჩინური საქონლით. საქართველოში იმპორტის გადასახადის განაკვეთი წარმოადგენს საქონლის ღირებულების 5 და 12 პროცენტს (შედარებისათვის აშშ-ში საბაჟო გადასახადის განაკვეთი ტანსაცმელზე 100 პროცენტს შეადგენს. მიუხედავად ამისა, აშშ-ის ბაზარი გაჯერებულია ჩინური წარმოების ტანსაცმლით). იმპორტის გადასახადი 12 პროცენტის ოდენობით მეტად მცირეა და, ცხადია, ვერ დაიცავს ადგილობრივ ბაზარს. ადგილობრივი წარმოების გაზრდის ხელშემწყობი ფაქტორი გახდება იმპორტირებულ საქონელზე ამ გადასახადის 30 პროცენტამდე გაზრდა.

საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ ჩვენ, სამწუხაროდ, „ნაბან წყალს ბავშვი გადავაყოლეთ" და, სხვა „სიკეთეებთან" ერთად, გავანადგურეთ ადგილობრივი მრეწველობაც. იმ პერიოდში კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებთან ერთად ფუნქციონირებდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროც. მის დაქვემდებარებაში იყო საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში (მუნიციპალიტეტებში) სამრეწველო ერთეულები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ რესურსებზე მუშაობდნენ. ადგილობრივ მრეწველობას სხვაგვარად „ათასი წვრილმანის" მწარმოებელ დარგთა კომპლექსს უწოდებდნენ. მიგვაჩნია, რომ უახლოეს პერსპექტივაში აუცილებელია ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების (ფირმის) აღდგენა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას არ უნდა დავივიწყოთ ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედება. კერძოდ, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის ეკონომიკური

კანონი. ფასების (განსაკუთრებით კი საცალო ფასების) დონე ფასწარმომქმნელი ფაქტორების ცვლილების შედეგად უნდა იცვლებოდეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნგრევის ერთ-ერთი მიზეზი ზემოაღნიშნული კანონის ობიექტური მოთხოვნების უგულებელყოფაც იყო: ფასებისა და ტარიფების დონე ათეული წლების განმავლობაში უცვლელი იყო.

ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეთიკური ნორმები, ზნეობრიობა. დაუწერელი კანონები წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ფაქტორს. ისინი ქმნიან იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს ეკონომიკა. ამას ადასტურებს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის დეპრესიიდან გამოსაყვანად და მისი დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია პოლიტიკური სტაბილიზაცია; ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლება (ძირითადად მცირე ბიზნესის განვითარება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება); საგადასახადო განაკვეთების ლიბერალიზაცია (მათი კიდევ უფრო შემცირება რათა სტიმული მიეცეს მეწარმოების განვითარებას); მატერიალური დაინტერესების პრინციპის დანერგვა ეკონომიკაში; უცხოურთან შედარებით მეტი სტიმული უნდა მიეცეს ადგილობრივ ინვესტიციებს; საჭირო გადაიხედოს პრივატიზაციის შეწყვეტის საკითხი, რათა არსებული პროცენტული მაჩვენებელი (ამჟამად, ექსპერტული შეფასებით, სახელმწიფო საკუთრებაშია მთლიანი უძრავ-მოძრავი ქონების 25-30 პროცენტამდე) აღარ შემცირდეს. უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ხელშეწყობა კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, მონოპოლიური მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეიაშვილი პ., ქართული რეფორმები „ინსტიტუციონალურ ხაფანგში“, თბ., 2003.
2. მელქაძე ვ., საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, თბ., 1975.
3. ყუფუნია გ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010.
4. www economy.ge
5. www wikipedia. org/wiki/ საქართველოს ეკონომიკა

ოთარ შავიშვილი

საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების შესახებ

რეზიუმე

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი გაჭიანურდა (20 წელზე მეტი) და იგი გაგრძელდება მანამ, სანამ ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმები არ დამთავრდება.

საქართველო იმყოფება საყოველთაო კრიზისში. აქედან გამოსასვლელად და ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად მთავარია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რის შედეგადაც გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება. აუცილებელია, რომ საქართველოში წარმოებულ იქნეს კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რაც გაზრდის ექსპორტს.

Otar Shavishvili

The Ways which Increase Georgian Economy

Summary

Over 20 years transitional period of market economy in Georgia has been significantly impaired and it will continue until economical and legal reforms are being unsettled. Unfortunately, Georgia is part of world economic crisis. In order to overcome this problem and facilitate country’s economy, it is necessary to develop small and medium-sized businesses which, in turn, will lead to increase the level of state budget and will make work placement much easier. It is essential to provide local competitive production of goods which will promote export.

Отар Шавишвили

Об ускарённом развитии экономики Грузии

Резюме

В статье указывается, что Грузия более 20 лет находится в переходном периоде на рыночную экономику и вышеуказанный период продлится до того, пока не закончатся экономические и правовые реформы.

Преодоление экономического кризиса и ускорение развития экономики Грузии, главным образом, возможно развитием малого и среднего бизнеса, путём преодоления проблем доходов государственного бюджета и безработицы. Также считаем обьязательным увеличение числа конкурентноспособной продукции.

ინეზა ვაწაძე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების ზოგიერთი საკითხი

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია და მას მომავლის ფენომენად აღიარებენ. იგი მსოფლიო ეკონომიკაში კონკურენციას უწევს ისეთ დარგებს, როგორიც არის ნავთობის მოპოვება და მანქანათმშენებლობა. ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების განვითარებაში და წარმოადგენს სოციალურ-კულტურული ურთიერთობების ყველაზე მასობრივ ფორმას. გარდა ამისა, იგი დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლებასა და გაუმჯობესებაზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველა ქვეყანა, რომელსაც გააჩნია მისი განვითარების შესაძლებლობები, ცდილობს ტურიზმის განვითარებას, მათ შორისაა საქართველოც. საქართველოს ყველა რეგიონს საუკეთესო საფუძველი და მონაცემები გააჩნია ტურიზმის თითქმის ყველა სახეობის განვითარებისათვის. ამას ადასტურებს მისი თვალწარმტაცი და ულამაზესი ბუნება: მუდმივი თოვლით დაფარული კავკასიონის ქედი, შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ჰავა, მთის მდინარეები და ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები, მინერალური წყლები და უნიკალური ისტორიული ძეგლები. საქართველო მდებარეობს ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში, მიუხედავად ფართობის სიმცირისა (69,7 ათასი კვადრატული მეტრი), მისი ტერიტორია ხასიათდება გეოგრაფიული ლანდშაფტის დიდი მრავალფეროვნებით.

საქართველოში 340 საკურორტო ადგილია, რასაც განაპირობებს მისი ბუნების მრავალფეროვნება. ატმოსფერული მოვლენების ხასიათის მიხედვით საქართველო იყოფა ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოლქად (ადგილად) —აღმოსავლეთ და დასვლეთ საქართველოდ. მათ შორის კლიმატურ საზღვარს წარმოადგენს ლიხის ქედი. აღმოსავლეთ საქართველო ხასიათდება ზომიერი სუბტროპიკული ჰავით. აქ ტენიანობა დაბალია და ნალექების რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში და ზამთარიც უფრო ცივი იცის. ბუნების ასეთი მრავალფეროვნება შესაძლებელს ხდის ზაფხულში თხილამურებით სრიალსა და ზამთარში ზღვაზე ბანაობას.

ბუნების მრავალფეროვნება საუკეთესო პირობებს ქმნის ტურიზმის თითქმის ყველა სახის და განსაკუთრებით, ეკოტურიზმის განვითარებისათვის.

ეკოტურიზმი წარმოადგენს ტურიზმის ისეთ სახეობას, რომელიც მოიცავს ბუნებასთან დაკავშირებული ტურიზმის ყველა ფორმას. ეკოტურისტთა ძირითად მიზანს წარმოადგენს ბუნებრივი სიმდიდრეებისა და ტრადიციული კულტურული ძეგლების დათვალიერება და მათთან ზიარება, ეკოტურისტებს გათვითცნობიერებული აქვთ გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა. ეკოტურიზმი მეტად მნიშვნელოვანია, პერსპექტიულია და ის მოიცავს ტურისტული ბაზრის საკმაოდ დიდ სეგმენტს. გერმანიაში ეკოტურიზმზე მოდის 35%-ზე მეტი, საფრანგეთში 42%-ზე მეტი და ა. შ. ეკოტურიზმი ტურიზმის ყველაზე პოპულარული სახეა და ნიშნავს ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიების დასათვალიერებლად განხორციელებულ მოგზაურობას, მათთვის ზიანის მიუყენებლად. ეკოტურიზმს მინიმუმამდე დაჰყავს გარემოზე ეკოლოგიური ხასიათის უარყოფითი

ზეგავლენა და ხელს უწყობს რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. ეკოტურისტები ეცნობიან კულტურას, არქეოლოგიას, არქიტექტურას, ბუნებრივ რესურსებს, სოფლის მეურნეობას და ცოცხალ ბუნებას.

საქართველო ორი დიდი კულტურის გზაგასაყარზე მდებარეობს და ამიტომ წარმოადგენს აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ქართული კულტურის ეროვნული ტრადიციების ნაზავს. ამას ადასტურებს ანტიკური ხანის არქიტექტურული ძეგლები: უფლისციხე, არმაზი, ურბნისი, ვანი და სხვ. ქვეყანაში 12000 ისტორიული ძეგლი და 150 მუზეუმია.

საქართველოში ეკოტურიზმის თვალსაზრისით ბევრი საინტერესო ობიექტი შეიძლება დასახელდეს, მაგალითად: ბორჯომ-ხარაგაულის, თუშეთის, ვაშლოვანის, კოლხეთის, მტირალას ტყე-პარკები, თუმცა, მთელი საქართველო ეკოტურიზმის სამასპინძლო ადგილია. საქართველოს ყველა რეგიონში შესაძლებელია ეკოტურიზმის მაღალ დონეზე განვითარება, თუ იქნება ფინანსური შესაძლებლობა. გვინდა ყურადღება გავამახვილოთ რაჭა-ლეჩხუმში ეკოტურიზმის განვითარების საკითხზე. აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ აგროტურიზმი და სოფლის ტურიზმი შინაარსობრივად ახლოს დგანან ეკოტურიზმთან. საქართველოს აგროტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია: სტუმართმოყვარეობის მდიდარი ტრადიციები, საინტერესო ტურისტული მარშრუტები, ისტორიული ძეგლები და თვალწარმტაცი ბუნება.

იმერეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება რაჭა, მათ შორის საზღვარია ნაქერალას ქედი. „როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, რაჭისათვის სახელი დაურქმევია ერთ ქართველ მონადირეს, რომელიც პირველად დასახლებულა ამ ადგილზე. ნაქერალადან რომ გადუხედია ამ ღრმა და ვიწრო რიონის ხეობისათვის, ჭისათვის მიუმსგავსებია და წარმოუთქვამს: „ეს რა ჭა ყოფილაო". ამის შემდეგ ამ მხარეს დარქმევია რაჭა" (4, 258).

საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, რასაც მისი ბუნებრივი მდებარეობაც უწყობს ხელს, მაგრამ მისი შესაბამისი სექტორი ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის ათვისებული. ეკოტურიზმის განვითარება არა ამრტო ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, არამედ ხელს შეუწყობს მოსახლეობის გარკვეული დონის დასაქმებას და ისინი ადვილად აღარ გადაწყვეტენ მთიდან ბარში ჩამოსვლას საცხოვრებლად. უნდა ითქვას, რომ არასაკმარისი სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გამო დღეისათვის მთის სოფლები თითქმის დაცარიელებულია. ასეთივე მდგომარეობაა რაჭაშიც. სახლების უმრავლესობა მიტოვებული და დაკეტილია. სოფელი შველას ითხოვს და ამ პრობლემების ნაწილობრივ მაინც მოგვარება ეკოტურიზმის განვითარებას შეუძლია. ეს მეტად საშური საქმეა, თუ ამ პრობლემას სახელმწიფო დროულად არ მიხედავს, შეიძლება შემდეგ უკვე გვიანი აღმოჩნდეს.

ტურიზმის განვითარებას საქართველოსათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოსა და ერის ისტორიის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი ტრადიციების მსოფლიოში პოპულარიზაციისათვის.

ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარება ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეს კიდევ უფრო შეაკავშირებს, საზოგადოებას საერთო ეროვნული ინტერესების გარშემო გააერთიანებს. ბევრ თავმომწონე ქართველს, რომელსაც შემოვლილი აქვს გარე სამყარო, თავისი სამშობლოს ღირსშესანიშნავი ადგილები არა აქვს დათვალიერებული და ამიტომაც ნაწილობრივ უქრება სამშობლოსადმი დიდი სიყვარული. მართალია, საერთაშორისო ტურიზმი გარკვეულად ზრდის ეკონომიკურ შემოსავლებს და მნიშვნელოვნად ამაღლებს ქვეყნის იმიჯსა და პრესტიჟს, მაგრამ პარალელურად ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს შიდა ტურიზმის განვითარებას. ცუდი არ იქნება, თუ შიდა ტურისტული მარშრუტები სკოლის სასწავლო გეგმებში სავალდებულო საგნად იქნება შეტანილი. ბავშვები შეიცნობენ მშობლიურ ბუნებას, კიდევ უფრო ღრმად გაეცნობიან ქართულ ტრადიციებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ქართული სამზარეულო ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში. ეროვნული ტანსაცმლისაგან განსხვავებით, იგი არა მარტო შენარჩუნებულია, არამედ ფართოდ გავრცელდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის წარსულში დამახასიათებელი იყო განსხვავებული სამზარეულოები, დღეისათვის კი ეს განსხვავება თითქმის აღარ არსებობს და მთელ საქართველოში გავრცელებულია ლობიო, ხინკალი, ხაჭაპური, თევზეულის, საქონლისა და ფრინველის ხორცისაგან დამზადებული სხვადასხვანაირად დაგემოვნებული კერძები, რომლებმაც არ შეიძლება ტურისტების ყურადღება და მოწონება არ დაიმსახურონ. აქვე მინდა შევჩერდე რაჭულ სამზარეულოზე, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა თავისებურება. რა შეედრება რაჭულ ლორსა და ლობიანს, ოჯალეშსა და ხვანჭკარას, რომელიც მხოლოდ ამ რეგიონში მოჰყავთ და თანაც უძველესი ტექნოლოგიის გამოყენებით მზადდება.

ეკოტურიზმის თვალსაზრისით რაჭა-ლეჩხუმი, მიუხედავად მისი ტურისტული რესურსებისა, მაინც აუთვისებელია თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტურისტულ ბანაკს „შარეულა"(www.shareula.ge Facebook:shareula), რომელიც მდებარეობს რაჭის უკიდურეს დასვლეთში, მდინარეების რიონისა და შარეულას შესართავთან და შემოსაზღვრულია თვალწარმტაცი ტყის მთიანი რელიეფით.

„შარეულა" თბილისიდან დაშორებულია 290 კმ-ით, ქუთაისიდან 64 კმ-ით. ბანაკს უჭირავს 2 ჰექტარი ფართობი. ბანაკი „შარეულა" 2012 წელს დააარსა რაჭაზე უზომოდ შეყვარებულმა ერთმა რაჭველმა კაცმა საკუთარი ფინანსებით. მისი დაარსების მიზანია დღემდე ნაკლებად ათვისებული რაჭა-ლეჩხუმის უნიკალური და ულამაზესი ბუნების გაცნობა, ბუნებრივი იერსახის დაუზიანებლად. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის უნიკალურობა განპირობებულია რთული ლანდშაფტურ-გეოგრაფიული მახასიათებლებით, რაც ინდუსტრიული თვალსაზრისით ხელს უშლიდა ქვეყნის ამ ნაწილის ათვისებას. შესაბამისად, რაჭა-ლეჩხუმი თავისთავად ჩამოყალიბდა ბუნებრივად დაცულ ტერიტორიად, სადაც დღემდე შენარჩუნებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ფლორისა და ფაუნის არნახული ნიმუშები, უნიკალური სასმელი წყლები და რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებული ტრადიციული ცხოვრების წესი. ცნობილია, რომ უცხოეთში საშობაო ნაძვის ხეების გასამრავლებელი თესლი მხოლოდ რაჭიდან გააქვთ.

„შარეულას" ტურისტული ბანაკი ამუშავებს მრავალფეროვან ტურისტულ პროგრამებს და უკვე ჩამოყალიბებული აქვს შემდეგი ტურები: ერთდღიანი ტური ხვამლის მთაზე, ერთდღიანი საცხენოსნო ტურები, ჯომარდობა მდინარე რიონზე (ბანაკის ტერიტორიაზეა განთავსებული ჯომარდობის ბაზა), ერთდღიანი კულტურული ტურები. ბანაკს გააჩნია საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აქვს სატრანსპორტო საშუალებები, კარვები, საძილე ტომრები, ფუნქციონირებს რესტორანი, სადაც ტურისტებს შესაძლებლობა ეძლევათ დააგემოვნონ რაჭული სამზარეულოს კერძები და ღვინოები. ბანაკში არის კეთილმოწყობილი ტუალეტები და საშხაპეები. თუმცა ეს არ არის საკმარისი და საჭიროა მსგავსი სახის პროექტებს უფრო მეტი ყურადღება ექცეოდეს სახელმწიფოს მხრიდან, რაც უფრო მეტად წარმოაჩენს რაჭა-ლეჩხუმის თვითმყოფად ტრადიციებსა და უნიკლურ ბუნებას.

თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთ წამყვან ტრადიციას ეკოლოგიზაცია წარმოადგენს. ეკოტურისტები ტურიზმის ბაზრის მზარდ სეგმენტს წარმოადგენენ. მათ განსაკუთრებულად იზიდავთ შორეული რეგიონები. აინტერესებთ გადაადგილება იმ რეგიონებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს „ხელუხლებელი" ბუნება. ასეთ რაიონებს ეწვევიან ის ტურისტები, რომლებსაც უყვართ ბუნება და დასვენების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ლაშქრობა, მთამსვლელობა, ჯომარდობა, თხილამურებზე სრიალი და ველური ბუნების გაცნობა. სწორედ ასეთია საქართველო.

საქართველოს ტურისტული და საკურორტო მეურნეობის ასაღორძინებლად აუცილებელია სწორი და მიზანდასახული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება მოცემულ სფეროში ლიბერალიზაციის კიდევ უფრო გაძლიერებაზე და ადგილობრივი ინვესტორების ქმედით მხარდაჭერაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბუნაშვილი გ., ხუტაშვილი მ., ზოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა, თბ., 2003.
2. ბეროვსი კლეიტონ ვ., ტომ პავერსი, დენის რეინოლდსი, შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში (ქართ. ენაზე), თბ., .2012.
3. გელდნერი, რითჩი, ტურიზმი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.
4. გოგებაშვილი ი., საგანძური, თბ., 1998.
5. მაისურაძე დ., წიქარიშვილი კ., და სხვ. „კარსტული მღვიმეები, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული რესურსი, თბ., საქართველოს გეოგრაფია, №6-7, 2008.
6. მარგველაშვილი მ., ტურიზმის ეკონომიკა, თბ., 2012.
7. Грицкевич В.П. ,, История Туризма”, М., 2005.
8. Хробоченко В.В. ,, Экологический туризм “, М,. .2004.

ინეზა ვაწაძე

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების ზოგიერთი საკითხი

რეზიუმე

ნაშრომში დახასიათებულია ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ეკოტურიზმის არსებულ რესურსებზე, რომელიც წარმოდგენილია დაცული ტერიტორიებისა და ისტორიული ძეგლების სახით. ხაზგასმითაა მითითებული, რომ საქართველოს ყველა რეგიონი თავისი ბუნებრივი რესურსებით, ეკოტურიზმის განვითარებისათვის დიდ შესაძლებლობებს ქმნის. ეკოტურიზმის განვითარება ყველგან და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, ბევრ პრობლემას მოხსნის – განვითარდება ინფრასტრუქტურა, მოხდება ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმება და აღარ დაიცლება მოსახლეობისაგან მთიანი სოფლები. ნაშრომში დახასიათებულია აგრეთვე ტურისტული ბანაკი „შარეულა“, რომელიც მდებარეობს რაჭის უკიდურეს დასავლეთში.

Ineza Vatsadze

Some Issues of the Ecotourism Development in Georgia

Summary

This work describes the capabilities of development of ecotourism in Georgia. The main accent is made on the resources of the ecotourism, such as historical monuments and protected territories. It is underlined that all regions of Georgia with its natural resources is the great opportunity to develop the ecotourism everywhere, especially in Borjomi-Kharagauli National Park, Lagodekhi National Park, Mtirala National Park etc. Tourism development will solve several problems especially in highlands of Georgia: development of the infrastructure, new jobs and the migration of the people from the villages will decrease. The work also points out the tourist camp “Shareula” which is located the west part of Racha.

Инеза Вацадзе

Некоторые вопросы развития экотуризма в Грузии

Резюме

В статье охарактеризованы вопросы развития экотуризма в Грузии. Особое внимание уделено существующим ресурсам экотуризма, которые представлены в виде защищенных территорий и исторических памятников. Также подчеркнуто, что все регионы Грузии со своими природными ресурсами предоставляют огромные возможности для развития экотуризма.

Развитие экотуризма повсюду, а в особенности в горных районах Грузии снимает множество проблем: будет развиватся местная инфраструктура, появятся новые рабочие места для населения и горные деревни не опустеют. В труде также охарактеризован туристический лагерь ,Шареула”.

ნანა მაისურაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

კორპორაციული მმართველობის კონცეფციების არსი და მისი გავითარების ისტორია

ეკონომიკური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სამეურნეო საქმიანობის მართვის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევის პირველი ნიშნები შეიმჩნევა შუამდინარეთის კულტურაში, ამ კულტურის არეალში ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, ჩამოყალიბდა განსაკუთრებული კასტა, რომლიც ახორციელებდა სავაჭრო ოპერაციებს, საქმიან მიმოწერას და კომერციულ გარიგებას, მართვის ჩარჩოებში მოქცეულს(5, 13; 33).

ზოგადად მართვის აღმოცენების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა რუსი მეცნიერის ე. უტკინის მეცნიერული შრომები, რომელშიც ის ამ საქმიანობის სფეროში გამოყოფს ხუთ რევოლუციურ გარდაქმნას, სახელდობრ: პირველი, უკავშირდება შუმერებში დამწერლობის აღმოცენებას; მეორე - ჰამურაბის საკანონმდებლო კრებულს; მესამე, დაკავშირებულია საწარმოო-სამშენებლო მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებასთან ნაბუქოდონოსორის მმართველობის პერიოდში; მეოთხე, კაპიტალიზმის ჩასახვასა და ევროპული ცივილიზაციის ინდუსტრიული პროგრესის დაწყებას; მეხუთე, მმართველობით რევოლუციას – რაციონალურ–ბიუროკრატიულ კონცეფციას.

გავითვალისწინეთ რა თავად ე. უტკინის შეხედულებები და ვ.პ. სავჩუკის (42), პ. დრუკერის (33, 23), ზ. ლიპარტიას, ა. სილაგაძის, ა. აბრალავას (1), ვ. კაკაბაძის (10), ბ. ბიწაძის (8) შეხედულებები, ჩამოვაყალიბეთ მმართველობითი აზროვნების გარდაქმნის ეტაპობრივი სქემა, სახელდობრ:

1. მართვა დაკავშირებული ტრაქტატულ აზროვნებასთან ანუ განსჯასთან, რომელიც მოიცავს მონათმფლობელურ პერიოდს, დაკავშირებულს მონური შრომის რაციონალურ განაწილებასთან (11, 19; 41).
2. მართვა დაკავშირებული სისტემურ ეკონომიკურ აზროვნებასთან. მართვის ეს პერიოდი უკავშირდება კაპიტალიზმის ჩასახვას. ამ პერიოდში ხდება მართვის ისეთი მექანიზმის დამკვიდრება, რასაც შრომის დანაწილება ჰქვია და რაც აღწერილია ადამ სმიტის წიგნში "ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (20).
3. მართვა დაკავშირებული დროის მენეჯმენტთან, ეს არის სისტემურ აზროვნებასთან და დროის როგორც ღირებულ ფაქტორზე დამოკიდებული მართვა. ის მოიცავს თანამედროვე პერიოდს.

ქართველი მეცნიერები ლ. თაკალანძე, ე. ბარათაშვილი, ა. აბრალავა (6) მართვის ევოლუციურ განვითარებაში გამოყოფენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოთხ პერიოდს: პირველს უკავშირებენ "სამრეწველო კაპიტალიზმს"; მეორეს (1890-1933) -ფინანსურ მენეჯმენტს და აღნიშნავენ ტერმინით "ფინანსური კაპიტალიზმი"; მესამეს (1933-1950) უკავშირებენ "ნაციონალური კაპიტალიზმის" ჩამოყალიბებას. ამ პერიოდში იკვეთება მართვის ისეთი ფორმები, რომლებიც ორიენტირებულია არა მარტო მიზნებსა და შედეგებზე, არამედ კონტროლზე. კონტროლთან დაკავშირებით საყურადღებოა გერმანელი პოლიტიკური მოღვაწის ლ. შპეტის (45) მოსაზრება, რომელსაც მიაჩნია, რომ წარმოების პროცესი ნედლეულის მოპოვებიდან საქონლის შექმნამდე, მისი ბაზარზე განაწილების ჩათვლით და, შემდგომში, რეალიზაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება, უნდა ხდებოდეს ადამიანისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ურთიერთშერწყმით. კონტროლის მომხრეა ფ. შახმალოვი (44), მაგრამ ამასთან აღნიშნავს, რომ კონტროლი უნდა იყოს არაიძულებითი ფორმა; მეოთხეს საწყისად მიიჩნევენ 1950 წელს, როცა ფართოდ ინერგება კოლეგიალური მართვის სისტემა, და მიიჩნევენ, რომ ის დღემდე გრძელდება. ჩვენი მოსაზრებით ამ პერიოდის ძირითადი დამახასიათებელია ის, რომ ყალიბდება მართვის კანონზომიერი ჯაჭვი (3, 6; 12; 16; 17; 37).

ქართველი მეცნიერები: გ. შიხაშვილი (22), ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე და ზ. ლიპარტია მართვის კანონზომიერებებიდან გამოყოფენ შემდეგ ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვს:

1. საზოგადოება მიისწრაფვის მოწესრიგებული მართვის ორგანიზაციისაკენ. ამ დროს ნებისმიერი დარგისა და დონის მენეჯერი, რომელიც ცდილობს რა მაქსიმალურად მაღალი ეკონომიკური ეფექტით გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი – სრულყოფს მართვის სისტემებს (8);
2. მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეთანაწყობა. ამ კლასიფიკაციის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეს კანონზომიერება აქტუალური ხდება წარმოებისა და მმართველობით ურთიერთობათა განვითარებისა და ხარისხობრივად ახალი თვისებების შეძენის გამო და ასაბუთებენ, რომ აღნიშნული კანონზომიერების სისტემაში მოქმედებს კანონი მართვის ფუნქციების ცენტრალიზაციისა და კონტროლის გავრცელების შესახებ(7);
3. მეურნეობის ნებისმიერ დონეზე პრინციპების ერთიანობა (2; 9; 18; 24);
4. მმართველობითი და სამართავი სისტემის პროპორციული და ოპტიმალური შესაბამისობა. ამ დროს მმართველი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს წარმოების სისტემის ყველა სფეროსა და ქვედანაყოფის პროპორციულ განვითარებას. ამისათვის აუცილებელია საწარმოს ყველა რგოლებს შორის განვითარების ერთნაირი პირობების შექმნა როგორც შრომითი, მატერიალურ-ტექნიკური, ასევე ფინანსური საშუალებების სწორი განაწილება. ფინანსური საშუალებების რაციონალურ განაწილებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ზ. ლიპარტიას მიდგომა, მას მიაჩნია, რომ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მოხდება დაფინანსების წყაროებისა და გამოყენების კრიტერიუმების სწორი განსაზღვრა (14).

მეცნიერული მართვის სკოლის ფუძემდებლის ფ. ტეილორის (43) გამოკვლევის შესწავლისა და უშუალო პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე, ჩვენს მიერ გაკეთდა დასკვნა, რომ მწარმოებლურობის ზრდის მთავარი ბარიერი ორგანიზაციებში მენეჯმენტის არასახარბიელო დონე და არასწორი მართვის სრულყოფის სტრატეგიების შერჩევაა და, RMG-ის კომპანიების მართვის პროცესის ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეფექტიანი მართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მართვის პროცესი განხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით.

განსაკუთრებული წვლილი მართვის კვლევაში ეკუთვნის მაქს ვებერს (31), მისი შრომების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია მართვის რაციონალიზაციის გზით – ბიუროკრატიულობამდე აყვანილი. მისი თეორიის ძირითადი მამოძრავებელი დებულებებია: შრომის ზუსტად განსაზღვრული დანაწილება მუშაკთა უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის დონის შესაბამისად; ფორმალური უფლებამოსილების თანახმად თანამდებობების განსაზღვრა იერარქიულ სტრუქტურაში; მუშაკთა შერჩევისას მათი კვალიფიკაციის გათვალისწინება; ყველა გადაწყვეტილების წერილობით გაფორმების აუცილებლობა. საყურადღებოა ანრი ფაიოლის (29), მერი პარკერ ფოლეტისა და ჩასტერ ბერნარდის (46; 32) შეხედულებები. მაგალითად, ა. ფაიოლიმ პრაქტიკული დაკვირვებისა და საკუთარი შეხედულებების განზოგადების საფუძველზე ჩამოაყალიბა ადმინისტრირების კონცეფცია და მენეჯმენტის ფუძემდებლური პრინციპები. მას მიაჩნდა, რომ მართვის ჯაჭვი უნდა იყოს ცვალებადი და მოქნილი, სახელისუფლებო უფლებამოსილება კი უნდა დანაწილდეს უმაღლესი დონიდან ძირეული დონისაკენ და მოიცვას ყველა მუშაკი.

მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს პ. ფოლეტი, რომელიც დიდ დატვირთვას ანიჭებს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ეთიკა, ხელისუფლება, ლიდერობა. ჩვენი მოსაზრებით, მისმა კვლევებმა მენეჯმენტის თეორიაში დასაბამი მისცა ახალ ეტაპს, რომელიც ახლოს იყო მართვის ფსიქოლოგიურ ასპექტებთან. მისი დაწყებული საქმე გააგრძელა ჩ. ბერნარდმა. ბერნარდი იკვლევდა მართვის პროცესს, რის საფუძველზეც შეიმუშავა არაფორმალური ორგანიზაციის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად არაფორმალური ორგანიზაციები იქმნება ნებისმიერი ორგანიზაციის შიგნით და მიაჩნდა, რომ არაფორმალური ურთიერთობები არის მძლავრი ფაქტორი, მენეჯერთა საქმიანობაში.

ქართველი და უცხოელი მკლევარების გამოქვეყნებული შრომების ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს კორპორაციების უმეტესობამ მთელ მსოფლიოში დაიწყო სტრატეგიული დაგეგმვიდან სტრატეგიულ მართვაზე გადასვლა, რამეთუ სტრატეგიული მართვა წარმოადგენს არა მარტო მმართველობითი

გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელების პროცესს, არამედ კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სწრაფ რეაგირებას გარე გარემოს კონიუნქტურის სულ უფრო მზარდ ცვლილებებზე (35).

ი. ანსოფის (27) აზრით, სტრატეგიული მართვა უნდა განვიხილოთ როგორც ორი ურთიერთშემვსები ქვესისტემის ერთობლიობა: პირველი, სტრატეგიული პოზიციის ანალიზი, შერჩევა და მეორე, ოპერატიული მართვა – დროის რეალურ მასშტაბში. ქართველ მეცნიერს რ. ხარებავას (21) მიაჩნია, რომ ამის აუცილებლობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სტრატეგიული მართვა სტრატეგიული დაგეგმვისაგან განსხვავებით წარმოადგენს ქმედით, ორიენტირებულ სისტემას, რომელიც მოიცავს სტრატეგიული რეალიზაციის პროცესის შეფასებას და კონტროლს (21, 32-35).

დ. შენდელი და კ. ხატენი (25) სტრატეგიულ მართვას განიხილავენ, როგორც ორგანიზაციის გარე გარემოსთან კავშირების განსაზღვრისა და დამყარების პროცესს. მათი აზრით იგი მდგომარეობს არჩეული მიზნების რეალიზაციაში და გარემოსთან სასურველი მდგომარეობის მიღწევაში, რესურსების ეფექტური განაწილებითა და ორგანიზაციის ქვედანაყოფების შედეგიანი მოღვაწეობით.

უცხოელი და ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების ი. ანსოფი, ფ. კარლოფი, მ. მესკონი, ე. არენსი, ა. მურავლიოვი, ლ. ლოზოვსკი, ვ. ლეონტიევი, ფ. შახმალოვი (26; 28; 30;34; 36;39; 38; 40;44), ზ. ლიპარტია (14; 15), რ. ხარებავა(21), ბ. ბიწაძე (8), ი. ანანიაშვილი, გ. პაპავა, ი. მესხია (4), ე. ბარათაშვილი (7) და სხვათა ნაშრომების შესწავლის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ მართვის არსი: მართვა არის ალტერნატიული მიზნებისა და გადაწყვეტილებების სწორი შერჩევა და მათი ერთ სისტემაში მოქცევა, რომელშიც მთავარი განმსაზღვრელია რაციონალიზმი, რამეთუ ის უფრო ნაკლებად ექცევა ეგზოგენური პროცესების გავლენის ქვეშ და იძლევა სწორი სტრატეგიული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., ტრანსნაციონალური კომპანიების როლი გლობალიზაციის პროცესში. ჟურნ. „ეკონომიკა“, №5-6, თბ., 2003.
2. ადამია ნ., სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №19-20, თბ., 2010.
3. ადეიშვილი გ. (მთ. რედ.), ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, ნაწილი II, თბ., 1992.
4. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, თბ., 2003.
5. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1978.
6. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.
7. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2010.
8. ბიწაძე ბ., კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2009.
9. ბიწაძე ბ., კორპორაციული მართვა და საქართველო, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №19-20, თბ., 2010.
10. კაკაბაძე ვ., ინვესტიციები და საინვესტიციო პროექტების მართვა, თბ., 2012.
11. კაკაბაძე ვ., ეკონომიკური აზროვნების ევოლუცია, თბ., 2004.
12. კახნიაშვილი ჟ., მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, II ნაწილი. თბ., 1997.
13. ლიპარტია ზ., კორპორაციული ფინანსების მართვა, თბ., 2009.
14. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ., კორპორაციული ფინანსები. ტომი I, თბ., 2012.
15. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ., კორპორაციული ფინანსები, ტომი II, თბ., 2013.
16. მაკარათი ა.ჰ., საერთაშორისო კორპორაციები და მათი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში, ჟურნ.: "ეკონომიკა", № 1-2. თბ., 2003.
17. მენქიუ გ., ეკონომიკური პრინციპები, თბ., 2003.
18. ნატროშვილი ნ., კორპორაციული მართვა ქართულ კომპანიებში, გაზ. „24 საათი“, 18 მაისი, 2013.
19. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.
20. სმითი ა., ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტომი 1, თბ., 1938.

21. ხარებავა რ., ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები, თბ., 2013.
22. შიხაშვილი გ., რუსიძე კ., პროექტების მენეჯმენტი, თბ., 2010.
23. Peter F. Drucker. Management Challenges for the 21st century. HarperCollins Inc., New York 1999
24. Vinicius Carrasco. Corporate Board Structure, Managerial Self-Dealing and Common Agency. First Draft: July, 2004. This Draft: October, 2005 year
25. Chandler A. Strategy and Structure: Chapters in the History of the American Industrial Enterprise. Cambridge, 1962.
26. Management. Henry Fayols biography, Management; 2010. http://management4best. blogspot.com/2010/01/henry-fayolsbiography.html.
27. Ансофф И. Стратегическое управление: Пер. с англ. М., 1989.
28. Ансофф И. Стратегический Менеджмент. Пер.с англ. 2009.
29. Анри Файоль. Общее и промышленное управление. Перевод на русский язык: Б. В. Бабина-Коренья. — М.: 1923. [Электронныйресурс]//http://gtmarket.ru/laboratory/basis/5783
30. Аренс Э. А., Лоббек Дж. Аудит. М.,1995.
31. Вебер М. История хозяйства. Очерки всеобщей социальной и экономической истории. М., 1923.
32. Веснин В.Р. "Менеджмент" (3-е изд., переработанное и дополненное), 2007.
33. Друкер П. Ф. Задачи менеджмента в XXI веке. Москва-Санкт-Петербург-Киев, 2000.
34. Карлофф Ф. деловая стратегия. Пер. с англ. М., 1999.
35. Кузнецов Ю.В. Подлесных В.И. Основы менеджмента. М., 2002.
36. Леонтьев В. Е., Бочаров В. В., Радковский Н. П. Финансовый менеджмент. М., 2005.
37. Левшин Ф. Мировой рынок: Конъюнктура, цены и маркетинг. М., 1993.
38. Лозовский Л. Ш. Управление предприятием. Менеджмент. Курс экономики. М., 1999.
39. Мексон М., Алберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента. М., 2000.
40. Муравьёв А., Савулькин Л. Корпоративное управление и его влияние на поведения приватизированных предприятии. Журн.: "Вопросы Экономики", №7, М., 1998.
41. Райзберг Е. А. (ред.). Курс экономики. Учеб., 2-е изд. М., 1992 .
42. Савчук В. П. Фынансовый менеджмент предприатий: практические вопросы и анализ деловой ситуации. Киев, 2001.
43. Тейлор Ф. У. Административно-техническая организация промышленных предприятий. М., 1912.
44. Шамхалов Ф. Государство и экономика: Власть и бизнес. Журн. "Экономика", М., 1996.
45. Шпет Л. Вызов брошен – но принали? Литературная газета, 3 февраля, 1988 г.
46.http://www.vse-uchebniki.com/osnovyi-menedjmentabesplatno/opredelenie-funktsii-motivirovaniya.html.

ნანა მაისურაძე

კორპორაციული მმართველობის კონცეფციების არსი და მისი განვითარების ისტორია

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია: სამეურნეო საქმიანობის მართვის აღმოცენების საკითხები; მართვის ევოლუციური განვითარების პერიოდები; მეცნიერული მართვის სკოლის შეხედულებები; ბიუროკრატიული მართვის პრინციპები; სტრატეგიული დაგეგმვიდან სტრატეგიულ მართვაზე გადასვლის საკითხები; ეთიკის, ლიდერობისა და ხელისუფლების როლი მართვის სისტემაში. გაანალიზებულია: მართვის კანონზომიერებების ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვი. მართვის სფეროში გაკეთებული გამოკვლევებისა და უშუალო დაკვირვების საფუძველზე წარმოდგენილია დასკვნა: მართვა არის ალტერნატიული მიზნებისა და გადაწყვეტილებების სწორი შერჩევა და მათი ერთ სისტემაში მოქცევა, რომელშიც მთავარი განმსაზღვრელია რაციონალიზმი, რამეთუ ის უფრო ნაკლებად ექცევა ეგზოგენური პროცესების გავლენის ქვეშ და იძლევა სწორი სტრატეგიული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

Nana Maisuradze

The concepts of the corporate management and its development history

Summary

The above article discusses the next topics: the issues of farm management; the evolutionary development of the managing periods; the vision on scientific school management; principles of bureaucratic management; the issues of transferring strategic planning to strategic management; the role of a government in the management system, ethics and leadership. The work analyzes: inter-reliant chain of management regulations; the conclusion of the research and observation of the management:

Management is a right selection of the alternative goal and the solution to unite it in one system. The main indication is rationalism, because it is less likely will be under the influence of exogenous processes and gives us the possibility to have right strategic choice".

Нана Майсурадзе

Сущность понятий корпоративного управления и история ее развития

Резюме

В научной статье обсуждены следующие вопросы: появление менеджмента экономической деятельности;периоды эволюционного развития менеджмента;взгляды научной школы менеджмента; принципы бюрократического управление; вопросы перехода от стратегического планирования на стратегическое управление; роль этики, лидерства и правительства в системе менеджмента.

В статье проанализирована цепь взаимозависимости закономерностей управления. Представлено заключение об управленческих принципах, основанных на исследованиях и наблюдениях.

Тем самым, управление это надлежащий выбор альтернативных целей и решений, и приведение в единую систему, в которой главным детерминантом является рационализм, поскольку рационализм менее подвергается влиянию экзогенных процессов и позволяет сделать правильный стратегический выбор.

აგრარული მეცნიერებანი

მურად გარუჩავა
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ–სოციალური ასპექტები

თანამედროვე პირობებში ჩვენ ხშირად გვესმის გამონათქვამი: "ცხოვრების ხარისხი". იგი მთელი კაცობრიობისა და ცალკეული ადამიანის კეთილდღეობას გამოხატავს. ერთი მხრივ, ეს გამოთქმა გამოხატავს ეკონომიურ კეთილდღეობას, მეორე მხრივ კი, სოციალურ კეთილდღეობას. ეკონომიური კეთილდღეობის ელემენტებია: სამუშაო, ხელფასი, საცხოვრებელი, საკვების ღირებულება, ტანსაცმელი, ტრანსპორტი, სამედიცინო მომსახურება და სხვა, რაც სიცოცხლის საფუძველს წარმოადენს. სოციალური კეთილდღეობის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ცივილიზებული და მდგრადია საზოგადოება, არის თუ არა ფართოდ გავრცელებული დანაშაული, საზოგადოებიდან განდგომა და ცრურწმენა. ეკონომიური და სოციალური კომპონენტების გარდა, ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს ნაკლებად გასაგები და არც ისე ადვილად გასაზომი, მაგრამ საკმაოდ რეალური და საჭირო კომპონენტი. საუბარია ჩვენს ირგვლივ არსებული გარემომველი სამყაროს ხარისხზე.

გარესამყაროს ხარისხი არ ექვემდებარება ზუსტ განსაზღვრას. მისი შეფასების დროს თითოეული ადამიანი განსაზღვრავს თავისი კითხვების წრეს, რომელიც ასახავს პირად მიდგომას ამ პრობლემისადმი. მაგ., საკმარისად სუფთაა წყალსაცავები იმისათვის, რომ ისინი გამოვიყენოთ წყლის დასალევად? შეიძლება შევიძინოთ ბოსტნეული და დარწმუნებული ვიყოთ, რომ იგი არ არის დაბინძურებული ტოქსიკური ელემენტებით? არის მახლობლად ტყე ქვეითად მოსიარულეთა და ტურისტების დასასვენებლად? ადამიანის ურთიერთქმედება გარე სამყაროსთან არის იმდენად რთული, რომ მარტო ეკოლოგიური მიდგომა გვაძლევს საშუალებას გავიგოთ ფაქტორების ყველა სპექტრი.

ცნობილია, რომ ადამიანის სიცოცხლე მჭიდროდ არის დაკავშირებული მის გარემომცველ სამყაროს პირობებზე. ჰაერის, ჟანგბადის გარეშე ადამიანს შეუძლია იცოცხლოს 3 წუთი, წყლის გარეშე 3 დღე, საკვების გარეშე კი 30 დღე.

საკვების ეკოლოგიური ეფექტი მჟღავნდება ბიოლოგიური, კულტურული და ქცევითი მექანიზმებით. ყველაზე მეტად საკვები განსაზღვრავს მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქსოვილების მთლიანობას. საკვები არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის ბიოქიმიურ მექანიზმებს და წარმოადგენს ზრდისა და განვითარების მთავარ დეტერმინანტს. ყოველივე ეს უშუალო გავლენას ახდენს ადამიანზე, როგორც საზოგადოების წარმომადგენელზე. საკვების სხვა ბიოლოგიური ასპექტები არც ისე აშკარაა, მაგრამ განსაზღვრავენ პოპულაციების კულტურულ და ქცევით რეაქციებს, რომლებიც მთლიანად შეესაბამება ეკოლოგიურ პრინციპს.

სურსათის/სასურსათო პროდუქტების მოხმარება ოდითგანვე ადამიანისათვის აუცილებელი და ბუნებრივი მოთხოვნილება იყო, თუმცა მის მიმართ დამოკიდებულება სოციალური პირობების ცვლასთან ერთად თანდათან იცვლებოდა.

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი თვითგანახლებადი და თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელშიც მუდმივად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა (მეტაბოლიზმი), ანუ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესი – დისიმილაცია (კატაბოლიზმი, ენერგეტიკული ცვლა), რომლის დროსაც ხდება რთულ ნივთიერებათა დაშლა, მათი დაჟანგვა, გამოყოფა და ასიმილაცია (ანაბოლიზმი, პლასტიკური ცვლა), რომელიც აერთიანებს ყველა იმ სასიცოცხლო რეაქციას, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზმისათვის საჭირო ნივთიერებების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები და სხვა მაღალმოლეკულური ნაერთები), სინთეზთან, მათ შეთვისებასა და გამოყენებასთან. ეს ორი პროცესი ორგანიზმში პარალელურად მიმდინარეობს. ნივთიერებათა ცვლის საფუძველს ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათი წარმოადგენს. სწორედ სრულფასოვანი სასურსათო

პროდუქტები უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმის ნორმალურ ზრდა–განვითარებას, შრომისუნარიანობას, ჯანმრთელობას, სიცოცხლის ხანგრძლივობასა და სხვ. კვების თანამედროვე თეორიების თანახმად, სწორად შერჩეული სურსათი არა მარტო აკმაყოფილებს ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს, არამედ ე.წ. „ფუნქციური სასურსათო პროდუქტები“ ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დაავადების პრევენციისა და პროფილაქტიკისათვის.

თანამედროვე განმარტების თანახმად, „სურსათი (ან სასურსათო პროდუქტი)“ – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი პროდუქტია, გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი. სურსათი მოიცავს ასევე ყველა სახის სასმელს, საღეჭ რეზინს, ყოველ ნივთიერებას დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით, რომელიც მიზანმიმართულადაა დამატებული სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს ცხოველის საკვებს, ფარმაცევტულ პრეპარატებს ან სამკურნალო პროდუქტებს, საერთო მოხმარების საგნებს, თამბაქოსა და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს, სხვადასხვა ნარჩენსა და დამაბინძურებელს.

სურსათის ქიმიური შემადგენლობა რთული და მრავალფეროვანია. მისი ძირითადი კომპონენტებია საკვები ნივთიერებები, რომლებიც ორ ჯგუფად იყოფა: ორგანული ნივთიერებები (ნახშირწყლები, ცხიმები, ცილები და სხვა) და არაორგანული ნივთიერებები (წყალი, მინერალური ნივთიერებები). მათი თანაფარდობა სურსათის სხვადახვა სახეობაში განსხვავებულია.

წყალი სასურსათო პროდუქტებისა და სასურსათო ნედლეულის ძირითადი კომპონენტია, რომელშიც მიმდინარეობს ყველა სასიცოცხლო პროცესი. ზრდასრულ ადამიანს დღე-ღამეში 2–3 ლ სითხე ესაჭიროება, რომელსაც იგი ღებულობს სურსათიდან, მათ შორის სასმელი წყლიდან, ნაწილი კი წარმოიქმნება ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვითი პროცესების შედეგად.

სხვადასხვა სასურსათო პროდუქტში წყლის შემცველობა განსხვავებულია, მაგ., შაქარში წყლის შემცველობა 0,1–0,14 % შეადგენს. ფქვილში 15%–მდეა, რძეში 87–89%, ახალ ხილსა და ბოსტნეულში 75–95 %–ია.

როგორც წესი, სურსათში წყალი ორი ფორმით არსებობს: თავისუფალი და ბმული.

თავისუფალი წყალი არის უჯრედის წვენში, სურსათის ზედაპირზე. მისი მოცილება ზედაპირიდან ადვილად ხდება სასურსათო პროდუქტის გამოშრობის, გაყინვის, გალღობის დროს, რასაც თან ახლავს სურსათის მასის შემცირება.

ბმული წყალი მჭიდროდაა დაკავშირებული სურსათის სხვა ქიმიურ კომპონენტებთან და ძალიან ძნელად ხდება მისი მოცილება.

სურსათის კულინარული დამუშავებისას წყალი შესაძლოა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადავიდეს. მაგ., ფქვილოვანი ნაწარმის/პურპროდუქტების ცხობისას თავისუფალი წყალი გარდაიქმნება სახამებელთან, ცილებსა და სხვა ნივთიერებებთან ბმულ წყლად.

საყურადღებოა, რომ სურსათი, რომელიც დიდი რაოდენობით წყალს შეიცავს და აქვს მაღალი ტენიანობა, ხასითდება დაბალი კვებითი ღირებულებით და, ამასთანავე, დიდი ხნის განმავლობაში მათი შენახვა დაკონსერვების გარეშე არ შეიძლება.

ტენიანობა მასიური წილის განსაზღვრა სურსათსა და სასურსათო ნედლეულში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რამდენადაც მისი რაოდენობის გაზრდა ან შემცირება იწვევს სურსათის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და, შესაბამისად, უვნებლობის მაჩვენებლების გაუარესებას.

მინერალური ნივთიერებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლაში. მინერალური ნივთიერებები შედიან საკვებ პროდუქტებში 0,1 – დან 1,9 % –მდე. ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილების მიხედვით მინერალური ნითიერებები იყოფა მიკრო და მაკრო ელემენტებად. მაკროელემენტებს მიეკუთვნება: კალციუმი, ფოსფორი, ნატრიუმი, კალიუმი, ქლორი, მაგნიუმი, გოგირდი. მიკროელემენტები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: აბსოლუტურად და ცხოვრებისათვის აუცილებელ ელემენტებად (კობალტი, რკინა, სპილენძი, ცინკი, მანგანუმი, იოდი, ფტორი, ბრომი ელემენტებად). მიკროელემენტები სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტებია.

ადამიანის ორგანიზმში მინერალური ნივთიერებების დეფიციტით გამოწვეული სიმპტომები მოცემულია №1 ცხრილში:

ცხრილი 1

მინერალური ნივთიერებები	ადამიანის ორგანოების მოქმედების დარღვევა
კალციუმი	ჩონჩხის ზრდის შეფერხება
მაგნიუმი	კუნთების შევიწროება
რკინა	ანემია, იმუნური სისტემის დარღვევა
ცინკი	კანის დაზიანება, ზრდის შეფერხება, შეფერხება სქესობრივ მომწიფებაში
სპილენძი	არტერიების სისუსტე, ღვიძლის მოქმედების შეფერხება, მეორადი ანემია
მანგანუმი	უნაყოფობა, ჩონჩხის ზრდის შეფერხება
მოლიბდენი	კარიესისადმი მიდრეკილება
კობალტი	ავთვისებიანი ანემია
ნიკელი	დეპრესია, დერმატიტი
ქრომი	დიაბეტის სიმპტომები, ათეროსკლეროზი
სილიციუმი	ჩონჩხის ზრდის შეფერხება
ფტორი	კბილების კარიესი
იოდი	ფარისებრი ჯირკვლისა და ნივთიერებათა ცვლის მუშაობის შესუსტება
სელენი	გულის კუნთის სისუსტე

მაკროელემენტებიდან ადამიანის ორგანიზმში ყველაზე მეტი შემცველობით გამოირჩევა კალციუმი – 1,5–2 %. კალციუმი ადამიანის ორგანიზმის მიერ ძნელად შესათვისებელი ელემენტია. საკვები პროდუქტებიდან ადამიანის ორგანიზმში მის შეთვისებაზე გავლენას ახდენს ფოსფორი და მაგნიუმი. მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობა არის: Ca : P = 1 : 1,5; Ca : Mg = 1 : 0,5 . კალციუმის ძირითადი წყარო არის რძე – 120 მგ % და რძის პროდუქტები - 1000 მგ % –მდე, მარცვლოვნებში კი – 30 მგ % – მდე. ადამიანის ორგაიზმისათვის მიკრო და მაკროელემენტების სადღეღამისო მოთხვნილება მოცემულია №2 ცხრილში.

ცხრილი 2

მინერალურ ნივთიერებებზე ადამიანის სადღეღამისო მოთხვნილება

მინერალური ნივთიერება	**საზომი ერთეული**	**სადღეღამისო მოთხოვნილება**
კალციუმი	მგ	800
ფოსფორი	მგ	1200
მაგნიუმი	მგ	400
ნატრიუმი	მგ	2000
კალიუმი	მგ	3000
ქლორი	მგ	1000
გოგირდი	მგ	1000
რკინა	მგ	14
სპილენძი	მგ	2
იოდი	მგ	100
მანგანუმი	მგ	5
კობალტი	მგ	100
ცინკი	მგ	20
ფტორი	მგ	1
მოლიბდენი	მგ	200
ქრომი	მგ	150
სელენი	მგ	70
ნიკელი	მგ	900

ამგვარად, სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ–სოციალური ასპექტები ძრითადად დამოკიდებულია უვნებელი პროდუქტის წარმოებაზე. სურსათი ან სასურსათო ნედლეული რთული ქიმიური ბუნების ნივთიერებებისაგან შედგება, რომელთა შემცველობა სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტში განსხვავებულია. ამიტომაცაა, რომ ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების გათვალისწინებით განისაზღვროს მოხმარებული სასურსათო პროდუქტის კალორიულობა, რომელიც ადეკვატური იქნება დახარჯული (ფიზიკური და გონებრივი) ენერგიისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Донченко Л.В. Безопасность пищевой продукции. / Л.В. Донченко, В.Д. Надыкта. – М., 2001. 525 с.
2. Руководство по методам анализа качества и безопасности пищевых продуктов. / Под ред. И.М. Ску рихина, В.А. Тутельяна. – М. Брандес, 1998.341 с.
3. Скурихин И.М. Все о пище с точки зрения химика./ И.М Скурихин , А.П. Нечаев. - М. Высшая шко ла, 1991.287 с.
4. Garuchava M. Proceedings of the international scientific conference on “ FOOD SAFITY PROBLEMS “, Tbilisi, 2009.

მურად გარუჩავა

სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ–სოციალური ასპექტები

რეზიუმე

სტატიაში შესწავლილია: სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ-სოციალური ასპექტები, საკვებ პროდუქტებში მაკრო და მიკროელემენტების შემცველობა, მათი დეფიციტით გამოწვეული პათოლოგიური პროცესები. ნაჩვენებია, რომ ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის საფუძველს წარმოადგენს რთული ქიმიური შემადგენლობის მქონე საკვები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სურსათის უვნებლობის ეკოლოგიურ-სოციალური ასპექტების სწორ წარმართვას გადამწყვეტი როლი ენიჭება ერის გენოფონდის შენარჩუნების საქმეში.

Murad Garuchava

Ecological and Social Aspects of Food Products Safety

Summary

In the article following items are discussed: ecological and social aspects of food safety, content of macro- and microelements in food and pathological processes caused by their deficit. It is shown, that the food which contains complex chemical substances represents the basis of metabolism and correct management of ecological and social aspects of nutritional products has critical influence on sustaining of national genome.

Мурад Гаручава

Эко - социальные аспекты безопасности пищевой продукции

Резюме

В статье изучены: эко-социальные аспекты безопастности пищевой продукции, содержание макро и микроэлементов в пищевых продуктах и патологические процессы вызванные их дефицитом. Доказано, что в организме человека основой обмена веществ является кормовое вещество, которое имеет сложный химический состав.

Высказано предположение: правильное направление эко-социальных аспектов пищевых продуктов имеет решающее значение для сохронения генофонда народов.

მანანა ცინცაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს მეცხვარეობის ზოგადი დახასითება

მეცხვარეობას, როგორც საზოგადოებრივი და კერძო სექტორის მეცხოველეობის დარგს, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამიტომაა, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც, მნიშვნელოვან ამოცანად არის დასახული საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობისათვის მეტად საჭირო ნედლეულის (მატყლის, საქურქე-საბეწვეულო, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ტყავნედლეულის) წარმოების გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. დასახული მიზნისა და ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ცხოველთა კვებისა და მოვლა-შენახვის ოპტიმალური პირობების შექმნას, სანაშენო და ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობის დონის ამაღლებას.

საქართველოში მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს, განსაკუთრებით მთიანი ზონის რაიონების კერძო სექტორის მეურნეობებისათვის. ადრე არსებული საზოგადოებრივი სექტორის მეურნეობებში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მთლიან ფულად შემოსავალში მეცხვარეობის დარგიდან ამოგებული თანხის ხვედრითი წილი 90-95%-მდეც კი აღწევდა, ხოლო სადღეისო მდგომარეობით საქართველოში მეცხვარეობის დარგი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს მსხვილი მეცხვარეობის ფერმები და ასევე შესუსტდა კერძო სექტორში ცხვრის სულადობის რაოდენობა, რაც რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ პირობებზე მომავალში ძალზედ ნეგატიურად აისახება.

საქართველოში ისტორიულად მომთაბარე მეცხვარეობა იყო ჩამოყალიბებული და განვითარებული, რაც განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და საწარმოო თვისებებით. აქ იგულისხმება საქართველოში მაღალმთიანი საზაფხულო საძოვრებისა და ბარის ზონის-ზამთრის საძოვრების ფართობების არსებობა, რომელთა ათვისება მხოლოდ მომთაბარე-საძოვრული მეცხვარეობის განვითარებითაა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ბუნებრივი საძოვრები აუთვისებელი და გამოუყენებელი დაგვრჩებოდა, რაც ეკონომიკური ზარალია, ხოლო ეკოლოგიურად – ძალზე საზიანო. საქართველოში გარდა მომთაბარე მეცხვარეობის, არსებობდა სტაციონარული და ზოგჯერ მესამე, გარდამავალი ფორმაც-ნახევრად სტაციონარული.

მომთაბარე მეცხვარეობას მისდევენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში (კახეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონები, ქვემო და შიდა ქართლის ზოგიერთი რაიონი), ხოლო სტაციონალურ პირობებში ცხვარს ინახავს სამცხე-ჯავახეთის რაიონები და შუა ქართლის ზოგიერთი რაიონი. ამ დროს, ცხვრის სულადობა ზამთარსა და ზაფხულში საკუთარი რაიონის ტერიტორიაზეა გადაადგილებული. ამ რაიონებში ცხვრის ზამთრის, ძირითადად ბაგურ პირობებში შენახვა სექტემბრიდან იწყება და იგი დაახლოებით 8 თვის მანძილზე, მაისის ბოლომდე გრძელდება, რაც თავის მხრივ ამ რაიონებში მკაცრი და შედარებით ხანგრძლივი ზამთრის პირობებითაა განპირობებული, ხოლო ნახევრად სტაციონალური ფორმით ცხვრის სულადობის შენახვის დროს ფერმერი ცდილობს გამოზამთრების პერიოდში შესაძლებლობების მიხედვით გამოიყენონ ცხვრის ზამთრის საძოვრები.

ჩვენი მიზანია საზოგადოებას გავაცნოთ ჯერ კიდევ 10 წლის წინ არსებული საქართველოში გავრცელებული ცხვრის ჯიშები, მათი გავრცელების არეალი და განვიხილოთ ის პრობლემები, რომელთა გათვალისწინებამ და გადაჭრამ უნდა გამოიწვიოს უახლოეს დროში საქართველოში ამ დარგის აღორძინება, რაც დადებითად იმოქმედებს როგორც სასურსათო პრდუქტიულობის გაზრდის დონეზე, ასევე დადებითად იმოქმედებს მსუბუქი მრეწველობის აღორძინებაზე, რაც ეკონომიკურ მდგომარეობას გამოასწორებს საქართველოში. თუშური ცხვარი შექმნილია XIII-XIV საუკუნეებში, ხალხური სელექციის გზით. ამ ჯიშის ჩამოყალიბება მოხდა რთული საახალჯიშო ჯვარული მეთოდით. ვარაუდობენ, რომ საქართველოს მაშინდელ ტერიტორიაზე გავრცელებული ცხვრები ჯერ შეუჯვარეს ვოლოშური ცხვრის მაგვარ უხეშმატყლიან

გრძელცხიმკუდიან ვერძებს, ხოლო შემდეგ ეტაპზე ყარაბაღული ჯიშის ვერძებს, რომელიც ადრე და ამჟამადაც მოშენებულია თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე; თავის მხრივ, ისინი მიღებული იყვნენ მონღოლური დუმიანი ცხვრების მონაწილეობით.

თუშური ცხვრის ჯიში ისტორიულად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შექმნილია მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში, როდესაც მთელი წლის განმავლობაში ცხვარი ინახრებოდა საძოვრულ საკვებზე, ზამთარში ზამთრის მწირი მცენარეული საფარის ფართობებზე, ხოლო ზაფხულის სეზონში კი, მაღალმთიან სუბალპურ და ალპურ საძოვრებზე, როდესაც აღნიშნულ, სეზონურ საძოვრებზე გადარეკვა-გადმორეკვისას, ცხვრის ფარებს უხდებოდათ 250-300 კმ-ის და უფრო მეტი მანძილის გადალახვა. ამის გამო ცხოველებს გამოუმუშავდათ მაგარი ძვალეული და კონსტიტუცია, ძლიერი ამტანობა და მომთაბარე-საძოვრული პირობებისადმი მაღალი შემგუებლობითი უნარი. ეს ჯიში გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. თუშურ ცხვარს ახასიათებს საკმაოდ გრძელი სხეული, რომელიც სიღრმეშიც არის განვითარებული, კიდურები და ძვალეული საშუალო სიმსხოსია, გავა ოდნავ დაქანებულია, ჩლიქი მაგარია და თავი საშუალო სიდიდის აქვს. მატყლი არის თეთრი შეფერილობის, რომელშიც ურევია თივთიკიც. მის მატყლს აქვს ასევე ბზინვარებაც. ტიპური ვერძების ცოცხალი მასაა-70-75 კგ, ნერბის-40-45 კგ, მატყლის ნაპარსის სიდიდე არის 4-5 კგ., ნერბის 3-3,5კგ. ლაქტაციური მერძეულობა მერყეობს 80-90 კგ-მდე; ნაყოფიერება არის 100-105%. თუშური ცხვრის პროდუქტიული ნიშან-თვისებების სტანდარტულ დონემდე სრულყოფისათვის უნდა მოხდეს მიზანმიმართული სელექცია და ასევე უნდა გაუმჯობესდეს ცხოველთა კვება და მოვლა-შენახვის პირობები. იმერული ცხვარი უძველესი და კოლხურ ჯიშთან მონათესავე ცხვარია. მას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ქართული ცივილიზაციისა და კულტურის ცოცხალ ძეგლად მიიჩნევს. სავარაუდოდ, ჯიში მიღებულია კოლხური ნაზმატყლიანი ცხვრის სხვადასხვა უხეშმატყლიანი ცხვრის ჯიშებთან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეჯვარებით და მოშენებით.

იმერული ცხვრის ჯიშის მოშენებას ძირითადად მისდევდნენ ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ჭიათურის, ბაღდათის, ვანის, ხონის, წყალტუბოს, ნაწილობრივ ტყიბულისა და ამბროლაურის რაიონებში. სიდიდით არის ტანმორჩილი ცხვარი, ხორცისა და მატყლის მაღალი ღირსებებით. ვერძები და ნერბები რქიანებია, გვხვდება ურქო ეგზემპლარებიც. ბოლო მონაცემებით ვერძების ცოცხალი მასა აღწევს 35-40 კგ-მდე, ნერბებისა კი 25-30 კგ-მდე მატყლის ნაპარსი შესაბამისად 2,0-2,5 და 1,5-1,7 კგ-ია. ნაყოფიერება 200-250 ბატკანია ყოველ 100 დადოლებულ ნერბზე, მერძეულობა დაბალია. მათი ასეთი დაბალი ცოცხალი მასის ქონა, მატყლის ნაპარსი მერძეულობის სიმცირე ძირითადად განპირობებული სელექციის სათანადო დონეზე უქონლობის გამო. მომავალში მეცხოველეების წინაშე აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი ამ ჯიშის შემდგომი აღორძინების შესახებ, რადგან მას ახასიათებს მთელი რიგი დადებითი თვისებები. კერძოდ: აქვს მეტად მდგრადი კონსტიტუცია, ძალზე მოძრავია, გამოირჩევა მკვირცხლი ტემპერამენტით, კარგად აქვს განვითარებული დედობრივი ინსტინქტი და ადაბტაციის უნარი, იტანს სტაციონარულ და მოთაბარე შენახვას, მწირ კვებასაც.

სხვა ჯიშებისაგან ის მკვეთრად განსხვავდება თავისი გენერაციული ფუნქციით, კერძოდ:

1. პოლიესტრულობა – მას არ ახასიათებს სეზონურობა და მრავლდება წლის ნებისმიერ დროს. ინერბება დადოლებიდან 21-ე დღეს.
2. ადრეულობა – 11-12 თვის ასაკში შიშაქი უკვე დოლდება და ნერბების ჯგუფში გადადის. მაკეობის ხანგრძლივობაა 138-142 დღე.
3. მრავალნაყოფიერება-ერთ დადოლებაზე შეიძლება ერთი ნერბიდან 2-3, იშვიათად 4 ან 5 ბატკანი იქნეს მიღებული.
4. მაღალი ცხოველმყოფელობა ახალშობილი დაბადების შემდეგ მალე დგება. ნერბი დაუხმარებლად ზრდის 2 ან 3 ბატკანს.

მეტად ვიწრო ნათესაური მოშენება (დედა X შვილთან, ძმა X დასთან) უარყოფით შედეგს არ იძლევა.

იმერული ცხვრის გენერაციული ფუნქციის თავისებურება შესაძლებლობას იძლევა, მისაგან მივიღოთ დიდი რაოდენობის და მაღალი ხარისხის პროდუქცია. მაგალითად ნორმალური კვებისა და მოვლის პირობებში ერთი ნერბიდან შეიძლება ვაწარმოოთ 51 კგ ხორცი, 3,4 კგ მატყლი.

განსაკუთრებით გამოირჩევა იმერული ცხვრის ხორცი თავისი მაღალკულინარიული თვისებებით და განსხვავდება კავკასიაში მოშენებული სხვა ჯიშის ცხვრების ხორცისაგან. ხორცის ქიმიური ანალიზის შესწავლის დროს დადგინდა, რომ მასში მშრალი ნივთიერება არის 35,9%, აქედან 15,8%-მდე არის ცხიმი, ცილა-19,1%-მდე, ხოლო ნაცარი-1,0%-მდე. ხორცის კალორიულობა არის 2253,7 კ.კალორია ანუ 9435,8 კჯ

ქართული ნახევრადნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ჯიშის ცხვარი ჩამოყალიბებულია საგარეჯოს რაიონის "უდაბნოს" მაშინდელი მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში 1936-1948 წლებში სახელმწიფო პრემიის ლაურიატის პროფ. ა. ნატროშვილის ხელმძღვანელობით და ავტორობით.

ქართული ცხვარი ჩამოყალიბებულია მარტივი საახალჯიშო ჯვარული მეთოდით, სადაც სადედე სულადობად გამოყენებულ იქნა თუშური ჯიშის I კლასის და ნაწილობრივ ელიტური ჯფგუფის ნერბები, რომელიც შეუჯვარეს მეხორცულ-სამატყლო მიმართულების პრეკოსის ჯიშის ვერძებს. შემდეგ შეჯვარება წარმართეს F_2 და F_3 თაობებს შორის სასურველი ტიპის ცხოველების მისაღებად. სახელმწიფო კომისიის მიერ ნახევრადნაზმატყლიან ჯიშად დამტკიცებულ იქნა 1948 წელს და ეწოდა-ქართული ცხვარი. ამ ჯიშის ცხვრის პროდუქტიული მაჩვენებელი შემდეგია: ვერძების ცოცხალი მასაა 80-85 კგ., ნერბების-45-50 კგ., მატყლის ნაპარსის სიდიდე შესაბამისად 4,5-5,0 კგ. და 3,5-4,0 კგ. მერძეულობა-90-100 კგ.

ქართული ჯიშის ცხვარი წარსულში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა. იგი გაჰყავდათ ჩინეთში, მონღოლეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში და აჯვარებდნენ ადგილობრივ ცხვრებთან ახალი ჯიშის გამოყვანის მიზნით. ამ ჯიშის მანკიერ მხარედ არის მიჩნეული, რომ მას აქვს ცხიმოფლის ნაკლები შემცველობა, ამიტომ საჭიროა წლის განმავლობაში ნორმალური კვება და მოვლა, თორემ პარსვის სეზონის დადგომამდე შეიძლება მოხდეს მატყლის დაკარგვა, რაც გამოწვეული იქნება გაღვერვით.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილია საქართველოში დღესდღეობით არსებული ძირძველი ქართული ჯიშის ცხვრები. როგორც ზოგადი დახასიათებიდან დავინახეთ, საკმაოდ მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან, რაც განპირობებულია არა მარტო მოვლა-შენახვისა და კვების ფაქტორით, არამედ ეს ჯიშები საუკუნეებისა და წლების განმავლობაში ჩვენს ბუნებრივ კლიმატურ პირობებთან არის ადაპტირებული. ამიტომ, საქართველოში აუცილებელია მოხდეს მეცხვარეობის კვლავ აღორძინება, გაიზარდოს ცხვრის სულადობა, რაც გამოიწვევს მის მიერ მოცემული პროდუქციის გაზრდას, ეს კი გამოიწვევს სამუშაო ადგილების შექმნას, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის რაიონებში დარჩენილი მოსახლეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაიკიძე თ., მეცხვარეობა, თბ., 2004.

მანანა ცინცაძე

საქართველოს მეცხვარეობის ზოგადი დახასიათება

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია მეცხვარეობა, როგორც მეცხოველეობის ერთ-ერთი უძველესი დარგი. საკმაოდ დამაჯერებლად არის განხილული მისი განვითარების უახლესი ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა. გაშუქებულია საქართველოში არსებული ცხვრის ჯიშები, მათი კონსტიტუცია, ექსტერიერი, პროდუქტიული მაჩვენებლები და წარმოდგენილია დღევანდელი მეცხვარეობის სავალალო მდგომარეობა. მითითებულია, რომ საჭიროა კვლავ აღორძინდეს მეცხოველეობის ეს დარგი, გაიზარდოს ცხვრის სულადობა, რაც ხელს შეუწყობს მისი პროდუქციის ზრდას და ეს ძალზედ წაადგება საქართველოს საბზრო ეკონომიკას.

Manana Tsintsadze

General Characters of Sheep in Georgia

Summary

The paper discusses sheep breeding as the oldest field of farming. The article intensively covers contemporary trends of its development and current situation in this field. Thoroughly are discussed what kind of sheep breeds exist nowadays in Georgia, their structure, exterior as well as productive indexes. Also concerns about current structure of the sheep breeding are discussed in the paper. Authors state that importance of development of sheep breeding is high and it is extremely necessary to survive sheep breeds which will lead to the increased economy of Georgia.

Манана Цинцадзе

Общее описание овцеводства в Грузии

Резюме

В статье овцеводство рассматривается, как старейшая отрасль животноводства. Убедительно представлена новейшая история развития отрасли и текущее состояние. Подробно описаны породы овец и их конституция, внешний вид и продуктивные характеристики.

Авторы считают, что ситуация в овцеводстве, к сожалению, плачевна. Также сделаны выводы, что необходимо продолжать развивать овцеводство, чтобы снова увеличить поголовье овец, которое поможет их производству, что очень поможет нашей рыночной экономике.

ომარ მაისურაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ამროსი ჭკუასელი
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი ჩაგელიშვილი
მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობის მაგისტრი

“ბიო-მოსის” გამოყენების ეფექტიანობა ბროილერის გამოზრდის პერიოდში

საქართველოს სოფლის მეურნეობას აქვს მყარი ტრადიციები და შეუძლია გახდეს მეცხოველეობის ეკოლოგიურად სუფთა (organic) პროდუქტების მწარმოებელი არა მარტო შიდა, არამედ საერთაშორისო ბაზარზე. არსებული პოტენციალის რეალიზაციისათვის აუცილებელია მსოფლიოში არსებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით წინსწრაფვით განვითარება.

ერთ-ერთი ასეთი ტენდეციაა მეცხოველეობაში “ქიმიზაციის” შეზღუდვა. კერძოდ, 2006 წელს ევროკავშირმა აკრძალა მეცხოველეობაში საკვები ანტიბიოტიკების გამოყენება. ეს ნიშნავს სოფლის მეურნეობაში საკვები ანტიბიოტიკების გამოყენების პერიოდის დასრულებას, რაც გამოწვეულია მთელი რიგი ობიექტური მიზეზებით, რომელთაგან ძირითადია საკვები პრობიოტიკის გამოყენების ეფექტურობის შემცირება. ეს კი, ერთი მხრივ გამოიწვია ბუნებაში ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი მომავალი ახალი მიკრობების პოპულაციების წარმოშობამ და მეორე მხრივ, საკვები ანტიბიოტიკების გამოყენებამ გამოიწვია ცხოველთა და ფრინველთა ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის დასუსტება, იმუნური სისტემის დაქვეითება. ამიტომ, დღეისათვის დაბეჯითებით

შეიძლება ითქვას, რომ ანტიბიოტიკების ფართო გამოყენებამ დაკარგა ეფექტურობის მთავარი არსი-ინფექციური დაავადებებისაგან დამცველობითი ფუნქცია (4,2).

ყველაზე რეალური ალტერნატივაა პრობიოტიკური პრეპარატების გამოყენება ანუ სიმბიოტიკური მიკროორგანიზმების, რომელთაც უნარი აქვს შექმნან ბუნებრივი დამცველობითი ბარიერი ცხოველსა და დაავადების აღმძრველს შორის. გარდა ამისა პრობიოტიკული კულტურები ზრდიან საკვებიდან საზრდო ნივთიერებების ათვისებას, რადგან ცხოველები და ფრინველები ევოლუციურად არ არიან ადაპტირებული სტერილური საკვებით კვებას (5,3).

საჭიროა პრობიოტიკები განვიხილოთ ცხოველთა რაციონალური კვების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად. ანტიბიოტიკებისაგან განსხვავებით ისინი არ იწვევენ პირობითად პათოგენური მიკროორგანიზმებისადმი მიჩვევას. პრობიოტიკური ბაქტერიების ცხოველმყოფელობის პროდუქტები არ გროვდება ცხოველთა და ფრინველთა ორგანიზმში, ქსოვილებში და არ ახდენენ გავლენას მეცხოველეობის და მეფრინველეობის პროდუქტებზე. უვნებელია მომსახურე პერსონალისათვის და არ აბინძურებს გარემოს (6).

ცხოველთა და ფრინველთა გამოზრდისას კუჭნაწლავის არაინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით, ასევე ახალდაბადებულ და ახალგამოჩეკილ ფრინველთა ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებისათვის, მათი ზრდა–განვითარების სტიმულირებისათვის, ხარისხიანი პროდუქციის მისაღებად დანერგილი უნდა იყოს ვეტერინარულ-სანიტარული თვალსაზრისით უვნებელი ანტიბაქტერიული, პროდუქტიულობის სტიმულატორი ”ბიო-მოსი”(1).

“ბიო-მოსი” წარმოადგენს ფოსფორული მანანოოლიგოსაქარიდების ნაკრებს, რომელიც გამოყოფილია Sacharomyces cerevisae საფუარის უჯრედებისაგან. მას ძირითადად იყენებენ ნაწლავის მიკროფლორის პათოგენური ფორმების კოლონიების გასაუვნებლად და არასპეციფიკური იმუნიტეტის გასაძლიერებლად (1).

2013 წელს ოქტომბერ-ნოემბერში შპს “როსტერის” საბროილერო საწარმოში კროს”როს-308”-ზე გამოცდილი იყო “ბიო-მოსის” ეფექრურობა.

ცდისთვის აყვანილი იყო ოთხი ჯგუფი:

პირველი ჯგუფი – საკონტროლო, რომელიც გამოზრდის პერიოდში არ იღებდა “ბიო-მოსს”. იღებდა გამოზრდის პირველ დღეებში (0-4 დღე) ანტიბიოტიკს – ერნო-ფლოქსაცილინს.

მეორე ჯგუფი – გამოზრდის პირველ პერიოდში (0-7დღე) საკვებით იღებდა “ბიო-მოსს”(1 ტონა საკვებზე 2კგ-ს).

მესამე ჯგუფი – გამოზრდის შუა პერიოდში (8-დან 15 დღემდე) იღებდა “ბიო-მოსს”(1 ტონა საკვებზე 1 კგ-ს).

მეოთხე ჯგუფი – გამოზრდის მთელ პერიოდში (33-დღემდე) საკვებთან იღებდა “ბიო-მოსს”(1 ტონა საკვებზე 0,5კგ).

თითოეულ ჯგუფში აყვანილი იყო 90 ფრთა ბროილერი. გამოზრდა ხდებიდა KBU-3 მარკის ბატარეა-გალიებში 33 დღემდე. ცდის პერიოდში გამოყენებული იყო ფაზობრივი კვება ფირმა „Ross“-ის ნორმებით. ცდის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცდის შედეგები

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	ჯგუფები			
		1	2	3	4
ფრინველის საწყისი რაოდენობა	ფრთა	90	90	90	90
გამოზრდის პერიოდი	დღე	33	33	33	33
ფრინველის საბოლოო რაოდენობა	ფრთა	85	88	88	89
შენარჩუნება	%	94,44	97,78	97,78	98,80
ცოცხალი მასა დაკლვისას	გრ	1690	1740	1760	1810
საკვების დანახარჯი გამოზრდის პერიოდში	გრ	3,0	2,78	2,78	2,81
საკვების კონვერსია	კგ/კგ	1,78	1,60	1,59	1,55
ტანხორცის კატეგორიები დაკვლისას:					
I ხარისხი	ფრთა	60	63	64	67
	%	70,59	71,59	72,73	75,28
II ხარისხი	ფრთა	21	23	22	21
	%	24,71	26,14	25,0	23,60
არასტანდარტული	ფრთა	4	2	2	1
	%	4,70	2,27	2,27	1,12
პროდუქტიულობის ევროპული ინდექსი		271	322	328	349

ცდის შედეგებმა გვიჩვენა, რომ გამოზრდის პერიოდში (33 დღემდე) ყველაზე მაღალი შენარჩუნება იყო მეოთხე ჯგუფში 98,8%, რაც საკონტროლოს 4,4%-ით, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფებს კი 1%-ით აღემატებოდა. საკონტროლო ჯგუფში დაცემა ძირითადად გამოზრდის პირველ პერიოდში იყო და დაცემის ძირითადი მიზეზი კუჭ-ნაწლავის დაავადება იყო. კვლევისას (33 დღე) ყველაზე მაღალი ცოცხალი მასა მეოთხე ჯგუფის ბროილერს ჰქონდა 1810 გრ, რაც 120 გრამით ანუ 7,10-ით მაღალი იყო ვიდრე საკონტროლო ჯგუფისა და 70-50 გრამით, ანუ 4,9-2,8%-ით მაღალი, ვიდრე მეორე და მესამე ჯგუფებში. მეორე და მესამე ჯგუფის მოზარდი ცოცხალი მასით საკონტროლოს 2,9-4,1%-ით აღემატებოდა.

გამოზრდის პერიოდში საკვების კონვერსია ყველაზე დაბალი იყო მეოთხე ჯგუფში –1,55, ხოლო ყველაზე მაღალი საკონტროლო ჯგუფში –1,78.

გამოზრდის ბოლოს ფრინველის დაკვლამ გვიჩვენა, რომ პირველი ხარისხის ტანხორცი მეოთხე ჯგუფიდან 75,3%-ს ჰქონდა. მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფის ბროილერებიდან პირველი კატეგორიის იყო მხოლოდ 70,6%, რაც შეეხება მეორე და მესამე ჯგუფის ბროილერებიდან პირველი კატეგორიის ტანხორცი შესაბამისად 71,6-72,7% იყო. არასტანდარტულ ტანხორცი ყველაზე მაღალი საკონტროლო ჯგუფში იყო-4,7%,ხოლო ყველაზე დაბალი 1,12% საცდელში.

ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ პროდუქტიულობის ინდექსი ყველაზე მაღალია – 349 მეოთხე ჯგუფში, ხოლო ყველაზე დაბალი საკონტროლოში – 271 იყო. რაც შეეხება მეორე და მესამე საცდელ ჯგუფებს, ეს მაჩვენებელი მაღალია საკონტროლოზე და ჩამორჩება მეოთხე ჯგუფს.

ამრიგად, ცდის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ბროილერის გამოზრდის დროს ყელაზე ეფექტურია "ბიო-მოსის" გამოყენება მთელი გამოზრდის პერიოდში – 1 ტონა საკვებზე 0,5კგ-ს ოდენობით, რაც ცოცხალ მასას ზრდის 7,1%-ით, ხორცის ხარისხს 5%-ით, ხოლო საკვების კონვერსიას ამცირებს 13%-ით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Васильева Е.Е., Давтян Д.А. Птицеводства провлеми и решения, 2005г.ст.71—83.
2. Ленкова Е. Егорова Т. Меньшенин И.—Новыи пробиотики А-2---Ж.Птицеводства №4 2013 г.ст.23-26.

3. Научние основы применения пробиотиков в птицеводства /Ноздрин Г. Иванова А. Шевченко А. И др. Новосибирск 2005 г. Ст.224.
4. Околелова Т.Мансуров Р. И др.-Лекарствение препарат КМ Премпинг РБ-1 при использование токсичных кормов.-Ж.,, Птицеводсвса" 2012, №6. ст 31-32.
5. Околелова Т. Мансуров Р. И др.-Преарат Актиген при вырашивание броилеров-Ж. ,,Птицеводства ", 2012, №6. ст-31-32.
6. ПанинА. Пробиотики-теоретические и практические аспекти /БИО 2002, №2. ст-4-7.

ომარ მაისურაძე, ამროსი ჭკუასელი, გიორგი ჩაგელიშვილი

"ბიო-მოსის" გამოყენების ეფექტიანობა ბროილერის გამოზრდის პერიოდში

რეზიუმე

მეფრინველეობაში მსოფლიოში დღეისათვის ინტენსიურად მიმდინარეობს ანტიბიოტიკების ჩანაცვლება პრობიოტიკური პრეპარატებით. შესწავლილ იქნა "ბიო-მოსის"გამოყენების ეფექტურობა ბროილერის გამოზრდის პერიოდში. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ბროილერის გამოზრდის პერიოდში "ბიო-მოსის" გამოყენება 1 ტონა საკვებზე 0,5 კგ-ის ოდენობით ზრდის ბროილერის ცოცხალ მასას 7,1%-ით,ხორცის ხარისხს 5%-ით, ხოლო საკვების კონვერსიას ამცირებს 13 %-ით.

Omar Maisuradze, Amros Chkuaseli, Giorgi Chagelishvili

"Bio-Mos" application efficiency in broiler breeding

Summary

Currently in the world practice of poultry production is practiced the antibiotic preparations replacement with the probiotic preparations.

We have studied the efficiency of "Bio-mos" application in the period of broiler breeding. The results of research showed that in the process of broiler breading the "Bio-mos" application with the 1 ton of food increases the mass of live broiler by 0.5 kg and 7.1%, the quality of meat by 5% and reduces the food conversion by 13%.

Омар Маисурадзе, Амроси Чкуасели, Гиорги Чагелишвили

Эффективность применения „био-мосса" в период выращивания бройлеров

Резюме

В мире в настоящее время ведется интенсивное вытяснение антибиотиков и замена пробиотическими препаратами. В статье рассмотрены вопросы эффективности применения „био-мосса"в период выращивания бройлеров. Было проведенно исследование. На основе полученных данных выялено, что применение препарата „био-мосса"в период выращивания бройлеров в расчете 0,5 кг. на 1 тонну комбикорма способствует увеличению живой массы на 7,1% , при этом качество мяса повышается на 5%, а конверсия корма уменьшается на 13 %.

ნათია ნატროშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მებოცვრეობაში გამოყენებული საკვები საშუალებები

ქვეყნის ეკონომიკური პირობების გადასაჭრელად დიდი ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ინტენსიური წარმოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში. ამისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა ის რეზერვი, რომელიც ხელს შეუწყობს ხორცის წარმოების ზრდას. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მებოცვრეობა, რომელიც მთელი რიგი დადებითი თვისებებით ხასიათდება. გარდა მისი მალმწიფადობისა და მრავალნაყოფიერებისა, ხორციც გარკვეული დიეტურობით

ხასიათდება, რის საფუძველზეც მისი მიცემა შეიძლება როგორც ბავშვებისათვის, ასევე ასაკოვანი ადამიანებისათვის.

მებოცვრეობის განვითარების ძირითად რეზერვად გვევლინება მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, ხოლო მის შესაქმნელად აუცილებელია დეტალიზირებული კვების ნორმებით ბოცვრის დაბალანსებული, სრულფასოვანი კვება, რაშიც დიდ როლს თამაშობს ანარჩენები.

საქართველოს აქვს დიდი შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად დარჩენილი ანარჩენები. ასეთს მიეკუთვნება ჩაის, ციტრუსის, ტომატის, ხილის. ბოსტნეულის გადამუშავების შედეგად მიღებული ანარჩენები.

კვების ტიპი დიდ გავლენას ახდენს ბოცვრის ზრდა-განვითარებაზე, კერძოდ სრულფასოვანი საკვები იწვევს ბოცვერში მალმწიფადობის ფუნქციის აწევას და ხორცის პროდუქტიულობის გაზრდას, ხოლო საკვების უკმარისობა ან ულუფაში საზრდო ნივთიერებების (პროტეინის, ნახშირწყლების, ცხიმების, მინერალური ნივთიერებების, ვიტამინების) ნაკლებობა, ასევე ბიოლოგიურად არასრულფასოვანი კვება იწვევს ცხოველის ორგანიზმის დაკნინებას და განუვითარებლობას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამზადებენ ისეთ ულუფას, რომელშიც 50% პარკოსანი ბალახის ფქვილი შედის, ასევე გერმანიის რესპუბლიკაში ძირითად საკვებში დიდი რაოდენობით შედის ბალახის ფქვილი, ხოლო დანიაში კომბისაკვების დასამზადებლად იყენებენ ორი-სამი სახის ზეთოვანი კულტურების შროტს. ასევე ცნობილია, რომ ბამბის შროტის დიდი რაოდენობით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდის სიკვდილი. ბოცვრის ულუფაში ნედლი პროტეინის შემცველობა ულუფაში უნდა იყოს 15-25%, ხოლო ცხიმი 5-15%, ნედლი უჯრედანა კი 14,5%. გერმანიის რესპუბლიკაში მოხდა მშრალი წიწვის დამატება საკვებზე, რომელიც მდიდარია უჯრედანით და რომლის მიღებაც აუცილებელია ბოცვრის ორგანიზმისათვის, ხოლო უნგრეთის რესპუბლიკაში ანარჩენის სახით გამოიყენეს ფრინველის ბუმბულის ფქვილი 2-6%. რეკომენდაციაში ნაჩვენებია, რომ ბოცვრის რეალიზაციამდე 1-2 კვირით ადრე უნდა მოხდეს ბუმბულის ფქვილის მიცემის შეწყვეტა, რათა არ მოხდეს ხორცის ხარისხის დაცემა.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში (1982 წ.) გამოიყენეს გრანულირებულ კომბინირებულ საკვებში 15-25% ქაღალდის ანარჩენი, ხოლო იტალიაში ტკბილი წიწაკის ანარჩენის ფქვილი, რომელშიც პროტეინი 21,4% იყო, ნედლი უჯრედანა-29,33%; იტალიაში ასევე გამოიყენეს მზესუმზირის ჩენჩო, ხოლო საფრანგეთში–სელის ნამჯა, რომელიც მდიდარი აღმოჩნდა ნედლი უჯრედანით (68%).

მოზარდ ბოცვრებზე საგრძნობლად მოქმედებს კომბინირებული საკვების პროტეინის დონე. ამ მიმართულებით ჩატარებული ცდით დადგინდა, რომ I პერიოდში (45-90 დღე) მას ესაჭიროება სრულფასოვანი კომბინირებული საკვები, სადაც მონელებადი პროტეინი იყო 13%, ხოლო II პერიოდში პროტეინი შედარებით ნაკლები დასჭირდა –12,3%.

შესწავლილ იქნა ასევე თევზის ფქვილი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ცხოველური პროტეინის შემცველობით.

ცდებით დადგენილია, რომ ბოცვერი როდესაც იკვებება ერთიდაიგივე საკვებით მივყავართ ცუდ შედეგამდე, ამიტომ საჭიროა ბოცვრის ულუფაში შიგადაშიგ მოხდეს საკვების განახლება. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბოცვერი ყველაზე კარგად საკვებს ჭამს დილით და ღამით, ასევე ბოცვერს გრანულირებული საკვების მიცემის დროს უნდა ეძლეოდეს უხეში საკვებიც, რომელიც ულუფაში ზრდის უჯრედანას შემცველობას, აუმჯობესებს მონელებადობასა და მაღლა სწევს პროდუქტიულობას.

ბოცვრის სასუქი სულადობის რაციონში უნდა ჩაერთოს შედარებით იაფფასიანი საკვები საშუალება (მოხარშული კარტოფილი,თივის ფქვილი, ქატო, სამზარეულო ანარჩენები და სხვ.).

ბოცვრის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ბოცვრის რაციონში აუცილებელია იყოს 5-10% უჯრედანა, ხოლო 8 თვის ზევით კი 15-20 % უჯრედანა, მისი გაზრდა თავიდან აგვაცილებს კუჭ-ნაწლავის დაავადებებს.

მებოცვრეობაში გამოიყენება ასევე სხვადასხვა პრეპარატები ბოცვრის პროდუქტიულობისა და ტყავბეწვეულის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, არის

პრეპარატი აგიდოლი, რომელიც ემატება საკვებს და ხასიათდება ძლიერი ატიოქსიდურობით, რაც იწვევს ბოცვრის ზრდის ინტენსივობის მატებასა და ასვე ბოცვერს სძენს რეზიტენტობას. ბოცვრის ხორცის გასაუმჯობესებლად კომბინირებულ საკვებში უმატებენ მიკროელემენტ სელენს, ასევე იყენებენ ბიოლოგიურ პრეპარატ "სუბსტილის", რომელმაც დადებითად იმოქმედა პროდუქტიულობაზე, კერძოდ საკვების მცირე დანახარჯებით მოხდა პროდუქტიულობის გაზრდა. ჩვენს რესპუბლიკაში მეტნაკლებად არის ზოგიერთი სახის ანარჩენი, რომელიც გამოიყენება მებოცვრეობაში. კერძოდ ვაშლის გამონაწური, რომელშიც ნედლი პროტეინი არის 8,80%, ცხიმი-4,40%, უჯრედანა 23,30%. ანარჩენის სახით გამოიყენება მსხლის ნაქაჩი, რომელიც თავისი ქიმიური შედგენლობით ახლოს დგას ვაშლის ნაქაჩთან. ასევე არის ტომატის ანარჩენიც, რომლის ქიმიური შედგენილობა მოცმულია ცხრილში.

ტომატის ანარჩენის ქიმიური შედგენილობა (%)

ცხრილი №1

მაჩვენებლები	ჰაერმშრალ მდგომარეობაში
1.ჰიგროსკოპიული წყალი	13,49
2.ნაცარი	25,63
3.ცხიმი	4,64
4.უჯრედანა	24,69
5.პროტეინი	8,65
6. უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერება (უენ)	22,9
7.კალციუმი	275მგ/კგ
8.ფოსფორი	2გ/კგ
9.საკვები ერთეული	0,38კგ

დანარჩენებს მიეკუთვნება: ციტრუსის, ჩაის, შაქრის ჭარხლის წარმოების, ბადრიჯნის ფოჩის, ტყის წარმოების, ასკილისა და სვიის, მევენახეობის ანარჩენები. ანარჩენებიდან გარკვეულ ადგილს იკავებს ცხოველური წარმოშობის ანარჩენი-აბრეშუმის ჭიის ჭუპრი, რომელიც მიიღება სამრეწველო გადამუშავების შედეგად. იგი ძალიან მდიდარია, როგორც ნედლი პროტეინით (60%), ასევე ნედლი ცხიმით (18%), მასში ქიმიური შედგენილობის დინამიკა, კერძოდ პროტეინისა და ცხიმის პროცენტული შემცველობა ყოველთვის მერყეობს, რომელიც დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან. მის ცილაში სრულფასოვანი ამინომჟავური შედგენილობა სრულყოფილად არის წარმოდგენილი, რაზეც ნათელ მაგალითს იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

აბრეშუმის ჭიის ჭუპრის ამინომჟავური შედგენილობა %

ცხრილი №2

ნიმუში	თიროზინი	ტრიფტოფანი	ცისტინი	არგინინი	ჰისტიდინი	ლიზინი
დაავადე-ბული ჭუპრი	44,4	1,33	1,96	-	-	-
Iხარისხი	4,.87	1,35	2,03	3,00	3,17	8,15
IIხარისხი	4,48	1,23	2,77	-	-	-
IIIხარისხი	4,91	1,34	3,26	3,43	2,91	8,96

ქიმიური შედგენილობის მიხედვით აქაც სხვადასხვა ხარისხის აბრეშუმის ჭიის ჭუპრის ანარჩენი ასე გამოიყურება

აბრეშუმის ჭიის ჭუპრის ქიმიური შედგენილობა (%)

ცხრილი №3

ნიმუში	აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში						
	ნედლი პროტეინი	ცილა	ნედლი ცხიმი	სხვადასხვა მინარევი	ნედლი ნაცარი	ნედლი უჯრედანა	კალორი-ულობა 100 გ
დაავადებული ჭუპრი	66,22	49,53	9,71	19,65	6,43	0,78	46,96
Iხარისხი	58,67	54,21	27,54	8,91	4,89	0,925	596,0
IIხარისხი	62,75	55,11	22,76	9,27	5,22	0,878	573,1
III ხარისხი	65,91	55,92	17,10	121,63	5,36	0,848	538,1

აბრეშუმის ჭიის ჭუპრის ანარჩენი ძირითადად გამოიყენება ცხოველური საკვების შესაცვლელად, რომელიც პირველად (1946) გამოყენებულ იქნა პროფ. ს. ერქომაიშვილის მიერ ვერცხლისფერ მელიებში საქურქე ნედლეულის გასაუმჯობესებლად.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა დაადასტურა, რომ მსოფლიოს რიგ ქვეყნებში სხვადასხვა სახის ანარჩენების გამოყენებამ სხვადასხვა დროს გვიჩვენეს მეცხოველეობის პროდუქტების გაზრდა და ეკონომიკური თვალსაზრისით მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების შემცირება.

საქართველოში როგორც აგრარულ ქვეყანაში, ფერმერებს მაქსიმალურად შეუძლიათ გამოიყენონ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ანარჩენები, რომლებიც ჩაერთვება კომბინირებულ საკვებში გარკვეული დოზით, რაც გამოიწვევს პროდუქტიულობის ამაღლებას და ხორცის თვითღირებულების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოგდანოვი გ., სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვება – ბოცვრის კვება(ქართ. ენაზე), თბ., 1990.
2. ჩიხაშვილი ა., ცინაძე ა., ცხოველთა კვებაში სასოფლო სამეურნეო წარმოებისა და მრეწველობის ანარჩენების გამოყენების რეკომენდაციები, თბ., 1977.

ნათია ნატროშვილი

მებოცვრეობაში გამოყენებული საკვები საშუალებები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სასოფლო და სამრეწველო ანარჩენების როგორც შედგენილობის, ისე გამოყენების კუთხით. მოცემულია აღნიშნული ანარჩენების ზოგადი მიმოხილვა და დასახულია გეგმა საქართველოში მათი გამოყენების. თუმცა ავტორები აღნიშნავენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ანარჩენების გამოყენება მეცხოველეობაში, კერძოდ მელიებში, ბოცვრებში გასული საუკუნის 50-90 წლებში მიმდინარეობდა, აქედან გამომდინარე ავტორები რეკომენდაციას იძლევიან, რომ ნაშრომში აღნიშნული ანარჩები, კერძო ფერმერებისგან მაქსიმალურად იქნეს ჩართული ცხოველის კვებაში, რაც გამოიწვევს მიღებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

Natia Natroshvili

Food Products Used in Rabbit Breeding

Summary

The work discusses the agricultural and industrial remains as the composition and forms of use. General review of the mentioned remains is discussed and Georgia has a plan to use it. Thought the authers mention that the use of remains in cattle-breading especially in foxes and rabbits took place in 50-90 years of the last century. Thus the authers recommend that the remains mentioned in the week should be involved at most by farmers in animal feeding that would reduce the cost.

Натиа Натрошвили

Отходы используемые в кролиководстве

Резюме

Представленная статья является обсуждением сельскохозяйственного и промышленного отхода, как с точки зрения состава, так и с точки зрения условий их использования.

Дан общий обзор научной литературы и намечен генеральный план в использовании этих отходов в Грузии.

Тем не меннее авторы отмечают, что в животноводстве и раньше были использованы отходы. Авторы рекомендуют фермерам максимально использовать отходы, которые приведут сокращению затрат на продукты.

ინჟინერია

დავით გუბელაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

სარწყავ არხებში ფილტრაციული დანაკარგების განსაზღვრის მეთოდი

ქვეყნის აგრარული პოლიტიკის სწორად წარმართვის მიზნით აუცილებელ ღონისძიებად მიგვაჩნია საქართველოში საირიგაციო ინფრასტრუქტურის განვითარება – სამელიორაციო სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, რომელიც დაკავშირებულია დიდი მოცულობის მატერიალურ დანახარჯებთან და მოითხოვს აგრარულ დარგში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხედვას.

განიხილება შეუტბორავი (თავისუფალი) და შეტბორილი (წყალგაუჯერებელი) სქემების ერთობლიობა, ყველა დანარჩენი ჰიდროგეოლოგიური სქემების ინტეგრაციით და მიღებული შედეგები კომპლექსური პოტენციალის ფუნქციის გამოყენებით დაექვემდებარა ანალიზურ გადაწყვეტას. საანგარიშო სქემა მოცემულია ნახ. №1-ზე.



ნახ. №1. არხის ფილტრაციის საანგარიშო სქემა

კომპლექსური პოტენციალი გამოხატულია შემდეგნაირად:

$$\omega = \varphi + i\psi = -\frac{Q}{\pi}\Omega = -\frac{Q}{\pi}\left(\phi + i\psi\right) \qquad (1.1)$$

ე.ი.

$$\phi = -\frac{\pi}{Q}\varphi$$
$$\psi = -\frac{\pi}{Q}\psi \qquad (1.2)$$

სადაც

φ და Ψ _ დინების წირების და თანაბარდაწნევიანი ზედაპირების პოტენციალი;

Q _ სრული ფილტრაციული ხარჯი არხის სველიპერიმეტრიდან, m^3/wm;

0_2 მონაკვეთიდან ხარჯი აღნიშნულია Q-თი, ხოლო 0 წერტილში Ψ და Ψ_0 ამიტომ,

$$\psi_0 = \frac{\pi Q_1}{Q} \qquad (1.3)$$

თავისუფალი ზედაპირის გასწვრივ ω=-kz და $\Omega = \frac{k\pi z}{Q}$, ხოლო X განისაზღვრება

$$X = \frac{4MQ}{\pi k}\left\{\lambda \sin Q\left[l^{\eta} + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{l(2n+1)^{\eta}}{(2n+1)^2}\right] - \frac{1}{4}\left[l^{\eta} - 2l^{\eta} + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{l(2n-1)^{\eta}}{(2n-1)^2}\right]\right\} + \frac{Q}{2K} \qquad (1.4)$$

სადაც,

$\eta = \frac{k\pi z}{Q}$ _ დინების წირების და თანაბარდაწნევიანი ზედაპირების პოტენციალი;

k – ფილტრაციის კოეფიციენტი;

a და n _ მუდმივი კოეფიცენტები;

Q _ სრული ფილტრაციული ხარჯი არხის სველი პერიმეტრიდან, m^3/wm;

როცა - $z=0$, $X=b/2$ მაშინ,

$$B = \frac{Q}{k} - \frac{8\mu Q}{\pi k}\left\{\lambda \sin Q\left[1 + \sum_{n=1}^{\infty} \frac{a_n}{(2n+1)^2}\right] - \frac{1}{4}\left[2 + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{1}{(2n-1)^2}\right]\right\} \qquad (1.5)$$

ხოლო,

$$h = \frac{4\mu Q}{\pi k}\left\{\lambda \sin Q\left[1 + \sum_{n=1}^{\infty} \frac{(-1)^n a_n}{(2n+1)^2}\right] - \frac{1}{4}\left[2 + \sum_{n=1}^{\infty} a_n \frac{1}{(2n-1)^2}\right]\right\} \qquad (1.6)$$

სათანადო გარდაქმნების შედეგად მიიღება

$$Q = \mu_o k(B + 2h) \qquad (1.7)$$

სადაც μ_0 _ კოეფიციენტი, რომელიც აიღება სათანადო ცხრილებიდან;

მოყვანილი თეორიული გადაწყვეტა ემყარება მათემატიკური ფიზიკის ამოცანის ფორმალიზაციას და ის მართებულია მხოლოდ ფოროვანი ტანისათვის, რომლის ფილტრაციის კონტურები აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს.

თავისუფალი ფილტრაციის საანგარიშოდ ა. კოსტიაკოვის მიერ, შემთავაზებულია შემდეგი სახის ფორმულა

$$Q = kl\left(b + 2h_0\sqrt{1+m^2}\right) \qquad (1.8)$$

ნ. პავლოვსკის მიხედვით:

$$Q = kl(b + 2h_0) \qquad (1.9)$$

ბ. რიზენკამფის მიხედვით:

$$Q = kl\mu(B + 2h_0) \qquad (1.10)$$

ხოლო μ განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულება

$$\frac{1}{\mu} = 1 - \frac{1}{1{,}5(1 + B/2h_0)} + \frac{1}{D(1 + B/2h_0)^3} \qquad (1.11)$$

სადაც D-აიღება 1 ცხრილის მიხედვით

ნ. ვერიგინის მიხედვით:

$$Q = kl(B + Ah_0) \qquad (1.12)$$

ზემოთ მოყვანილ ფორმულებში და შემდგომშიც მიღებული გვაქვს შემდეგი აღნიშვნები *Q* - ფილტრაციული ხარჯი *ℓ* სიგრძის არხიდან; *B*- წყლის სიღრმე არხში; *m* - ფერდოს დახრილობის კუთხე; *μ* - კოეფიციენტი, რომელიც ასევე დამოკიდებული *B/h₀* და *m*.

A კოეფიციენტის მნიშვნელობა *m=1,5* და *4<B/h₀<18*

ფილტრაციული დანაკარგების განსაზღვრა კაპილარული ძალების გათვალისწინებით ემყარება ჰიპოთეზას, რომლის თანახმად ფილტრაციულ ნაკადში ჩართულია კაპილარული ქობი. და გადაწყვეტა ძირითადად მიღებულია ტრაპეციული არხის განივკვეთებისათვის, თუმცა ავტორები თვლიან, რომ მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია სხვა ფორმის არხებისთვისაც.

საანგარიშო დამოკიდებულებას *h₀* მცირე მნიშვნელობისა აქვს შემდეგი სახე:

$$Q = kl(B + A\bar{h}) \qquad (1.13)$$

სადაც *A*- კოეფიციენტი განისაზღვრება *B/h₀* - თანაფარდობიდან, ხოლო $\bar{h}$ მნიშვნელობა მიიღება ტოლი

$$\bar{h} = h_0 + \alpha h_з \qquad (1.14)$$

სადაც $\alpha = 0{,}75 \div 1{,}0$

ნ. ვერიგინის და ბ. რიზენკამფის მონაცემების შედარება გვაძლევს, რომ კაპილარული ძალები ვერიგინის მიხედვით უმნიშვნელოა, კაპილარულ ძალების გათვალისწინებით ფილტრაციული დანაკარგები განისაღვრება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$Q = kl\left(b + 2\beta h_0\sqrt{1+m^2}\right) \qquad (1.18)$$

სადაც *β* – შემასწორებელი კოეფიციენტი ითავლისწინებს ფერდოების გვერდით წყალშთანთქმას და ის აიღება 1,1÷1,4 ფარგლებში ეს კოეფიციენტის მნიშვნელობა მით მეტია, რაც უფრო მაღალია გრუნტის კაპილარული პოტენციალი.

ცნობილია რომ, წყალგამტარობა ნაწილობრივ შევსებული ზონაში, მკვეთრად განსხვავდება გრუნტის წყლების მოძრაობისაგან. არხებიდან თავისუფალი ფილტრაციისათვის საანგარიშო ფორმულებში საჭიროა შეტანილ იქნეს სათანადო კორექტივები:

დანაკარგების განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია კაპილარული წყალგამტარობის შეცვლა გამტარობით, სრული წყალგაჯერების პირობებში, რადგან წყალგამტარობა გაცილებით მცირეა სრული წყალშეტბორვის ზონაში და ამიტომ საანგარიშო დამოკიდებულებაში მაქსიმალური კაპილარული აწევის სიმაღლის შეყვანა, იძლევა ფილტრაციული დანაკარგების გაზრდილ სიდიდეს.

ამის გამო საანგარიშო დამოკიდებულებაში კაპილარული აწევის სიმაღლი საჭიროა შეიცვალოს ე.წ. დაყვანილი სიმაღლით *α·h₃*, სადაც *α≈0,3*. შეასაბამისად გვექნება:

$$Q = kl'\left(b + 2\beta h_0\sqrt{1+m^2}\right) \qquad (1.19)$$

მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მონაცემების შედარებამ საანგარიშო დამოკიდებულებებთან (მათ შორის ლაბორატორიულმაც) აჩვენა, რომ ყველაზე უკეთ პასუხობს ფილტრაციული დანაკარგების ხარჯის განსაზღვრას ქვემოთ მოყვანილი დამოკიდებულება

$$Q = kl\left[1 + \left(0{,}5h_з / B\right)\right]\left(B + 2h_0\right) \qquad (1.20)$$

ყველა ეს შემთხვევა თეორიულ გადაწყვეტას, ან კიდევ უფრო ზუსტად ნახევრად ემპირიულს განეკუთვნება, მაგრამ ისინი ნაკლებად ადაპტირებულია, კონკრეტულ

პირობებთან. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ფილტრაციული გარემოს იზოტროპულობას, მონოშრიანობას. ამას ემატება ისიც, რომ არ არის მხედველობაში მიღებული თიხა ნიადაგ-გრუნტებში ზედაპირულ-მოლეკულური ეფექტების როლი ფილტრაციული დინების კანონზომიერებათა ფორმირებაში და ამიტომაც პროცესის აღწერა რომელიმე უნივერსალური ფენომენოლოგიური განტოლებით შეუძლებელი ხდება.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ბუნებრივ-გეოტექნიკურ კალაპოტში გამავალი არხებიდან ფილტრაციის საანგარიშო ჰიდრავლიკური მოდელი ემყარება დაშვებას, რომლის მიხედვითაც ფილტრაციული ნაკადი უპირატესად მოძრაობს გრავიტაციული ძალის გავლენით და უგულებელყოფილია სიჩქარის ჰორიზონტალური მდგენელი, რაც გულისხმობს რომ არხის ფსკერიდან გარკვეულ მანძილამდე ექვიპოტენციური ზედაპირი მკვეთრად ჰორიზონტალურია, ხოლო დინების წირები მისი ორთოგონალური. ამასთან ერთად, ჩვენ დაუშვით ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ჰიდრავლიკურად უხელსაყრელესი არხის განივკვეთი ხასიათდება ცოცხალი კვეთის ფართობის მაქსიმუმით, რომელსაც შეესაბამება სველი პერიმეტრის მინიმალური მნიშვნელობა, ამიტომაც ასეთი არხიდან ფილტრაციული ხარჯი სავარაუდოდ უნდა იყოს მინიმალური, თუმცა ასეთ დაშვებას, რაიმე თუნდაც ლოგიკური დასაბუთების გარეშე არ იზიარებენ მკვლევარები.

ქვემოთ მოყვანილი გაანგარიშებანი ძირითადად გამოხატავენ დამყარებელი ფილტრაცია: ნაკადის მოძრაობა ვერტიკალური მიმართულებისაა და სიჩქარის ჰორიზონტალური მდგენელი ნულის ტოლია, ხოლო დეპრესიის თავისუფალ ზედაპირზე „განლაგებული“ კაპილარული ქობი გავლენას არ ახდენს ფილტრაციული ხარჯის სიდიდეზე.

ტოლფერდა ტრაპეციული არხის განივკვეთის ფართობი, რომელიც მიიღება ცოცხალი კვეთის ფართობის ტოლად, გამოითვლება შემდეგი დამოკიდებულებებით:

$$\omega = h^2(\beta + m) \qquad (1.21)$$

ხოლო სველი პერიმეტრი

$$\chi = h\left(\beta + 2\sqrt{1+m^2}\right) \qquad (1.22)$$

(1.21) და (1..22) ფორმულებში მიღებულია შემდეგი აღნიშვნები:

ω - ცოცხალი კვეთის ფართობი, მ^2;
h - წყლის სიღრმე, მ;
β - b/h ფარდობითი სიგანე;
b - ფუძის სიგანე, მ;
m - ფერდის დახრის კოეფიციენტი;
χ - სველი პერიმეტრი, მ;

ჰიდრავლიკურად უხელსაყრელესი კვეთი არხის მახასიათებელი პარამეტრებით, უნდა განისაზღვროს (1.21) და (1.22) ფუნქციების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები, რისთვისაც უნდა შესრულდეს პირობები: $\frac{d\omega}{d\beta} = 0$ და $\frac{df}{d\beta} = 0$

(1.21) და (1.22) გაწარმოებით და მოყვანილი პირობის დაცვით მივიღებთ

$$\frac{d\omega}{d\beta} = 2h\beta\frac{dh}{d\beta} + h^2 + 2mh\frac{dh}{d\beta} = 0 \qquad (1.23)$$

$$\frac{df}{d\beta} = \beta\frac{dh}{d\beta} + h + 2\sqrt{1+m^2}\,\frac{dh}{d\beta} = 0 \qquad (1.24)$$

(1.23) და (1.24) განტოლებათა სისტემის ამოხსნით გვექნება, რომ ჰიდრავლიკურად უხელსაყრელესი კვეთისათვის

$$\beta = \frac{b}{h} = 2\left(\sqrt{1+m^2} - m\right) \qquad (1.25)$$

გაანგარიშებისათვის საჭიროა შეირჩეს ვირტუალური სწორკუთხა კვეთის გაბარიტები, რომელსაც ექნება ისეთივე გამტარუნარიანობა, რაც გააჩნია რეალურ ტრაპეციულ არხს, წყლის ნაკადის თანაბარი ძრაობის შემთხვევაში, ხარჯი შეიძლება გამოვთვალოთ უწყვეტობის პირობიდან

$$Q = \omega V = h^2(b + mh)C\sqrt{RI} \qquad (1.26)$$

სადაც

C - შეზის კოეფიციენტი, $м^{0,5}/წმ$;

R - ჰიდრავლიკური რადიუსი;

I - ჰიდრავლიკური ქანობი, რომელიც თანაბარი ძრაობის შემთხვევაში აიღება არხის ფსკერის ქანობის ტოლად.

თუ მივიღებთ, რომ

$$C = \frac{1}{n}R^{\frac{1}{6}} \qquad (1.27)$$

სადაც

n - ხორკლიანობის კოეფიციენტი, მაშინ შეიძლება დავწეროთ

$$Q = \frac{1}{n}h(b + mh)R^{\frac{2}{3}}\sqrt{I} \qquad (1.28.)$$

ვირტუალური სწორკუთხა კვეთისათვის, რომლის სიგანეა b_0, განსაზღვრული ჰიდროდინამიკური ბადის მიხედვით თავისუფალი ფილტრაციის ზონაში, ხოლო h_0 წყლის სიღრმე არხში გამტარუნარიანობა (ხარჯი) განისაზღვრება

$$Q_0 = \frac{1}{n}b_0 h_0 R_0^{\frac{2}{3}}\sqrt{I} \qquad (1.29)$$

(1.25)-ის გათვალისწინებით, (1.28) და (1.29) გამოსახულებათა ურთიერთ გატოლებით და სათანადო გარდაქმნებით, რომელიც ასევე მოიცავს ჰიდრავლიკური რადიუსების ცხადი სახით წარმოდგენას, მივიღებთ

$$\frac{(b_0 h_0)^{\frac{5}{3}}}{(b_0 + 2h_0)^{\frac{2}{3}}} = ah^{\frac{8}{3}} \qquad (1.30)$$

სადაც $a = \dfrac{\left(2\sqrt{1+m^2} - m\right)^{\frac{5}{3}}}{\left(1 + m^2 + \sqrt{1+m^2} - m\right)^{\frac{2}{3}}\sqrt[3]{4}}$

განტოლებიდან (1.30) კონკრეტული მონაცემებისათვის, შერჩევის წესით ან კიდევ სათანადო გრაფიკების შედგენით α კოეფიციენტის მიხედვით ადვილად განისაზღვრება h_0 სიდიდე. წინასწარ ჩატარებული გაანგარიშების შემდეგ ფილტრაციის დინების სურათი შეიძლება წარმოვიდგინოთ ნახ. 2-ის სახით



ნახ. 2 არხის განიკვეთის საანგარიშო სქემა

ფილტრაციის პროცესის საწყის სტადიაში, ანუ გრუნტის ფორების წყალშევსებამდე წყლის გადაადგილებაში ერთდროულად მონაწილეობს როგორც გრავიტაციული, ასევე კაპილარულ-ოსმური და სხვა კატეგორიის ძალები.

ფილტრაციული ხარჯის განსაზღვრისათვის დაუმყარებელი რეჟიმის ამ სტადიაზე ფილტარაციის სიჩქარე შეიძლება გამოვხატოთ როგორც გრადიენტის ფუნქცია, ან კიდევ სიჩქარე – ფუნქცია დროის. პირველ შემთხვევაში ფილტრაციის ხვედრითი ხარჯი განისაზღვრება ფორმულით

$$q = K_0 \frac{Z + h_0 + \sum h}{Z} b_0 \qquad (1.31)$$

მეორე შემთხვევაში

$$q = K_t b_0 \qquad (1.32)$$

K_t-ს განსაზღვრისათვის შეიძლება ვისარგებლოთ რომელიმე განტოლებით, ან კიდევ ჩვენ მიერ აპროქსიმირებული შემდეგი სახის დამოკიდებულებით

$$K_t = K_0 + (K' - K_0)\exp(-\alpha t) \qquad (1.33)$$

(1.31), (1.32) და (1.33) დამოკიდებულებებში გამოყენებული გვაქვს შემდეგი აღნიშვნები: q – ფილტრაციის ხვედრითი ხარჯი არხის სიგრძის ერთეულზე; K_0 – ფილტრაციის კოეფიციენტი; Z – კოორდინატი, აღებული არხის ფსკერიდან განსახილველ კვეთამდე; h_0 – წყლის სიღრმე არხში; $\sum h$ – ყველა ზედაპირული ძალების დაწნევათა ჯამი; b_0 – ვირტუალური სწორკუთხა არხის საანგარიშო სიგანე; K_t – ინფილტრაციის კოეფიციენტი, K' – ინფილტრაციის კოეფიციენტი დროის საწყისი მომენტისათვის; α – ექსპერიმენტული კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს მოცემულ გრუნტს; t – ფილტრაციის დაუმყარებელი პროცესის მიმდინარეობის დრო.

ხვედრითი ხარჯი (1.31)-ის მიხედვით Z-ის ზრდასთან ერთად მცირდება, ანუ რაც უფრო დიდ სიღრმეზე გადაადგილდება ფილტრაციის ნაკადის ფრონტი, მით უფრო მცირდება გრადიენტი. (1.32) ფორმულის მიხედვით ხვედრითი ხარჯის ცვალებადობა აისახება (1.33) კანონით, რაც ნიშნავს რომ t ზრდასთან ერთად მცირდება K_t და ის უახლოვდება K_0. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაუმყარებელი ფილტრაციული რეჟიმის პირობებში ხარჯი გრადიენტის, ან კიდევ დროის ფუნქციაა, თუმცა ზემოთ წარმოდგენილი ინტერპრეტაციით ადვილი მისახვედრია, რომ გრადიენტიც დროის ფუნქციაა და ის მუდმივი ხდება, როცა გრუნტის ფორების წყალგაჯერებასთან ერთად ფილტრაციული ნაკადის ფრონტი დაეყრდნობა გრუნტის წყლის სარკის ზედაპირს.

ფილტრაციის გაანგარიშების შემდგომი ეტაპი პირობითად ეფუძნება დამყარებული რეჟიმის საანგარიშო მოდელს, რომლის თანახმად $\sum h$ პოტენციალი ნულის ტოლია და Z გაუტოლდება არხის ფსკერიდან გრუნტის წყლის ზედაპირამდე H მანძილს.

ფილტრაციის სიჩქარე ნებისმიერ დროის მომენტისათვის შეიძლება ვიანგარიშოთ

$$\frac{dz}{dt} = K_0 \frac{h_0 + Z}{Z} \qquad (1.34)$$

დიფერენციალური განტოლების (1.34) ინტეგრირება სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით t=0, Z=0 გვაძლევს

$$t = \frac{1}{k_0}\left(Z + h_0 \ln \frac{h_0}{h_0 + Z}\right) \qquad (1.35)$$

ფილტრაციული ნაკადის გადაადგილებით სასუალო სიჩქარე Z=H სიმძლავრეზე (მანძილზე) ტოლი იქნება

$$\overline{V} = K_0 \frac{H}{H + h_0 \ln \frac{h_0}{h_0 + H}} \qquad (1.36)$$

ამ გამოსახულებიდან ჩანს, რომ გრადიენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია, რადგან ერთზე ნაკლები რიცხვის ლოგარითმი უარყოფითი სიდიდეა და ეს თავის მხრივ ნიშნავს,

რომ თავისუფალი ფილტრაციის რეჟიმი ზემოთ განხილულ საანგარიშო სქემაში შესაბამისი სასაზღვრო პირობებით არ ფიქსირდება. მიუხედავად ამისა, საინჟინრო პრაქტიკისათვის მისაღები სიზუსტით შეიძლება დროის გარკვეულ ინტერვალში გავიგოთ ფილტრაციული ხარჯი და შესაბამისი გრუნტის წყლის დონის ცვალებადობა. ცხადია, გრუნტის წყლის დონის თავისუფალი ზედაპირის მოხაზულობა და „ბორცვის“ სიგრძის რადიუსი დამოკიდებული იქნება გრუნტის ფილტრაციულ თვისებებზე. სიჩქარე $\overline{V}$ თანდათან იზრდება და თეორიულად მიისწრაფვის უსასრულობისაკენ, ამიტომ სიჩქარის საშუალო მნიშვნელობას განვსაზღვრავთ წინასწარ დანიშნული ΔH –სათვის.

ვირტუალური კვეთის მეთოდი საშუალებას იძლევა რეალური გეოტექნიკური და ჰიდროგელოგიური პირობების გათვალისწინებით მოვახდინოთ ფილტრაციული დანაკარგების პროგნოზი ე.წ. საწყისი ჭეშმარიტი ფიზიკური გრადიენტის გათვალისწინებით.

ფილტრაციის სიჩქარეს, ვერტიკალური დაღმავალი მიმართულებით საწყისი გრადიენტის გათვალისწინებით, აღვწერთ შემდეგი დიფერენციალური განტოლებით

$$\frac{dV}{dt} = k\left(\frac{H}{z} - I_0\right) \qquad (1.37)$$

სადაც H – აერთიანებს გრავიტაციულ-კაპილარულ, ოსმური, ელექტრო-ქიმიური და სხვა პოტენციალს;

k – ფილტრაციის კოეფიციენტი, მ/წმ^2;

I – საწყისი გრადიენტი, რომელიც დამოკიდებულია გრუნტის შრის მინერალოგიასა და დისპერგაციის ხარისხზე;

t – დრო, წმ;

განიხილება, მხოლოდ საწყისი გრადიენტის გავლენის შეფასება დამყარებული ფილტრაციის რეჟიმზე, ამიტომ კონკრეტულ შემთხვევაში მათემატიკური ფორმალიზაციის გარეშე, (1.37) განტოლების ნაცვლად, წინაღობის ხაზოვანი კანონის ფარგლებში, პროცესის აღწერისათვის განვიხილავთ შემდეგი სახის დიფერენციალურ განტოლებას

$$\frac{dz}{dt} = k\left(\frac{h_0 + z}{z} - I_0\right) \qquad (1.38)$$

(1.38)-ის ინტეგრიება, სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით გვაძლევს

$$t = \frac{1}{k(1-I_0)^2}\left[z(1-I_0) + \ln\frac{h_0}{h_0 + z(1-I_0)}\right] \qquad (1.39)$$

როცა $I_0=0$ მაშინ (1.1.39) ფორმულა მიიღებს სახეს

$$t = \frac{1}{k}\left(z + h_0 \ln\frac{h_0}{h_0 + z}\right) \qquad (1.40)$$

$$t = \frac{h_0}{k}\left(\eta + \ln\frac{1}{1+\eta}\right) \qquad (1.41)$$

სადაც $\eta = \dfrac{z}{h_0}$

ან

$$t = \frac{h_0}{k}\left[\eta - \ln(1+\eta)\right] \qquad (1.42)$$

(1.42) განტოლების გამოყენებით განისაზღვრება აერაციის ზონის წყალშევსების დრო, ხოლო დროის პროგნოზი საწყისი გრადიენტის გათვალისწინებით გამოთვლილი (1.39)-ის მიხედვით, ცხადია აღემატება (1.42)-ით გაანგარიშების და ის მნიშვნელოვან წილად დამოკიდებული იქნება I_0–ის სიდიდეზე.

დასკვნა

მიღებული შედეგი განსაზღვრავს ფილტრაციული დანაკარგების რაოდენობრიობას, რომლის საიმედობაც უკავშირდება ინტეგრალური ჰიდროფიზიკური პარამეტრის საწყისი გრადიენტის გათვალისწინებას საანგარიშო ჰიდრომექანიკურ მოდელში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუბელაძე დ., მელიორაციის დარგის მოდელირების ეკონომიური და ეკოლოგიური ასპექტები, საერთაშორისო კონფერენციის კრებული „აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“, თბ., 2010.
2. Губеладзе Д., Круашвили И., Критические скорости течения в земляных каналах при наличии Фильтрации. Труды Груз. СХИ, «Орошение земель в горных условиях Грузии», Тб.,1985.
3. Yamada T., Kawabata., A theoretical study on the resistance law of the flow over a porous layer.Proc.JSGE.1982 N 525. pp.69-80 (in Japanese). M4.
4. Walters G.Z., Manam V.P. Hydrodynamic effects Of see page on bed particles л.Hydr.Div.Proc.ASCE.vol.97 l97l. pp.421-459.

დავით გუბელაძე

სარწყავ არხებში ფილტრაციული დანაკარგების განსაზღვრის მეთოდი

რეზიუმე

სამელიორაციო სისტემების გამართული და ეფექტური მუაშაობა დამოკიდებულია არხის გამტარუნარიანობაზე და ფილტრაციულ დანაკარგებზე.

ნაშრომში მოცემულია საირიგაციო არხებში ფილტრაციული დანაკარგების განსაზღვრის გაანგარიშების მეთოდიკა და შესაძლო განსაზღვრის ვარიანტები. მიღებულია ემპირიული დამოკიდებულება ნიადაგის შემადგენლობის, არხის ფორმის, წყლის აერაციისა და არხის გამტარუნარიანიობის გათვალისწინებით.

David Gubeladze

Method for Determining the Filtering in Irrigation Canals

Summary

The effective work of irrigation system depends on seepage and filtering losses . The filtering losses in irrigation canals in determining the methods of calculation and determination of the possible options. It is adopted an empirical approach to the soil composition, channel-shaped, aerated water, according to the conductivity of the canals.

Давид Губеладзе

Метод определения фильтрационных потерь в арошательных каналах

Резюме

Правильная и эффективная работа мелиорационных систем зависит от меры проходимости и фильтрационных потерь.

В статье приведён метод расчётов определения филтрационных потерь в ирригационных канала и варианты возможных определений.

Получена эмпирическая зависимость от состава почвы, формы канала, аирации воды и проходимость канала.

ჯუმბერ ნადირაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სოფლის მეურნეობაში ამწე-სატრანსპორტო მანქანების გამოყენების თეორიული საფუძვლები

სასოფლო-სამეურნეო ტვირთები, დატვირთვა-გადმოტვირთვის და ტრანსპორტირების პროცესში, მათზე დინამიკური და სტატიკური დატვირთვების მოქმედებით ზიანდება. დაზიანების სახე და ხარისხი დამოკიდებულია ტვირთის სიმკვრივეზე, ზედაპირულ დრეკადობაზე, ფორმასა და ზომებზე, ხახუნის კოეფიციენტსა და ვარდნის სიმაღლეზე.

ბოსტნეული, ძირხვენა-ტუბერები, ხილი და სხვა პროდუქტები დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს ეცემა ძარას ძირზე ან თვით მასალაზე, ერთმანეთზე. ვარდნის სიმაღლის გაზრდა იწვევს სტაფილოს დაზიანებას 90%-ით, კარტოფილის – 80%, ჭარხლის – 55%-ით და ა.შ. (იხ. ცხრ. 1)

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვარდნის სიმაღლის რეკომენდირებული, დასაშვები მნიშვნელობები სხვადასხვა მასალებისათვის.

ცხრ. 1

ტვირთი	ვარდნის სიმაღლე, მ			
	ფოლადი	ხე	რეზინა	ერთსახელა მასალა
კარტოფილი	0,3...0,4	0,25...0,5	0,5...0,75	1,0...1,2
ჭარხალი	0,2...0,6	0,4...0,75	0,75...1,0	1,0...1,5
სტაფილო	0,25...0,35	0,4...0,5	0,75...1,0	1,2...1,3
კიტრი	0,3...0,5	0,25...0,4	0,5...0,75	0,8...1,0
კომბოსტო	0,25...0,4	0,15...0,2	0,5...0,75	0,8...1,0
ხახვი	0,1...1,0	0,5...1,0	0,8...1,2	1,0...1,5
პომიდორი:				
მწიფე	-	0,1...0,15	0,15...0,2	-
მწვანე	-	0,15...0,25	0,3...0,4	0,4...0,5

ნაყოფის (მასალების) ვარდნის სიჩქარე იანგარიშება ფორმულით:

$$V = \sqrt{2gh} \qquad h \text{ - მ}$$

მეტალზე დავარდნისას დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სიჩქარის მნიშვნელობა შეზღუდულია ზღვრებში 1,5...2,5 მ/წმ, არაუმეტეს 4 მ/წმ. დაზიანება შემცირდება, თუ სატრანსპორტო მანქანების მუშა ორგანოებს დავამზადებთ მორეზინებულს.

ტრანსპორტირებისა და შენახვის მიხედვით ტვირთები იყოფა ჩვეულებრივ და სპეციალურ ტვირთებად. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მალ-ფუჭებადი, მსხვილ-გაბარიტიანი, გრძივი და საშიში ტვირთები. საშიში ტვირთების (ფეთქებადი, აალებადი, მომწამვლელი და სხვა) ტრანსპორტირებისას, საჭიროა დავიცვათ განსაკუთრებული სიფთხილე უსაფრთხოების ტექნიკის წესების გათვალისწინებით.

სოფლის მეურნეობაში მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის და ტრანს-პორტირების სამუშაოები დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პროცესებთან: მოსავლის აღება, საკვების დარიგება, ფერმებიდან ნარჩენებისა და ნაკელის გატანა, მანქანების რემონტი და სხვა. ტვირთების მოძრაობა ამ პროცესებში ხასიათდება ტვირთნაკადით დროის ერთეულში, ტვირთის გადაადგილებით და ტვირთბრუნვით. ეს უკანასკნელი გაიანგარიშება ტვირთნაკადის გამრავლებით გადაადგილების ბაზარზე.

სამუშაოს მოცულობა დამოკიდებულია ტვირთნაკადის ხასიათზე. სოფლის მეურნეობის წარმოებას ახასიათებს: სეზონურობა, პერიოდულობა, უწყვეტობა და ვრცელდება დიდ ფართობებზე. სატრანსპორტო ტვირთების მოცულობა დაკავშირებულია

მოსავლიანობაზე, პროდუქციის გამოსავალზე, რომელთაც თან ახლავს ბიოლოგიური პროცესები.

ტვირთნაკადისათვის დამახასიათებელია ტვირთის სახე და მასა, გადაადგილებათა რიცხვი დროის ერთეულში, გადაადგილების ხასიათი და გზა, გადატვირვათა რიცხვი და სხვა. მძიმე შრომატევადი ტვირთნაკადებია მოსავლის აღება, მარცვლეულის და ბოსტნეულის, საკვების მიტანა ფერმაში, სასუქების შეტანა და სხვა.

ტექნოლოგიური პროცესის შესრულება დამოკიდებულია არამარტო მანქანების (კომბაინი, ავტომობილი, დამხარისხებელი) მწარმოებლურობაზე, არამედ დატვირ თვა-გადმოტვირთვის და სატრანსპორტო მანქანების შერჩევასა და მწარმოებლურობაზე. სატრანსპორტო მასალების შეუფერხებელი მოძრაობის უწყვეტობა დამოკი-დებულია თითოეული მანქანისა და მისი ნაწილის მწარმოებლურობაზე.

ამწე-სატრანსპორტო მანქანების მწარმოებლურობა არის ტვირთის ის რაოდენობა, რომელიც გადაადგილება ერთეულ-დროში, გარკვეულ მანძილზე უწყვეტი და პერიოდული ტვირთბრუნვის დროს. ცალობრივი და ფხვიერი ტვირთებისათვის მწარმოებლურობა განისაზღვრება ფორმულებით:

$$A = m/t_{ц} \qquad Q = mv/\ell \qquad Q = \rho \cdot A \cdot V$$

სადაც m – ცალობრივი ტვირთის მასაა, კგ;

$t_{ц}$ – ციკლის ხანგრძლივობა, წმ;

V – ტვირთის გადაადგილების სიჩქარე, მ/წმ;

ℓ – ტვირთებს შორის მანძილი (ბიჯი), მ;

ρ – ტვირთის სიმკვრივე, კგ/მ^3;

A – ტვირთის ნაკადის კვეთის ფართი, მ^2.

ციკლის ხანგრძლივობა $t_{ц}$ ეს არის დროთა ჯამი, რომელიც საჭიროა ტვირთის გადატანისას ცალკეულ ოპერაციაზე საწყისი მდგომარეობიდან მეორე საწყის მდგომარეობამდე. ამწე-სატრანსპორტო მანქანებისათვის ციკლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ფორმულით:

$$t_{ц} = t_1 + t_2 + t_3 + \sum t_4 + \sum t_5 + \sum t_6$$

სადაც t_1; t_2; t_3 – შესაბამისად, აღების, განტვირთვის და დამხმარე მანევრისათვის საჭირო დროებია;

$\sum t_4; \sum t_5; \sum t_6$ – შესაბამისად, აწევა-დაწევის, გადატანისა და შემობრუნების ჯამური დროებია ტვირთით და ტვირთის გარეშე.

ციკლის ხანგრძლივობა შეირჩევა ტვირთნაკადის სიმძლავრის ხასიათის მიხედვით, დატვირთვა-გადმოტვირთვის მანქანების ტვირთამწეობით და ადგილზე გაჩერების დასაშვები დროის სიდიდის მიხედვით.

მწარმოებლურობის დამოკიდებულება ძირითად პარამეტრებზე მოცემულია დიაგრამებზე (ნახ. 1).

ექსპლოატაციის დროს აღნიშნული მანქანების მწარმოებლურობა განსხვავდება საპასპორტო მონაცემებისგან, რაც განპირობებულია ტვირთამწეობის არასრული გამოყენებით, ტექნიკური მოვლის დროის დანაკარგებით, მანქანის გადაადგი ლებაზე დახარჯული დროით, ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის დროით, დეფექტების აღმოფხვრისათვის საჭირო დროის გახანგრძლივებითა და სხვა.

საექსპლოატაციო მწარმოებლურობა განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_{ექსპ.} = K \cdot Q_3$$

K – მწარმოებლურობის გამოყენების კოეფიციენტია სოფლის მეურნეობაში გამოყენებული უნივერსალური დამტვირთველებისათვის K = 0,4...0,8.



ნახ. 1. მწარმოებლურობის დამოკიდებულება ძირითად პარამეტრებზე
ა) პერიოდული ქმედების მანქანები;
ბ) უწყვეტი ქმედების მანქანები ცალობრივი ტვირთით m = 50 კგ;
გ) უწყვეტი ქმედების მანქანები ფხვიერი ტვირთით ρ = 600 კგ/მ^3.

ტვირთნაკადში შესაძლებელია მანქანების ან მათი მუშა მექანიზმების მწარმოებლურობის ორი ვარიანტი კლებადი და უყწვეტი ნაკადით:

$$Q_1 > Q_2 > Q_3 > \ldots > Q_i > \ldots > Q_n$$

$$Q_1 < Q_2 < Q_3 < \ldots < Q_i < \ldots < Q_n$$

$$Q_1 = Q_{ოპტ.}$$

პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს ტვირთების დაგროვებას, ე.ი. მანქანების მოცდენას, გადატვირთვას, მეორე შემთხვევაში კი გამოიყენება ტვირთების გადატანა უწყვეტი ნაკადით.

მოსავლის აღების დროს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, (არათანაბარი მოსავლიანობა და სხვა) მანქანის მწარმოებლურობა იცვლება $Q_{მინ.}$-დან $Q_{მაქს.}$-მდე. საშუალო მწარმოებლურობა ტოლია:

$$Q_{საშ.} = 0{,}5\ (Q_{მინ.} + Q_{მაქს.})$$

ხოლო მწარმოებლურობის ცვალებადობის ამპლიტუდა:

$$\Delta Q = 0{,}5\ (Q_{მინ.} + Q_{მაქს.})$$

მწარმოებლურობის უთანაბრობის კოეფიციენტი:

$$K = \frac{\Delta Q}{Q_{საშ.}} = \frac{Q_{მაქს.} - Q_{მინ.}}{Q_{მაქს.} + Q_{მინ.}}$$

როდესაც $Q_{მინ.} \to Q_{მაქს.}$ $K \to 0$ თანაბარი ნაკადია:

$Q_{მინ.} << Q_{მაქს.}$ $K \to 1$ პულსირებადი ნაკადია:

$Q_{მინ.} = 0$ $K = 1$ წყვეტილი ნაკადია.

დასატვირთი და გადმოსატვირთი მანქანები წარმოადგენენ დამხმარე მანქანებს, რომლებიც მონაწილეობენ სატრანსპორტო და ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაში. ასეთი მანქანების ნაკლებობა გამოიწვევს ძირითადი მანქანების მოცდენასა და გაჩერებას.

დიაგრამაზე (ნახ. 2) მოცემულია მწარმოებლურობის განსაზღვრის ნომოგრამა. მანქანების დატვირთვის სამუშაოებისათვის, რომელიც ფუნქციონალურად არის დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალებების რიცხვთან (Z_n), ტვირთამწეობასთან (m), სიჩქარესთან (v), გადატანის სიდიდესთან (ℓ), ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტთან $K_{ტვ.} = \rho \frac{v}{m}$. დამტვირთი მანქანების რიცხვი განისაზღვრება მიღებული საანგარიშო მწარმოებლურობის გაყოფით მოსალოდნელ მწარმოებლურობაზე:

$$Z_n = \frac{Q_{საანგ.}}{Q_{ნამდ.}}$$



ნახ. 2. დატვირთვის სამუშაოების მწარმოებლურობის განსაზღვრა

ამწე-სატრანსპორტო მანქანების ძირითადი მახასიათებლებია: მწარმოებლურობა Q, სიმძლავრე N, მანქანის მასა m_o, ცალობრივი ტვირთის წონა m, ტრანსპორტირების სიგრძე ℓ. მანქანების მუშაობის ეფექტიანობის ძირითადი ეკონომიური მახასიათებლებია:

K_1 – ენერგოტევადობის კოეფიციენტი; $K_1 = N/Q$; $K_1 = \frac{N}{Q\ell}$

K_m – ლითონტევადობის კოეფიციენტი; $K_\partial = m_o/m$; $K_m = \frac{m_o}{Q\ell}$

K_2- ენერგოშემცველობის კოეფიციენტი; $K_2 = N/m_o$.

მანქანათა სისტემის თითოეული შემადგენელი ნაწილის ძირითადი მახასიათებლების ნომოგრამაზე გადატანის შემდეგ შესაძლებელია განისაზღვროს ან შეირჩეს მანქანის მწარმოებლურობა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ დამტვირთი მანქანების რიცხვი და შევარჩიოთ ტვირთბრუნვის ოპტიმალური ვარიანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაციტაძე ჯ., სარჯველაძე ნ., მანქანების ტექნიკური სერვისი, თბ., 2008.
2. ლესტერ რ. ბრაუნი და სხვ., სასიცოცხლო ნიშნები, თბ., 1997.
3. ნადირაშვილი ჯ., ამწე-სატრანსპორტო მანქანების ძირითადი მახასიათებელი პარამეტრები, თბ., 1990.

ჯუმბერ ნადირაშვილი

სოფლის მეურნეობაში ამწე-სატრანსპორტო მანქანების გამოყენების თეორიული საფუძვლები

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო ტვირთების დახასიათება, მათი დატვირთვა-გადმოტვირთვის თავისებურებანი, გამოყენებული ამწე-სატრანსპორტო მანქანების ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები და, მანქანათა სისტემის რაციონალური გამოყენების მიზნით შედგენილია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მწარმოებლურობის განსაზღვრის ნომოგრამა.

Jumber Nadirashvili

Theoretical Basis of Use of Crone-Handling Machines in Agriculture

Summary

The article shows the characteristic of agricultural cargo peculiarities of loading and unloading of mentioned cargo Basic technical data of crane-handling machines are used here and nomograph is drawn up for determination of efficiency of loading works with the purpose of rational use of machine system

Джумбер Надирашвили

Теоретические основы применения подъемно-транспортных машин в сельском хозяйстве

Резюме

В статье приведена характеристика сельскохозяйственных грузов, в особенности погрузочно-разгрузочных работ; проанализированы основные технические показатели использования подъемно-транспортных машин и составлена номограмма для определения производительности погрузочных работ, с целью рационального использования системы машин.

იურიდიული მეცნიერებანი

მიხეილ ბიჭია
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პატივის, როგორც პირადი ცხოვრების გამოვლენის ფორმის, დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები

1. შესავალი

პატივის დაცვა სამოქალაქო სამართალში მრავალმხრივ საინტერესოა. უპირველეს ყოვლისა, ამ პრობლემის შესწავლა მნიშვნელოვანია საკითხის თეორიულად დაუმუშავებლობის გამო. მეორე მხრივ, აქტუალურია ტექნოლოგიურ ეპოქაში პატივის უზრუნველყოფა სამოქალაქოსამართლებრივი საშუალებებით.

კვლევის მიზანია, დადგინდეს, თუ რომელ სფეროებს მოიცავს პატივი და რა კავშირი აქვს მას ღირსებასთან, ასევე პირად ცხოვრებასთან. ამავე დროს, გასარკვევია პატივის ადგილი კერძო და საჯარო ინტერესთა ღირებულებით კონფლიქტში. აქ გამოსაკვეთია, თუ რა როლს თამაშობს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ხერხები ამ პროცესის დროს. მოცემული ასპექტების მიხედვით, ეს პრობლემა აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ამავე დროს, კვლევის მიზანია, ზემოწარმოდგენილი საკითხები იყოს შესწავლილი ნორმატიულ-დოგმატური, შედარებითსამართლებრივი თუ სოციოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა, განისაზღვროს პატივის დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი რეჟიმი და სპეციფიკა.

2. პატივის სოციოლოგიურ-იურიდიული შინაარსი

2.1. პატივის ფაქტობრივ-სოციალური გაგება

განასხვავებენ ფაქტობრივ-სოციალურ და ნორმატიულ პატივს (20, 200). ფაქტობრივ პატივში მოიაზრება საზოგადოებრივი პატივისცემა, სახელი რეალურ ყოფა-ცხოვრებაში, გარშემომყოფთა შეფასება, ერთი მხრივ, როგორიცაა საკუთარი ღირსების შეგრძნება, ადამიანის ქცევის თანხვდომა მისთვის წაყენებული ზნეობრივი მოთხოვნებისადმი, მეორე მხრივ, ამ ადამიანთა აზრში (21,25). ამდენად, პატივის გვარეობითი ცნების მოცემული ასპექტი განიხილება, როგორც სოციალური პრესტიჟი, პატივისცემა, რენომე ან იმიჯი. ზოგჯერ მას უკავშირებენ გარეგან პატივს, კარგ სახელს ან პოპულარობას. შესაბამისად, პატივი გაიგება სოციალურ მოვლენად, რომელიც ეხება პიროვნებისათვის კონსტიტუციური მნიშვნელობის ასპექტს საზოგადოებაში პირის აღიარების სახით (20, 203), (25, 181-182).

2.2. პატივის ნორმატიული ცნება

პატივის ნორმატიულ გაგებაში მოიაზრება პატივი, როგორც პიროვნულ ღირსებაზე დაფუძნებული ადამიანის შინაგანი ღირსება (21, 25). ნორმატიული (ეთიკურ-იურიდიული) გაგებით, ადამიანს ეკუთვნის პატივი, მიუხედავად იმისა, ის თავის სოციალურ გარემოში ფაქტობრივად იმსახურებს თუ არა პატივისცემას. პატივის ნორმატიული ცნება გამომდინარეობს აუცილებლობიდან (ჯერარსის – Sollen-ის სფეროდან), გარშემომყოფთა ურთიერთობაში პატივისცემის მოთხოვნიდან, რომელიც შეიძლება შესრულდეს ან შეილახოს. პატივისცემის მოთხოვნა ფაქტობრივ-სოციალური აღიარებითი ხასიათის ურთიერთობაზეა დამოკიდებული; ეს გარკვეულწილად შეესაბამება შინაგანი პატივის ცნებას (20, 201).

ამდენად, პატივის სამართლებრივი ცნება ხასიათდება რამდენიმე ძირითადი ნიშნით: ა) პირის დადებითი თვისებების არსებობა; ბ) მათი ასახვა საზოგადოებრივ ცნობიერებაში; გ) პიროვნული ნიშნები გამოხატვას პოულობს საზოგადოებრივ ცნობიერებასა და თვით ამ პირის თვითცნობიერებაში (19, 42). შესაბამისად, პატივის სამართლებრივი გაგება უკავშირდება ადამიანის შინაგან და გარეგან შეფასებას,

როგორიცაა საზოგადოების ფარგლებში მისი ღირსება ანუ თვითაღიარება და საზოგადოებაში პიროვნების შეფასება (21, 22).

2.3. პატივსა და ღირსებას შორის მიმართება

ცნობილია, რომ ფაქტობრივ-სოციალური გაგებით, პატივი და ღირსება არის ადამიანთა შორის დიფერენცირების ნიშნები (20, 202-203). ნორმატიული გაგებით, ნებისმიერ ადამიანს აქვს ადამიანური ღირსება ადამიანობის გამო, კერძოდ, პატივისცემის სამართლებრივი მოთხოვნა, იმოქმედოს თავისი შინაგანი პატივის მიხედვით და არ შეილახოს მისი მოთხოვნის უფლება, პატივიდან გამომდინარე. ნორმატიული თვალსაზრისით, პატივისა და ღირსების ცნებებს ახასიათებს მსგავსი მოთხოვნის უფლებები, რომლებიც აქვს ყველა ფიზიკურ პირს, როგორც ადამიანს. ეთიკურ-იურიდიულად პატივი და ღირსება ნორმატივებისა და ჯერარსის სფეროს განეკუთვნება, ვინაიდან მხოლოდ პატივისცემის მოთხოვნის უფლება იძლევა საშუალებას, რომ თანასწორებად იყვნენ განხილული ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად არათანაბარი არიან და, სოციალური გაგებით, არათანაბარი პატივი აქვთ. ამდენად, პიროვნების მიერ შექმნილი გარკვეული ფასეულობის საზოგადოებრივი აღიარება უკავშირდება პატივს. არ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს არა აქვს ღირსება, რომელიც დაფასების ღირსია, მაგრამ საზოგადოების მიერ ჯერ არ დაფასებულა. ადამიანის ღირსება მის თავისუფალ ღირსეულობაშია, უკავშირდება მისი ღირებულების შეგნებას და მისდამი პატივისცემას. სახელი განიხილება გარეგან, ხოლო ღირსება – შინაგან რაობად (3, 3).

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით, მსგავსად გერმანულისა, ადამიანის ღირსების ცნება ეფუძნება ღირებულებებს, რომლებიც მთლიანობაში ადამიანთა უფლებებითაა დაცული. ამავე დროს, არსებობს მხოლოდ ერთადერთი ადამიანური ღირსება, თუმცა საუბრობენ ადამიანთა მრავალი უფლების შესახებ. ასევე საგულისხმოა, რომ ადამიანის თითოეული უფლება იცავს ღირსების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. აქ ნაჩვენებია ნაწილის მერეოლოგიური ანუ მთელისა და ნაწილის დამოკიდებულების ლოგიკა (22, 51).

3. პატივის ადგილი სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში

პატივის დამცავი სხვადასხვა მორალური წესი აყვანილია ფორმალური კანონების რანგში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში, რომელიც პატივის უზრუნ-ველყოფის ფორმებს შეეხება და არსებითად გერმანული სამართლის გამოცდილებას იზიარებს. ამავე დროს, პატივი თავისი არსით უკავშირდება ზოგად პიროვნულ უფლებას, რომელიც თვით ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების ზოგადი თავისუფლების ასპექტების დახმარებით (საქ. კონსტიტუციის მე-16 მუხლი) სამართლებრივად აღიარებულია 992-993-ე მუხლებით (23, 116-117). ამასთან, უნდა გა-ფართოვდეს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლება, რომელშიც ერთ-ერთ უფლებად მოიაზრება ზოგადი პიროვ-ნული უფლება. ღირსება არის რა ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური სფერო, საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლებასთან ერთად, იძლევა შესაძლებლობას, რომ სსკ-ის მე-18 მუხლით პირდაპირ გაუთვალისწინებელი სიკეთე იყოს დაცული სსკ-ის 992-ე მუხლით („გენერალური დელიქტი“) (16, 184).

ცნობილია, რომ ძირითადი უფლებები ღირებულებათა ობიექტურ წესრიგს ასხამს ხორცს, რომელიც გარდაიქმნება კერძოსამართლებრივ ურთიერთობად. ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს კერძო სამართლის განვითარებისათვის აუცილებელ ფარგლებს და ძირითადი უფლებების ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა. არადა კერძო უფლების ადრესატი არის კერძო პირი. შესაბამისად, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები კერძო სამართალში არ მოქმედებს უშუალოდ (სსკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი). საქართველოს კონსტიტუცია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს მხოლოდ არაპირდაპირ კერძო სამართლის საშუალებით. ეს ზემოქმედება უკავშირდება თანასწორობისა (სსკ-ის 1-ლი მუხლი) და კერძო ავტონომიის (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი) საწყისებზე დაფუძნებულ ჰორინზონტალური ხასიათის სამოქალაქო ურთიერთობებში სუბიექტთა მონაწილეობას, რომელიც გარკვეულ დათქმებს უნდა დაექვემდებაროს (კანონი და ხელშეკრულება) (18, 82-84).

სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულია პატივი და ღირსება, რომლებიც ემსახურება ადამიანის ინდივიდუალიზაციას, რადგან საზოგადოებაში მის თვითგამორკვევას უკავშირდება. ისინი დამოუკიდებელ როლს ასრულებენ ადამიანის ინდივიდუალიზაციაში (5; 88). ამდენად, პატივის დაცვის უფლება თავისი არსით არის პირადი არაქონებრივი უფლება და პატივი უნდა ჩაითვალოს დაცვითი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად.

ამასთან, პატივს, რომელშიც შეიძლება პირადი ცხოვრება გამოვლინდეს, შესაძლებელია დაუპირისპირდეს ინფორმაციის, აზრის გამოხატვისა და პრესის თავისუფლებები. საქმე ისაა, რომ პირადი სფეროს დაცვა და პრესის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოებისთვის თანაბარწილად კონსტიტუციური მნიშვნელობისაა (24; 17, 23). აქ მთავარია, რომ სიკეთეთა აწონ-დაწონის გზით გადაწყდეს საკითხი და ზიანი არ დაადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას მოჰყვება დელიქტური პასუხისმგებლობა (სსკ-ის 992-1008-ე მუხლები).

მოცემული გაგებით მნიშვნელოვანია მედიის თვითრეგულირების მექანიზმი, საქართველოში ამ თვალსაზრისით მოქმედებს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი. მასში კერძო ცხოვრების დაცვის გვერდით ხაზგასმაა იმაზე, რომ გარკვეულმა კერძო ქმედებამ შეიძლება წამოჭრას საკითხები, რომლებიც ლეგიტიმურ საზოგადოებრივ ინტერესს უკავშირდება (მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-5 მუხლის „ი“ პუნქტი). აქ აუცილებელია გარკვეული ვალდებულებებისა და წესების დაცვით გადაწყდეს ინტერესთა შორის კონფლიქტი (24, 102).

სსკ-ის მე-11 მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან, რა დროიდანაც პირს აქვს უნარი, იყოს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი (18, 167-168).

4. პატივის ხელყოფის იურიდიული შედეგები

პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვაში მოიაზრება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავს მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ და არა შეფასებითი მსჯელობა, აზრის გამოხატვა ვინმეს თაობაზე (9).

სამოქალაქო სამართალში პატივი, მსგავსად ღირსებისა, გაცილებით ფართოა. პატივის დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ფორმებია: უფლების შემლახველი მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება (უმოქმედობა), უარყოფა, (პრესის საშუალებით) საპასუხო ცნობების გამოქვეყნება და ზიანის ანაზღაურება (26, 338).

4.1. მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება და შეწყვეტა

პატივის დაცვის უფლების შელახვა კანონით მკაცრად დადგენილი პირობების დროს წარმოშობს მოქმედების შეწყვეტის ან მოქმედებაზე უარის თქმის მოთხოვნას (14), მიუხედავად ბრალეულობისა. თუმცა, თუ პატივი შეილახა ვინმეს ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი).

ხელმყოფი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება არის დროებითი განკარგულება, რომელიც დაინტერესებულ პირს აძლევს სწრაფ და ეფექტურ საშუალებას მედიის სამართალდამრღვევი რეპორტაჟის მომზადებაზე. მომავალში წამოყენებულ ამ მოთხოვნას შეუძლია კერძო სფეროს ხელმეორედ ხელყოფა აიცილოს თავიდან. მოცემული მოთხოვნის წამოყენების წინაპირობაა განმეორებით დარღვევის სერიოზული საფრთხის არსებობა (24, 128-129). ასევე გამოყოფენ მოქმედების პირველად შესრულებისა და ხელმეორედ განხორციელების საფრთხეებს. ზოგადად „მოქმედების შეუსრულებლობის საკვანძო წერტილი საფრთხის ცნებაა.“ მოქმედების განხორციელებისგან თავშეკავების მოთხოვნა დასაბუთებულია, თუ გამოქვეყნების საფრთხე არსებობს. მოქმედების პირველად განხორციელების საფრთხე საკმარისადაა დასაბუთებული, როცა მომავალი სამართალდარღვევა არცთუ ისე შორეულ მომავალში აშკარად მოხდება, ან არსებობს ამის სერიოზული საფრთხე. რაც შეეხება მოქმედების შესრულების გამეორების საფრთხეს, ის არსებობს, თუ ფაქტებზე დაფუძნებული სერიოზული ხელყოფის საფრთხის საფუძველია დამატებით (ახალი) ხელშეშლა. ძირითადად, მოქმედების შესრულებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელის წარდგენა ხელს უშლის მხოლოდ არასწორი ფაქტების გამოქვეყნებას. ამასთან, მტკიცებულებათა

წარდგენის გზით დადასტურების მოვალეობა ეკისრება პირს, რომელიც სხვების შესახებ პატივის შემლახველ ფაქტებს ამტკიცებს; თუ ის ამას ვერ შეასრულებს, მისი განცხადება ფასდება, როგორც არასწორი. ნეგატორული სარჩელი დაკმაყოფილდება, თუ მტკიცებულებათა გამოკვლევის შესახებ სასამართლო განხილვის დროს დადგინდა, რომ ეს განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს (26, 338).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოქმედების აღკვეთის (შეწყვეტის) მოთხოვნის წინაპირობები ყოველთვის უნდა შეეხოს ფაქტების მტკიცებებს. მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების (ნეგატორული) მოთხოვნის დროს არ მიიღება მხედველობაში აზრის უარყოფა, ვინაიდან ამ გზით აღნიშნული იწვევს აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. ასევე თუ მტკიცება წარმოდგენილია არასრულად, გადაჭარბებულად ან ბუნდოვნად, მაშინ პირს შეუძლია, დასაზუსტებლად ან დასამატებლად აღძრას მოქმედების შეწყვეტის (აღკვეთის) შესახებ სარჩელი (26, 339).

4.2. უარყოფა

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო წესით სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის უარყოფის მოთხოვნას, რომელიც წარმოიშობა, მიუხედავად ხელყოფის ბრალეულობისა (6, 70) და უპირატესად პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე მტკიცებას შეეხება. უარყოფა უნდა მოხდეს იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, რომლითაც ღირსების შეურაცხმყოფელი ცნობები გავრცელდა (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი). ამ მოთხოვნის დაყენება დასაშვებია, თუ ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შეესაბამება (1, 75-76).

სსკ-ის მე-18 მუხლში 2004 წლის 24 ივნისის ცვლილების თანახმად, პირს შეუძლია პირად უფლებათა დაცვა „კანონით დადგენილი წესით". სახელდობრ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფა შეიძლება მხოლოდ ცილისწამების შემთხვევაში. ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. მოცემული მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს (13). ამავე კანონის 1-ლი მუხლის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით, ცილისწამებად განიხილება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის საზიანო, მისი სახელის გამტეხი განცხადება. თუმცა ცილისწამების განსასაზღვრად ფაქტები უნდა გაიმიჯნოს შეფასებებისგან (15). საქმე ისაა, რომ ნამდვილობა შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ ფაქტებთან დაკავშირებით, აზრი კი მტკიცებას არ ექვემდებარება (11). ამასთან, კერძო პირის მიმართ უნდა გავრცელდეს კერძო პირის ცილისწამების სტანდარტი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის მე-13 მუხლის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის დაეკისრება პირს, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავდა მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელის პატივი და ღირსება შეილახა. ამდენად, მოცემული ფაქტების გავრცელებით პირისათვის ზიანის მიყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მთლიანად მოსარჩელეს. აქვე მტკიცებულებებით (პირდაპირ ან არაპირდაპირ) უნდა დადგინდეს, რომ ეს ინფორმაცია სწორედ მოპასუხემ გაავრცელა. თუ განცხადება არ არსებობს ან ვერ დადასტურდა ზემომოცემული ცნობების გავრცელება, ცილისწამებაც (და, შესაბამისად, კანონდარღვევაც) გამოირიცხება (12).

ასევე საგულისხმოა, რომ სპეციფიკურია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა, რომლისთვისაც ამოსავალია ღირსების უზრუნველყოფის იდეა. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს, თუმცა თვით პირი იყოს დაინტერესებული ამ ცნობების გახმაურებისაგან დაცვით, ვინაიდან პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველ ცნობებს შეიცავს (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი) (2, 232).

ამასთან, უარყოფასთან ერთად შეიძლება დადგეს მიყენებული ზარალისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. თუმცა, თუ გავრცელდა სინამდვილის

შესაბამისი ცნობები, გამოირიცხება უარყოფის შესახებ მოთხოვნის უფლების წარმოშობა. ამ სახის ცნობების შეურაცხმყოფელი ფორმის შემთხვევაში დასაშვებია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (1, 75-76).

4.3. პრესის საშუალებით საპასუხო ცნობების გავრცელების უფლება

სსკ-ი ითვალისწინებს ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელებისას იმავე საშუალებებით პასუხის გამოქვეყნების შესაძლებლობას (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი). მასში მოიაზრება დაინტერესებული პირის ახსნა-განმარტება, რომელიც პერიოდული ბეჭდვითი მედიის საშუალებით გავრცელებული სტატიის საწინააღმდეგო გარემოებებზე მიუთითებს. პასუხი უნდა იყოს მოკლედ ჩამოყალიბებული და ფაქტებზე ორიენტირებული, რაც მოითხოვს ფაქტების მტკიცების გამიჯვნას აზრის გამოხატვისგან (2, 229-230).

საპასუხო ცნობების გამოქვეყნების მოთხოვნის უპირატესობა ისაა, რომ ეს მოთხოვნა სწრაფად და ეფექტურად შეიძლება შესრულდეს განსახილველი ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის შესახებ მტკიცებულებების შეგროვების გარეშე და ბრალისგან დამოუკიდებლად. ამ გზით დაზარალებულს შეუძლია, პირველ წარმოდგენაზე რეაგირება მოახდინოს დაზუსტების (გამოსწორების) თუ დამატების გზებით (26, 340).

4.4. ზიანის ანაზღაურება

პატივის შელახვა წარმოშობს ზიანს. სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, თუ მას აქვს ღირებულებითი ფორმა, ქონებრივი ზიანია (8, 378-381). პიროვნების ხელყოფა შეიძლება იყოს ქონებრივი ხასიათის (16, 85-95), ან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ზიანს მხოლოდ არაქონებრივი ხასიათი ჰქონდეს და შემდეგ შეიძინოს მან ქონებრივი სახე. ამდენად, ზიანის ბუნება დამოკიდებულია იმაზე, მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ფულადი ეკვივალენტი (4; 45, 54-55).

საგულისხმოა, რომ ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ პიროვნული სიკეთეების შელახვისას, რომლებიც სსკ-ის მე-18 მუხლშია ჩამოთვლილი (6, 70-71). სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის მიყენების გამო პირისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ზიანის, ქმედების მართლწინააღმდეგობის, ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის, ბრალის კუმულატიურად არსებობა. ამ პირობათა ერთობლიობა ქმნის იურიდიულ შემადგენლობას („გენერალური დელიქტი“) (16, 184). ამდენად, პატივის ხელყოფამ შეიძლება წარმოშვას ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (სსკ-ის მე-18 მუხ).

პიროვნული უფლებების ხელყოფისათვის ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურება მხოლოდ მაშინ ხდება, თუ საქმე ეხება ბრალეულ და მძიმე დარღვევას, რომლის „კომპენსირება“ სხვა მხრივ ვერ მოხდა უარყოფის ან მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების გზით. ამასთან, პიროვნული უფლების შელახვა მძიმეა თუ არა, დამოკიდებულია ყოველი შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე, განსაკუთრებით მიყენებული ზიანის სიმძიმესა და სახეზე, ხელმყოფის ბრალის ხარისხზე, ასევე მოქმედების მოტივსა და საფუძველზე (26, 340). ამასთან, უნდა განისაზღვროს არსებობს თუ არა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები (თანხმობა, საჯარო ინტერესი, საზოგადოებრივი დაინტერესება) (24, 124-126).

ამასთან, ზოგადი წესის მიხედვით, ცივილისტიკაში გამოიყენება ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ ის ბრალის არარსებობის მომენტს არ დაამტკიცებს. ამიტომაა, რომ მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის უნდა გადანაწილდეს (8, 378-387). ამასთან, მხოლოდ ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში აქვს პირს უფლება, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი).

თუმცა, ცივილისტიკაში იცნობენ გამონაკლის წესსაც, როდესაც არამატერიალური ზიანისათვის შეიძლება პასუხისმგებლობა დადგეს ბრალის გარეშეც. ერთ-ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც არაქონებრივი ზიანისათვის შეიძლება დადგეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე, არის პატივის, ღირსების თუ სახელის ხელმყოფი ცნობების გავრცელება (2, 72-73).

არაქონებრივი ზიანი უნდა ანაზღაურდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მიუხედავად იმისა, არამატერიალურ ზიანთან ერთად დადგა ქონებრივი ზიანი თუ არა და ეს უკანასკნელი ანაზღაურდება თუ არა. გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების განსაზღვრა შეფასებითია და მთლიანად სასამართლოს შეხედულებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ასევე სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს სხვა უფრო ობიექტური გარემოებები, თუმცა სასამართლოსათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოცულობის დადგენისას ვერ გასცდება მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებსაც (10, 14-15). ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტია ასევე ზიანის სიმძიმე, ბრალის ხარისხი. მსუბუქი სულიერი განცდები და ფიზიკური ტკივილები მხედველობაში არ მიიღება. ასევე გასათვალისწინებელია მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, რათა პირი არ აღმოჩნდეს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში (17, 96-98). ამასთან, ზიანის ანაზღაურება ხშირად და არაქონებრივი ზიანის რეპარაცია ყოველთვის კომპენსაციური ხასიათის იქნება (4, 45-55). საქმე ისაა, რომ ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო იარაღი. ფულადი ანაზღაურება არამატერიალური ზიანის ეკვივალენტური ვერ იქნება, ვინაიდან მორალისა და ფულის გათანაბრება დაუშვებელია (7, 81).

ამიტომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სიმბოლური დატვირთვა აქვს. ამასთან, იურისპრუდენციის კვლევის სფერო უნდა იყოს ზიანის ობიექტურ ფორმებში ასახვა. ეს, თითქოს შეიძლება იყოს კომპენსაცია, თუმცა საყურადღებოა, რომ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა გამონაკლის შემთხვევებში ხელყოფის შემდეგაც არსებობს ანუ დაცვით ურთიერთობასაც გულისხმობს. ცხადია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ იქნება მისი შესატყვისი. შესაბამისად, ვერც საკომპენსაციო ფუნქცია განხორციელდება სრულად. ამდენად, არამატერიალური სიკეთეების დასაცავად უპირველეს ფუნქციად უნდა იქცეს პრევენცია, რომლის შემდგომაც სიმბოლურ დატვირთვას უნდა ატარებდეს საკომპენსაციო ფუნქციის მიღწევა (2; 224-225).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2005.
2. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012.
3. მხეიძე ს., ყუბუსიძე ვ., ღირსების ცნება ეთიკაში (რეცენზია), გაზეთი „თბილისი“, №256 (6858), 31 ოქტომბერი, 1975.
4. ნინიძე თ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, 1978.
5. ნინიძე თ., ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, ჟურნ. „საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №4, 1977.
6. ნინიძე თ., პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., 2002.
7. რცხილაძე გრ., მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟ. „საბჭოთა სამართალი“, №4, 1928.
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია ლ.), წ. IV, ტ. II, თბ., 2001.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება (შემდგომში – სუსგ) (№ას-208-201-2012).
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 25 ივლისი, 2007.
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-2 კოლეგია) 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/241)
12. სუსგ 10.10.2013 (№ას-1378-1300-2012).
13. სუსგ 14.07.2011 (საქმე №ას-207-194-2011).
14. სუსგ 01.08.2011 (საქმე №ას-152-146-2011).
15. სუსგ 20.02.2012 (საქმე №ას-1278-1298-2011).
16. შენგელია რ., დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“ (რედ. შენგელია რ.), თბ., 2003.

17. ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., „მერიდიანი“, 2003
18. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., „სამართალი“, 2011.
19. Базылев В.Н., Бельчиков Ю.А., Леонтьев А.А., Сорокин Ю.С., Понятия чести и достоинства, оскорбления и ненормативности в текстах права и массовой информации, В кн: Понятия чести, достоинства и деловой репутации, Спорные тексты СМИ и проблемы их анализа и оценки юристами и лингвистами, Изд. 2-е, переработанное и дополнение (Отв. ред. Симонов А. К., Горбанский М.В.), М., 2004.
20. Rühl, Ulli F. H., Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, “Kritische Justiz”, Heft 2, 2002.
21. Perger T., Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, 2003.
22. Stepanians M., Gleiche Würde, gleiche Rechte, in: Stoecker (Hg.): Menschenwürde _ Annäherungen an einen Begriff, öbv & hpt, Wien, 2003.
23. Ehmann H., Der Begriff des Allgemeinen Persönlichkeitsrechts als Grundrecht und als absolute-subjektives Recht, in: Festschrift für Apostolos Georgiades, Athen; München, 2005.
24. Münch H., Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commision, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilrechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001.
25. Niggli M. A., Riklin F., Skript Strafrecht, Besonderer Teil (BT.), 10. Auflage, 2007.
26. Siebrecht I., Der Schutz der Ehre im Zivilrecht, in: JuS, 2001, Heft 4, 338.

მიხეილ ბიჭია

პატივის, როგორც პირადი ცხოვრების გამოვლენის ფორმის, დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები

რეზიუმე

კვლევამ ცხადყო, რომ პატივის სოციოლოგიურ-იურიდიული შინაარსის განსაზღვრა მნიშვნელოვანია პატივის ონტოლოგიური ბუნების გასარკვევად. ამასთან, პატივი განსხვავდება ღირსებისაგან, მით უმეტეს, სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით. თუმცა პატივსა და ღირსებას, ნორმატიული თვალსაზრისით, ახასიათებს მსგავსი მოთხოვნის უფლებები, რომლებიც აქვს ყველა ფიზიკურ პირს, როგორც ადამიანს. ეთიკურ-იურიდიულად პატივი და ღირსება ნორმატივებისა და ჯერარსის სფეროს განეკუთვნება, ვინაიდან მხოლოდ პატივისცემის მოთხოვნის უფლება იძლევა საშუალებას, რომ თანასწორებად იყვნენ განხილული ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად არათანაბარი არიან და, სოციალური გაგებით, არათანაბარი პატივი აქვთ. ამდენად, პიროვნების მიერ შექმნილი გარკვეული ფასეულობის საზოგადოებრივი აღიარება უკავშირდება პატივს, რომელშიც შეიძლება აისახოს პირადი ცხოვრება. პატივის სოციოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, რომელიც ფაქტობრივად მისი კონსტიტუციურსამართლებრივ ცნებაშია წარმოდგენილი, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა ისევე, როგორც პატივის კერძოსამართლებრივი დაცვის მექანიზმები ფართოა. პატივის დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფორმები, რომლებშიც არ შედის დასჯა, მაგრამ იგულისხმება მოქმების შეწყვეტა, უარყოფა, ზიანის ანაზღაურება და სხვა, არ შემოიფარგლება პიროვნების მხოლოდ ერთი ასპექ-ტის უზრუნველყოფით. სამოქალაქო სამართლით დაცვაში მოიაზრება პიროვნების სრულად დაცვა, მით უმეტეს, ზოგადი პიროვნული უფლების დახმარებით. ამდენად, განსაკუთრებულია პატივის კერძოსამართლებრივი დაცვის სპეციფიკა.

Mikhael Bichia

The Aspekts of Civil Law Protection of a Honor, as a Form of Revelation of Privacy

Summary

The study showed that sociological and legal content of honor plays an important role in determining the ontological nature of honor. In addition, the honor and dignity are different categories, particularly in the civil law sense. Nevertheless, the honor and dignity of the legal point of view, characterized by similar rights of requirements, which were avaliable for all person as a human. Ethical and legal point of view of dignity and honor belongs to the field of norms and Idel, as only the right to demand respect makes it possible, people still think that actually the actual unequal and perspective Sociology are unevenly honor. Thus, public recognition of the value created by the individual, associated with a certain respect, which can be reflected his personal life. In contrast to the sociological understanding of honor, which is presented in its actual constitutional legal concept, the volume of civil concept of honor as well as private-protection mechanisms honor wider.

The forms of Civil law Protection of honor, which is not part of the punishment, but it is meant to stop acting, denial, compensation of damage not limited to just one aspect of an individual's collateral. Civil law is supposed to protect the individual's full protection, especially with the help of general human rights. Thus, the specificity of civil law protection of honor has a special nature.

Михаил Бичия

Аспекты гражданско-правовой защиты чести, как формы выявления личной жизни

Резюме

Исследование показало, что социологическо-юридическое содержание чести играет важную роль в определении онтологической природы чести. Кроме того, честь и достоинство разные категории, особенно в гражданско-правовом смысле. Тем не менее, честь и достоинство с юридической точки зрения, характеризуются также, как аналогичные права требования, имеюшиися у всех людей, как личностей. С этически-правовой точки зрения честь и достойнство принадлежат к области нормативов и идеалов, так как только право требовать уважения даёт возможность считать равными людей, которые на самом деле фактически неравны и с точки зрения социалогии, имеют неравномерное уважение.

Таким образом, общественное признание ценностеи, созданных индивидом, связано с определенным уважением, в котором может быть отражено его личная жизнь. В отличие от социологического понимания чести, которая фактически представлена в конституционно-правовой концепции, объём гражданско-правового понятия чести также, как механизмы частноправовой охраны чести шире. Защита чести с помощью гражданско-правових форм, которые не включают наказания, но связаны с прекращением действия, отрицанием, возмещением вреда и других мер, не ограничивается только одним аспектом обеспечения личности.

Тем самым, Гражданское право ориентировано на полную защиту индивида, особенно с помощью общих прав личности. Таким образом, специфика гражданско-правовой защиты чести имеет особую природу.

მანანა კოპალიანი
სამართლის დოქტორი

ფიცი, როგორც მტკიცებულება ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით

საქართველოში ვახტანგ მეექვსის სახელს უკავშირდება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოხელეთა უფლებებისა და ფუნქციების განსაზღვრა, რაც მის მიერ შედგენილ "დასტურლამალში" აისახა. ვახტანგ მეექვსის თაოსნობით შექმნილი კანონთა კრებული იყო ე.წ. "ბატონყმური რიგის" მოწესრიგების მნიშვნელოვანი ღონისძიება. ის მიზნად ისახავდა ფეოდალთა ძალადობის შეზღუდვას და მწარმოებელთა მინიმალური უფლებების დაცვას, მათი შრომისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. ქართული სინამდვილისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო კრებულის ძირითადი ნაწილი "სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა". ნაყოფიერი საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის რომის იმპერატორ იუსტინიანეს ვახტანგ მეექვსეს მსგავსად, "სჯულმდებელი" უწოდეს. მის მიერ შექმნილი სამართლის წიგნი არეგულირებდა სამოქალაქო, სისხლის, საოჯახოსა და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს. მასში განსაზღვრული იყო ასევე სახელმწიფოსა და საეკლესიო უფლება-მოვალეობანი. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მიწათმფლობელობის საკითხების მოწესრიგებას. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში მრავალი მუხლი ეძღვნება დამამტკიცებელ საბუთებსა და საპროცესო საკითხებს. ცნობილია, რომ მართლმსაჯულების განხორციელება უკავშირდება კონკრეტულ მტკიცებულებებს, საქმის ობიექტური განსჯა-გადაწყვეტისათვის. მტკიცების საგანი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტებია, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების დასაბუთების დროს, ხოლო მტკიცების საშუალებები მტკიცებულებებია, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმე. სწორედ, მტკიცებულებების

განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეა საუბარი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში და ამდენად ეს საკითხი საგულისხმოა ჩვენთვის. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მე-6 მუხლი გვამცნობს, რომ: "საქართველოს რიგი და სამართალი ექვსი არის, რომე ამითი თავი იმართლების: პირველი ფიცი, მეორე შანთი, მესამე მდუღარე, მეოთხე ხრმალი, მეხუთე მოწამე, მეექვსე კი ცოდვის მოკიდება. ამათ თითოს და თითოს თავისი საზღუარი აქვს, თუ რომელ როგორს საქმეზედ უნდა დაუდვას და ქნით როგორ უნდა ქნას თვითოეულადცა გამცნებთ"(2,3). აღნიშნული მუხლი ასახელებს საერთოდ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც მიღებულია ვახტანგის მიერ დადგენილ პროცესში. კანონმდებელი ცალ-ცალკე ახასიათებს თითოეულ დამამტკიცებელ საბუთს, მისი გამოყენების მოტივსა და პირობებს. თუმცა, აღნიშნულ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ფიცს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას, რომელიც ეფექტურად და არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების დროს.

ფიცი

ფიცი, ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება იყო ძველ ქართულ სამართალში. უეჭველია, რომ ის უძველესი, წინასამართლებრივი და წინარესახელმწიფოებრივი ეპოქიდან მომდინარე მტკიცებულებაა. სიტყვა "ფიცი" ქართული ფუძე ენის წიაღშია წარმოშობილი. იგი იხსენიება ქართული ენის ხანმეტ ტექსტებშიც (ქართული ''ფუც'' ძირი კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ _ ლაზურ "ფუჩ"-ს) (3,485). მტკიცებულებების ეს სახე ერთ-ერთი პირველთაგანია ხსენებული სამართლის წიგნის მიხედვით. "საქართველოს რიგი და სამართალი.... " ყურადღებას იქცევს გამოთქმა "საქართველოს რიგი და სამართალი"(2,3). "რიგის ქვეშ უძველეს წარმართულ ხანაში იგულისმებოდა მო-რიგ-ე ღმერთის მიერ დადგენილი ქცევის წესი, ჯერ რელიგიური და შემდეგ რელიგიურ-სამართლებრივი (სამართალი დღევანდელი გაგებით შედარებით გვიან შემოსული ჩანს).

ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება, რელიგიური მტკიცებულების მატარებელია, რელიგიური მოვლენაა. ის ეყრდნობოდა რწმენას, რომ ის პირი, რომელიც ღმერთის სახელს ტყუილად დაიფიცებდა, უზენაესი დაუსჯელს არ დატოვებდა. მაშინდელი წარმოდგენით ცრუმოფიცარი დაისჯებოდა სააქაოშიც და საიქიოშიც. ფიცის ტექსტი შეიცავდა თვითწყევლის ფორმულასაც. მაგალითად, ასეთს თუ ტყუილად ვფიცავდე ღმერთს, მაშინ ღმერთმა საშინელი სასჯელით დამსაჯოს მე (და ჩემი ახლობლები). სავარაუდოა, რომ უძველეს წარმართულ ხანაში საქართველოში ფიცი უნივერსალურ მტკიცებულებას წარმოადგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფიცის მეშვეობით თავის მართლება ნებისმიერი, თუნდაც უმძიმესი ბრალდებისაგან შეიძლებოდა.

თუ რა ადგილი ეკავა ფიცს ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების შემდეგ ადრეფეოდალურ საქართველოში, ამის შესახებ საკანონმდებლო და დოკუმენტური მასალის ჩვენამდე მოუღწევლობის გამო, ძნელია რაიმეს გადაწყვეტით მტკიცება. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ფიცის მნიშვნელობა მტკიცებულებათა სისტემის შიგნით დამოკიდებულია საერთოდ საზოგადოების და კერძოდ, სახელმწიფოებრიობისა და სამართლის განვითარების დონისაგან უნდა ვიფიქროთ, რომ ადრეფეოდალური და შუაფეოდალური ხანის საქართველოში მას უნივერსალური მტკიცებულების მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ძველ საქართველოში ფიცი მტკიცებულებად გამოიყენებოდა სამამულო დავების გარჩევის დროს, აგრეთვე "მცირე ქურდობისა და სხვათათვისცა დააფიციან მოწმითა, რაოდენი შეხუდის." სასამართლო პრაქტიკის მასალების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ფიცი, როგორც მტკიცებულება, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ფაქტობრივად უფრო ხშირ შემთხვევებში გამოიყენებოდა, ვიდრე ეს ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნით იყო გათვალისწინებული. მართალია, თვით კანონმდებელიც რჩევას იძლეოდა, ხშირად არ მიემართათ ფიცისათვის, თუმცაღა ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში იძულებულნი იყვნენ, რომ სწორედ ფიცის მეშვეობით, ფიცის გამოყენებით გადაეწყვიტათ საქმეთა უმრავლესობა.

კანონი ითვალიწინებდა ფიცს, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებში. ვახტანგის სამართლის მე-10 მუხლიდან ჩანს, რომ ისეთ შედარებით მცირე მნიშვნელოვან საქმეზე, როგორიც "ერთი ხარის შეწამეებაა", მოსარჩელის თუ მომჩივნის პირადი ფიცი რაიმეს დასადასტურებლად საკმარისად არ ითვლებოდა ("შეწამება" ძველ

ქართულში დაწამებასა და დაბრალებას ნიშნავდა). აღნიშნული ამტკიცებს იმას, რომ მართალია ფიცი შეზღუდული ფორმით მაინც არსებობდა მე-18 საუკუნის საქართველოში, მაგრამ შემოდიოდა სხვა ხერხებიც, რომლებიც ფიცის გამყარებას ემსახურებოდა (მაგალითად, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მოწმის ინსტიტუტის არსებობა). ვახტანგის სამართლის წიგნი ლაპარაკობს როგორც "შემწამებელზე", ისე მამულის მფლობელზე. მე-12 მუხლში საუბარია უძრავი ქონების, მამულის გამო აღძრული დავის შესახებ და ადგენს, რომ ამგვარ პროცესში შეიძლება გარეშე მოფიცარის გამოყენებაო. გარეშე მოფიცრად უნდა ვიგულისხმოთ ის პირი , რომელიც არ ეკუთვნის ფეოდალის სადავო მამულს, უცხოა მისთვის, ხოლო თუ საქმე ეხება დიდ მამულს უნდა დაიფიცონ თვითონ "საპატიოს კაცის შვილი", "თუ უდაბლე რამ არის აზნაურშვილი უფიცონ, კიდევ მის უდაბლეზედ მსახური, მათ ქვეითზედ გლეხი იქნების, ერთ პირ სოფელიც აფიცონ და იქნების ის საპატიოს კაცის შვილი თავის მსახურ აზნაურიშვილით და ყმითაც აფიცონ" (1, 85-86). მოსამართლემ კარგად უნდა გასინჯოს, როგორია სადავო მამული, რამდენი დღიურია, რამდენი საკომლო არის, "იქმნების ოთხი დღისაზე ერთი აფიცონ კარგ-ავობაზე ჰკიდია. ვენახი არის თუ ფუძე, ან საწისქვილო, ან საბაღე გამონახვა უნდა, ჯერ ფასი დაადვან და მერმე მოფიცარნი ისე შეაგდონ" (2, მუხლი 12). მოფიცართა რიცხვი განისაზღვრებოდა ობიექტური მომენტის მიხედვით, მაგრამ რასაკვირველია, მოფიცართა არჩევისას სუბიექტურ, პირად თვისებას და სოციალურ მდგომარეობას გაეწეოდა ანგარიში.

ქართული სამართლის მიხედვით, თუ ვინმე ფიცით დაადასტურებდა, რომ მის მიერ საჯაროდ გამოთქმული სხვა პირისათვის არასასურველი ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერებაო, ის პასუხს არ აგებდა. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს ფიცის ძალა და მნიშვნელობა საზოგადოებაში. მეტი დამაჯერებლობა რომ ჰქონოდა ეჭვმიტანილის ფიცს შემოღებულ იქნა თანამოფიცართა ინსტიტუტიც. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 37-ე მუხლში მოხსენიებული დასახელებული და დაუსახლებელი მოფიცარი შეესაბამება ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მეათე მუხლის "შეგდებულ" და "შეუგდებელ" მოფიცარს (თანამოფიცარს). ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში მარტო თავად მოფიცარს კი არა, თანამოფიცართა ცნებასაც ვხვდებით, თანამოფიცარი ძირითადი დამფიცებლის ნათესავი და ახლობელი იყო (3,149). აღსანიშნავია, რომ ხდებოდა გარკვეული დროის მიცემა თანამოფიცართა მოსაძებნად. თუ ამ დროში არ მოხდებოდა დაფიცება დამფიცებელი გამტყუნდებოდა. ვადა შეიძლება ყოფილიყო ერთი კვირა, ორი კვირა, ორმოცი დღე. თუ ეჭვმიტანილი უარს იტყოდა ფიცზე, ეს ნიშნავდა იმას, რომ იგი აღიარებდა დანაშაულს. შეიძლება ითქვას, რომ დაფიცება დამნაშავის "გამოტეხვის" ერთ-ერთი საშუალება იყო (3,151).

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში ვკითხულობთ: "ფიცი ასრე არის: ერთის ხარის შეწამებაზე, უმთხრობლოდ რომ შესწამოს, ერთი შეუგდებელი მოწამე არის, და თუ მთხრობლით სწამობს, შეგდებული მოფიცარი უნდა... (2, მუხლი 10) უფრო ძნელი იყო "შეგდებული" (შესახლებული) მოფიცარის შოვნა. არ არის გამორიცხული, რომ გაქურდულ-დაზარალებულ მხარეს მთხრობელი ან მთხრობლის მახლობელი პირი შეესახლებინა მოფიცრად (თანამოფიცრად) ეჭვმიტანილისათვის. მთხრობელი ან მთხრობლის დამჯერე პირი არავითარ შემთხვევაში არ დაუდგებოდა თანამოფიცართ შეწამებულს.

უნდა ითქვას, რომ მოფიცართა ინსტიტუტი ქალაქ თბილისში არ მოქმედებდა, რა გინდ დიდი საქმე ყოფილიყო და ეს ეხებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის სფეროს. ფიცს იძლეოდნენ პირადად თვითონ მხარეები, მოფიცართა მონაწილეობის გარეშე. მოფიცართა ძველისძველი ინსტიტუტის გავლენას და მოქმედებას მხოლოდ თბილისის გარეთ, ე.ი. საქართველოს პროვინციებში ჰქონდა ადგილი და ეს მეტად დამახასიათებელია იმდროინდელი სოციალური ცხოვრებისათვის. მოფიცართა ინსტიტუტი, როგორც ეს საკმაოდ მტკიცდება ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევებით, უცილობლად გვაროვნული წყობილების ნაშთია და ეს ნაშთი შორეული საზოგადოებრივი ურთიერთობისა გადავარდნილი ("აღმოკვეთილი") იყო ქალაქის ცხოვრებაში, მაგრამ ქალაქის გარეთ ჯერჯერობით სიცოცხლის უნარს არ კარგავდა და განაგრძობდა თავის მოქმედებას. 144-ე მუხლი ამ საკითხს აწესრიგებს: "ქალაქში მოფიცარი აღმოკვეთილ არს, რა გინდ დიდ საქმეს სისხლსა თუ ბევრს ვალსა და საქონელს, ან მოქალაქე გარეშე კაცსა სწამობდეს და ან გარეშე კაცი მოქალაქეს სწამობდეს ეს თავთავად ჰსძესთ ფიცი, მოფიცარს ერთმანერთს ვერ

შეუგდებენ.” ეს დებულება ეხებოდა, როგორც მოქალაქეთა ურთიერთობას, ისე მოქალაქისა და გარეშე პირის დამოკიდებულებას. ტრადიციული, ადათობრივი სამართლის ნორმათა გამომსახველი ინსტიტუტი ქალაქის განვითარებული, ეკონომიკური და საერთოდ სოციალურ-კულტურული ცხოვრების პირობებსა და მოთხოვნებს უკვე ვერ უპასუხებდა, მათ არ შეესაბამებოდა და, როგორც კარგად ლაპარაკობს კანონი, აღმოკვეთილი იყო.

ვახტანგის სამართლის წიგნის 143-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებითი ხასიათის ურთიერთობას, სესხის ნიადაგზე წარმოშობილს და მოითხოვს, რომ მოსმართლემ მოისმინოს მოადი (მოპასუხე), გასინჯოს თამასუქი, ბეჭედი, ქორონიკონი, დამწერი და უკეთუ ასეთი გზით იგი ვერ გამოარკვევს ვალის გადახდის ფაქტს, მან უნდა გამოიყენეოს მოწმე ან ფიცი: საინტერესოა თუ როგორ განსაზღვრავს კანონი მოფიცართა რიცხვს: “თეთრი თუ ასი თუმანი არის ხუთ თუმანზედ ორი კაცი შეუგდოს, ორისაგან ერთი იშოვნოს და ისრე შეაფიცოს, ეს ას თუმანზედ ოცი მოფიცარი რომ გვითქვამს იქნების ასზე თხუთმეტი მოფიცარიც კმაროდეს, იქნების თორმეტი, ათსაცა დაეჯერების, ესეც უნდა გასინჯოთ თუ მოფიცარი უფრო დიდ გვარია უფრო ხამს და თუ გვარ დაბალია უფრო ბევრი ხამს (2, მუხლი 143). ამ სიტყვებში მკაფიოდ არის გამოთქმული ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წოდებრივი მომენტი, რომელიც ცხადია, სასამართლო წარმოებაში მიღებულ დამამტკიცებელ საბუთთა გამოყენების დროსაც იჩენს თავს და ახდენს თავის გავლენას. მოფიცართა ოდენობა დამოკიდებულია მათ სოციალურ მდგომარეობაზე: რაც უფრო მაღლა დგას წოდებრივი ადამიანი, მით უფრო ფასობს მისი სიტყვა, მის მიერ ფიცით მიცემული დამოწმება, დაბალი წოდების პირს კი ბუნებრივად ნაკლები ნდობა აქვს მინიჭებული, და ამიტომ ხარისხობრივი ნაკლებობა რიცხობრივად უნდა ყოფილიყო შევსებული _ “ და თუ გვარ დაბალი უფრო ბევრი ხამს”.

147-ე მუხლიც ვალდებულებითი სამართლის ურთიერთობას ეხება და მხედველობაში აქვს ის შემთხვევა, ვინმე ისესხებს ფულს უთამასუქოდ. (“იქნების რომ კაცთან კაცს ეხთიბარი ჰქონდეს უთამასუქოთ”, “ეხთიბარი” სპარსულ-თურქულად ნიშნავს კრედიტს, ნდობას) და კრედიტორის სიკვდილის შემდეგ, სიძუნწით თუ სიღარიბით უარყოფს ვალს; კანონი ავალებს მოსამართლეს ჯერ გამოიკვლიოს საქმე მოწმეთა საშუალებით ხოლო შემდეგ, უკეთუ ამ გზით სიმართლე ვერ დაადგინა, დააკისროს ფიცი დებიტორს მოფიცართა სათანადო რიცხვით, სარჩელის თანხის შესაბამისად: “იმ მიმბარებელს კაცს ფიცი დაადგევით, რა ერთ საქონლის მიბარებას სწამობდენ იმდენის მოწმით დაიფიცონ”. აღსანიშნავია, ვახტანგის სამართლის წიგნში “მოვალე” კრედიტორსაც ნიშნავს და დებიტორსაც, ამიტომ კრედიტორისა და დებიტორის შესახებ მათი უფლება-მოვალეობის ანალიზით უნდა გაირკვეს რომელია კრედიტორი და რომელი დებიტორი (4, 322-323).

ფიცით სადავო საქმის გადაწყვეტას აწესებს 212-ე მუხლი, რომლის თანახმადაც მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს მოდავე მხარეებს მოწმეები, თუ კი მათ მოწმეთა მოყვანა არ შეუძლიათ, დავა უნდა გადაწყდეს ფიცის საშუალებით - “თუ არადა ფიცით გადრასწყვიტონ”-ო.

ვახტანგის სამართლის წიგნი ცრუ ფიცს უყურებს, როგორც მძიმე დანაშაულს და ადგენს მისთვის პასუხისმგებლობას, თუმცა ეს პასუხისმგებლობა გაურკვეველი ხასიათისაა: “ტყუილად დამფიცებელისა, რომ შეიტყოთ ტყვილად კაცს დაუფიცავს მოსამართლევ, რას უზავ იმას. ურია არის და მასთან არ იჭმება: “მისმა მერჯულემ დიდად გარდაახდევინოს, და რა-ზედაც ეფიცოს პატრონს თავისი მიეცეს, ამად რომე ღუთისა და პატრონის რისხვა ეყოფა”(2, მუხლი 238).

237-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ფრთხილად უნდა მოეპყრას ფიცის მიცემის საკითხს: თუ იგი ხედავს, რომ პიროვნება “ღვთის მოშიში არაა და სჯულისაც არა იცის რა”, იმას ფიცის არა უნდა დააკისროს, რა დიდიც უნდა იყოს საქმე, ბევრი მოფიცარი არ უნდა მოითხოვოს, იმიტომ რომ ერთი მხრივ, შეიძლება მხარე მართალია, მაგრამ “ბევრის კაცის შოვნა ვერ შეიძლოს”, ხოლო მეორე მხრივ, თუ მოფიცარნი დიდი ოდენობით შეგროვდნენ, ფიცს უკვე პატივისცემა დაეკარგება. იგივე მუხლი მოითხოვს, რომ მოფიცარს უნდა ჰქონდეს გარკვეული თვისებები: “მოფიცარი დროული (ხანში შესული), ღუთის მცნობელი, სჯულის მეცნიერი და ცოტა უნდა იყოსო.”

ვახტანგის სამართლის წიგნი არ ცნობს, არანაირ იურიდიულ ძალას არ ანიჭებს ქალის ფიცს. მოფიცრები მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცები შეიძლება ყოფილიყვნენ და საერთოდ,

”დაფიცების უფლება ჰქონდათ მხოლოდ მამაკაცებს. ქალს შეეძლო მხოლოდ საქმის გარჩევას დასწრებოდა” (6,71). ამ საკითხს ეხება აგრეთვე 216-ე და 239-ე მუხლები. 216-ე მუხლი ადგენს: “დედაკაცის საჩივარის მოსვლისას: თუ დედა-კაცს კაცისაგან საჩივარი აქვს სამართალშიაც მიესვლება და გაგონებაც უნდა. მაგრამ მისი ენით მოადს არც ფიცი დაედება, არცა წაერთმის; თუ კაცს დაიმოწმებს მცდარი არის; თუ დედაკაცი დედაკაცისგან ჩივოდეს მდივანში ხელი არა აქვს, მოთემემ უნდა გაურიგოს. „დედაკაცის დავა დედაკაცთან მდივანბეგის სასამართლოს არ ექვემდებარება, მისი გარჩევა მინდობილი აქვს “მოთემეს”. დედაკაცის ჩვენება მიიღება სასამართლოში, მაგრამ მისი მოთხოვნით მოპასუხეს ფიცი არ დაედება (მოადს ფიცი არ დაედება).

239-ე მუხლი გადაჭრით კრძალავს ქალის მიერ ფიცის მიცემას. “დედაკაცის ფიცისათვის, ამბობს იგი, დედა-კაცს არ ეფიცების, არც გარეშე კაცი შეეგდების,” ე.ი. მის მაგიერ უცხო პირის მიერ ფიცის მიცემა, რადგან დედაკაცი გარეშე პირს სიმართლეს არ ეტყვის და გულგრილად მოეკიდება მის ფიცს: “ამისთვის რომე გარეშე კაცს არ გაუტყდება, არცა რას მისის ფიცისას ინაღვლის”; ამ მოსაზრებით კანონმდებელი ურჩევს მოსამართლეს გამოძებნოს ქალის ახლობელი ადამიანი, ძმა, შვილი ან სიძე და მას დააკისროს ფიცის მიცემა.

სამართლის წიგნის თანახმად, ასევე ფიცი არ დაედება ყმაწვილს (ასაკი განსაზღვრული არაა, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ ნაგულისხმევია საერთო სამოქალაქო სამართლის ქმედუნარიანობა) და ჭკუა-მოკლე ადამიანს, ე.ი. სულით ავადმყოფს და გონებრივად სუსტ პიროვნებას, რომელსაც არა აქვს უნარი შეიგნოს ფიცის მნიშვნელობა ანუ შერაცხადობისა და ასაკოვნების პრინციპი ფიცის დადების დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. “ფიცი ასეთს კაცს არ დაედების, რომე ან ყმაწვილი იყოს, ან ჭკუა ნაკლები. თუ ფიცი არ იცის და არ სწამს” (2, მუხლი 147).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან წიგნი მეორე, თბ., 1948.
2. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, თბ., 1955.
3. კეკელია მ., ლორია ვ., ნადარეიშვილი გ. და სხვ, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.3, თბ., 1991.
4. მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2012.
5. ქართული სამართლის ძეგლები, თბ., ტ.1, 1985.
6. ჯალაბაძე დ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, თბ., 1987.

მანანა კოპალიანი

ფიცი, როგორც მტკიცებულება ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით

რეზიუმე

საქართველოში ვახტანგ მეექვსის სახელს უკავშირდება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოხელეთა უფლებებისა და ფუნქციების განსაზღვრა, უძველესი ქართული საკანონმდებლო წყაროებისა და უცხოური წყაროების თავმოყრა, რაც მის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში აისახა. ნაყოფიერი საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის ვახტანგ მეექვსეს რომის იმპერატორ იუსტინიანეს მსგავსად, “სჯულმდებელი” უწოდეს. სამართლის წიგნში მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად საუბარია სხვადასხვა მტკიცებულებათა ჩამონათვალზე, კერძოდ ფიცზე, ფიცის როლსა და დანიშნულებაზე ჩვენს ქვეყანაში, ფიცის სუბიექტზე, მოფიცრებზე, თანამოფიცრებზე, ვალდებულებით წარმოშობილ და ფიცზე დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

Manana Kopaliani

The Oath as the Confirmatio in Accordance to Law Book by Vakhtang VI

Summary

Determination of the rights and functions of Public Officials of state organization, gathering of the ancient Georgian legislation sources and foreign sources are connected to the name of Vakhtang IV in Georgia, which is depicted in the law book written by him. Vakhtang IV was called “Laws Creator” like Roman Emperor Justinian. In the law book, along with the many issues, the talk goes about list of different proves, and namely about the role and purpose of the oath in our country, subject of oath, about the people making the oath, legal relationships generated from the obligation and based on oath.

Манана Копалиани

Клятва, как доказательство по книге уложений Вахтанга VI

Резюме

В Грузии с именем Вахтанга VI связано определение прав и функций чиновников государственных организаций, скопление древнейших грузинских и иностранных законодательных источников, которые отразились в составленной им книге уложений. За плодотворную законодательную деятельность, Вахтанга VI, также, как Римского императора Юстиниана, прозвали «Законотворцом». Наряду со многими важными вопросами в книге уложений речь идёт о перечне разного рода доказательств, а в частности о клятве, её роли и назначении в нашей стране, о субъекте клятвы, клятвенниках (клятвенно заверявших), соклятвенниках (совместно заверявших клятвой), о правовых отношениях, возникших от обязательства и основанных на клятве.

გიორგი გორაძე

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რუსეთის ტერიტორიული მოწყობის თავისებურებანი

რუსეთის 1993 წლის კონსტიტუციის პირველივე მუხლი აცხადებს, რომ რუსეთი არის დემოკრატიული, ფედერაციული, სამართლებრივი სახელმწიფო რესპუბლიკური მმართველობის ფორმით, თუმცა რუსული დემოკრატია და ფედერალიზმი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ, რუსეთი სრული ცენტრალიზაციისა და ავტორიტარიზმისაკენ წავიდა.

შოტლანდიელი მეცნიერი კამერონ როსი (1) ჯერ კიდევ 2006 წელს წერდა, რომ 2000 წლის მაისში პრეზიდენტ პუტინის ინაუგურაციიდან დაიწყო შეტევა ფედერალიზმსა და დემოკრატიაზე. პუტინის მიერ თანმიმდევრულად განხორციელებული რეფორმების შედეგად ფაქტობრივად სრულიად გაუქმდა ფედერაციის სუბიექტების როლი ფედერაციის დონეზე გადაწყვეტილების მიღების საკითხში. პუტინმა საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შექმნა მისდამი დაქვემდებარებული და დამჯერი ფედერაციის საბჭო. იგი გადაიქცა „საკანონმდებლო კონვეიერად“, სადაც ყველა კანონპროექტი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც პირდაპირ არღვევენ რეგიონების ინტერესებს, სწრაფად განიხილება და მიიღება. ასე, მაგალითად, 2002 წელს ფედერაციის საბჭომ მოიწონა ცვლილებები მილიციის შესახებ კანონში, რომლითაც გუბერნატორებს ჩამოერთვათ რეგიონული სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა დანიშვნის უფლება (1). „რუსეთში არის „ელექტორალური ავტორიტარიზმი“, ხოლო ფედერალიზმი რჩება სიყალბედ“ (1).

2004 წელს რუსეთის ფედერაციამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, გუბერნატორის თანამდებობა აღარ იყო არჩევითი და მას ნიშნავდა ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო ორგანო რუსეთის პრეზიდენტის წარდგინებით.

გუბერნატორის კანდიდატურის ორჯერ ჩავარდნის შემთხვევაში პრეზიდენტს შეეძლო დაეთხოვა ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო ორგანო და ახლის არჩევამდე დაენიშნა დროებითი მმართველი. პრეზიდენტს ასევე ჰქონდა გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლება.(1) ამასთან დაკავშირებით ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ოტო ლუტერჰანდტი აღნიშნავდა, რომ ასეთი რამ წარმოუდგენელია აშშ-ში, გერმანიაში, ან სხვა სტაბილურ ფედერაციულ სახელმწიფოში, მაგრამ რაც წარმოუდგენელია ამ ქვეყნებში, რეალობაა რუსეთის ფედერაციაში. ამიტომ მეცნიერი მიიჩნევდა, რომ რუსეთი მნიშვნელოვნად დაშორდა ფედერალურ მოდელს და იგი ფედერალიზმის იმიტაციის გზას ადგა (2).

2012 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ფედერაციის სუბიექტთა აღმასრულებელი ორგანოების უმაღლესი თანამდებობები კვლავ არჩევითი გახდა, თუმცა ეს უფრო პირობითია. „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) და აღმასრულებელი ორგანოების ორგანიზების საერთო პრინციპების შესახებ“ რუსეთის ფედერალური კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, ფედერაციის სუბიექტის უმაღლესი თანამდებობის პირის არჩევნებში კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს ან უპარტიო კანდიდატებს, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მათ მხარი უნდა დაუჭიროს ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატთა ან/და თვითმმართველობების ხელმძღვანელთა 5-10 პროცენტმა (ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება ფედერაციის სუბიექტის კანონმდებლობით). ამასთანავე კანდიდატმა ეს მხარდაჭერა უნდა მიიღოს მოცემული სუბიექტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური რაიონებისა და ქალაქის ოლქის სამ მეოთხედში მაინც. აქედან გამომდინარე, პარტიისათვის, რომელიც წარმოდგენილი არ არის ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებში 5 პროცენტით მაინც, თან თვითმმართველობების სამ მეოთხედში, პრაქტიკულად შეუძლებელია წამოაყენოს კანდიდატურა ფედერაციის სუბიექტის მეთაურის არჩევნებში. ამდენად, მონაწილეობის მიღებას ასეთ არჩევნებში შეძლებენ მხოლოდ სახელისუფლებო და ხელისუფლებასთან დაახლოებული პოლიტიკური პარტიების კანდიდატები.

იგივე კანონი ასევე უშვებს ფედერაციის სუბიექტის უმაღლესი თანამდებობის პირის არჩევას ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს მიერ რუსეთის პრეზიდენტის წარდგინებით. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს კანდიდატურებს წარუდგენენ ის პარტიები, რომლებსაც გადალახული აქვთ საარჩევნო ბარიერი მოცემული სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს ან დუმის არჩევნებში. თითოეულ პარტიას აქვს პრეზიდენტისათვის 3 კანდიდატის წარდგენის უფლება. ყველა უფლებამოსილი პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატთაგან რუსეთის პრეზიდენტი არჩევს სამ კანდიდატს, რომლებსაც ასარჩევად წარუდგენს ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს. ამ წესით ხდება, მაგალითად, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ინგუშეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკების მეთაურთა არჩევა.

ფედერაციის სუბიექტის მეთაურის არჩევის ფორმალურობას ხაზს უსვამს მისი თანამდებობის ვადამდე შეწყვეტის მექანიზმები, რაც მრავალფეროვანია. კერძოდ, ფედერაციის სუბიექტის მეთაურის ვადამდე გადაყენება შეუძლია რუსეთის პრეზიდენტს, თუ ფედერაციის სუბიექტის მეთაური დაკარგავს პრეზიდენტის ნდობას, რაც გამოწვეული უნდა იყოს კორუფციით ან თანამდებობრივი შეუთავსებლობით, ან იგი სათანადოდ არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს ან რუსეთის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში. ამ პირობებიდან „დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შეუსრულებლობა“ იმდენად ყოვლისმომცველი ტერმინია, რომ მხოლოდ ეს პირობაც კი პრეზიდენტს საშუალებას აძლევს ფედერაციის სუბიექტის მეთაური პრაქტიკულად ნებისმიერ დროს გადააყენოს თანამდებობიდან. გარდა ამისა, ფედერაციის სუბიექტის მეთაურისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა აგრეთვე შესაძლებელია, თუ ამ უკანასკნელს უნდობლობას გამოუცხადებს ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო ორგანო, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილებას ისევ რუსეთის პრეზიდენტი იღებს. კიდევ ერთი გზა ფედერაციის სუბიექტის მეთაურის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა არის მისი თანამდებობიდან გამოწვევა, რაც

იმას გულისხმობს, რომ სუბიექტის მეთაურის მიერ სამართალდარღვევის ან საპატიო მიზეზების გარეშე თავისი უფლებამოსილების მრავალჯერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც სასამართლოს მიერ უნდა იყოს დადგენილი, ამომრჩეველთა გარკვეულ რაოდენობას უფლება აქვს დააყენოს საკითხი აღნიშნული პირის გადადგომის თაობაზეც, რის საფუძველზეც ტარდება რეფერენდუმი.

რუსეთის პრეზიდენტს ცალკეულ შემთხვევებში ასევე აქვს ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს გაფრთხილებისა და დათხოვნის უფლებაც.

ცნობილია, რომ თანამედროვე დემოკრატიის აუცილებელი ატრიბუტი არის განვითარებული პარტიული სისტემები, რაც რუსეთის შემთხვევაში მეტად მყიფეა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ბოლო ათი წლის მანძილზე რუსეთში მიღებული კანონმდებლობა მიზანმიმართულად ხელს უშლის ამ ქვეყანაში ისეთი ძლიერი პოლიტიკური პარტიის წარმოშობას, რომელიც კონკურენციას გაუწევდა „ედინაია როსიას“(3).

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ რუსეთის ფედერაციის სუბიექტის მეთაურის არჩევნებში პოლიტიკური პარტიებისათვის დაწესებული ბარიერების შესახებ, თუმცა პარტიების ფაქტობრივი დისკრიმინაცია ამით არ ამოიწურება. 2001 წელს პუტინის ინიციატივით მიღებულ იქნა ფედერალური კანონი „პოლიტიკური პარტიების შესახებ“, რამაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა იქონია რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ფედერაციული სახელმწიფოა, ამ კანონის მიხედვით, აკრძალულია რეგიონალური პარტიის არსებობა. ამასთანავე, პარტიის შექმნისათვის გათვალისწინებულია ორი მთავარი მოთხოვნა: პარტიას რუსეთის რეგიონების უმრავლესობაში უნდა ჰქონდეს არაუმეტეს ერთი რეგიონული განყოფილება და უნდა ჰყავდეს არანაკლებ ხუთასი წევრისა (2012 წლამდე ეს ციფრი რამდენჯერმე მაღალი იყო). იმავე კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, რომლებმაც დუმის არჩევნებში ან რომლის კანდიდატმაც საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების 3% მაინც. დაფინანსების ოდენობა ყოველწლიურად შეადგენს: დუმის არჩევნების მიხედვით 50 რუბლს ყოველ მიცემულ ხმაზე, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად - 20 რუბლს ყოველ მიცემულ ხმაზე. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს ტენდენცია დადებით მოვლენად ჩაითვლებოდა, რომ არა ფინანსური დახმარების ოდენობის მასშტაბური დისპროპორციები. მაგალითად, „ედინაია როსიას“ სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა 2009 წელს ხუთჯერ აღემატებოდა დანარჩენი სამი საპარლამენტო პარტიის დაფინანსების ჯამს. ამასთანავე, როგორც როსი აღნიშნავს, რუსეთის კანონმდებლობით, პარტიებმა, რომლებმაც დუმის არჩევნებში ვერ გადალახეს სამპროცენტიანი ბარიერი, უნდა აანაზღაურონ სახელმწიფოს მიერ მათ რეკლამაზე დახარჯული ფულადი სახსრები. ამის გამო, მაგალითად, 2007 წლის დუმის არჩევნების შემდეგ პარტიებს სახელმწიფოს მიმართ წარმოეშვათ დავალიანება საერთო ჯამში ერთი მილიარდი რუბლის ოდენობით. აღნიშნული დავალიანების შედეგად მრავალმა პარტიამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. შესაბამისად, იკლო პარტიათაშორისმა კონკურენციამ განსაკუთრებით რეგიონებში, ხოლო რუსეთის პარტიული სისტემა იქცა მონოპოლიზირებული, ერთი სახელისუფლებო პარტიის სისტემად (3).

ზოგიერთი რუსი მეცნიერი ცდილობს გაამართლოს რუსეთში მიმდინარე ცენტრალიზაციის პროცესი. მაგალითად, ტურუსინი რუსეთს უნიტარული ფედერაციული სახელმწიფოს კვალიფიკაციას აძლევს და ამ ფაქტს ამართლებს ზოგადად მსოფლიოს ფედერაციულ სახელმწიფოებში მიმდინარე უნიტარისტული ტენდენციებით, რაც ერთიანი ბაზრისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებით არის ნაკარნახევი. მიუხედავად ამისა, ავტორი აცნობიერებს რუსეთში არსებულ მდგომარეობას და ნაწილობრივ ეთანხმება იმ მეცნიერებს, რომლებიც რუსეთის სახელმწიფო მოწყობას „პუტინური ფედერალიზმის“ სახელით მოიხსენიებენ (4), რაშიც პუტინის ავტორიტარული რეჟიმი იგულისხმება.

რუსეთის უნიტარიზაციის მომხრეა ზუბოვი, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთი ტრადიციულად იყო უნიტარული სახელმწიფო და, სახელწოდების მიუხედავად, საბჭოთა პერიოდშიც კი არ წარმოადგენდა ფედერაციას. ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის მცდელობამ რუსეთი მიიყვანა „ფეოდალურ ფედერალიზმამდე. ამიტომ აუცილებელია

რუსეთმა განამტკიცოს ცენტრალიზებული მმართველობა და ამასთანავე განავითაროს თვითმმართველობა და ეროვნულ-კულტურული ავტონომია – ასე მიიჩნევს ავტორი (5).

მიუხედავად რუსი მეცნიერების მცდელობებისა დაასაბუთონ და გაამართლონ რუსეთის ცენტრალისტური და ავტოკრატიული პოლიტიკა, რუსეთის ფედერაციის სუბიექტის მეთაურის ინსტიტუტი, მისი არჩევისა და გადაყენების წესი, ზოგადად, ფედერაციის სუბიექტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების არაავტონომიურობა და ფაქტობრივი ვერტიკალური დაქვემდებარება რუსეთის პრეზიდენტისადმი, პარტიული სისტემის მონოპოლისტური და დისკრიმინაციული ხასიათი საფუძველშივე ეწინააღმდეგება ფედერალიზმის, დემოკრატიისა და სახალხო სუვერენიტეტის პრინციპებს და რუსეთს კვაზიფედერაციულ, ცენტრალიზებულ და ავტორიტარულ სახელმწიფოდ აყალიბებს.

სწორედ ამის გამო მეცნიერთა ერთი ნაწილი უარყოფს რუსეთში ფედერალიზმის არსებობას. მაგალითად, გერმანელი მეცნიერი ანდრეას ჰაინემან-გრუდერი ამბობს, რომ რუსეთი ფაქტიურად აღარ არის ფედერაციული სახელმწიფო. რუსეთში ავტორიტარული რეგრესია და დეფედერალიზაცია ავსებენ ერთმანეთს. პრეზიდენტის ხელში შეუზღუდავი ძალაუფლების კონცენტრირება და როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად ხელისუფლების დანაწილების დეფიციტი საფუძველშივე ეწინააღმდეგება ფედერალისმს (6).

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთის ხელისუფლება თავისი ქვეყნის შიგნით მიზანმიმართულად ახშობს ფედერალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას და ტრანსფორმირდება ფსევდოფედერაციულ ავტორიტარულ სახელმწიფოდ, რაც ადრე თუ გვიან რუსეთის სახელმწიფოს ეროზიას გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Камерон Росс. Федерализм и демократия в России. Политико-правовые ресурсы федерализма в России. Под редакцией Рафаэля Хакимова. Казань. 2006. Ст. 130-158.
2. Отто Люхтерхандт. Россия на пути к имитации федерализма. Политико-правовые ресурсы федерализма в России. Под редакцией Рафаэля Хакимова. Казань. 2006, ст. 175-181.
3. Камерон Росс, Партии в российских регионах: вымирающий вид?, «Новое литературное обозрение», №81(1/2012), http://www.nlobooks.ru/node/1788.
4. С.В. Турусин, Унитарный федерализм: сущность и исторические формы, Вестник СамГУ. 2013. № 7 (108), ст. 74-79.
5. Зубов А.Б. Унитаризм или федерализм (К вопросу о будущей организации государственного пространства России). Журнал «ПОЛИС» (Политические исследования). 2000, №5, ст. 32-54.
6. A. Heinemann-Gruder. Federal discourses, minority rights, and conflict trans_formation // Federalism and Local Politics in Russia / Ross C., Campbell A. (Eds). London, New York: Rutledge. 2009 P. 54–81.

გიორგი გორაძე

რუსეთის ტერიტორიული მოწყობის თავისებურებანი

რეზიუმე

სტატია მიზნად ისახავს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მოწყობის თავისებურებების გაანალიზებას.

კონსტიტუციის მიხედვით, რუსეთი არის ფედერაციული სახელმწიფო, რაც მეტად პირობითია. რუსეთის კანონმდებლობა არღვევს ფედერალიზმის პრინციპებს, რაც გამოხატულია ფედერაციის სუბიექტების უმაღლესი ორგანოების არჩევისა და გადაყენების (დათხოვნის) მექანიზმებში და, აქედან გამომდინარე, ამ ორგანოთა რეალურ უფლებამოსილებაში. ასევე, რუსეთის კანონმდებლობა მონოპოლისტური და დისკრიმინაციულია პოლიტიკური პარტიების მიმართ, რაც კლავს პარტიათა კონკურენციას რეგიონალურ დონეზე.

სტატიაში გაზიარებულია იმ უცხოელი მეცნიერების მოსაზრება, რომლებიც საუბრობენ რუსეთში ფედერალიზმის ნიშნების ატროფიაზე, ცენტრალიზაციასა და ავტორიტარიზმზე.

Giorgi Goradze

The Peculiarities of Regulation Russia Territory

Summary

The purpose of this article is the analysing of features of the territorial arrangement of Russia.Under the constitution, Russia a federal state which is very conditional. The Russian legislation breaks the principles of federalism that is expressed in mechanisms of a choice and resignation (dissolution) of the supreme bodies of subjects of federation and, therefore, in real powers of these bodies. Besides, the legislation of Russia monopolistic and discrimination in the relation to political parties that kills the competition of parties at regional level.

In the article the opinion of foreign scientists who speaks about an atrophy of signs of federalism, centralization and authoritarianism in Russia is shared.

Гиорги Горадзе

Особенности территориального устройства России

Резюме

Целью данной статьи является анализ особенностей территориального устройства России.

По конституции, Россия федеративное государство, которое весьма условно. Россииское законодотельство нарушает принципы федерализма, что выражается в механизмах выбора и отставки (роспуска) высших органов субъектов федерации и, следовательно, в реальных полномочиях этих органов. Кроме того, законодательство России монополистическое и дискриминационное в отношении к политическим партиям, что убивает конкуренцию партий на региональном уровне.

В статье разделяется мнение иностранных ученых, которые говорят об атрофии признаков федерализма, централизации и авторитаризма в России.

გიორგი ასათიანი
კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტი

სიკვდილით დასჯის საკითხები საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში

სიკვდილით დასჯა სასჯელის უმაღლესი და უძველესი ფორმაა, რომელიც სხვადასხვა დროს თითქმის ყველა ქვეყანაში გამოიყენებოდა. ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ქართულ სამართალში სიკვდილით დასჯა, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის ერთ-ერთ ზომად ჯერ კიდევ ფეოდალურ ხანაში გამოიყენებოდა. ფეოდალიზმისდროინდელმა ქართულმა სამართლის ძეგლებმა შემოინახა იმ დანაშაულთა ნუსხა და დასჯის მეთოდები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში დამნაშავის მიმართ იყენებდნენ ასეთი სახის სანქციებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მე-12-ე საუკუნეში, საქართველოს აღმავლობის ხანაში, თამარის მეფობის პერიოდში, მაშინ როდესაც სახელმწიფოებრიობამ მიაღწია თავისი განვითარების ზენიტს, იმდროინდელმა საზოგადოებამ უარი თქვა სასჯელის უმაღლეს ზომაზე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმდა. თუმცა, მოგვიანებით, მეფის ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებისა და დამპყრობელთა საუკუნოვანი მმართველობის პერიოდში სახელმწიფოს წინაშე კვლავ დადგა ასეთი სახის სასჯელის შემოღების საჭიროება.

სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას იყენებდნენ ასევე მე-18 საუკუნის დამდეგს, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა მეფობა საქართველოში და ქვეყანა იმპერიის ნაწილი გახდა. მართლმსაჯულება ამ პერიოდში, რუსული კანონმდებლობის მიხედვით ხორციელდებოდა და ასეთ სანქციებს ძირითადად იყენებდნენ სახელმწიფო დამნაშავეების ან რეციდივისტების მიმართ.

უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებამ საქართველოში კომუნისტური მმართველობის პირველი 30 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში, შეიძლება ითქვას დახვრეტა, როგორც სიკვდილით დასჯის საშუალება რაოდენობრივად ბევრად სჭარბობდა სასჯელის სხვა ფორმებს. სიკვდილით დასჯის განაჩენი საბჭოთა საქართველოში გამოჰქონდათ უმნიშვნელო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, ისეთი დანაშაულისათვის, როგორიცაა მაგალითად წვრილმანი ქურდობა, ხოლო თუ პირი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ არალოიალურ დამოკიდებულებაში იყო ეჭვმიტანილი, ეს ფაქტი გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდში განაჩენის გამოტანა, ხშირ შემთხვევაში ხდებოდა არა სასამართლო ხელისუფლების, არამედ ცნობილი საბჭოთა "ტროიცების" მიერ, რომლებიც «Без суда, без следствия» ახდენდნენ ადამიანებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანასა და აღსრულებას. ასეთი მეთოდები, რომელიც "ხალხის მტრების" წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის სახელით იყო შენიღბული, ერთი მხრივ, ემსახურებოდა მოსახლეობის დაშინებასა და ტერორს, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენდა საშუალებას, რომ მაშინდელი მმართველი ელიტა განთავისუფლებულიყო მათთვის საშიში ელემენტებისგან საზოგადოებაში ჩაეხშო განსხვავებული აზრის შესაძლებლობაც კი. ეს პერიოდი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ისტორიაში "წითელი ტერორის სახელითაა ცნობილი", რომელმაც საბოლოო ჯამში, საკავშირო მასშტაბით მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

70-80-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირში, საჯარო სექტორში კორუფციის დონემ თავისი განვითარების პიკს მიაღწია, მაშინდელმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება უკიდურესად გაემკაცრებინა ბრძოლა ე.წ. მექრთამეებისა და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების წინააღმდეგ. ამ პერიოდში სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ მექრთამეობისათვის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულთათვისა და იშვიათ შემთხვევაში სახელმწიფო დამნაშავეთათვის.

1945 წლის შემდეგ, საბჭოთა ბლოკში შემავალი ცენტრალური ევროპის ქვეყნები სიკვდილით დასჯას საბჭოთა კანონმდებლობის ანალოგიურად ახორციელებდნენ. 1940 წლის ბოლოს და 1950 წლის დასაწყისში უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში გაიმართა სასამართლო პროცესები ე.წ. "ხალხის მტრების" წინააღმდეგ. ეს პროცესები სრულიად შეესაბამებოდა საბჭოთა მოდელს და უმეტეს შემთხვევაში სასჯელის სახით განსასჯელებს ჩამოხრჩობა ან დახვრეტა მიესაჯათ. 1990 წლის შემდეგ, ამ რესპუბლიკებში მომხდარი "ხავერდოვანი რევოლუციების" შედეგად, დემოკრატიულმა ხელისუფლებებმა გააუქმეს სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის ფორმა. სიკვდილით დასჯა გაუქმდა, მათ შორის, რუმინეთშიც.

დღეისათვის, ბელორუსი არის უკანასკნელი ქვეყანა ევროპაში, სადაც მოქმედებს სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა. ბელორუსის კანონმდებლობა სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს 12 სახის დანაშაულისათვის მშვიდობიან დროს, ხოლო ომის პერიოდში 2 სახის დანაშაულისათვის. 1996 წელს ბელორუსში რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულმა საყოველთაო რეფერენდუმმა ცხადყო, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებას ეწინააღმდეგებოდა მოქალაქეთა 80.50%.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში სიკვდილით დასჯამ, როგორც სასჯელის ერთ-ერთმა ფორმამ სულ 5 წელი იარსება. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სასამართლოებს აეკრძალათ მსჯავრდებულთა მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა. თუმცა მივყვეთ ქრონოლოგიურად: 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისათვის. იმ დროს

საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის მომხრე იყო. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თავისუფალმა პრესამ და მმართველობაში მყოფმა რეფორმატორული იდეების მქონე ჯგუფებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებაში. ამ ჯგუფების მუშაობის შედეგად ეტაპობრივად იქნა მიღწეული კონსესუსი საზოგადოებაში, სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით. 1995-1996 წლებში გამოცხადდა მორატორიუმი. მართალია სასამართლოებს კვლავ გამოჰქონდათ საჭიროების შერმთხვევაში სასიკვდილო განაჩენი, თუმცა მათი აღსრულება არ ხდებოდა. სასიკვდილო განაჩენი საქართველოში ბოლოს 1995 წლის 14 თებერვალს იქნა სისრულეში მოყვანილი. 1996 წლის 12 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა დაარსა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც მომავალში მრავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციაც შეუერთდა. დროის მცირე მონაკვეთში ცენტრმა საქართველოში წამოიწყო სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო მასშტაბური საგანმანათლებლო კამპანია. მან მოაწყო სხვადასხვა ღონისძიებები, პრესკონფერენციები, დაბეჭდა სტატიები და ა.შ. ამ კამპანიას აქტიურად აუბა მხარი მასმედიამაც. საზოგადოების ასეთმა აქტიურობამ საშუალება მისცა საკანონმდებლო ორგანოში მყოფ რეფორმატორებს გაეძლიერებინათ ბრძოლა პარლამენტში ახალი კანონმდებლობის მისაღებად, რომელშიც სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის სახე გათვალისწინებული აღარ იქნებოდა. შედეგად, 1996 წლის ბოლოს მოხდა იმ მუხლების შემცირება, რომელთა სანქციაც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. ასეთი მუხლების რაოდენობა 13 მუხლიდან 4 მუხლამდე შემცირდა. ამის შემდეგ, იგივე ორგანიზაციები და კერძო პირები მთელი წლის განმავლობაში ატარებდნენ პიარ-კამპანიას იმ კანონის სრულიად და საბოლოოდ გასაუქმებლად, რომელიც საქართველოში სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1995 წლის ბოლოს და 1996 წლის დასაწყისში მთელი ქვეყნის მასშტაბით წამოწყებული კამპანიისას მოსახლეობის მხოლოდ 10-20% გამოდიოდა სასჯელის ამ განსაკუთრებული ზომის გაუქმების მომხრედ. 1997 წლის მიწურულს კი, საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის შედეგად, ასეთ ადამიანთა რიცხვმა 50-55% მიაღწია. საბოლოოდ, 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მოახდინა სიკვდილით დასჯის გაუქმება. ხოლო, პირებს, რომლებიც იმ დროისათვის ელოდებოდნენ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას, სასჯელი შეეცვალათ სამუდამო პატიმრობით, ხოლო ზოგ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთით 20 წლის ვადით.[1] საქართველო, მოლდოვას შემდეგ, გახდა მეორე პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც უარი თქვა სასჯელის ამ უმაღლესი ზომის გამოყენებაზე. ამის შემდგომ სასიკვდილო განაჩენი გაუქმდა რიგ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, კერძოდ აზერბაიჯანში, სომხეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, თურქმენეთში, უკრაინასა და ყირგიზეთის რესპუბლიკაში.

აუცილებელია აღინიშნოს საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში: საერთაშორისო საზოგადოება სიკვდილით დასჯას მიიჩნევს სასჯელის უმაღლეს ზომად. საერთაშორისო სამართალში სიკვდილით დასჯის საკითხებს და სიკვდილმისჯილთა უფლებების დაცვას მოგეხსენებათ რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება არეგულირებს. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია 1966 წელს მიღებული "საერთაშორისო პაქტი საერთაშორისო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ", რომლის მე-6 მუხლი ადგენს, რომ სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ასეთი დანაშაულისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ პაქტის დებულებებს[2]. აქვე განმარტებულია სიკვდილმისჯილთა უფლებები გაასაჩივრონ გადაწყვეტილება ან ითხოვონ შეწყალება. "სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა

[1] ნიკოლაიშვილი გელა. ადამიანის უფლებები საქართველოში : კრიტიკული ანალიზი / გაეროს განვითარების პროგრამა-საქართველო - თბ., 1998

[2]საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 16/12/1966 Unts no 999, გვ 171. www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx (25.06.2014)

საერთაშორისო პაქტის" მეორე დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას, მიღებულია 1990 წელს და იგი დღემდე მოქმედებს[3]. ოქმზე ხელმომწერ სახელმწიფოებს სწამთ, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება "თავის წვლილს შეიტანს ადამიანის ღირსების მეტად წარმოჩინებაში და ადამიანის უფლებების უფრო მეტად განვითარებაში (პრეამბულა). აღნიშნული დამატებითი ოქმი მოითხოვს სახელმწიფოთაგან სიკვდილით დასჯის შეჩერებას და ყველა შესაძლო ზომის მიღებას მის გასაუქმებლად. ოქმის მიმართ აკრძალულია ყველანაირი დათქმის ჩამოყალიბება, თუმცა სახელმწიფოებმა შეიძლება დაიტოვონ სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ზომის გამოყენების უფლება ომის პერიოდში, სამხედრო ტიპის მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. თუმცა, ყველა სახელმწიფო, რომელიც უერთდება ამ დათქმას გაერო-ს გენერალურ მდივანს აუცილებლად უნდა შეატყობინოს ქვეყანაში ამგვარი ომის დაწყებისა და დამთავრების დრო[4].

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართალი, დღეისათვის არაორაზროვნად გმობს სიკვდილით დასჯას. 20-ე საუკუნის დასასრულს შეიქმნა ისეთი პოლიტიკური გარემო, როდესაც საერთაშორისო უწყებათა უმრავლესობამ მიიღო სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებული კონვენციები და ოქმები, თუმცა ამგვარი ქმედებისათვის ჯერ კიდევ არ მიუმართავს ზოგიერთ სახელმწიფოს. სიკვდილით დასჯა დღეისათვის კიდევ მოქმედებს, მაგალითად, საუდის არაბეთში, ჩინეთში, ირანში, ასევე აშშ-ს ზოგიერთ შტატში და სხვ. საერთაშორისო პაქტი აშკარად გამოხატავს საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებას სიკვდილით დასჯასთან მიმართებაში. მე-6 მუხლში მოცემულია მიმართვა იმ სახელმწიფოთა მიმართ, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს სასჯელის უმაღლესი ზომა, რომ ისინი სიფრთხილით მოეკიდონ სასჯელის ამგვარი ზომის შეფარდებას.[5]

წლების განმავლობაში მიმდინარეობს დავა სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ორივე მხარეს თავიანთი საკმაოდ მყარი არგუმენტები გააჩნიათ, თუმცა ნება გვიბოძეთ ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ და შევუერთდეთ სიკვდილის დასჯის, როგორც სასჯელის ზომის გამოყენების მოწინააღმდეგეთა რიგებს. იმდენად, რამდენადაც, სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის ზომა საფუძველშივე ეწინააღმდეგება სასჯელის მიზანს. სასჯელის მიზანი ხომ დანაშაულის პრევენცია, დამნაშავის გამოსწორება და მისი საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებაა. მართალია, ჩვენ შეგვიძლია ვიკამათოთ, თუ რამდენად უწყობს ხელს თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული სასჯელის ზომები დამნაშავეთა გამოსწორებას და საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებას, მაგრამ ერთი რამ უდავოა, სიკვდილით დასჯა სცილდება ჰუმანიზმისა და თანამედროვე ღირებულებების პრინციპებს. სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდებისას სახელმწიფო და საზოგადოება ემსგავსება შურისძიების სურვილით შეპყრობილ მანქანას, რომელსაც დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სამაგიეროს მიზღვა ბარბაროსული მეთოდებით განუზრახავს. ჩვენ, ერთი მხრივ, ვკიცხავთ, ვსჯით დამნაშავეს, მის მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ვაძლევთ უფლებას მეორე ადამიანს, მოსამართლეს, განაგოს ადამიანის სიკვდილ-სიცოხლის ბედი. განაჩენის გამოტანა ხომ ჩვეულებრივი ადამიანების ხელით ხდება, შეცდომებისგან კი არავინაა დაზღვეული. დასაფიქრებელია, აქვს კი უფლება სახელმწიფოს, მისცეს ამა თუ იმ პირს უფლებამოსილება, თუნდაც კანონის სრული დაცვით მიღებული გადაწყვეტილებით ხელყოს ადამიანის, თუნდაც დამნაშავის სიცოცხლის უფლება. თუ ამოვალთ იმ წერტილიდან, რომ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ბოროტებაა, სასიკვდილო განაჩენის

[3] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მეორე დამატებითი ოქმი - 1990.

[4] სმიტი რონა კ. ადამიანის საერთაშორისო უფლებები. 2003.

[5] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 16/12/1966 Unts no 999, გვ 171. www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx (25.06.2014)

გამოტანით ჩვენ ერთი მხრივ საზოგადოებას ვათავისუფლებთ ბოროტმოქმედისაგან, ხოლო იქვე ვღებულოთ მეორე მკვლელს - ადამიანს, რომელმაც აღასრულა სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი. ერთ ბოროტებას კი აუცილებლად სხვა ბოროტება მოჰყვება.

თანამედროვე, დემოკრატიული საზოგადოება ერთხმად აღიარებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, დიახ, კანონის წინაშე ყველა თანასწორია, არცერთ ადამიანს არ აქვს უფლება სიცოცხლე მოუსწრაფოს მეორე ადამიანს. ამ პრინციპების გათვალისწინებით სიკვდილით დასჯის სასჯელის ზომად გამოყენება, რბილად რომ ვთქვათ, არაკონსტიტუციურია და უხეშად არღვევს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ ნორმებს.

დაბოლოს, ვფიქრობთ, ყველა ჩვენთაგანის ვალია, ერთი წუთით მაინც დავფიქრდეთ, რა უფრო დიდი სასჯელია დამნაშავისათვის, მთელი სიცოცხლის, უვადოთავისუფლებააღკვეთილთა საკანში, ოთხ კედელში, საზოგადოებისაგან იზოლაციაში გატარება თუ სიცოცხლის ერთი გასროლით დასრულება?!

გიორგი ასათიანი

სიკვდილით დასჯის საკითხები საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში

რეზიუმე

სტატია მიმოიხილავს სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ფორმის გამოყენებას საქართველოში უძველესი დროიდან 20-ე საუკუნის მიწურულამდე. მოკლედ არის განხილული, როგორც ფეოდალური, ასევე საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობა. კერძოდ დანაშაულები, რომელთათვისაც სხვადასხვა ისტორიულ პეროდში იყენებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილით დასჯას. სტატიაში ასევე საუბარია იმ გზაზე, რომელიც გაიარა ქართულმა სახელმწიფომ და სამართალმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიც არის სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების უარყოფა. ქართულ მაგალითთან ერთად სტატიაში განხილულია ყოფილი "სოციალისტური ბლოკის" ქვეყნების გამოცდილება სიკვდილის დასჯის სასჯელად გამოყენებასთან და შემდეგში მის გაუქმებასთან მიმართებაში. ასევე, მოცემულია სხვადასხვა დროს, სხვადახვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლებიც ასახავს საზოგადოების განწყობას სიკვდილით დასჯასთან მიმართებაში. სტატიაში განიხილება, საერთაშორისო კანონმდებლობა, კერძოდ საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებდნენ და არეგულირებენ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების შესაძლებლობას ცივილიზებულ მსოფლიოში. კონკრეტულად კი დანაშაულები და შემთხვევები, რომელთა დაფიქსირების შემთხვევაშიც უშვებდა საერთაშორისო კანონმდებლობა სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ფორმის გამოყენების შესაძლებლობას. სტატიაში ასევე საუბარია თანამედროვე მსოფლიოში არსებულ შეხედულებებზე, სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მიერ დისკუსიისას ყველაზე ხშირად წარმოდგენილ არგუმენტებზე, ჰუმანიზმის პრინციპზე და სახელმწიფოს უფლებამოსილებაზე სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებისას. დასასრულს, ავტორი აფიქსირებს საკუთარ აზრს სტატიაში დასმულ პრობლემატურ საკითხებთან მიმართებაში.

Giorgi Asatiani

Death Penalty in Georgia and Former Eastern Bloc Countries

Summary

The article reviews death penalty as a type of punishment that has been used in Georgia from the ancient times till the end of 20th century. It contains a brief description of legislation in both feudal and soviet era. Namely, the crimes for which death penalty as the capital punishment was used in different historic periods of time. The article also speaks about the way that the Georgian state and the law have passed concerning such an important issue as a refusal of death penalty as the capital punishment. Along with the Georgian example, it touches the experience on the use and subsequently on the abolition of death penalty in the countries of former "socialist block". There are also research results conducted by different organizations in different periods of time about the attitude of the society towards the death penalty. The article views international legislation, particularly international conventions and agreements that regulated and still regulate the possibility of use of death penalty in the civilized world. Namely, it is applied to crimes and cases that were committed for which international legislation allowed death penalty as a possibility of use of a punishment. It also talks about the modern world's views, arguments often presented by the supporters and opponents of death penalty abolition, principles of humanism and state competence on using the capital punishment. In conclusion, the author stresses his own opinion on the problematic issues in the article.

Гиорги Асатиани

Вопросы наказания смертью в Грузии и странах бывшего советского блока

Резюме

В статье рассматривается применение смертной казни, как формы наказания в Грузии с древнейших времен до конца 20 века. Дается краткое о писание законодательства как феодального, так и советского периода. В частности, преступления, к которым, в разные исторические периоды, применялась высшая мера наказания, а именно смертная казнь. В статье, также говориться о том пути, которую проделало грузинское государство и право в таком важном вопросе, как отказ от применения смертной казни, как высшей меры наказания. В статье, наравне с грузинским примером, рассмотрен опыт стран бывшего «социалистического блока» в отношении применения и последующей отмены смертной казни, как меры наказания. Также показаны результаты исследований, проведенные в разное время различными организациями, которые отражают общественное настроение по отношению к смертной казни. Статья затрагивает и международное законодательство в частности, международные конвенции и соглашения, которые регулировали и регулируют возможности применения высшей меры наказания в цивилизованном мире. Конкретно, это касается преступлений и случаев, даже при фиксировании которых международое законодательство допускало возможность применения смертной казни, как формы наказания. В статье, также говориться о существующих в современном мире мнениях; аргументах, найболее часто представленных во время дискуссий между сторонниками и противниками отмены смертной казни; принципах гуманизма и государственных полномочиях при использовании высшей меры наказания. В заключение, автор фиксирует свое собственное мнение по поводу отраженных в статье проблематичных вопросов.

კახა კობერიძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური გარანტიები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. ხაზგასმულია, რომ "სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას, ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ".

ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია არა მარტო მოსამართლეთა ან მოსამართლეობის კანდიდატთა სრულყოფილი მომზადება და შერჩევის გონივრული კრიტერიუმების დაწესება, არამედ შესაბამისი სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური გარანტიები, რის გარეშეც სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოუდგენელია. ამას ადასტურებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ ევროპის მინისტრთა კომიტეტისათვის მომზადებული 2001 წლის 23 ნოემბრის დასკვნა. "სასამართლო ორგანოების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, სასამართლოების მართვის, დაფინანსების და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის შესრულების თაობაზე".

დასკვნაში ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული, რომ სასამართლოების დაფინანსება მჭიდროდაა დაკავშირებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან, რადგან ეს მათ სამუშაო პირობებს განსაზღვრავს. არსებობს აშკარა ურთიერთდამოკიდებულება სასამართლოების დაფინანსებასა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრინციპებს შორის, ვინაიდან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, სამართლიანი სასამართლოს უფლება და საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვა ნაკლებადაა გარანტირებული, თუ სასამართლოს არ გააჩნია ეფექტური საქმიანობისთვის აუცილებელი რესურსი.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მიიჩნევს, რომ სასამართლოების დაფინანსება არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებზე, უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ზეწოლა აღმასრულებელი და საკანონმდებლ ხელისუფლების მხრიდან სასამართლო ორგანოების ბიუჯეტის განხილვისას და დაფინანსების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპთან მკაცრ შესაბამისობაში.[1]

სასამართლოს ბიუჯეტის ფორმირების წესი ევროპის ქვეყნებში სხვადასხვაგვარია. ბევრ სახელმწიფოში სასამართლოები ამ საკითხზე უშუალოდ მიმართავენ ფინანსთა სამინისტროს (ესტონეთი, სლოვაკეთი, კვიპროსი, სლოვენია). შვეიცარიის ფედერალურ უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს სამი მოსამართლისაგან შემდგარი ადმინისტრაციული კომისიის მიერ მოწონებული ბიუჯეტი წარუდგინოს ფედერალურ პარლამენტს, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს პარლამენტში სასამართლოს ბიუჯეტის განხილვისას. ლიტვაში თითოეული რგოლის სასამართლოს საკუთარი ბიუჯეტი აქვს. რუსეთის ფედერაციაში მოსამართლეთა კავშირს, ბიუჯეტის შედგენისას, უფლება აქვს აწარმოოს კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან და მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში. დანიაში მსგავსი ფუნქციები დაკისრებული აქვს ადმინისტრაციულ კომიტეტს, სადაც უმრავლესობას მოსამართლეები წარმოადგენენ, შვედეთში შექმნილია სპეციალური სახელმწიფო ორგანო – ეროვნული სასამართლო ადმინისტრაცია, რომელიც სასამართლო ორგანოებისათვის სამწლიან უწყვეტ ბიუჯეტს ამზადებს.

[1] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის №2 დასკვნა.

ევროპის რიგ ქვეყნებში ბიუჯეტის ფორმირებისას სასამართლოების ან ამისათვის სპეციალურად შექმნილ ინსტიტუციებთან კონსულტაციები ფორმალურად დადგენილი არ არის და სასამართლო ორგანოების მხრიდან ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა არაოფიციალურია (ბელგია, ხორვატია, გერმანია, საფრანგეთი და სხვა.).

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ზემოთ აღნიშნული დასკვნა ანგარიშს უწევს ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეს, თუმცა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი სასამართლო ორგანოების სრულყოფილ დაფინანსებას და ამ სახის საკითხების განხილვისას სასამართლო ხელისუფლების ჩართვას.

საკონსულტაციო საბჭო აღნიშნავს, რომ სასამართლოების მოთხოვნის შესაბამისად დაფინანსების მხრივ პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშია, თუმცა, თვით დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, საბიუჯეტო შეზღუდვებმა გამოიწვია სასამართლო შენობების, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პერსონალის ნაკლებობა, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, მოსამართლეთა არასამოსამართლეო ფუნქციებით დატვირთვას იწვევს.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2008 წლის 18 დეკემბრის დასკვნაში ასევე საუბარია სასამართლოების სრულყოფილ დაფინანსებაზე და ხაზგასმულია, რომ "სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხი პირდაპირაა დამოკიდებული სასამართლო სისტემისათვის გამოყოფილ სახსრებზე. სასამართლოს არ შეუძლია ეფექტურად მუშაობა არაადეკვატური ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ღირსეული ანაზღაურება მოსამართლისათვის აუცილებელია, რათა დაცული იყოს მოსამართლე და მისი საქმიანობა ზეწოლისაგან გავლენის მოხდენის მიზნით. კვალიფიციური ასისტენტების დახმარება დოკუმენტების მოსამზადებლად, ასევე განაპირობებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მაღალ ხარისხს".[2]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2010 წლის 17 ნოემბერს მიიღო სპეციალური რეკომენდაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და პასუხისმგებლობის თაობაზე, სადაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ "ყველა სახელმწიფომ სასამართლოებისათვის უნდა გამოყოს ადეკვატური რესურსები, ფართი და აღჭურვილობა, რათა მოსამართლეებს მიეცეთ ეფექტური მუშაობის შესაძლებლობა... უნდა გატარდეს ყველა აუცილებელი ღონისძიება მოსამართლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მოსამართლეთა ანაზღაურება უნდა იყოს მათი პროფესიისა და პასუხისმგებლობის პროპორციული და საკმარისი იმისათვის, რომ დაიცვას ისინი ისეთი წაქეზებებისგან, რომელთა მიზანია გავლენა მოახდინონ მათ გადაწყვეტილებებზე. უნდა არსებობდეს გარანტიები გონივრული ოდენობის ანაზღაურების შენარჩუნების შესახებ ავადმყოფობის, დედობასთან და მამობასთან დაკავშირებული შვებულების, ასევე პენსიის გადახდის დროს, რაც მისაღებ შესაბამისობაში უნდა იყოს მუშაობის პერიოდში არსებულ ანაზღაურებასთან, უნდა შეიქმნას სპეციალური იურიდიული ნორმები მოსამართლეთა ანაზღაურების შემცირების აღსაკვეთად".[3]

იგივე პრინციპებია გაზიარებული დემოკრატიის კანონით უზრუნველყოფის ევროპის კომისიის (ვენეციის კომისია) მიერ, 2012 წლის 12-13 მარტს 82-ე პლენალურ სესიაზე დამტკიცებულ ანგარიშში, სასამართლოს სისტების დამოუკიდებლობის თაობაზე.[4]

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციაა ბიუჯეტის შემუშავებისას, სასამართლო ხელისუფლების აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სპეციალური დამოუკიდებელი ორგანოს მაკოორდინირებელი ფუნქციით აღჭურვა.

ჩვენს ქვეყანაში ეს უფლებამოსილება ეკისრება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც კონსტიტუციური ორგანოა და მისი შექმნა განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 86[1] მუხლით.[5]

---

[2] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2008 წლის 18 დეკემბრის დასკვნა.

[3] ევრიპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის 17 ნოემბრის რეკომენდაცია.

[4] ვენეციის კომისიის 2012 წლის 12-13 მარტის 82-ე პლენარული სესიის ანგარიში.

[5] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 861

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოების (გარდა უზენაესი სასამართლოსი) დაფინანსების ნაწილის პროექტს საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტის განხილვამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს მოსაზრებები საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის პროექტის თაობაზე.

საგულისხმოა, რომ ამავე კანონის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება, წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით, შეიძლება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით.[6]

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობას მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული მოსამართლეები წარმოადგენენ, რაც პრაქტიკულად უზრუნველყოფს მოსამართლეთა აქტიურ მონაწილეობას სასამართლოს დამოუკიდებლობის სოციალური გარანტიების შექმნაში.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და შესაბამისად, მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. ჩატარდა სასამართლოების სავალალო მდგომარეობაში მყოფი შენობების რემონტი და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად რეკონსტრუქცია, მოეწყო სტანდარტული ავეჯით, უსაფრთხოების სისტემებითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასამართლო სხდომის დარბაზები და ა.შ.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით გარანტირებულია მოსამართლეთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა. დაუშვებელია მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არ აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს. ამას გარდა, სავალდებულოა მოსამართლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა, რაც შესაბამისი სასამართლოების ბიუჯეტიდან ხორციელდება.

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, შეუქმნას მას ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობები, დაიცვას მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება. თუ მოსამართლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების დაცვას.

მიმდინარე წელს მკვეთრად გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების დაფინანსებისათვის საქართველოს ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების ოდენობა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსამართლეთა ხელფასების ზრდას, რაც სამართლიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. რაიონული სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ხელფასი 2014 წლის პირველი იანვრიდან 4000 ლარი გახდა, ხოლო სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, შესაბამისად 5000 და 6000 ლარი, ასევე გაიზარდა აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურება.

საქართველოში დღეისათვის სასამართლო სისტემაში არსებული სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური პირობები, პრაქტიკულად, შეესაბამება საყოველთაოდ

[6] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 67-ე

აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს და მოსამართლეების დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ".
3. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის N2 დასკვნა.
4. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2008 წლის 18 დეკემბრის N11 დასკვნა.
5. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის 17 ნოემბრის რეკომენდაცია.
6. დემოკრატიის კანონით უზრუნველყობის ევროკომისიის (ვენეციის კომისია) 2012 წლის ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ.
7. 1998 წლის ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ.

კახა კობერიძე

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური გარანტიები

რეზიუმე

სტატიაში მოკლედაა მიმოხილული ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნები და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური გარანტიების შესახებ, რიგ ევროპულ ქვეყნებში სასამართლოთა დაფინანსების წესები. ასევე, ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება, სასამართლო სისტემაში ბოლო დროს გატარებული რეფორმები და ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებას.

Kakha Koberidze

Social and Material-technical Guarantees of Judges Independence

Summary

In this article is made a review of inferences made by Consultative Council of European Judges and recommendations by Committee of Ministers of Council of Europe about social and material-technical guarantees of independence and the rules of financing courts in some of the European countries. Moreover, in this regard, the existing condition in Georgia, recent judicial reforms and legislative amendments reinforcing the establishment of fair justice.

Каха Коберидзе

Социальные и материально-технические гарантии самостоятельности судей

Резюме

В статье изложен короткий обзор заключений консультативного совета судей Европы и рекомендации кабинета министров стран Евросовета о социальных и материально-технических гарантий независимости судей, порядок финансирования судов в некоторых Европейских странах, а также сложившиеся в этой сфере положение в Грузии, последние судебные реформы, законодательные поправки, которые способствуют утверждению справедливого правосудия.

ჰუმანიტარული მეცნიერებანი

დავით პავლიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
აკაკი პავლიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შიდა ქართლი - ცივილიზაციათა გზაჯვარედინი

ისტორიული შიდა ქართლი, რომელსაც ძველად „ზენა სოფელი“ ეწოდებოდა, გეოგრაფიული მდებარეობისა და მდინარე მტკვრის მიხედვით, დანაწილებული იყო ზემო, შუა ანუ შიდა და ქვემო ქართლად.შიდა ქართლი ვრცელდებოდა აღმოსავლეთით არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით - კავკასიონის ცენტრალურ ქედამდე, დასავლეთით - ლიხის ქედამდე, ხოლო სამხრეთით - თრიალეთის ქედამდე და ფარავნის ტბამდე.

უძველესი დროიდან, შიდა ქართლზე გადიოდა სავაჭრო-ეკონომიკური, ხალხთა ურთიერთდამაკავშირებელი გზაჯვარედინები. კერძოდ, ჩრდილოეთიდან მცხეთის გავლით მიემართებოდა დარიალის, ანუ „არაგვის გზა“, რომელიც არქეოლოგების გამოკვლევით მოქმედებდა ადრინდელი ბრინჯაოს ხანაში მაინც. ამ უმნიშვნელოვანესი გზის დიდი როლი თითქმის ყველა ეპოქაშია შეფასებული, რომლის ინტენსიურობას, ბუნებრივია, განსაზღვრავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ანტიკური ხანის ავტორების ცნობები და არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ინდოეთისა და ევროპის დამაკავშირებელი სატრანზიტო-სავაჭრო გზის ერთ-ერთი მონაკვეთი ამიერკავკასიაზე, კერძოდ, შიდა ქართლზე გადიოდა, რომელიც მტკვრის ორივე მხარეს გასდევდა, თუმცა, უპირატესობა მის მარცხენა სანაპიროს ეძლეოდა. ეს გზა კი გაივლიდა მცხეთას, მუხრანს, სამთავისს, გორს, ურბნისს, რუისს და ა.შ. ამასთან, ამიერკავკასიაზე გადიოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და მცხეთამდე აღწევდა, საიდანაც არაგვის ხეობით, ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა. აღნიშნულ ცენტრალურ გზებს, თავისთავად ინტენსივობას მატებდა ქვეყნის შიდა დამაკავშირებელი გზები, ამ შემთხვევაში ე.წ. „ცხვრის გზა“, რომელიც საქართველოს დიაგონალურად სერავდა და კახეთ-ჰერეთს ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა;აგრეთვე გზა, რომელიც თრიალეთის ქედის თხემს გასდევდა და თავისი განშტოებებით უკავშირდებოდა მის გარდიგარდმო მდებარე „ქვეყნებს“ (1,12).

შიდა ქართლი სამხრეთ საქართველოს უკავშირდებოდა მტკვრის, ძამის, ტანას, თეძმის, კავთურის, ნიჩბისისა და ძეგვის ხეობებზე გამავალი გზებით: დასავლეთ საქართველოს – ლიხის ქედზე მდებარე პერანგას,ზემო ჯვარ-კორტოხის, დედაბერას, რიკოთის, სურამის, ციხისგორის უღელტეხილებით; ჩრდილო კავკასიას კი – დარიალის გზის გარდა, ლიხის ხეობით სბისა და როკის უღელტეხილებით და ა.შ. ისე, რომ ამ უძველესმა გზებმა, შესაბამის პერიოდებში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ზოგადად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა ქართლი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ.ა. მესამე ათასწლეულის დასაწყისი), რომელთა სამოსახლოები ე.წ.“გორებად“ იყო წარმოდგენილი, სადაც შენობები წრიული ან ოთხკუთხა ფორმით არსებობდა. მოსახლეობის ძირითადი მეურნეობრივი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო, სადაც მარცვლეულის მრავალი სახეობა იწარმოებოდა. აქ მიკვლეულია ყურძნისა და სხვადასხვა ხილ-კენკრეულის ნარჩენები, ხმარობდნენ სახვნელ კავსა და მარცვლეულის სალეწ კევრს, განვითარებული ჩანს მეცხოველეობის დარგები და სპილენძის მეტალურგია, დაწინაურებულია კერამიკის წარმოება, ფეიქრობა და ა.შ.

შიდა ქართლის ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში ყალიბდება ცნობილი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ორიგინალური ვარიანტი, რომელიც გავრცელებულია აგრეთვე ზემო იმერეთში (2,178). საერთოდ, შიდა ქართლი ისტორიულად ქვეყნის იმ ტერიტორიას წარმოადგენს, სადაც ოდითგანვე ხდებოდა აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა შეხვედრა-განვითარება. ამას, ანტიკური ხანის საქალაქო ცხოვრებას მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად, ადასტურებს სტრაბონის ცნობაც: “იბერია

კარგადაა დასახლებული მეტწილად, როგორც ქალაქებად, ისე დაბებად, ისე, რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები,ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები“. შიდა ქართლის სავაჭრო-ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობათა აქტიურობაზე მიგვანიშნებს ელინისტური ხანის მრავალრიცხოვანი მონეტების აღმოჩენა, რომელიც მის გარე სამყაროსთან კავშირებზე მეტყველებს, მასვე ადასტურებს შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თუნდაც ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბაძი ოქროს იბერიული სტატერები, ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი მმართველის პტოლემე ფილოპატორის სპილენძის, სელევკიდების სირიის მეფეების სპილენძის,სინოპის სამოქალაქო, ტიგრან II-სა და გვიანდელი ელინისტური ხანის პართიის მონეტები და ა.შ. (2,441).

პომპეუსის ცნობილი ლაშქრობების შემდეგ, რომისა და იბერიის კავშირურთიერთობების დამყარებამ ქართლის კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება განაპირობა. სწორედ ამ პერიოდს (ძვ.წ.I ს.) განეკუთვნება სოფ. არადედთან აღმოჩენილი დიდი სატაძრო კომპლექსი, რომელიც მკვლევართა თვალსაზრისით აქემენიდური ხანის სუზის და სელევკიდური პერიოდის პერსეპოლისის ტაძრების ანალოგიურს წარმოადგენს და რიგი თავისებურებებით ხასიათდება. გვიანდელი ანტიკური შიდა ქართლის, დიდად დაწინაურებაზე მეტყველებს ოქრომჭედლობის მაღალი დონე,სადაც გამოირჩეოდა მცხეთისა და ურბნისის საოქრომჭედლოები,რომელთა ნაწარმი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გადიოდა (1,15).

მცხეთის სანახებში – არმაზის ხევში, ბაგინეთსა და ძალისში აღმოჩენილი აბანოები დაგეგმარებით ემსგავსება წინააზიისა და ყირიმის გვიანდელი ანტიკური ხანის აბანოებს. აქვეა აღმოჩენილი მაღალმხატვრული მოზაიკის,წითელი კერამიკის ნაშთები და სხვ., რაც ამ პერიოდების ცივილიზებული სამყაროსათვის იყო დამახასიათებელი. ფართო ხმარებაში ჩანს საერთაშორისო ვაჭრობაში გავრცელებული მონეტები და მათი ქართული მინაბაძები, აქტიურ ბრუნვაში შეინიშნება რომაული და ვერცხლის ადგილობრივი მონეტები, ავგუსტუსის დინარები, გოტარზის დრაქმები და მათი ქართული მინაბაძები. ქართლთან საკმაოდ აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ჩაბმული ეგვიპტის სახელოსნო ცენტრები, რომლებიც, განსაკუთრებით, მძივების კეთებაში იყვნენ დახელოვნებულნი; გარდა ამისა, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან აქ შემოდიოდა ძვირფასი ქვები, რომელთაც ფართოდ იყენებდნენ ქართველი ოქრომჭედლები, საკმაოდ გავრცელებული ჩანს სირიული მინის ჭურჭლის ნიმუშები და ა.შ.

როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის ქართლის სახელმწიფოში (IV ს.), რომელიც ადრეკლასობრივი ბუნებისას წარმოადგენდა, ყალიბდება ფეოდალური ურთიერთობანი, რასაც ხელი შეუწყო 30-იან წლებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ და მის ბაზაზე კულტურული ცხოვრების აღმავლობამ.ეს ის პერიოდია,როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალმა საქართველო ერთ სამეფოდ გააერთიანა და ქვეყანა ადმინისტრაციულ ერთეულებად – სასპასპეტოებად დაჰყო,ჩაატარა საეკლესიო რეფორმა და მთავარეპისკოპოსის მაგივრად ქართლის ეკლესიის სათავეში კათოლიკოსი დააყენა.სწორედ ამ ნიადაგზე, ქართლის სასპასპეტოში შეიქმნა სამთავროს, წილკნის, ურბნისის, რუისისა და ნიქოზის საეპისკოპოსოები.

ქრისტიანობის გავრცელება აქტიურად მიმდინარეობდა წარმართ მოსახლეობაში მონოფიზიტური ქრისტიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაერთვნენ სირიიდან საქართველოში ჩამოსული საეკლესიო მოღვაწეთა (VI ს.) ჯგუფი – „ასურელი მამები“, საიდანაც ქართლში მოღვაწეობდნენ: იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, თათე სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, იასე წილკნელი, ისიდორე სამთავნელი და მიქაელ ულუმბოელი. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩრდილო კავკასიის წარმართულ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელება მიმდინარეობდა და ეს მხარე ქართული ეკლესიის დიდ გავლენას განიცდიდა.

სამწუხაროდ, ქვეყნის განვითარების აღმავლობა მომდევნო პერიოდში შეაფერხა არაბთა ბატონობამ (VII ს. შუა ხანები), რომლის მთელი სიმძიმე ძირითადად შიდა ქართლის მოსახლეობას დააწვა. ეს ის პერიოდია, როდესაც შიდა ქართლში, კერძოდ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიქმნა ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ ცენტრით უფლისციხე, რომელსაც ჯერ კიდევ ძვ.წ.VI-IV სს.იბერიის ტერიტორიაზე თავისი სიდიდითა და ტოპოგრაფიული აღნაგობით სხვა ვერ შეედრებოდა, ხოლო მეორე

სანაპიროზე – მეორე „ქვეყანა“ ცენტრით ატენი (VII ს.). ამიერიდან, ვიდრე XIII ს. 20-იან წლებამდე, ქართული კულტურა განსაკუთრებული აღმავლობით და სიძლიერით ხასიათდება: ვითარდება საერო ლიტერატურა, ფილოსოფიური აზროვნება, ხუროთმოძღვრება, მონუმენტური მხატვრობა, ჭედურობა, ხელნაწერთა მხატვრული შემკულობა, ქვაზე კვეთა და სხვ. შიდა ქართლი საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან, თუმცა, ოსმალეთის სახელმწიფოს გაძლიერებისა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, საქართველო თითქმის მთლიანად მოწყდა ზემოაღნიშნულ განვითარებულ სახელმწიფოებს, რის შედეგადაც, ბუნებრივია, მოიშალა სავაჭრო-ეკონომიკურ-კულტურული კავშირები, შემცირდა ქალაქ-დაბების რაოდენობა, მათი განვითარება და სხვ.

ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებით (1762 წ.), დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში, გამოცოცხლდა დიპლომატიურ-კულტურული ურთიერთობა მეზობელ ერთმორწმუნე რუსეთსა და ევროპის ქვეყნებთან. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი (1783 წ.) და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ქვეყანაში მეტ-ნაკლები სიმშვიდე დამყარდა: აილაგმა ლეკთა თარეში, სათავადო და საეკლესიო აზნაურები გათავისუფლდნენ ეკლესიისა და თავადების დამოკიდებულებისაგან, რამდენადმე გამოცოცხლდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობანი,იშლება ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა, ჩნდება მანქანური ტექნიკის ჩანასახები,ახალ რელსებზე, მათ შორის ევროპულ გამოცდილებაზე, გადადის სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება და ა.შ.

XIX საუკუნეში, საქართველოს სინამდვილეში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგანმანათლებლო სასწავლებლები, 1810 წელს თბილისში გაიხსნა სტამბა, 1819 წელს გამოდის ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ და ა.შ. მათ შორის შიდა ქართლი წარმოადგენდა ერთ-ერთ მსხვილ სწავლა-განათლების ცენტრს, კერძოდ, 1817-1830 წლებში ქ.გორში ფუნქციონირებდა სასულიერო და სამაზრო სასწავლებლები, 1871-1881 წწ. – ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, ქალთა პროგიმნაზია, ხოლო 1883 წლიდან ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობით სოფ. წინამძღვრიანთკარში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი; წინარეხში, ხელთუბანში, რუისსა და კავთისხევში გაიხსნა ქართული სკოლები, ბევრგან ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, გორსა და ხაშურში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალები; ქართული საზოგადოებრივი აზრისა და მოძრაობის განვითარება კარგად განისაზღვრა და დაგვირგვინდა „თერგდალეულთა“ მოღვაწეობაში და ა.შ. (1,24). ყოველივე ამას ხელს უწყობდა, აგრეთვე, საქართველოს მოსახლეობის სწრაფვა ევროპული კულტურისაკენ, რომელსაც ღრმა ფესვები გააჩნდა.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ XIX საუკუნისათვის ქართველები წარმოადგენდნენ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობას, წარმოქმნილს ერის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის (კულტურის) ნიადაგზე მყოფ სახელმწიფოს, რომელიც ოდითგანვე აქტიურად მონაწილეობდა და ჩართული იყო ცივილიზაციათა განვითარების კავშირურთიერთობის ფერხულში.

სადღეისოდ ქართველი ერი საზოგადოების განვითარების გლობალიზაციაში თავის მოკრძალებულ ადგილს იკავებს და, მდიდარი ტრადიციების წყალობით აქტიურად გამოდის მსოფლიო არენაზე და კარგად ეხამება, ერთვება ამ პერიოდების რთულ კატაკლიზმებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ.,1 970.
3. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ,თბ.,1957.
4. Хачапуридзе Г.,К истории Грузии первой половины XIX века,Тб.,1950.

დავით პავლიაშვილი, აკაკი პავლიაშვილი

შიდა ქართლი - ცივილიზაციათა გზაჯვარედინი

რეზიუმე

ისტორიული შიდა ქართლი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ოდითგანვე გადამწყვეტ როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურული ცხოვრების განვითარებაში. იგი წარმოადგენდა და წარმოადგენს ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაჯვარედინს ქვეყნის მხარეებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განვითარება-შერწყმის ხანგრძლივ პროცესში. ამასთან, შიდა ქართლი ასრულებდა იმ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, რომელიც გამოიხატებოდა ქვეყნის გარე სამყაროსთან ურთიერთობაში, რამდენადაც მასზე გადიოდა ოდითგანვე ცნობილი საქარავნო გზა, რომელიც ინდოეთსა და დასავლეთ ევროპას მცირე აზიასთან და ჩრდილოეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ამას კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ე.წ. შიდა "ქვეყნებს" შორის სამიმოსვლო გზაჯვარედინების არსებობა, რაც რთული გარემო პირობების მიუხედავად წარმატებით ვითარდებოდა.

David Pavliashvili, Akaki Pavliashvili

Shida Kartli – Crossroad of the civilization

Summary

Historically, Shida kartli with its geographical location played key role in Georgian political-economical and social-cultural life. It was and is the central, connected crossroad in the long process of political, economical and spiritual life in between the different areas of the country. Moreover, Shida Kartli played very important function in relation to the outside world: famous trade and transport roads passed through Shida kartli, which was connecting India and west Europe to Asia and north countries. Despite the difficult circumstances, existed transport connection within the country was successful.

Давид Павлиашвили, Акаки Павлиашвили

Шида Картли – перекрёсток цивилизаций

Резюме

Историческая Шида Картли, по своему географическому положению, играла решающую роль в социально-культурной и политико-экономической жизни страны. Она являлась и является центральным местом политико-духовного единения и слияния Запада и Востока Грузии, ее перекрестком. Она также была символом своего рода взаимосвязей, мостом, связывающим страну с внешним миром, так как через нее пролегал транзитно-торговый, караванный путь между Индией и Западной Европой, Малой Азией и странами Севера.

Политико-хозяйственно-культурное значение региона возрастало и успешно развивалось в связи с высоким уровнем дорожных внутренних маршрутов, пролегающих между т.н. «странами» несмотря на сложные природные условия,

ნაირა ბერია

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლოგიკის ისტორიის პირველი ქართველი შემდგენელი

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეთა შორის სოლომონ დოდაშვილს (1805-1836) ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. იგი ღრმა მოაზროვნე, ნიჭიერი პუბლიცისტი, ფართოდ განათლებული პიროვნება და ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. მან სულ 31 წელი იცხოვრა, მაგრამ ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე იმდენის გაკეთება შეძლო ერის საკეთილდღეოდ, რასაც რამდენიმე სიცოცხლე კი არა, იქნებ მთელი თაობაც არ ეყოფოდა. ს. დოდაშვილმა ცხოვრების მძიმე გზა განვლო. მისი მიზანი ყოველთვის ერისათვის სამსახური იყო.

მან შეძლო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქართული ფილოსოფიური აზროვნების, პუბლიცისტიკის, ლოგიკის, ესთეტიკისა და სხვა დარგების განვითარებაში. მისი ნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკარგა, მაგრამ შემორჩენილიც მკაფიო წარმოდგენას იძლევა ს. დოდაშვილის ნიჭისა და განათლების სიღრმეზე. ის არ იყო მეცნიერების ერთი რომელიმე ვიწრო სფეროს მცოდნე. ამავე დროს არ კმაყოფილდებოდა კარჩაკეტილი კაბინეტური მოღვაწეობით და ფართო საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. დოდაშვილი არა მხოლოდ სიტყვით, საქმითაც ცდილობდა დაენერგა სწავლა-განათლება საქართველოში, შეეტანა ახალგაზრდობაში მოწინავე იდეები. ამიტომაც მან ქართველი ხალხის, განსაკუთრებით მისი დაბალი ფენების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა (2).

1827 წელს სოლომონმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსი და მაშინვე წარადგინა რუსულად დაბეჭდილი წიგნი – "ფილოსოფიის კურსი. ნაწილი I, ლოგიკა", რომლის გამოცემის ხარჯები გაღებული იყო სოლომონის "სულიერი მამის" იონა ხელაშვილის მიერ.

ს. დოდაშვილის წიგნის გამოცემას რამდენიმე რედაქცია გამოეხმაურა, რადგან "ლოგიკის" მნიშვნელობა სცილდებოდა რუსეთ-საქართველოს ფარგლებს. მისი გამოქვეყნება დიდი მოვლენა იყო საერთოდ ლოგიკური აზროვნების ისტორიაში.

ის ფაქტი, რომ დოდაშვილმა თავის "ლოგიკაში" შეიტანა ლოგიკის ისტორია (მცირე მოცულობის მიუხედავად), მეტყველებს რუსულ-ქართულ ლიტერატურაში ლოგიკაში არსებული ხარვეზის შესავსებად თუ არა, ავტორის სურვილზე მაინც, რომ გააცნოს მკითხველ საზოგადოებას ლოგიკის მეცნიერების ისტორია და გამოიწვიოს მასში გარკვეული ინტერესი (ს. დოდაშვილამდე "ლოგიკის ისტორია" გადმოცემულია პეტრე ლოდის "ლოგიკაში").

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ პ. ლოდის "ლოგიკის ისტორიის" განსხვავება-მსგავსება თუ გავლენა ს. დოდაშვილის "ლოგიკის ისტორიასთან", რამდენადაც რუსულ სივრცეში "ლოგიკის ისტორიის" პირველ შემდგენელია ლოდი, ხოლო ქართულ-რუსულში – დოდაშვილი.

პეტრე ლოდი (წარმოშობით უნგრელი), რომელიც რუსეთში 1804 წელს ჩამოვიდა, წამყვანი ლექტორი იყო ლოგიკისა და მეტაფიზიკის კურსებისა პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1804-1819წწ.) და პირველი დეკანი ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტისა, რომელიც გაიხსნა დედაქალაქის უნივერსიტეტში (1819-1825წწ). რუსეთშივე დაწერა მან თავისი ძირითადი შრომა "ლოგიკური რჩევა-დარიგებები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჭეშმარიტის მცდარისაგან განსხვავების შემეცნებას" (1815წ.). ის მოიცავს ლოგიკურ-გნოსეოლოგიური იდეების მთელ სისტემას. ამ ნაშრომის ლოგიკური საკითხების მეორე განყოფილება ეძღვნება ლოგიკის ისტორიას, რომელსაც ეწოდება "ლოგიკის ისტორიისა და მისი მთხზველების შესახებ". ეს მონაკვეთი შედგება 7 პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში მოცემულია ლოგიკის ისტორიის დაყოფა პერიოდებად. გამოყოფილია სულ სამი პერიოდი:

1) ლოგიკის წარმოშობიდან მეცნიერებათა დაცემის დაწყებამდე;
2) მეცნიერებათა დაცემიდან მათი განახლების დაწყებამდე;
3) მათი განახლების დაწყებიდან დღემდე (იგულისხმება XIX ს-ის პირველ ნახევრამდე).

უფრო თვალსაჩინო რომ იყოს სოლომონ დოდაშვილისა და პეტრე ლოდის ლოგიკის ისტორიების მიმოხილვის ხაზი, ჩვენ შევეცდებით მათ გადმოცემას პარალერულად. პ. ლოდისთან გამოყოფილია სამი პერიოდი. რაც შეეხება ს. დოდაშვილს: მის ნაშრომშიც – "ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა" – ერთ-ერთი თავი ეძღვნება "ლოგიკის მოკლე ისტორიას". ისიც შედგება 7 პარაგრაფისაგან. პირველი პარაგრაფი მთლიანად ეთმობა ლოგიკის ისტორიის პერიოდებად დაყოფას. ს. დოდაშვილს ექვსი პერიოდი აქვს გამოყოფილი:

1) ელეატი ძენონიდან არისტოტელემდე;
2) არისტოტელედან შუა საუკუნეებამდე;
3) შუა საუკუნეების ლოგიკა;
4) ბეკონიდან ვოლფამდე;
5) ვოლფის ლოგიკა;
6) კანტიდან ჩვენს დრომდე (XIX ს-ის I ნახევრამდე).

Ჰ. ᲚᲝᲓᲘ

§73. ᲚᲝ�გᲘᲙᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ

ამ პარაგრაფში ლოდი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მაშინ, როდესაც ბერძნებს შორის უკვე ჰყვაოდა ფიზიკური, ეთიკური და მათემატიკური მეცნიერებები, იმ წინააღმდეგობების გამო, რომელიც არსებობდა სისტემებსა და სხვადასხვა შეხედულებებს შორის, გაჩნდა ცნება ისეთი მეცნიერებისა, რომელიც იქნებოდა განმხილველი და განმსჯელი იმისა, თუ რა უნდა იყოს ჭეშმარიტი და რა – მცდარი.

ბერძნებს ლოგიკის ორი ფორმა ჰქონდათ, წერს ლოდი, ერთი – პერიპატეტიკული, მეორე – სტოიკური. მათგან პირველი, მაგრამ არასრული გაგება გასაკუთრებული ფილოსოფიური ნაწილისა, რომელსაც ექნებოდა უნარი აზროვნებისა და საგნების შემეცნებისა ჭეშმარიტებისა და მცდარობის შეგრძნებით, აღმოცენდა ელეატურ სკოლაში. თავიდან ლოგიკას უყურებდნენ როგორც სასწავლო მეტყველების ხელოვნებას ან როგორც საუბრის ხელოვნებას; ამის გამო ზოგიერთები მას დიალექტიკას უწოდებდნენ, ხოლო ციცერონი შემოკლებულ მჭევრმეტყველებას.

თვითონ ლოგიკის თვისებებმა გააკეთა ის, რომ ლოგიკა მალე იქცა (სოფისტური) ეშმაკური სიტყვების ხელოვნებად, რომელსაც შეეწინააღმდეგა სოკრატე, სოფისტების ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე. მართალია, სოკრატემ სრულყოფილად იცოდა და ესმოდა ლოგიკის თვისება, რომელიც უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტების მკვლევარი და სიცრუის მძლეველი; არ არსებობდა ცოდვა, რომელსაც სოკრატე არ აბრალებდა სოფისტებს; არ არსებობდა აზროვნების ისეთი ხელოვნება, რომლითაც არ ისარგებლებდა სოკრატე მათი, ე.ი. სოფისტების წინააღმდეგ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერების სახე არ მისცა მას, არ აქცია ის ჭეშმარიტისა და მცდარის გარჩევის უნარ-ჩვევად (წესად).

პირველი ბერძენი ფილოსოფოსები, რომლებმაც წესრიგში მოიყვანეს სწორი აზროვნების კანონები, იყვნენ პლატონი, ეპიკურე და არისტოტელე. პირველის ლოგიკა საუბრის რაღაც ხელოვნურ ხერხს წარმოადგენდა; მეორისა იწოდებოდა გონების კანონიკად და დიეთეტიკად; ხოლო მესამის ლოგიკა, რომელმაც ყველას გადააჭარბა, წარმოადგენდა მეცნიერული შემეცნების ორგანონს. თუკი არისტოტელეს ორგანონი იყო ის, რასაც ჩვენ დღეს წმინდა ლოგიკას ვეძახით, მაშინ ის შედგებოდა აზროვნების უნარის გარკვეული ანატომიისა და ფიზიოლოგიისაგან; პირველს საქმე ჰქონდა კატეგორიებთან, როგორც უზენაეს და ყველაზე ჩვეულებრივ საშუალებასთან აზროვნებისათვის, მეორე კი იკვლევდა აზროვნების უნარის მოქმედებებსა და მათ კანონებს. ლოგიკა, მიუხედავად ყველა იმ ცვლილებებისა ,რომელიც იყო პლატონთან, ეპიკურესა და არისტოტელესთან, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა საუბრის ხელოვნების ხარისხს. მაგრამ სტოიკოსები ქედმაღალი სოფისტიკისა და ერისტიკის მიზეზით, ანუ ეშმაკურსიტყვიერი უაზრო ლოგიკის მიზეზით, ლოგიკას წარმოადგენდნენ მეცნიერებისა და გონების კრიტიკის სახით, რომლის მეშვეობითაც ყველანაირ ზომებს მიმართავდნენ, რათა ეჩვენებინათ შესაძლებლობა მცდარისაგან თავის არიდებისა და ჭეშმარიტების შემეცნებისა იმისათვის, რომ სიბრძნის მოყვარული დაზღვეული ყოფილიყო შეცდომებისაგან და გაეგო ჭეშმარიტება. სტოიკოსების ლოგიკა იმდენად მიღებული იყო ძველ ფილოსოფოსებში, რომ თვით აკადემიკოსებიც სწავლობდნენ მას, თუმცა ამავე დროს მათი უდიდესი მოწინააღმდეგეები იყვნენ. ციცერონი სტოელების დოგმატების უმრავლესობას არ იღებდა, მაგრამ ლოგიკაში სტოელ მასწავლებელს იყენებდა. მაშასადამე, ბერძნებში და რომაელებში უპირატესობა ჰქონდა სტოიკურ და არა პერიპატეტიკულ ლოგიკას(5).

Ს. ᲓᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

§5. ᲔᲚᲔᲐᲢᲘ ᲫᲔᲜᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲔᲛᲓᲔ

ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ, ᲔᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐ, ᲡᲝᲤᲘᲡᲢᲘᲙᲐ

არისტოტელეს მოწმობით დიალექტიკის მამა უნდა იყოს ელეატი ძენონი; მაგრამ საფიქრებელია, რომ მან მხოლოდ განავრცო და გააუმჯობესა პარმენიდეს დიალექტიკა. ძენონის დიალექტიკა, როგორც ხელოვნება კითხვებითა და პასუხებით ბაასისა, დაკავშირებული იყო დიანასტიკასთან, რომლებიც დასკვნების შედგენასა და შედეგების გამოყვანას ასწავლიდა; ასევე იგი დაკავშირებული იყო ერისტიკასთან – დასკვნებში შეცდომის გამომჟღავნების ხელოვნებასთან. სრულებით ბუნებრივია, რომ ძენონის

მეთოდს, ბოლოს, უნდა მოჰყოლოდა სოფისტიკა, რომლითაც განსაკუთრებით სახელი გაითქვეს: პროტაგორამ, ევბულიდემ, დიოდორემ, კრონმა, სტილპონ მეგარელმა(2).

პ. ლ ო დ ი

§74. ლოგიკის მდგომარეობა მეცნიერებების დაცემიდან აღორძინებამდე

სტოიკური დიალექტიკა ჩვ.წ.აღ-ვით მესამე საუკუნემდე მეფობდა. რაც შეეხება ფილოსოფიის სხვა ნაწილებს, ერთნი პლატონს ემხრობოდნენ, მეორენი – არისტოტელეს; მაგ., ალცინიუსი, აპულეუსი, პლოტინი, ფავორინი პლატონიკოსები იყვნენ; ხოლო ალექსანდრე აფროდისიელი, ამონიუსი, თემისტიოსი, პორფირიუსი – არისტოტელიკები. ამ უკანასკნელმა არისტოტელეს ორგანონის საუკეთესო განმარტება გააკეთა. ეკლექტიკური ფილოსოფიის შემოსვლასთან ერთად ბევრი ცდილობდა თანხმობაში მოეყვანა არისტოტელესა და პლატონის მეცნიერება და ამით ვარდებოდნენ ყველაზე მავნე სინკრეტიზმში. ამავე დროს არისტოტელეს დიალექტიკამ, რომელშიც ვარჯიშობდნენ მეცნიერები, აყვავება დაიწყო. მოიძებნებოდნენ ჭკვიანი და განათლებული ადამიანები, რომლებიც მას ასწავლიდნენ. მათ შორის, როგორც ზემოთ ითქვა, სახელგანთქმულები იყვნენ ალექსანდრე აფროდისიელი, პორფირიუსი, თემესტიოსი, ამონიუსი და სიმპლიციუსი. სამეტყველო მეცნიერებების აყვავებული მდგომარეობის განადგურებით დაიწყო ბარბაროსობის ბატონობა. მაგრამ გოთების შემოსევისას, რომლებიც მეტისმეტად მძვინვარებდნენ არა მარტო ადამიანების, შენობებისა და ქალაქების წინააღმდეგ, არამედ მეცნიერებათა ძველი ძეგლების წინააღმდეგაც, მაშინაც კი არისტოტელეს დიალექტიკას ბატონობა არ დაუკარგავს, რადგან არაბები და სქოლასტიკოსები თავს არისტოტელეს კომენტატორებად აღიარებდნენ. მაგრამ რადგან არისტოტელეზე ცნობები მხოლოდ სუსტი თარგმანების მეშვეობით ჰქონდათ, მათ თავისი ცრუ განმარტებებით, უხეში გამონათქვამებითა და ბნელი ეშმაკური სიტყვებით კიდევ უფრო დაამახინჯეს ის. გარდა ამისა, არისტოტელემ თავის ორგანონში შექმნა ბევრი განსაკუთრებული წესი ზოგადი და ყველაზე უმარტივესი საწყისებისაგან; სქოლასტიკოსები კი ამ საწყისების უარყოფით მხოლოდ განსაკუთრებულ წესებს მიეჯაჭვნენ და გაუკუღმართებული განმარტებებით კიდევ უფრო გაამრავლეს ისინი. აქედან ის წარმოიშვა, რომ სქოლასტიკური დიალექტიკა გარეგნულად მარტო უხეშ სიტყვებს წარმოადგენდა, შინაარსობლივად კი ჩახლართულობასა და არათანმიმდევრულობას(5).

§75. (უსათაურო)

ფილოსოფიისა და ლოგიკის ამ მდგომარეობაში არაბებს შორის უძლიერესი დიალექტიკოსები იყვნენ ავიცენა და ავეროესი. სქოლასტიკოსებში კი – ლომბარდი, ლანფრანკი, ანსელმ კენტერბერიელი, თომა აქვინელი, რომელიც ერაზმ ოტერდამელისა და ქრისტიან ვოლფის აზრით საუკუნეზე მეტ ხანს ბატონობდა მეცნიერულ საყაროში. სქოლასტიკოსებში იკვეთება ორი ძირითადი მიმდინარეობა – ნომინალისტებისა და რეალისტების. პირველები თვლიან, რომ ზოგადი საგნები არ არსებობენ ჩვენი გონების გარეთ, არამედ მხოლოდ ერთეული საგნებისაგან განყენებით აისახება და აღინიშნება სახელით. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ზოგადი ნივთები ნამდვილად არსებობენ ჩვენი გონების გარეთ. ნომინალისტებში უმთავრესად ითვლებიან: როსცელინი, რობერტ პარიზელი და არნულფ ლუგდუნელი; რეალისტებში კი – თომა აქვინელი, დუნს-სკოტი, უილიამ ოკამი და სხვ. (5).

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი

§6. არისტოტელედან შუა საუკუნეებამდე ლოგიკა ღებულობს სისტემის სახეს: სილოგისტიკა

(სტატიის ფორმატიდან გამომდინარე ს. დოდაშვილთან ეს და მომდევნო პარაგრაფები მოცემული იქნება შემოკლებული სახით).

პლატონმა საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა ლოგიკისათვის; მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მაინც უსისტემოდ რჩებოდა. არისტოტელემ პირველმა განსაზღვრა მისი არე და დაალაგა იგი მეცნიერული სახით. ამიტომ მას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ლოგიკის მამა. მისი ლოგიკა, კანტის აზრით ისე სრულია, რომ პერიპატეტიკოსთა დროიდან მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. ლოგიკის შესახებ არისტოტელეს ნაწარმოებებიდან, რომელთა რიცხვიც 80-მდე, ან, როგორც სხვები ფიქრობენ, 123-მდე აღწევდა, მხოლოდ 16 დარჩა, სახელდობრ: ერთი წიგნი შემასმენელებზე, ერთი წიგნი

განმარტებაზე, 4 წიგნი ანალიტიკაზე, 8 წიგნი ტოპიკაზე, 2 წიგნი სოფიზმების ამოხსნაზე; ამ უკანასკნელ წიგნებში იგი მსჯელობს სილოგიზმებზე... სილოგიზმების სახეობებზე და დასკვნის ცთომილებაზე; მაგრამ სილოგიზმების თეორიაში მას არ მოუხსენიებია მეოთხე ფიგურა და პირობითი სილოგიზმი.

არისტოტელეს ყველა თხზულება ლოგიკის შესახებ ერთობლივ ცნობილია ორგანონის სახელწოდებით... არისტოტელეს ნაწარმოებებიდან ლოგიკის შესახებ უკანასკნელი, ალბათ, არის მოძღვრება კატეგორიებზე, ე.ი. უმაღლეს გვარეობითს ცნებებზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე... არისტოტელე არსად არ იხსენიებს იმ გზას, რომელმაც იგი კატეგორიების აღმოჩენამდე მიიყვანა, მაგრამ ადვილად შეიძლება მივხვდეთ, რომ მან მიაღწია ყოველივე ამას გზის გამკაფავი საწყისის გარეშე, ხელმძღვანელობდა რა მარტოოდენ განყენებით; ამასთან კატეგორიათა რიცხვი, რომელთაც ის გვაწვდის, ათია: არსება, რაოდენობა, თვისებრიობა, მიმართება, ადგილი, დრო, მდგომარეობა, მფლობელობა, მოქმედება, ვნებითობა.

არისტოტელეს ლოგიკის არსებითი ნაწილები კი შემდეგია: 1) ანალიტიკა,... 2) დიალექტიკა... პირველი ფილოსოფიისათვის იარაღია, მეორე – მისი მომზადება; ამიტომაც დასკვნისა და დასაბუთებათა თეორია შეადგენს პერიპატეტიკული ლოგიკის ორ მთავარ საგანს, და, ორივე საუცხოოდ დამუშავებულია თავისდაკვალად. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, უეჭველია ის, რომ სტაგირელი ფილოსოფოსის სახელის უდიდესი და უკვდავი ძეგლია მისი ლოგიკა.

თეოფრასტეს, არისტოტელეს მოწაფეს, თვლიან პირველი ფიგურის ხუთი სახის სილოგიზმის გამომგონებელად; ქრიზიპემ, სტოიკოსმა, მოგვაწოდა წესები პირობითი სილოგიზმისათვის, და ბოეციუსმა, რომელმაც პირველმა თარგმნა ლათინურ ენაზე არისტოტელეს წიგნები, დაურთო მას პირობითი სილოგიზმიც; ექიმმა გალენმა, რომელიც მეორე საუკუნეში ცხოვრობდა ქრ. დაბ. შემდეგ, ხმარებაში შემოიღო მეოთხე ფიგურა; მაგრამ პორფირიუსმა ყველაზე მეტად სამსახური გაუწია არისტოტელეს ლოგიკას თავისი შრომით – კატეგორიების შესავალი(2).

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი

§7. შუა საუკუნეების ლოგიკა

სქოლასტიკური

გონების მისწრაფება იმისაკენ, რომ შეიცნოს თავისთავადი და შეუთანხმოს გონების ჭეშმარიტებანი ქრისტიანული ღვთისმეტყველების ჭეშმარიტებებს, დიალექტიკურ (გამოსახულებათა) საფუძველზე – აი ესაა შუა საუკუნეების ფილოსოფიის დედაარსი! რაც უფრო მხურვალე იყო ეს სწრაფვა, მით უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ამ მიზანთან მიმყვან საშუალებებს; ეს საშუსლებები კი ყველა თავს იყრიდა დიალექტიკაში, ასე რომ სქოლასტიკური ფილოსოფია სხვა არაფერი იყო, თუ არა მაშინდელი ღვთისმეტყველებისათვის გამოყენებული დიალექტიკა. ვარჯიშობა უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ ისმებოდა საკითხები, რომელთა დასაცავად ან გასაბათილებლად ეწყობოდა პაექრობა. ეს მეთოდი უადრეს კაზუისტიკამდე იყო მიყვანილი პარიზის უნივერსიტეტში. ამ სარბიელზე უმთავრესად თავი ისახელეს: აბელიარმა, დურანდმა, ოკამ უძლეველმა და პეტრე რამმა; უკანასკნელმა ლოგიკა გაყო ორ ნაწილად: ა) გამოგონების შესახებ და ბ) განლაგების შესახებ(2).

პ. ლ ო დ ი

§76. ლოგიკის მდგომარეობა მეცნიერებების აღზევებიდან ჩვენს დრომდე.

XIV და XV სს-ში მეცნიერების აღზევება იწყება ძირითადად იმიტომ, რომ ადამიანებმა დაიწყეს ბერძნული და ლათინური ენების სწავლა რათა გაცნობოდნენ მეცნიერებებს პირველი წყაროებიდან და აღედგინათ მაღალი გემოვნება(5).

§77. ლოგიკის გასწორების პირველი ცდები დაიწყო XV-XVI სს-ში.

როცა დაიწყო ბერძნულ-რომაული სიბრძნის უხვი წყაროების გახსნა და კარგი გემოვნების გაძლიერება, მაშინ გაიღვიძა სურვილმა და განზრახვამ ლოგიკის სავალალო მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. პირველი, ვინც ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, იყო რეიმონდ(?) ლულიუსი, რომელმაც დაწერა წიგნი "დიადი ხელოვნება". მართალია ამ ნაშრომმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო მის განზრახვას, მაგრამ ამავე დროს ისიც გააკეთა, რომ სქოლასტიკური ლოგიკის სიმახინჯე უფრო გამოჩნდა. ლოგიკის ნამდვილი

და პირველი გამსწორებლები იყვნენ ლავრენტი ვალლა, რუდოლფ აგრიკოლა, ერაზმ როტერდამელი, იაკობ ფაბერი, მარიუს ნიზოლიუსი, ფილიპ მელანხტონი და ლუდოვიკო ვივესი. ყველასგან გამოირჩეოდა პეტრე რამი, ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე არა ჭეშმარიტების, არამედ არაბული და სქოლასტიკური არისტოტელესი. ის ცდილობდა დიალექტიკა გაეთავისუფლებინა სქოლასტიკური უხეშობისა და სიბნელისაგან, ექცია ის ზოგადსაკაცობრიოდ და დაებრუნებინა ძველი სისადავე(5).

§78. ლოგიკის გასწორების მცდელობები (ძალისხმევა) გაცილებით წარმატებული იყო XVII-XVIII-XIX სს.-ში.

1) ყველა ისინი, ვისი შრომებიც ლოგიკის გასწორებაში იმ დროს წარმატებული იყო, არიან ნაწილობრივ ინგლისელები და ფრანგები, ნაწილობრივ იტალიელები და გერმანელები. XVII ს-ში ინგლისში ბეკონ ვერულამელი ლოგიკას წერდა სათაურით: "ახალი ორგანონი". მისი ლოგიკის მიზანი იყო დაკვირვების უნარის გამოწვევა (აღძვრა) და მისი ხელმძღვანელობა. მაშასადამე ის სრულყოფილ ლოგიკას არ წარმოადგენდა. სახელგანთქმული პუბლიცისტი ჰობსი ლოგიკას წერდა სახელწოდებით: ჩომპუტატიონეს; ლოკმა დაწერა წიგნი ადამიანის გინების შესახებ, რომელსაც კანტი ადამიანის შემეცნებითი უნარის ფიზიოლოგიას უწოდებს. ფრანგებიდან პეტრე გასენდმა დაწერა ლოგიკური რჩევა-დარიგებები (Iნსტიტუციონეს ლოგიკას), ხოლო კარტეზიუსმა რინციპია ჰილოსოპჰიაე. კარტეზიუსს ჰყავდა მიმდევრები და მათ შორის სახელგანთქმულები: ნიკოლაი მალბრანში, ანტონიუს ლე გრანდი, იოჰან გლაცბერგი და ბოლოს დიუგამელი. გერმანელებს შორის ამ პერიოდში აღსანიშნავია ჩირნგავზენოვის ედიცინა მენტის და ლაიბნიცის გამოკვლევები ადამიანური გონების შესახებ,როგორც ლოკის ლოგიკის კრიტიკა. სხვათაშორის ერჰარდ ვაიგელი და ტომაზიოც წერდნენ ლოგიკას.

2) XVIII სი-ს დასაწყისში გამოიცა ლოკის შემოკლებული თხზულება "გონების ხელმძღვანელობა". ახლა ვატსისა და დუნკანსის ლოგიკას იყენებენ ინგლისში, რომლებიც არა ერთხელ იქნა დაბეჭდილი. საუკეთესოა იტალიელების მიერ შექმნილი ლოგიკა. მათ შორის ერთი იაკობ ფაქჩიოლანტისა ლათინურ ენაზე, ხოლო მეორე ალბერტ დე სორისა იტალიურ ენაზე.

არ არსებობს ერი, რომელსაც ამდენი და ასე წარმატებული ლოგიკოსები წარმოეჩინა, ვიდრე გერმანიამ.

ლაიბნიცის მიმდევრები:

ალექსანდრე გოტლი – ვოლფის გერმანული და ლათინური ლოგიკა; ბაუმგარტენი – ცროასის ოგიცა, რომელზედაც მაიერმა დაწერა გერმანული განმარტებები, ხოლო მოიყვანა სისტემაში ლათინურ ენაზე(5).

ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი

§8. ბეკონიდან ვოლფამდე

ლოგიკა თანდათან იწმინდება და მეტად ვიწრო საზღვრებში ექცევა. ბეკონმა სილოგიზმების ადგილას წამოაყენა ინდუქცია და გვიჩვენა, რომ ის ცრურწმენანი, რომლებსაც იგი გონების კერპებს უწოდებს, შეიცავენ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებებს ცოდნისათვის. შუა საუკუნეების შემდეგ მან პირველმა გვიჩვენა, რომ ადამიანის ყოველი ცოდნა მდგომარეობს ჩვენი გარემომცველი საგნების გამოკვლევაში; მან უარყო არისტოტელესეული ანალიტიკა; შემოსაზღვრა ლოგიკა შთაბეჭდილებათა მეშვეობით ჩვენი ცნებების წარმოშობისა და ამ ცნებებისაგან ცოდნათა შედგენის განხილვით. ბეკონს გაჰყვნენ: გერმანიაში – იოანე ბაიერი თავის თხზულებაში სათაურით გონებათა სინათლე (Lux mentium sev synosura,1663); იტალიაში – თომა კამპანელი; საფრანგეთში – გასენდი, რომელიც ცდილობდა მკვდრეთით აღედგინა ეპიკურე საუკეთესო სახით და, მაშასადამე, ასწავლიდა ცდის მიხედვით მსჯელობას; ... კარტეზიუსს თუმცა ლოგიკა არ დაუწერია საგანგებოდ, მაგრამ მისი მსჯელობა ჭეშმარიტების ძიებისათვის გონების წარმართვის წესის შესახებ ყურადღების ღირსია. ამ მწერლებმა ხმარებაში შემოიღეს მათემატიკური მეთოდი. ... მალებრანშსა და ლოკს განსაკუთრებულად ლოგიკის შესახებ არ დაუტოვებიათ ნაწარმოებები, მაგრამ ლოკმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ლოგიკას ცნებათა თეორიის გაშლით; იგი, უწინარეს ყოვლისა, გვიჩვენებს მათ წარმოშობას, შემდეგ მათ შედგენასა და დაშლას, მერმე გამოხატვას და დასასრულ განსაზღვრავს ჩვენს ცოდნას, მის თვისებას, მოცულობას,

ნამდვილობას, – ერთი სიტყვით, ჭეშმარიტების განმასხვავებელ ნიშნებს იძლევა. კლერიკმა, ლოკის ერთგულმა მიმდევარმა, თავისი ლოგიკა ოთხ ნაწილად გაყო, რომელთაგან პირველ ნაწილში იგი განმარტავს იდეებს, მეორეში – მსჯელობებს, მესამეში – მეთოდს, მეოთხეში – დასკვნებს. გერმანიაში ქრისტიანე თომაზიუსს არ მიუტოვებია ეკლექტიკური გზა თვით ლოგიკაშიც; ... კონდილიაკს, რომელმაც ლოკის მხარე დაიჭირა, არ შეეძლო შეჩერებულიყო იმაზე, რაც მის დრომდე გაკეთდა. მას სურდა თვითონ, საკუთარი გამოცდილებით, შეემოწმებინა ლოგიკის დაკვირვებანი და დაწვრილებით გამოეკვლია ჩვენი გონების ძალები. ... კონდილიაკის ლოგიკა სამუდამოდ დარჩება სახელმძღვანელოდ დაკვირვებული გონების მქონეთათვის(2).

§9. ვოლფის ლოგიკა

ვოლფი ცდილობდა გადმოეცა ლოგიკა მათემატიკურად, აეხსნა უმაღლეს მეცნიერებათაგან ნასესხები მაგალითებით და სიცხადისა და სრულყოფილების შესაძლო სიმაღლემდე აეყვანა. რეიშმა შეაერთა ძველთა შენაძენი იმასთან, რაც ვოლფმა ამ სარბიელზე შექმნა. ბაუმგარტენის ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა ვოლფიდან და რეიშიდან ამონაკრეფი. გეორგ ფრ. მაიერის, გოლიანის და პლუკეს თხზულებებმა დიდად შეუწყო ხელი ლოგიკურ ჭეშმარიტებათა ნათელ გადმოცემას(2).

კანტიდან ჩვენს დრომდე

§10. კრიტიკული ფილოსოფიის მიერ გაწმენდილი და დადგენილი ლოგიკა

რადგან ლოგიკის საგანს მეტად ახლო დამოკიდებულება აქვს ჩვენი სულის უნარიანობასთან, ამიტომ ზოგიერთი უახლესი ფილოსოფოსი აერთებდა ლოგიკასა და ფსიქოლოგიას, ამ მეცნიერებათაგან პირველის მეტი ადვილადგაგებისა და სიცხადისათვის. ასეთ ყაიდაზეა დაწერილი ფედერისა და ულრიხის დარიგებანი ლოგიკისა და მეტაფიზიკის შესახებ. კანტის გამჭრიახმა გენიამ ახალი სახე მისცა გონებისმეტყველებას და მტკიცე საზღვრები დაუდო მას; მან დაამტკიცა გონების კანონების წარმოშობა გონებისეული და არა ცდისეული წყაროდან; წარმოგვიდგინა კატეგორიათა სათანადო და სავსებით სრული ცხრილი; აღმოაჩინა ლოგიკის ჭეშმარიტი ღირსება და მისი წესების გამოყენების საზღვრები. გოტლ, ვენ. იეშემ კანტის თხზულებებიდან და უმთავრესად მაიერის შესახებ მისი შენიშვნებიდან, შეადგინა და 1800 წელს კენიგსბერგში გამოსცა ლოგიკა. კიზეველტერმა წარმოგვიდგინა ესოდენ ცნობილი ნარკვევი წმინდა საყოველთაო ლოგიკისა კანტის საფუძვლების მიხედვით ბერლინში 1795 წელს. ... იაკობის, რაინჰოლდის, შულცის, ჰოფბაუერის, კრუგის, ბულეს, ბუტერვეკის და სხვათა შრომები მუდამ მიიპყრობენ ყურადღებას.

(პირველ რიგში გვინდა შევნიშნოთ, რომ პარაგრაფების მითითებული ნუმერაცია აღებული გვაქვს უშუალოდ წყაროებიდან. ჩვენ თავი შევიკავეთ პარაგრაფების თვითნებურად დალაგებისაგან).

ნაშრომის მიზანი იყო, როგორც ზემოთ იყო მითითებული, გვეჩვენებინა, იქონია თუ არა გავლენა პ. ლოდის მიერ შედგენილი ლოგიკის ისტორიის მოკლე კურსმა ს. დოდაშვილის მიერ აღწერილი ლოგიკის ისტორიის კურსის შედგენაზე. მოცემული მასალებიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, არა. ჯერ ერთი, ს.დოდაშვილის "ლოგიკის მოკლე ისტორიაში" გამოყოფილია ექვსი პერიოდი და შესაბამისად ექვსი პარაგრაფი (მოცემულ შემთხვევაში დაკონკრეტებული გვაქვს პარაგრაფებისა და პერიოდების სათაურების შესაბამისობა): 1) ელეატი ძენონიდან არისტოტელემდე (დიალექტიკა, ერისტიკა, სოფისტიკა) – §5; 2) არისტოტელედან შუა საუკუნეებამდე (ლოგიკა ღებულობს სისტემის სახეს : სილოგისტიკა) – §6; 3) შუა საუკუნეების ლოგიკა (სქოლასტიკური) – §7; 4) ბეკონიდან ვოლფამდე – §8; 5) ვოლფის ლოგიკა – §9; 6) კანტიდან ჩვენს დრომდე (კრიტიკული ფილოსოფიის მიერ გაწმენდილი და დადგენილი ლოგიკა) – §10. (როგორც ვხედავთ, პერიოდებისა და პარაგრაფების რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა).

პ. ლოდის ნაშრომი "ლოგიკის ისტორიისა და მისი შემქმნელების შესახებ", როგორც თვითონ ავტორი გვამცნობს, იყოფა სამ პერიოდად – §72; 1) ლოგიკის მდგომარეობა მისი წარმოშობიდან მეცნიერებათა დაცემის დაწყებამდე – §73; 2) ლოგიკის მდგომარეობა მეცნიერებათა დაცემიდან მათ აღორძინებამდე – §74, §75; 3) ლოგიკის მდგომარეობა მეცნიერებათა აღორძინებიდან დღემდე (მე-19 ს-ის პირველ ნახევრამდე) – §76, §77, §78.

ბოლო პარაგრაფში გამოყოფილია ორი მონაკვეთი. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს მოკლე მიმოხილვა სათაურით "ლაიბნიცის მიმდევრები".

როგორც ვხედავთ, ტექსტების პარალელური შედარება საკმაო საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ დავასკვნათ: ს. დოდაშვილის "ლოგიკის მოკლე ისტორია" ლოგიკის ისტორიის დალაგების პირველ ცდას წარმოადგენს ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში(2).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეჟანიშვილი მ., მჭედლიშვილი ლ., ლოგიკა საქართველოში, თბ., 1995.
2. დოდაშვილი ს., თხზულებანი, თბ., 1989.
3. მენთეშაშვილი ლ., შეროზია ნ., მე-19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები, თბ., 2013.
4. Каландаришвили Гр. М., Очерки по истории логики в грузии, Тб., 1955.
5. Лодий П. Д., Логические наставления, руководствующие к познанию и различению истинного от ложного, СПб.,1815.

ნაირა ბერია

ლოგიკის ისტორიის პირველი დამოუკიდებელი ქართველი ავტორი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია პეტრე ლოდისა და სოლომონ დოდაშვილის ლოგიკის ისტორიის ტექსტების პარალელური შედარება. ეს დაგვჭირდა იმის დასადგენად, რომ თამამად გვეთქვა: სოლომონ დოდაშვილის "ლოგიკის მოკლე ისტორია" ლოგიკის ისტორიის დალაგების პირველ დამოუკიდებელ ცდას წარმოადგენს ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. სოლომონ დოდაშვილის შემდეგ მხოლოდ 1955 წელს გამოვიდა ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ლოგიკის ისტორიაში გრიგოლ კალანდარიშვილის ავტორობით.

Naira Beria

The First Independent Georgian Author of History of Logic

Summary

In article is given parallel comparison of text histories of Logic by Peter Lody and Solomon Dodashvili. The given comparison was necessary for on establishment of the following fact "The Brief history of Logic" is thought to be the first independent attempt in the history of Georgian philosophical idea. After S.Dodashvili only in 1955 year one of the first works on history of Logic has been published.

Наира Бериа

Первый независимый грузинский автор истории логики

Резюме

В статье дано параллельное сравнение текстов по истории логики Петра Лодия и Соломона Додашвили. Данные сравнения понадобились для установления следующего факта: «Краткая история логики» С. Додашвили представляет первую в грузинской философской мысли независимую попытку систематизации истории логики.

После С. Додашвили только в 1955г. была издана одна из первых работ по истории логики (автор Г. Каландаришвили).

ნათია ბებიაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილია ჭავჭავაძე – გაბრიელ ქიქოძის ღირსების დამცველი

1896 წელს გაზეთმა „ივერიამ“ ფართო საზოგადოებრიობას აუწყა დიდი მღვდელმთავრის, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის გარდაცვალება. ღირსეულად უჭირისუფლა „ივერიის“ რედაქციამ განსვენებულს. „ივერიის“ ფურცლებზე დაწვრილებით გაშუქდა სამგლოვიარო დღეთა ამსახავი ინფორმაცია, გაბრიელის სულისთვის აღვლენილი პანაშვიდებიც კი...

„შაბათს, 3 თებერვალს, ქ.შ.წ.კ.გ.ს-ის გამგეობისგან ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი... პანაშვიდს დაესწრნენ როგორც წევრნი ამ საზოგადოებისა, ისე მრავალი გენერლობა, მოღვაწენი“(1).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდში იყრიდა თავს გაბრიელის სახელზე შესული შემოწირულობები, რომლებიც, საბოლოოდ, ეროვნულ საქმიანობას მოხმარდებოდა, საზოგადოების თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის ზედამხედველობითა და მზრუნველობით.

უამინდობის გამო დაკრძალვა ძალზედ გაჭიანურებულა. ქუთაისში, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე საქართველოს ყველა კუთხიდან და დაწესებულებიდან გაიგზავნა დეპუტაციები. „თბილისელი დეპუტატები ერთად შევიყარეთ მატარებელში. იქ იყვნენ ილია, ლევან ჯანდიერი, ნიკო ღოღობერიძე, ივ. რატიშვილი, ანდრია ღულაძე და სხვები“, – ნათქვამია ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებში(5).

დაკრძალვაზე სიტყვა უნდა წარმოეთქვა ილიასაც. პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობას დაევალა, თვალყური ედევნებინა ილიასთვის. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს: „ამ გარემოებას ილია და ჯანდიერი შეუშფოთებია. საჭიროა თუ არა ამის შემდეგ ილიამ წარმოსთქვას სიტყვა? შეიძლება ამან პატივისცემის მაგიერ უსიამოვნება გამოიწვიოს, რაც არ ეგების გაბრიელის სახელსო... ამასობაში საღამომ მოაღწია... მე წინდაწინ მივედი, გავთიშე ცოტად ხალხი და ხმამაღლა ვთქვი: ბატონებო, ცოტა ჩამოდექით, გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს სიტყვა აქვს სათქმელი. ხალხი გაიშალა. ილია წამოდგა წინ და დაიწყო სიტყვა, რომელსაც დიდი ყურადღებით უსმენდა ეკლესიაში გაჭედილი ხალხი“(5).

გაბრიელ ქიქოძის გარდაცვალება მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ქართველობისთვის. ამიტომაც იქცა დაკრძალვა საყოველთაო გლოვის გამოხატულებად, გაბრიელ ეპისკოპოსი კი ქართველობის ღირსების სიმბოლოდ. ეს დანაკლისი მით უფრო საგრძნობი და მტკივნეული იყო ილიასთვის. „საქართველომ, – ილიას თქმით, – დაჰკარგა ერთი იმისთანა დიდებული კაცი, რომელიც არამცთუ ჩვენში, საცა ასე იშვიათია კაცური კაცობა, სხვაგან ყველგანაც, საცა დიდბუნებოვნება ადამიანისა ხშირია, იქაც კი ამისთანა კაცი სასახელოა და თავმოსაწონებელი მთელის ერისათვის“.

ამიტომაც გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე ილია ხონელს და უპასუხოდ არ დაუტოვებია ის ღვარძლიანი ტონი, რომლითაც გაუღენთილი იყო ხონელის მიერ გამოქვეყნებული გაბრიელის ნეკროლოგი(2).

ილია ჭავჭავაძის ხელმოუწერელი საპასუხო წერილები დაიბეჭდა „ივერიაში“ (1896 წელი, №29-№32). ამ სტატიებზე, თავის დროზე, ყურადღება გაამახვილა ბატონმა სიმონ სხირტლაძემ და დაადგინა: აღნიშნული წერილები წერის მანერითა და აზრის სიღრმით აშკარად ეკუთვნის ილია ჭავჭავაძესო(6).

ჩემი მხრივ კი დავამატებ მხოლოდ იმას, რომ ილია ხონელის (ბახტაძის) ვიწრო ადამიანურმა ინტერესებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, რაზეც მეტყველებს მისი წერილები მიწერილი „კვალის“ რედაქტორისა და ილია ჭავჭავაძისადმი(3):

„ქ-ნო რედაქტორო

... „ივერიის“ რედაქტორის გამოლაშქრებამ მე სრულიად უიარაღოთ დამტოვა. მასმენენ და მაბეზღებენ ქართველ საზოგადოებასთან... რადგანაც მე კარგად ვიცნობ ჩემ

მოპირდაპირეს და არავითარ რაინდულ ქცევას მისგან არ ველი... უმორჩილესად გთხოვთ, მისცეთ მას ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში“.

ილია ხონელი

ფრაგმენტი ილია ჭავჭავაძისადმი მიწერილი წერილიდან:

„ამგვარი საქციელი თქვენგან „არ ახალია!“ უაზრო სიტყვების წამოსროლა, გაფანატიკოსებული წასევა და წაქეზება, ეს ხომ თქვენი იარაღია, რომლის ხმარებაში არა გყოლიათ და არც გეყოლებათ ბადალი... დეე, ისევ საზოგადოებამ დააფასოს თქვენი ქცევა, მოგისაჯოთ ჯეროვანი განაჩენი. მანვე გადასწყვიტოს, რა სახელი ჰქვია მწერალს, რომელიც ვეებერთელა წერილიდან ამონაგლეჯ ორიოდე სტრიქონზე ამყარებს ჯაშუშური სიმარჯვით გამოკვანძულ ბრალდებას...

თქვენი არა პატივისმცემელი ილია ხონელი (იგივე ბახტაძე)

თუმცა, ამ დაპირისპირებაში ილია ხონელი ისევე დამარცხდა, როგორც მამამისი – მღვდელი ლუკა ბახტაძე გაბრიელ ქიქოძესთან მომხდარი ინციდენტისას, რაც უშუალოდ დაედო საფუძვლად ხონელის ღვარძლიან ნეკროლოგს.

აქვე ინტერესმოკლებული არ იქნება, გაგაცნოთ ილია ხონელის (ბახტაძის), თუ შეიძლება ასე ითქვას, სეხნიის – ილია ბახტაძის ერთი მოგონება. ეს უკანასკნელი გახლდათ სტამბის მუშა, რომელმაც საკუთარი მოგონებები მიიტანა თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში. მოგონებები დათარიღებულია 1958 წლით:

„ახლა მოკლედ შევეხები ჩემ მოგონებებში, რამ გამოიწვია ილია ჭავჭავაძის უკმაყოფილება და დანდურება ილია ბახტაძესთან. ილია ბახტაძეს ყავდა მამა მღვდელი ლუკა... რომელთანაც იმერეთის ეპისკოპოზ გაბრიელს (ქიქოძეს) ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის გარშემო მდებარე საუკეთესო მიწის ნაკვეთის მითვისებისათვის და კიდევ სხვა საქმეზედაც დიდი უკმაყოფილება მოუვიდა, რისთვისაც მან ლუკა ბახტაძე მღვდლობიდან გადააყენა. ამ ნიადაგზე ილია ბახტაძე–ხონელმა გინება დაუწყო გაბრიელ ეპისკოპოზს, დაწერა რუსულ ენაზე შესანიშნავი იუმორისტული წიგნი (ეს წიგნი ახლაც დაცული აქვთ თავის წიგნთსაცავში ილია ბახტაძის-ხონელის დის შვილებს, რომლებიც თბილისში, ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობენ) ასეთი სათაურით „იმერეტინსკი კატერ“ – იმერული ჯორი“, სადაც გამოყვანილი ყავდა იმერულ ჯორად გაბრიელ ეპისკოპოზი, რომელსაც დიდათ აფასებდა ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველი ერის და კულტურის დიდ მოამაგეს. ეს იწყინა ილია ჭავჭავაძემ და ამის გამო ჩამოვარდა უსიამოვნება ილია ჭავჭავაძესა და ილია ხონელს შორის“(4).

ილია ხონელის ეს ფელეტონი – „იმერული ჯორი“ დაიბეჭდა გაზეთებში – „კავკაზსა“ და „ნოვოე ობოზრენიეში“. სხვათა შორის, ქვეყნდებოდა მისი „ესკიზები და ეტიუდებიც“, რომელიც ბოლოს და ბოლოს კრებულადაც გამოიცა.

ასე იყო თუ ისე, ილია ჭავჭავაძისა და ილია ხონელის დაპირისპირება იმდროინდელი საზოგადოების ყურადღების არეალში მოექცა. ამაზე მეტყველებს გიორგი თუმანიშვილის მოგონებაც: „საქმე ის არის, რომ ხონელი სწორედ ამ დროს (იგულისხმება 1891 წელი) აწარმოებდა „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე მწვავე ბრძოლას გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგ, რომელიც ძალიან პოპულარული იყო მოწინავე ქართულ საზოგადოებაში. ახალი რედაქცია არ უთანაგრძნობდა ამ კამპანიაში ხონელს და ვერ აძლევდა სრულ თავისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით“(6,19).

ილია ხონელის მცდელობას, ჩრდილი მიეყენებინა გაბრიელისთვის, უშედეგოდ არ ჩაუვლია. ეს ახირება მას ჯერ კიდევ 1891 წლიდან „დასჩემდა“, რამაც 1896 წლის ნეკროლოგშიც იჩინა თავი.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, ის, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც გამოხატავდა ქართული საზოგადოების ჯანმრთელი ნაწილის პოზიციას. თუმცაღა, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცნობილი ქართველი მწერლისა და კრიტიკოსის, გერონტი ქიქოძის წინააღმდეგობრივი შეხედულებაც, რამაც შესაძლოა, თანამედროვე მკითხველისა და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა ერთგვარი დაბნეულობაც

გამოიწვიოს. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, გერონტი ქიქოძე შენიშნავს: „ქართველ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ილია ხონელის წერილმა, რომელიც მან 1896 წელს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების გამო დასწერა... ამ წერილს განსაკუთრებით გააფთრებით შეხვდა გაზეთი „ივერია“... ეს გააფთრება დღეს სრულიად უსაფუძვლოდ გვეჩვენება... ამ დებულებამ (საუბარია გაბრიელ ქიქოძის დესპოტურ ხასიათზე, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა ი. ხონელი გაბრიელის ნეკროლოგში), რომელიც შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ არ არის შეურაცხმყოფელი, ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში გამოიწვია აღშფოთება, რომელიც დღეს, ცოტა არ იყოს, გაუგებრად გვეჩვენება“(7).

ცოტა არ იყოს, ძნელი გასაზიარებელია გერონტი ქიქოძის ეს შეხედულება ისევე, როგორც მისივე გადაჭარბებული შეფასება ილია ხონელის ნეკროლოგისა, რომელიც თითქოსდა „შეუდარებლად მაღლა სდგას ივერიაში მოთავსებულ ნეკროლოგებზე“. იქნებ, მართლაც ღირდეს ილია ხონელის პუბლიცისტურ ნიჭიერებაზე საუბარი, მაგრამ შეფასების ამგვარი მეტ-ნაკლებობა ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ილია ჭავჭავაძისეულ პოლემიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ივერია“, 1896, №29.
2. გაზეთი „კავკაზი“, 1896, №33.
3. გაზეთი „კვალი“, 1896 წ, №8.
4. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, შწ 911).
5. ლიტერატურული მატიანე, წიგნი VI, ნაკვეთი I, 1950.
6. სხირტლაძე ს., გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965.
7. ქიქოძე გ., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1938.

ნათია ბებიაშვილი

ილია ჭავჭავაძე – გაბრიელ ქიქოძის ღირსების დამცველი

რეზიუმე

გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფია და შემოქმედება ცნობილია მკითხველი საზოგადოებისა და, ზოგადად, მკვლევართათვის. თუმცა, ხშირად ყურადღების მიღმა რჩება მათი პირადი ურთიერთობები. არადა, ამგვარი ფაქტები კიდევ უფრო მეტად ავსებს და ამდიდრებს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მრავალმხრივ მოღვაწეობას, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ ეპოქის სრულფასოვან შეფასებას.

Natia Bebiashvili

Ilia Chavchavadze –Defendant of Gabriel Kikodze's Honour

Summary

The works and biographies of the writers and public figures is widely known to the public and the researchers. Nevertheless, quite often, their private relationships are left behind the general attention and study. It is noteworthy that such facts can significantly enrich the works in many respects, and provide good grounds for comprehensive evaluation of the period.

Натия Бебиашвили

Илья Чавчавадзе – защитник чести Габриела Кикодзе

Резюме

Жизнь и творчество выдающихся писателей и общественных деятелей известны иследователям и общественности, но очень часто в тени остаются факты их личных отношений которые обогощяют и дополняют представление о многосторонней деятельности и способствуют полноценной оценке той или иной эпохи.

ელენე ზურაბაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ისტორია აწმყოს თანაშემწეა

ადამიანებს მუდამ სჭირდება მისაბაძი იდეალი, ვინც ამაღლებულსა და მარადიულ ფასეულობებს იზიარებს. ამგვარი გმირები ცხოვრებიდან მოდიან ლიტერატურაში, ზოგჯერ მრავალ გმირულ სახეთაგან ერთ იერსახედ გამოკვეთილნი და განზოგადებულნი. ეს იდეალები ცოცხლობენ და იმარჯვებენ.

ალექსანდრე კალანდაძის ისტორიულ რომანებში ძირითადი სიუჟეტური ხაზი შიდა პოლიტიკურ ბრძოლას უკავშირდება. ერის პოლიტიკურ კრახს შინაური გათიშვა და ზნეობრივი დეგრადაცია იწვევს. გარეშე მტერი შედეგია ხშირად და არა მიზეზი. განდგომილებისა და ეროვნული დაქუცმაცებულობის ტრაგედია განსაკუთრებული სიმწვავითაა გადმოცემული მწერლის ისტორიულ რომანებში.

ალექსქნდრე კალანდაძე როგორც თავისი შემოქმედებით, ისე მთელი არსებით, საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის იდეის შთამაგონებელი იყო. მისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ინტერესები სამშობლოს–საქართველოს მომავალთან იყო დაკავშირებული. ეს მომავალი მას სწორედ თავისუფალი , მთლიანი საქართველოს სახით წარმოედგინა.

“გარდამოხსნა” ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. იგი ალექსანდრე კალანდაძის ისტორიული ტრილოგიის მესამე რომანია. მწერალს ბიოგრაფიული მასალა საშუალებას აძლევდა სიუჟეტური ხაზი კონკრეტულ ფაქტებზე აეგო. “გარდამოხსნა” მიზნად ისახავს ისტორიული და ფსიქოლოგიური სიმართლით აღადგინოს ილია ჭავჭავაძის სახე, ამ გზით მიაღწიოს ხასიათის ახსნასა და დამკვიდრებას. პიროვნების ბედი ერწყმის ქვეყნისა და ხალხის ბედს. მიუხედავად ამისა, რომანში იშვიათი როდია ფანტაზია. გამოგონილი სახეები და ეპიზოდები დამაჯერებელი და მხატვრულად მოტივირებულია. თავმოყრილი ფაქტები სწორია და სანდო.

ჩანს, რომანზე მუშაობისას ალ.კალანდაძე განსაკუთრებით დაინტერესდა, რა იყო უფრო ბუნდოვანი და შეუცნობელი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. ამ ნაწარმოების ისტორიული ჩარჩოების წარმოსადგენად საკმარისია ითქვას, რომ მასში ასახულია XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრება 30-იანი წლებიდან 1905-1907 წლების რევოლუციის ჩათვლით.

მწერალმა ყურადღება შეაჩერა ყველაზე მწვავე პრობლემებზე, ყველაზე ტრაგიკული პერიოდის ქართველ მოღვაწეებზე. “გარდამოხსნაში” იგრძნობა თვითმპყრობელობის პოლიტიკისადმი შეურიგებლობა, ეროვნული ინტერესებისათვის შემართება. ამავე დროს, მოწინავე რუსი ადამიანებისადმი, რუსული კულტურისადმი პატივისცემა, ამ ურთიერთობის შედეგები და პერსპექტივები. რომანში წარმოგვიდგება ილიას მონუმენტური ფიგურა,უწინარეს ყოვლისა, მოაზროვნე და შემოქმედი, რომელიც ფლობს საკაცობრიო კულტურას, მეცნიერების მონაპოვრებს.

მთავარი გმირი წარმოჩენილია მთელი ცხოვრების მანძილზე. ავტორს არ ეშინია ამ მძიმე ამოცანის, რომ ილია წარმოგვიდგინოს როგორც მოკვდავი ადამიანი, მოგვიახლოვოს მთელი სიდიადით და, ამავე დროს ადამიანური სისუსტეებით. დაგვანახოს ოჯახურ გარემოში, სიყვარულში, სამეურნეო დავიდარაბაში, ფულის ანგარიშიანობაში. გაუთვალისწინებია ისიც, რომ საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება განუყოფელია. ილია ჭავჭავაძეს ვხედავთ შემოქმედებითი მუშაობისას, ცხარე პოლემიკაში, რედაქციებში, დუელებსა და დემონსტრაციებზე, პირველი სიყვარულის განდობისას, ეჭვსა და ყოველდღიურობის წვრილმანებზე ზრუნვისას, ფიქრსა და მწვავე კონფლიქტებში, ფიქრსა და ტანჯვასთან მარტო დარჩენილს.

საზოგადოებრივ ისტორიული სინამდვილე რომანში არ ქმნის ზოგად ფონს. ეს არის მუდმივმოქმედი ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც განუწყვეტლივ მონაწილეობს ხასიათის განვითარებაში. თვალწინ გვეშლება საქართველოს შვიდი ათეული წლის უაღრესად რთული ცხოვრების სურათები – რიზენის, გოლივინის, ნეიდგარტის, ვორონცოვის, მურავიოვის, რეადის, ბარატინსკის, დიდი მთავრის მიხეილის, გოლიცინის,

ვორონცოვ – დაშკოვის პერიოდი თითოეულის დამახასიათებელი ნიუანსებით, კოლორიტითა და პოლიტიკური სუნთქვით. ეს გარემოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და სიზუსტეს აკისრებდა ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანის ავტორს. ნაწარმოებმა მთლიანად უნდა გაგვიცოცხლოს ეპოქის წინამძღოლის პირადი, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრება. ამასთან ერთად, უნდა დაგვანახოს და დაგვარწმუნოს, რა იყო ჩვენი წარსულის, ჩვენი ხასიათის სიმაგრე და სად, რაში იყო მისი სისუსტე.

ავტორი მოგვითხრობს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებზე, ბატონყმობაზე, "საგლეხო რეფორმაზე", კავკასიის, ყირიმის 1877- 78 წლების ომებზე, თაობათა ბრძოლაზე, ქართული ენის, მწერლობის, ჟურნალისტიკის განვითარების არსებით მოვლენებზე, სახალხო ნებაზე, ყველაფერზე, რასაც ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან პრინციპული კავშირი აქვს.

რომანში პირველად ვეცნობით ილია ჭავჭავაძის საბანკო მოღვაწეობის ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლის ტრაგიკულ პერიპეტიებს, მის გარშემო გაჩაღებულ ინტრიგებში მეფის რუსეთის ხელის ფათურის მწარე შედეგებს, დამღუპველ გავლენას, რომელიც ორი საუკუნის მიჯნაზე საბანკო კონფრონტაციას მოუხდენია ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობაზე. ეს სპეციფიკური თავებიც დაწერილია საქმის ცოდნით, მხატვრული ტაქტითა და ზომიერებით.

მწერალს შემოჰყავს ახალი სახეებიც. მართალია, ისინი ისტორიულად ცნობილნი არ არიან, მაგრამ ისტორიული ხასიათით, ეპოქის ბუნებისადმი შესატყვისობით, აზროვნების, ყოფისა და მეტყველების თავისებურებებით. გამონაგონი სახეები მწერალს შესაძლებლობას აძლევს მთლიანი სულისკვეთების შესაბამისად წარმოაჩინოს ეპოქის ფონის გამოსაკვეთად აუცილებელი შტრიხები. ამით უჩვეულო, მოულოდნელ, მაგრამ ტიპურ გარემოებებში გამოავლინოს ილია ჭავჭავაძის ადამიანურ-მოქალაქეობრივი, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, პატრიოტული მოღვაწეობის ნიშან-თვისებები.

"გარდამოხსნის" სიუჟეტი აგებულია ეპოქალური მოვლენების თან-მიმდევრობით და არა უშუალოდ ბიოგრაფიულ ქარგაზე. ვიმყოფებით ჩვენი ერის სასიქადულო შვილების სამყაროში, გულმხურვალე მამულიშვილებთან, რომლებიც კეთილსა და ბოროტის ჭიდილში სიტყვით, საქმით ამკვიდრებენ ადამიანებისა და მოვლენებისადმი ზნეობრივ დამოკიდებულებას. რომანის კულმინაციას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის ცხოვრების უკანასკნელი ათწლეული. მწერალი აქაც გულახდილია და მართალი.

მშობლიურ მიწაზე, დღისით, მზისით თანამემამულეებმა წამებით მოკლეს ერის წინამძღოლი, ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი ფიქრისა და აზრის მპყრობელი, მწერალი და მოღვაწე, ახალი საქართველოს ხუროთმოძღვარი. ამ გაუგონარ მკვლელობას მიზეზებიც რთული და საოცარი ჰქონდა. მწერალი ცდილობს ამოიცნოს ადამიანთა ურთიერთობის საიდუმლოებანი, კონფლიქტების მიზეზები. პატიოსან, გულმხვრვალე მამულიშვილებთან ერთად, რომლებიც სიტყვითა და საქმით ამკვიდრებენ ადამიანებისა და მოვლენებისადმი ზნეობრივ დამოკიდებულებას, კეთილისა და ბოროტის ჭიდილში ვლინდება ლიტერატურის კეთილშობილური სული: "უარჰყავ თავი შენი, ჩაიხშე ეგოიზმი შენი, ფეხით გასთელე შენი ანგარებიანი "მე"(1,95), იცოცხლე სხვათა ბედნიერებისათვის, მსხვერპლად შეეწირე მოყვასის ბედნიერებას, მამულის სიკეთეს, კაცობრიობის წინსვლას. გიყვარდეს ჭეშმარიტება და სიკეთე არა ჯილდოსათვის, არამედ ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის. მოითმინე დევნა ბოროტისგან. გიყვარდეს ცრემლით დანამული პური!"(1.75).

იმისი გზა, ვინც ამ ზენობრივი მრწამსით იყო გამსჭვალული, ვისაც სიმართლისათვის ბრძოლა ასულდგმულებდა, ია-ვარდით მოფენილი ვერ იქნებოდა. ერისა და ხალხის ბედნიერებისათვის ილია ჭავჭავაძის დაუცხრომელ შრომასა და ბრძოლას განუწყვეტლივ სდევდა შური და მტრობა, დევნა და შევიწროება, ინტრიგა და ცილისწამებები და ბოლოს სისხლიანი ეკლის გვირგვინი. ამ დევნაში არეკლილია ქვეყნის მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური სიდუხჭირე, ჩამორჩენილობა, საზოგადოების მორალური მდგომარეობა.

ავტორს მხედველობიდან არა რჩება დაბნეული ეგოისტები, პოლიტიკანები, თვითმარქვიები, ავანტურისტები. რომანის მხატვრული ღირებულების შესაფასებლად გაცოცხლებულია მრავალი ისტორიული პირი, შექმნილია მრავალი ახალი სახე,

პორტრეტი, მრავალი სიტუაცია, ეპიზოდი, დეტალი განსხვავებული ეპოქების, სოციალური წრისა და ადამიანების ცხოვრებიდან.

რომანის ღირსება ისიცაა, რომ გამსჭვალულია ოპტიმიზმით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული მოვლენებია ასახული, ოპტიმიზმის წყარო შემოქმედის სწორი ისტორიულ-ესთეტიკური კონცეფცია, ხალხის ისტორიული როლის გაგება, ცხოვრების განვითარების, მისი ძირითადი ტენდენციების კანონზომიერებათა წარმოჩენაა.

ავტორის დამოკიდებულება დიდი ილიას სახისადმი მჟღავნდება ყველა ნიუანსში, მხატვრული გამოხატვის მეთოდში, გმირისადმი კეთილ-განწყობილებისა და სიყვარულში. ეს სიმპათიები საწყისს იღებს სინამ-დვილესადმი ავტორის ობიექტურ დამოკიდებულებასა და გულწრფელობაში.

“გარდამოხსნაში” ავტორს სიახლე შემოაქვს ისტორიული მოვლენების შეფასებაში. ალექსანდრე კალანდაძე ფაქტებზე დაყრდნობით გვთავაზობს დიდი პიროვნების ცხოვრების ამსახველ ფაქტებს. იგი საშუალებას გვაძლევს შევიგრძნოთ ილია არა როგორც მხოლოდ დიდი ეროვნული მოღვაწე და მწერალი, არამედ როგორც ჩვეულებრივი ადამიანიც.

მიუხედავად იმისა, რომ “გარდამოხსნა” ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია, იგი სცილდება ამ ცნების ვიწრო გაგებას. ილია ჭავჭავაძესთან ერთად, მხატვრული ფუნქცია აქვთ დაკისრებული ილიას მეუღლეს – ოლღა გურამიშვილს, მამიდას – მაკრინე ჭავჭავაძეს, “ცისკრის” რედაქტორს – ივანე კერესელიძეს, თერგდალეულებს, მათ მოწინააღმდეგეებს. “გარდამოხსნის” ერთ-ერთი მთავარი მხატვრული მონაპოვარი მაინც ადამიანთა მრავალფეროვანი ხასიათების ხატვაა. რომელთა სრულყოფას ხელს უწყობს მათი მშობლების, ნათესავ-მეგობრების, თანამედროვე მოღვაწეთა ლიტერატრული ორეულები განსაკუთრებულადაა გამოკვეთილი აკაკი წერეთლის მხატვრული სახე.

“ისტორია აწმყოს თანაშემწეა” , - ამბობს “გარდამოხსნის” მთავარი გმირი”, - “ჰაერივით გვჭირდება კარგი ძველის მოგონება და მომავლის იმედი. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ უერთმანეთოდ წარმოუდგნელია, გამოუცნობია, უნდა ჩავწვდეთ მისი თითოეული წვრილმანის საიდუმლოებას” (1).

ეპოქის დიდ მოვლენებზე თხრობას ცვლის, ავსებს გემოვნებით შერჩეული თაობათა ბრძოლის, ბატონყმური სინამდვილის, ქართული პრესის ისტორიის, ეროვნულ დაწესებულებათა მოღვაწეობის მკვეთრი ეპიზოდები. აქვე გადმოცემულია თითქმის ყველა მხატვრული ნაწარმოების შექმნის ისტორია..

მოქმედების განვითარებას საფუძვლად უდევს ჭეშმარიტების ამოცნობის პათოსი და რწმენა, რომ “კაცის სიცოცხლეს სიმართლისათვის ბრძოლა ამშვენიერებს”. ის ფაქტი, რომ ალექსანდრე კალანდაძის “გარდამოხსნაში” ასახულია საქართველოს ისტორიის ურთულესი მონაკვეთის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული განვითარების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მეტყველებს ამ რომანის გარკვეულ მნიშვნელოვან ადგილზე ჩვენს მწერლობაში.

ალექსანდრე კალანდაძემ ღირსეულად წარმოაჩინა სათავეთა სიღრმე. ამ ნაწარმოებში ყოველი სიუჟეტი დიდი შერჩევისა და აწონ-დაწონის შემდეგ არის შემოტანილი. მწერალს “გარდამოხსნაში” მარადიული ფერები შემოაქვს. აქ ერთხელ კიდევ შევიგრძნობთ დიდი ხნის ნაცნობი და თითქოს ხელახლა გაცოცხლებული მწერლის გენიას.

ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს საუკუნის იდეები და იდეალები, რომელთა განვრცობა და მხატვრულ ასპექტში წარმოსახვა მომდევნო თაობამ ითავა. ილია ჭავჭავაძის ეროვნული გეზი და ორიენტაცია მუდამჟამს იყო ალექსანდრე კალანდაძის მსოფლმხედველობის წარმმართველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კალანდაძე ა., გარდამოხსნა, თბ., 1982.
2. ზაქარაია გ., დიდი ცხოვრების რომანი, თბ., 1983.

ელენე ზურაბაშვილი

ისტორია აწმყოს თანაშემწეა

რ ე ზ ი უ მ ე

“გარდამოხსნა” ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. იგი ალექსანდრე კალანდაძის ისტორიული ტრილოგიის ბოლო, მესამე რომანია. მწერალს ბიოგრაფიული მასალა საშუალებას აძლევდა სიუჟეტური ხაზი კონკრეტულ ფაქტებზე აეგო. “გარდამოხსნა” მიზნად ისახავს ისტორიული და ფსიქოლოგიური სიმართლით აღადგინოს ილია ჭავჭავაძის სახე, ამ გზით მიაღწიოს ხასიათის ახსნას და დამკვიდრებას. პიროვნების ბედი ერწყმის ქვეყნისა და ხალხის ბედს.

მიუხედავად ამისა, რომანში იშვიათი როდია ფანტაზია. გამოგონილი სახეები და ეპიზოდები დამაჯერებელი და მხატვრულად მოტივირებულია. თავმოყრილი ფაქტები სწორია და სანდო.

Elene Zurabashvili

The Past is the Assistant of Present

S u m m a r y

Novel “Gardanmakhsan” is devoted to the life and creative work Ilia Chavchavadze it is the last part of historical trilogy by Aleksande Kalandadze. The biographical material gave the chance the auther to create plot based of coneret facts the aim of “Gardamakhsna” is to restore by historical and phsicologycal truth Ilia Chavchavadze’s personality and rich in this way explanation of his character His destiny was connected to his country’s and people’s destiny.

The phantazy is not rare in the novel but the work of A.Kalandadze remains still very important, even though you can find in it something which is the product of his creativity as writer.

Е л е н а З у р а б а ш в и л и

Прошлое помощник настоящему…

Р е з ю м е

Исторический роман "Крест"(“Илья“) посвящён жизни и творчеству Ильи Чавчавадзе. Это последний, третий роман из исторической трилогии Александра Каландадзе. Биографический материал дал писателю возможность построить сюжет в основном на конкретных фактах."Крест"предназначен для восстанавления исторической и психологической правды личности Ильи Чавчавадзе. Тем не менее, в романе не являются редкостью элэменты фантастики, вымышленные персонажи и эпизоды.Они являются убедительными и художественно мотивированными. Представленные же исторические факты являются достоверными и надёжными.

დალი სინჯარაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქართული ემიგრანტული პრესის არქივებიდან…
(კვალი ჭავჭავაძეთა დიდი ოჯახური ისტორიისა)

„თუ რა გააკეთა ჩვენმა ემიგრაციამ და როგორ იმოქმედა ქვეყნისათვის 1921 წლიდან დღემდე, ამასაც შემდეგ დაგვიფასებს საქართველო. მაგრამ რომ მან საყვედური მეტი არ გვითხრას, ვიდრე მადლობა, საჭიროა უკანასკნელი ძალები შევიკრიბოთ და დავუტოვოთ მას ჩვენი გაქრობის შემდეგ დამამტკიცებელი რამ იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება უცხოეთში ცუდი არ ყოფილა და ღირსნი ვართ იმისა, რომ სამშობლომ საუკუნოდ მისგან მიფარულნი კეთილად გვახსენოს“.

მიხაკო წერეთელი

„წელსა ჩენა, თებერვლის 11 დღესა ასულმა ჩემმა ნინოუცამ იქორწინა თავად ნიკოლოზო აბხაზედ“... ეს ჭავჭავაძეთა მცირე ოჯახური ეპიზოდია, რომელსაც თავად გრიგოლ ჭავჭავაძის ჩანაწერში ვხვდებით... ანუ ეპიზოდი იმ ოჯახისა, რომლის დიდმა წარმომადგენლებმა – ილია ჭავჭავაძემ და კონსტანტინე აფხაზმა თავადვე შეუქმნეს ისტორია XIX-XX საუკუნეების საქართველოს. ილიას ერთ-ერთი გამორჩეული ოპონენტის, არჩილ ჯორჯაძის თქმით: „ილია ჭავჭავაძე სინტეზია წარსულ ეპოქისა. მისი ნაწერების შესწავლა, შესწავლაა დიდის ეპოქისა. ვამბობ დიდის ეპოქისა, რადგან მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვნა თავისი დაკარგული სახე. ილია ჭავჭავაძე ამ შობიერების ბებიაც იყო, ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმადგენელიც“(8).

ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმდგენელი გახლდათ ილიას დისწული, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე, კონსტანტინე აფხაზიც.

იმ ქორწინების გაგრძელება კი, რომლის შესახებაც გვამცნობს გრიგოლ ჭავჭავაძის ჩანაწერი, ის გახლავთ, რომ ილიას დას, ნინოს კარდანახელ თავად ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზთან შესძენია ოთხი შვილი – გიგო, სიმონი, კონსტანტინე და მაკო. ამათგან კონსტანტინე აფხაზი ეროვნული გმირია, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია 1918-20 წლების საქართველოს დამოუკიდებლობა. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის უკანასკნელმა მარშალმა, ეროვნულ-დემოკრატიული ცენტრის თავმჯდომარემ, კონსტანტინე აფხაზმა 1917 წლის ნოემბერში ეროვნულ საბჭოს გადასცა ილიას ბანკის შენაძენი ქონება – 26 მილიონი მანეთი ოქროთი. „ის დაედვა საფუძვლად ჩვენს დამოუკიდებლობასაც“, – შენიშნავს მოგვიანებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საუკეთესო წარმომადგენელი, რევაზ გაბაშვილი(1).

ყველამ კარგად იცის, როგორ დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებლობა და რა ბედი ეწია კოტე აფხაზს... „პარტია მას უფრთხილდებოდა და ზოგავდა მის სიცოცხლეს; უნდოდა შეენახა იგი განთავისუფლებულ საქართველოს სააღმშენებლო შრომისათვის. სამჯერ მოაწყო მისი უცხოეთში გამგზავრება, მაგრამ მან არ ინება, არ ისურვა დატოვება ბრძოლაში ჩაბმულ ერისა. საამაყო გმირობით დაიღუპა და სიკვდილის წინ ჯალათებს უთხრა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სიცოცხლე შევწირე სამშობლოს თავისუფლებას“-ო(2). ეს მოხდა 1923 წელს, როდესაც სხვებთან ერთად დახვრიტეს 55 წლის კოტე აფხაზი.

რევოლუციამდელ პრესაში კოტე აფხაზის შესახებ ცნობებს („თავადი კ. ნ. აბხაზი, ხელახლად არჩეული აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშლად“) მიაკვლია თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის თანამშრომელმა, ქალბატონმა ნელი ლითანიშვილმა და გადასცა გურამ შარაძეს, რომელმაც ეს მასალა შეიტანა წიგნში „ილია ჭავჭავაძე“ (ფოტომატიანე, წიგნი I): **„თავადი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აბხაზი დაიბადა კახეთში, სოფელ კარდანახში. იგი ახლა 42 წლისაა. საშუალო განათლება მიიღო თბილისის კადეტთა კორპუსში, შემდეგ დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, სადაც ბრწყინვალე ნიჭი გამოამჟღავნა. ამის მერე შეისწავლა საარტილერიო საქმე და დღემდე მსახურობს არტილერიაში და ითვლება თვალსაჩინო ოფიცრად.**

თავადი აბხაზი ჯერ კიდევ პატარაობიდანვე დაინტერესდა საზოგადო საქმეებით და სიმწიფეში შესული მუშაობდა თავისი ღვიძლი ბიძის თავად ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით.

რამდენიმე წერილი გამოქვეყნებული აქვს გაზეთებში „კავკაზსა“ და „ივერიაში“. უკანასკნელ ხანს იგი ჩამოშორებული იყო პრესას, მაგრამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა სათავადაზნაურო ბანკის საქმეებში, სადაც ითვლებოდა საზედამხედველო კომიტეტის წევრად. საბანკო კრებებზე თავადმა კ. აბხაზმა თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა და დაკვირვებულმა ორატორმა“(1).

კოტე აფხაზის ტრაგიკულად დაღუპვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, შალვა ამირეჯიბმა წერილით მიუსამძიმრა კოტე აფხაზის ქვრივს, ელენე აფხაზს. გარდაცვლილის ხსოვნას კი უძღვნა ლექსი – „კოტე აფხაზის სიკვდილზე“ (მისი დახვრეტის გამო), რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალ

„კავკასიონში“(4). აი, ეს წერილიც: „დიდად პატივცემულო ქალბატონო ელენე, გიგზავნით ლექსს, მიძღვნილს ჩემთვის დაუვიწყარ, თავადის კოტეს ხსოვნისადმი.

მე გახლდით მაშინ ქუთაისში, როცა არ მახსოვს, 22-ს თუ 23-ს მაისს, კაკო დგებუაძემ (ის და მისი ძმა ლეო – ორივე სტუდენტები დახვრეტილ იქმნენ აჯანყების დროს) შემომიტანა გაზეთის ნომერი, სადაც გამოცხადებული იყო თხუთმეტ დახვრეტილთა სია. მე არ აგიწერთ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ამ საშინელმა ამბავმა. რამდენიმე დღის შემდეგ მე დავწერე ეს ლექსი. ერთი კვირის შემდეგ მე უკვე ტფილისში ვიყავი. მე არ მიმიღია ჩემს ცხოვრებაში ჯილდო ჯერ უფრო დიდი, ვიდრე ის, რომ ჩავმდგარიყავ მის ადგილზე“ (შატო, 1925 წელი, აპრილი).

სხვათა შორის, შალვა ამირეჯიბმა ელენე აფხაზსაც მიუძღვნა ლექსი. ელენე აფხაზი, მეუღლე კოტე აფხაზისა, პოდპოლკოვნიკ იასონ სოფრომის ძე იოსელიანის ასული იყო. მას და კოტე აფხაზს შეეძინათ შვილები, რომელთაგან უფროსი – ნიკოლოზი დაიბადა 1899 წლის 14 მაისს, ილია – 1901 წლის 14 სექტემბერს (გარდაიცვალა ადრეულ ასაკში).

ელენე აფხაზი საქართველოს ანექსიის შემდეგ პარიზში გაიხიზნა ვაჟთან, ნიკო აფხაზთან ერთად და სიცოცხლე ემიგრაციაში დაასრულა 1946 წელს. დაკრძალულია საფრანგეთში, სენ-ჟენევიევ დე ბუას სასაფლაოზე.

რაც შეეხება ნიკო აფხაზს, დედის მსგავსად, მანაც უცხოეთში გაატარა სიცოცხლე. მის შესახებ შემორჩენილია მწირი ბიოგრაფიული ცნობები. იურიდიული განათლება მიღია პარიზში. წლების განმავლობაში ცხოვრობდა საფრანგეთში. „დამეგობრებია ცოლ-ქმარ კელებს, რომლებსაც მისთვის სამეურვეოდ გადაუციათ დიდებული ას ოც ოთახიანი სასახლე და ბაღი, სადაც ის თურმე მართლაც დიდებულ თავადიშვილივით ცხოვრობდა ომის დაწყებამდე.

მეორე მსოფლიო ომში ნიკო იბრძოდა ფრანგების ჯარში. ტყვედ ჩავარდნილა გერმანელებთან და ტყვეობიდან მხოლოდ 1944 წელში დაბრუნებულა“(5).

დედის გარდაცვალების შემდეგ, ნიკო აფხაზი საცხოვრებლად გადავიდა კანადაში, ქალაქ ვიტორიაში და იქორწინა ვინმე ქალბატონ პეგიზე. ნიკო აფხაზი გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, 1987 წლის 25 დეკემბერს.

აი, ასეთია მცირე ეპიზოდები კონსტანტინე აფხაზის ცხოვრებისა. სამწუხაროდ, აქ ჩერდება **კვალი ჭავჭავაძეთა დიდი ოჯახური ისტორიისა**. რაც შეეხება ქვემოთ მოყვანილ მოგონებას, რომელიც ცნობილ ქართველ ემიგრანტს, ისიდორე მანწკავას ჩაუწერია, მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმ მხრივ, რომ მოგონებაში გადმოცემული მასალა თავისებურ შტრიხს სძენს ილია ჭავჭავაძისა და კოტე აფხაზის დამოკიდებულებას, რამდენადაც იკვეთება ბიძა-დისწულის პიროვნული ურთიერთობაც. ამ თვალსაზრისით, მრავლისმთქმელია ცნობილი ქართველი მოღვაწის, გიორგი ჟურულის მოგონებაც: „ილია საზოგადოთ წინააღმდეგი იყო პროტექციებით ვისიმე წინ წაწევისა. საინტერესო და საქმისათვის სასარგებლოდ მხოლოდ იმათ სთვლიდა, ვინც საკუთარი ღონით, ცოდნით და გამრჯელობით დაიმსახურებდა საზოგადოების ყურადღებას. ასე ექცეოდა გარეშეთაც და შინაურებსაც. კადეტთა კორპუსიდანვე ჩემი სიყრმის ამხანაგი კოტე აფხაზი, დისწული ილიასი, არტილერიის ოფიცერი იყო. ვიცოდი, რომ მას დიდი ხანია სურვილი ჰქონდა ამ სამსახურისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ისიც ბიძასებრ ამნაირ საქმეებში ჯიუტი იყო და ერთხელაც არ შეუწუხებია თავისი სახელოვანი ბიძა რაიმე თხოვნით. არც ეს უკანასკნელი ცდილა, თავისად ეზრუნა დისწულისათვის, რომელიც, ვიცოდი, დიდათ უყვარდა. რაკი ორივე ყოყმანობდა, ავდექი და მე მივედი ილიასთან. დავუხასიათე, რა სასიქადულო დისწული ჰყავს, ნიჭიერი, მომზადებული, შრომის მოყვარე ინტელიგენტი. ილია მისმენდა სიამოვნებით, ღიმილი პირს არ სცილდებოდა, ნამდვილად შევატყვე, რომ უხაროდა ასეთი დახასიათება; დამპირდა, მოვიფიქრებო, მაგრამ, ალბათ, ინიციატივის გამოჩენას იქიდან ელოდა და რაკი ეს არ მოხდა, ვინაიდან პროტექციებით წინ წაწევა სძულდა, ჩემი ცდისაგან არაფერი არა გამოვიდა რა და ამით დაგვიანდა კოტე აფხაზის საზოგადოებრივ ასპარეზზე იმთავითვე ჩაბმა“.

გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად გამოჩენილ პიროვნებათა ღვაწლის შეფასებისას, რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე მათი ადამიანური, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, რაც ერთგვარად სქემატურობის განცდას უტოვებს

მკვლევარებსა თუ მკითხველებს, გთავაზობთ ცნობილი პუბლიცისტის, ისიდორე მანწკავას ჩანაწერს (1936 წელი, 15 აგვისტო, მერევილი)(6), რაც, ჩემი აზრით, თავისებური მცდელობაა ამ ხარვეზის შევსებისა.

„ელენე აფხაზის მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე“

„ცნობილი მერევილის შატოს (რომელიც ვიღაც მდიდარ ცნობილ ამერიკელებს ეკუთვნოდა) მოურავად ბრძანდებოდა ნ. აფხაზი – 1936 წ. დედამისი ელენე აფხაზი მთელ ზაფხულს იქ ატარებდა. ერთი კვირით მასთან სტუმრად ყოფნის დროს ვისარგებლე შემთხვევით და ქალბატონმა ელენე აფხაზმა სიამოვნებით მომიყვა ზოგი საყურადღებო ცნობა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან.

ილიას ყოველი თვის ოცს, თბილისში თავის ბინაზე მიღება ჰქონდა დანიშნული. მოდიოდნენ მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები, განურჩევლად მიმართულებისა.

როცა რუსეთთან შეერთებას დღესასწაულობდნენ, იმ დროს თავად-აზნაურობის მარშლად იყო დავით მელიქიშვილი (იგი გაქანებული რუსოფილი იყო). ერთ საღამოს ილიასთან შეკრება იყო: ნ. ურბნელი, ალ. ფრონელი, ლიზა საგინაშვილისა და სხვა.

თავად-აზნაურობა დიდის ამბით ემზადებოდა შეერთების დღის მოსაწყობად. ილია ამბობდა: ჩემთვის ეს დღე შეერთების, არის უდიდესი გლოვის დღე. იმ საღამოს ბაასობდნენ, თუ როგორ უნდა შეხვედროდა ქართველობა ამ დღეს. მე ახალგაზრდა ვიყავი და დავის შინაარსი ნათლად ვერ წარმომედგინა.

ილიამ მოსამსახურეებს უბრძანა, ამ დღეების განმავლობაში (ე.ი. დღესასწაულის წინა დღეებში) არც ერთი უცხოელი სტუმარი არ მიეღო, მაგრამ დღესასწაულის წინა დღით მოსკოვის თავად-აზნაურობის ხელმძღვანელი (რომელიც საგანგებოდ თბილისში ჩამოსულიყო) მოვიდა ილიასთან სახლში, მოსამსახურე დაიბნა და მიიღო. ილია ხალათში იყო. ბოდიში მოუხადა და რამოდენიმე წუთით ასე ხალათში მიიღო. ილიას აღელვება დაეტყო, როცა ეს რუსის სტუმარი გავიდა. მაშინვე ეტლით საგურამოში წავიდა და ვიდრე დღესასწაული არ გათავდა, არ დაბრუნებულა. გეგე მაღალაშვილიც ილიას აზრის იყო და ისიც იმ დღეებში თბილისში არ დარჩენილა.

– აი შენც! მომმართა ილიამ მე, შენც წახვალ ამ რუსების დღესასწაულზე. მე მისი დამცინავი კილო მაშინ ვერ გავიგე. გავინაბე, ხმა არ ამომიღია. მე მართლა ვემზადებოდი წასასვლელად და წავედი კიდეც, ამ დღისათვის ჩუმად ახალი კაბაც მქონდა შეკერილი, რასაკვირველია, წარმოდგენა არ მქონდა, თუ სად მივდიოდი.

ერთხელ ნ. ურბნელი ეუბნება ილიას, ეხლა დროა, რომ კოტე საზოგადო საქმეში ჩაბა. ილიამ არ უპასუხა. შემდეგ, როცა ნ. ურბნელი და სხვებიც წავიდნენ, მე ვკითხე, რატომ არ გინდათ, რომ კოტე ჩაებას საზოგადო საქმეებში? მე ბევრი გამოვცადე, მიპასუხა მან და არ მინდა კოტე ჩაებას ამ უმადურ საქმეშიო. ზოგიერთები ილიას მოწინააღმდეგენი ამ გარემოებას ხსნიდნენ, თითქო ილია შურიანი ადამიანი იყო და თავისი დისწული არ უნდოდა, წინ წამოეწია.

როცა რუსეთთან შეერთების დღესასწაული დიდის ამბით ჩათავდა, ნიკოლოზ მეორემ თავადაზნაურობა დააჯილდოვა სამოცი სტეპენდიით ვლადიკავკავის კადეტთა კორპუსში. ილია დასცინოდა დ. მელიქიშვილს, საჩუქარი შესანიშნავი მიიღეთ, მეტის ღირსი არც კი იყავით. სამოცი სტეპენდია კადეტთა კორპუსში ეს იმას ნიშნავს, რომ სამოცი ქართველი გაარუსონ. ბარაქალა შენს მარშლობას, დავით!

საგურამოში ილიასთან ხანდახან ერთი მწყემსის ბავშვი ჩამოდიოდა. ერთხელ ილიამ თავის მოურავს დაუძახა და ბავშვს მიმართა, მოდი აქ პატარა – მოსე, მოურავი სამუშაოს მოგცემს და დარჩი ჩვენთან...

– არა ბატონო, არ მინდა თქვენთან, იქ, მთაში თავისუფლებაა, და ბავშვმა ხელი გაიშვირა, – იქ მირჩევნია.

ილია მობრუნდა – აი, რას ნიშნავს თავისუფლება, ეს ბავშვი უფრო დიდი ადამიანია, ვიდრე მთელი ჩვენი თავადაზნაურობა, რომელსაც ფაფუკი ხელები მუცელზე დაუწყვია, რუსების ჯაშუშები გამხდარან და გაიძახიან: მაჭამეთ, მაჭამეთო...(7)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ“, 1913, №18.
2. ჟურნ. „სამშობლო“, 1937, №21-22, პარიზი.
3. ჟურნ. „ერის დიდება“, 1958, №5, პარიზი.
4. ჟურნ. „კავკასიონი“, 1968, №13.
5. ჟურნ. „გუშაგი“, 1988, №15, პარიზი
6. ჟურნ. „კავკასიონი“, 1978, №19, პარიზი
7. რობაქიძე გრ., ილია ემიგრანტთა თვალით (შემდგენელ-რედაქტორები: დ. სინჯარაძე, ნ. ბებიაშვილი), თ. I, თბ., 1996.
8. ჯორჯაძე ა., წერილები, თბ., 1989.

დალი სინჯარაძე

ქართული ემიგრანტული პრესის არქივებიდან...
(კვალი ჭავჭავაძეთა დიდი ოჯახური ისტორიისა)
რეზიუმე

ქართული ემიგრანტული პრესა თავს უყრის და აერთიანებს უცხოეთში მიმობნეული ქართველობის ერთგვარ თავგადასავალს. პოლიტიკურ ემიგრაციას უცხოეთშიც უცნაური ბედი გაჰყვა. შორიდან დანახული საქართველო ემიგრაციის საუკეთესო ნაწილისთვის ილია ჭავჭავაძის სახელთან გაიგივდა. წინამდებარე ნაშრომი ამ ნათქვამის ერთგვარი გამოძახილი, ჭავჭავაძეთა დიდი ოჯახური ისტორიის ერთი გადაშლილი ფურცელია.

Dali Sinjaradze

From the Archives of Georgian Emigrant Press
(Trace of a Big Family History of the Chavchavadze)
Summary

Georgian emigrant press combines a various sort of adventure of Georgians scattered abroad. Political emigration shared a strange fate abroad. For the best part of emigration Georgia seen from a distance is identified with the name of Ilia Chavchavadze. The previous article in question is considered as some kind of echo of this expression, one open sheet of a big family history of Chavchavadze.

Дали Синджарадзе

Из архивов эмигрантской прессы
(Исторически след великой семьи Ильи Чавчавадзе)
Резюме

Грузинские эмигранты, живущие по всему миру всегда были объединены Грузинской эмигрантской прессой. При этом Грузия для них отожествлялась с личностью Ильи Чавчавадзе. В связи с этим предстовляем нашу работу, где мы постарались изложить семейную историю Ильи Чавчавадзе так, чтобы она могла заинтересовать исследователей.

ქეთევან ქუთათელაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ზოგიერთი მცენარეული წარმოშობის ტოპონიმი და მათი დიალექტური შესატყვისები

როგორც ცნობილია, ტოპონიმების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტი და მცენარეული საფარია. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ზოგიერთი ტოპონიმი პირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ მცენარეს, რომელთაგან რამდენიმე მათგანს განვიხილავთ. მაგ.:

მუხნარი/მუხრანი ***(მუხა)*** - ქართულ დიალექტებში მუხას სხვა სახელწოდება არ მოეპოვება. მხოლოდ, ჭანურად ჭკონი, მეგრულად ჭყონი და სვანურად ჯირა, ან ჯიჭრა ჰქვია (4, 52). ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ეს მუხათაგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი“ (2, 348). მუხრანი სანადიროდ რომ ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იყო, მიუთითებს ზოგიერთი ქართველი მეფის თავგადასავალი მასთან დაკავშირებით[6]. მუხრანი სტრატეგიულადაც მნიშვნელოვანი იყო. იგი მცხეთასთან ახლოსაა. მუხრანი მცხეთის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობდა[7]. ისტორიკოსი მას მემარცხენე სასასპეტოდ მოიხსენიებს (2, 382). მუხას უკავშირდება, ასევე ტოპონიმები: **მუხათგვერდი, მუხალეთის ხევი და მუხალეთის ციხე, მუხაური** ქართლში (2, 150), **ჭყონდიდი** (შდრ. საკრალური მუხა).

სხალდიდი/ სხლოანი/სხლობანი[8] ***(მსხალი)*** - გურულ დიალექტზე მსხალს სხალი, ხოლო მეგრულად სხული ეწოდება (4, 52). ვახუშტი ბატონიშვილი „სხალდიდის მთას“ ასახელებს ლისის ტბის აღმოსავლეთით, რომელიც შესანიშნავი აგარაკი ყოფილა (2, 339).

ნარიანი / ნარიანის ველი ***(ნარი)*** [9] - სულხან საბა ორბელიანი ნარს ეკლიან ბალახს უწოდებს (5, I, 577). მართლაც, მესხურ დიალექტზე გვხვდება მცენარის სახელწოდება „ნარეკალა“ (შდრ. მთიულურ დიალექტზე „ნარა“ – ხიჭვი) (7, 409). ასევე, საინტერესოა „ნარისჯაგა“. თუმცა, „ნარ“ ძირით ყვავილოვანი მცენარეებიც იწოდება[10]. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ნარიანის ველი იყო შესანიშნავი ადგილი, „სადაცა

---

[6] მაგ.: მირიან მეფე სანადიროდ გავიდა „მუხნარით კერძო“, ანუ მუხნარის მხარეს „ ... ხოლო მეფემან მოვლო სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა“ (6, I, 109). ასევე, დავით აღმაშენებელს „ნადირთა დევნასა შინა ... მუხრანს წაექცა ცხენი“, რის გამოც მეფე სამი დღე უგონოდ იყო და ღვთის სასწაულით გადაურჩა სიკვდილს (6, I, 212).

[7] ქართლის მეფის ამაზასპის დროს, ოვსნი „ქალაქისა მცხეთისა შემუსვრად მოსრულ იყვნეს. ... მოვიდეს ოვსნი ჩრდილოთ კერძოთა ქალაქისათა, რომელ არს მუხნარი“ (6, I, 55). ს. ყაუხჩიშვილი, ვფიქრობ, არასწორად განმარტავს – „ქალაქი მუხნარს“, ანუ, ზემოაღნიშნულ ცნობებს თუ გავაანალიზებთ, გამოდის, რომ მუხნარი კი არ არის ქალაქი, არამედ, მცხეთის ჩრდილოეთ მხარეს არის მუხნარი, შეიძლება ითქვას მისი („ზღუდესა გარეგნით“) ერთ-ერთი გარეუბანი. „ქალაქი მუხნარს“ არ ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც იმავე ლაშქრობის შესახებ აღნიშნავს: „ხოლო ჟამსა ამისსა (ქართლის მეფე ამაზასპი – ქ.ქ.) გარდამოვიდნენ ოვსნი უგრძნეულოდ გარდამომსვლელნი გზისა დვალეთისა და დადგენ შიდა ქართლს შემუსვრად მცხეთისად“ (2, 67).

[8] მცხეთის XI ს-ის საბუთიდან ქართლის ცხოვრების თეიმურაზისეულ და ქუთაისი მუზეუმის XIX ს-ის ნუსხების ჩანართის მიხედვით, მელქისედეკ კათალიკოსი სვეტიცხოველს სწირავს სოფელ სხლოანს კლარჯეთში და სხლობანს – შავშეთში (6, I, 290).

[9] საკუთრივ, ნარი არის თეთრი, ლურჯი და მინდვრის ნარი. ლურჯ ნარს ლურჯეკალასაც უწოდებენ. მესხურ და ფშაურ დიალექტებზე მას ნარცეცხლას ეძახიან (4, 45).

[10] მაგ.: „ნარგიზი“ (თეთრი, პოეტური, რძისფერი), „ნარგიზელა“ კახურ დიალექტზე მცენარე გულყვითელას ჰქვია (4, 22). ასევე, საინტერესოა „ნარა“ იმერულ დიალექტზე მინდვრის მხალს ეწოდება. „ნარინჯი“ ქიზიყურ დიალექტზე ყვითლად საღებავი ხე - თრიმლი (7, 409), „ნარკოკობა“ - ღიჭა (შდრ. ღიჭ-ხიჭ//ნარა-ხიჭვი). ძალზედ საინტერესოა ნარდი – (ინდური ვალერიანი), რომელსაც სულხან საბა ორბელიანი შემდეგნაირად განმარტავს: „ყვავილია სუნნელი, რომელსა სპარსნი სუმბულს უხმობენ“ (5, I, 576). ნარდისგან მომდინარეობს – ნარდიონი - „სუნნელი ზეთი ნარდისა“; „ერთი შეკრება სულნელთა“ (5, I, 576-576). ილ. აბულაძის განმარტებით, ნარდი/ნარდიონი/ლარდიონი არის „ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოისაი“, (1, 321).

დგების ზაფხულს ცხოვართა და პირუტყუთა სიმრავლე, ვიდრე ტბის ყურამდე“ (2, 347). მასზე მოედინება მდინარე ქცია (2, 318; 347). ნარიანი შედიოდა IV სასასპეტოში. ვახუშტი ბატონიშვილი „ნარის ხევს“, ან „ნარის ხეობის წყალს“ ასახელებს დვალეთში (2, 633; 646).

იგი ასევე ასახელებს „ნარის მთას“, ვფიქრობ, ეს ტოპონიმებიც „ნარ“ ფუძეს უკავშირდება[11].

უზნარიანი – მას გამოსდის კარწახის ხევი და უერთდება ქციას. უზანი (Калина чёрная) არის ბუჩქი, ან ტანდაბალი ხე ცხრატყავისებრთა ოჯახის ძახველის გვარის. ქართლურ, ფშავურ და ფშავ–ხევსურულ დიალექტზე მას ურძენი/ ურძანი/ ურძნი ჰქვია, თუშურად თურსა, ქართლ–კახურ და აჭარულ კილოზე – უზნი, მეგრულად – ღუზანი (4, 67).

ლისი / ლისის ტბა - მეგრულად ლისირი იმერული ისლის სახელწოდებაა. „ისრ-ი“ / „ისლი“ გურულ დიალექტზე არის ასევე, ჭაობიანი ადგილის მცენარე, რომელსაც წვრილი ღეროები აქვს და სქლად იზრდება, ხმარობენ სახლის სახურავად“ (7, 262). ლისი (eleocharis) ისლი / ისრის ფონეტიკური ფორმა უნდა იყოს, რომელიც ასევე ჭაობიან ადგილებში, მდინარისა და ტბის პირას ხარობს. ლეჩხუმურ დიალექტზე მას „ღორჭილოფა“ ეწოდება (4, 44). ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ყიზილბაშებს ლისის მიდამოები დაურბევიათ: „მაშინ წარვიდა მოურავი (გიორგი სააკაძე – ქ.ქ.), რამეთუ ლისი იმის იყო ... მოვიდა მოურავიცა სამოცის კაცითა და შეება გულ მესისხლედ და ამოსწყვტა“ (6, II, 109). თბილისის მხარის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ საბურთალოს ველის ზემოთ „არს ტბა ლისისა“ (2, 339).

ჩალაუბნის ხევი *(ჩალა)* – ამ ხევს ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს, სადაც არის დაბა ბაკურციხე. „ჩალას“ სეგმენტით მრავალი მცენარის სახელწოდება ფიქსირდება ქართულ ენაში[12]. მისგან უნდა მომდინარეობდეს ასევე ჩალაბულა, რაც ბალახბულახს ნიშნავს.

ჭანდარი/ჭანდრის უბნის ხევი *(ჭადარი)* – ს.ს. ორბელიანი ჭანდარს ჭადარს უწოდებს, რომელსაც მოიხსენიებს, როგორც „ხე ჯავარიანი“ (6, II 397). ქართლურ, ფშავურ, მესხურ, ჯავახურ დიალექტზე და სვანურად ჭანდარი ალვის ხეს (Тополь) ჰქვია (4, 10). ასევე, ჭანდარი, ჭანდრის ხე, მყრალი ჭანდარი ქიზიყურ დიალექტზე ხემყრალს ეწოდება (4, 98).

მარნეული *(მანეული-ყვითელი ტირიფი)* – მცენარეული წარმოშობის ტოპონიმია[13]. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „მარნეული“ ტირიფის ოთხი სახეობიდან ერთ-ერთის სახელწოდებაა: „ტირიფი ოთხგვარი არს: ძეწნი[14], მდგნალი[15], წრორი და მარნეული ... მარნეული არს ვენახთა შესაყელავი“ (5, I, 139-140). მისი ძირი არის „მარნ“.

---

[11] ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნარატიული წყაროს გარდა, „ნარიანის“ სახელწოდება ცოცხალ მეტყველებაშიც შემოგვრჩა, მაგ.: საძოვრების სახელები თეთრი წყაროს რაიონში – „ნარიანი მამული” ზემო წყრულეთთან, „ნარიანი ვაკე” – საძოვარი დიდგორზე, (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი, ს. პ. კობაიძე, 1984), „ნარიან ჭალა“ ალგეთის პირზე (სოფ. ვაკე, თეთრიწყაროს საქ. საბჭო, ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი ნ. ბექაური) (9, 123).

[12] ჩალამძივი, ჩალაყვავილა, ჩალამბარა (4, 82, 5, II, 314), რომელიც ქიზიყურ დიალექტზე ერთგვარი ბალახის სახელწოდებაა. ინგილოურ დიალექტზე ჩალა არის ლელ–კალამი, ისლი, რომელსაც სახლის სახურავად იყენებდნენ (7, 642). ასევე საინტერესოა, მცენარები: „ლელქაში“, რომელსაც ფშავურად „ჩალა-ლერწამი“ ჰქვია (7, 328), ხოლო ქიზიყურ დიალექტზე – „ჩალაკაკალა“ (4, 43) და „ლაქაში“, რომლის დიალექტიკური სახელწოდებებიდან საინტერესოა: ლელიჩალა (კახ.), ზამბახის ჩალა (ქიზიყ.), ჩალაბუმბულა (თუშ.), კურტნის ჩალა (ჯავახ.). ს.ს. ორბელიანი მოიხსენიებს „ჩალამგელას“ („საჭმელი ჭილი“/„ფოთოლ-ბრტყელი ჭილი“) (5, II, 314, 402).

[13] ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ერთგვარად ამყარებს ის ფაქტი, რომ ტირიფი არის ერთ-ერთი მცენარე, რომლის სახელწოდებაც ფიქსირდება ქვემო ქართლის ტოპონიმებში, მაგალითად, „ტირიფისხევი“. იხ.: (8, 249-250)

[14] მეგრულად მას „ძერწი“ ჰქვია, მესხურ და აჭარულ-გურულ დიალექტზე – „ძეწნი/ძეწნა“ (შდრ. „ძენძი“ – მესხ.) (4, 66).

[15] ინგილოურ დიალექტზე მას კატაწნორა ჰქვია (4, 48), ს.ს.ორბელიანი კატატირიფს მოიხსენიებს (5, II, 139).

მკვლევარის თქმით, „მარნა “არის „წვრილი ტირიფი, ვენახის ასაკრავი, ხოლო მარნეული – მარნას რტოთაგანი“ (5, I, 441). ეს ინფორმაცია ქართული ენის დიალექტებშიც შემორჩა. კერძოდ, მცენარე მანეულს (Salix viminalis L) ზემო იმერულ დიალექტზე „მარნეული“, ქვემო იმერულ დიალექტზე „ყვითელ ტირიფი“ (ტილიფი) ეწოდება, მეგრულად, რაჭულ და ლეჩხუ მურ დიალექტზე კი „კაპიჭი“ (8, 46)[16]. მარნეულის მსგავსად ტირიფის ერთ-ერთი სახელწოდება კახურ დიალექტზე არის **წნორი** (შდრ. დაბა კახეთში).

„დოლის ყანა“ უნდა უკავშირდებოდეს ხორბლის გარკვეულ სახეობებს: **დოლი, დოლის პური** ქართლ–კახურ დიალექტზე ჰქვია რბილ ხორბალს ფხიანს (საშემოდგომო). სულხან საბა ორბელიანი შემოდგომაზე ნათეს ხორბალს „იფქლს“ უწოდებს (5, I, 339). თუშურ დიალექტზე იფქლი ეწოდება რბილ ფხიან ხორბალს, ოღონდ საგაზაფხულოს, რომელსაც კახურ დიალექტზე დიკა, ხოლო ხევსურულად დიკა–იფქლი ეწოდება (4, 59). აშოტ კურაპალატის მკვლელობა გაიგეს დოლისყანას: „ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი – იგი იყვნეს დოლისყანასა ... წარვიდეს დოლისყანით და დევნა უყვეს მკვლელთა მათ უფლისა (აშოტ კურაპალატი – ქ.ქ.) თჳსისათა“ (6, I, 377).

შამბიანის მთა, („შამბიანის ხევი“) (***შამბი)*** – ს.ს. ორბელიანის განმარტებით, შამბი „მაღალი და სხვილი ბალახია“ (5, II, 278). ვახუშტის აღწერილობით, „არამედ მთასა ამას შამბიანი ეწოდების შამბ-ბალახ სიმაღლისაგან, რამეთუ ცხენოსანი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების ... გარნა ყუავილებითა მრავალფერ მშუენვარითა და მფშუენითა, და წყაროთა შემკული არს; უტყეო გარნა ჴევთა არყნალნი. აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს“ (2, 317). ს. ს. ორბელიანი შამბთან დაკავშირებით ასახელებს კაჭაჭს – „ხმელი შამბის ღერო“ (5, 362). ქიზიყურ დიალექტზეც სიტყვა კაჭაჭკუჭაჭი ხმელი ბალახის ღეროებს, გამხმარ შამბს ნიშნავს (7, 277). დასავლურ და აღმოსავლურ კილოკავებშიც (ქართლ. იმერ. ლეჩხ. ქიზიყ. თუშ. მთიულ.) შემორჩენილი სიტყვები „კაჭაჭი - კაჭაჭო - კაჭეჭი - კაჭახ“ გამხმარ შამბს, ეკლიან ბალახს ნიშნავს, რომელსაც ცეცხლის დასანთებად იყენებენ. მისი შესატყვისია ქარქუეტი/ქარქვეტი, რომელიც ხმელ კაჭაჭს ნიშნავს (5, II, 217)[17]. შამბიანის სახელწოდებით ხევი **(„შამბიანის ხევი“)**არსებობს აგრეთვე, პატარა ლიახვის ხეობაში (2, 363).

მაღნარი[18] – ს.ს. ორბელიანის განმარტებით, „მაღნარი არს მთათა შინა ტევრნალი შამბიანი“ (5, I, 449). ძველი ქართული ენის ლექსიკონში მაღნარი განმარტებულია, როგროც „ტყე, ხშირი ტყე, ტევრი, ფოთოლ და რტომავალი ხე, ჭალა, „სერტყი“ (1, 221). მაღნარიდან მომდინარეობს **მაღნაროვანი**, რომელიც მაღნარით დაფარულ ადგილს ნიშნავს. „ქართლის ცხოვრებაში“ ხშირი ტყის აღსანიშნავად იხსენიება დასო, რომელსაც ს.ს. ორბელიანი შემდეგნაირად განმარტავს: „დასო მაღნარისა და ჴშირისა, რომელთა(ჲ)ცა ფიჩხთა სახელი არს“ (5, I, 201) (შდრ. „დასოთა შორის მაღნარისათა“) (6, II, 559). ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „ალაზნის აღმოსავლეთის კიდეზედა არს

---

[16] ქართულ კილოთქმათა ლექსიკონში განმარტებულია, რომ ქართლურ, მოხევურ და ლეჩხუმურ დიალექტზე იგი „საგოდრე წნორს ნიშნავს – „მარნეული არის „გოდრის მოსაწნავი წნორი ტირიფი“, ან „ყვითელი ტირიფი, მოქნილი წნელი იცის, მისგან კალათებსა და გოდრებს წნავენ, ხმარობენ ვაზის შესაყენებლად, ჯაგნის ასასხმელად“, „ვაზის შესაყელავი ყვითელი ხე, ან კაპიჭი“ (7, 343, 272). „მანეულს“ უნდა უკავშირდებოდეს „მანე“ – ჯოხი, რომელზედაც ლასტსა და გოდორს წნავენ“, ან ოკრიბულ და ქვემო იმერულ დიალექტზე – „სარჭობი პატარა სარი“ (შდრ. „მანჭო“) (8, 248).

[17] ამასთან დაკავშირებით თეთრი წყაროს რაიონის ტოპონიმებიდან ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ამავე რაიონის სოფ. ვაკის (თეთრი წყაროს საქ/საბჭო) ჩრდილოეთით მდებარე ძველი ნასოფლარის სახელწოდებამ „ქარ-ქვეტიანი ველი” (სოფ. ვაკე, თეთრიწყაროს საქ. საბჭო, ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი ნ. ბექაური), რომელიც ხმელ კაჭაჭიან, გამხმარ შამბიან, ან ეკლიან ბალახოვან ველს ნიშნავს. ვახუშტის აღწერილობით, შამბიანის ხევი არის ზურტაკეტის ხეობაში (2, 317).

[18] გურულ დიალექტზე **მაღნარი** ნაყანევ ადგილს ერქვა. მიწას 8 წელი ასვენებდნენ და შემდეგ ისევ დაამუშავებდნენ. დაბლობზე ასეთ ადგილს „დობირო“ ერქვა, მაღლობზე კი „მაღნარი“ (7, 349).

ციხე ბახტრიონი, ანუ მაღრანისა“ (2, 549). ვახუშტი ასევე ასახელებს „მაღრან-დუალეთის კავკასს“ (2, 447, 648)

„ლიხი/ლიხის მთა“ – ლიხი შამბის შესატყვისია, რომელიც ს. ს. ორბელიანის განმარტებით არის „ფრიად მაღალი შამბი“ (5, I, 421). ალბათ ამ მნიშვნელობით ეწოდა ეს სახელი ლიხის მთასაც. ქართულ კილო-თქმებში (მთიულ. ფშ.) ლიხი ხმელ ბალახს ნიშნავს. „ქართლის ცხოვრებაში“ „ლიხის მთა“ მოიხსენიება ქართლოსის სამფლობელოს ჩრდილოეთ საზღვართან „მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი“, იგი არის აგრეთვე, ეგრისის წილხვედრი ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვარი (6, I, 5). დავით აღმაშენებლის მეფობის დასაწყისში თურქთაგან შევიწროებული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს საზღვარი იყო „მთა მცირე ლიხთა“ (6, I, 324).

ვახუშტი ბატონიშვილი ზურტაკეტის ხეობაში შამბიანის ხევის შემდეგ ასახელებს **არყნალის ხევს.** ისტორიკოსის თქმით, „არყნალ-შამბიანის ჴევს შუა არს წყარო შუენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ჟ-დ მეფემან ვახტანგ“ (2, 317). „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება ასევე, **არყის ციხე,** სადაც ერთმანეთს შეებნენ ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაში (2, 301)[19]. არყის ხეს[20] (Берёза/Betula), მხოლოდ ლეჩხუმურ დიალექტზე ჰქვია **არყე.** ა. მაყაშვილი აღნიშნავს, რომ არის **თეთრი, შავი, ქონდარა, მეგრული, მეჭეჭიანი არყი**, ასევე **არყი ბუჩქა** (4, 12).

ცურტავი – ეს სიტყვა „ავ“ სუფიქსით ნაწარმოები სახელწოდებაა – ცურტ-ავ-ი (ცურტ/ცრუტ). პირველად ეს სახწლწოდება იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“ ფიქსირდება. უკვე დამტკიცებულია და საყოველთაოდ აღიარებული, რომ „შუშანიკის წამების“ ვრცელი ქართული ტექსტი ძეგლის ორიგინალია. ამიტომ, ბუნებრივია აქ სახელთა და სახელწოდებათა (მათ შორის გეოგრაფიულიც) მოხსენიება ქართული ენისთვის დამახასიათებელი გრამატიკული წესების მიხედვით უნდა მომხდარიყო. აღნიშნულს მხარს უჭერს ის, რომ პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის – „შუშანიკის წამების“ ვრცელ სომხურ ტექსტში „ცურტავი“ საერთოდ არ მოიხსენიება. როდესაც იაკობ ცურტაველი წერს, რომ პიტიახშმა მსახური გამოაგზავნა „დაბა ცურტავს“, სომხური ტექსტი იმავე ადგილას აღნიშნავს, რომ პიტიახში „იქცა სოფლად თჳსისა“, სადაც გამოაგზავნა დესპანი. აღნიშნული ამტკიცებს, რომ ეს არ არის სომხური წარმოშობის სიტყვა და კონტექსტიდან გამომდინარე, მას არანაირი კავშირი აქვს სიცივესთან. მართლაც საინტერესოა, თუ „ცურტავი“ სომხური წარმომავლობის სიტყვაა როგორ უნდა მომხდარიყო ქართულ ტექსტში მისი მოხსენიება, სომხურ თარგმანში კი არა? ძალზედ საინტერესოა ის, რომ ცურტავი უფრო ძველი „ცურტევის“ ფორმით მოიხსენიება აგრეთვე, „შუშანიკის წამების“ სჳნაქსაეულ ქართულ ტექსტში – „სანახებსა ქართლისასა, სოფელსა ცურტევს“ (9, 99).

ქართულ და სომხურ წყაროებში „ცურტავი“ გარდა აღნიშნული ფორმისა, მოიხსენიება „ცორტავის“ (ჯუანშერი, ვახუშტი), „წორტავის“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“), „ორტავის“ („ეპისტოლეთა წიგნი”) და „სრტავის” (უხტანესი) ფორმითაც, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა „ცორტავ“/„წორტავის“ ფორმა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (ჭელიშური რედაქცია) სახელწოდება „ცურტავის“ გარდა ასახელებს მის კიდევ ერთ ფორმას „წორტავს“. როგორც ვხედავთ, აქ ძ – ც – წ თანხმოვნების მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე და ასევე, „უ“-ს გადასვლა „ო“-ში ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა. ამიტომ ცურტავიდან ცორტავის მიღება აბსოლუტურად დასაშვებია. ქართულ დიალექტებში „წორო/მწორო” ცირცელს, ოდნავ მწარე, მჭონავ მცენარეს ნიშნავს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „წო“ ქართულ დიალექტებში ზოგადად მჟავეს, ან მჟავე

[19] ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: ბაგრატ IV „ ... გარდავლო გზა რკინის-ჯუარისა სპითა შეკრბენ არყის-ციხეს“, სადაც შეუერთდა ლიპარიტის მოწინააღმდეგეებს – სულა კალმახელსა და გრიგოლ ერისთავს. ლიპარიტი თავს დაესხა მათ, ბაგრატი დამარცხდა, სულა ტყვედ ჩავარდა, გრიგოლმა ლიპარიტს არტანუჯი დაუთმო (2, 147).

[20] ბოტანიკურ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ გურულ დიალქტზე მას **ბალი**, ან **მთის ბალი** ჰქვია, მეგრულად **ჭყერია გვალაში ბული**, **ბულიშ ცხიმური**, სვანურად **ჟაფვრა**, **ჟაფვერ, ჯაყვარდა** (4, 12).

გემოს შემცველი საკვების აღმნიშვნელია[21]. მჟავე საკვების აღმნიშვნელ სიტყვად ძველ ქართულში კიდევ ერთი მეტად საინტერესო სიტყვა გამოიყენებოდა, რომელიც ს.ს. ორბელიანმა შემოგვინახა. ეს არის „ცრუტი", რომელიც მკვლევრის განმარტებით, ნიშნავს „მჟავით ნამზადი ჭარხალი, ანუ ჭარხლის მკლავის (ღეროს) მჟავე" (5, II, 342). არ არის გამორიცხული, რომ ეს სახელი სხვა ასევე მჟავეულობის, მჟავე (მომჟაო) საკვების, ან ნაყოფის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ჩვენი მოსაზრებით, ეს სიტყვა უფრო უნდა დადებოდა საფუძვლად სახელწოდება „ცურტავს" (ცრუტ/ცურტ-ავი), ვიდრე სომხური სიტყვა „ცურტ", რომელიც სიცივეს ნიშნავს და შინაარსობრივად შეუსაბამობას ქმნის იმ ჰავასთან, რომელიც „შუშანიკის წამებაში" და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ გაჩიანის მხარის კლიმატის აღწერაშია დაფიქსირებული. ფონეტიკურად სავსებით დასაშვებია ბგერათა გადასმა, რომლის მიხედვით, „რ" შეიძლება გადასულიყო „უ"-ს შემდეგ და „ცრუტ"-იდან მიგვეღო „ცურტ" ძირი, სავარაუდოდ მჟავე ნაყოფის (საკვები) აღმნიშვნელი, რომელსაც დაერთო გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი „ავ" სუფიქსი და მივიღეთ სახელწოდება „ცურტავი": ცრუტ/ცურტ+ავ – „ცურტავი". აქედან გამომდინარე, სახელწოდება ცურტავის ახსნა არ უნდა ვეძიოთ სომხური ენაში, არამედ იგი ქართულ რეალობაში აღმოცენებული სიტყვაა და მარტივად აიხსნება უმდიდრესი ქართული ენის ლექსიკიდან[22]. შესაძლებელია, „ცრუტ/ცურტ" სახელის ქვეშ მჟავე ნაყოფიანი ეკალბარდოვანი ბუჩქები დ ხე-ბუჩქები იგულისხმებოდეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „წორ/ცორ(ცურ)" ფუძით იმ ეკლოვანი და ბუჩქოვანი ტიპის მცენარეების ზოგადი სახელწოდება მოიხსენიებოდა, რომელთა ნაყოფს მომჟავო, მწკლარტე გემო აქვს. ამ ტიპის მცენარეთა (ცირცელი, ასკილი, ქაცვი, კუნელი, მოცვი, ხურტკმელი, კოწახური და სხვ.) ნაყოფი ბევრი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა. არ არის გამორიცხული, რომ „ცრტ/ცრუტ/ცურტ"-ი ქართულიდან, ან ქართველური ენებიდან გადასულიყო სომხურში. მართლაც, „ცურდ/ცირდ/ცრდი" ($owrd/ $ird / $rdi) სომხურში ეკლიან ბუჩქს ნიშნავს (შდრ. მეგრული ცურუ/ქართული სურო/ სვანური ბარდ). ეს სიტყვა ახსნილია, როგორც მცენარე **ღვიას** (gihi cari) ერთ-ერთი სახელწოდება[23]. მას შეესაბამება, ასევე **„მაცარ"** (Ma%ar), რაც ბუჩქს ნიშნავს.

ღვია/„ღუვის-ᲭᲔᲕᲘ" – ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ღვია/ღუვა არის „ხე ფოთელ-ქაცვიანი" (5, II, 260). ფშაურ დიალექტზე მის ერთ-ერთ სახეობას – წითელ ღვიას „ფოთოლეკალა" და „ზერი" ეწოდება. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში ღვია განმარტებულია, როგორც „ბუჩქის მცენარე, მარადმწვანე; წიწვიანი მცენარეა. მის ტოტებს ცოცხივით კრავენ და იმით ქვევრებს რეცხავენ" (7, 587-588). ღვიას

[21] კილო-თქმათა სიტყვის კონაში „წო" შემდეგნაირად არის განმარტებული: „შეჭამანდი, რომელიც კოკომჟავისაგან (მჟავია, მჟაუნა) ამზადებენ; კვაწარახი, დიდხანს ნადუღი ტყემლის წვენი, ტყემლის, ან ღოღნოშოს წვენი" (შდრ. გურულ დიალექტზე „წოიო" – დადუღებული ტყემლის წვენი) (7, 710).

[22] „თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში გვხვდება საძოვრის, სათესის, გზის, სახნავის, ხევის, წყაროს სახელწოდებები, რომლებიც მჟავე (მომჟაო) ნაყოფიანი ეკალბარდოვანი ბუჩქები და ხე-ბუჩქების სახელწოდებებიდან იღებენ ტოპონიმებს, რადგან იმ ადგილებში და ახლო-მახლო ტერიტორიებზე გავრცელებული იყო, ან გავრცელებულია ამ ტიპის მცენარეები. „მაყვლები"/„მაყვლიანი" („მაყვლიანის გზა", „მაყვლიანის ღელე", „მაყვლიწყარო"), „მალინიანი" (ჟოლო), „შვინდიანი" („შვინდიანი ვაკე", „შვინდიანის ტყე"), „მოცხვრიანი" (მოცხარი), „კუნლიანი" (კუნელი – „კუნლი მიწები"), „კვრინჩხიანი" („კვრინჩხიანთ ქედი", „კვრინჩხიანის წყარო"), „ასკილიანი" („დიდი ასკილიანი ველი"), „ძახველიანი" („ძახვლიანი ხევი") და სხვ." (9, 101-102). ძალზედ საინტერესოა აგრეთვე, რომ სომხურად „წორ" (Cor) ნებისმიერ ველურ ხილს და **კოწახურს** ნიშნავს. შესაძლოა, ეს ფუძე ქართველური ენებიდან იყოს გადასული. ამ მცენარეს გურულ და ფშაურ კილოზე „ეკალძმარასაც" ეძახიან, ხევსურულად ესკალძმარას უწოდებენ, მეგრ/ჭან. – კორწოხული/კაწახური, სვანურად – გვაწხირ/გოწხირ, რაჭულად – კვაწახური.

[23] მისი წერილობითი ფორმებია, ასევე, „ცრტნი" ($rtni), „წრდი" (Crdi), „წრდენი" (Crdeni), „წრდენიკ" (Crdenik) – ფიჭვი, ან ღვია" (9, 104).

სახელწოდებით ტოპონიმი ქვემო ქართლში მართლაც რომ არსებობდა, მხარს უჭერს „მატიანე ქართლისაᲲს“ ცნობა, რომლის მიხედვით, სულთანი ალფ-არსლანი საქართველოში ლაშქრობის დროს, ბაგრატ IV ფანასკერტიდან იმ დღესვე „ჩამოეწია თორს და ღუვის-ჭევს, და თუთ დადგა თრიალეთს სამ დღე“ (6, I, 306). ვახუშტი მას „ღვიის-ჭევით“ მოიხსენიებს[24] (2, 149).

ცხუმი/ქრცხინვალი/ცხინვალი - ორივე სახელწოდება მომდინარეობს მცენარე რცხილასგან. **რცხილა** - (Carpinus) არის ორი სახის ევროპული და კავკასიური. კავკასიური რცხილას სახელწოდება ქართულ დიალექტებში მეტად საინტერესოდ წარმოჩინდება: ქართლურ დიალექტზე მას ჰქვია **შავრცხილა** (შავი რცხილა), ფშავურ და და მთიულურ დიალექტზე **კირცხილა,** რაჭა-ლეჩხუმურ და გურულ-აჭარულ დიალექტზე – **რცხმელა** (7, 456), ასევე, **ცხმელა**, ინგილოურად **ცხილაი**, მეგრულად – **ცხიმური, ცხემური**, ჭანურად – **მცხუბრი, ცხემური**, სვანურად, **ცხვიმრა, ცხუმ** (4, 36). ს.ს. ორბელიანი რცხილას **„ქრცხემლის** (შავცხრილა), ან **ქრცხილის**“ (თეთრცხრილა) ფორმით მოიხსენიებს (5, II, 234). მოციქულები ... „შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი“[25]. მურვან ყრუმ შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“ (6, I, 235). ვახუშტი ცხუმს „ცხომის“ სახელწოდებით მოიხსენიებს (2, 1050), ხოლო ცხინვალს – „ქცხილვანის“ ფორმით: „ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის ლიახჳს კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-ჰაეროვანი“ (2, 373).

ძეგვი[26] – „კახეთის მეფის ლევანის ძე გიორგი „მივიდა ძეგუს სჳმონ მეფის თანა“ (2, 575). ლეჩხუმურ დიალექტზე ძეგვი ნიშნავს გაუვალი, ეკლიანი ჩირგვი (კკ4, 685). მისი მსგავსია იმერული **ძიგვე** – ეკალი, ბურდო[27] (7, 686), ასევე, გურული **ძიგრა** – ჯაგრცხილა, ცხმელა და გურულ-იმერული **ძიგურა** – ეკალა/ეკალღიჭი[28] (7, 687) (შდრ. მეგრ. „ძგგირი“). სვანურად „ძიგირ/ძგგირ“ მაყვალს ნიშნავს, მეგრულად კი „ძგგირიში მუყი“ (8, 152, 157).

სოსანგეთი, - „ხოლო წმიდა მოციქული (ანდრია პირველწოდებული – ქ.ქ.) წამოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი“ (6, I, 39). სოსანს ს. ს. ორბელიანი „შროშანსაც“ უწოდებს, „შროშანი არს მრავალნი, სოსანსაც უწოდიან“ (5, II, 307)[29].

ლოჭინის ხევი – ლოჭ-ი რაჭულ დიალექტზე ნიშნავს, „გაზაფხულზე მოჭრილი ხე, რომელსაც გაუსხეპავად ტოვებენ ტყეში და შემოდგომაზე მოაქვთ შინ“ (7, 336). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლოჭინის ხევი შედიოდა IV სასასპეტოში და ძველად მას **ომანის ხევი** ეწოდებოდა (2, 333, 537).

მცენარეული წარმოშობის სახელწოდებად მივიჩნიე **გაჩიანი**. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გაჩიანი (**გაჩ**-იანი) (**გაჩ-ქაჭ-კაჭ**) – ბუჩქნარი და ეკალბარდოვანი მხარის ზოგადი სახელწოდება უნდა ყოფილიყო (9, 128). ამ მხრივ, ქართული ენის დიალექტური ფორმებიდან საყურადღებოა იმერული – **„ქაჭ“,** რომლის მნიშვნელობა არის „ეკალი, ეკლიანი ადგილი“ (7, 564), გურული „ქაჭვი“ – „ქაცვი, ეკლის წვერი; ქაჭვნარ-ი

---

[24] წყაროს მონაცემს კი ამყარებს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწოფი უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის თანამშრომელთა ექსპედიციის მიერ მოპოვებული თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ვანეთის (ორბეთის ს/საბჭო) მიდამოებში ტოპონიმი „ღვიანა”, რომელიც ერთ-ერთი სათიბის სახელწოდება ყოფილა (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი, ს. პ. კობაიძე, 1984). ეს ტოპონიმი მიუთითებს, რომ ამ სათიბის ადგილას ადრე ღვიანა, ან ღვივნარი იქნებოდა. ტოპონიმის წარმოშობა უნდა დაუკავშიროთ, ღვიის სახეობებით შექმნილ ტყეებისა და ბუჩქნარების არსებობას (9, 105).

[25] ეს ჩანართი არის ფალავანდიშვილისეულ, ბარათაშვილისეულ, თეიმურაზისეულ და ბროსესეულ ხელთნაწერებში (6, I, 42).

[26] შდრ. „ძიგვა“ – ქისრიბა – ქართლურად ქოსა ბალახი, ხევსურულად – ქირცა, მოხევურად – ქუჩიმკვრივა, თუშურად – ცხენის ქუჩი, ვირის ქუჩი, ზემო რაჭულად – ვაციწვერა, ლეჩხუმურად – ბაგვი (4, 90).

[27] შდრ. ძეგუა – გამოძეგუა, გამოცეხვა (1, 48)

[28] „ეკალას ყლორტებისაგან გაკეთებული საჭამადი“ (7, 687)

[29] ალ. მაყაშვილის განმარტებით, სოსანი რამოდენიმე სახის არის, კერძოდ, ველის სოსანი, ყანის სოსანი და სოსანი ზაფრანა, რომელსაც ჯავხურ დიალექტზე მამლისთვალა ჰქვია (4, 64).

ეკალნარი, ეკლიანი ადგილი; ეკლიანი ტოტი“ (7, 564) ს.ს. ორბელიანიც მას ხის ეკლად იცნობს (5, II, 219). არსებული ლინგვისტური მასალის გათვალისწინებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ **„ქაჭ“**, ზემოაღნიშნული **„კაჭ“** (კაჭაჭი – „ხმელი შამბის ღერო“) და შესაძლოა **„გაჩ“**-იც[30] გ – ქ – კ თანხმოვნების მონაცვლეობის გათვალისწინებით ზოგადად ნებისმიერი ხმელი და ეკლიანი ბალახის, ან ეკალ-ბარდიანი ბუჩქის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძის ოდნავ განსხვავებული სხვადასხვა ფონეტიკური ფორმა იყოს (9, 128). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მეგრული სიტყვა **„გაჯაჯ“**, რომელიც მცენარე ეროს (ურო-ბალახი-ქიზიყ., ურობანდი-კახ., ეროცოცხა-ქართლ., ურნალი-რაჭა., ლეჩხ., ზ. იმერ.) აღმნიშვნელია. ბუჩქნარებიდან ეროიანებს განეკუთვნება ძეძვიანი, გრაკლიანი, უძრახელიანი და სხვ. ეროიანები კარგ საძოვრებსა და სათიბებს ქმნიან[31]. ხმელი საგნის აღმნიშვნელ სიტყვად ძალზედ საინტერესოა, აგრეთვე, **„გაჭაჯებული“** (მთიულ.) – ძალიან გამხმარი პური (7, 146), რაც სემანტიკურად შესაძლოა უკავშირდებოდეს „გაჯ/გაჩ/(გაჭ)“ ფუძით აღმნიშვნელი ხმელი, ეკალბარდოვანი ბუჩქებით დაფარული მხარის სახელწოდების ფუძეს. ზემოაღნიშნული მოსაზრების დამამტკიცებელ არგუმენტად კი მიმაჩნია სვანური ტოპონიმი **„გაშიანი“**[32]. ამრიგად, „გაჩ“ ძირი შესაძლოა, მივიჩნიოთ, როგორც მჩხვლეტავი, ეკლიანი საგნის სახელწოდების აღმნიშვნელი, „იანი“/„ანი“ კი საგნის თვისების, ან მახასიათებლის აღმნიშვნელია. აქედან გამომდინარე, „გაჩიანი“ არ უნდა იყოს ანთროპომორფული წარმოშობის სახელწოდება, არამედ იგი მჩხვლეტავ, წვეტიან, ეკლიან საგანთა სიმრავლეს, ან ერთობლიობას უნდა ნიშნავდეს. თუ ამ სახელში მხარის ბუნებრივ ლანდშაფტს ვიგულისხმებთ, „გაჩიანი“ („გაჩ“ (ქაჭ/კაჭ) - იანი) ეკალ - ბარდოვანი, შამბნარ - ბალახოვანი და ბუჩქნარ - ძეძვიანი ლანდშაფტით მახასიათებელი მხარის აღმნიშვნელ სახელწოდებად წარმოჩინდება. თავიდანვე „გაჩიანი“ მიკროტოპონიმი იქნებოდა, შემდგომ კი საერისთავო და სამთავრო ქვეყნების ჩამოყალიბებასთან ერთად უნდა გადაქცეულიყო მთელი მხარის აღმნიშვნელ მაკროტოპონიმად. ქვემო ქართლის ზოგიერთი ადგილის მცენარეული საფარი, რომლებსაც მოიცავდა გაჩიანის მხარე, ძეძვნარებითა და ჯაგრცხილნარებით გამოირჩევა (3, 262).

ასევე, კონკრეტულ მცენარეებს უკავშირდება შემდეგი სახელწოდებანი: (იმერ.), **ბიჭვინთა**[33] **–** ფიჭვი, **შინდები/შინდისის გორა/შინდარა/შინდობი**[34] **/შინდობის**

---

[30] „გაჩ” ფუძესთან მიმართებაში ირიბი მნიშვნელობით, ძალზედ საინტერესოა სვანური სიტყვა „გაჩ, რაც დანას ნიშნავს, ასევე „გეჩ”, რომელიც ჯაყვას ეწოდება. ბუნებრივია, ეს ორი სახელწოდება საგნის თვისებიდან გამომდინარე მოიცავს შესობის, შერჭობის, ჩხვლეტის მნიშვნელობას. ალბათ, შინაარსობრივად მას უკავშირდება ლეჩხუმურ დიალექტზე სიტყვა „გაჩეკვა”, რაც ხის (ჯოხის) წაწვეტებას ნიშნავს (9, 128).

[31] ამასთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესო უნდა იყოს სოფ. მარაბდის (კოდის ს/საბჭო) ტოპონიმებიდან სახნავის სახელწოდება „ეროიანი”, რაც მიუთითებს, რომ აქ მრავლად ამოდიოდა ბალახეული მცენარე ურო (ჩამწერი ს. მელიქიძე, ინფორმატორი გ. კახნიაშვილი, 1982). ძალზედ საინტერესოა აგრეთვე, საძოვრის სახელწოდება „ძირტკბილიანი” სოფ. ზემო წყრულეთთან. ამ სახელით სახნავი მიწაც იწოდება. როგორც ჩანს, ამ ადგილებში ეროიანი ბალახების ერთ-ერთი ტიპი ძირტკბილა ყოფილა გავრცელებული (დასახლ. პუნქტი, ს. ზემო წყრულეთი, ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორი ნ. მძელური, 1982). „ეროიანი”, როგორც ნაკვეთის სახელწოდება გვხვდება აგრეთვე, სოფ ღოუბანში (ბორბალოს ს/საბჭო) (ჩამწერი ქ. გოდერძიშვილი, ინფორმატორყ გ. პეტრიაშვილი) (9, 129).

[32] მარგიანების გვარის კუთვნილი სათიბის სახელწოდება მესტიის რნ-ის, მუჟალის თემის, სოფ. ჩხვიმიანში.

[33] იმერულ, მესხურ და აჭარულ დიალექტზე მას კატარი ჰქვია, მოხევურად კი - ჩირაღის ხე (4, 70). ცნობა – „ ვინაცა იუსტინიანე ტაძარი წმიდისა ღმრთისმშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა ბიჭვინტას“ – ჯუანშერის წყაროში ჩამატებულია ეფრემ მცირის უწყებიდან (6, I, 215). დავით აღმაშენებელმა ერთ-ერთი ზამთარი გაატარა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი“ (6, I, 339).

[34] „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვახტანგ გორგასლის ძუძუმტემ არტავაზმა არტანუჯის გარდა ააგო სამი ეკლესია: „დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა“ (6, 178). „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ და ქუთაისის მუზეუმის ნუსხების ჩანართის მიხედვით, მელქისედეკ კათალიკოსმა „ ... მოიგო ქართლს: პალავრის მონასტერი, ცუქითი, ყინწვისი და შინდობის ნახევარი (6, I, 295). ეს მონაკვეთი ამოღებულია მცხეთის XI ს–ის საბუთიდან.

ეკლესია – შინდი, **თელავი/თელიანი** – თელა[35], **ოფრეთი**[36] – ოფი, **ვაშლების ხევი/ვაშლობი/ვაშლოვანი**[37] – ვაშლი, **ღოლოვანი**[38] – ღოლო და სხვ. „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება აგრეთვე, ისეთი სახელწოდებები, რომლებიც დაკავშირებული არიან მცენარეულ საფართან, მაგ.: **„ჭალა“, „ტყე“, „დაშტი“ (ველი)** და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ,IV, თბ., 1973.
3. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964.
4. მაყაშვილი ალ., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.
5. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, წ. I, II, თბ., 1991, 1993.
6. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, II, თბ., 1955, 1959.
7. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.
8. ქუთათელაძე ქ., მარნეულის სახელწოდებისათვის, ქართველური ონომასტიკა, VI, თბ., 2013.
9. ქუთათელაძე ქ., ქვემო ქართლის პოლიტიკურ ცენტრთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2010.

ქეთევან ქუთათელაძე

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ზოგიერთი მცენარეული წარმოშობის ტოპონიმი და მათი დიალექტური შესატყვისები

რეზიუმე

ტოპონიმების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი მხარის მცენარეული საფარია. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული ზოგიერთი ტოპონიმი პირდაპირ უკავშირდება კონკრეტულ მცენარეს. ხშირად მიკროტოპონიმი მაკროტოპონიმად იქცევა. ისტორიულ და გეოგრაფიულ პუნქტთა მცენარეული წარმოშობის სახელწოდებების ეტიმოლოგიური კვლევა, ქართულ დიალექტებში პარალელური ფორმების და სახელწოდებების მოძიება, შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ამა თუ იმ ტოპონიმის შესახებ ზუსტი ინფორმაცია გვქონდეს. გარდა ამისა, საინტერესოა ასევე, თუ რომელი მცენარეული საფარი ვრცელდებოდა ამა თუ იმ მხარეში, რომლის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ტოპონიმმა თუ შემოგვინახა.

---

[35] თელას ჭანურ დიალექტზე კარადაჯი ეწოდება, მეგრულად ცგ, სვანურად ცადრა (4, 31). მესხმა აზნაურმა ისაკ ტოლობელისძემ დატყვევებული განძის ამირა ფადლონი კახეთის მეფე აღსართანს მიჰგვარა თელავს (6, I, 312).

[36] ფშავურ დიალექტზე ოფი ალვისხისებური მცენარეა (7, 431). ქართლურ დიალექტზე მას „თეთრი ნერგი“ ჰქვია, ქვ. იმერულ დიალექტზე – სკვილენჯი, სუროჯი, სპილენძი, აჭარულად – ყავადი (მაყ8, 56). სუმბატ კვირიკიანმა ბაგრატ IV გადასცა ოფრეთის ციხე (6, I, 307). ამ ციხეს „უფრეთის“ ფორმით მოიხსენიებს უხტანესი, სადაც იმყოფებოდა შუშანიკ დედოფალი.

[37] ვახუშტი ბატონიშვილი ვაშლების ხევს ასახელებს იმერეთში (2, 758), ხოლო ვაშლობს ასახელებს სამცხეში (2, 664). ქართლის ცხოვრებაში ვაშლოვანი მოიხსენიება ტაოში და ქართლში. ვაშლოვანი არის მხარის სახელწოდება ტაოში, აქ არის ციხე, რომელიც მიიტაცა გუზან ტაოსკარელმა. ვაშლოვანს ხშირად არბევენ თურქები. ვაშლოვანში თურქებს ებრძვის ბექა ჯაყელი და მის შვილი სარგისი (6, II, 55, 312, 313). მეორე ვაშლოვანი იგულისხმება ქართლში. „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ხუნანთან და თელეთებთან ერთად მოიხსენიება „[ღვინჭრობი] (შდრ. იმერულ დიალექტზე სიტყვა „ღვინჯა“, რომელიც ძალიან მწიფე ხილს ნიშნავს (7, 588)) და ვაშლოვანი“, რომელიც სპარსთაგან იყო აოხრებული (6, II, 367).

[38] მას მესხურ, იმერულ, რაჭულ, ლეჩხუმურ, აჭარულ და ჭანურ დიალექტზე ღვალო/ღვალუ ჰქვია (4, 75). ბოტანიკურ ლექსიკონში გვხვდება ასევე, ღოლომუავა - მამალი ღოლო, ღოლო მხალი, ღოლოშმაგა (4, 75-76). ვახუშტი ბატონიშვილი ალგეთის ერთ–ერთ შენაკადად ასახელებს ღვალთა–ღოლოვნის ხევს. მართლაც, ამ მხარეში არის სოფ. ღოლოვანი, ასევე ტოპონიმები – დიდი და მცირე ღოლოვანი. ეს ადგილი ღოლოს სიმრავლით გამოირჩევა.

Ketevan Kutateladze

Some toponymies of plant origin mentioned in "Kartlis Tskhovreba" and their dialectical equivalents

Summary

One of the important basis of the origin of toponymies is the plant covering of the land. Some toponymies mentioned in "Kartlis Tskhovreba" are directly connected with concrete plants. Often microtoponymy is transformed into macrotoponymy. Ethimological reserch of historical and geographical names of the plant origin of settlements, searching of parallel forms and names in the Georgian dialects and comparative analysis give the chance to have the exact information of this or that toponymy. Besides, it's very interesting what kind of plant covering was spread in this or that settlement, information about it preserved only in toponymy.

Кетеван Кутателадзе

Некоторые топонимы растительного происхождения, упомянутые в «Картлис Цховреба» и их диалектные соответствия

Резюме

Одной из значительных основ происхождения топонимов является раститетельный покров края. Некоторые топонимы, упомянутые в «Картлис Цховреба» прямо связаны с конкретными растениями. Часто микротопоним преобразуется в макротопоним. Этимологическое исследование названий растительного происхождения исторических и географических пунктов, поиск паралелльных форм и названий в диалектах Грузинского языка и их сравнительный анализ, дают возможность иметь точную информацию о том или ином топониме. Кроме этого, представляет интерес, какой раститетельный покров распространялся в том или ином крае, информация, которая сохранилась только в топониме.

.

ᲚᲐᲚᲘ ᲣᲠᲓᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ

სათანადო სამეცნიერო – ისტორიული კვლევები ადასტურებს, რომ აფხაზეთი და აფხაზები უძველესი ქართული სახელმწიფოს ძირძველი შემადგენელი ნაწილია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სწორედ აფხაზეთის მიწაზე იქადაგეს პირველად მოციქულებმა და არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ მიწაზე მდებარეობდა სიმონ კანანელის სახელობის ქართული მონასტერი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, "... ესე აფხაზეთუ შემკული არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰავითა... ხოლო კაცნი... სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი... აქუთ სასოება მღვდელთა ფრიად... ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული" (1, 786).

მე-8 საუკუნის აგიოგრაფი ავტორი, იოანე საბანისძე, თავის თხზულებაში "წმ. აბო თბილელის წამება", ხაზგასმით გვაუწყებს, რომ არაბთაგან შევიწროებულმა ქართლის ერისთავმა ნერსემ სწორედ ქრისტიანებით დასახლებულ აფხაზეთში გახიზნა თავისი ოჯახი მტრისგან თავდაცვის მიზნით, ხოლო მოდგმით სარკინოზი და გაქრისტიანებული არაბი ჭაბუკი აბო, ნერსეს თან გაჰყვა აფხაზეთში. აფხაზეთის მთავარს, ლეონ მე-2-ს, სურდა მისი დატოვება აფხაზეთში, ვინაიდან ის ქრისტიანული მხარე იყო და არბთა ბატონობა იქამდე ვერ სწვდებოდა.

ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომში საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ მე-9-10 საუკუნეებში, აფხაზ მეფეთა განსაკუთრებული ძალისხმევითა და მონდომებით, აფხაზთა სამეფო ეკლესიურად გამოეყო კონსტანტინეპოლს და მცხეთის ტახტს დაექვემდებარა, რაც, ფაქტობრივად, ქართულ – აფხაზური ეკლესიების გაერთიანებას და ერთიანი ქართული ეკლესიის აღმოცენებას ნიშნავდა. ამიერიდან ქართულ ენაზე აღევლინებოდა საეკლესიო წირვა – ლოცვა. ამ ვითარებას სრულიად ნათლად და ერთმნიშვნელოვნად ასახავს გიორგი მერჩულის შემდეგი სიტყვები მისსავე აგიოგრაფიულ თხზულებაში "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება": "ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა

ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების” (4, 290). ამ სიტყვების დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოა ყველგან, სადაც წირვა – ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულება. აფხაზთა სამეფოში იწერებოდა უნიკალური აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, იგებოდა უძველესი ქრისტიანული ტაძრები და მონასტრები, სრულდებოდა უძველესი ეპიგრაფიკული წარწერები. მის ნათელსაყოფად საკმარისია თუნდაც მოქვისა (957-967) და ბედიის (975-1014) საეპისკოპოსოების დასახელება, რომლებიც ქართული კულტურის უძველეს ცენტრებს წარმოადგენენ.

ოსმალთა ბატონობამ აქ მცხოვრები მოსახლეობის სარწმუნოებრივი სიმტკიცე შეარყია, რაც თავის სასარგებლოდ კარგად გამოიყენა რუსეთმა იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად. იწყება რუსეთის შიდა გუბერნიებიდან სხვადასხვა სექტის წარმომადგენელთა ჩასახლება აფხაზეთში.

რუსეთ – თურქეთის გამუდმებულმა ომებმა მთლიანად გაანადგურა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია – მონასტრები და ვინაიდან სწორედ ისინი უნდა ყოფილიყო რუსული იმპერიის საეკლესიო პოლიტიკის საყრდენი, ამიტომაც რუსეთმა დაიწყო ზრუნვა განადგურებული ეკლესია – მონასტრების აღდგენისათვის, რაც პრაქტიკულად, მოქმედ ეკლესიათა გარუსებას ემსახურებოდა.

1821 და 1838 წლების საიმპერატორო ბრძანებულებით, ბიჭვინთის ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შემდეგაც მონასტერი აფხაზეთში რუსული საეკლესიო იდეოლოგიის საყრდენად იქცა. იგივე ბედი ეწიათ უფრო მოგვიანებით ბედიის, მოქვისა და ახალი ათონის მონასტრებს.

ოსმალთა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ძალადობით დასუსტებული აფხაზეთის მოსახლეობის რელიგიურად განმტკიცების მისიით, რუსეთი იწყებს თავისი შორსმიმავალი, ვერაგული პოლიტიკის გატარებას ამ მხარეში.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ რუსიფიკატორული რეჟიმის აქტიური მოწინააღმდეგენი იყვნენ ქართული ეროვნული ძალები: ინტელიგენცია და თავადაზნაურობა. სწორედ მათ ძალისხმევას მიეწერება ის სასიქადულო ნაბიჯი, რომლის მეოხებითაც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან კვლავ გამოცოცხლდა ქართული სული აფხაზეთში, დაიწყო კულტურული აღმავლობის პროცესი, ამოქმედდა “დაქურივებული” ეკლესია – მონასტრები, გაიხსნა სამრევლო სკოლები. განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ გამაჰმადიანებულ მოსახლეობაში ქრისტიანული სულის გაღვივებას, მართლმადიდებ-ლობისაკენ მათ შემობრუნებას. ეს პროცესი საგანგაშო იყო რუსეთის იმპერიისთვის, რომელიც მასობრივად ასახლებდა თურქეთში გამაჰმადიანებულ მცხოვრებლებს.

მე-19 საუკუნის მიწურულს, 80-90-იან წლებში ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ამ მიმართულებით გაწეულმა მუშაობამ გამოიწვია მკვეთრი პროტესტი რუსული ეკლესიის მმართველ წრეებში, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ ქართველი სულიერი მოღვაწენი მთლიანად ჩამოაშორა იმპერიამ აფხაზეთს და ეს უკანასკნელი დაუქვემდებარა რუსეთის წმინდა სინოდს. ამიერიდან სოხუმის საეპისკოპოსოს მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმთავრები განაგებდნენ. ამის შემდეგ მისიონერულ მოღვაწეობას რუსეთი აღასრულებდა მხოლოდ ძალის, დაშინებისა და მუქარის მეთოდით, რითაც ქრისტიანობის მიმართ მარტო სიძულვილსა და ნეგატიურ დამოკიდებულებას უღვივებდა მოსახლეობას.

როგორც სამართლიანად შენიშნავენ “საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის” ავტორები პროფ. ვ. თორაძე და ნ. თორაძე აფხაზეთში ქრისტიანობის განსამტკიცებლად რუსეთის საეკლესიო პოლიტიკამ არა თუ დადებითი შედეგი გამოიღო, არამედ, პირიქით, შეასუსტა ქრისტიანობის აღდგენის პროცესი და ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა აფხაზობა. “ქრისტიანობის საბურველით მოსილი და საღვთო მოღვაწეობას ამოფარებული რუსეთის სამღვდელოება არა ეკლესიას, არამედ პირადი კარიერის შექმნასა და იმპერიული ზრახვების განხორციელებას ემსახურებოდა” (2, 515).

ეს დაპირისპირება და გაუგებრობა იქმადე მივიდა, რომ მოსახლეობა სრულიად განერიდა და გაწყვიტასულიერი კავშირი მასთან.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი ახალი ძალით ცდილობს საკუთარი პოლიტიკის თავსმოხვევასა და გავლენის გაძლიერებას აფხაზეთში. ამ იმპერიული

ზრახვების სისრულეში მოსაყვანადმას ეკლესია ეგულება უმნიშვნელოვანეს ბერკეტად. ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელთა და მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის წინაშესაქართველოს ეკლესიისავტოკეფალიის საკითხი დგება დღის წესრიგში. ამავე დროს რუსეთის ხელისუფლება ახალი საეკლესიო რეფორმის გატარების სამზადისს შეუდგა, რაც ითვალისწინებდა საეკლესიო საზღვრების ხელახალ გადასინჯვას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა კავკასიის სამიტროპოლიტოს და სოხუმის ეპარქიის დაარსების საკითხი. სწორედ კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნით უნდა მომხდარიყო სოხუმის ეპარქიის მოწყვეტა საქართველოს ეკლესიისგან. იმპერიული ჩანაფიქრით, სოხუმის ეპარქია ქართულ სამრევლოებს მოსწყდებოდა და გადაიქცეოდა გარუსებული ქართველების, აფხაზების, ბერძნების, სომხებისა და სხვა ეთნოსების ეპარქიად. რუსეთი იმედოვნებდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის ხელახლა წამოჭრის შემთხვევაში აფხაზეთის გარუსებული მრევლი რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში იქნებოდა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, აფხაზეთი მის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდებოდა.

რუსეთის საეკლესიო რეფორმას დაუპირისპირდა აფხაზი ხალხი. ისინი მოითხოვდნენ სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეკლესიო საზღვრებში დატოვებას, ეკლესიებში ქართული საღვთისმეტყველო ენის აღდგენას, აფხაზი ხალხის ქართული კულტურისაგან გაუმიჯნაობას.

მიუხედავად საზოგადოებრივი პროტესტისა, რუსეთის მთავრობა აქტიურად შეუდგა თავისი მზაკვრული მიზნების განხორციელებას საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომაც.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ძირეულად შეცვალა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივი ცხოვრება. ცვლილებები შეეხო საქართველოს ეკლესიასაც. აღდგა მისი ავტოკეფალია. ხელისუფლებას საბჭოური იდეოლოგიის დასაყრდენი ეკლესიაშიც უნდა მოეძებნა. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ დაიწყო შიდა საეკლესიო განხეთქილებისათვის აქტიური მიზანდასახული ქმედებები.

20-იანი წლების მიწურულს აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ, ნ. ლაკობამ, ცენტრიდან მიღებული დადგენილების საფუძველზე, სიმონ კანანელის მონასტერი ბერებს დაატოვებინა. მათ მიტოვებულ კელიებს შეაფარეს თავი, ხოლო უფრო მოგვიანებით, ხუთი კაცისგან შემდგარი სინოდი იძულებული გახდა თავადვე მიეღო თვითლიკვიდაციის გადაწყვეტილება. ახალ ათონზე დარჩენილმა 21-მა ბერმა ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

მოგვიანებით, აფხაზეთის ეპარქიას სათავეში ჩაუდგა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ილია შიოლაშვილი – ღუდუშაური, რომელიც შემდგომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი გახდა.

11 წლის განმავლობაში საქართველოს სულიერი მწყემსმთავარი უდიდესი ძალისხმევითა და დახვეწილი დიპლომატიით ცდილობდა აეღორძინებინა აფხაზეთი მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების კუთხით.

1992 წლის ტრაგიკული მოვლენების დროს, რუსმა ექსტრემისტებმა აფხაზთა ნაწილი, ძირითადად აფსუები, დაარწმუნეს, რომ ქართველები მათი მჩაგვრელები არიან. ასევე აამხედრეს ისინი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ, რამეთუ ეროვნულ სულსა და თვითმყოფადობას ოდითგანვე ეკლესია ინარჩუნებდა, ეკლესია ედგა ბურჯად ეროვნული ღირებულებების ერთგულებას და დაცვას, ამიტომაც ყველაფერი კეთდებოდა სასულიერო მოღვაწეთა მორალური და ფიზიკური განადგურებისათვის.

როგორც თავად პატრიარქი ბრძანებს: ”1995 წელს ურწმუნო ხალხი იქიდან გამოდევნეს. ეს იყო წამება და ტკივილი, მაგრამ ამავე დროს ძალიან დიდი სულიერი ამაღლება, იმიტომ, რომ ერში გაძლიერდა სარწმუნოება, მოექცა ჩვენი ხალხი და ძალიან მალე ღვთის წყალობით მორწმუნე დაბრუნდება”.

უწმინდესისა და უნეტარესის ეს სიტყვები არის ძალა და იმედი იმისა, რომ აფხაზეთი, როგორც ჩვენი ქვეყნის უძველესი ქრისტიანული მხარე, კვლავ საქართველოს შემადგენელ ძვირფას მარგალიტად აელვარდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, მე-4, აფხაზეთისათვის, თბ., 1973.
2. თორაძე ვ., თორაძე ნ., – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, თბ., 2005.
3. ლორთქიფანიძე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
4. მერჩულე გ., გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1964.

ლალი ურდულაშვილი

რუსეთის როლი აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში

რეზიუმე

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ძირეულად შეიცვალა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივი ცხოვრება. ჩვლილებები შეეხო საქართველოს ეკლესიასაც. აღდგა მისი ავტოკეფალია. ხელისუფლებას საბჭოური იდეოლოგიის დასაყრდენი უნდა მოეძებნა. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ დაიწყო შიდა საეკლესიო განხეთქილებისათვის აქტიური მიზანდასახული ქმედებები.

1965 წელს აფხაზეთის ეპარქიას სათავეში ჩაუდგა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ილია შიოლაშვილი-ღუდუშაური, რომელიც შემდგომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა. იგი უდიდესი ძალისხმევითა და დახვეწილი დიპლომატიით ცდილობდა აეღორძინებინა აფხაზეთი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების კუთხით.

Lali Urdulashvili

The Role of Russia in the Religious Life of Abkhazia

Summary

After the 1917 Revolution fundamentally changed the social Life of Russian Empiry. The changes touched to Georgian church too. Autocephaly in Georgia was restored. The government had to find some ideological support in church, for this purpose the Soviet Authorilities set out elaborate activities to make church discord.

Since 1965 Abkhazian Eparchy was headed by Ilia Shiolashvili, who later became Cathalicos Patriarch of the whole Georgian. He greatly contributed to strengthen of Abkhazian population and Patriarch deeply hopes of Abkhazian's rapid rejoining the territorial unity of Georgia.

Лали Урдулашвили

Роль России в церковной жизни Абхазии

Резюме

Падение Византийской империи и господство турков поколебало твёрдость веры жителей Абхазии, что было использовано Россией для осуществления своих империалистических намерений. Россия начала заселять Абхазию представителями разных сект, из внутренних губерний. Основной опорой идеологического захвата Грузии стала русская церковь.

Активными противниками русификаторского режима были грузинские национальные силы: интеллигенция и дворянство.

თამარ გალობერი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ ქართული თარგმანი და კრიტიკა

სტატიაში შეძლებისდაგვარად, განხილულია ჯეიმს ჯოისის ურთულესი სტილის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და ქართული კრიტიკის დამოკიდებულება ამ მოსაზრებების მიმართ.

„თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თარგმანის ისტორიაში, ამჯერად არ ვგულისხმობთ ძველ საუკუნეებს, ლაპარაკი გვექნება მე-19-20 საუკუნეებზე, რადგან მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება ვიმსჯელოთ ისეთ მოვლენაზე, როგორიც ჯეიმს ჯოისის „ულისეს” თარგმანია. თვით ეს ფაქტი მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებს განეკუთვნება. „ულისეს” პირველი ეპიზოდი 1976 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „საუნჯეში”, შემდეგ მისი პირველი ნაწილი წლების მანძილზე ამავე ჟურნალში იბეჭდებოდა, წიგნად გამოიცა 1983 წელს და ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ნელი საყვარელიძის სახით მყისვე გამოუჩნდა კვალიფიციური შემფასებელი, რაც იშვიათი მოვლენაა ქართული თარგმანის ისტორიაში.

ცხადია, „ულისეს” გამოქვეყნების თარიღის მოხსენიება აუცილებელია, მაგრამ იგი ჩვენ სხვა კუთხითაც გვაინტერესებს, კერძოდ, საინტერესოა, რა მნიშვნელოვანი თარგმანები უძღოდა მას წინ. რა სიახლე მოიტანა „ულისეს” თარგმანმა ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში და რა ადგილს დაიჭერს იგი ქართული თარგმანის ისტორიაში.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოკლე ექსკურსი დაგვჭირდება, ოღონდ, როგორც აღინიშნა, იგი მე-19-20 საუკუნეებს მოიცავს, რადგან ამ პერიოდს განეკუთვნება ივ. მაჩაბლის შემოქმედება, ანუ პირველი ნიშანსვეტი ქართული თარგმანის ისტორიაში. ამ დროს უკვე თარგმნილია დასავლეთევროპული ლიტერატურის რამდენიმე ნიმუში. მაგრამ ჯერ ერთი, მათი უმრავლესობა ორიგინალიდან არ იყო თარგმნილი, მთავარი მიზეზი კი მაინც ისაა, რომ ივ. მაჩაბლამდე ჩვენ არ გვყოლია მთარგმნელი, რომელიც თავის მიზანდასახული და პროდუქტიული მოღვაწეობით მთელ ეპოქას შექმნიდა ქართულ ლიტრერატურაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი, შეიძლება ითქვას, ივ. მაჩაბელმა დაასრულა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი. შემთხვევითი სულაც არაა, რომ ეს ფაქტი თარგმანის სფეროში ხდება, რადგან, თუ ერთ ცნობილ თეორიტიკოსს დავესესხებით, თრგმანი არის „გიგანტური”, ბუნებრივი ლინგვისტური ექსპერიმენტი”. ჭეშმარიტი მთარგმნელის წინაშე ძევს მთელი ენობრივი საგანძური, იგი მიმართავს მის ყველა შრეს, ამდიდრებს მას ახალი, უცხო ცნებებით, რასაც საბოლოოდ ეპოქის შესაფერი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. ეს ენა კი თავის მხრივ საფუძვლად ედება სხვადასხვა სტილისტურ სისტემას, რომლის ყალიბშიც თავსდება რომელიმე უცხო ლიტერატურის ნიმუში.

ასეთივე ამოცანა იდგა ნ. ყიასაშვილის წინაშე, როცა მან ხელი მოჰკიდა „ულისეს” თარგმანს, რადგან ეს ნაწარმოები სხვა დიდ სიძნელეებთან ერთად, წმინდა ენობრივი პრობლემების გადაჭრასაც მოითხოვდა. უმთავრესი სირთულე კი, ცხადია, იყო სათარგმნი მასალის უნიკალობა, თუ გნებავთ, მისი უთარგმნელობის, უფრო მეტიც, მისი გაგების შეუძლებლობის მითი. თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ალბათ არ მოიძებნება მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელიც ერთი მხრივ, რჩეულთა მეტად ვიწრო წრისათვისაა განკუთვნილი, მეორე მხრივ კი არსებობს აზრი, რომ იგი საერთოდ არ არის მაღალმხატვრული ნაწარმოები. აქ ბევრი რამ იკარგება სიტყვების ზღვაში და მათ შორის ე.წ. ცნობიერების ნაკადიც, რადგან მეტწილად ძნელდება მისი აღქმა და ნაწარმოების საერთო ქსოვილიდან გამორჩევა, ანუ მისი ფარგლების დადგენა, რადგან ფორმალურად არაფერი არ მიგვანიშნებს ნაწარმოების თავსა და ბოლოზე. ამ ლიტერატურულ ხერხში გარკვევა ჯერ მთარგმნელისაგან, შემდეგ კი მკითხველისაგან უნივერსალურ განათლებას მოითხოვს. ეს განათლება, ცხადია, არ აკლდა თვით ნიკო ყიასაშვილს, მაგრამ იგი თითქოს ბოლომდე დარწმუნებული არ არის, რომ თვით ყველაზე კვალიფიციურ მკითხველს საკმაოდ აღმოაჩნდება სათანადო ერუდიცია და ამიტომ ლამის ყოველ წინადადებას ურთავს კომენტარს. განსაკუთრებით თვალში საცემი

იყო ეს „საუნჯის” ნომრებში, სადაც თითოეული გვერდის ლამის სამი მეოთხედი სქოლიოს ეკავა. ეს გარემოება შეიძლება მართლა ეხმარებოდა მკითხველს ტექსტის გაგებაში, მაგრამ უეჭველად აფერხებდა ნაწარმოების ესთეტიკურ აღქმას. ამ მხრივ ნამდვილად მოიგო წიგნად გამოცემულმა თარგმანმა, სადაც კომენტარები ბოლოშია გადატანილი. ნიკო ყიასაშვილის ეს საშიში და მკითხველზე არაჩვეულებრივი ზრუნვა გამოსჭვივის წიგნის წინასიტყვაობაში... საიდანაც რამდენიმე მომენტს გამოვყოფდი: 1. „ულისეს” გაგებისათვის ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ იგი ჰომეროსის „ოდისეას” სქემითაა აგებული და ისიც, რომ სახელი ულისეც ოდისევსის ინგლისური ვარიანტია. აქედან გამომდინარეობს რჩევა, რომ „ულისეს” მკითხველს „ოდისეას” პროზაული თარგმანი მაინც უნდა ჰქონდეს წაკითხული, რათა მიხვდეს, რომ „ულისე” „ოდისეას” გადამუშავების ცდას კი არა, მის პაროდიას წარმოადგენს. 2. ნ. ყიასაშვილი მკითხველს თავიდანვე აცნობებს, რომ ჯოისის გამოჩენა ლიტერატურაში ფაქტიურად ახალი სამწერლო ენის შემოტანას ნიშნავდა და გზადაგზა აჩვევს იმ აზრს, რომ თარგმანშიც უნდა მოველოდეთ თამამ ენობრივ ექსპერიმენტებს, რადგან უამისოდ „ულისე” ჩადგებოდა იმ თარგმანების მწკრივში, სადაც თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არ ჩანს მთავარი – მხატვრული ღირებულება. 3.მთარგმნელმა თვითონ ზედმიწევნით კარგად იცის და, აქედან გამომდინარე, მკითხველსაც ნათლად უხსნის, რა არის ცნობიერების ნაკადი და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, სადაც გაანალიზებულია „ულისეში” მათი ჩართვის მიზანი, წყარო და ავტორისეული ინტერპრეტაცია. 4. ცნობილია, რომ თარგმანისას ყველაზე ძნელი დასამორჩილებელი პრაგმატული და შიდაენობრივი მნიშვნელობებია, ცხადია, მაშინ, როცა მათ საგანგებო სტილისტური ან აზრობრივი დატვირთვა გააჩნიათ. ამიტომ, ნ. ყიასაშვილი წინასიტყვაობაში საკმაო ადგილს უთმობს რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ბლუმის გაშიფრვა-გააზრებას. „ბლუმ” ინგლისურად ყვავილს ნიშნავს, ლეოპოლდის მამა-პაპათა გვარი უნგრეთში ყვავილს ნიშნავდა, მისი ფსევდონიმიც „ფლაუერ” – ყვავილია. ასე რომ, მეხუთე ეპიზოდის ანალოგიაც ჰომეროსთან ანუ ჰომეროსისეული „ლოტოსის ეფექტი” (დავიწყება, ნებისყოფის მოდუნება) სწორედ „ყვავილის” მეშვეობით მიიღწევა.

სანამ ენობრივი ექსპერიმენტის რამდენიმე მაგალითს შემოგთავაზებდეთ, ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ ნიკო ყიასაშვილის თარგმანის საფუძველი არის გამართული ქართული ენა და ამიტომ ჯოისისეული ოკაზიური წარმონაქმნების ადეკვატები ქართული ენის შელახვად იშვიათად აღიქმება. სხვა საქმეა, რომ შეიძლება ყველა ამგვარი მცდელობა არ იყოს ოსტატობით აღბეჭდილი, ზოგი შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს ან ჩაფიქრებულისგან, განსხვავებულ ასოციაციას აღძრავდეს, მაგალითად, ამ ფრაზაში: „თეთრად ჩაწიკწიკებულ კბილებში აქა-იქ ოქრო უელავდა. „ოქროპირი” ქართულში მჭერმეტყველის სინონიმია და არა ოქროს კბილებიანი პირისა, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია, ჯოისის სიტყვათქმნადობის ნიმუშების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ ტექსტში იოლი შესაცნობია და სავსებით გასაგებიც. მაგ.: „ტალღაქათქათა შეუღლებული სიტყვების კიაფი დაბინდულ ზღვაზე”, „მუშკამბარსურნელოვანი”, „მგლის ლაშებიდან გადმოკიდებული ენის ჩვარი”; „აბრეშუმცვრიანი საქონელი”, „ფარშევანგციმციმა წამწამები”, „დანაცრულსუნთქვიანი ქალის მოჩვენება” და სხვ. გასაგებია ჯოისისეული უჩვეულო წარმოსახვანი: მაგ.: „თაკარა მზე უხუნებდა უხეიროდ შეღებილი თმების თაფლს”; „სტივენს, რომელიც ჯერ კიდევ საკუთარი სულის ტკივილისაგან თრთოდა, მოესმა თბილი დაფრქვეული მზის შუქი”; „გახამებულ საყელოსა და ჯიუტ ჰალსტუხს იკეთებდა” და სხვ.

ნ. ყიასაშვილი ასევე ზედმიწევნით იცავს ჯოისისეულ პუნქტუაციას, რომელიც არ ცნობს პერსონაჟის სიტყვებისა და რემარკის გამოყოფას, არ გაურბის უზმნო სინტაგმების სიუხვეს და სხვ. ნიკო ყიასაშვილმა შექმნა ახალი სტილისტური სისტემა, ფაქტიურად მან გზა ჯოისის თაგმანის სფეროში და ჯოისის მომავალ მთარგმნელებს დაუტოვა ზუსტად მიგნებული ორიენტირები. მისმა „ულისემ” ქართული თარგმანის ისტორიაში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დენდის სტილის გადმოტანა არათუ აუცილებელი, არამედ შესაძლებელიც არის და არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში ნაწარმოები, რომლის ადეკვატის შექმნა ქართული ენის ბაზაზე არ შეიძლებოდეს.

„ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ” 75 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ 1999 ᲬᲚᲘᲡ №11-12-ᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ, ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ. ᲒᲐᲜᲒᲔᲑ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲗᲣ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐ, ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲯᲝᲘᲡᲘᲡ „ᲣᲚᲘᲡᲔᲡ” ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ, ᲛᲔ-18 ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ „ ᲞᲔᲜᲔᲚᲝᲞᲔ” ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ, ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ – „ᲣᲚᲘᲡᲔᲡ” ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ! ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲞᲐᲗᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲰᲘᲞᲔᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲨᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ” ᲘᲛᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲣᲫᲜᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲣᲚᲔᲡᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ „ᲣᲚᲘᲡᲔᲡ” ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲙᲘᲡᲠᲐ ᲐᲬ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲛᲐ �პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲛᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ. ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲯᲝᲯᲮᲔᲗᲣᲠ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲘ, ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „ᲣᲚᲘᲡᲔᲡ” ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲒᲔᲜᲡ ᲑᲝᲘᲡᲔᲜᲘ: „ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲬᲐᲠᲣᲨᲚᲔᲚ ᲙᲕᲐᲚᲡ ᲡᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ. ᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲐᲠ: ᲣᲚᲘᲡᲘᲖᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲔ. ᲐᲚᲑᲐᲗ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲡ ᲬᲐᲘ�კᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ: ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ, ᲩᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ. ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ... ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ? ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ? ᲐᲮᲡᲜᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲐᲠᲒᲛᲜᲝᲡ „ᲣᲚᲘᲡᲔ”, ᲐᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲪᲐᲓᲔ ᲛᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ? ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ! ᲛᲐᲨᲘᲜ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲥᲔᲚᲘ ᲢᲝᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲬᲔᲠᲐ ᲐᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲔᲗᲐ ᲐᲦᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ.” ᲐᲛ ᲪᲘᲢᲐᲢᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ, ᲡᲐᲛᲗᲐᲑᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲣᲛᲫᲦᲕᲐᲠᲐ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲯᲝᲘᲡᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲘᲒᲜᲡ.

„ᲣᲚᲘᲡᲔ” ᲓᲐ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ” (ᲨᲢᲔᲤᲐᲜ ᲪᲕᲐᲘ�გᲘ, ᲘᲚᲑᲔᲠᲢ ᲙᲘᲢ ᲩᲔᲡᲢᲔᲠᲢᲝᲜᲘ, ᲐᲜᲐ ᲐᲮᲛᲐᲢᲝᲕᲐ, ᲗᲝᲛᲐᲡ ᲕᲣᲚᲤᲘ, ᲢᲝᲠᲜᲢᲝᲜ ᲣᲐᲘᲚᲓᲔᲠᲘ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲜᲐᲑᲝᲙᲝᲕᲘ, ᲙᲐᲠᲚ ᲘᲣᲜᲒᲘ). ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ, „ᲣᲚᲘᲡᲔᲡ” ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲓᲐᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲖᲐᲘᲙᲝᲡᲘᲡ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲥᲝᲛᲐᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ” ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ (ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲑᲔᲭᲓᲐ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ”) ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲝᲠᲭᲝᲤᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲤᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ: „ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲔᲚ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲛᲐᲗᲖᲔ (ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲖᲔ – Ნ.Კ., Ა.Გ.) ᲯᲝᲘᲡᲘᲐ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲘᲡᲘᲪ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲜᲣ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲝᲘᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲛᲐ – ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘ. ᲯᲝᲘᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲛ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘᲕᲘᲗ ᲐᲘᲢᲐᲪᲐ.”

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ Ნ., ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲐᲚ., ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ”, 18-24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 2000.
2. ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ Დ., ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲣᲚᲘᲡᲔ” ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ, „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ”, 9-14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2001.
3. ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ Ნ., ᲯᲝᲘᲡᲘᲡ ᲮᲜᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ, „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ”, 5 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1982.

თამარ გალობერი

ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ ქართული თარგმანი და კრიტიკა

რეზიუმე

სტატიაში შეძლებისდაგვარად, განხილულია ჯეიმს ჯოისის ურთულესი სტილის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და ქართული კრიტიკის დამოკიდებულება ამ მოსაზრებების მიმართ.

ჩვენ შევისწავლეთ ქართული კრიტიკის უახლესი მინაცემები „ულისეს“ თარგმანის შესახებ. კონკრეტულად დალი ფანჯიკიძის სტატია *„ნიკო ყიასაშვილის „ულისე“ ქართული თარგმანის ისტორიის კონტექსტში“* („ლიტერატურული საქართველო“, 9-15 ნოემბერი, 2001, გვ. 12, ნოდარ კაკაბაძისა და ალექსანდრე გვახარიას წერილი „მთარგმნელის გმირობა“ (ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ ქართული თარგმანის გასრულების გამო“ („ლიტერატურული საქართველო“, 18-24 თებერვალი, 2000, გვ. 4) *და* ქართული მთარგმნელობითი სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის ნ. ყიასაშვილის ღვაწლი ამ ეპოქალური რომანის თარგმანის შესახებ.

Tamar Galoberi

The Georgian Translation of „Ulysses“and Georgian Critique

Summary

In this paper we have studied the latest data of the Georgian criticism on the translation of Ulysses. Specifically Dali Panjikidze's paper of „Niko Kiasashvili's Ulysses in the context of the Georgian translation history" („Literaturuli SakarTvelo''(Literary Georgia) („ლიტერატურული საქართველო“, November 9-15, 2001, p.12) and Nodar Kakabadze and Alexandre Gvakharia's letter, „The Translator's Heroism''(on the completion of the Georgian translation of James Joyce's Ulysses („Literaturuli SakarTvelo''(„ლიტერატურული საქართველო“), (Literary Georgia), 18-24 February, 2000, p. 4). The brilliant representative of the Georgian translation school, N. Kiasashvili's contribution on the translation of this epochal novel.

Тамар Галобери

Перевод hjvfyf „Улисс'' на грузинском языке и грузинская критика

Резюме

D cnfnmt hfccvjnhtys gjcktlyst lfyyst j gthtdjlt „ Ekbcc'' yf uhepbycrjv zpsrt . Rjyrhtnyj, cnfnmz Lfkb Gfyl;brblpt „Ekbcc'' Ybrj Rbfcfidbkb d rjyntrcnt bcnjhbb uhepbycrjuj gthtdjlf'' (Kbnthfnehekb cfrfhndtkj'' Kbnthfnehyfz Uhepbz 9-15 yjz,hz 2001 cnh 12) b gbcmvj Yjlfhf Rfrf,flpt b Fktrcfylhf Udf[fhbz ,Uthjqcndj gthtdjlxbrf''(gj gjdjle jrjyxfybz gthtdjlf L; L;jqcf „Ekbcc'' yf uhepbycrjv zpsrt („Kbnthfnehekb cfrfhndtkj''(Kbnthfnehyfz Uhepbz) 18-24 atdhfkz 2000 cnh 4) J drkflt Yjlfhf Rbfcfidbkb , dslf.otuj ghtlcnfdbntkz uhepbycrjq gthtdjlxtcrjq irjks, d hfpdbnbb gthtdjlf ýnjuj ýgj[fkmyjuj hjvfyf.

Nino Sanaïa

Professeur associée à l'Université d'Etat de Soukhoumi

L'aspect cognitif de la dénotation métaphorique du concept " penser" en Français

Il y a longtemps que l'aspect cognitif de la langue naturelle attire l'attention des linguistes. Au centre de notre attention se trouve la métaphore comme instrument cognitif. Nous partageons le point de vue d' Earl R. Mac Cormack (2, 1, 8-9) selon lequel la métaphore est un certain processus de la cognition qui est basé sur les structures profondes cognitives de l'esprit. --- d'une part sur la ressemblance entre les qualités des référents sémantiques et d'autre part sur leur non ressemblance. Le processus cognitif à l'aide duquel nous approfondissons notre vision de l'univers et créons de nouvelles hypothèses de lui ou pénétrons dans le sens des objets, précède le processus sémantique – l'anomalie conceptuelle. .D'après Mac Cormack la nature de la métaphore serait plus transparente si l'on envisageait comme mécanisme du calcul (de l'ordinateur)

Selon cette vision du sens de la métaphore on peut dire qu'elle représente un résultat de l'influence du certain processus cognitif sur les structures sémantiques formelles. Alors la métaphore est une description de l'inconnu sur la base du connu, l'instrument de la structuration linguistique et logique de l'univers.

D'autre part Fauconnier et Nolan pensent que l'univers est un « tout », « l'espace » ou autrement dit « le vide » où se trouve l'homme et tout ce qui existe autour de lui. Là, se produit et se développe tout ce qui existe. La catégorie de l'espace correspond a « l'entier », tandis que celle des objets - aux « parties ». Ces deux catégories représentent l'unité dialectique (3), (4, 70).

L'objet de notre étude est le processus de penser comme une des activités psychiques de l'homme – d'une partie de l'entier. Le but de notre recherche est la construction de l'image cognitive de cette activité, basée sur la métaphore –concept, l'instrument de la cognition de ce fragment de la réalité.

« Penser» est un processus qui peut être structuré a l'aide de la métaphore liée. Notre recherche est basée sur les séries verbales métaphoriques désignant ce processus, tirées des dictionnaires et de la littérature:

(S)'abîmer dans les pensées ; (s)'absorber dans la méditation ; ~ dans ses pensées ; ~ dans ses réflexions ; aiguiser de (fines) pensées ; aller [jusqu'au bout de] la pensée ; balayer des pensées (criminelles, malfaisantes) de l'esprit, chasser des pensées (criminelles, malfaisantes) de l'esprit ; ciseler de (fines) pensées ; détacher la pensées de qqn ou de qch ; (s)'enfoncer dans une idée ; une idée s'échappe ; ~ éclaircit l'esprit ; ~ passe (par la tête) ; ~ se présente ; ~ traverse l'esprit ; ~ vient (a la pensée) ; il me vient une idée ; laver son imagination des pensées… ; (se) livrer a de (vagues) pensées ; (se) mettre dans l'idée ; mûrir des pensées (criminelles, malfaisantes) dans sa tête ; nourrir des pensées (criminelles, malfaisantes) dans son cerveau ; (la) pensée s'assoupit ; ~ bondit ; ~ chemine ; ~ (s') enlace ; ~ erre ; ~ (se) joue ; ~ lancine ; ~ (se) mêle ; ~ poursuit… ; ~ surgit ; ~ trotte (par) l'esprit ; ~ vagabonde ; (les) pensées s'abattent ; ~ assiégent qqn ; ~ (s' en) détournent ; ~ défilent (sur le front) ; ~ dispersent ; ~ (s)'égarent ; ~ obsèdent qqn ; ~ reviennent ; ~ tournent (autour de)… ;~ viennent ; ~ vont (vers) ; partager la pensée d'autrui ; perdre [le fil de ses idées] ; (se) perdre dans ses pensées ; ~ en considération ; (se) plonger dans ses pensées ; ~ dans la méditation ; porter (dans son cerveau) des pensées (criminelles, malfaisantes) ; rouler de (tristes, profondes) pensées ; leurs réflexions se croisent ; ~ se détruisent, sonnez, sonnez les clairons de la pensée ; sauter d'une idée a l'autre ; suivre [le fil de se idées] [DAAFR] .

La pensée en tant qu'un processus, peut avoir des phases différentes, de différentes nuances aspectuelles ou morales mises a part par l'homme dans le processus cognitif et exprimées ensuite dans la structure sémantique des unités métaphoriques. . Pour les décrire il est commode et utile de se référer a la langue sémantique, au système des symboles crée par Meltshuk et Jolkovsky puis développé par Aprésjan (5) .

Alors on peut décrire la situation typique du processus de penser et ses éléments, dont la structure profonde est : S + pense + de (à) O

Les structures possibles construites a l'aide de séries métaphoriques designantes penser en français sont :

(1) S res (penser) + Funco
(2) S + Oper + S res + Loc

Le concept du **début** du processus de penser, comme activité indépendante (Incept Funco) est désigné a l'aide des paradigmes métaphoriques suivantes :

- sans aucun sème accentué : (se) mettre dans l'idée ; une idée se présente ; ~ vient (a la pensée) ; il me vient une idée ;
- avec un sème de **l'inattendu** accentué : une idée surgit ;

Le concept de la **continuité** du processus de penser (Cont Funco, Cont Oper1) est exprime :

- Sans aucun sème accentué : porter (dans son cerveau) de pensées (criminelles, malfaisantes) ; ~ défilent (sur le front) ; sauter d'une idée a l'autre ; suivre [le fil de se idées] .
- Avec un sème de la **profondeur accentuée** :

(s)'Abîmer dans les pensées ; (s)'absorber dans la méditation ; `~dans ses pensées ; ~dans ses réflexions ; (se) perdre dans ses pensées ; ~ en considération ; (se) plonger dans ses pensées ; ~ dans la méditation ; (s)'enfoncer dans une idée ; (se) livrer a de (vagues) pensées ;

- Avec le sème de l' **amélioration de la qualité (**melior**)** accentué : ciseler de (fines) pensées dans sa tête ; aiguiser de (fines) pensées ;
- Le sème du **parfaitement** mis en relief : nourrir de pensées (criminelles, malfaisantes) dans son cerveau ; mûrir de pensées (criminelles, malfaisantes)
- La **liberté** de la pensée accentué : une pensée chemine ; ~ erre ; ~ vagabonde ;

- La **répétition** est mise en relief : Les pensées tournent (autour de)… rouler de (tristes, profondes) pensées ; les pensées reviennent ;
- La **vitesse** est accentué : les pensées galopent ;

Le concept de la **fin** du processus (Fin Funco, Fin Oper1):

- aller [jusqu'au bout de la pensée] ; perdre [le fil de ses idées] ; les réflexions se détruisent ;

Le concept de la **liquidation** de la situation de penser (Caus Fin Oper1 = Liqu) :

- balayer des pensées (criminelles, malfaisantes)de l'esprit, chasser des pensées de pensées (criminelles, malfaisantes) de l'esprit ; détacher la pensée de qqn ou de qch ; laver son imagination des pensées… ;
- L'activité **ponctuelle (**quant**)** est désignée par les métaphores suivantes : une idée traverse l'esprit ; ~ passe (par la tête) ;

L'homme se bat toujours contre les pensées défavorables. Parfois ses pensées deviennent plus faibles ou au contraire plus fortes que lui.

La **faiblesse** de la pensée est exprimée dans les séries suivantes :

- une idée s'échappe ; (la) pensée s'assoupit ;
- La **force** de la pensée est désignée à l'aide des métaphores : (les) pensées assiègent qqn ; ~ obsèdent qq ; les pensées hantent [son esprit]

Alors pour les Français les pensées ce sont :

- **des êtres vivants** : chasser des pensées de l'esprit, une idée s'échappe, ~défile, ~ passe [par la tête], ~ se présente, ~ traverse [l'esprit], ~vient [a la pensée] ; la pensée s'assoupit, ~ bondit, ~ chemine, , ~ erre , ~ vagabonde ; ~ s'enlace, ~ lancine, ~ poursuit qn.,, ~ assiège qqn.; les pensées viennent, reviennent ;
- **objet** dans : cacher des pensées ; détacher la pensée de qqn. où de qch.; partager la pensée… ;
- **objet aigu** dans: aiguiser, ciseler de fines pensées ;
- **abîme** dans: s'abîmer dans les pensées ;
- **fruits** dans : mûrir une pensée [dans sa tête]
- **nourrisson** : nourrir une pensée [dans sa tête]
- **ennemi :** les pensées assiègent qn. ;
- **cheval** : les pensées galopent ;
- **hante** : les pensées hantent [son esprit] ;
- **son** : sonnez, sonnez les clairons de la pensée.

On aboutit ainsi à une image hypothétique métaphorique de la pensée en langue française, où les pensées, comme des objets en espace (dans le vide) sont caractérisées sous divers points de vue : **spatio-temporelle** (s'échappe, défile, passe, traverse, vient, chemine, erre, vagabonde ; galopent , passent, traversent) , **sensitifs (sensoriels, perceptionnel)** : visuel (forme - aiguiser, ciseler ; couleur – claire/obscure : éclaircit/ -), auditive : sonnez ; morale : (bon / mauvais : - / balayer, chasser,laver) ; **qualitatif** :du point de vue de la force : assiègent, obsèdent / assoupit.

En français les pensées sont caractérisées comme objets matériels.

Pour conclure on peut dire que notre analyse démontre que la métaphore n'est pas seulement un instrument de la cognition mais aussi un médiateur entre l'esprit et la culture [MacCormack, 1985, 4], autrement dit – une vision ethnoculturelle de l'univers.

Bibliographie

1. Robert, P. Dictionnaire Alphabétique et Analogique de la Langue Française. Les mots et les associations d'idées, T 1 - 7, Paris, 1980.
2. Mac Cormack, E. A Cognitive Theory of Metaphor, London, 1985.
3. Fauconnier, G. Mental Spaces: Aspects of Meaning Construction in Language, Cambridge, 1994.
4. Nolan R Cognitive Practices, Human Language and Human Knowledge, Oxford, 1994.
5. La Sémantique en U.R.S.S, Paris, 1971.

Nino Sanaïa

L'aspect cognitif de la dénotation métaphorique du concept " penser" en Français

Résumée

L'image hypothétique cognitif métaphorique de la pensée en langue française est le suivant : les pensées, comme des objets en espace (dans le vide) sont caractérisées sous divers points de vue : **spatio-temporelle** (s'échappe, défile, passe, traverse, vient, chemine, erre, vagabonde ; galopent , passent, traversent) , **sensitifs (sensoriels, perceptionels)** : **visuel** (**forme** - aiguiser, ciseler ; **couleur** – claire/obscure : éclaircit/ -), **auditive** : sonnez ; **morale** : (bon / mauvais : - / balayer, chasser, laver) ; **qualitatif** :du point de vue de la force : assiègent, obsèdent / assoupit.

Alors en français les pensées sont caractérisées comme objets matériels. Notre analyse démontre que la métaphore n'est pas seulement un instrument de la cognition mais aussi un médiateur entre l'esprit et la culture , autrement dit – une vision ethnoculturelle de l'univers.

ნინო სანაია

«აზროვნების» ცნების მეტაფორული სახელდების კოგნიტური ასპექტი ფრანგულ ენაში

რეზიუმე

«აზროვნების» ცნების მეტაფორული კოგნიტური სურათი ფრანგულ ენაში შემდეგნაირია: აზრები, როგორც საგნები სივრცეში, სხვადასხვა ასპექტშია დახასიათებული. მაგ.: **სივრცით-დროითში** (s'échappe, défile, passe, traverse, vient, chemine, erre, vagabonde ; galopent , passent, traversent) ; **გრძნობითში (გრძნობებში აღქმადი): ვიზუალურში (ფორმა -** aiguiser, ciseler ; **ფერი** - claire/obscure, éclaircit); **ბგერითში** (sonnez) ; **მორალურში** ((bon / mauvais : - / balayer, chasser, laver); **ხარისხობრივში** (ძალის თვალსაზრისით - assiègent, obsèdent / assoupit).

ამრიგად, «აზრები» ფრანგულ ენაში დახასიათებულია საგნების ანალოგიით. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი იმაზე მიუთითებს, რომ მეტაფორა არა მხოლოდ სახელდების ინსტრუმენტია, არამედ შემეცნების საშუალებაც არის.

Nino Sanaia

The Cognitive Aspects of Metaphoric Denotatio of "Thinking" Concept in French

Summary

The metaphoric cognitive picture of "thinking" concept in French is the following: ideas as objects in space are characterized according to different aspects. For instance: by **time/space** (s'échappe, défile, passe, traverse, vient, chemine, erre, vagabonde ; galopent , passent, traversent) by **Perception** (comprehanded by feelings) : **Visual** (Forms: - aiguiser, ciseler ; **Colour** : claire/obscure, éclaircit); by **Sounds (**sonnez) by **morality (**(bon / mauvais : - / balayer, chasser, laver); **by Quality** (in terms of **power**- assiègent, obsèdent / assoupit).

Based on mentioned above "ideas" in French are characterized as the analogs of objects. The analyses carried reveals the metaphor is not only means of denotation but of cognition at the same time.

Нино Саная

Когнитивный аспект метафорической номинации «мышления» во французском языке

Резюме

Метафорическая когнитивная картина «мышления», как отрезка мира во французском языке выглядит следующим образом : мысли, подобно предметам в пространстве охарактеризованы в разных аспектах. На пример: **пространственно-временном** (s'échappe, défile, passe, traverse, vient, chemine, erre, vagabonde ; galopent , passent, traversent) ; **В чувсвенном** (непосредственно данном в чувсвах) : **(форма -** aiguiser, ciseler ; **цвет** - claire/obscure, éclaircit; **звук** (sonnez) ; **В моральном** ((bon / mauvais : - / balayer, chasser, laver); **В качественном** (с точки зрения силы - assiègent, obsèdent / assoupit).

Тем самым мысли во французском языке метафорически характеризуются по аналогии с предметами. Проведённый нами анализ показал, что метафора не только инструмент номинации, но и средство познания мира.

განათლების მეცნიერებანი

ლია მენთეშაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო ჩახუნაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

პედაგოგიური ურთიერთობის პრობლემები უმაღლეს სასწავლებელში

განათლების სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალი პრობლემა წარმოიშვა უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური ურთიერთობის თვალსაზრისით. "ურთიერთობები სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია, უფროსებსა და უმცროსებს განსხვავებული შეხედულებები და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, რაც მათ შორის გაუგებრობისა და კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გახდეს" (2, 104).

პედაგოგიური ურთიერთობის სუბიექტებსა და ობიექტებში ჩვენ ვგულისხმობთ ლექტორებს, სასწავლო ჯგუფებს. ლექტორი, როგორც ურთიერობის სუბიექტი, ზეგავლენას ახდენს კოლექტივზე თავისი ავტორიტეტით, რაც მის საზოგადოებრივ აღიარებად გვევლინება და წარმოადგენს კოლექტივის შეფასებას, თუ რამდენად შეესაბამება მისი პიროვნული თვისებები სინამდვილეში ობიექტურ მოთხოვნილებებს.

პედაგოგიური ურთიერთობა უმაღლეს სასწავლებელში, ეს არის ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთკავშირი, რომელშიც აღმოცენდება ფსიქიკური კონტაქტი გამოვლენილი ინფორმაციის გაცვლაში, ურთიერთზეგავლენაში, ურთიერთგაგებაში.

უმაღლეს სასწავლებელში ნებისმიერი საგნის ლექტორის უპირველესი მოვალეობაა არა მარტო საგნის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე სწავლება, არამედ სტუდენტებთან პედაგოგიური თვალსაზრისით სწორად წარმართული ურთიერთობის დამყარება.

ლექტორები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სტუდენტებთან ურთიერთობის სტილით. „ერთნი ახერხებენ მათ დაინტერესებას, მონდომების უზრუნველყოფას სასწავლო საგნის მწყობრი ლოგიკის გაცნობიერებით, თეორიული ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობის ჩვენებით, თხრობის ემოციურობით, სხვები კი მიმართავენ მკვეთრ ზომებს – მკაცრ მოთხოვნას, მუქარას, ლანძღვას" (3, 71).

პედაგოგიკის მეცნიერებაში ცნობილია პედაგოგიური ურთიერთობის რამდენიმე სახეობა. მაგალითად, ვ.ა. კან-კალიკი ურთიერთობის ხუთ სახეობას გამოჰყოფს: 1. ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობით გატაცების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობას; 2. მეგობრული განწყობილების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობას; 3. დისტანციურ ურთიერთობას. აქედან, მეცნიერთა მიერ დადებითად არის შეფასებული პირველი ორი. უპირატესობა კი ენიჭება პირველს (1, 3).

უმაღლეს სასწავლებელში არსებობს ორი მთავარი ფიგურა-ლექტორი და სტუდენტი. მათი ურთიერთობა ლექციაზე და თავისუფალ დროს წარმოადგენს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის მეტად მნიშვნელოვან პირობას, სტუდენტის პიროვნების ჩამოყალიბების ეფექტურ საშუალებას.

ლექტორსა და სტუდენტს შორის სწორად წარმართული პედაგოგიური ურთიერთობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებს. წარმატებული რომ იყოს სტუდენტებთან ურთიერთობა, აუცილებელია მას გააჩნდეს საგნის კარგი ცოდნის გარდა სტუდენტის პიროვნების შეცნობის, პერცეპციისა და სუგესტურობის უნარი, მისი თვალსაზრისის, შეხედულებების, გრძნობებისა თუ ემოციების გარკვეულად გათვალისწინების ნიჭი და უნარი, მან უნდა შეძლოს ურთიერთობის მაქსიმალურად ორგანიზებული მართვა.

ქართველ მეცნიერთა (შ.ამონაშვილი, მ. დოღონაძე) მიერ ინტეგრირებული სახით იქნა წარმოდგენილი პედაგოგიური ურთიერთობები. მათ გამოყვეს პედაგოგიური ურთიერთობის ძირითადად სამი სტილი – დემოკრატიული (თანამშრომლობითი), ავტორიტარული (იმპერატიული) და ლიბერალური (1, 3).

ჩვენს მიერ დასახელებული სამივე სტილი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. სამი ინტეგრირებული სტილიდან ქმედითია მხოლოდ დემოკრატიული და ავტორიტარული. ეს ორი განაპირობებს პედაგოგიური ამოცანის მეტ-ნაკლები წარმატებით დაძლევას, ხოლო რაც შეეხება ლიბერალურ სტილს, იგი მხოლოდ ზიანის მომტანია: მას ახასიათებს უდისციპლინობა, უპასუხისმგებლობა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სტიქიურად წარმართვა.

ჰუმანურ-დემოკრატიული სტილისათვის დამახასიათებელი თანამშრომლობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტებში ინიციატივიანობის აღმოცენებას, შემოქმედებითი საწყისების განვითარებას, პასუხისმგებლობას, საზოგადოებრივი აქტივობის ზრდას და ა.შ.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ლიტერატურის გაცნობამ დაგვანახა, რომ ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით ლექტორი სტუდენტისათვის უნდა იყოს მეგობარი, კეთილმოსურნე მრჩეველი. მაგრამ, ე.წ. მეგობრული ურთიერთობა არ უნდა გასცდეს გარკვეულ ჩარჩოებს, მათ შორის აუცილებელია ზღვარი ყოველთვის არსებობდეს. სიახლოვე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს ლიბერალურ ურთიერთობაში.

ურთიერთობის ავტორიტარულ-იმპერატიული სტილი მკვეთრად განსხვავდება ჰუმანურ-დემოკრატიული და ლიბერალური სტილისაგან. ავტორიტარული ურთიერთობის სტილს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ლექტორის მიერ თავისი როლის ცალმხრივად წინა პლანზე წარმოჩენა, სტუდენტის უსიტყვო მორჩილება. როგორც პროფ. შ.მალაზონია მიუთითებს სტუდენტებში „ავტორიტარულ-იმპერატიული სტილი უდავოდ ამუხრუჭებს დამოუკიდებლობას, ინიციატივიანობის, თვითმოქმედების, შემოქმედებითი საქმიანობის უნარის განვითარებას“ (3, 73) და ხშირ შემთხვევაში ლექტორსა და სტუდენტს შორის კონფლიქტურ სიტუაციასაც იწვევს. ყოვლად დაუშვებელია ლექტორისადმი შიშზე დამყარებული ურთიერთობა, მაგრამ უფრო მიუღებელია პირფერობაზე აღმოცენებული ურთიერთობა.

სტუდენტებთან ურთიერთობის სტილი თანდათან იხვეწება და ყალიბდება. ურთიერთობის სტილის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლექტორის ცოდნას, განათლებას, პიროვნულ თვისებებს, პედაგოგიურ ტაქტს და ა.შ. სხვა თვისებებს.

ურთიერთობის სტილის ფორმის ჩამოყალიბებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია სტუდენტის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებიც (ამის გარეშე შეიძლება სტუდენტებთან ურთიერთობის პრობლემა წარმოიშვას), რადგან თანამედროვე ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს ახასიათებს საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებულობა, ნაკლებთავაზიანობა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის არქონა, ინტელექტისა და ფართო ერუდიციის ნაკლებობა და ა.შ. ამიტომ, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ არა მარტო ლექტორზეა დამოკიდებული პედაგოგიურად გამართლებული და მისაღები ურთიერთობის დამყარება სტუდენტებთან, არამედ თვით სტუდენტებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ მიმართულებით და ზოგჯერ მათი მიზეზითაც შეიძლება წარმოიშვას ურთიერთობის პრობლემები უმაღლეს სასწავლებელში.

გარდა აღნიშნულისა, პედაგოგიურ ურთიერთობაში სირთულეები, გარკვეული ბარიერები სხვა მიზეზებითაც შეიძლება წარმოიშვას. მაგ., შეიძლება ახალგაზრდა ლექტორი იწყებდეს პედაგოგიურ საქმიანობას უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც საგნის კარგი ცოდნა აქვას, მაგრამ ურთიერთობის ბარიერების გადასალახავად არ იყოს მზად ფსიქოლოგიურად კონტაქტის დამყარებისათვის, არ გააჩნდეს სათანადო ცოდნა და უნარი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ზოგადად ისიც, რომ ლექტორი (ახალბედა თუ გამოცდილი) შეიძლება არ ფლობდეს ვერბალურ (სიტყვიერ) და არავერბალური (ჟესტი, მიმიკა) ურთიერთობის საშუალებებს.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ურთიერთობის არავერბალური საშუალებები შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის. არავერბალური საშუალებები (ჟესტი, მიმიკა) ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებთან ურთიერთობაში; გასათვალისწინებელია როგორი ჟესტითა და მიმიკით იქნება წარმოთქმული თითოეული წინადადება, ყოველ სიტყვას ემოციური დატვირთვა უნდა ჰქონდეს, რაც მნიშვნელოვანია ურთიერთობის მიზანმიმართულად მართვისათვის.

ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობის გარკვეული სირთულეების წარმოშობის მიზეზები მრავალი შეიძლება იყოს, მაგრამ გამოვყოფთ შემდეგს:

ა) ლექტორისა და სტუდენტის განსხვავებული შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე, ინტერესთა შეუთანხმებლობა;

ბ) ორივე მხრიდან ზედმეტი ემოციური რეაქცია;

გ) არასწორად შედგენილი ლექციების ცხრილით უკმაყოფილება;

დ) ზოგიერთი ლექტორის მიერ წაკითხული ლექციით უკმაყოფილება;

ე) ზოგჯერ (სტუდენტის მოსაზრებით) დაუმსახურებელი ბრალდების წაყენება ლექტორის მხრიდან;

ვ) ცოდნის შემოწმება-შეფასებით უკმაყოფილება (ზოგჯერ სტუდენტს ჰგონია, რომ მას იმაზე დაბალი ქულა დაუწერეს, ვიდრე ეკუთვნოდა;

ზ) შემოქმედებითი ნიჭის სტუდენტების მიმართ არასათანადო ყურადღება და ა.შ.

ჩვენს მიერ დასახელებული ძირითადი მიზეზების ცოდნის საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება შეიქმნას მუშაობის გარკვეული სისტემა, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობის პრობლემებს.

უმაღლეს სასწავლებელში ჩვენი ხანგრძლივი მუშაობისა და დაკვირვების შედეგად დავასკვნით, რომ სირთულეები ურთიერთობაში ძირითადად სტუდენტებში შეინიშნება, რადგან მათ ზოგჯერ უჭირთ უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნებისადმი შეგუება, ლექტორის კრიტიკა ადვილად შეუძლიათ, მაგრამ თავიანთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა სამწუხაროდ ხშირად ავიწყდებათ, რაც მნიშვნელოვანი მიზეზი ხდება ლექტორსა და სტუდენტს შორის კონფლიქტის წარმოშობისა.

ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად პირველ რიგში საჭიროა სტუდენტებთან ინდივიდუალური საუბრების ჩატარება, რაც მაღალ პედაგოგიურ ოსტატობას, სათანადო ცოდნასა და განათლებას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2008.
2. ბაქრაძე მ., ბაჰტიარ მეჰდიევა ნ., კობალაძე ქ., სასიცოცხლო უნარები (მასწავლებლის სახელმძღვანელო), თბ., 2012.
3. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001.

ლია მენთეშაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი

პედაგოგიური ურთიერთობის პრობლემები უმაღლეს სასწავლებელში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პედაგოგიური ურთიერთობის არსი, სახეები (დემოკრატიული, ავტორიტარული, ლიბერალური); გაანალიზებულია ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობაში წარმოშობილი პრობლემების მიზეზები; აღნიშნულია აგრეთვე ის, რომ ლექტორსა და სტუდენტს შორის ნორმალური პედაგოგიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა თუ ზემოქმედების ისეთი მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, რომელიც არსებული პედაგოგიური სიტუაციის ადეკვატური იქნება და ურთიერთობაში წარმოშობილი პრობლემები ნაწილობრივ მაინც გადაიჭრება.

Lia Menteshashvili, Nino Chakhunashvili

Problems of Pedagogical Interrelation in High School

Summary

Essence and characters (democratic, authoratic, liberal) of pedagogical inter- relation are considered in the article; are analysed reasons of problems in interrelation between lecturer and student; is shown how to form normal peda- gogical interrelation of lecturer and student. Must be used such methods of influence, which will be adequate of the given pedagogical situation and partly will be decided problems in interrelation.

Лия Ментешашвили, Нино Чахунашвили

Проблемы педагогических взаимоотношений в высших учебных заведениях

Резюме

В статье рассматривается суть педагогических взаимоотношений, их виды (демократические, авторитарные, либеральные), причины возникновения проблем во взаимоотношениях между лектором и студентом, отмечено так же то , что для формирования педагогических отношений между лектором и студентом, должны быть использованы такие методы воздействия , которые будут адэкватны для данной педагогической ситуации и хотя бы частично решать возникшую во взаимоотношениях проблему

ნათელა წოწონავა
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ინგლისური მოდალური ზმნების სწავლების თავისებურებანი

მოდალური ზმნების სწავლება ერთ-ერთი რთული საკითხია ინგლისური ენის შემსწავლელი ქართველი სტუდენტებისათვის. ქართულ ენაში არათუ მოდალური ზმნები არ არსებობს, არამედ მოდალობაც არაა გამოყოფილი ცალკე გრამატიკულ კატეგორიად.

ინგლისური ენის პრაქტიკულად დაუფლებისათვის, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის გასაგებად კი მოდალური ზმნებისა და სხვა მოდალური საშუალებების ცოდნა აუცილებელია.

მოდალური ზმნები უნდა ისწავლებოდეს მას შემდეგ, რაც სტუდენტებს ერთხელ კიდევ გავამეორებინებთ კილოს (კონკრეტულად, კავშირებით კილოს). როგორც მადლობის გამოხატვის გარამატიკულ საშუალებას. შემდეგ გადავალთ მოდალობის გამოხატვის ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებაზე. დაბოლოს ვასწავლით მოდალობის გამოხატვის ლექსიკურ საშუალებას – მოდალურ სიტყვებსა და გამოთქმებს.

ამრიგად, მოდალური ზმნები უნდა ისწავლებოდეს არა ცალკე, გამოყოფილად, არამედ როგორც ნაწილი ერთი მთლიანი, პრობლემისა, რომელსაც მოდალობა ეწოდება. ვიდრე დავიწყებდეთ მოდალური ზმნების, ხოლო მათზე ადრე კილოს შესწავლას, საჭიროა ავუხსნათ სტუდენტებს, რაც შეიძლება მარტივად, მოდალობის არსი. მოდალური ზმნები სხვა ზმნებისაგან განსხვავებით მოქმედებას ან მდგომარეობას კი არ გამოხატავენ, არამედ გადმოსცემენ დამოკიდებულებას გარკვეული მოქმედებისადმი. მოდალური ზმნების საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ ამა თუ იმ მოქმედების აუცილებლობა, შესაძლებლობა, ვალდებულება, საჭიროება, ალბათობა, საეჭვოობა და ა.შ. როგორც ვხედავთ მოდალურ ზმნებს აქვთ მრავალფეროვანი ლექსიკური მნიშვნელობა, რის გამოც ისინი თანამედროვე ინგლისურში ფართოდ არიან გამოყენებული. მოდალურ ზმნებს სხვა ზმნებისაგან განსხვავებით, ბევრი თავისებურება ახასიათებს, კერძოდ, მოდალური ზმნები დამოუკიდებლად არ იხმარებიან, მათ ყოველთვის დაერთვის ლექსიკური ზმნა ინფინიტივში, რომელიც მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოდალური ზმნა გადმოსცემს სუბიექტის დამოკიდებულებას მოქმედების ან

მდგომარეობისადმი. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ გამონათქვამი სუბიექტურ მომენტს მოკლებულია, ის ამოდალურია.

სუბიექტური მომენტის გარეშე უამრავი გამონათქვამი არსებობს ენაში და მათ არავითარი მოდალური ელფერი არ გააჩნიათ. მაგ., The Earth moves round the Sun. Charles Dckens was born in 1812.

როგორც ვხედავთ, სუბიექტური მომენტი ასეთ წინადადებაში სრულიად გამორიცხულია და ამდენად წინადადებებიც ამოდალურია.

თუ ყოველ წინადადებას, ყოველ გამონათქვამს მოდალურად მივიჩნევთ, იქნება ეს სინამდვილის ფაქტი, თუ რაიმე მისი საწინააღმდეგო, მაშინ მოდალობის კატეგორიაში შევა ყველა ენობრივი მოვლენა და კატეგორია, რომელსაც საპირისპირო – ამოდალური მნიშვნელობა აღარ ექნება.

მოდალობის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებას წარმოადგენს კავშირებითი კილოს ფორმები, რადგანაც მათი საშუალებით ხდება გარკვეული მოქმედების დაშვება, წარმოდგენა. ასეთი წარმოსახვითი მოქმედება შეიძლება იყოს, სურვილის, ნატვრის, პირობის გამომხატველი, სადაც ჩანს სუბიექტის დამოკიდებულება ამა თუ იმ მოსაზრებისადმი, ხოლო ბრძანებითი კილოს ფორმებს, რომლებიც გამოხატავენ სუბიექტის ნება-სურვილს, მსმენელმა შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ცხადია აქვს თავისი მოდალური ნიუანსი. თხრობითი კილოს ის ფორმები, რომლებიც მოდალურ ზმნებს არ შეიცავენ ამოდალური არიან, ხოლო თვით მოდალური ზმნები თხრობით კილოში თავისთავად გამოხატავენ მოდალობას.

მოდალური ზმნები შეადგენენ ზმნების პატარა ჯგუფს, რომლებიც თავისი შინაარსით გამოხატავენ არა მოქმედებას, არამედ განყენებულ მნიშვნელობებს – აუცილებლობას, შესაძლებლობას, ვარაუდს და ა.შ. ამიტომაც წინადადებაში ისინი ქმნიან შედგენილ ზმნურ მოდალურ შემასმენელს. ინფინიტივი გამოხატავს იმ მოქმედებას, რომლის შესრულება აუცილებელია, სავარაუდოა ან საეჭვოა სუბიექტის თვალსაზრისით. რადგან მოდალური ზმნები შედიან სინტაქსურ კავშირში ინფინიტივთან და ცალკე არ გვხვდებიან, მათი სწავლება მიზანშეწონილია სინტაქსურ დონეზე.

თუ სტუდენტებს შეპირისპირების მიზნით ვაძლევთ წინადადებას მოდალური შემასმენლით, იქვე უნდა მივცეთ არამოდალური შემასმენლიანი წინადადება და მივცეთ საშუალება დააკვირდნენ განსხვავებას, მათ შორის. მაგ.: He has been away for about two months.He must have been away for about two months.

მოცემულ მაგალითებში პირველი წინადადება ამოდალურია, რადგან მოუბარი ფაქტების კონსტატაციას ახდენს მასში და სუბიექტური მომენტი გამორიცხულია. მეორე წინადადება კი მოდალურია, რადგან მოუბარი თავის პოზიციიდან ახდენს მოქმედების შეფასებას.

სპეციალურ ფაკულტეტზე მოდალური ზმნების სწავლება წლების განმავლობაში ხდებოდა ორი სხვადასხვა მეთოდით: 1. მოდალურ ზმნებს ვასწავლიდით ყველა მათი მნიშვნელობებით და ნიუანსებით; 2. მოდალურ ზმნებს ვაჯგუფებდით შინაარსის მიხედვით, თემატური პრინციპით: აუცილებლობა (ვალდებულება), ვარაუდი (შესაძლებლობა), ეჭვი, მუქარა და სხვ.

როცა პირველ მეთოდს ვიყენებთ, შემაჯამებელი ეტაპი მოდალურ ზმნებზე მუშაობისა უნდა იყოს მათი დაჯგუფება მნიშვნელობების მიხედვით, ხოლო როცა მეორე მეთოდით დავიწყებთ სწავლებას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ცალკეული ზმნის სხვა მნიშვნელობაც, ისიც მხოლოდ საბოლოო ეტაპზე.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ პირველი მეთოდის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია. სჯობს ვასწავლოთ ცალკეული მოდალური ზმნა, სტუდენტები ასე უკეთ შეითვისებენ მათ, შემდეგ კი თემატური პრინციპით დავაჯგუფოთ ისინი, სტუდენტებს შევადგენინოთ თემატური ცხრილები და ვავარჯიშოთ ისინი ამა თუ იმ თემატურ ჯგუფში მოხვედრილი მოდალური ზმნების მსგავსება-განსხვავებაზე. მაგ., როდესაც ვასწავლით ვარაუდის გამომხატველ მოდალურ ჯგუფს must, may, should, ought უნდა განვასხვავოთ ვარაუდის მეტნაკლები ხარისხი თითოეულ მათგანში და მოვძებნოთ შესატყვისი სტაბილური ქართული ეკვივალენტები მოდალური სიტყვებისა და

გამონათქვამის სახით, რომლებითაც გადმოიცემა ინგლისური მოდალური ზმნების მნიშვნელობები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ენაზე მოდალური ზმნების ამ სახითვე გადმოტანა არ ხერხდება იმ მიზეზით, რომ ასეთი ზმნები ქართულში არ არსებობს. მაგრამ არის მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც ამ ფუნქციას ასრულებენ ქართულ ენაში. მათ მოდალური სიტყვები ეწოდებათ. ქართულში მოდალური სიტყვები ფართოდ იხმარება ობიექტური სინამდვილის სუბიექტური აღქმის ისეთი ნიუანსების გამოსახატავად, როგორიცაა შესაძლებლობა, ვარაუდი, აუცილებლობა და სხვ. იმისათვის, რომ ინგლისური ენის შემსწავლელმა ქართველმა სტუდენტმა თავისი დედაენისათვის უცხო გრამატიკული ან ლექსიკური მოვლენა კარგად გაიგოს, საჭიროა გარკვეული შეპირისპირებითი პარალელების გამოყენება, ასეთი პარალელის გავლებაში დაგვეხმარება თარგმნითი სავარჯიშოები. სტუდენტმა, რომ კარგად შეითვისოს სხვადასხვა მოდალურზმნიანი წინადადებების ნიმუშები, საჭიროა მივაწოდოთ მას შესატყვისი გრამატიკულ-ლექსიკური ერთეულები ქართულად. ცალკეული მოდალური ზმნის სწავლებისას ყურადღებას ვამახვილებთ მათ ისეთ მნიშვნელობებზე, რომლებიც სტუდენტებისათვის ახალია ან ნაკლებ დამუშავებული.

მოდალური can ზმნის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა „შეძლება" (ფიზიკური შეძლების, უნარის მნიშვნელობით) სტუდენტებმა ამ დროს უკვე იციან, მაგრამ ახლა ყურადღებას ვამახვილებთ can- ის შემდეგ მნიშვნელობაზე:

ა) can გამოხატავს შესაძლებლობას, რომელიც არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ მომენტზეა დამოკიდებული, მაგ.: It was dark in the room and I could not find the book I needed so much.სტუდენტებს უნდა მივუთითოთ, რომ ქართულად თარგმნის დროს ზმნა იცვლება უარყოფითი ნაწილაკით „ვერ". ოთახში ბნელოდა და ვერ ვიპოვე წიგნი, რომელიც ძალიან მჭირდებოდა (და არა ვერ შევძელი პოვნა). Can- ის ამ მნიშვნელობის სწავლებისას შეიძლება გამოვიყენოთ სავარჯიშო, რომელიც წინადადების პერიფრაზირებას შეიცავს, რათა უკეთ დავანახოთ სტუდენტებს can- ის ეს მნიშვნელობა: It was impossible to find the book in the room as it was dark there. როგორც ვხედავთ, ეს ფრაზა დაახლოებით იგივეს გამოხატავს, რასაც წინადადება მოდალური can- ით. შეიძლება განვმარტოთ, რომ როცა can აღნიშნავს უნარს, ფიზიკურ შეძლებას, ასეთი პერიფრაზის გაკეთება არ ხერხდება. Can – შესაძლებლობის მნიშვნელობით მხოლოდ Indefinite infinitive – თან იხმარება.

ბ) can გამოხატავს თხოვნას, ნების დართვას;

ამ შემთხვევაში მან შეიძლება may-ის მაგიერობა გასწიოს. May- ის შესწავლის შემდეგ გავავლებთ პარალელს მათ შორის. Can ამ მნიშვნელობით იხმარება მტკიცებით, კითხვით და უარყოფით წინადადებებში აკრძალვის მნიშვნელობით უკავშირდება Indefinite infinitive-ს: Can I take your fountain-pen? Could იხმარება აწმყო დროის მიმართ თხოვნის უფრო ზრდილობიანი ფორმის გამოსახატავად. ეს ფორმაც სტუდენტებისათვის ახალია. მათ იციან, რომ could არის can- ის Past Indefinite. აქ კი ის აწმყო დროს გამოხატავს. Could you lend me your dictionary? – ხომ ვერ მათხოვებდით ლექსიკონს? (უფრო ზრდილობიანია) ; Can you lend me your dictionary? – ლექსიკონს ვერ მათხოვებ?

გ) Can გამოხატავს ეჭვს, დაურწმუნებლობას, განცვიფრებას, შეუძლებლობას. ის იხმარება მხოლოდ კითხვითსა და უარყოფით წინადადებებში. ამ მნიშვნელობით can იხმარება ყველა ფორმის ინფინიტივთან იმის მიხედვით, თუ რა დროში გვინდა გამოვხატოთ ეჭვი და დაურწმუნებლობა, ან განცვიფრება. ეჭვი და განცვიფრება გამოიხატება კითხვით წინადადებაში, შეუძლებლობა, დაუჯერებლობა კი უარყოფითში. სტუდენტებს ძალიან უჭირთ ინფინიტივის სხვადასხვა ფორმის ხმარება, განსაკუთრებით პირველ ხანებში, სანამ ისინი კარგად გაიგებენ, რომ დროში განსხვავებას იძლევა არა can-could , არამედ ინფინიტივის სხვა ფორმები. მაგ.: Oh, Mother! Can it be you? ნუთუ ეს შენა ხარ დედა?

Can she have refused to help you? ნუთუ მან უარი გითხრა მოხმარებაზე?

ქართულად თარგმნის დროს მსგავს წინადადებებს ვიწყებთ კითხვითი ნაწილაკით „ნუთუ", რომელიც ქართულში გამოხატავს ეჭვის, განცვიფრების მნიშვნელობას.

Can-could – ს შორის განსხვავება ქართულად თარგმნისას არ ჩანს, მაგრამ ჩვენ მაინც ვუხსნით, რომ could გამოხატავს მოუბარის მხრივ უფრო მეტ ეჭვს, ვიდრე can. როდესაც could-ს დაერთვის Perfect Infinitive, იგი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი წარსულში, მაგრამ იგი არ მომხდარა: He could have told you about me. – მას შეეძლო თქვენთვის ეთქვა ჩემს შესახებ (მაგრამ არ უთქვამს).

ზოგჯერ კი როდესაც could- ს დაერთვის Perfect Infinitive, იგი გამოხატავს აგრეთვე წარსულ მოქმედებას, რომლის შესახებ არ ვიცით შესრულდა თუ არა: He could have taken the tickets to the theatre. – შესაძლოა, მან უკვე აიღო თეატრის ბილეთები (ეჭვი, ორჭოფობა).

როდესაც ვასწავლით can- ის ამ მნიშვნელობას, ვაკეთებინებთ სავარჯიშოებს პერიფრაზით, ვაძლევთ დავალებას შეადგინონ სიტუაციები, რომელშიც დასჭირდებათ ეჭვის ან განცვიფრების გამოხატვა სხვადასხვა საშუალებით: Can they have refused to help? Is it possible that they should have refused to help you?

უარყოფით წინადადებაში მოუბარი თითქმის დარწმუნებულია, რომ მოქმედება არ შეიძლება ხდებოდეს, ან მომხდარიყო. გამონათქვამს კატეგორიული მტკიცების ელფერი აქვს. ნაკლებ კატეგორიულია can- ის მაგივრად could-ის ხმარება, თუმცა ისევე, როგორც ზემოხსენებულ შემთხვევაში, განსხვავება მათ შორის ქართულად თარგმნისას ჩანს. ქართულად ვთარგმნით "შეუძლებელია", "წარმოუდგენელია". He can't (couldn't) have done the work so carelessly. შეუძლებელია (წარმოუდგენელია),რომ მას სამუშაო ასე დაუდევრად შეესრულებინა. აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, შეიძლება გამოვიყენოთ პარაფრაზი. Is it possible that he should have done the work so carelessly. I don't believe that he had done the work so carelessly.

მოკლედ ვეხებით და ვსაუბრობთ can-ის ეკვივალენტზე "to be able to"- ს გამოყენების შესახებ და აღვნიშნავთ მის განსხვავებას can-ისგან.

ამ სტატიაში არ განვიხილავთ სხვა მოდალურ ზმნებს, მაგრამ ცალკეული მოდალური ზმნის შესწავლის შემდეგ აუცილებელია სტუდენტების ვარჯიში, მათი თემატური პრინციპების გამოყენების მიხედვით და იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც განხილულია აღნიშნულ სტატიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოქროპირიძე ნ., მოდალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებები, თბ., 1975.
2. Gondon E.M., Madality in English, M., 1998.
3. Смирницкий А.И., Синтаксис английского языка, М., 1980.
4. Бархударов Л.Е., Граматика английского языка, М., 1975.

ნათელა წოწონავა

ინგლისური მოდალური ზმნების სწავლების თავისებურებანი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინგლისურ ენაში მოდალური ზმნების სწავლების ისეთი საკითხები, როგორიცაა: მათი ქართულად გადმოცემისათვის სხვადასხვა ლექსიკური საშუალებების გამოყენება; ინგლისური მოდალური ზმნების გარკვეულ საფეხურზე სწავლების გზებისა და საშუალებების დადგენა; აგრეთვე ინგლისური მოდალური ზმნების გაგებისა და მათი მეტყველებაში გამოყენების ჩვევების გამომუშავების რეკომენდაციები.

Natela Tsotsonava
The Peculiarities of Teaching English Modal Verbs
Summary

The article deals with such issues of teaching English modal verbs, as the usage of various lexical means for their presentation in Georgian; Determination of the ways and tools for teaching English modal verbs at certain educational level (Bachelor's level). The article also touches upon the recommendations for understanding the English modal verbs and elaborating the habits for their usage in speech.

Натела Цоцонава
Оссобености обучения модальных глаголов в английском языке
Резюме

В статье рассмотрены вопросы использования разных лексических средств для перевода модальных глаголов на грузинский язык, а также решение проблем обучения модальных глаголов в английском языке на определённом уровне разными путями и средствами.

ნატო შეროზია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

ბავშვებსა და მოზარდებზე ძალადობის პრობლემის გადაჭრის ძიების გზები

მოზარდთა შორის აგრესია და ძალადობა ჩვენი საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. საკითხი აქტუალურია როგორც სახელმწიფო სისტემისათვის, ისე სხვა სოციალური სტრუქტურებისათვის. აგრესია და ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული ნორმების დარღვევითაც მთავრდება და მოზარდების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას იწვევს. ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი პრობლემატურია ჩვენს ქვეყანაში, მოითხოვს ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და ბავშვთა ძალადობის პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

ბავშვის მიმართ ძალადობას არა აქვს გეოგრაფიული საზღვრები, იგი არ სცნობს რასას, კლასს, რელიგიასა თუ კულტურას. ძალადობა თავს იჩენს სახლში, სკოლასა თუ ქუჩაში, გასართობ თუ სამუშაო ადგილებში, ბავშვებზე მზრუნველობისა და ბავშვების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. მოძალადეთა შორის შეიძლება იყვნენ მშობლები, ოჯახის წევრები, მასწავლებლები, მეურვეები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ან სხვა ბავშვები.

ძალადობა მრავალმხრივ „აზიანებს ოჯახისა და საზოგადოების სტრუქტურას. ძალადობის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ შედეგებს შეუძლიათ მუდმივად იმოქმედონ იმ ადამიანთა ოჯახებისა და მეგობრების ცხოვრების ხარისხზე, რომლებიც მის პირდაპირ ზეგავლენას განიცდიან. სიკვდილი, ხანგრძლივი არაქმედითუნარიანობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და პატიმრობაში ყოფნა – ეს მდგომარეობები წარმოადგენს ძალადობის საერთო შედეგებს, რომლებსაც მწყობრიდან გამოჰყავთ ადამიანები მათი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლების (პროდუქტიული ასაკის) განმავლობაში“ (2, 38).

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში დამალული იყო. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დახმარება, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სამედიცინო (სამკურნალო) დახმარებით შემოიფარგლებოდა. უკანასკნელ პერიოდში თანდათან იცვლება ხედვა და დამოკიდებულება ბავშვთა ძალადობისადმი. ის, რაც ყურადღების მიღმა რჩებოდა, დღეს მიუღებელი და საგანგაშო გახდა. არ არსებობს ქვეყნად პროფესია, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირი მნიშვნელობით შეხება არ

ჰქონდეს ბავშვთან, მაგრამ არის პროფესიები, რომლებიც სრულად მოიაზრებს მუშაობას ბავშვებთან, ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევების გამოვლენას, ძალადობაგადატანილი ბავშვების დახმარებას. ეს პროფესიებია: ექიმი, სოციალური მუშაკი, პედაგოგი, ფსიქოლოგი, ჟურნალისტი, პოლიციელი და სხვ.

სკოლა უნდა იყოს უსაფრთხო ადგილი, სადაც სუფევს ბავშვებისათვის სასიამოვნო გარემო: ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება ძალადობის გარეშე. "გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის" 28-ე მუხლში ნათქვამია, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, ხოლო სასკოლო დისციპლინის დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მეთოდებით, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ადამიანური ღირდსების პატივისცემას. სკოლამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ბავშვის ძალადობისაგან დაცვის საქმეში" (1, 49).

როგორ უნდა გავხადოთ სკოლა უსაფრთხო? არსებობს სხვადასხვა მოდელი, რომლებსაც სკოლები იყენებენ.

ძირითადად გამოიყოფა უსაფრთხოების ა) პროცესზე დაფუძნებული მიდგომა და ბ) პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა.

პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა „დაცვას, კამერებს, დეტექტორებს, მოსწავლეთა პირადი საქმეების კომპიუტერულ უზრუნველყოფას მოიცავს; **პროცესზე** დაფუძნებული მიდგომა კი პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემას, კონსულტაციების შესაძლებლობებს გულისხმობს.

პროცესზე დაფუძნებული მიდგომა სკოლის კლიმატის წარმატებულ ცვლილებასაც გულისხმობს, რათა მოხდეს სარისკო ქცევის ადრიდანვე იდენტიფიცირება და მისი მართვა. ასევე, ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი საზრუნავია უფროსების მხრიდან ძალადობის აღმოფხვრა – როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური/ფსიქოლოგიური" (4, 20).

ბუჩერი და მენინგი (2005), „კვლევებზე დაყრდნობით, სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემდეგ ეფექტურ სტრატეგიებს გვთავაზობენ:

- სკოლის უსაფრთხოებისათვის მუდმივი პრევენციული პროგრამების დაფუძნება (მაგალითად, თანატოლთა მედიაცია);
- ყურადღება დაბალი დონის ძალადობის აღმოფხვრისათვის (ძალიან ცუდია, თუ სკოლაში დაბალი დონის ძალადობას ყურადღება არ ექცევა. მაგალითისათვის, ჩაგვრა ან მასწავლებლის მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა მოსწავლეებს სწავლაში მნიშვნელოვნად უშლის ხელს);
- ისეთი სასკოლო კლიმატის შექმნა, რომელიც ყველა ბავშვის მზრუნველობას გულისხმობს; სკოლა, სადაც თავისუფალი და ღია კომუნიკაციაა ადმინისტრაციას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის" (4, 22).

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ, უარყოფით კვალს ტოვებს ბავშვზე და მოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე. ყველა მშობლისათვის საოცნებო, წარმატებული, ხალისიანი, ჯანმრთელი ბავშვების ნაცვლად ძალადობის შედეგად ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯანმრთელობაშელახული ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება და წარმატებასაც ძნელად აღწევენ. მასწავლებლების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების, პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაკების მოვალეობაა დროულად ამოიცნონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები. მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა მისცემს ბავშვს საშუალებას, სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი, გახდეს აქტიური მოქალაქე და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში.

როგორც აღვნიშნეთ ბავშვების მიმართ ძალადობა გლობალურ პრობლემად იქცა. ამან გამოიწვია მოზარდთა ქცევის გამოხატული მოშლა, რაც საზოგადოების სამართლიან შეშფოთებას იწვევს. სახელმწიფო ვალდებულია ბავშვები მშობლებისა და კანონიერი მეურვეების უხეში მოქცევისაგან დაიცვას. უნდა შეიქმნას შესაბამისი

სოციალური პროგრამები ძალადობის აღკვეთისა და დაზარალებულთა მკურნალობის მიზნით.

აქედან გამომდინარე, ბავშვებს სჭირდებათ დახმარება, რათა არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. ამასთან, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ პრობლემის მთელი სიმწვავე და თავად შეეძლოთ სხვისი დახმარება.

განვიხილოთ ძალადობის გამოვლინების ზოგიერთი შემდეგი ფორმები:

ბავშვისადმი არაღირსეული მოპყრობა არის ნებისმიერი ქცევა, რომელიც იწვევს ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგრადობის დაქვეითებას, საფრთხეს უქმნის მის ასაკობრივ განვითარებასა და ჯანმრთელობას.

ბავშვისადმი არაღირსეული მოპყრობის ძირითადი ფორმებია: ძალადობა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური) და უგულებელყოფა.

ფიზიკური ძალადობა ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედებაა, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას. **ფიზიკური ნიშნები** გაურკვეველი წარმოშობის ჰემატომები, ნაწიბურები, ნაკბენის კვალი და ნაფლეთი ჭრილობებია, ხოლო **ქცევითი ნიშნები:** ტრამვის წარმოშობის ახსნაზე უარის თქმა, სახლში დაბრუნების შიში, დაღლილობის მუდმივი შეგრძნება, სისტემური გაცდენები სკოლაში, თვითშეფასების დაბალი დონეა.

ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობა სიტყვიერი ან ქცევითი ზემოქმედებით ბავშვში შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა მდგომარეობების პროვოცირებაა. ასეთ ბავშვებს ახასიათებთ მეტყველების დაქვეითება, ნარკოტიკების მოხმარება, დაგვიანებული ფიზიკური განვითარება და სხვ.

სექსუალური ძალადობა არის ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სექსუალური ძალადობის ფორმებია: ეროტიკული ელფერის ალერსი, სექსუალური მეტყველება, პორნოგრაფიული სურათების გადაღება ან ჩვენება, გაუპატიურება.

უგულებელყოფა გულისხმობს ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვ.) რეგულარულ დაუკმაყოფილებლობას მშობლებისა თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები) ან ამგვარი მიზეზების გარეშე (3, 7).

"ბულინგი"(დევნა) ძალადობის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც ნიშნავს ფიზიკურ და/ან ფსიქოლოგიურ ტერორს. იგი ხორციელდება ბავშვის მიმართ თანაკლასელთა ან სხვა ბავშვების ჯგუფის მიერ. ის ვინც მიმართავს ბულინგს, მიზნად ისახავს მსხვერპლის დაშინებასა და დამორჩილებას. ეს მოვლენა გვხვდება როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში. უფრო ხშირად ბულინგის მსხვერპლნი არიან უმცროსკლასელები.

ბულინგი გულისხმობს ისეთ ქცევებს, როგორიცაა: მეტსახელების შერქმევა, დაცინვა, მუქარა, ხელისკვრა, ჯგუფიდან გარიყვა, იგნორირება, მუშტით ან ფეხით ცემა და სხვ.

ბულინგი შეიძლება სხვადსხვა ადგილებში მოხდეს. ძალიან ხშირად ბულინგი ხდება სკოლაში ან სკოლასთან ახლოს: კლასში, სკოლის გზაზე, სასადილოში, სპორტულ მოედანზე და ა.შ.

ბულინგი არის პირდაპირი და ირიბი. **„პირდაპირი ბულინგის** დროს თანატოლები ბავშვს ღიად აყენებენ შეურაცხყოფას, თავს ესხმიან, ხელს კრავენ, დასცინიან და ა.შ. **ირიბი ბულინგი** გულისხმობს ისეთ ქცევას, როცა ბავშვს ტკივილს აყენებენ უშუალო აგრესიის გამოყენების გარეშე. მაგალითად, არ ელაპარაკებიან, არ აძლევენ საერთო საქმეში ჩართვის საშუალებას და სხვ." (5, 12).

ბულინგის შედეგები შემდეგნაირია:

ძალადობაგანცდილი მსხვერპლი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ განიკურნოს ფიზიკური დაზიანებისაგან და/ან განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვას, თავს დამცირებულად ან დათრგუნულად გრძნობდეს. ასეთი ბავშვები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის;

ბულინგის ინიციატორი ბავშვები თავიანთი აგრესიულობის დემონსტრირებას მოზრდილობის ასაკშიც აგრძელებენ და ხშირად ცხოვრების კრიმინალურ გზას ირჩევენ;

ფსიქიკური ტრავმა შეიძლება იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლნი არ არიან, მაგრამ არიან ტერორის ფაქტის შემსწრენი, ასეთ ბავშვებს ეშინიათ, თვითონაც არ გახდნენ აგრესორის მსხვერპლი.

ბულინგის მასშტაბების შესამცირებლად აუცილებელია კამპანიის ჩატარება და სკოლებში პრევენციული პროგრამების დანერგვა, რათა ძალადობის შემცირება სასკოლო სამოქმედო გეგმის განუყოფელი ნაწილი გახდეს, ხელი შეუწყოს სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური კოლექტივის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერპერსონალური და სოციალური უნარების ჩამოყალიბებას.

როგორც ვიცით ტელევიზიის საშუალებით ბავშვი უდიდესი მოცულობის ინფორმაციას იღებს იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც ცხოვრობს. ტელევიზია ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ერთი მხრივ, თავისი დინამიურობით, ინფორმაციულობით, მიმზიდველი რეჟისურითა და ლამაზი გადაღებებით, ხოლო მეორე მხრივ, არავისთვისაა უცხო, რომ სატელევიზიო პროგრამები გადატვირთულია დანაშაულებათა აღწერით, ძალადობისა და სექსუალური ეპიზოდების დემონსტრირებით. ძალადობის სცენების შემცველი ფილმების ყურება ბავშვის ქცევაში სისასტიკის გამოვლენის გაძლიერებას იწვევს და შესაძლოა დანაშაულებათა ზრდის ერთ-ერთი მიზეზიც გახდეს. აუცილებელია შესაბამისი მედიაპოლიტიკის გატარება. ამ კონტექსტში საგანგებოდ მნიშვნელოვანია მკაცრად იყოს დაცული მოზარდთა ფსიქიკაზე არასასურველი ზემოქმედების შემზღუდველი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, აგრეთვე ზუსტად განსაზღვრული დროით შემოიფარგლოს ძალადობის სცენების შემცველი ტელეპროდუქციის ჩვენება.

აღნიშნული პრობლემების დაძლევისათვის საჭიროა სკოლაში შეიქმნას ფსიქოსოციალური სამსახური. „მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები შეძლებენ ბავშვის პრობლემების დროულ იდენტიფიკაციას, პრობლემების სისტემურ გაანალიზებას და მიზანმიმართულ ჩარევას ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. აუცილებელია მშობლები ჩართულნი იყვნენ ნებისმიერ პარტნიორობაში, რომელიც ჩამოყალიბდება ძალადობის შემცირების მიზნით (6, 83).

ბავშვებსა და მოზარდებს შორის ძალადობა, საბოლოო ჯამში, არის რეაქცია იმაზე, რომ მათ ყურადღებას არ აქცევენ და არ აფასებენ. აქედან გამომდინარე, ბავშვებს სჭირდებათ დახმარება, რათა არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. ძალადობისაგან ბავშვების გადარჩენა ყველა სახელმწიფოს კეთილი ნება და ქვეყნის მომავალზე ზრუნვის გამოხატულებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, თბ., 2011, (ქართული ენაზე, გაეროს ბავსვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა).
2. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი, სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი, თბ., 2012.
3. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, ბავშვთა დახმარების ცენტრი, თბ., 2007.
4. უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2011.
5. ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში", მოზარდთა შორის ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად, თბ., 2008.
6. ცირამუა მ., ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში, თბ., 2011.

ნატო შეროზია

ბავშვებსა და მოზარდებზე ძალადობის პრობლემის გადაჭრის ძიების გზები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბავშვისადმი არაღირსეული მოპყრობის ძირითადი ფორმები, რომელებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბავშვის განვითარების ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და ინტელექტუალურ ასპექტზე. საუბარია ასევე ბავშვებზე, რომლებიც ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი; მითითებულია ბულინგის მასშტაბების შესამცირებლად სკოლებში პრევენციული პროგრამების დანერგვის გზები.

Nato Sherozia

Children and Children and Adolescents Abuse –Searching the Problem-solving Ways

Summary

In the previous article it has been discussed the basic forms of unworthy treatment to the children, which make the negative influence during the development of the child's physical,emotional, social and intellectual aspects. Also, we speak about the children who are the victims of bulling.It is refered to the implemented ways of the prevencial programs for decreasing the sizes of bulling at schools.

Нато Шерозиа

Насилие детей и подростков - Поиск путей решения проблем

Резюме

В данной статье рассмотрены основные формы недостойного обращения с детьми, которые негативно влияют на их физическое, эмоциональное, социальное и интелектуальное развитие . А также, идёт речь о детях, которые становятся жертвами булиинга.

Лаура Гурули
Преподаватель языкового центра Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили

Работа над текстами для чтения на начальном этапе обучения русскому, как иностранному языку

В современной методике преподавания иностранных языков до сих пор отсутствует единое мнение об использовании художественного текста в процессе изучения языка. Одни исследователи видят в нём материал для развития коммуникативной компетенции учащихся на иностранном языке(1,.15), для других-это способ ознакомления с историей и жизнью страны изучаемого языка(2, 22). .По мнению некоторых учёных, основным «адресатом « художественного литературного материала чаще всего оказываются учащиеся филологического профиля, поскольку считается, что у филологов интерес к художественному тексту обусловлен ещё и профессиональными интересами.

Нельзя не согласиться с тем, что, обладая большим методическим потенциалом при обучении языку, художественные произведения вместе с тем довольно трудны для лиц,изучающих язык. Эти трудности вызваны самой сущностью художественных произведений. Трудности восприятия художественных произведений обусловливаются и индивидуально- психологическими особенностями тех, кто читает их.Художественные произведения требуют определённого уровня интеллектуального развития,наличия определённого жизненного опыта, интереса к теме. Студенты-грузины, (да и современные российские студенты), воспитанные на других жизненных идеалах, не могут разделить героического пафоса произведений, которыми так насыщены учебники по изучению русского языка прошлых лет. Грузинские студенты не всегда могут понять характеры и поступки современной русской молодёжи, хотя сегодня происходит слияние их интересов и поступков под воздействием западной культуры общения. Отсутствие необходимого лексического запаса обеспечивает в некоторых случаях лишь поверхностное понимание произведения, при

котором глубокого понимания художественного произведения не происходит. Все эти трудности ведут к утрате интереса иностранных студентов, в том числе и грузинских, к художественной литературе. Однако это ни в коей мере не означает отказ от использования художественных произведений при обучении иностранному языку. Напротив, использование художественных произведений представляется нам не только желательным, но и необходимым на всех этапах обучения языку, но при соблюдении определённых условий.

Методика РКИ основана на понимании факторов, которые приводят к конечным результатам обучения - это **грамотная устная и письменная речь** с определенным запасом слов современного русского языка и **приобщение к чтению**. Каковы же эти факторы? Это, во-первых, правильная оценка исходных знаний обучаемого. Во-вторых, учет времени, которое выделяется на весь курс обучения. В-третьих – механизм интенсификации, позволяющий учащемуся за выделенное время пройти путь от исходного уровня его знаний до желательных результатов. В основе обучения лежит принцип удаления из всей информации, которую следует передать учащемуся, всего, что не нужно ему для будущего До сих пор в практике преподавания русского языка как иностранного многими преподавателями чтение рассматривается не как самостоятельная речевая деятельность, а как средство обучения. Между тем это сложное речевое умение, имеющее свою коммуникативную задачу. Правильно подобранный преподавателем текстовой материал, соответствующая система учебных действий являются необходимыми условиями для функционирования чтения как речевой деятельности. Правильно подобранный текст избавляет ученика от запоминания ненужных слов, некоторые из которых вышли из употребления. На объяснение затрачивается много времени, а для коммуникации на первоначальном уровне все эти слова совершенно не нужны. Для начального уровня общения нужно 1200 – 1400 слов и базовая грамматика, позволяющая правильно строить предложения. О чтении неадаптированной классической литературы, которая требует владения не менее чем 10 000 слов, и усвоения не базовой грамматики, а более сложных грамматическимх явлений, таких как краткие прилагательные, причастия и причастные обороты, деепричастия и т.д., не может быть и речи. Читать литературу, имея такую «базу», невозможно (даже если дается подробнейший комментарий).

Обращению к художественным произведениям должна предшествовать работа с учебными текстами. В процессе работы над ними происходит накопление словарного запаса. Учащиеся накапливают опыт к пониманию и восприятию художественного произведения. Учебный текст используется для решения определённой методической задачи.

Вместо зазубриваемых правил методика дает учащемуся грамматические модели, в которых эти правила зашифрованы и при многократном повторении в разного типа заданиях хорошо запоминаются. Даже без установки на запоминание, студенты выучивают их наизусть. Необходимость соответствия текста изучаемым языковым явлениям (взятым в определённом объёме в зависимости от целей обучения) означает, что обучение языку начинается на основе специально созданных текстов. Такие тексты освобождены от трудностей и насыщены изучаемыми единицами языка. Они составляются авторами учебников. Наибольший интерес для студентов в этом плане представляют тексты диалогического и диалого-монологического характера, являющиеся письменной фиксацией необходимых для элементарного устного общения речевых образцов. По мере овладения языком характер текстов меняется: от учебниковых переходят к адаптированным, а затем, на более высокой ступени обучения, к ортгинальным. Целью обучения чтению на иностранном языке должно стать овладение тем объёмом умений и навыков, который позволяет рассматривать иноязычный текст, как и текст на родном языке, в качестве источника информации, а чтение как средство заключённой в ней информации. Повторяемость в текстах данных речевых образцов способствует активизации владения ими.Такая форма подачи материала позволяет студентам понимать и быть понятыми на самом элементарном уровне в первые же дни пребывания в русскоязычной среде в различных учебно-бытовых ситуациях: на улице, в магазине, в гостях и т.д. Многие методисты критикуют учебники по иностранному языку, в которых даётся описание посторонних для учащегося предметах или событиях. «Типовое построение урока как части учебного процесса-это последовательное обращение учителя (или ученика) к окружающим предметам или явлениям (в одних случаях это действительно окружающие предметы, в других-сюжетные или несюжетные картины) с задачей построить или усвоить последовательную цепь суждений об этих предметах, явлениях, действиях» (4, 51). Текстовой материал должен быть

максимально приближен к реальным жизненным ситуациям. Тексты должны быть своеобразными образцами, по которым студент мог бы составить рассказ на актуальную для него тему. Например, используя материал текста «Моя семья», учащийся расскажет о своей семье; текст »Мой город» поможет ему рассказать о своём городе и т.д.

Посредством чтения как средства обучения, как было отмечено выше , учащийся получает материал для развития навыков и умений в области других видов речевой деятельности. Основным принципом отбора текстов и работы с ними можно считать принцип целесообразности, согласно которому в учебный процесс включаются те тексты, которые в наибольшей степени отвечают стоящим целям и задачам.

Так, при обучении чтению чаще всего выделяют изучающий и ознакомительный виды. Между текстами, предназначенными для этих видов, существуют заметные различия: тексты для изучающего чтения невелики по объёму, содержат строго дозированные трудности, представляют книжно-письменную речь, мало адаптированы; тексты же для ознакомительного чтения, тренирующие непосредственно понимание, беглость чтения и т.д., представляют общелитературный язык, содержат мало незнакомых слов, занимательны по сюжету, больше по объёму.

Изучение языка на основе текстов является наиболее традиционной формой подачи учебного материала, закрепление которого в дальнейшем происходит в системе упражнений. Работа над текстом при обучении чтению, (в частности, изучающему)предполагает несколько этапов. Рассмотрим некоторые из них. Обязательными, по мнению многих методистов, являются предтекстовые установки, направленные на выделение основного содержания (3, 80). Чтение текста про себя должно предваряться коммуникативными установками по всему тексту: 1. Прочитайте текст, в ходе чтения определите тему; 2. Прочитайте текст, определите количество смысловых кусков; 3. Прочитайте текст, найдите ответы на данные вопросы.

Вопросы обычно ставятся к основным фактам текста, а иногда к деталям, уточняющим общее содержание. Кроме подобного рода упражнений, важную роль играют упражнения на снятие лексико-грамматических трудностей, где главное внимание уделяется формированию навыков правильного оформления мысли, а также упражнения на развитие навыков смысловой догадки:
1. Прочитайте предложение,передайте его содержание сначала дословно, а потом своими словами.
2. Вставьте вместо точек наиболее подходящее слово из данных слов.3. Продолжите предложение.
4. Закончите предложение

Предтекстовые коммуникативные установки,т.е.упражнения. которые должны выполняться в ходе текста, направляют внимание на содержание,на осмысление текста, на решение коммуникативной задачи-понимание читаемого (3, 80). После чтения текста надо переходить к упражнениям на развитие навыков максимально точного понимания прочитанного текста. В методической литературе отмечается, что глубина понимания читаемого зависит от умения излагать текст в более развёрнутой или сокращённой форме. Для формирования этих умений предлагаются следующие упражнения: 1. Группу простых предложений замените группой сложных; 2. Из сложного предложения составьте два простых; 3. Напишите сокращённый вариант предложения; 4. Сократите абзац (текст).

И наконец, последним этапом работы над текстом являются упражнения на формирование навыков устной и письменной речи: 1. Замените изучаемые конструкции синонимичными; 2. Продолжите текст; 3. Воспроизведите письменно текст по данным словам и словосочетаниям.

Можно предложить и другие типы упражнений ,основная цель которых - обучение чтению как виду речевой деятельности.

Литература:

1. Бей Л,Б, Интерпретация художественного текста при обучении русскому языку иностранных студентов-нефилологов, М., 1985.
2. Верещагин Е. М., Костомаров В. Г. Язык и культура: лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного, М., 1990.
3. Гасанова П.М.Методика обучения чтению(изучающему) как виду речевой деятельности, М., 1978.
4. Леонтьев А.А. Некоторые проблемы обучения русскому языку как иностранному, М., 1970.

Лаура Гурули

Работа над текстами для чтения на начальном этапе обучения русскому, как иностранному языку

Резюме

Обращению к художественным произведениям при изучении русского языка как иностранного должна предшествовать работа с учебными текстами..В процессе работы над ними происходит накопление словарного запаса.

Основным принципом отбора текстов и работы с ними можно считать принцип целесообразности, согласно которому в учебный процесс включаются те тексты, которые в наибольшей степени отвечают стоящим целям и задачам.

Изучение языка на основе текстов является наиболее традиционной формой подачи учебного материала, закрепление которого в дальнейшем происходит в системе упражнений.

ლაურა გურული

საკითხავ ტექსტზე მუშაობა რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების საწყის ეტაპზე

რეზიუმე

მხატვრული ნაწარმოების გამოყენება რუსულის, როგორც უცხო ენის, შესწავლისას უნდა ხდებოდეს სასწავლო ტექსტების შესწავლის შემდეგ. მათზე მუშაობისას ხორციელდება სიტყვათა მარაგის დაგროვება. ტექსტის შერჩევისას ძირითად პრინციპად შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილობის პრინციპი, რომლის თანახმად სასწავლო პროცესში ჩართულია ის ტექსტები, რომლებიც უმეტეს წილად პასუხობენ დასახულ მიზნებს და ამოცანებს. ენის შესწავლა ტექსტების საფუძველზე წარმოადგენს სასწავლო მასალის მიწოდების ტრადიციულ ფორმას. მისი განმტკიცება შემდგომში ხორციელდება სავარჯიშოების მეშვეობით.

Laura Guruli

Reading as Tool of Teaching Russian as the Foreign Language at the First Stage of Learning Process

Summary

The basic steps for the comprehending Russian as the foreign language complies learning texts as well as the extracurricular reading. Working on the new texts is the fundament for enriching vocabulary. The main principle for choosing the texts is the appropriateness of theirs with the set learning goals and objectives. Learning language based on proposed texts is the traditional method for dealing with the material that is further strengthened by corresponding exercises.

რეცენზია

პროფესორი ლარისა დოლიკაშვილი
პროფესორი თამარ ბუკია

მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო ტურიზმის თეორიასა და პრაქტიკაზე

გამომცემლობა „მერიდიანმა“ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ეგიდით გამოსცა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გაიოზ ნადირაშვილისა და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით ჯანგულაშვილის სახელმძღვანელო „ტურიზმის საფუძვლები“, რომელშიც ტურიზმის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული. ნაშრომის მიზანია, უმაღლესი სასწავლებლების ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებს, მაგისტრანტებს, მასწავლებლებს, ბიზნეს-საქმიანობის სპეციალისტებს, ფართო მკითხველს, გააცნოს და დაეხმაროს ტურიზმის ბიზნესის ძირითადი პრინციპების ათვისებაში, შეუქმნას მათ მყარი საფუძველი საქართველოს ტურიზმის სექტორში მაღალი კლასის პროფესიონალების ფორმირებისათვის.

სახელმძღვანელოს ავტორები იზიარებენ შეხედულებას, რომ ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი, მრავალპროფილიანი სოცილაურ-ეკონომიკური სისტემა საერთაშორისო ბიზნესში შეისწავლის ტურისტული პროდუქტის ფორმირების, წინ წაწევისა და რეალიზაციის პრობლემებს, შეასწავლის მომავალ სპეციალისტებს ტურისტების განთავსების, კვების, სატრანსპორტო, საექსკურსიო, სოციალურ-კულტურული მომსახურების პრინციპებს და ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციას.

ნაშრომში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ტურიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკური პროგრესის ფენომენი გახდა და ადამიანების ბიზნესაქტივობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამიტომ, ავტორები მართებულად მიუთითებენ, რომ სასწავლო კურსის შესწავლის პროცესში სტუდენტების ყურადღება გამახვილებული იყოს ტურიზმის წვლილზე მსოფლიო მასშტაბის ინიციატივებზე რეალიზაციის, გლობალური პროგრამების განხორციელების, სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკის განვითარების სფეროებში.

სარეცენზიო ნაშრომში, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს განხილული ტურისტული ინდუსტრიის უმთავრესი საკითხები:

- სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რეალიზაციაში ტურიზმის მნიშვნელობა და ამოცანები;
- ტურიზმის ძირითადი ცნებები, კატეგორიები, მიზნები და ფუნქციები;
- ტურიზმის ისტორია, მოგზაურობა, ძირითადი პერიოდები მსოფლიოსა და საქართველოში;
- ტურიზმის კლასიფიკაციის პრინციპები, ნიშნები, სახეები, ფორმები;
- ტურის ფორმირების, გადაადგილების, რეალიზაციის საკითხები;
- ტურიზმის ორგანიზაციის საფუძვლები და ძირითადი კატეგორიები: „ტურისტული პოტენციალი“, „ტურისტული ფირმა“, „ორგანიზაცია“, „ტურისტული ბაზარი“, „ტურისტული პროდუქტი“, „ტურისტული ინდუსტრია“, „ტურისტული მარშრუტი“ და სხვ.
- ტურისტული მოთხოვნა, მოთხოვნილება, სტრუქტურა;
- საერთაშორისო ტურიზმის არსი, სტატისტიკა;
- ტუროპერატორის, ტურისტული სააგენტოს საქმიანობა, სახელშეკრულებო ურთიერთობები, ტურისტული ფორმალობები;
- ტურიზმის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურება, მართვის სტრუქტურა, მიმართულებები;
- ტურისტული მომსახურება, არსი, მნიშვნელობა;
- მსოფლიოს ტურისტული ცენტრები;
- ტურისტული პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის ცნებები, ევოლუცია, შეფასება და კონტროლი;
- ტურისტული პოლიტიკა და ტურიზმის რეგულირება, ტურისტული ორგანიზაციები;
- ტურიზმი, როგორც თანამედროვე მსოფლიოს გლობალური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა;

სახელმძღვანელოში განსაზღვრულია ტურიზმის არსი, კერძოდ ავტორების აზრით ტურიზმი განიხილება, როგორც ტურისტული კომპლექსი, ტურისტული მოძრაობა, ტურისტული საქმიანობა და ტურისტული ბაზარი. ტურიზმი მსოფლიოს წინაშე წარმოჩინდა თავისი ამოუწურავი პოტენციალით. ტურისტული ბიზნესი მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი დარგია. სპეციალისტების შეფასებით, საერთაშორისო ტურიზმი სამ უმსხვილეს საექსპორტო დარგს შორისაა წარმოდგენილი და ჩამორჩება მხოლოდ ნავთობმომპოვებელ და საავტომობილო მრეწველობათა დარგებს. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შეფასებული მრავალტრილიონ დოლარად, რაც მსოფლიოს მთლიანი ნაციონალური პროდუქტის (მნპ) 11%-ზე მეტს შეადგენს, რომლის მიხედვით იგი მსოფლიოს ეკონომიკაში ყველაზე მსხვილ დარგს წარმოადგენს.

სახელმძღვანელოში ტურიზმთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა განხილული და შეფასებული. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების საკითხი, რომელშიც იგულისხმება ადამიანთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, შრომაზე, დასვენებაზე, კულტურულ განვითარებაზე, ოჯახურ კეთილდღეობაზე, სასურველ სოციალურ განწყობაზე, ჯანმრთელ გარემოზე. ადამიანთა ცხოვრების ხარისხის ამაღლების პრობლემას წიგნში მნიშვნელოანი ადგილი აქვს დათმობილი ტურიზმის სახეების განხილვისას. ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მოგზაურობა ადამიანთა თანამედროვე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფორმას წარმოადგენს, რაც გამოხატულებას პოულობს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებაში, კერძოდ მოგზაურობაში დასვენება–გართობის, სამკურნალო–გამაჯანსაღებელი, კულტურულ-ისტორიული, ეკოლოგიური, სათავგადასავლო, თემატური, საქმიანი, საკრუიზო და სხვა მიზნებით.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მსოფლიოს ტურიზმში სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს და თანამედროევ ადამიანის ფსიქოლოგიაში მომხდარ ცვლილებებს. ასეთი საკითხებია ტურისტული მოხმარების სტრუქტურის ცვლილებებზე ეკონომიკური კონიუნქტურის გაუარესების ზემოქმედება, 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისების გავლენა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შემცირებაზე და შესაბამისი ცვლილებები სოციალურ სფეროში, ტურისტულ მოთხოვნაში, საპენსიო სისტემაში, შრომის ბაზარზე განვითარებულ დისპროპორციებში და სხვ. ავტორები აანალიზებენ ამ და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს ტურიზმის სექტორში, რომლებმაც ღრმა ცვლილებები გამოიწვია, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონული მასშტაბით.

სახელმძღვანელოში განხილული საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის ბევრი საკითხი დაკავშირებულია საქართველოში არსებულ ტურიზმის მდგომარეობასთან. ტურიზმი საქართველოში ეკონომიკის დინამიურად განვითარებადი კომპლექსია. საქართველოს ტურიზმში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ძირითადად ემთხვევა მსოფლიო მიმართულებებს, თუმცა ისინი საერთაშორისო მიღწევების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. სახელმძღვანელოს ავტორებს მითითებული აქვთ არაერთი მოსაზრება საქართველოში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების შესახებ, რაც საზოგადოებისა და დარგისათვის საყურადღებო უნდა გახდეს.

საყურადღებოა, რომ სარეცენზიო სახელმძღვანელოში სრულყოფილადაა განხილული ტურიზმის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გაანალიზებულია მისი დინამიური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები, დახასიათებულია ტურიზმის ძირითადი სახეები და მიმართულებები, რესურსები, რეგიონალური ტენდენციები. ტურიზმი განხილულია, როგორც მსოფლიო ეონომიკის ფორმირებადი სექტორი მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების ელემენტებთან ურთიერთქმედებაში, თანამედროვე ტენდენციებისა და ინოვაციური პოტენციალის გლობალური პროცესების გათვალისწინებით.

მოწონებას იმსახურებს სახელმძღვანელოს სტრუქტურა, საკითხების განხილვის საიღრმე, გამოყენებული ლიტერატურული წყაროების მრავალფეროვნება. ტურიზმის სფეროში სარეცენზიო სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი შენაძენია უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

ავტორთა საყურადღებოდ!

„მეცნიერება და ცხოვრება“ არის საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერი-
-რებადი სამეცნიერო ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;
- ავტორის **სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი და აკადემიური თანამდებობა** მითითებულ იქნეს **სათაურის წინ, ცენტრში;**
- ნაშრომს თან უნდა დაერთოს **რეზიუმე (10-12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული).** **<u>სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;</u>**
- **ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Acad Nusx შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Times New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის – 12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. მინდორი: მარცხნივ და ზევიდან 2 სმ., მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ.;**
- ნაშრომის **მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 7 ნაბეჭდ გვერდს**, გამოყენებული ლიტერატურისა (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;
- ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი **A4** ზომის ქაღალდზე **ორ ეგზემპლარად,** მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი; აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის **შეტყობინება** ხდება წარდგენიდან **3 თვის ვადაში;**
- ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: **ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის №55**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე: **2969044**

WEB-page: www. tbuniver.edu.ge

E-mail: info @ tbuniver.edu.ge

977198793700